საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მურმან პაპაშვილი
ელდარ მამისთვალიშვილი
ზურაბ გამეზარდაშვილი
ხათუნა ჩაფიჩაძე

# საქართველო ევროპულ სამყაროში
# (XVII ს-ის 70-იანი წლები – XVIII ს.)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

Georgian Technical University

MURMAN PAPASHVILI
ELDAR MAMISTVALISHVILI
ZURAB GAMEZARDASHVILI
KHATUNA CHAPICHADZE

# Georgia in the European World
# (The 70-s of the XVII Century – XVIII Century)

Publishing House **"UNIVERSAL"**
Tbilisi 2020

ნაშრომში ცნობილი და ძირითადად დღემდე უცნობი საარქივო მასალების (ვატიკანის, ავსტრიისა და საფრანგეთის არქივებიდან) და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე მონოგრაფიულად შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ევროპული საგარეო პოლიტიკის ამოცანები და მიზნები XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. პრობლემა უმთავრესად გამოკვლეულია საქართველოსთან ვატიკანის რელიგიური კავშირ-ურთიერთობის განვითარების კონტექსტში. აქედან მთავარი ყურადღება გადატანილია კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობის დადებით შედეგებზე, წინააღმდეგობრივ ხასიათსა და სირთულეებზე. რელიეფურად გამოკვეთილია კათოლიკე მამა-მისიონერების როლი საქართველოში დასავლური მიღწევების გავრცელებისა და ქვეყნის ინტერესებში საერთაშორისო იზოლაციის გარღვევის საქმეში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

მონოგრაფია დამტკიცებულია **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის** მიერ.

კვლევა განხორციელდა **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის** ფინანსური მხარდაჭერით [გრანტი HE17–21]

**რედაქტორი: გონელი არახამია,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:**

**გიორგი სოსიაშვილი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**გურამ კუტალია,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი

პროექტი განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

© მ. ჰაჰაშვილი, ე. მამისთვალიშვილი, ზ. გამეზარდაშვილი, ხ. ჩაფიჩაძე, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი", 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E–mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-801-4

The work represents a monograph, where there are studied and analyzed Georgia's European foreign policy aims and objectives from the 70s of the 17th century to the 18th century. And all this is conducted based on the archival materials, provided from Vatican, Austria, and France, known and unknown up-to-date, as well as on the grounds of the existing scientific literature. The problem has been majorly investigated in the context of the development of religious relations between Georgia and Vatican. From this, main attention is devoted to the positive outcomes, conflicted nature, and complications in the activities of the Catholic missionaries in Georgia. There is significantly emphasized the role of the Catholic missionary fathers in promoting the Western achievements in Georgia, and overcoming the international isolation, thus responding to the interests of the country.

The book is intended for specialists and a broader audience of readers.

The monograph is approved by the **Study-Scientific Literature Sectoral Commission of the Faculty of Engineering Economic, Media Technology and Social Sciences of Georgian Technical University (GTU)**.

This research was supported by **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)** [grant HE17–21].

**Editor: Goneli Arakhamia,** Doctor of Historical Sciences, Professor

**Reviewers:**

**Giorgi Sosiashvili**, Doctor of Historical Sciences, Professor of Gori State Teaching University

**Guram Kutalia**, Doctor of Historical Sciences, Professor of TSU

The Project implemented at the Georgian Technical University

© M. Papashvili, E. Mamistvalishvili, Z. Gamezardashvili, Kh. Chapichadze, 2020

Publishing House "UNIVERSAL", 2020

4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-801-4

## რეცენზია

**სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით გათვალისწინებულ მონოგრაფიაზე „საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII საუკუნის 70-იანი წლები XVIII საუკუნე)“.**

**მკვლევრები:** ზურაბ გამეზარდაშვილი (ხელმძღვანელი), მურმან პაპაშვილი, ხათუნა ჩაფიჩაძე, ელდარ მამისთვალიშვილი.

ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში XVII-XVIII სს. საქართველოს შესახებ დაცული საისტორიო წყაროების გამოვლენასა და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანას ტრადიციულად ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. დღეს, როცა საქართველოს სწრაფვა ევროპული ინტეგრაციისაკენ პირველი რიგის ამოცანად აყენებს დასავლურ სამყაროსთან საქართველოს ძველი ურთიერთობების ისტორიის შესწავლასა და ხელახლა გააზრებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვატიკანის არქივებში დაცული ახალი მასალების გამოვლენას, ქართულ ენაზე თარგმნას და მათ მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანას. სულიერი კულტურისა და ინტელექტუალური მემკვიდრეობის ხასიათის მატარებელი ეს წყაროები პასუხობენ ჩვენი ქვეყნის ევროპისკენ სწრაფვას და ხიდის როლს ასრულებენ დასავლეთთან ურთიერთობების განვითარებაში.

ვატიკანის არქივიდან აღებული მასალები გვაძლევენ პრაქტიკულ საშუალებას ვიკვლიოთ XVII-XVIII სს. დასავლეთ ევროპასთან საქართველოს პოლიტიკური, რელიგიური, დიპლომატიური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის თემები. ამ წყაროებს ფასდაუდებელ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ ქართულმა საისტორიო წყაროებმა, რომლებიც შუა საუკუნეების განუწყვეტელი ომების შედეგად განადგურება გადაურჩა, ვერ ასახა დასახული თემები. უფრო მეტიც, თუ არა ვატიკანში დაცული მასალებ, საერთოდ დღეს არანაირი წარმოდგენა არ გვექნებოდა XIII-XVIII საუკუნეების საქართველოს დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხებზე. ამ მასალათა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მეფე-მთავართა ოფიციალური მიმოწერები დასავლეთ ევროპის მესვეურებთან, ქართველი საერო და სასულიერო ელიტის წარმომადგენელთა მიერ წმინდა ტახტთან რელიგიური კავშირების გაგება და შეფასება, საქართველოში მოღვაწე კათოლიკურ მისიათა პრეფექტების „პროპაგანდა ფიდეში“ გაგზავნილი რელაციები, დიპლომატთა, მოგზაურთა და სხვა თვითმხილველთა

ჩანაწერები, მათი მოგზაურობების აღწერები და ცენტრალური წარმომადგენლებისათვის გაგზავნილი ანგარიშები.

სამეცნიერო ბრუნვაში შემოვა მონოგრაფიაში დადასტურებული აქამდე უცნობი ახალი საისტორიო წყაროები. რაც საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ საქართველოს ისტორიის გარკვეული ეტაპის უფრო ნათელი სურათი. ეს ასევე იძლევა საშუალება ისტორიული პროცესის სრულყოფილად ახლებური დანახვისა და მისი რეინტერპრეტაციისა. მოპოვებული წყაროები თავისებურ სიახლეს შეიტანს საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და რომის კათოლიკურ ეკლესიასთან მრავალფეროვანი ურთიერთობის შესწავლის საქმეში. იგი ახალ სინათლეს მოჰფენს საქართველოს სამოქალაქო ისტორიას და ნათლად წარმოაჩენს ქართულ-ევროპული იდენტობის მახასიათებლებს, ევროპული იდეის განვითარების სირთულეებს, კულტურათა დიალოგს.

ამდენად, წარმოდგენილი პრობლემა უდავო სიახლის შემცველია. იგი გვაძლევს საშუალებას, თანამედროვე კვლევის მეთოდების საფუძველზე წარმოვადგინოთ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს მრავალფეროვანი კულტურა, გამოვავლინოთ სხვადასხვა რელიგიათა თანაარსებობის ტრადიცია, ევროპული და დასავლური კულტურის გავლენა და ურთიერთობა ქართულ კულტურასთან, ასევე განვსაზღვროთ საქართველოს როლი და ადგილი იმდროინდელ ევროპულ სამყაროში.

მკვლევართა მიერ კრიტიკული მეთოდების გამოყენებით დამუშავებულია დღემდე უცნობი წყაროების წარმოშობა, დაზუსტებულია მიზანი და დანიშნულება. თანამედროვე მეთოდიკის, კერძოდ, ჰერმენევტიკული მეთოდის გამოყენებით შესწავლილია წყაროში მოცემული ინფორმაციის ნამდვილობა, წყაროს ავტორთა მენტალობა და მისი შექმნის მიზანი.

მონოგრაფია ნათლად წარმოაჩენს ქართულ-ევროპული იდენტობის მახასიათებლებს, ევროპული იდეის განვითარების სირთულეებს, კულტურათა დიალოგს, კათოლიკობისადმი ნეიტრალური დამოკიდებულების რაობას, რომის პაპის სახით „რომის იდეის", როგორც მსოფლიო სახელმწიფო იდეის, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოთა მშვიდობასა და წესრიგის გაგებას.

მონოგრაფია უდავოდ უნდა გამოიცეს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გურამ კუტალია.

## რეცენზია

**სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით გათვალისწინებულ ნაშრომზე „საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII საუკუნის 70-იანი წლები XVIII საუკუნე)“.**

**მკვლევრები:** ზურაბ გამეზარდაშვილი (ხელმძღვანელი), მურმან პაპაშვილი, ელდარ მამისთვალიშვილი, ხათუნა ჩაფიჩაძე.

XVII-XVIII საუკუნეებში, შიდა ერთიანობას მოკლებული საქართველო გამოიყურებოდა, როგორც ქრისტიანული სამყაროს კუნძული, რომელიც ყოველი მხრიდან გარემოცული იყო მტრულად განწყობილი მუსლიმური ქვეყნებით. მალე მისი ტერიტორიები გაიყვეს ოსმალეთის იმპერიამ და სპარსეთმა. ასეთ საერთაშორისო გარემოში საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ ევროპასთან, უფრო კონკრეტულად „ევროპის დედაქალაქ“ რომთან, უწყვეტი რელიგიური და პოლიტიკური კავშირის შენარჩუნებას. თავის მხრივ, ქრისტიანული ევროპისა და ოსმალეთის წინააღმდეგობისას დასავლეთ ევროპა საქართველოში ხედავდა მუსლიმების წინააღმდეგ მოკავშირეს.

ნაშრომის მიზანი გახლავთ XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე საქართველოს ისტორიის სხვადასხვა თემებზე ვატიკანის არქივებში მიკვლეული დღემდე ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის უცნობი იტალიურ და ლათინურ ენებზე შესრულებული მასალების შესწავლა, გაანალიზება და მათ საფუძველზე მონოგრაფიის შექმნა.

მოძიებული წყაროები არის მისიონერთა მიერ შესრულებული წერილები, ანგარიშები, მოხსენებები, კერძო მიმოწერა, დღიურები, აღწერითი ხასიათის მასალები, სადაც გადმოცემულია ისტორიული ფაქტები საქართველოს შესახებ. მნიშვნელოვანია პოლიტიკური თუ დიპლომატიური დავალების მქონე პირთა წერილები.

წყაროთმცოდნეობაში მიღებული და დასავლეთში აპრობირებული მეთოდიკის საფუძველზე ავტორებმა შეძლეს დოკუმენტური მასალების კრიტიკული შესწავლა და მეცნიერულად მათი გააზრება. ასევე აღნიშნული

მასალების და უცხოური სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფია ტრადიციულად სუსტად იცნობს, ფუნდამენტური ნაშრომის შექმნა.

მონოგრაფია, სადაც ასახულია ქართულ-ევროპული იდენტობის, კონფესიური ტოლერანტობის, ევროპული იდეის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები მოითხოვს, დროულად გამოცემას.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოც. პროფესორი ნ. ბარდაველიძე

## რეცენზია

**სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით გათვალისწინებულ გამოკვლევაზე „საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII საუკუნის 70-იანი წლები XVIII საუკუნე)“.**

**მკვლევრები:** ზურაბ გამეზარდაშვილი (ხელმძღვანელი), მურმან პაპაშვილი, ელდარი მამისთვალიშვილი, ხათუნა ჩაფიჩაძე.

წინამდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა პირველწყაროების საფუძველზე (ვატიკანის, საფრანგეთისა და ავსტრიის არქივებიდან) მიზნად ისახავს შეისწავლოს და გაანალიზოს, თუ როგორ წარმოსდგა საქართველო დასახელებული პერიოდის ევროპულ სამყაროში. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ნაშრომი მაღალ მეცნიერულ დონეზეა გადაწყვეტილი და უდავოდ გამოიწვევს ინტერესს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე დასავლურ სამყაროში. ამასთან კავშირში აქვე ვიტყვით, რომ ნაშრომი უდავოდ წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც ძირითადად მომზადებულია დღემდე უცნობი და ნაკლებად ცნობილი, ასევე გამოქვეყნებული საარქივო მასალების საფუძველზე. ამ წყაროების ყოველმხრივმა ანალიზმა ავტორებს მისცა საშუალება, რომ შემოეთავაზებინათ ძალზე საინტერესო მეცნიერული დასკვნები და განზოგადებები, რომელიც, ეჭვი არ გვეპარება, ნამდვილად გამოიწვევს დიდ ინტერესს, არა მარტო სპეციალისტების წრეში, არამედ წიგნიერ და ფართო მკითხველ საზოგადოებაში.

ნაშრომში, დასახული მიზნებიდან გამომდინარე, საფუძვლიანად არის წარმოდგენილი საქართველოში რომის სამოციქულო ტახტის რელიგიური პოლიტიკა და შესაბამისად კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში დიპლომატიურ, კულტურულ და რელიგიურ სარბიელზე. ავტორთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ორიგინალურად განსაზღვრეს რომის კურიასთან საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობის ხასიათი და ქართული ევროპული პოლიტიკის განზომილებები. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ფაქტოლოგიური მასალის საფუძველზე, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ავტორებმა სრულიად ორიგინალურად გამოავლინეს ქართული სახელმწიფოების

ევროპული დიპლომატიის ევოლუცია  რომთან და დასავლეთის სახელმწიფოებთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების კონტექსტში.

ნაშრომში მიღწეულ მრავალ სიახლეებიდან  განსაკუთრებით მინდა გამოვყოთ შემდეგი: ავტორებმა კათოლიკე მისიონერების საგანმანათლებლო საქმიანობის კონტექსტში, პირველწყაროებზე დაყრდნობით ძალიან საინტერესოდ და უეჭველი მეცნიერული არგუმენტების მოხმობით გამოკვეთეს ქართულ-ევროპული იდენტობის მახასიათებლები, რომელიც აუცილებლად დააინტერესებს ყველას, ვინც მას გაეცნობა. ეს ფაქტი დღევანდელი საქართველოს ევროპული ოჯახისაკენ სწრაფვის ჭრილში მეტად ნიშანდობლივია; ასევე ორიგინალურადაა წარმოდგენილი მეფე ერეკლე II-ის კათოლიკობისადმი ფარული სიმპათიის დაკავშირება და მისი ახსნა რუსეთზე ზემოქმედების კონტექსტში; ამასთან კავშირში ასევე მეტად საინტერესო ახსნა აქვს სარწმუნოებრივი ლავირების მიზნებს; და კიდევ, მეტად ნიშანდობლივია გამოყენებული წყაროების შეფასება საქართველოს ევროპულ სივრცეში წარმოდგენის თვალსაზრისით.

ერთი სიტყვით, წარმოდგენილი ნაშრომი მრავალ სიახლეს შეიცავს, როგორც ახალი ფაქტების მოხმობით, ასევე განმაზოგადებელი ხასიათის დასკვნებით. ყოველივე ეს განაპირობა დღემდე უცნობი მასალების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანამ. ეს ამ ნაშრომის ყველაზე ძლიერი მხარეა და, ცხადია, იგი ქართული ისტორიოგრაფიის ძვირფასი შენაძენია.

ნაშრომის არქიტექტონიკა სრულად მისაღებია. იგი  სავსებით პასუხობს გამოკვლევის შინაარსს. მისი ენა გამართულია და იკითხება  საინტერესოდ. მოკლედ, ჩვენს წინაშეა დასრულებული მეცნიერული გამოკლვლევა, რომელსაც ინტერესით მიიღებს ფართო მკითხველი საზოგადოება. იგი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, თუ რა საშუალებებითა და ხერხებით ცდილობდა ევროპის გზაზე გასვლას მაშინდელი საქართველო, რაც ხიდის როლს შეასრულებს დღევანდელობასთან. ყოველივე აქედან გამომდინარე, მისი გამოცემა საშურ საქმედ მიმაჩნია.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი გიორგი სოსიაშვილი

## შინაარსი


შესავალი ..... 13

საქართველო ვატიკანის მისიონერული მოღვაწეობის
კონტექსტში (1661-1700 წწ.) ..... 28

თბილისის კათოლიკეთა ეკლესია-ქრისტიანული ფასეულობის
განუყრელი ნაწილი..... 68

კათოლიკობის გზა საქართველოში 1698-1709 წწ ..... 77

ქაიხოსრო უფლისწული და კათოლიკე მამები ..... 86

ვახტანგVI და კათოლიკობის გზა საქართველოში ..... 90

პირველი დიპლომატიური კავშირი – მარი პეტის სტუმრობა
საქართველოში..... 93

საფრანგეთთან კავშირების გაფართოება საქართველოში კათოლიკე
პატრების საქმიანობის კონტექსტში..... 108

სულხან-საბა ორბელიანი კათოლიკობის გზაზე..... 112

ჟან რიშარის როლი სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის
მომზადების საქმეში..... 124

ლუი XIV-ის – „მეფე მზის“ სიმბოლოს გაგება ვახტანგ VI-ის
დიპლომატიაში..... 133

სულხან-საბა ორბელიანი დასავლეთის გზაზე – პირველი
დიპლომატიური ნაბიჯები ..... 138

ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის რელიგიური ასპექტი
ვერსალსა და რომში ..... 146

დიპლომატიური რაუნდი ვერსალში: 1714 წლის იანვარი-ივნისი ..... 154

დიპლომატიური რაუნდი რომში: 1714 წლის ივლისი-აგვისტო..... 157

სულხან-საბა ორბელიანის კონსტანტინოპოლში დაყოვნების მიზეზები..... 163

იძულებითი კომპრომისი და რუსული ავანტიურა..... 173

კიდევ ერთი დიპლომატიური მცდელობა დასავლეთში ..... 177

კათოლიკობა საქართველოში – 1723-1753 წწ ..... 191

ანტონ კათალიკოსი და კათოლიკობა..... 202

თეიმურაზ II და ერეკლე II – კათოლიკეებთან ურთიერთობის
ორმაგი სტანდარტი ..... 216

ერეკლე II-ის ევროპული პოლიტიკა საქართველოში კათოლიკე
მისიონერების მოღვაწეობის კონტექსტში ..... 227

ბიბლიოგრაფია..... 245

თანდართული სურათები ..... 253

ავტორთა შესახებ ..... 261

# შესავალი

XVII საუკუნის 60-იან წლებიდან წმინდა ტახტსა და საქართველოს ტრადიციულ ორმხრივ რელიგიურ-დიპლომატიურ ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსიურობით XVIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ურთიერთობის ამ პროცესის მახასიათებლებიდან პირველ რიგში გამოიყოფოდა მისიონერთა მიერ საქართველოს პოლიტიკურ და რელიგიურ მესვეურთა კათოლიკობაზე მოქცევის მცდელობა, რომლის პრაქტიკული შედეგი ეკლესიათა უნია უნდა ყოფილიყო. ყველა შემთხვევაში ამაზე ფოკუსირდებოდა საქართველოსთან წმინდა ტახტის ურთიერთობები. ცხადია, ამ პროცესში საქართველოს კათოლიკურ თემს თავისი როლი ენიჭებოდა და, ბუნებრივია, მისიონერთა უპირველესი საზრუნავი საქართველოს მოსახლეობას შორის კათოლიკობის გავრცელება იყო. ამ ამოცანების განხორციელებას საქართველოში, წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ 1661 წლის 13 ივნისის დეკრეტის[1] გადაწყვეტილებით, 1663 წელს კაპუცინთა ორდენის მისიონერები შეუდგნენ.

თავდაპირველად კაპუცინი პატრები თბილისში დამკვიდრდნენ. მათ ერთგვარად გააგრძელეს 1638 წელს[2] აღმოსავლეთ საქართველოში თეატინელი მამების მიერ შეწყვეტილი საქმიანობა. ახლა, თეატინელების მსგავსად, კაპუცინი მისიონერებიც დასავლეთთან დამაკავშირებელ თავისებურ დიპლომატიურ არხად იქცნენ, რადგან მათ, წმინდა ტახტის გარდა, შეეძლოთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიური კონტაქტების დამყარებაში დახმარებოდნენ ქართველ პოლიტიკოსებს. ამას ევროპას მოწყვეტილი ქართული სამეფო-სამთავროებისათვის, რომელთაც დასავლეთის სახელმწიფოების წრესთან უკიდურესად შეზღუდული კავშირები ჰქონდათ, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან პოლიტიკური იზოლაციის გარღვევა და მოწინავე დასავლური იდეების დანერგვა ქვეყანაში მხოლოდ მისიონერთა შემწეობით იყო შესაძლებელი. ქართული სახელმწიფოების ეს ტრადიციული ევროპული საგარეო პოლიტიკა, რომელიც საეკლესიო-რელიგიურ ასპექტს ეფუძნებოდა, მისიონერთა საქმიანობის მკვებავ წყაროს წარმოადგენდა. ამ კონტექსტში მათი საქმიანობის პერსპექტივები ძირითადად ქართველ საერო და სასულიერო მესვეურთა კეთილგანწყობასა და მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული.

1663 წელს თბილისში დაფუძნებული კაპუცინთა მისიონი წარმატებით შეუდგა საქმიანობას. ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) კაპუ-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 222-223; **Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, Rome, 1910, p. 562; **მისივე,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 617; **მისივე,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 617; **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ. 201.

[2] 1638 წელს თეატინელმა მისიონერებმა დატოვეს გორის მისიონი, ხოლო 1634 წლიდან ოდიშის სამთავროში დამკვიდრებულმა თეატინელებმა აქ საქმიანობა 1701 წლამდე გააგრძელეს. **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 198.

ცინები განამტკიცა იმ უფლებებში, რაც თავის დროზე თეატინელებს თეიმურაზ I-მა უბოძა [1]. უფრო მეტიც, მხოლოდ სახელდებით მუსლიმმა ვახტანგ V-მ, წმინდა ტახტის მოლოდინის მიუხედავად, პატრებს თბილისის ცენტრში უყიდა[2] ორი სახლი და საჩუქრად გადასცა: ერთი საცხოვრებლად, ხოლო მეორე წირვა-ლოცვის დასაყენებლად[3]. ვახტანგ მეფე პატრების მიმართ უდიდეს პატივისცემასა და ყურადღებას იჩენდა [4]. და საერთოდ, „გამაჰმადიანებულმა ვახტანგ V-მ უფრო მეტი პატივი მიაგო ქრისტიანულ სარწმუნოებას, ვიდრე ქრისტიანად ყოფნის დროს“[5]. საკუთრივ დედოფალი მარიამ დადიანი, როგორც თეატინელებს, ისე კაპუცინებსაც გარდაცვალებამდე (1682 წ.) მფარველობასა და თანაგრძნობას არ აკლებდა[6].

მიუხედავად დიდი მატერიალური სიდუხჭირისა[7], დასახელებული ფაქტორების ხელშეწყობით, კაპუცინების პირველი ნაბიჯები შთამბეჭდავი იყო. მისიონის პრეფექტის სერაფინო მელიკოკელის[8] ენერგიული მოქმედებით მისიონერებმა, პირველ რიგში, დაიწყეს ქართული ენის შესწავლა, უმალვე დაიმსახურეს ხალხის პატივისცემა და ერთ წელში (1664 წ.) დაიწყეს ეკლესიის აგება[9]. მას შემდეგ, რაც თბილისში 1669 წლისათვის თითქმის ათამდე მისიონერმა მოიყარა თავი, ამავე წელსვე გადაწყდა კაპუცინთა მისიონის დაარსება გორში. აქ პატრების წარმატებებს წინ აღუდგნენ სომხური ეკლესიის სასულიერო პირები

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 229; **Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 563; **მისივე,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 619.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 223.

[3] **Tamarati Michel.** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 563; **მისივე,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 619.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 239.

[5] **Peyssonel Ch.,** Essai sur les Troubles Actuels de Perse et de Georgie, p. 21.

[6] **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 202.

[7] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 224-226; **Tamarati Michel.** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 564; **მისივე,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 620.

[8] კაპუცინთა თბილისის მისიონის პირველი პრეფექტი სერაფინო მელიკოკელი საქართველოში 1650 წლიდან მოღვაწეობდა (Archivio di Propaganda Fide, Scritture Fiferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 163). შესაძლებელია, სერაფინო თავიდან სამეგრელოს მისიონში საქმიანობდა თეატინელებთან და როცა თბილისში კაპუცინებმა დაიდეს ბინა, აქ გადმოვიდა სამოღვაწეოდ და პრეფექტიც გახდა. ეს უკანასკნელი 1675 წელს გარდაიცვალა თბილისში (Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 107).

[9] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 227-229; **Tamarati Michel,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 565; **მისივე,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 620.

და დაიწყეს მათი დევნა[1], რადგან მამა-მისიონერების ქადაგებების შედეგად ქართველები „ტოვებდნენ სომხურ ეკლესიას და კათოლიკურ ეკლესიაში მოდიოდნენ“[2]. შეუძლებელია ეს ფაქტი ისე გავიგოთ, რომ ქართველებმა კათოლიკურ დოგმებსა და თეოლოგიურ პრინციპებში საკმაოდ გარკვევისა და გაცნობიერების შედეგად მიატოვეს სომხური ეკლესია[3]. თუმცა უდავოა, რომ ლათინური რიტის მიღებით აღნიშნული კატეგორიის ქართველები ეროვნულობის შენარჩუნებას ადვილად შეძლებდნენ. ამიტომ ისინი სომეხთა მხრიდან დევნის დროს მისიონერ-მამებს უჭერდნენ მხარს, რადგან შესაძლებელია, მათში მართლმადიდებელთა მფარველებიც დაენახათ.

გორის გარდა, 1669 ან 1670 წელს კაპუცინთა მისიონი დაარსდა ქუთაისშიც, თუმცა აქ მათი საქმიანობა ხანმოკლე აღმოჩნდა. დასავლეთ საქართველოში განუწყვეტელი სისხლისმღვრელი შინაფეოდალური ომები მათ საქმიანობას გასაქანს არ აძლევდა და, ბუნებრივია, პატრების საქმიანობაც შეწყდა. ირკვევა ისიც, რომ მამა-კაპუცინებს 1677 წელს გურიის სამთავროშიც იწვევდნენ. გურიის მთავარი გიორგი III გურიელი (1664-1684) „გარდა ეკლესიებისა და ქონებისა, რომელიც მამა-თეატინელებს ეკუთვნოდათ...“ მათ პირდებოდა „... სოფელს 20 სახლითა და ქვეშევრდომებით“[4].

მამა-კაპუცინებისათვის საქართველოში მოღვაწეობის ათი წელი წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდას ფიდეს“ წინაშე ერთგვარი საანგარიშო პერიოდი იყო. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ამ ხნის მანძილზე მათ მუხლჩაუკეცავად იღვაწეს და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწიეს. კათოლიკე მამებს თბილისში ჰქონდათ ორი სახლი და ერთი ეკლესია, რომლის აშენება 1670 წლისათვის დაასრულეს; ასევე ჰქონდათ გორში ერთი სახლი და ეკლესია; ისწავლეს ქართული ენა, შვიდი საიდუმლოს შესახებ შეადგინეს წიგნი ქართულ ენაზე, თბილისის კათოლიკურ ეკლესიასთან გახსნეს სკოლა და ბავშვებს წვრთნიდნენ სარწმუნოებასა და მორჩილებაში. აქ ასწავლიდნენ ლათინურ და იტალიურ ენებს, ეწეოდნენ უანგარო სამკურნალო საქმიანობას და საკმაო მრევლიც გაიჩინეს[5].

საგანმანათლებლო საქმიანობისადმი მისიონერთა ტრადიციული დამოკიდებულება დიდ ნდობასა და ავტორიტეტს უხვეჭდა მათ ხალხში და უმთავრესად ახალგაზრდებში. პატრების სკოლაში იტალიურ ენაზე კათოლიკური

---

[1] **მამისთვალიშვილი ე.,** გორის ისტორია I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2018, გვ. 424-425.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 235; **მამისთვალიშვილი ე.,** გორის ისტორია I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2018, გვ. 395; **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 207.

[3] **პაპაშვილი მ.,** საქართველო რომის ურთიერთობა, გვ. 207.

[4] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 115.

[5] **თამარაშვილი მ,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 224-225.

დოგმატების ხატოვნად და ყველაზე მისაწვდომ ფორმაში სწავლება მტკიცედ აკავშირებდა „მოსწავლეებს კათოლიკურ სარწმუნოებასთან“[1].

მიუხედავად ამისა, კაპუცინთა საქმიანობის ფართო გაშლას ხელს უშლიდა მატერიალური ხელმოკლეობა. მათი ღარიბული ცხოვრების წესის გამოყენება საქართველოში არაეფექტიანი გამოდგა, რადგან „აკიდებული ტომრებით კარდაკარ სიარული საჭირო სურსათის სათხოვნელად“[2] მისიონერთა ავტორიტეტს ხალხში, კერძოდ, მათი სულიერი გავლენის ქვეშ მყოფ ქართველებში, შეარყევდა. ეს ადვილი შესაძლებელი იყო, რადგან ქართველებს შეიძლება ვერ აღექვათ კაპუცინთა ორდენის მათხოვრული წესის ფილოსოფია[3], ვინაიდან ისინი „...ძალიან მგრძნობიარენი იყვნენ გარეგნობისადმი...“[4]. ჩანს, ამ წარმოდგენა-განწყობას ემყარებოდა ქართველთა ის აზრი, რომ რომის „პაპი საქართველოში არ გამოაგზავნიდა არც მენახირეს და არც მწყემსებს“[5]. ეს აღქმა, ალბათ, საქართველოში თეატინელებზე დამკვიდრებული მაღალი ავტორიტეტიდან მომდინარეობდა.

კაპუცინები, როგორც წყაროებიდან ჩანს, განიცდიდნენ უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს, ხოლო წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე“ მათ კუთვნილ ჯამაგირს ქრონიკულად წლობით აგვიანებდა. ამიტომ პატრების რჩენის ერთგვარ წყაროს, მათ მიერ საექიმო საქმიანობიდან გასამრჯელოს აღება წარმოადგენდა. გამონაკლისი ღარიბები იყვნენ[6]. ამან მისიონს დიდი ზიანი მიაყენა, რადგან გასამრჯელოზე მკურნალობამ მოსახლეობის პატრებისადმი დამოკიდებულებაზე ცუდად იმოქმედა[7], რაც წმ. პროპაგანდის უკმაყოფილებას იწვევდა[8]. ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი კი, ლევან II დადიანის მსგავსად, მისიონერებს მატერიალურ დახმარებას ვერ უწევდა.

ასეთ ვითარებაში, როგორც წინამდებარე წყაროებიდან ირკვევა, წმინდა კონგრეგაციამ 1672 წლის მაისში გადაწყვიტა, რომ კაპუცინთა მისიონი საფრანგეთის მისიონის მისიონერებისათვის გადაეცა. მართალია, ამის შესახებ კონგრეგაციის ხსენებული დეკრეტის ნამდვილი მიზეზი ზუსტად არ ვიცით, მაგრამ უდავოა, რომ ეს დაკავშირებული იყო აღმოსავლეთთან საფრანგეთის

---

[1] **Tamarati Michel,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 562;

[2] Ibid., p. 225.

[3] Archvio di Propaganda Fide, Scritture Fiferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 442r.

[4] Ibid.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 225; პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 202-203.

[6] „ღარიბებს მადლობაზე მკურნალობდნენ“ (Archvio di Propaganda Fide, Scritture Fiferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, ff. 108-109.)

[7] Archvio di Propaganda Fide, Scritture Fiferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 167.

[8] **მამისთვალშვილი ე.,** მკურნალობა – მოხერხებული საშუალება კათოლიკური პროპაგანდისათვის // გორის სახელმწიფო სასწავლო უნუნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული №18, 2020, 101-113.

სავაჭრო პოლიტიკის განვითარებასთან. სწორედ ამ დეკრეტამდე ერთი წლით ადრე (1671 წ.), ირანის შაჰმა სულეიმან I (1666-1694) ფრანგ ვაჭრებსა და მისიონერებს სპარსეთის იმპერიაში თავისუფალი გადაადგილებების უფლებები მიანიჭა[1]. როგორც ვატიკანის დღემდე უცნობი საარქივო მასალებიდან ჩანს, სწორედ ამ დროიდან საქართველოს ტერიტორია, როგორც სატრანზიტო გზა, საფრანგეთის ირანთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში გარკვეულ ადგილს იჭერს. უდავოა თვალსაზრისი, რომ მაშინ, როცა ევროპიდან აფრიკის შემოვლით ირანსა და ინდოეთისაკენ მიმავალი მთავარი საზღვაო გზა ინგლისსა და ჰოლანდიას ჰქონდა დაკავებული, „სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას საფრანგეთი ცდილობდა ჩრდილოეთიდან, საქართველოს ტერიტორიის მეშვეობით"[2]. შესაძლებელია, ლუი XIV-ის ამ მიზანს განეპირობებინა საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსების გადაწყვეტილება, რომლის განხორციელების შემთხვევაში ფრანგი მისიონერები, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობის განვითარების მისიონერები იქნებოდნენ. ამასთან კავშირში არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის მოგზაურობა საქართველოში 1672-1673 წლებში, რომელმაც ევროპისათვის, კერძოდ საფრანგეთისათვის, საქართველოს გაცნობის საქმეში დიდი როლი შეასრულა[3].

წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს" აღიშნულ გადაწყვეტილებას საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტები დაუპირისპირა თბილისში კაპუცინთა მისიონის პრეფექტმა სერაფინო მელიკოკელმა. საქართველოში თითქმის 27 წლის მანძილზე მსახურების გამოცდილებით, ცხადია, მან შესძლო კარგად შეესწავლა ქართული სამეფო-სამთავროების დამოკიდებულება რომის პაპის კარიდან გამოგზავნილი სამოციქულო მისიონერებისადმი და დაასკვნა, რომ ქართველები ფრანგების სავაჭრო-მისიონერულ საქმიანობას მოწონებით არ შეხვდებოდნენ[4]. ამასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მთელ შუა საუკუნეებში, ადრეულ ახალ დროსა და ახალ დროში ქართველები, სამხედრო-საბრძოლო საქმიანობასთან შედარებით, მეტად ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ სავაჭრო პოლიტიკისადმი. ასეთ შემთხვევაში მთელს აღმოსავლეთში ყველაზე ნაყოფიერი თბილისისა და გორის მისიონი დაინგრეოდა[5]. როგორც ჩანს, პროპაგანდა ფიდეს პირველ გადაწყვეტილებას შედეგი არ

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 76-77.

[2] **გაბაშვილი ვ.,** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი // წიგნში: სულხან საბა ორბელიანი 1658-1958. საიუბილეო კრებული. თბ., 1959, გვ. 63.

[3] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **მზია მგალობლიშვილმა,** თბ., 1975.

[4] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 167-168.

[5] Ibid.

მოჰყვა და მან 1677 წელს, ხელმეორედ, გამოსცა დეკრეტი საქართველოს მისიონის ფრანგებისათვის გადაცემის შესახებ [1]. ამ საკითხთან მიმართებაში მისიონის პრეფექტის სერაფინო მელიკოკელის ხაზი ახლა გააგრძელა ჯუზეპე ანტონიო რომანომ და ძალზე მოხერხებული სვლებით, ფრანგ მისიონერებს საქართველოში ჩამოსვლა გადააფიქრებინა [2].

ქართლის სამეფოში კაპუცინი მამა-მისიონერების საქმიანობა ახალი ძალებით გიორგი XI-ის მეფობის პირველ პერიოდში (1676-1688) გაიშალა. ამ უკანასკნელმა აქამდე ქართლის ყველა ყოფილ მეფეს გადააჭარბა მისიონერებისადმი მფარველობასა და საქართველოში კათოლიკეთა ეკლესიის პატივისცემაში. ამან უშუალო ასახვა ჰპოვა თბილისისა და გორის მისიონის წინსვლაში. კაპუცინთა საგანმანათლებლო საქმიანობამაც კონკრეტული შედეგი გამოიღო. 1679 წლისათვის თბილისის კაპუცინთა მისიონის პრეფექტმა ჯუზეპე ბოგონიანოელმა[3] პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად სამი ყმაწვილი გაგზავნა[4]. 1681 წლისათვის კი ამავე კოლეჯში შესვლის ნებართვა „...ითხოვა ერთმა გამოჩენილი ქართველი ოჯახის შვილმა, რომელიც ნეაპოლში სამოქალაქო მეცნიერებას სწავლობდა“[5]. მეტი ალბათობით ამ ახალგაზრდამ კაპუცინთა თბილისის სკოლა დაამთავრა და აქ ისწავლა იტალიური ენა[6]. ამასთან კავშირში მეტად საგულისხმოა 1686 წელს ლათინური რიტის, 22 წლის, ქართველი კათოლიკე ანჯელოს [7], ანუ მიხეილის, რომელმაც განათლება თბილისის კათოლიკეთა სკოლაში მიიღო და კარგად იცოდა იტალიური ენა, წმ. კონგრეგაციის კოლეჯში სასწავლებლად გაგზავნა [8]. 1687 წელს კიდევ ერთი ქართველი ყმაწვილი, სოლომონ თუმანიშვილი, გააგზავნა მეფე გიორგი XI-მ პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად [9].

---

[1] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 167-168.

[2] Ibid.

[3] კაპუცინი მისიონერი ჯუზეპე ბოგონიანოელი (Giuseppe da Bogognano) თბილისის მისიონში მოღვაწეობდა 1663 წლიდან. **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 223. ჩანს, სერაფინო და მელიკოკელის გარდაცვალების შემდეგ (1675 წ.), მან დაიკავა პრეფექტის ადგილი.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 253-254; **Tamarati M.,**, L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 571; **მისივე,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 629.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 254.

[6] **პაპაშვილი მ.,** დასახ. ნაშრ., გვ. 216.

[7] "…questo giovane per nome Angelo latore della presente è giorgiano cattolico di rito latino…" („წერილის მიმტანი ეს ახალგაზრდა, სახელად ანჯელო, არის ლათინური რიტის ქართველი კათოლიკე...“). **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 261, 685.

[8] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 261.

[9] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 268; **პაპაშვილი მ.,** დასახ. ნაშრ., გვ. 222.

საარქივო მასალები ეჭვმიუტანლად ადასტურებენ, რომ მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა (სომეხ სასულიერი პირთა მიერ 1679 წელს კაპუცინთა ხელახალი დევნის დაწყებისა[1], თბილისსა და გორში 1684 წელს ჟამიანობის[2] გაჩენისა, პროპაგანდისაგან მუდმივად გასამრჯელოს დიდი ხნით დაგვიანებისა, პატრების უკმარისობისა) მამა-მისიონერების წარმატებებმა ქართველ საერო და სასულერო პირთა ხელშეწყობით მიზანმიმართული ხასიათი მიიღო. ირკვევა, რომ კაპუცინმა მამებმა ხელში აიღეს ინიციატივა და მათი ზეგავლენით, უდიდესი მონდომებით, 1687 წლისათვის კათოლიკობისკენ მიდრკა ქართლის მეფე გიორგი XI, დიდი სულხან-საბა ორბელიანი და ქართლის ჯარების მხედართმთავარი თამაზ ყაფლანიშვილი, ღვიძლი ბიძა გიორგი XI-ისა.[3] ქართლის მეფის, უმაღლესი ხელისუფლის, გიორგი XI-ის კათოლიკობაზე მიდრეკა იმდენად უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორად მიიჩნია ჯუსტინო ლივორნოელმა, რომ მას მეორე წმინდა გიორგი უწოდა [4]. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ კათოლიკე მამა-მისიონერებმა, უწინარეს ყოვლისა, მისიონის პრეფექტებმა, ქართლის სამეფოს მაღალ წრეებში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს და მათგან დიდი ნდობა დაიმსახურეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალ საერო წრეებთან ახლო და ნდობით აღსავსე ურთიერთობის ჩამოყალიბებაში არანაკლები როლი პატრების მიერ ქართული ენის ცოდნამ და მათმა ადგილზე ნატურალიზაციამ შეასრულა.

სრულ იზოლაციაში მოქცეული ქართლის სამეფოსათვის, დასავლეთთან ურთიერთობის ძიებისას, მისიონერებთან ასეთი კავშირი სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამ მიზნით ქართველი საერო და სასულიერო მესვეურები კათოლიკე მამების საგანმანათლებლო საქნიანობას არა მარტო რელიგიური მოტივებით ხსნიდნენ, არამედ მას დასავლეთის კულტურულ მიღწევებთან ზიარების საშუალებად მიიჩნევდნენ. ამ ჭრილში ძალიან საინტერესოდ გამოიკვეთა ქართულ-ევროპული იდენტობის ერთი მახასიათებელი. კათოლიკე მამის ბერნარდო მარია ნეაპოლელის დახასიათებით, ქართველები აღმოსავლეთის სხვა ხალხს შორის ყველაზე ცივილიზებული, ყველაზე უფრო განათლებული, ყველაზე უფრო კეთილშობილური, ყველაზე უფრო გამჭრიახი გონებისანი არიან[5].

1689-1692 წლებში კაპუცინთა მისიონი თბილისში აღმავლობასა და აყვავებას განიცდიდა. ეს, ერთი მხრივ, გულმოდგინე და ღვთისმოსავი კაპუცინი მამების დაუღალავი შრომისა და, მეორე მხრივ, კათოლიკობისადმი მიდრეკილი ქართლის მეფის გიორგი XI-ის მხარდაჭერის შედეგი იყო. ამ უკანასკნელ ფაქტორთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი,

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 252.

[2] იქვე, გვ. 259-260.

[3] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 393r.

[4] Ibid.

[5] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 224r.

რომ გიორგი XI-მ თბილისის კათოლიკეთა ეკლესიის აღდგენა-განახლებაში დიდი მატერიალური დახმარება და სულიერი მხარდაჭერა აღმოუჩინა მამა-მისიონერებს. ეს პროლათინი მეფე ქართველ სწავლულებთან ერთად ხშირად სტუმრობდა კათოლიკეთა ეკლესიას და მას საერთო ქრისტიანული ფასეულობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა[1]. თავის მხრივ, თბილისის კათოლიკეთა ეკლესია წარმოადგენდა იმ ქმედით ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობით ვითარდებოდა უპირატესად დასავლეთთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები.

XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თბილისში, გორსა და ქუთაისში დამკვიდრებულმა კაპუცინმა მისიონერებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს საკუთარი ეკლესიების დაარსებით, სკოლების გახსნითა და კათოლიკე მრევლის გამრავლებით[2]. ცხადია, ამას ისინი ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა (ქართლის მეფე ვახტანგ V, გიორგი XI, ვახტანგ VI) ხელშეწყობითა და ქართველ საეკლესიო იერარქთა კათოლიკური კონფესიისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებით აღწევდნენ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ კათოლიკე მამების წინსვლა წინააღმდეგობებს არ აწყდებოდა, უმთავრესად, სომხური გრიგორიანელი და ბერძენი მართლმადიდებელი საეკლესიო იერარქების მხრიდან. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა თბილისსა და გორში (1679-1698 წწ.)[3] სომხური სასულიერო პირების წაქეზებითა და ხელმძღვანელობით კაპუცინი მისიონერებისა და სომხური კათოლიკე მრევლის წინააღმდეგ ხუთჯერ მოწყობილი დევნა, რომელთაგან ყველაზე სასტიკი 1698[4] წელს მოხდა. კათოლიკე მისიონერები არაერთხელ აღნიშნავდნენ საქართველოში ბერძენი მღვდლების მიერ შევიწროებაზე.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში კათოლიკობამ და კაპუცინი მამების საქმიანობამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია. ამას ერთგვარი საფუძველი შეუქმნა კათოლიკე მისიონერებზე ვახტანგ VI-ის (ჯანიშინი-1703-1714; მეფე-1716-1724) საგანგებო მფარველობამ[5], რაც მისი ევროპული საგარეო პოლიტიკის, კერძოდ, საფრანგეთზე ორიენტაციის ძირითად საყრდენს წარმო-

---

[1] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I,ff. 431v.

[2] დაწვრ. იხ: **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 235-297; **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 199-236.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 253-296; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს **მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა** და **ზურაბ გამეზარდაშვილმა.** თბ., 2018, გვ. 63-69; 125-127.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 296.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 339; **პაპაშვილი მ.,** საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, გვ. 219.

ადგენდა. ამ პოლიტიკის მიზნისა და საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის ინიციატივების ჩარჩოებში (საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის მთავრობის მიერ საქართველოზე გავლით სპარსეთამდე სავაჭრო გზის გაკვალვის მცდელობა[1], ოსმალეთთან (1673 წ.)[2] და ირანთან (1708 წ.)[3] დადებული კაპიტულაციების ხელშეკრულების საფუძველზე აღმოსავლეთში კათოლიკეების დაცვაზე საფრანგეთის პრიგილეგიები, პარიზის უცხოეთის მისიონის უსაფრთხოების გარანტიები) დიდმა სულხან-საბა ორბელიანმა, ქართველი ერის მამად წოდებულმა[4] (1658-1725), ვახტანგ VI-სთან ირანში გამგზავრებამდე (1712 წ.) შემუშავებული გეგმის მიხედვით [5], დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ გრიგოლი II-სთან (1696-1742) ერთად, 1713 წელს შეიმუშავა რელიგიური პროექტი, რომელმაც კონკრეტული სახე ვერსალში, 1714 წლის იანვარ-ივნისში, გამართული დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად მიიღო. მისი არსი მდგომარეობდა შემდეგში: დასავლეთ საქართველოში საქმიანობას დაიწყებდნენ საფრანგეთის უცხოეთის მისიონის ფრანგი იეზუიტი და სენ-ლაზარის კონგრეგაციის მისიონერები[6]. ისინი დაკავებული იქნებოდნენ საგანმანათლებლო მოღვაწეობით [7] და მისიონერული საქმიანობის საფარველქვეშ დაარსებდნენ საქართველოში კოლეჯს [8] და 12 წლის მანძილზე [9] მნიშვნელოვან გარდატეხას შეიტანდნენ ქართველი ახალგაზრდების პროფესიული განათლების საქმეში. მათ მიერ აღზრდილი ახალგაზრდები საფრანგეთში დაეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს, ხელოსნობას და ვაჭრობას[10]. ამის შედეგად საქართველოში „ნამდვილი ქრისტიანობის“, ანუ კათოლიკობის ფართოდ გავრცე-

---

[1] ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 48-50; 54-55.

[2] **Boogert M. H.,** The capitulations and the Ottoman legal system. Bril-Leiden-Boston, 2005, pp. 101-105.

[3] **Herbette M.,** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907, pp. 333-336; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I. შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო **ილია ტაბაღუამ,** თბილისი, 1975, გვ. 71-72.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 128.

[5] **პაპაშვილი მ.,** როდის იყო განზრახული სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა და-სავლეთში // ჟურნ.: „საისტორიო ვერტიკალები“. დამატება, 2009, №18, გვ. 70-78.

[6] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 164; **ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან** (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972, გვ. 288.

[7] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 164; Michel M., L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 603.

[8] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 219.

[9] Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Turquie", t. 39, f. 140v.

[10] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 222-225.

ლება დაიწყებოდა [1] და ამის მეშვეობით ქვეყანას საფრანგეთში განსწავლული პროფესიონალი ინჟინრები, ოფიცრები და დისციპლინირებული ჯარისკაცები ეყოლებოდა [2]. ამგვარი რელიგიური საფარველი ოსმალებისა და სპარსელების თვალში დამალავდა საფრანგეთ-საქართველოს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობის მომავალ სამოკავშირეო მიზნებს [3], რადგან საფრანგეთის მისიონის აბატები, პირველ რიგში, ვერსალის ინტერესების გამტარებელი ვაჭრობის მისიონერები იქნებოდნენ [4]. ამასთანავე ისინი დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, ჩერქეზეთში შეუდგებოდნენ კათოლიკობის გავრცელებას[5] და მოამზადებდნენ ნიადაგს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანებისათვის[6], რომელსაც მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ირანი და ოსმალეთი[7]. ამ პროექტის რეალიზაციაზე გადიოდა საფრანგეთის მეშვეობით საქართველოს დაკავშირება დასავლურ პროგრესთან და ვერსალთან მომავალი ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების განვითარება.

მართალია, სულხან-საბას პროექტმა და დიპლომატიურმა მისიამ დასავლეთში (1713- 1714 წწ.) მარცხი განიცადა, მაგრამ მან დასახა კურსი, ერთმანეთის შესახებ უფრო გააფართოვა ცოდნა, საკუთარი თვალით დანახული და აღქმული დასავლეთი მახლობელად და იდენტურად იქნა მიჩნეული (ამას მკაფიოდ ადასტურებს ს.ს. ორბელიანის სამოგზაურო ჩანაწერთა წიგნი „მოგზაურობა ევროპაში“) და საქართველოში კათოლიკე მისიონერებისადმი საგანგებო მფარველობა უწინდებურად გაგრძელდა, რაც დასავლეთის ფასეულობების პრიორიტეტს ადასტურებდა. უფრო მეტიც; მიუხედავად ს.ს. ორბელიანის წინააღმდეგ რეგრესული ძალების (და არა მართლმადიდებლური კონფესიის

---

[1] Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Turquie”, t. 39, f. 138v; **ლუი კოკე,** საქართველოს ელჩობა საფრანგეთში დიდ საუკუნეში. 1713-1714 წწ. სულხან-საბა ორბელიანი ლუი XIV-სთან // „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“. ტ. III, თბილისი, 1996, გვ. 91.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 225; Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Turquie”, t. 39, f. 140v.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 220; Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Turquie”, t. 39, f. 140v.

[4] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol I, f. 167.

[5] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 236.

[6] **Bonnet Jean**. Projet de Mission en Mingrelie ou Gèorgie. Annale de la Congregation de la Mission. Paris, 1902, p. 592; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 222.

[7] Archivio della SCPF, SOCG, “Georgia”, ff. 432-433v; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 321-322.

დამცველების) მკაცრი რეაქციისა[1], მან საქართველოში უფრო ენერგიულად და გულმოდგინედ დაიწყო „...ქადაგება და კათოლიკობის გავრცელება...“[2].

უდავოა, სულხან-საბა ორბელიანის ავტორიტეტმა ბევრად განაპირობა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ქართველ კათოლიკეთა გამრავლება და საერთოდ კათოლიკობის წინსვლა. უმთავრესად ეს გამოიხატა შემდეგში: ***პირველი***, პროპაგანდის კოლეჯში განათლება მიიღო სამმა ქართველმა. ამათგან დავით პაპაშვილმა, რომელიც სულხან-საბას რეკომენდაციით მოხვდა 1725 წელს აღნიშნულ კოლეჯში[3], 1732 წლის 22 მარტს საჯარო სხდომაზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიაში. მან მრავალი საღვთისმეტყველო ნაშრომი თარგმნა იტალიურიდან ქართულ ენაზე[4]. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დავითმა შექმნა მცირე მოცულობის ნაშრომი ფიზიკის დარგში[5]. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას არ შეუწყვეტია მთარგმნელობითი საქმიანობა. ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში მან თარგმნა თომა კემპფელის – „ქრისტეს მიბაძვა“[6]. დავითი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მშობლიურ გორს. მისი თაოსნობით აქ გაიხსნა სკოლა, სადაც ქართველ კათოლიკეთა შვილების გარდა, სწავლობდნენ ქართველ მართლმადიდებელთა შვილებიც. სკოლაში ერთ დროს მამა დავითიც ასწავლიდა[7]. დავითის მერე ქართველ კათოლიკეთა რიგებში გამორჩეული ადგილი უკავია ივანე ჯიგანაშვილს, რომელიც 1729 წლის 18 ივნისს შევიდა პროპაგანდის კოლეჯში, სადაც მან თავი გამოიჩინა ნიჭით, სერიოზულობითა და სიმტკიცით[8]. 1741 წლის 29 აპრილს მან მიიღო დოქტორის ხარისხი ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში[9]; ***მეორე,*** 1748 წლისათვის პროპაგანდის კოლეჯში უკვე სამი ადგილი დაეთმო ქართველებს[10]. ასე რომ, მისიონერების სკოლები საქართველოში ქმნიდნენ ახალ

---

[1] **მამისთვალიშვილი ე.,** გორის ისტორია, I, გვ. 395.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 334; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2, ff. 39r.

[3]**ლომსაძე შ.,** გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 57.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 343; 346.

[5] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 143.

[6] **ჭიჭინაძე ზ.,** უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა. ტფილისი, 1898, გვ. 75.

[7] იქვე.

[8] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 50.

[9] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 346.

[10] იქვე, გვ. 362; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 143.

საგანმანათლებლო ტრადიციებს, ხოლო პროპაგანდის კოლეჯში განათლებამიღებული ქართველები კი ადგილობრივ ეკლესიებს ევროპაზე ცოდნით ამდიდრებდნენ და ინტელექტუალურ ინსტრუმენტებს აძლევდნენ. ეს გაცილებით მეტს ნიშნავდა მაშინდელი საქართველოსათვის, ვიდრე დოქტრინალური დავები; ***მესამე,*** სულხან-საბა ორბელიანის რელიგიური პოლიტიკის ნაყოფი იყო ორბელიანთა გვარის წარჩინებულ პირთა კათოლიკობაზე მოქცევა, როგორიცაა ივანე, ვახტანგ და ქრისტეფორე ორბელიანები. ეს უკანასკნელი იყო წმ. ბასილის ორდენის მოწესე[1] და 1737 წელს დაიკავა თბილისის ეპარქიის ეპისკოპოსის ტახტი, რომლის მრევლს შეადგენდნენ ქართული ტიპიკონის მქონე კათოლიკეები[2]. საგულისხმოა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1705-1741) „...მას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა...“[3]; ***მეოთხე,*** 1734-1740 წლებში ახალციხეში აშენდა ყოვლაწმიდის სახელობის კათოლიკური ეკლესია, სადაც მღვდელმსახურება ლათინურ-ქართულად მიმდინარეობდა[4]; 1749 წელს თბილისში აშენდა კათოლიკეთა ახალი ეკლესია[5]; ***მეხუთე,*** 1750 წლისათვის მომწიფდა აზრი თბილისში ლათინთა საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ[6]; ***მეექვსე,*** კათოლიკობისკენ მიდრკნენ იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720-1752), დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონ ერისთავი (1742-1769) სამ ბერთან ერთად, როსტომ რაჭის ერისთავი (1749-1769) და მისი შვილი გიორგი[7]. საგულისხმოა, რომ როსტომ ერისთავმა კაპუცინებს ონში გადასცა სახლი და 1751 წელს საკუთარი ხარჯებით აუშენა ეკლესია [8]; ***მეშვიდე,*** 1755 წლამდე კათოლიკობა მიიღო „60 ქართველმა თავადმა“, 10 მაღალი რანგის სასულიერო პირმა[9] და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დიდი ბაგრატიონი (1744-1756; 1763-1788) ბასილიანელი გახდა[10].

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, ff. 341r.

[2] **პაპაშვილი მ.,** ეპისკოპოს ქრისტეფორე ორბელიანის რომში სტუმრობის მიზანი. ჟურნ.: „საისტორიო ვერტიკალები“, 2005, №8, გვ. 90.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 352-353; **Tamarashvil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, **pp. 618-619.**

[4] **ლომსაძე შ.,** გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, გვ. 53.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 363.

[6] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, ff. 444r; 445r; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 363.

[7] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 7v-9; №85, ფურც. 41 v.

[8] იქვე.

[9] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 372.

[10] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 50.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში კათოლიკობის მიმართ ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურთა დამოკიდებულება, წინარე პერიოდთან შედარებით, მეტად შეიცვალა. მართალია, ეს უშუალოდ უკავშირდებოდა კახეთის ბაგრატიონების (თეიმურაზ II, ერეკლე II) ტრადიციულ რუსულ პოლიტიკას[1], მაგრამ ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1744-1762) ანტიკათოლიკური განწყობა და მოქმედება ძირითადად დაეფუძნა ორ ფაქტორს: ***პირველი***, სომხური გრიგორიანელი სასულიერო იერარქების ანტიკათოლიკურ დამოკიდებულებასა და მათ მიერ მისიონერთა პერმანენტულ დევნას საქართველოში; ***მეორე,*** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის კათოლიკობისკენ მიდრეკას. ამ მიზნით თეიმურაზ II-მ 1754 წელს ფაქტობრივად აკრძალა კათოლიკობაზე გადასვლა[2] და მომდევნო წელს (1755) გორსა და თბილისში კაპუცინ მამებს ჩამოართვეს ეკლესია და ქონება[3].

როგორც წყაროებიდან ირკვევა, მეფე თეიმურაზ II-ს ანტიკათოლიკური განწყობა ბოლომდე არ გაჰყოლია. ჩანს, ის მისი შვილის, კახეთის მეფის, ერეკლე II-ის რჩევით, მიხვდა, რომ პროგრესის მოწინააღმდეგე ძალების სურვილს ასრულებდა და ამიტომ კათოლიკეებისათვის ისევ შემწეობა აღმოუჩენია. ამის საბუთია ის, რომ მან ერეკლესთან ერთად 1760 წლის 13 იანვარს წერილი მისწერა ახალციხის კაპუცინთა ვიცე-პრეფექტს ლეონარდო დი ვიტერბოს, რათა ერთი მღვდელი გამოეგზავნა თბილისში უმწყემსოდ დარჩენილი მრევლის მოსავლელად[4]. თეიმურაზ II-ისაგან განაწყენებულმა ლეონარდომ თითქოსდა იწინასწარმეტყველა პეტერბურგის გზაზე შემდგარი მეფის იქ შესაძლო აღსასრული[5] და ეს იმ საშუალებად მიიჩნია, რომ ერეკლე II-სთან ადვილად გამონახავდა საერთო ენას. ამის საფუძველი მას ჰქონდა, რადგან თეიმურაზისაგან განსხვავებით, ერეკლე, ლეონარდოსავე სიტყვებით, კათოლიკობისადმი „...მიდრეკილია და ჩვენთვის კარგი უნდაო“[6].

1762 წელს ქართლ-კახეთის ტახტზე დამკვიდრებული მეფე ერეკლე II (1762-1798) კათოლიკე მისიონერების მიმართ ფარულ სიმპათიას ავლენდა, რაც

---

[1] **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. III, თბილისი, 2019, გვ. 514.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 369; მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. III, გვ. 525; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 489r.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 375; **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. III, გვ. 525; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 499r.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 377.

[5] იქვე.

[6] იქვე.

ნაკარნახევი იყო, როგორც პრაგმატული პოლიტიკური მოსაზრებით, ასევე საკუთარ ქვეყანაში უცხოელის მიმართ გამორჩეულად შემწყნარებლური ხასიათის ქართული ბუნებით. ამის ნათელი მაგალითია ის, თუ როგორ აპროტესტებდნენ 1756 და 1775 წელს ქართველი მაღალი იერარქიის მართლმადიდებელი სასულიერო და წარჩინებული საერო პირები კათოლიკე მისიონერების დევნას[1].

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული დღემდე უცნობი საარქივო მასალები ერეკლე II-ის ევროპული საგარეო პოლიტიკის მიზნის შესახებ ადასტურებენ: ***პირველი,*** ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის ფარული სიმპათიები კათოლიკობისადმი უკავშირდებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ (ოსმალეთი) დასავლეთის სუვერენებთან ფინანსური ან სამხედო დახმარების მიღების მცდელობას, რომელიც ამასთანავე მიზნად ისახავდა გეორგიევსკის გზაზე რუსეთზე ზემოქმედების მოხდენას; ***მეორე,*** ერეკლე II-ის დასავლური პოლიტიკის კონკრეტული ამოცანები 80-იანი წლებიდან დაისახა. აქამდე კი ერეკლე მეფე ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდა მისიონერების მიმართ, რაც ხშირად მისი მიზნის საწინააღმდეგო მოქმედების გამოვლინებითაც ხასიათდებოდა[2]. ეს კი გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებით, რაც ხანდახან სარწმუნოებრივ საკითხებში (კათოლიკეებისათვის ეკლესიების არ დაბრუნება, სომხური სასულიერო იერარქების ანტიკათოლიკური მოქმედებებისათვის მხარის დაჭერა, რუსეთის ეკლესიის კათოლიკობისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გათვალისწინება) დიპლომატიურად ლავირებას მოითხოვდა; ***მესამე,*** საქართველოს გარემომცველი სამყაროს ფონზე კაპუცინი მამების მიერ აღქმული საქართველო მახლობელია, იდენტურია, რომელიც „...იტანჯება უფლის სიყვარულის გამო“[3]; ***მეოთხე,*** ქართველები ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლობას და მასზე ხელის აღებას არ აპირებდნენ, მაგრამ თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანი იყო მისიონერების საქართველოში ყოფნა, რადგან ისინი იყვნენ ესოდენ საჭირო ექიმები, ევროპული სიახლის მატარებლები ჩვენს ქვეყანაში, დასავლეთთან დამაკავშირებელი ხიდი და ეს სიახლოვე ქმნიდა საერთო იდენტობას; ***მეხუთე,*** კაპუცინი მამების (დომენიკო ტრიესტელის, მაურო ვერონელის) დასავლეთში დესპანებად გამოყენება თავისებურ სახეს აძლევდა ქართული დიპლომატიის სტილს და, ალბათ, გათვლილი

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 490v; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, ff. 331v.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3., ff. 331v. დოკუმენტი №19; Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 11r.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, ff. 205r.

იყო იმაზე, რომ დასავლეთის მონარქები (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი, საფრანგეთის მეფე, სარდინიის მეფე, ნეაპოლის მეფე, ვენეციის რესპუბლიკის მმართველი) უფრო ნდობით მოკიდებოდნენ კათოლიკე მამების მეშვეობით ერეკლე მეფის სათხოვარს; საკუთრივ დესპანებად გაგზავნილ მამებს თავიანთ ინტერესებში (ერეკლე II-ის მიერ ეკლესიების დაბრუნება, მის მიერ კათოლიკე მამების უსაფრთხო საქმიანობისათვის მფარველობა) არ დაეკლოთ მცდელობა ხსენებული მონარქები მაქსიმალურად დაეინტერესებინათ ერეკლე მეფის სათხოვრის მიმართ; ამით ერეკლე II-ს სურდა დასავლეთის პოლიტიკურ არენაზე საქართველოსადმი ინტერესი წამოეწია (დოკუმენტის ენაზე: „ევროპის სამეფო კართან დაახლოება“)[1] და ასეთ შემთხვევაში რუსეთის თვალში საქართველოს როლი მეტად გაეზარდა. შესაძლებელია, ერეკლე მეფე ითვალისწინებდა იმ ფაქტორსაც, რომ რუსეთის წინსვლა კავკასიაში, როგორც ეს გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ უმალვე გაცხადდა, დასავლეთის სახელმწიფოებში იწვევდა ღელვასა და შიშს[2].

ნაშრომში მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა. ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი გამოკვლევის შესაბამის ადგილებში სათანადო მეცნიერული ანალიზითა და კრიტიკით არიან წარმოდგენილი და ამიტომ გამეორებისაგან თავი შევიკავეთ. ნაშრომს ასევე არ ახლავს დასკვნა, რადგან შესავალმა ნაწილმა მთლიანად მოითხოვა კვლევისას მიღებული შედეგების გადმოცემა. თავის მხრივ კი თითოეული თავი შესაბამისი დასკვნებითაა წარმოდგენილი. აქაც გამეორების თავიდან აცილების მიზანმა განაპირობა შემოთავაზებული არქიტექტონიკა. აქვე მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ითქვას, რომ წინამდებარე გამოკვლევაში გამოყენებული წყაროები რელიეფურად წარმოგვიდგენენ, ერთი მხრივ, საქართველოს როლსა და ადგილს პაპობის აღმოსავლურ რელიგიურ პოლიტიკაში და, მეორე მხრივ, წარმოაჩენენ საქართველოს ევროპულ სივრცეში.

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 119v.

[2] **Venturi Franco**. Settecento riformatore. 4,2. La caduta dell'Antico Regime (1776-1789). T. 2. Il patriotisme republicano e gli imperi dell'Est, Torino, 1994, pp. 787-796.

## საქართველო ვატიკანის მისიონერული მოღვაწეობის კონტექსტში (1661-1700 წწ.)

1638 წლის მარტში თეატინელთა მისიონმა აღმოსავლეთ საქართველოში არსებობა შეწყვიტა. ბუნებრივია, ასე გარკვეულად წარმატებული მისიონის მარცხი წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის მეტად გულსატკენი იქნებოდა. ჩვენ არ ვიცით, ცდილობდა თუ არა ვატიკანი ისევ გამოეცოცხლებინა თეატინელთა საქმიანობა აღმოსავლეთ საქართველოში. ვფიქრობთ, პროპაგანდის ხელმძღვანელობამ ვერ დააინტერესა გულგატეხილი თეატინელები, რომ ქართლის სამეფოში ისევ განეახლებინათ მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, ვატიკანის მესვეურებმა 1661 წელს გადაწყვიტეს, რომ მათთვის შეუზღუდავი მოღვაწეობის უფლება მიეცა აღმოსავლეთ საქართველოში[1].

1661 წლის 13 ივნისის დეკრეტით პროპაგანდამ საქართველოში გამოგზავნა კაპუცინთა პირველი ჯგუფი რვა პატრის შემადგენლობით[2]. მისიონის პრეფექტად 7 წლით დაინიშნა ბონავენტურა სორენტოელი[3]. თურქეთის ტერიტორიაზე ამდენი მისიონერის გავლა ძალზე საშიში იყო. ამიტომ ის ორ ჯგუფად გაიყო. პირველ ჯგუფში შევიდა ხუთი კაცი: პატრი ბონავენტურა სორონტელი, პატრი კიოპრიანე კავალი, პატრი ბერნანდო, პატრი კარლო მარია სენტ-მარენი და ძმა ანდრია. ამათგან ოთხი – პრეფექტ ბონავენტრუას მეთაურობით სამეგრელოში ჩავიდა. საერთოდ ამ ჯგუფის მგზავრობა უიღბლო აღმოჩნდა: თავდაპირველად ერთი პატრი კაპრიანე კავალი სმირნაში (იზმირი) გარდაიცვალა. ახლა სამეგრელოდან ქართლისაკენ ოთხი მისიონერი მიემგზავრებოდა. პრეფექტ ბონავენტურას მდინარეზე გადასვლისას ცხენი წაექცა, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. ამით შეშინებული სხვა მისიონერები უკან გაბრუნდნენ სამეგრელოში. ერთი მათგანი ბერნანდო, კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, ხოლო ორი პატრი – კარლო მარია სენტ-მარენი და ძმა ანდრია ტევრიკოელი სამეგრელოში დარჩნენ თეატინელებთან და მათთან ერთად შეუდგნენ სამისიონერო საქმიანობას[4]. თბილისში კაპუცინთა მეორე ჯგუფის ჩამოსვლის შემდეგ, ჩანს, კარლო მარია სენტ-მარენი აქ გადმოვიდა.

---

[1] Tamaratil M., L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 562; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 24.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 223.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 223; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 562; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 618.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 223; **Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, 563; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 618-619.

კაპუცინ მისიონერთა სამი კაცისაგან შემდგარი მეორე ჯგუფი ირანის გავლით 1663 წლის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა. როგორც ირკვევა, რომში დიდი იმედი არ ჰქონდათ, რომ ქართლის მაჰმადიანი მეფე პატრებს მფარველობას აღმოუჩენდა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ მათ ვახტანგ V-სთან (1658-1675) რომის პაპის სარეკომენდაციო წერილი არ მოჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ვატიკანის მოლოდინი ბევრად მოულოდნელი აღმოჩნდა.

თბილისში ჩამოსული მისიონერები[1] პირველად მიიღო საქართველოს პატრიარქმა დომენტი II-მ (1660-1676). მათზე მზრუნველობა ითავა ვახტანგ V-ის პირადმა ექიმმა-ქიოსელმა ბერძენმა კათოლიკე-ეპიფანემ, რომელსაც რომში ბერძნული უნიატური კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული. ამ უკანასკნელმა მისიონერები წარუდგინა მეფეს, რომელმაც ისინი დიდი პატივით მიიღო და თბილისის ცენტრში ორი სახლი აჩუქა: ერთი საცხოვრებლად, ხოლო მეორე წირვა-ლოცვების დასაყენებლად.

ქართლის სამეფოში ჩამოსული მისიონერების პრეფექტად დაინიშნა პატრი სერაფინო მელიკოკა. ისინი თავისუფლად შეუდგნენ ღვთისმსახურებას. მათ მიერ პირველად დაყენებულ წირვას უამრავი ხალხი, მათ შორის მეფე ვახტანგ V და დედოფალი დაესწრნენ. ეს უკანასკნელი როგორც თეატინელებს, ისე კაპუცინებსაც მფარველობასა და თანაგრძნობას არ აკლებდა. ამან, ცხადია, მისიონერებს მომავალი წარმატების დიდი იმედები დაუსახა.

პატრები ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ ქართული ენის შესწავლას. ამაში მათ დიდი დახმარება გაუწია ანდრია ეპიფანემ. იგი ასწავლიდა მისიონერებს ქართულ ენას. მას განუზრახავს, შეედგინა წიგნი ქართულ ენაზე შვიდი საიდუმლოების შესახებ, რათა პატრებს ქართველ მღვდელებთან სჯა-ბაასის დროს თავისუფლად შესძლებოდათ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა[2]. მაგრამ კათოლიკე მამებისათვის ყველაზე უმთავრესი იყო მატერიალური მდგომარეობის მოგვარება.

საქმე ისაა, რომ მისიონერთა მოღვაწეობის გაშლას ხელს უშლიდა ეკონომიკური სიდუხჭირე. კაპუცინთა ღარიბული ცხოვრების წესის გამოყენება საქართველოში არაეფექტური აღმოჩნდა. „აკიდებული ტომრებით კარდაკარ სიარული საჭირო სურსათის სათხოვნელად“ მისიონერთა ავტორიტეტს ქართველებში დიდად დაამცირებდა. ეს ადვილად შესაძლებელი იყო, რადგან ქართველ ხალხს შეიძლება ვერ აღექვა კაპუცინთა მათხოვრული წესის ფილოსოფია. ჩანს, ამ განწყობილებას ემყარებოდა ქართველთა ის აზრი, რომ „პაპი საქართველოში

[1] ესენი უნდა ყოფილიყვნენ პატრები ჯოზეფო ბოგონიანოელი, წ. ონოფრიო და ძმა ანჯელო ვიტერბოელი. ამათთან ერთად უნდა ჩამოსულიყო პატრი სერაფინო და მელიკოკელი.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 225.

არ გამოგზავნიდა არც მენახირეს და არც მწყემსებს“[1]. ეს წარმოდგენა ჩვენი აზრით, მომდინარეობდა თეატინელებზე საქართველოში შექმნილი მაღალი ავტოტიტეტიდან. ლევან II დადიანის მსგავსად კი ვახტანგ V – მისიონერებს მატერიალურად არ ეხმარებოდა, ხოლო ვატიკანი მათ ფულს არ უგზავნიდა. ამის გამო ანდრია ეპიფანემ 1663 წლის 7 ივლისს სთხოვა პროპაგანდას, რომ პატრეებისათვის გამოეგზავნათ წლიური სარჩო[2]. ფინანსური მხარდაჭერის გარეშე მისიონერთა შრომა ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

ამრიგად, 1663 წელს თბილისში დაარსდა კაპუცინთა მისიონი, რომელიც წარმატებით შეუდგა მუშაობას. ვახტანგ V დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მისიონერებს და საერთოდ, კათოლიკურ სარწმუნოებას, ხოლო მარიამ დედოფალი განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევდა პატრებს. მოკლედ, ვახტანგ V-მ კათოლიკე მისიონერები განამტკიცა იმ უფლებებში, რაც თეატინელებს პირველად თეიმურაზ I-მა მისცა და საერთოდ, „გამაჰმადიანებულმა ვახტანგ V-მ უფრო მეტი პატივი სცა ქრისტიანულ სარწმუნოებას, ვიდრე ქრისტიანად ყოფნისას“[3].

ქართლის გარდა, მისიონერებს ფართო მოღვაწეობის გაშლის პერსპექტივები გადაეშალათ კახეთისა და იმერეთის სამეფოებშიც. ცნობილია, რომ 1664 წელს ვახტანგ V-ის შვილმა არჩილმა კახეთის სამეფო ტახტი დაიკავა. იგი მისიონერების მგზნებარე მფარველი იყო და კაპუცინებს დაპირდა „მისიონის დაფუძნებას კახეთში“[4]. ნიშანდობლივია ამ მხრივ ერთი ცნობა. პატრი დიონიკო კარლის მიხედვით, არჩილ მეფეს იტალიაში წასვლა სდომებია, მაგრამ ამ განზრახვაზე „ხარჯებისა და გზის სიშორეს აუღებინებია ხელი“[5]. შეიძლება, მისი ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმდროინდელი იტალიის კულტურისა და მეცნიერების გაცნობის წყურვილით.

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, იქ 1663 წელს ვახტანგ V-სთან შინაპატიმრობაში მყოფი უსინათლო ბაგრატ IV გამეფდა. ჩანს, ამან მისიონერებს იმერეთში საქმიანობის გაშლის იმედები ჩაუსახა. ყოველივე ამისთავის კი საჭირო იყო რომიდან ახალი მოძღვრების გამოგზავნა და მათთვის ფინანსური დამხარების აღმოჩენა.

---

[1] **დიონიჯო კარლი.** თბილისის აღწერა გვ. 172; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №21, ფურც. 6. დიონიჯო კარლის ცნობები თბილისის შესახებ მოთავსებულია მის შრომაში „Le Quattro Parti del Mondo” XIX თავი (იქვე, ფურც. 12).

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 225.

[3] **Peyssonel Ch.,** Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, Paris, 1754, p. 21.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 226.

[5] **დიონიჯო კარლი.** თბილისის აღწერა, იტალიური ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ბეჟან გიორგაძემ** // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951, გვ. 176.

როგორც ირკვევა, პროპაგანდამ დროულად არ მიაქცია ყურადღება კაპუცინთა თხოვნას. ამიტომ პატრებმა 1664 წლის ბოლოს გადაწყვიტეს, რომში გაეგზავნათ მამა კარლო მარია სენტ-მარენი. როცა ვახტანგ მეფემ ეს გაიგო, თავისთან მიიწვია კარლო მარია და გადასცა პაპ ალექსანდრე VII-სადმი (1655-1667) მისი ქართულად დაწერილი წერილი, რომელიც ლათინურად იქვე თარგმნა ანდრია ეპიფანემ. ამანაც თავის მხრივ მას პროპაგანდის კარდინალებთან გაატანა წერილი, რომელშიც ადრესატებს სთხოვდა, რომ მისიონერებისათვის აღმოეჩინათ აუცილებელი ფინანსური დახმარება. ის წმ. ტახტს ასევე სთხოვდა, რომ ვახტანგ V-ისათვის პატივისცემის ნიშნად გამოეგზავნათ წვრილი საჩუქრები და მათ შორის რამდენიმე ჯაჭვის პერანგი[1]. ასე რომ, რომში მიმავალ კარლო მარიას მიჰქონდა ვახტანგ V-ის წერილი რომის პაპთან, პრეფექტ სერაფინო მელიკოკელისა და ანდრია ეპოფანეს წერილები პროპაგანდის კარდინალებთან.

ჩვენ აქ მხოლოდ ყურადღებას გავამახვილებთ რომის პაპისადმი ვახტანგ V-ის წერილზე. ის პაპს ასე მიმართავდა: „დიდსა, მარადის დიდებულსა, ღვთისაგან ეგრეთ პატივმოსილსა და გაძლიერებულს, რომლია უძლიერესი არავინ არის, მტერთაგან უძლეველს, ღვთის მოწყალებით უდიდესს ყოველთა პატრიარქთა ზედა, წმინდა პეტრეს მოსაყდრეს, მთელ ქვეყანაზედ სიმართლის დამცველს, მთელი ქვეყნის ქრისტიანების მთავარს, ყოველთა მაღალ ღისებათა მქონეთა უფრო ღირსეულს, სამგზის გვირგვინით დაგვირგვინებულს, შემკობილს რომის დიდ პაპათა სახელით, მამათ მთავართა მამას და ბატონს, დამოუკიდებელს და უმაღლეს ბატონს ალექსანდრე მეშვიდეს“[2].

როგორც ვხედავთ, ვახტანგ V პაპს ადიდებდა მისი ღირსებისა და საქრისტიანო ქვეყნებისადმი თავდადებული ღვაწლის გამო. არ გაგვაჩნია რა პირდაპირი ცნობები, თუ რა მიზანს ისახავდა ვატიკანთან ურთიერთობაში ვახტანგ V, აღნიშნული წერილიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ შემდეგ ვარაუდს: ვახტანგ V მომხრე იყო მისიონერების საშუალებით რომთან კავშირის შენარჩუნებისა. პაპთან მისი კავშირი ვფიქრობთ, რომისაგან ტექნიკური მიღწევების საქართველოში გადმოტანის მოტივით იყო ნაკარნახევი. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ფაქტი: 1664 წლის 20 მაისის წერილში კაპუცინთა პრეფექტი პროპაგანდას ვახტანგ V-ის დავალებით სთხოვდა, რომ გამოეგზავნათ ერთი მისიონერი, რომელსაც ეცოდინებოდა „ინჟინრობა და მექანიკა, რათა მას მდინარე მტკვარზე ისეთი წისქვილი გაეკეთებინა, როგორც რომში იყო“[3].

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის**,** გვ. 228; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 564-566.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 228-229.

[3] იქვე, გვ. 226-227.

რომში ჩასულმა კარლო მარია დე სენტ-მარენმა პროპაგანდას წარუდგინა მოხსენება საქართველოში მისიონის მოღვაწეობის შესახებ[1]. ამასთანავე პროპაგანდას სთხოვდა რვა ახალ მისიონერს და გარკვეულ თანხას (25 პაისტრი ყოველწლიურად თითოეული მისიონერისათვის; 100 პიასტრი თითოეულის სამგზავროდ) მათ გასამრჯელოდ და სხვადასხვა ხარჯებისათვის[2]. ამ მოთხოვნას საფუძვლად ედო ის, რომ „...ქართველები კათოლიკური სარმწუნოების მიმართ დიდ მიდრეკილებას იჩენდნენ...“[3]. ამჯერად პროპაგანდამ კარლო მარია დე სენტ-მარინის თხოვნა, ჩანს, მთლიანად ვერ დააკმაყოფილა. მას ვერც საჭირო სახსრები და ვერც რვა მისიონერი მისცეს[4].

1665 წლის ბოლოსათვის კარლო მარია დე სენტ-მარენი საქართველოში გამოემგზავრა. მას ახლა მოჰყავდა სამი პატრი და ერთი მორჩილი ძმა[5] და მოჰქონდა პროპაგანდის 1665 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული წერილები ვახტანგ V-სთან, ეპიფანე ექიმთან და კაპუცინთა მისიონის პრეფექტ სტეფანო მელიკოკელთან[6]. პროპაგანდა ვახტანგ მეფეს აქებდა და მადლობას უხდიდა მისიონერებისადმი გაწეული სათნოსაყოფელი მზრუნველობის გამო[7]. რაც შეეხება პრეფექტისადმი წერილს, პროპაგანდა პატრ სერაფინოს სთხოვდა, ურბანოს კოლეჯში გაეგზავნა ორი ახალგაზრდა (არც 15 წელზე ნაკლების და არც 20 წელზე მეტის) კათოლიკეთა ოჯახიდან ადგილობრივი მოძღვრების მომზადების მიზნით[8].

ამრიგად, კარლო მარიას რომში ჩასვლის მთავარი მიზანი განუხორციელებელი დარჩა. პროპაგანდამ პატრებს დაპირებული თანხა (70 სკუდი ყოველწლიურად მისიონისათვის)[9] ვერ გამოუგზავნა. სიდუხჭირეში ჩავარდნილმა მისიონერებმა გადაწყვიტეს, ფულადი დახმარების სათხოვნელად ისევ გაეგზავნათ რომში კარლო მარია.

1667 წლის დასაწყისში კარლო მარია სამეგრელოს გავლით უკვე რომში მეორედ მიემგზავრებოდა. მან პროპაგანდას წარუდგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიც საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი კაპუცინთა მისიონის მდგომა-

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 3.

[2] **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 621; **Tamarati Michel.** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 565.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 13.

[4] იქვე, ფურც. 17.

[5] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 9.

[6] იქვე, ფურც. 1-7.

[7] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 231-232; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 4.

[8] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 13; №86, ფურც. 5.

[9] იქვე, №88, ფურც. 9.

რეობა საქართველოში. ეს მოხსენება შეიცავს რა მთელ რიგ საინტერესო მომენტებს, მოკლედ ასეთ სურათს იძლევა: თბილისში 1667 წლის ბოლოსათვის იყო ქართველ კათოლიკეთა რვა ოჯახი, მაგრამ პატრებთან აღსარებას ამბობდა უამრავი მამაკაცი და ქალი, მეტადრე ბავშვები. კაპუცინებს თბილისში ჰქონდათ სკოლა, სადაც 25 მოსწავლე სწავლობდა[1]. კათოლიკები იყვნენ ქუთაისსა და გორშიც. აქ თავის ოჯახიანად გაკათოლეკებულა გორის „უმთავრესი ბატონი" (მამასახლისი?). გორში ჩასვლისას მისიონერები მის სახლში ჩერდებოდნენ. ამ დროისათვის აქ კათოლიკეთა ორი ეკლესია იყო. ერთი ავგუსტინელებისა და მეორე – თეატინელებისა, რომელიც ახლა მართლმადიდებელი ეკლესიის ხელში იყო. მეფე ვახტანგ V შაჰნავაზს გორის თეატინელთა ყოფილი პატარა ეკლესია კაპუცინებისათვის გადაუცია, მაგრამ მოძღვრების უკმარისობისა და სახსრების უქონლობის გამო ვერ შეუნარჩუნებიათ. ქუთაისშიც თეატინელების ეკლესია უმოქმედოდ იდგა. იმერეთის მეფე ბაგრატ IV (1660-1681) მისიონერებს დაპირდა, თუ ქუთაისში სამოღვაწეოდ გადავიდოდნენ, აღნიშნულ ეკლესიას პატრებს გადასცემდა[2].

რომში ამჯერად კარლო მარიას ვიზიტმა მიზანს მიაღწია. პროპაგანდამ კაპუცინთა მისსიონს „საკმაო შემწეობა" აღმოუჩინა და ეკლესიისა და თავშესაფრის ასაშენებლად 260 სკუდი გამოუყო[3]. გარდა ამისა, პროპაგანდამ პატრი კარლო მარია დანიშნა ქართლში კაპუცინთა პრეფექტად[4] და 1669 წელს საქართველოში შვიდი კაპუცინი პატრი გამოგზავნეს[5]. ასე რომ, ახლა მრავალმა კაპუცინმა მისიონერმა მოიყარა თბილისში თავი. ეს კი საშუალებას იძლეოდა, რომ საქართველოს სხვა მხარეებშიც, კერძოდ, გორსა და ქუთაისში დაეფუძნებინათ მისიონი. ეს საკითხი უმალვე გადაწყდა. თბილისში ჩამოსვლის მესამე დღეს, სამი მისიონერი-ჯუსტინო ლივორნოელი, პატრი ფრანჩესკო პიემონტელი და ძმა ბართლომეო სანჯულიანოელი თბილისიდან გორში გაგზავნეს მისიონის დასაარსებლად.

ამრიგად, 1669 წელს დაარსდა გორში კაპუცინთა მისიონი. აქ პატრების წარმატება ეჭვს არ იწვევდა. საფიქრებელია, რომ მათ მფარველობასა და ხელშეწყობას არ აკლებდა ზემოხსენებული გორის „უმთავრესი ბატონი" ანუ მამასახლისი. პატრების წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ ხუთი თვის

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 231-232.

[2] იქვე, გვ. 231.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 21.

[4] წინანდელი პრეფექტი სერაფინო მელიკოკელი გადადგომას ითხოვდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო, კარლო მარიას არ ეწერა საქართველოში დაბრუნება (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 9.)

[5] ესენი იყვნენ: ანტონიო რომაელი, ფრანჩესკო მონტეკატინოელი, სტეფანე ამელიელი, რაფაელ პარმელი, ჯუსტინო ლივორნოელი, ფრანჩესკო პიემონტელი და ძმა ბართოლომეო სანჯულიანელი. **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 235.

განმავლობაში გორში 300-ზე მეტი ბავშვი მონათლეს[1]. ცხადია, ამან სომხური ეკლესიის მხრიდან მწვავე რეაქცია გამოიწვია, რასაც მოჰყვა მათი მხრიდან მისიონერების დევნა, მაგრამ ამან მისიის შემდგომ წარმატებებზე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა, რადგან ქართველებმა და ვახტანგ V-მ პარტებს დაუჭირეს მხარი[2]. ამასთან დაკავშირებით დგება კითხვა: რატომ უჭერდნენ მხარს ქართველები პატრებს? ჩვენი აზრით, კათოლიკე მამები სომეხ სასულიერო პირებთან ბჭობისას ქართველ მართლმადიდებელთა ინტერესებს იცადვნენ. სხვა მხრივ გაუგებარია, თუ რატომ ტოვებდნენ ამის შემდეგ ქართველები „სომხურ ეკლესიას და კათოლიკურ ეკლესიაში მიდიოდნენ"[3], ანუ კათოლიკობას იღებდნენ. შეუძლებელია, მოცემულ მომენტში ქართველთა მიერ სომხური ეკლესიის დატოვება და გაკათოლიკობაზე გადასვლა ავხსნათ ამ კატეგორიის ქართველთა მიერ კათოლიკობის თეოლოგიურ პრონციპებში ღრმა გათვითცნობიერების და გარკვევის საფუძველზე: მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველი ქრისტიანები მისიონერთა სახით ხედავდნენ მართლმადიდებელთა მფარველებს.

კაპუცინთა მისიონი დაარსდა ქუთაისშიც. ეს 1669 წლის ბოლოს ან 1670 წლის დასაწყისში მოხდა. არ ვიცით, იქ რამდენი პატრი გაიგზავნა თბილისიდან, მაგრამ ცხადია, ერთზე მეტი უნდა ყოფილიყო. აქ მათი მუშაობა უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან ისინი უფრო თავისუფალნი იყვნენ და მოწინააღმდეგეებიც არ ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, ქუთაისში კაპუცინთა მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. დასავლეთ საქართველოში განუწყვეტელი სისხლისმღვრელი შინაფეოდალური ომები მათ საქმიანობას გასაქანს არ აძლევდა.

იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ს დიდი სურვილი ჰქონდა ისევ დაებრუნებინა სამეფოში პატრები. ამ მიზნით მან თბილისში კაპუცინთა პრეფექტს სარეფინო მელიკოკელს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვა, რომ რომიდან იმერეთში გაეგზავნათ ორი განათლებული ექიმი წამლებითა და მოწერილობით. სამაგიეროდ ჰპირდებოდა, რომ მათ ყველა პირობას შეუქმნიდა სამოღვაწეოდ[4]. ამავე პრეფექტს, ბაგრატ მეფის მსგავსად, მიხიონერების გაგზავნას სთხოვდა იმერეთის გავლენიანი თავადი შოშიტა რაჭის ერისთავი[5].

1673 წელს საქართველოში კაპუცინი მისიონერების მოღვაწეობის ათი წელი მიიწურა. ეს იუბილე ერთგვარად საანგარიშო წელიც იყო. ამიტომ თბილისიდან პროპაგანდას პატრმა ბერნანდო ნეაპოლელმა ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, რომელშიც შეჯამებული იყო ათი წლის განმავლობაში კათო-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 236.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 60.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 60.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 238-242; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, pp. 569-572; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 625-628.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 244.

ლიკე მამების თავდაუზოგავი შრომის შედეგი[1]. იგი შემდეგ სურათს გვიხატავს: კათოლიკე მისიონერებმა საქართველოში თავიანთი განათლების, მედიცინაში განსწავლულობისა და ხალხის უანგარო მკურნალობის მეოხებით ქართველებში უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიხვეჭეს. ყველას აღტაცებას იწვევდა კათოლიკე მამების სულიერი და საერო სამსახურისადმი თავდადება. ამიტომ იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში მათ ღებულობდნენ არა როგორც მისიონერებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ მათი დამსახურებისა და განათლების მიხედვით.

აღნიშნული დამსახურება უდიდესი ნდობით მსჭვალავდა მისიონერებისადმი სამეფო კარს. მეფე ვახტანგ V და მარიამ დედოფალი კაპუცინთა უპირველეს მფარველებად ითვლებოდნენ. ამის შედეგი იყო ის, რომ მათ ორი სახლი ჰქონდათ თბილისში. 1670 წლისათვის პატრებს საქართველოს დედაქალაქში უკვე აეშენებინათ საკუთარი ეკლესია, ხოლო გორში თეატინელთა ყოფილ ეკლესიაში ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. თუ ვირწმუნებთ, ამ ათი წლის განმავლობაში პატრებმა ათი ათასზე მეტი ადამიანი მონათლეს. კათოლიკობას ღებულობდნენ მაღალი წრის წარმომადგენლებიც. ასეთი იყო მაგალითად დიდი ავტორიტეტის მქონე გორელი წარჩინებული არდაშელი, რომელიც ვახტანგ V-თან დაახლოებული პირი ყოფილა[2]. არდაშელის მამა ეპისკოპოსი იყო. წარჩინებულ პირთა მიერ კათოლიკობის მიღება დიდ წარმატებას უქადდა მისიონერებს, რადგან ისინი მისაბაძ მაგალითს აძლევდნენ ქვედა ფენებს. წინანდებურად მათ სკოლაში ბევრი მოსწავლე სწავლობდა. აქ ბავშვებს წრთვნიდნენ სარწმუნოებასა და მორჩილებაში. ასწავლიდნენ ლათინურ და იტალიურ ენებს. ზეპირად აზუთხვინებდნენ კარდინალ რობერტო ბელარმინის (15542-121) მიერ შედგენილ საქრისტიანო მოძღვრებას, რომელიც მ. თამარაშვილის მიხედვით, ქართულად თარგმნა ფრანჩესკო პიემონტელმა. ის წერს: „პროპაგანდა 14 მარტს 1672 წ. პიემონთელ პატრი ფრანჩისკეს სწერს, რომ **თავისი** (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.) ქართულად ნათარგმნი კატეხიზმო საჩქაროდ გაგზავნოს რომში დასაბეჭდად“[3].

ავტორი ამ ცნობას წყაროს მიუთითებლად გვაწვდის. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ რობერტო ბელარმინის მიერ შედგენილი საქრისტიანო მოძღვრება ცალ-ცალკე თარგმნეს პატრმა ფრანჩესკო პიემონტელმა და პატრმა ბერნანდო ნეაპოლელმა. ამ უკანასკნელის დამსახურებას აღნიშნულ საქმეში ცოტა ქვემოთ შევეხებით. აქ კი ვიტყვით: ჩვენ არა გვაქვს საშუალება შევამოწმოთ მ. თამარაშვილის ხსენებული ცნობის სისწორე. ამიტომ მისი გადაჭრით უარყოფა გვიძნელდება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მ. თამარაშვი-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 238-242.

[2] არდაშელი გორელი წარჩინებული პირი იყო. ის ენათესავებოდა ქართველ წარჩინებულთა ოჯახებს, „პირველ ერისთავებსა და თვით მეფესაც“. (**თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 241; **Tamarati Michel.** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 572).

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 242.

ლი ცდება. ამის არგუმენტად ჩვენ მხოლოდ ლოგიკური აზრი გაგვაჩნია: წყაროების მიხედვით უდავოა, რომ რობერტო ბელარმინის საქრისტიანო მოძღვრება იტალიურად ქართულ ენაზე თარგმნა ბერნანდო ნეაპოლელემა, რომელიც მამა ფრანჩესკო პიემონტელთან ერთად მოღვაწეობდა საქართველოში. ამიტომ გამორიცხულია, ორიოვეს ცალ-ცალკე ეთარმნა აღნიშნული კაატეხიზმო. ასევე შეუძლებელია, ის ორივე დაებეჭდა პროპაგანდას. რადგან წყაროები მხოლოდ ბერნარდო ნეაპოლელის მიერ თარგმნილი კატეხიზმოს დაბეჭდვის შესახებ უტყუარ ცნობებს გვაქვდიან, საფუძველი გვაქვს, ვუარყოთ მ. თამარაშვილის ზემოხსენებული აზრი.

ასე რომ, საგანმანათლებლო საქმიანობისადმი მისიონერთა ტრადიციული დამოკიდებულება დიდ ნდობასა და ავტორიტეტს უხვეჭდა მათ ხალხში და უმთავრესად ახალგაზრდებში. პატრებს სკოლაში იტალიურ ენაზე კათოლიკური დოგმატების ხატოვნად და ყველაზე მისაწვდომ ფორმაში სწავლება მტკიცედ აკავშირებდა „მოსწავლეებს კათოლიკურ სარწმუნოებასთან“[1].

ამრიგად, კაპუცინთა საგანმანათლებლო საქმიანობა, მათი სამისიონერო წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იყო.

ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში კათოლიკე მისიონერთა მიერ გაწეული დამსახურების შესახებ აქვე განზოგადებულად დავასკვნით: საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის გვირგვინი იყო მათი საგანმანათლებლო საქმიანობა. მოქმედებდნენ რა „პროპაგანდა ფიდეს“ მიზნებისა და მაღალი ჰუმანური პრინციპების მიხედვით, წმინდა ტახტის წარმომადგენლები ადგილებზე სკოლების გახსნითა და რომში ქართველი ახალგაზრდობის სასწავლებლად გაგზავნით უდიდეს სამსახურს უწევდნენ ამ საშულებებს მოკლებულ იმდროინდელ საქართველოს. მათ მიერ გახსნილ სკოლებში ქართველი ახალგაზრდები ეზიარებოდნენ ევროპის კულტურულ მიღწევებს. ეს პასუხობდა ქვეყნის მოწინავე ნაწილის მოთხოვნებს. ამიტომ იყო, რომ მისიონერთა სკოლებში სწავლობდნენ წარჩინებულ პირთა შვილები და არა მარტო ისინი. პროპაგანდის კოლეჯსა თუ იტალიის სხვა საერთო სასწავლებლებში მისიონერთა მიერ გაწრთვნილი ახალგაზრდები ეზიარებოდნენ საერო ევროპულ კულტურას, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს. ასეთი ახალგაზრდობა შემდეგში ნიადაგს მოუმზადებდა ქართველი ხალხის კულტურულ განვითარებასა და ქვეყნის გაძლიერებას. ამდენად, ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებით მისიონერები მიზნად ისახავდნენ არა მარტო ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადებას, არამედ ქვეყნის კულტურულ განვითარებასა და ეკონომიკური მოღონიერება-გაძლიერების საქმეში მტკიცე ნიადაგის მომზადებას.

ამრიგად, ვახტანგ V შაჰ-ნავაზის დროს კაპუცინების სამისიონერო მოღვაწეობა აღმავალი გზით მიმდინარეობდა. ამის საილუსტრაციოდ საკმარი-

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 241.

სია მოვიყვანოთ მამა ჯუზეპე ანტონიო რომანოს 1675 წლის 1 ოქტომბრის წერილიდან ერთი ადგილი, სადაც იგი წერს: „საქართველოს მისიონი მთელს აზიაში თვით ინდოეთამდე ყველაზე უხვ ნაყოფს იძლევა. ეს იმიტომ, რომ იგი ქრისტიანული ქვეყანაა, რომელიც გარემოცულია თურქ-ოსმანებითა და სპარსელებით (უფრო ამ უკანასკნელით, ვიდრე პირველით). ამ ქვეყნის ბევრ ადგილას ქრისტიანი მთავრები ხელმწიფობენ. ამიტომ აქ კულტის სრული თავისუფლებაა, შეიძლება თავისუფლად იქადაგო, ზარები რეკო, ეკლესიები ააგო“[1]. მამა ბერნანდო მარია ნეაპოლელი კი 1676 წლის 10 მარტის რელაციონეში ასე წარადგენდა საქართველოს: „აზიის ერთ ყველაზე მოშორებულ კუთხეში საქართველო განცალკევებულად დგას, რომელსაც შავი ზღვა ეკვრის; სამეგრელოდან მას გამოჰყოფს მდინარე ფასისი. [მისი] საზღვრები გადის მცირე და დიდ სომხეთთან დაბალ მთებს შორის; იგი ვიწრო ზოლით გადაჭიმულია კასპიის ზღვამდე. მასში ცხოვრობს მეომარი ხალხი, რომელთა დამორჩილება უძველესი დროიდან რომ არ ვთქვათ, ვერ შეძლო თავისი მრავალრიცხოვანი, შეუპოვარი და გაშმაგებული ჯარებით ვერც დიდმა თემურ ლენგმა და ვერც სხვა თურქებმა; მაგრამ ბოლოს და ბოლოს ახლანდელი სპასრსეთის მეფის წინაპრებმა დაიმორჩილეს ორი პროვინცია, თუმცა მათი ასეთი დაქვემდებარების შესახებ შეიძლება თქვა, რომ იგი უფრო თავისუფალია, ვიდრე დაპყრობილი სახელმწიფო“[2]. ამ კონტექსტში ბერნარდო მარია ნეაპოლელმა ერთ-ერთ უთარიღო წერილში პროპაგანდა ფიდეს თავისი აზრი საქართველოს მისიონის შესახებ ასე წარუდგენდა: „მისიონებს შორის, რომელიც წმინდა პროპაგანდის კონგრეგაციას აქვს აღმოსავლეთში, საქართველოს მისიონი არა მხოლოდ ყველაზე საუკეთესოდ ითვლება, არამედ, ჩემი აზრით, მისიონერების თავისუფლი საქმიანობის მიხედვით მას უნდა მიენიჭოს პირველი ადგილი. [ეს იმიტომ, რომ] აქ ნება დართულია ქრისტიანულ სამყაროში არსებული ყველა რელიგიის მსახურება; ასევე კონკრეტული შედეგებით, რომელიც [საქართველოში] ყოველწლიურად მიიღწევა და მომავალშიც წარმატებული იქნება, თუკი ამ მისიონს შესაბამის დახმარებას აღმოუჩენენ; დაბოლოს, ამას ყველაზე უფრო ხელს უწყობს, აღმოსავლეთის ყველა ხალხს შორის, აქაური ხალხის (ქართველი ხალხის – ავტ.) ცივილიზებული, ყველაზე უფრო განათლებული და ყველაზე უფრო კეთილშობილური ხასიათი, ასევე ყველაზე უფრო გამჭრიახი გონება და ამის ძალით

[1] Archivio di Propaganda fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, f. 264r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს **მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა** და **ზურაბ გამეზარდაშვილმა,** თბ., 2018, გვ. 75-76.

[2] Archivio di Propaganda fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 214r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 88.

სარწმუნოების ჭეშმარიტების აღქმისადმი[1] ყველაზე უფრო კეთილად განწყობა, როცა მათ არწმუნებ არგუმენტებისა და საღვთო წერილის ავტორიტეტით“[2]

როგორც ირკვევა, აღნიშნული გარემოების ხელშეწყობით კაპუცინებს გულმოდგინე მოქმედება დაუწყიათ საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთებისათვის. ამის შესახებ 1666 წლის 10 დეკემბერს კარლო მარია დე სენტ-მარენი რომ ატყობინებდა, რომ მამა გაბრიელი და სხვა პატრები მოლაპარაკებებს ეწეოდნენ ქართველ სასულიერო პირებთან ეკლესიათა გაერთიანების საკითხზე. აქვე კარლო მარია იმედს გამოთქვამდა, რომ მოკლე დროში წარმატებით დაგვირგვინდებოდა ეს საქმე. მ. თამარაშვილის მიხედვით, ეკლესიათა გაერთიანების მომხრე „თვით საქართველოს კათალიკოსის“, ე.ი. დომენტი III-ც ყოფილა. ამის თაობაზე ერთი სომეხი ავტორის წიგნში მ. თამარაშვილი კითხულობს: „ქართველთა პატრიარქი (ცხადია, დომენტი III – ავტ.), რომელიც მიდრეკილია რომის ეკლესიასთან შესაერთებლად, ამას წინათ თვითონ მივიდა საგანგებოდ კაპუცინებთან მოსალაპარაკებლად... კაპუცინების უფროსის საშუალებით ხსენებულმა პატრიარქმა თავისი აზრი გამოუცხადა ნეტარხსენებულ პატრ პრისკოს და მეც“[3].

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეკლესიათა უნიის საკითხი დაუყენებია ქართულ მხარეს. ჩვენი აზრით, ამ იდეას ენერგიულად ავითარებდნენ მხოლოდ კაპუცინი მამები, ხოლო ქართველ სასულიერო პირთა ერთი ნაწილი მას მტკიცედ უჭერდა მხარს. ამ შემთხვევაში უნიის აქტიურ მომხრედ გვევლინება კათალიკოსი დომენტი III (1660-1676). ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ეკლესიათა გაერთიანების საკითხი ქართველთა კათალიკოსს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი იცავდა ორი სარწმუნოების თანასწორობის პრინციპს. ამ აზრამდე მივყავართ იმას, რომ აქ არ დამდგარა საკითხი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომაულ-კათოლიკური ეკლესიისადმი დამორჩილებისა. ამდენად, ორი ეკლესიის გაერთიანების იდეა თვისობრივად სხვა სიახლე იყო და არსებით გავლენას ახდენდა უნიის განვითარებაზე.

პირველწყაროების მიხედვით, ეკლესიათა გაერთიანების საკითხის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო საქართველოს კათალიკოსმა დომენტი III-მ.

---

[1] ბერნარდო მარია ნეაპოლელის ამ აზრში, რომელიც ავტორის ღრმა დაკვირვების ნაყოფია, კარგად იკითხება ის, რომ ისტორიულად, ქართველი სასულიერო და საერო მესვეურები ორი კონფესიის, მართლმადიდებლობისა და კათოლიკობის განმასხვავებელ დოქტრინებზე მწვავედ, შეურიგებლად, მტრულად, სიძულვილით, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, არასოდეს დაობდნენ.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 224r.

[3] იგულისხმება პეტროს ბედიგისი. (თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 242).

ამის მიზეზად დასახელებულია ის, რომ კათალიკოსის „ძმისწული მეფე“[1] განუდგა სპარსეთის შაჰს და ოსმალებს მიმართა. ამიტომ მთელი საქართველო სპარსეთის შაჰის „შიშის გამო არეულა...“[2].

ჩვენ არ ვიცით, მართლა აქ აღნიშნულმა გარემოებამ შეუშალა ხელი ეკლესიათა გაერთიანების საქმეს თუ სხვა რამემ. მხოლოდ ვიცით, რომ ეს საკითხი გადაჭრით არ დასმულა. მის შესახებ საუბარი ადრევე შეწყდა. მ. თამარაშვილის მიხედვით, ეკლესიათა გაერთიანების საკითხი აქტიური იყო საუბრებში. ირანში მყოფმა მამა ფრანჩისკე პიკემ (1684 წ.) ბევრი ისაუბრა ამ საკითხზე, მაგრამ, „სამწუხაროდ, ეს საქმე ვერ განხორციელდა, ხოლო თვითონ მამა ფრ. პიკეს ხელი შეუშალა ავადმყოფობამ. საკითხი ამ გაერთიანების შესახებ ჰაერში აღმოჩნდა ჩამოკიდებული, თუმცა კერძო კავშირი (გაუფორმებელი – ავტ.) მუდამ არსებობდა“[3]..

აღნიშნულთან დაკავშირებით ძნელია, გადაჭრით ითქვას რაიმე. არა გვგონია, რომ მამა ფრანჩისკე პიკეს ჯერ ავადმყოფობამ, შემდეგ კი, მისმა გარდაცვალებამ შეუშალა ხელი[4] ეკლესიათა გაერთიანების საქმეს. ეს ყველაზე უმნიშვნელო დაბრკოლება იქნებოდა ამ მეტად რთულ და გადაულახავ გზაზე. მართალია, ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველი სასულიერო მესვეურები მუდამ ცდილობდნენ, ჰქონოდათ რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან გაუფორმებელი კავშირი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ეკლესია ხელს იღებდა თავის უფლებებზე. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ეკლესიათა გაერთიანების საქმეს წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ამასთან დაკავშირებით, სავსებით სწორად მიგვაჩნია პროფ. შ. ლომსაძის აზრი, რომ „ქართული ეკლესია დიდ შემწყნარებლობას იჩენდა ევროპიდან მოსული კათოლიკე მისიონერებისადმი და ხშირად ხელს უწყობდა კიდეც მათ აქ დამკვიდრებას-დამაგრებას. ყველაფერი ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია თავის შემუშავებულ დოგმებზე იღებდა ხელს და კათოლიკური დოგმებისაკენ იხრებოდა (ასე რომ ყოფილიყო, მაშინ გაკათოლიკებას წინ რაღა დაუდგებოდა), არამედ იმიტომ, რომ კათოლიკების გარდა აღნიშნულ მისიონერებს ჩვენში შემოჰქონდათ ევროპული კულტურის ბევრი ახალი მიღწევა“[5].

ეკლესიათა უნიის კონტექსტში საინტერესოდ მივიჩნევთ ძალზე მოკლედ შევეხოთ სომხურ გრიგორიანელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის უნიის საკითხს, რადგან იგი გარკვეულწილად დაუკავშირდა სეფიანთა კარზე კახეთის

---

[1] საქართველოს კათოლიკოსი დომენტი III ქაიხოსრო მუხრანბატონის ძე იყო, ვახტანგ V-ის ბიძაშვილი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 344).

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 242.

[3] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 573.

[4] **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 184-189.

[5] ლომსაძე შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბილისი, 1979, გვ. 30.

ტახტის მაძიებელ ერეკლე ბატონიშვილის სახელს.

როგორც ვატიკანის საარქივო მასალებიდან ირკვევა, 1675 წლისათვის აქტუალური გახდა სომხურ გრიგორიანული და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის უნიის პრობლემის გადაჭრა. ამ მიზნით, პაპმა კლიმენტი X-მ (1670-1676) ირანის შაჰის სულეიმან I-ის კარზე ვიზიტით გაგზავნა ნახიჭევანის არქიეპისკოპოსის ვიკარიუსად დადგენილი, დიდი ავტორიტეტის მქონე პადრე ფრანჩესკო პისკოპო, რომლის მიზანი იყო ნახიჭევანის კათოლიკეთა სახელმწიფო ვალისა და ეკლესიათა გაერთიანების საკითხის მოგვარება შაჰის კარზე. 1675 წლის 2 აპრილს პისკოპო ჩავიდა ეჩმიაძინში და ხალხის წინაშე გამოვიდა სიტყვით. აქ ამოქმედდნენ ეკლესიის უნიის მოწინააღმდეგენი და დაიწყეს ლეგატის რწმუნებულობის დაკნინება. მათ სურდათ, პისკოპო შაჰის კარზე წარედგინათ, არა როგორც რომის საღვთო იმპერიის იმპერატორისა და სხვა ევროპელ მმართველთა ელჩი, არამედ, როგორც უბრალო რელიგიური წარმომადგენელი[1]. შექმნილ ვითარებაში პისკოპო უკიდურესად ფრთხილად მოქმედებდა, მაგრამ „ერეტიკოსი სომეხი სამღვდელოების“ შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად ეს საქმე ჩაიშალა[2]. საბოლოოდ შაჰმა საკუთარი ინიციატივით მიიწვია პისკოპო. საზეიმო მიღებას ესწრებოდა ირანში მყოფი ერეკლე უფლისწული[3], რომელიც შემდეგში საქართველოში კაპუცინი სამოციქულო მისიონერის ანტონიო რუფინოს მეშვეობით, რომელიც იმხანად ყაზვინში იმყოფებოდა შეეცადა პისკოპოსთან დაკავშირებას, რათა მას ერეკლე რომის ეკლესიის წიაღში მიეღო[4].

---

[1] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 189r-189v.

[2] დაწვრ. იხ: Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 189r-196v.

[3] კახეთის მეფის, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი ათი წლის იყო, როცა დედამის ელენესთან ერთად თეიმურაზმა რუსეთის მეფე ალექსი I მიხეილის ძესთან (1645-1676) მძევლად გაგზავნა. 1662 წელს ერეკლე საქართველოში ჩამოვიდა და როგორც კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე, მის დაკავებას შეეცადა. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების პროგრამის მქონე ქართლის მეფე ვახტანგ V-მ ერეკლე ბატონიშვილის გეგმები ჩაშალა და დედა და შვილი 1666 წელს ისევ რუსეთში წავიდნენ. პირველი მარცხის შემდეგ, 1674 წელს ერეკლე ბატონიშვილი, ირანის შაჰისაგან გამეფებას შეპირებული, ისევ დაბრუნდა რუსეთიდან კახეთში, სადაც მეფობდა ვახტანგ V-ის ძე არჩილი. ამ უკანასკნელმა იცოდა რა, შაჰი ერეკლეს უჭერდა მხარს, მას არაჩვეულებრივი შეხვედრა მოუწყო, საჩუქრებით აავსო და კახელი თავადების ამალით ირანში გაისტუმრა. აქ ერეკლემ 12 წელი გაატარა, მიიღო მაჰმადიანობა და ეწოდა სახელად ნაზარალი-ხანი. **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, გვ. 441-446; **მისივე,** საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 200-212.

[4] Raguaglio del viaggio fatto da'Padri dell'Oriente de'Predicatori, inviati della Sagra Congregazione de Propaganda Fide. Missionari Apostolici nella Tartarie Minore l'anno 1662. Aggiuntavi la nuova spedizione del P. Maestro fra'Francesco Piscopo in Armenia e Persia, Napoli, 1695, pp. 311-328.

როგორც წყაროები გვაუწყებენ საქართველოში 1669 წლიდან[1] მოღვაწე კაპუცინი მისიონერი ჯუზეპე ანტონიო რომანო ჩართული იყო სომხური და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების პროცესში[2]. ამ პრობლემასთან დაკავშირებით შაჰის კარზე ჩასული ჯუზეპე ანტონიო რომანო თავისი სამკურნალო უნარების წყალობით დაკავშირებული აღმოჩნდა ერეკლე ბატონიშვილთან. ამასთან დაკავშირებით ეს მამა 1675 წლის 15 აგვისტოს პროპაგანდას ატყობინებდა: „ამ დროს (ე.ი. ირანში ყოფნის დროს – ავტ.) ქართველთა სახლს (ე.ი. ერეკლე ბატონიშვილის სახლში), რომელიც ემსახურება ზემოხსენებულ მთავარს (ე.ი. ირანის შაჰს – ავტ.), საქართველოს ნამდვილ მემკვიდრეს, რაღაც ჭირის ეპიდემია შეეყარა და ამიტომ მე, სამსახურებრივი მოვალეობისამებრ, დავთმე წმ. კონგრეგაციის სათხოვარი და თურქის (ე.ი. ირანის შაჰის – ავტ.) ბრძანებით მათი მკურნალობა დავიწყე; დავემორჩილე აუცილებლობას, ლოცვით ვევედრე წმ. სამსონ რომაელს[3], რომელიც ასევე იყო ექიმი...და ერთ თვეში ღვთის შეწევნით მათი სახლი განვკურნე და ასზე მეტი ადამიანი ფეხზე დავაყენე“[4].

ერეკლე ბატონიშვილთან ასეთმა დაახლოებამ ჯუზეპე ანტონიო რომანოს, როგორც მისივე რელაციონედან ჩანს, უფლისწულთან ხელსაყრელი საქმიანი გარიგების საშუალება მისცა. უმჯობესია თვით ავტორს მოვუსმინოთ: „[სპარსეთიდან] წამოსვლის წინ [ერეკლე ბატონიშვილს] სამახსოვრო ბარათი დავუტოვე, რომელშიც ვამბობდი, რომ მისი სახელმწიფოს (ე.ი. კახეთის სამეფოს-ავტ) ერთ-ერთ პროვინციაში პაპის ტახტი ადგილობრივი ქრისტიანების სამსახურისათვის ფლობს სახლს, ვენახს და მიწას. ამ ქონების ჩვენთვის დაუბრუნებლობა მისი მთავრული ღირსებისათვის შეუფერებელი იქნებოდა. მან გულთბილად მიპასუხა...როცა ამ პროვინციებს ფლობდა, მაშინ იქ ჯერ კიდევ მისიონერები არ იყვნენ...მეფეს (ე.ი. ირანის შაჰს – ავტ.) ჩავაგონებთ, რომ აუცილებელია მას (ე.ი. ერეკლე ბატონიშვილს – ავტ.) სახელმწიფო დაუბრუნოს, მაშინ ის ყველა ქონებას[5] გადმოგვცემს. ამასთანავე, თუ აქ ორი ახალი მისიონერი ჩამოვა-ერთი ექიმი, მეორე ქირურგი, მაშინ ის (ერეკლე ბატონიშვილი – ავტ.)

---

[1] **თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,** გვ. 235; **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის..., გვ. 206.

[2] დაწვრ. იხ: Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 189r-196v.

[3] საუბარია წმინდა სამსონ რომაელზე, რომელიც იყო ექიმი, ხოლო შემდეგ მღვდელი. ის უსასყიდლოდ მკურნალობდა სასოწარკვეთილ ავადმყოფებს. ღრმა მოხუცი გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში (დაახლ. 530 წელს). რომაული მარტიროლოგიის თანახმად, მისი საფლავიდან დენა იწყო საოცარმა ძირტკბილამ, რომელიც ავადმყოფებს კურნავდა. Teatro Farmaceutico, Dogmatico e Spagirico, del dottor Giuseppe Donzelli. In Venezia, MDCCXXVII.

[4] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 196r.

[5] აქ უნდა იგულისხმებოდეს გორში თეატინელთა და ავგუსტინელთა ყოფილი ქონება, რომლის დაბრუნებისათვის კაპუცინი მამები დიდხანს უშედეგოდ იბრძოდნენ. Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, f. 263v.

თავისი სახლისა და კარისათვის წამლების შესაძენად მათ წელიწადში რეგულარულად 100 სკუდოს გადაუხდიდა. ამის შესახებ მას უნდა ჩვენს ბატონ პაპს მისწეროს. უმჯობესად მიმაჩნია დაცდა; რა პასუხს გასცემს სპარსეთის კარი, სადაც ერთსულოვნად თვლიან, თუ მას საქართველოში (ე.ი. ქართლის სამეფოში – ავტ.) არ გააგზავნიან, მაშინ ის მეორე სახელმწიფოს (ე.ი. კახეთის სამეფოს) მიიღებს, სადაც ჩვენს წმინდა სარწმუნოებაზე აღსარების თქმას თავისუფლად შეძლებს“[1].

წყაროდან ამონარიდი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ შემდეგი: ისპაანში ფრანჩესკო პისკოპოს ვიზიტის დროს შაჰის კარზე კახეთის სამეფოს ტახტის მაძიებელ ერეკლე ბატონიშვილს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი მიეღო თუ არა მუსლიმობა. ის, ჩანს, საკმაოდ გაერკვა წმინდა ტახტსა და შაჰის კარს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობების ხასიათში. შექმნილ ვითარებაში ფრანჩესკო პისკოპოსთან და საქართველოში მოღვაწე კაპუცინ მამასთან კავშირით ერეკლე ბატონიშვილი შეეცადა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა კათოლიკე მისიონერებისა და პაპის გავლენა შაჰის კარზე. ერეკლეს დაკავშირება ფრანჩესკო პისკოპოსთან რომის ეკლესიის წიაღში მიღების თხოვნით, მიმართული იყო იქითკენ, რომ ესარგებლა ამ მაღალი ელჩობით და რომის პაპის სახით მოკავშირე შეეძინა შაჰის წინაშე. ასევე საფიქრებელია, კათოლიკობისადმი მიდრეკით მას შეიძლება სურდა შაჰისათვის, რომელიც სრულად იწყნარებდა იმპერიის ტერიტორიაზე კათოლიკე მისიონერებს, ეჩვენებინა, რომ ზურგი აქცია მართლმადიდებელ რუსეთს, ემხრობა ირანის კარის დასავლურ კურსს და თავისი „გაკათოლიკებით“ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია შაჰის კარისათვის, ვიდრე გამუსლიმებით. სახელდობრ კი, კათოლიკობაზე გადასვლით ისევ ქრისტიანად რჩებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ერეკლე ბატონიშვილმა რომის კურიასა და შაჰის კარს შორის არსებულ ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობების ფარგლებში მოსინჯა ნიადაგი რომის პაპი გაეხადა შუამავლად შაჰის კარზე, რათა ამ უკანასკნელს ის ქრისტიანად დაესვა ქართლის, ან კახეთის ტახტზე.

ჩვენ სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, რომ პროპაგანდამ 1670 წელს კაპუცინ მისიონერებს საკმაო ფულადი დახმარება აღმოუჩინა, მაგრამ ეს ერთჯერადი აქტი სრულიად არ იყო საკმარისი მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. ირკვევა, რომ მისიონერებს თითქმის რამდენიმე წელი არავითარი შემწეობა არ მიუღიათ რომიდან. მძიმე ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩავარდნილმა პატრებმა 1675 წლის ზაფხულში რომში დახმარების სათხოვნელად გაგზავნეს მამა რაფაელ პარმელი. მას რომის პაპ კლიმენტი XI-თან (1670-1767) და კაპუცინების გენერალ ბონავენტურა ლეკარტისთან მიჰქონდა ვახტანგ V შაჰნავაზის მიერ ქართულად დაწერილი წერილი, რომელიც ლათინურად

[1] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, f. 196v.

თარგმნა პატრმა ბერნანდო ნეაპოლელმა. რამდენადაც ქართლის მეფე ადრესატებს სამდურავის წერილს სწერს იმის გამო, რომ პატრებს საქართველოში არ უწევდნენ მატერიალურ დახმარებას, ჩვენი აზრით, ეს წერილები ვახტანგ V-მ მისიონერების თხოვნით მისწერა რომის მესვეურებს[1].

პაპისადმი წერილში გამოვლენილია შაჰნავაზის მაღალი კულტურა. იგი წერილის დასაწყისში ადიდებს პაპს და თავაზიანად შეახსენებს თავის დამსახურებას მისიონერების მიმართ. აძლევს რა პატრების მოღვაწეობას მაღალ შეფასებას, აქვე რომის პირველმღვდელმთავარს ფრთხილად შეახსენებდა, რომ მისიონერებს დიდი ხანია ჯამაგირი არ მიუღიათ. სურდა რა ამის მიზეზი გაეგო, იგი წერდა: „ეს არ ვიცით, თუ გამოუგზავნიათ რამე და არ მოუვიდათ, თუ არ მოგაგონდათ და არ გამოუგზავნეთ, ეს ვერ შევიტყვეთ. სხვაგან ისპაანსა და თავრიზში, სადაც თქვენი სახელით დადგინებული პატრები არიან, ყველას წელიწადში ჯამაგირი მოუვიდა“. ამ არგუმენტის შემდეგ მეფე მიმართავს ულტიმატუმის ფორმას და წერს: „მისიონერებს ხუთი წელიწადია არ მოსვლიათ ჯამაგირი, თუ ჩვენს ქვეყანას ყოფისათვის არ უგზავნით და არას ნაღვლობთ, ჩვენს არ დავიყენებთ, საყდარს ისევ დავაქცევთ და ამათ გამოვყრით. თუ მათი აქ დგომა გინდათ, ჯამაგირი მართალი გაურიგეთ, როგორც სხვა ადგილას მყოფ პატრებს აქვთ და ეს პატრი რაფაელი ისევ გამოგზავნეთ. ამან ჩვენი ქვეყნის ენა იცის და ყოველ კაცს იცნობს და ყველანი ეწყობიან და ყველას სიყვარული აქვს მისი და თქვენი სახელისათვის დიდად სჯობს ამის აქ ყოფნა“[2]. ანალოგიური შინაარსისაა შაჰნავაზის წერილი პროპაგანდის კარდინალ ბონავენტურა ლეკარტისადმი[3]. რამდენადაც ის არსებით ნიუანსებს არ შეიცავს, მასზე არ შევჩერდებით.

ამ წერილის მიხედვით, რომელშიც ულტიმატუმის ფორმით საყვედურია გამოთქმული პაპის მიმართ, რომელმაც სრულიად უგულებელჰყო ხუთი წლის განმავლობასი მისიონერებისადმი ფულით დახმარება, შემდეგს დავასკვნით: შაჰნავაზის ასეთი მკვეთრი ფორმით ულტიმატუმი, რომ თუ პაპი მისიონერებს ფულით არ დაეხმარებოდა, მაშინ მათ ეკლესიას დააქცევდა და პატრებს გაყრიდა, მხოლოდ პაპზე დიპლომატიურად ზემოქმედების მიზნითაა გამოყენებული. ამდენად, ეს ულტიმატუმი მეტაფორულ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ სთხოვდა პაპსა და კაპუცინთა გენერალს, დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ უკან საქართველოში პატრი რაფაელი, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენა, წერა და კითხვა. სავსებით სწორია მიხეილ თამარაშვილი, რომ ვახტანგ V-მ „ეს მუქარა იმიტომ მისწერა, რომ მათთვის (მისიონერებისათვის – ავტ.) საჭირო შემწეობა უფრო ადვილად გამოეგზავნინე-

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 244-246.

[2] იქვე, გვ. 246.

[3] იქვე, გვ. 246-247.

ბინა“[1]. ჩვენის მხრით კი დავამატებთ: უდავოა, შაჰნავაზმა ეს წერილი რომის პაპს მისიონერების თხოვნით მისწერა. ჩანს, პატრები თვლიდნენ, რომ ამ ხერხით ვატიკანზე ზემოქმეება ფულადი დახმარების მისაღებად უფრო ეფექტიანი იქნებოდა. ცხადია, რომში დიდ ანგარიშს გაუწევდნენ ქართლის სამეფოს პირველი პირის მიმართვას. თავის მხრივ კი, კურიის წინაშე კაპუცინთა ინტერესების დაცვა ქართლის მეფის მიერ უნდა გავიგოთ ისე, რომ იგი დაინეტერსებული იყო ვატიკანთან აქტიური პრაქტიკული ურთიერთობის შენარჩუნებით.

კაპუცინთა მისიონი დიდ ნაყოფს იმკიდა. ამის შესახებ 1675 წლის 10 დეკემბერს პატრი ჯოზეფო რომაელი წერდა: „ქადაგება, ზარების რეკვა, ეკლესიების გაშენება სრულიად თავისუფალია. ეს ყველაფერი დაუბრკოლებლად ხელს უწყობს უდიდესი ნაყოფის გამოღებას. ჭეშმარიტად ღირსია (საქართველოს მისიონისათვის – ავტ.) ყველა კაცმა შეწუხება იტვირთოს, სისხლი დაღვაროს და თავისი ცხოვრება გასწიროს“[2]. ასევე წარმატებით აგრძელებდა თავის საქმიანობას თბილისის კათოლიკე მისიონერთა სკოლა, სადაც 1676 წლისათვის 40-50 მოწაფე სწავლობდა. აქ ასწავლიდნენ ქართულ, ლათინური და სხვა ენებს. ამზადებდმემ მოსწავლეებს პროპაგანდის კოლეჯში გასაგზავნად[3]. ამავე დროს კაპუცინებს სამოღვაწეოდ იწვევდნენ გურიის სამთავროშიც. ერთი სიტყვით, კაპუცინი მისიონერების მოღვაწეობა სასურველ შედეგს იღებდა, მაგრამ მისიონერთა საქმიანობაში სხვა ვითარებამაც იჩინა თავი. რადგან ეს საკითხი დღემდე არ იყო ცნობილი, მივმართავთ საარქივო მასალებს:

1674 წლის 18 ოქტომბერს თბილისიდან ფრა სერაფინო მელიკოკელი, უფროსი მოძღვარი და საქართველოს პრეფექტი პროპაგანდას ატყობინებდა მისიონის მატერიალურ სიდუხჭირეზე და საქართველოში კათოლიკეთა სავალალო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. „ეს იყო მისიონში მრავალი მღელვარებისა და წუხილის მიზეზი“[4]. მიუხედავად ამისა, მამა-მისიონერები იმედს არ კარგავდნენ და თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ[5]. „მე და მამა ბერნარდო მარია და ნაპოლი[6], – წერდა პრეფექტი პროპაგანდას, – ვეწევით ჩვეულებრივ მსახურებას, ე.ი. ვამბობთ აღსარებას, ვასრულებთ სხვა წმინდა საიდუმლოებებს, ვასწავლით კატეხიზმოს, დარიგებებს ვაძლევთ სარწმუნოებაში,

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 247.

[2] იქვე, გვ. 249.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 251; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 568.

[4] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, ff. 180r.

[5] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I, ff. 180r.

[6] კაპუცინი მისიონერი ბერნარდო მარია ნეაპოლელი საქართველოში ჩამოვიდა 1670 წლის ბოლოს **Clemente da Terzorio**, Le Missioni dei Minori Cappuccini Turchia asiatica, Roma, 1925, t. VII, p. 48.

ვკამათობთ[1], ვკითხულობთ ლოცვებს, სკოლაში ვასწავლით ბავშვებს. ამათგან ზოგიერთს შეუძლია ეკლესიაში დაგვეხმაროს, იგალობონ ფსალმუნები, როგორც ნამდვილმა კათოლიკეებმა, შეასრულონ ეკლესიაში მსახურება“[2].

ამასობაში ქვეყანაში მალე არეულობა დაიწყო. საქმე შემდეგში იყო: ვახტანგ V შაჰ-ნავაზის საქმეები ცუდად წარიმართა შაჰის კარზე. ირანის გაღიზიანების საქმეში დიდი როლი შეასრულა ვახტანგის მიერ ვერცხლის მადნის ფარულად გამოდნობისა და ფულის მოჭრის ამბავმა. ასევე ვახტანგის საქართველოს საქმეებში აქტიურად ჩარევამ, რაც ირან-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებას უწყობდა ხელს[3], არჩილისა და ადრე მისი ძმის ლუარსაბის, ახალციხის ფაშასთან წასვლა დანაშაულად ჩაუთვალეს და ახსნა-განმარტებისათვის ირანში დაიბარეს.

1675 წელს ვახტანგ V ირანში გაემგზავრა. ქართლის გამგებლად თავისი მეორე ვაჟი – გიორგი დატოვა. ისპაანისაკენ მიმავალი ქართლის მეფე გზაში გარდაიცვალა. მამა-მისიონერ ჯეზეპე ანტონიო რომანოს ინფორმაციით შაჰნავაზი მოწამლეს[4]. ის ირანში წაასვენეს და ყუმში მისი მამობილის, როსტომ ხანის გვერდით დაკრძალეს. აქვე ესვენა შაჰ აბას I-ც. ასე პოვა უცხო მიწაში ძვალშესალაგი ვახრანგ V-მ, რომელიც უდიდეს ფიგურას წარმოადგენდა არა მარტო კავკასის იმდროინდელ პოლიტიკაში, არამედ ირანის მთელ იმპერიაში. მის „გმირულ სიმამაცესთან ერთად კარგად იყო შერწმული სამხედრო მართვის ხელოვნების დიდი ცოდნა“[5].

ქართლის ტახტი ახლა კანონით მის უფროს ვაჟს, არჩილს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი, როგორც თურქეთის მხარეზე მყოფი, მიუღებელი კანდიდატი იყო. ისპაანში გადაწყვიტეს, ქართლის ტახტზე დაესვათ ირანში მყოფი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე. ეს ცდა ჩაიშალა, რადგან ერეკლემ უარი თქვა გამაჰმადიანებაზე.

მალე ქართლის გამგებლად დატოვებული გიორგი, მეფედ დამტკიცების მიზნით, ირანში გაიწვიეს. ამ საქმის სწრაფად გადაწყვეტა შეაფერხა გიორგის ძმა ალექსანდრემ, რომელიც ირანში აღიზარდა და იმ დროს ისპაანის ტარუღა იყო. მას ქართლში გამეფება სურდა და საამისოდ ქრთამებს არიგებდა[6]. ამასო-

---

[1] იგულისხმება – თეოლოგიურ საკითხებზე კამათობდნენ, როგორც ქართველ მართლმადიდებელ, ასევე სომეხ გრიგორიანელ სასულიერო პირებთან.

[2] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 178r.

[3] **ტივაძე თ.,** საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა VII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1977.

[4] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, f. 237v.

[5] **Peyssonel Ch.,** Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, p. 39.

[6] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა // ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, ნაწ. II, თბ., 1926, გვ. 67.

ბაში არჩილი ახალციხიდან გადმოვიდა და ქართლის შემომტკიცება დაიწყო. ასეთ ვითარებაში ისპაანში ამჯობინეს, რომ ქართლის ტახტი გიორგისათვის დაეთმოთ. შაჰმა მას მაჰმადიანობა მიაღებინა, 1677 წელს მეფედ დაამტკიცა და საქართველოში გამოგზავნა.

გიორგი XI ქართლში 1677-1688 წლებში მეფობდა. მან თავის მამას ვახტანგ V-ს ბევრად გადააჭარბა მისიონერებისადმი მფარველობასა და კათოლიკური ეკლესიისადმი პატივისცემაში. ამან უშუალო ასახვა პოვა ქართლის მისიონის წინსვლაში. მისიონერთა საგანმანათლებლო საქმიანობაც უხვ ნაყოფს იძლეოდა. 1679 წლისათვის კაპუცინთა პრეფექტს ჯოზეფო ბორგონანელს უკვე გამზადებული ჰყოლია პროპაგანდის კოლეჯში გასაგზავნად ხუთი ყმაწვილი. ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ 1681 წლისათვის „პროპაგანდის კოლეჯში შესვლის ნება ითხოვა გამოჩენილმა ოჯახის შვილმა, რომელიც ნეაპოლში სამოქალაქო მეცნიერებას სწავლობდა“[1]. სამწუხაროდ, ამ ქართველის ვინაობა ჩვენთვის უცნობია. სავსებით მართალია მ. თამარაშვილი, რომ „ეს ახალგაზრდა ქართველი ნეაპოლში დიდი ხნის მოსული უნდა ყოფილიყო, რადგან იმ დროს საშუალო სასწავლებელში ყოფილა. არც კაპუცინების მოყვანილი უნდა ყოფილიყო, თორემ თვით კაპუცინები ითხოვდნენ მის ადგილს და მისი ამბის შესატყობად რომიც მათ მიმართავდა და არა ნეაპოლის ნუნციოს“[2].

წყაროების უქონლობის გამო ძნელია ამ საკითხის განხილვა. თავისთავად უდავო ფაქტია, რომ ეს ქართველი ახალგაზრდა აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე კაპუცინი მამების გაგზავნილი არ არის იტალიაში. მეტი ალბათობაა ვივარაუდოთ, რომ ხსენებულმა ახალგაზრდამ კაპუცინთა თბილისის სკოლა დაამთავრა. ალბათ, აქ ისწავლა მან იტალიური ენა. სხვა მხრივ წარმოუდგენელია მას ესწავლა ნეაპოლის სკოლაში სამოქალაქო მეცნიერება. იმდროინდელ საქართველოში, გარდა მისიონერების სკოლისა, სხვა სკოლა არ არსებობდა, სადაც იტალიური ენა ისწავლებოდა. ჩანს, იგი საკუთარი ნებით, მისიონერებისაგან დამოუკიდებლად წავიდა ნეაპოლში განათლების მისაღებად და ამის გამო ის არსად აფიგურირებს მისიონერების რომთან მიწერ-მოწერაში.

როგორც წინათ, ახლაც, მისიონერთა სიმცირის გამო, კაპუცინთა მისიონი ვერ ეწეოდა ფართო მუშაობას. ამის ოთხ მიზეზს ასახელებდა ბერნარდო მარია ნეაპოლელი: „პირველი, ეხება მისიონში გასაგზავნ პირთა არჩევას; ყველა მათ კრებენ იტალიის არა ერთ, არამედ ბევრ და სხვადასხვა პროვინციაში, სადაც განსხვავებული ზნე-ჩვეულებები და მიდრეკილებებია. ამიტომ მისიონერები ერთმანეთს არ იცნობენ და რაც ყველაზე ცუდია, ისინი უცნობია მამა გენერალური პროკურატორისათვის, რომელიც მათ კანდიდატურას სთავაზობს წმინდა კონგრეგაციის უწმინდეს ბატონებს მხოლოდ იმ ცნობების საფუძველზე, რომელსაც ღებულობს პროვინციალური პროკურატორებისაგან; ამ

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 254.

[2] იქვე.

უკანასკნელთ კი არასოდეს სურთ, თავიანთ პროვინციას მოაკლონ საუკეთესო ადამიანები, როცა მათ მისიონში აგზავნიან. აქედან მომდინარეობს ის, რომ დაახლოებით 32 მისიონერი, რომელიც 20-წლიან პერიოდში წმინდა კონგრეგაციამ გამოგვიგზავნა რწმენის გავრცელების მსახურებისათვის, ჩვენი ძირითადი მიზნისათვის, პირველი შვიდი წელი მსახურებისათვის გამოსადეგი აღმჩნდა მხოლოდ ორი, ხოლო შემდეგ მათგან დარჩა ორი ან სამი; მხოლოდ ოთხი ან ხუთი აღმოჩნდა კათოლიკური რწმენის გავრცელებისათვის სასარგებლო მუშაკი. სხვებმა ან მედიცინას მოჰკიდეს ხელი, რათა მთელ თემს თავისი გასამრჯელოთი შეწეოდნენ, ან სრულიად უსარგებლონი აღმოჩნდნენ და მხოლოდ ტანჯავდნენ და აგულისებდნენ კეთილსინდისიერ მისიონერებს“[1].

აქვე ურჩევდა ბერნარდო თუ რა ეღონა პროპაგანდას ამ მხრივ. მისი აზრით, „წმინდა კონგრეგაციამ ყოველთვის ამ მისიონებში უნდა გაგზავნოს იტალიის ერთსა და იმავე პროვინციაში შეკრებილი პირები. მათ პრეფექტად დაინიშნოს იმავე პროვინციის პროვინციალური პროკურატორი, რომლის ვალდებულებას საქართველოში შეასრულებს შემდეგ მისიონერებიდან ერთი, რომელიც აქ გაიგზავნება დამცველ-ინსპექტორის ანდა ვიცე-პრეფექტის თანამდებობით. პროვინციალურ პროკურატორს პრეფექტის სახით ექნება ვალდებულება მისიონისათვის შეკრიბოს სიცოცხლით სავსე ზნე-ჩვეულებების მქონე ბერები, რომლებიც იქნებიან უნარიანი ახალგაზრდები, ჯანმრთელნი და სწავლულნი. უარს იტყვიან უსწავლელი მღვდლების კანდიდატურაზე, რადგან ისინი არ გამოდგებიან პაექრობისათვის, რაც საქართველოს მისიონებში ძალზე ხშირად წარმოიშობა. მოხუცებისათვის, როგორც უუნაროებისთვის, ამ ქვეყნის ენის (ქართული ენის – ავტ.) შესწავლა ძალზე რთულია“[2]. ასეთ შემთხვევაში „განსაკუთრებულ უპირატესობას მიანიჭებენ მათ, რომელთაც შესთავაზებენ მცველ-ინსპექტორობას ანდა ვიცე-პრეფექტობას. ისინი შეძლებენ საკუთარ პროვინციებში ბერების შესახებ ინფორმაციები მიიღონ და [შეარჩიონ] უფრო გამოსადეგნი იმისათვის, რომ კარგი მისიონერები დადგნენ. თუკი ასეთი გულდასმითი არჩევისას მაინც მოხვდებიან ნაკლებად შესაფერისი ანდა უსარგებლო პირები, ვიცე-პრეფექტს ანდა მცველს შეუძლია ისინი უკან გაგზავნოს იტალიაში, რათა მისიონს არ მიადგეს ზიანი მათ შენახვასა და საკვებზე გაწეული ხარჯებით. აუცილებელია ასეთი უფლებამოსილება ებოძოს მცველს ანდა ვიცე-პრეფექტს და მით უფრო პროვინციალ პროკურატორს“[3].

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 224v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 118.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 224v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 118.

[3] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 225r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 119.

მეორე მიზეზს ბერნარდო ნეაპოლელი ხედავდა „...ყოველწლიური დოტაციის უკმარისობაში, რომელსაც წმინდა კონგრეგაცია მისიონერებს კვებასა და თბილისისა და გორის მისიონის შენახვაზე...“ აძლევდა. თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდებოდა, მაშინ მისიის შენარჩუნება სათუო გახდებოდა[1]. როგორც ირკვევა, 1670 წელს 15 მისიონერის შესანახად საქართველოში რომიდან გამოგზავნეს 225 სკუდო. ბერნარდო თვლიდა, რომ თანხა არა 15, არამედ 6 მისიონერის შესანახად იქნებოდა საკმარისი. ეს მინიმალურად შეინახავდა 6 მისიონერსა და ეკლესიასა და სახლს თბილისსა და გორში[2]. მესამე მიზეზს ხედავდა საექიმო საქმიანობის სიმწირეში,„...რომელიც ამ მისიონებში მეტად საჭიროა, ვიდრე სხვაგან“. ის წერდა: «ეს მისიონერებს აძლევთ საშუალებას, რომ ამ ხელოვნებით დაუახლოვდნენ იქაურ ხალხს, რომლებიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე, უკიდურესად საჭიროებენ და ძალიან სურთ დასავლეთის ექიმების დახმარება, თუმცა ეს ხალხი მხარს უჭერს მწვალებლობას[3] და მტრულად არიან განწყობილნი ჩვენი სარწმუნოების მიმართ. [ექიმობას] ასევე [მისდევენ] იმისათვის, რომ მკურნალობის საბაბით აწარმოონ საუბრები ჩვენს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. მაგრამ ეს მეტად საჭირო საშუალება გვაშორებს საბოლოო მიზანს. და რამდენადაც მისიონერები მოსწყდნენ საბოლოო ყოფით მიზნებს, ისინი იძულებულნი გახდნენ ეძებათ თავისთვის სარჩო; ამ მიზნით ექიმობას ეწევიან უმეტესწილად ან საერო ბერები, ან მღვდლები, რომლებმაც ნაკლებად იციან საღვთო წერილი, თეოლოგია და არა აქვთ უნარი აწარმოონ კამათი და აზრი შეაცვლევინონ იმ დაბნეულებს, რომლისკენაც გზა გაუხსნა მედიცინამ და, რომლებიც მათ, როგორც ექიმებს, მეტად ნასწავლ და ბრძენ მამებად თვლიან. აქედან მომდინარეობდა ის, რომ საქართველოს მმართველთა და მათ კარს შორის (სადაც მისიონიდან, გარდა ექიმებისა, არავის ჰქონდა შეღწევის საშუალება და სხვა მისიონერები არ სარგებლობდნენ პატივისცემით) ჩვენი წარმატებები ძალიან მოკრძალებული იყო, თუმცა ხშირად სწორედ მათთან წარმოებდა ლაპარაკი სარწმუნოებრივ თემებზე“[4]. მარია ნეაპოლელისათვის „ასეთი მდგომარეობის გამოსწორების ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ მისიონერებს მიეცეთ კუთვნილი წლიური გასამრჯელო, რომელზეც ზემოთ ვთქვი. თუკი ეს გაკეთდება, მაშინ მომავალში მისიონერებს შეიძლება, აეკრძალოთ რაიმე გასამრჯელოზე ექიმობა, ხოლო ავადმყოფების მკურნალობისათვის მათთვის მირთმეული საჩუქრები უნდა გადაეცეს თემის წინამძღვრს და ამ უკანასკნელმა იგი თემის

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 225v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 119.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 225r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 120.

[3] ამ შემთხვევაში უმთავრესად იგულისხმებიან – სომეხი გრიგორიანები და მართლმადიდებლებიც.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 226r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 120-121.

საჭიროებისაათვის გამოიყენოს. გარდა ამისა, მცველ-ინსპექტორსა და ვიცე-პრეფექტს საჭიროა დაევალოს, ყველმხრივ შეუწყოს ხელი იმას, რომ საუკეთეესო და მეტად განათლებული მუშაკები შეუდგნენ სპეციალურად ექიმობას, ხოლო სხვა დანარჩენს-მხოლოდ დიდი საჭიროების დროს. მოკლედ, საჭიროა იმის მიღწევა, რომ შეძლებისამებრ ყველას შეეძლოს ექიმობა და არა მხოლოდ ორ ან სამ კაცს, როგორც ეს იყო უწინ"[1].

მეოთხე მიზეზს მარია ნეაპოლელი ხედავდა ახალგაზრდების აღზრდის პრობლემაში. „მეოთხე პრობლემა, – წერდა ის, – ეხება ახალგაზრდების აღზრდას და იგი დაკავშირებულია იმ გამოუვალ მდგომარეობასთან, რომელიც უკვე არაერთხელ გამოვცადეთ. საქართველოდან წმინდა კონგრეგაციის სასულიერო სასწავლებელში ყმაწვილების გაგზავნა სასწავლებლად და აღსაზრდელად შეუძლებელი ხდება არა მხოლოდ დიდი ხარჯების მიზეზით, არამედ უფრო მეტად გზის საშიშროების გამო, როცა მათ ძალით იტაცებდნენ და თურქთა ტყვედ აქცევდნენ[2], რომელთა ტერიტორიაზე გადის გზის ძლიან დიდი მონაკვეთი, თანაც სხვა გზა არც არსებობს. მეორე მხრივ, თვით საქართველოს სკოლებში[3], რომელიც ჩვენმა მამა-მისიონერებმა მოაწყვეს, სადაც მეცადინეობა წარმოებს კარგი მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ადგილობრივი ბავშვები იღებენ ბრწყინვალე აღზრდას. მიუხედავად ამისა, ისინი როგორც კი მიაღწევენ რვა, ანდა ყველაზე დიდი ათი წლის ასაკს, მშობლებს ისინი [სკოლიდან

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 226r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 120-121.

[2] ამ სენის მიმართ მამა-მისიონერების დამოკიდებულება ძალიან მგრძნობიარე იყო. 1675 წლის 1 ოქტომბერს ჯუზეპე ანტონიო რომანო პროპაგანდას წერდა: „მონა, რომელიც საქართველოში ღირს 25 ანდა 30 სკუდო, ალბანელოსა (ალბათ, კავკასიის ალბანეთი – ავტ.) და ისპაანში, სადაც ბევრი კათოლიკე ცხოვრობს, უკვე 100 სკუდო ღირს; კონსტანტინოპოლში, სმირნასა და ალეპოში ის შეიძლება 150 სკუდოდ გაყიდო, ხოლო ინდოეთსა და ევროპაში–200–ად. ჩემს ცხოვრებას ბედნიერად ჩავთვლიდი, თუკი შევძლებდი…" გამომეგლიჯა ისინი ამ ურცხვი და ავხორცი მგლებისაგან (Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, f. 265r.). როგორც ვხედავთ, მამა-მისონერი ჯუზეპე რომანო დიდად სწუხდა ქართველი ახალგაზრდების მუსლიმებზე გაყიდვას. მისი გეგმები ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ამით მხოლოდ კათოლიკეთა გამრავლებას ცდილობდა, ან კათოლიკეებს მათი ყიდვა-გაყიდვით მოგება მიეღოთ. ეს ღვთისმოსავი მისიონერი ქრისტიან ქართველთა მუსლიმთა ხელიდან დახსნას საერთო ქრისტიანული სამყაროს ვალდებულებად მიიჩნევდა და რამდენადაც ამ შესაძლებლობებს ქართული სახელმწიფო და მისი ეკლესია მოკლებული იყო, თურქების ნაცვლად ევროპელების მიერ ქართველი ახალგაზრდების ყიდვა, მათ ქრისტიანულ წიაღში დარჩენას ნიშნავდა. შექმნილ ვითარებაში მამა ჯუზეპეს ეს ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა, რასაც შესაძლებელია, მისი თანამხანაგები ვერ უგებდნენ. (დაწვრ. იხ: Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 265 r-265v.)

[3] უმთავრესად იგულისხმება კათოლიკე მისიონერთა მიერ თბილისში დაარსებული სკოლა.

გაჰყავთ], რათა რაიმე ხელობა ისწავლონ. ამგვარად, ისინი დაკარგულნი არიან სწავლისათვისაც და ღმერთისთვისაც“[1].

ამ პრობლემის გადაჭრას მარია ნეაპოლელი ასე უსახავდა რომს: „დაე, წმინდა კონგრეგაციამ გასცეს განკარგულება, რომ თვით საქართველოს მისიონის სახლებში საუკეთესო მისიონერებს შორის არჩეულმა კარგმა მასწავლებლებმა აღზარდონ და ასწავლონ ჰუმანიტარული და საღვთო დისციპლინები ოთხ ან მეტ ყმაწვილს, რომლებიც გამოირჩევიან საუკეთესო ხასიათითა და უნარით. მათ შესანახად დაინიშნოს იგივე თანხა, რაც წმინდა კონგრეგაციის სასულიერო სასწავლებელში საქართველოდან ორი ან ოთხი სტუდენტისათვის იხარჯებოდა. გარდა იმისა, რომ ამით დაიზოგება სამგზავრო ხარჯები, ამ თანხით შესაძლებელი იქნება საქართველოში ორჯერ მეტი სტუდენტის შენახვა, ვიდრე რომში“[2].

ერთი სიტყვით, მცირერიცხოვანი მისია თანმიმდევრული ვერ იქნებოდა. მოძღვართა რიცხვის გასადიდებლად ორი გზა არსებობდა: ან რომიდან გამოეგზავნათ ახალი მისიონერები, ან პროპაგანდის კოლეჯში მოემზადებინათ ქართველი ახალგაზრდები. ეს უკანასკნელი დიდ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რის გამოც ხშირად იგი განუხორციელებელი რჩებოდა. ამიტომ პატრი ბერნანდო მარია ნეაპოლელმა პროპაგანდას 1680 წელს წერილობით შესთავაზა წინადადება, რომ „სამოქალაქო და საეკლესიო მეცნიერებაში“, განსწავლულ საუკეთესო მასწავლებლებს საქართველოშივე მოემზადებინათ საჭირო კადრები. პატრი ბერნანდოს აზრით, „ამნაირად არა მარტო გზის ხარჯი დაიზოგებოდა, არამედ ერთი და იმავე ფულით ორჯერ მეტი ყმაწვილის შენახვა შეიძლებოდა საქართველოში, ვიდრე რომში“[3].

მოხმობილი წყარო ნათელყოფს, რომ თბილისში სასულიერო სასწვლებლის დაარსების იდეა მომწიფდა და მისი შემდგომი განვითარება ეკუთვნოდა კათოლიკე მამებს. ის მიზეზი, თუ რა აუცილებლობით იყო ეს ნაკარნახევი, ცხადად ჩანს მოტანილ წყაროში. ასეთი სასწავლებლის დაარსება იძლეოდა საშუალებას, რომ რომის კურიის გვერდის ავლით მრავალი მიმდინარე საკითხი ადგილზევე გადაჭრილიყო. ძირითადად ეს სასწავლებელი გახდებოდა ადგილობრივი კათოლიკე სასულიერო კარდების სამჭედლო. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ეს პრაქტიკული წინადადება განიხილეს თუ არა რომში და რა გადაწყვეტილება მიიღეს. ჩვენი აზრით, აღნიშნულ წინადადებაზე კურია უარს იტყოდა, რადგან პროპაგანდის კოლეჯის დაარსებიდანვე გადაწყდა, რომ მხოლოდ რომში მომზადდებოდა მართლმადიდებელი აღმოსავლეთისათვის კადრები.

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 226v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 121-122.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 227; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 122.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 255.

პატრი ბერნანდოს სხვა წინადადებები რომში ყურადღებითა და ინტერესით განიხილეს. იგი 1681 წლის აპრილის თვეში ვატიკანში დაიბარეს, რათა სიტყვიერად მოეხსენებინა საქართველოს მისიონის ამბები. ამ დროისათვის მას უკვე იტალიურიდან ქართულად თარგმნილი ჰქონდა ზემოთ აღნიშნული კატეხიზმო, რომელიც რომში ჩასვლისთანავე დაიბეჭდა 1681 წელს[1]. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ წიგნის რეცენზენტი იყო ქართველი კათოლიკე ზაალ ენიბეგაშვილი[2]. იგი იყო პირველი ქართველი კათოლიკე, რომელმაც სწავლა-განათლება თბილისის კაპუცინთა სკოლაში მიიღო. მან იცოდა სომხური, სპარსული, თურქული და განსაკუთრებით იტალიური ენები. ეს მტკიცდება იქიდან, რომ მან ბერნანდოს თარგნილი კატეხიზმო შეადარა დედანს და შემოწმების შემდეგ თავის რეცენზიაში, რომელიც წიგნს უძღოდა წინათქმის სახით, აღნიშნა: „წავიკითხე და გადავიკითხე ყველანაირი სიფრთხილით ეს წიგნი, შედგენილი პატივცემული მამა ბერნანდო მარია ნეაპოლელისაგან, არაფერი ვპოვე საწინააღმდეგო რომის კათოლიკე სარწმუნოებისა, რადგან სიტყვა-სიტყვით ნათარგმნია კარდინალ ბელარმინის პატარა საქრისტიანო მოძღვრებიდან ქართულ ენაზე“[3].

ამ ფაქტთან დაკავშირებით სავსებით სწორედ დაასკვნის მ. თამარაშვილი. ის წერს: „ეს წინასიწტყვაობა ცხადად გვიჩვენებს იმდროიონდელ საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას, რადგან ხსენებული ეგოდენი პროვინციების საჭიროებად ჩვენ თავდაპირველად უნდა ვიგულისხმოთ კათოლიკეების სულიერი საჭიროება და არა იმათი, რომლებიც ჯერ არ იყვნენ შეერთებული კათოლიკე ეკლესიასთან“[4].

ზემოხსენენული პატრი ბერნანდო მარია ნეაპოლელი კაპუცინ მისიონერთა გალერეაში ყველაზე გამორჩეული სასულიერო პირია. ის თეოლოგიასა და ფილოსოფიაში ღრმად განსწავლული ადამიანი იყო. ბერნარდო 1670 წელს ჩამოვიდა საქართველოში და აქ 1679 წლამდე მოღვაწეობდა[5]. მან ჩინებულად იცოდა ქართული ენა. სავარაუდოა, ის ფრანჩესკო მარია მაჯოს მიერ 1643 წელს რომში გამოცემული ქართული ენის გრამატიკის საფუძველზე იტალიაშივე ეზიარა ქართულ ენას. მან იტალიურიდან ქართულად თარგმნა და ქართულიდან გადაწერა მრავალი წიგნი[6]. ბერნანდო საქართველოს სამეფო კართან ძალზე და-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 255; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 568.

[2] ზაალ ენიბეგაშვილი (Zali Enibeg) იყო გიორგი XI-ის მდივანი და თარჯიმანი სომხური, სპარსული, თურქული და იტალური ენებისა (**თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 681, 255; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 568.)

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 255-256.

[4] იქვე, გვ. 256.

[5] იქვე, გვ. 683.

[6] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 682-683.

ახლოებული პირი იყო. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეფე გიორგი XI-სთან, რომლის ბიბლიოთეკით, ჩანს, ხშირად სარგებლობდა.

ჩვენთვის ბერნანდო ძირითადში დაუვიწყარია მაინც, როგორც იტალიურ-ქართული (360 გვ.) და ქართულ-იტალიური (628 გვ.) ლექსიკონების შემქმნელი. პროფ. თედო (ნოდარ) უთურგაიძის თანახმად, „ბერნანდო ნეაპოლელის იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქართული ენის შესწავლის საქმეში“. მისი „ლექსიკონი ქართული მორფოლოგიისა (ფორმაწარმოების) და წარმოქმნის (სიტყვაწარმოების) სახელმძღვანელოს ფუნქციასაც ასრულებს“[1]. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ბერნანდო ნეაპოლელის ლექსიკონის შექმნიდან გორში უცნობ იტალიელ მისიონერს შეუდგენია იტალიურ-ქართული ლექსიკონი, ბერნანდო ნეაპოლისეული პრინციპებით[2]. პროფ. თ. უთურგაიძის აზრით, გორულ იტალიურ-ქართულ ლექსიკონში (შედგენილია 1724 წელზე ადრე) გამოყენებულია ფ. მაჯოსა და ბ. ნეაპოლელის ძველი მიღწევა. ეს ლექსიკონი სოლიდური ნაშრომია. მისი ანონიმი ავტორიც, მსგავსად ბერნანდო ნეაპოლელისა კარგად ფლობს ქართულ ენას[3].

მიზანშწონილია აქვე ითქვას: იტალიელი მისიონერების მიერ ქართული ენის გრამატიკის, ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონების შექმნაში შეტანილი წვლილი განუზომლად დიდია და ფასდაუდებელი. კათოლიკე მისიონერებმა (ფრანჩესკო მარია მაჯომ, ბერნანდო მარია ნეაპოლელმა და ანონიმი გორელმა მისიონერმა) დიდი როლი შეასრულეს ქართული ენის შესწავლისა და მეცნიერული აღწერის საქმეში. მათ „ქართული ენის შესახებ შექმნეს სერიოზული გრამატიკული ლიტერატურა და ერთგავარად შეუწყვეს ხელი გრამატიკული მეცნიერების დანერგვას ქართველებში, ისინი ხომ თავიანთ მიერვე გახსნილ სკოლებში ქართველებს ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკების გვერდით ქართული ენის გრამატიკასთან ასწავლიდნენ“[4].

ერთი სიტყვით, კაპუცინ მისიონერთა საქმიანობა ქართველ მესვეურთა ხელშეწყობით და ქართველი ხალხის შემწყნარებლური ბუნების მეოხებით წარმატებით შლიდა ფრთებს. იგივე ბერნარდო მარია ნეაპოლელი თავის ანგარიშში წერდა, რომ პატრებს შემდგომ წარმატებებს ორმა გარემოებამ შეუშალა ხელი: პირველი, სომეხ სასულიერო პირთა მიერ მისიონერების წინააღმდეგ ტრადიციული დევნის გაგრძელებამ და მეორე, 1684 წელს თბილისსა და გორში

---

[1] **უთურგაიძე თ.,** ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრევის ურთიერთმიმართება // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXIX, თბ., 1990, გვ. 146.

[2] **Орловская Н.К.,** Грузинские словари Бернардо Неаполитанского // ლიტერატურული ძიებანი, III, თბ., 1972, გვ. 38.

[3] **უთურგაიძე თ.,** ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრევის ურთიერთმიმართება, გვ. 146.

[4] **უთურგაიძე თ.,** ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრევის ურთიერთმიმართება, გვ. 145.

გაჩენილმა ჟამიანობამ. ამათგან პირველი, ქართლის მეფე გიორგი XI-ის დახმარებით ადვილად დაიძლია, მაგრამ ავბედითმა ჟამიანობამ თვით პატრების სიცოცხლეც შეიწირა.

როგორც ვთქვით, 1684 წლის ზაფხულსა და გაზაფხულზე თბილისსა და გორში შავი ჭირი გაჩნდა, რომელიც შვიდი თვე მძვინვარებდა. ჟამმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ ქალაქებში და, როცა მრავალი სასულიერო და საერო პირი გაიქცა აქედან, მხოლოდ კაპუცინმა მამებმა გამოიჩინეს კაცთმოყვარეობა[1]. გორში მოღვაწე მამა კარლო პეშელი (Carlo da Pecia) შავი ჭირის მსხვერპლი შეიქმნა. ახლა გორის მისიონი უპატრონოდ დარჩა. ჟამმა იმსხვერპლა მრავალი გორელი ქართველი კათოლიკეც[2]. ასე რომ, თბილისსა და გორში კაპუცინთა მისიონის არსებობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ამას ნათლად მოწმობს 1685 წლის 2 იანვარს პატრ ჯუზეპე ბოგონიანელის (Giuseppe da Bogognano) რომში გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი პროპაგანდის კარდინალს წერდა: „დიდად გევედრები, მალე უშველოთ, რომ ეს მისიონი არ მოისპოს, რაც საშიშია, რადგან უკანასკნელ მდგომარეობაში ვართ“[3]. იმავე წლის 8 აგვისტოს წერილით ჯუზეპე პროპაგანდას სთხოვდა, რომ გორის უპატრონოდ დარჩენილი მისიონისათვის გამოეგზავნათ მოძღვარი[4].

ამავე დროს რომში პროპაგანდის კოლეჯში ჯუზეპე ბიგონიანელმა სასწავლებლად გააგზავნა თბილისელი კათოლიკე, 22 წლის მიხეილ ანჯელო (Michele Angelo), რომელიც კაპუცინებთან იზრდებოდა 6 წლიდან[5]. იგი კარგად ფლობდა ქართულ, თურქულ და იტალიურ ენებს. ანჯელო 1686 წლის გაზაფხულზე უნდა იყოს გაგზავნილი რომში, სადაც 1686 წლის 10 დეკემბერს მიიღეს კოლეჯში[6].

ცხადია, აღნიშნული მძიმე მდგომარეობის დროს მისიონერთა კაცთმოყვარულ და თავდადებულ საქმიანობას შესაბამისი ზეგავლენა უნდა მოეხდინა მორწმუნეთა ფართო ფენებზე. ქართველმა ხალხმა, სამეფოს წარჩინე-

---

[1] შავი ჭირის შიშით გორის მოსახლეობის დიდი ნაწილი მთებში გახიზნულა. აქ მოღვაწე პატრ კარლო პეშელისთვისაც უთხოვიათ, გახიზნულიყო, მაგრამ მას გორელ ქართველ კათოლიკე ფრანჩისკესთან ერთად თავი არ მიუნებებია უპატრონოდ დარჩენილი ავადმყოფებისათვის და თვითონაც დასნეულებულა. კარლო ამჯერად გადარჩენილა და უფრო გულმოდგინედ გაუგრძელებია ხალხის მკურნალობა. კარლოს მსახური, გაკათოლიკებული გორელი ახალგაზრდა, ფრანჩისკეც დაავადებულა. მის გადასარჩენად მამა კარლოს ცდა არ დაუკლია, მაგრამ იგი მაინც დაიღუპა. ბოლოს კარლოც დაავადდა და გორში გარდაიცვალა. (**თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 260).

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 259-260.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 261.

[5] იქვე

[6] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 142.

ბულმა პირებმა და თვით მეფემაც დიდი პატივი მიაგო პატრებს. მაგრამ ეს შემთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ამას მ. თამარაშვილი თვლიდა, იმ მთავარ საფუძვლად, რომლის გამო საქართველოს მესვეურებს „ერთიანად მოუნდომებიათ რომის ეკლესიასთან შეერთება“[1]. ეს უნდა მომხდარიყო 1684 წლის მარტის თვემდე. ამავე წლის 5 მარტს პრეფექტმა ჯუზეპემ და მეფე გიორგი XI-მ ისპაანში კათოლიკეთა ეპისკოპოსთან გაგზავნეს პატრი ჯუსტინო ლივორნოელი, რათა „თბილისში მოეყვანა ეპისკოპოსი ფრანჩისკე პიკე ამ მისიონის სასარგებლოდ, რადგან ქართველ ბატონებს სურთ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთება“[2]. აღნიშნულ შემთხვევას, კერძოდ, ჟამიანობისას მისიონერთა მიერ გამოჩენილ თავდადებას, არ შეეძლო ებიძგებინა ქართველი მესვეურებისათვის, რომ ეძიათ კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთების გზები. ეს მხოლოდ შეიძლება მომხდარიყო რაიმე დიდი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენის ნიადაგზე. ასეთი რამ ამ დროისათვის არ არსებობდა, თუმცა ეკლესიათა გაერთიანების იდეა დიდი მსჯელობის საგანი იყო.

პირველწყაროების მიხედვით, მეფე გიორგი XI კათოლიკობას გაეცნო პატრ ჯუსტინო ლივორნოელის მეშვეობით. ეს უკანასკნელი ამის შესახებ წერს: მეფეს, „როდესაც გავაცანი კათოლიკე სარწმუნოება დიდად მოისურვა ისპაანის ეპისკოპოსის ფრანჩისკო პიკეს მეშვეობით (კათოლიკობის – ავტ.) მიღება“. ამ მიზნით, მეფემ კაპუცინთა პრეფექტი ჯუზეპე ბოგონიანელი გაგზავნა ისპაანში ფრანჩისკე პიკესთან და საქართველოში მოიწვია, „მაგრამ არ მოვიდა“[3]. ეს უნდა მომხდარიყო 1684 წლის მარტის თვემდე. ამავე წლის 5 მარტს პრეფექტმა ჯუზეპემ და მეფე გიორგი XI-მ ისპაანში კათოლიკეთა ეპისკოპოსთან გაგზავნეს პატრი ჯუსტინო ლივორნოელი, რათა „თბილისში მოეყვანა ეპისკოპოსი ფრანჩისკე პიკე ამ მისიონის სასარგებლოდ, რადგან ქართველ ბატონებს სურთ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთება“[4]. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მეფემ თავისი სტატუსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია კათოლიკობა ეღიარებინა ლათინთა ეპისკოპოსის წინაშე, ვიდრე რომელიმე მამა-მისიონერისა. პატრი ჯუსტინო ამავე წლის 21 დეკემბერს თბილისში დაბრუნდა. რაც შეეხება ისპაანის კათოლიკეთა ეპისკოპოსს ფრანჩისკე პიკეს, მგზავრობის სიძნელეების გამო მან საქართველოში ჩამოსვლაზე უარი თქვა[5], რისი მიზეზიც ჩვენთვის უცნობია.[6]

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 260.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 260.

[3] იქვე, გვ. 688.

[4] იქვე, გვ. 264.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 260, 684.

[2] ვრცლად იხ. **Mamistvalishvili E.,** Justino da Livorno's letter dated back to 1687 Yars av the source for the history of Georgia // Karadeniz Uluslararası Bilimsel Dergi, 1 (45), 2020, pp. 189-200.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 264-265.

თუ ამ წყაროს ვერწმუნებით (საკონტროლო მასალის უქონლობის გამო არ გვაქვს საფუძველი იგი ვუარყოთ) მაშინ საინტერესოა ორი მომენტი: პირველი, გიორგი XI-მ ისპაანის ეპისკოპოსის ხელით მოისურვა კათოლიკობის მიღება და მეორე, მეფემ დააყენა საკითხი საქართველოს მისიონის ისპაანის საეპისკოპოსოსადმი დაქვემდებარების შესახებ. ღრმად გვწამს, რომ გიორგი XI-მ კათოლიკობის მიღება ისპაანის ლათინთა ეპისკოპოსისაგან გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით გადაწყვიტა. რადგან ირანის ხელმწიფეები, თავიანთი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ხშირად თავადაც უწყობდნენ ხელს კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში. ჩანს, გიორგი XI ითვალისწინებდა, რომ მის მიერ კათოლიკური რწმენის მიღებას შაჰი ხელს არ შეუშლიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე გიორგი არ შეეცდებოდა, რომ საჯაროდ ისპაანის ლათინთა ეპისკოპისის წინაშე ეღიარებინა კათოლიკობა, რადგან ეს ცნობილი გახდებოდა ირანში.

ერთი სიტყვით, ირანის შაჰი გიორგი XI-ს გაკათოლიკებას წინააღმდეგობას არ გაუწევდა. ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპაში მოკავშირის მაძიებელ ირანს, საჭიროების შემთხვევაში, ეს შეეძლო თავის სასარგებლოდაც კი გამოეყენებინა. ამ მომენტს ემყარებოდა, ალბათ, იმ საკითხის დაყენებაც, რომ საქართველოს მისიონი ისპაანის საეპისკოპოსოსთან გაერთიანებულიყო. დაბოლოს, ასეა თუ ისე, გიორგი XI-ის მზადყოფნა, რომ მიეღო კათოლიკობა, მისი ქრისტიანულ წიაღში დაბრუნების ფორმალური მხარე იყო, რადგან მიუხედავად მაჰმადიანობისა, იგი მუდამ ჭეშმარიტ ქრისტიანად რჩებოდა.

ახლა ისევ მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას. გარკვეული მიზეზების გამო ისპაანის კათოლიკეთა ეპისკოპოსმა ფრანჩესკე პიკემ ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა. მისი გარდაცვალების შემდეგ პატრმა ჯუსტინო ლივორნოელმა გადაწყვიტა, რომ გიორგი მეფე თვითონ მოექცია კათოლიკობაზე. ბუნებრივია, ახლა მისი წინააღმდეგი არც მეფე იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით პატრი ჯუსტინო 1687 წლის 28 მაისს პაპ ინოკენტი X-ს წერდა: „მე შერცხვენილად ვრჩებოდი, რომ ეპისკოპოსის (ფრანჩესკე პიკეს – ავტ.) ხელით ეს მეფე ვერ შევუერთე ეკლესიას, და ეს გვიანდებოდა. გარნა მუდამ ამის სისრულეში მოყვანას ვცდილობდი და კიდევაც შევასრულე: 1686 წლის 7 დეკემბერს ჩემს წინაშე მეფემ წარმოსთქვა სარწმუნოების აღსარება და თან ფიციც დასდო, რომ თავის სამეფოც ერთიანად დაუმორჩილოს თქვენს უწმიდესობას... შეერთების ხუთი დღის შემდეგ ამ მეფეს აღსარებაც ვათქმევინე... სარწმუნოებას აწ ძლიერ ერთგულად იცავს; მეტად სახელგანთქმულია ბრძენი და ყველანაირი ნიჭით შემკული“[1]. 1687 წლის ივლისში რომში საქართველოდან ჩასული პატრი ანჯელო ფილინელი წმიდა ტახტსა და პროპაგანდას აუწყებდა, რომ „...ხსენებული მეფე (გიორგი XI – ავტ.) 1686 წლის 7 დეკემბერს მოექცა წმიდა სარწმუნოებაზე ჩვენი

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 264-265.

მამა პრეფექტის (ჯუსტინო ლივორნოელის – ავტ.) ხელით“[1]. არსებობს ცნობა, რომლის თანახმადაც მეფე გიორგი და მისი შვილი ერთად მოინათლნენ[2].

როგორც ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, გიორგი XI-მ 1686 წრლს მიიღო კათოლიკობა[3]. ამასთან დაკავშირებით მ. თამარაშვილმა თავის მეორე ნაშრომში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ წერს: „ჩვენ არ ვიცით ზუსტად, თუ როდის მიიღო გიორგი XI-მ კათოლიკობა, მაგრამ ეტყობა, 1684 წელს ის უკვე კათოლიკე იყო...“[4]. ამის არგუმენტად მ. თამარაშვილს მოაქვს ის, რომ „...პატრი ჯუზეპე (ბოგონიანელი – ავტ.)...“ 1684 წლის 7 ნოემბერს რომში გაგზავნილ წერილში გიორგი მეფეს მოიხსენიებს, „როგორც თავის საყვარელ შვილს“[5]. ეს ფაქტი არ შეიძლება მივიჩიოთ იმის ურყევ საბუთად, რომ გიორგი XI-მ 1684 წელს მიიღო კათოლიკობა. ეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ კათოლიკე მამები ძალზე ხშირად მათდამი კეთილგანწყობილ მეფეებს „თავიანთ შვილს“ უწოდებდნენ და მეორე, არ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ პატრ ჯუსტინო ლივორნოელის ცნობაში, რომ ქართლის მეფემ 1686 წლის 7 დეკემბერს მიიღო კათოლიკობა. ამდენად ამ თარიღს უნდა დავუჭიროთ მხარი.

ამის შემდეგ მეფე გიორგი XI-მ კაპუცინთა პრეფექტ ჯუსტინო ლივორნოელის რჩევით, 1687 წლის გაზაფხულზე რომში პაპთან ელჩად გაგზავნა პატრი ანჯელო ფილინელი. მას მიჰქონდა მეფის, ეპისკოპოსის ექვთიმე რატიშვილისა და ჯუსტინოს წერილები პაპთან და პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტთან. ეს უკანასკნელი მის უწმიდესობას სთხოვდა, რომ გიორგი მეფე მიეღო თავის შვილად, რაც მისი აზრით, ეკლესიათა უნიის წინაპირობა იყო[6]. პატრ ანჯელოს ასევე მოჰყავდა 19 წლის თბილისელი ქართველი კათოლიკე სახელად სოლომონი პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად. იგი ურბანოს მოსწავლეთა რეესტრში იწოდება სოლომონ ქართვლად (Salomono Giorgiano)[7], ხოლო პაპისადმი პატრ ჯუსტინოს წერილშო – სოლომონ თუმანიანთად (Salmo de Tomananti)[8].

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 67.

[2] იქვე, №85, ფურც. 42.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 264.

[4] **Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, pp. 573-574.

[5] **Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, pp. 573-574; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 259; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 631.

[6] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 67.

[7] იქვე, №70, ფურც. 142.

[8] იქვე.

სოლომონ თუმანიშვილი თბილისში კათოლიკე მისიონერთა სკოლის მოწაფე იყო. პატარაობიდანვე კათოლიკურ სარწმუნოებაში ზრდიდა კაპუცინთა მისიონის პრეფექტი ჯუსტონო ლივორნოელი. ახლა იგი პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად გაგზავნეს როგორც „მრავალ მოწაფეთა შორის რჩეული". კოლეჯში იგი 1688-1691 წლებში სწავლობდა. 1691 წლის 18 იანვარს სოლომონი წავიდა „ვიტერბოს პროვინციის პატარა დასახლება ბანაიში და კაპუცინებთან ბერად შედგა". როგორც ჩანს, სოლომონ თუმანიშვილი კოლეჯის დამთავრების შემდეგ საქართველოში არ დაბრუნებულა და ბანაიაში შეუდგა სასულიერო მოღვაწეობას. სამწუხაროდ, მის შესახებ სხვა ცნობები არ გაგვაჩნია.

გიორგი XI-ის წერილი პაპისადმი, რომელიც 1687 წლის 29 აპრილითაა დათარიღებული და ქართულად იყო დაწერილი, იტალიურად თარგმნა ჯუსტინო ლივორნოელმა. ამ წერილით მეფე რომის პაპ ინოკენტი XI-ს სთხოვდა, ჩაერიცხა იგი კათოლიკე მეფეთა რიგში. ამასთანავე ავედრებდა თავისი პირმშო ბაგრატიც ლოცვა-კურთხევით მიეღო თავისი ტახტის ქვეშევრდომად. „ამისათვის გთხოვ ეს ჩემი პირმშოც აიყვანოთ თქვენს შვილად" – წერდა პაპს გიორგი XI. მთავარ სათქმელს მეფე წერილის ბოლოს ამბობდა: „ჩვენი სამეფო, – იუწყებოდა მეფე – მუდამ ევედრება ღმერთს და ყოვლადწმინდა სამებას, რათა უფრო განაძლიეროს თქვენი კურთხეული მარჯვენა და ჭეშმარიტ კათოლიკებს და ხსენებულ პატიოსან მეფეთ მტრებზე გამარჯვება მიანიჭოს. ამას მოგახსენებთ, გვნებავს ღვთიურ სიმართლესთან თქვენც შეგიყვაროთ. ჩვენ და ჩვენი სამეფო ვემორჩილებით სპარსეთის მეფეს, მისი ბრძანების გარეშე არაფერი შეგვიძლია, გარდა მსგავსად თქვენი საყვარელი შვილებისა, გვირგვინოსანი მეფეებისა, რომლებიც მუდამ ჟამს ურწმუნოებს (მაჰმადიანებს – ავტ.) ებრძვიან და მათზე იმარჯვებენ, თქვენის ლოცვა-კურთხევითა ჩვენცა ვძლევთ ამ ურწმუნოებს... ნეტავი ღმერთმა და ღვთისმშობელმა შეგვაძლებინოს, რომ ჩვენმა სამეფომაც მიაყენოს ზიანი თქვენს მტრებს, თქვენ გემსახუროთ და თქვენ მორჩილ მეფეებთან ერთად შევიარაღდეთ. ესეც სცანით, რომ ჩვენი სამეფო, ჩვენი ბრძანების ქვეშ მყოფნი და მთელი ჩვენი საქართველოს მხედრობა მზად ვართ და მოველით თქვენს ბრძანებას; რასაც თქვენი ლოცვა-კურთხევით გვიბრძანებთ, მზად ვართ შევასრულოთ. ეს არის ჩვენი ნატვრა. ჩვენს თქვენს ერთგულ შვილობაზე არავითარი ეჭვი არ შეიტანოთ, თუმცა კი შორს ვართ, მაგრამ დიდად გვენატრება თქვენი ნახვა, ჩვენი სარწმუნოების (კათოლიკობის – ავტ.) ღირსება შევასრულე პატრი ჯუსტინოს წინაშე, რომელიც ჩვენი სულიერი მამაა. რასაც ეს ჩვენ გვიბრძანებს, ყველაფერს შევასრულებთ"[1].

როგორც ვნახეთ, გიორგი XI რომის პაპს სთხოვდა, რომ იგი ევროპის კათოლიკე მეფეთა რიგებში მიეღო და თავის მფარველობაში აეყვანა. პაპის მხრიდან ამის დადასტურების შემდეგ, ბუნებრივია, იგი კათოლიკე მეფედ ჩაითვლე-

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 268, 691.

ბოდა. აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა: ჰქონდა თუ არა გიორგი მეფის მიერ კათოლიკობის მიღებას პოლიტიკური მიზანი? თუ იგი კათოლიკური დოგმატების უპირატესობის აღიარებით იყო ნაკარნახევი? გვაქვს საფუძველი, ამ კითხვას ვპასუხობთ პირდაპირ: გიორგი XI-ის მიერ კათოლიკობის მიღება უმთავრესად ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მიზნით. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიხმობთ წყაროებს.

გიორგი XI-ის მიერ ევროპაზე აღებული პოლიტიკურ ორიენტაციის შესახებ ჩვენ თითქმის არავითარი წყარო არ გაგვაჩნია. ამ საკითხზე მსჯელობისას ძირითადი საბუთია ზემოხსენებული წერილი გიორგი მეფისა რომის პაპისადმი, სადაც მთავარი სათქმელი დიპლომატიურად ძალზე მოზომილად და ლაკონურადაა გადმოცემული. აქ ნათქვამია შემდეგი: „დასავლეთის გვირგვინოსანი მეფეები, – წერს გიორგი მეფე პაპს, – რომლებიც მუდამ ურწმუნოებს (ამ შემთხვევაში თურქებს – ავტ.) ებრძვიან და მათზე იმარჯვებენ, თქვენის ლოცვა-კურთხევით ჩვენცა ვძლევთ იმ ურწმუნოთა (თურქებს – ავტ.) ...ნეტავი ღმერთმა და ღვთისმშობელმა შეგვაძლებინოს, რომ ჩვენმა სამეფომაც მიაყენოს ზიანი მტერთა (თურქებს – ავტ.) თქვენ გემსახუროთ და თქვენ მორჩილ მეფეებთან ერთად შევიარაღდეთ“[1].

ჩვენი აზრით, ამ დიპლომატიურად ნათქვამ რამდენიმე წინადადებაში გიორგი XI რომის პაპ ინოკენტი XI-ს სთავაზობდა ანტიოსმალურ კოალიციაში შესვლას. ამ აზრს გვიმყარებს კაპუცინი მისიონერის დიონიჯო კარლის ერთი პატარა ცნობა. „მეფემ ვენის (1683 წლის – ავტ.) გამარჯვება რომ გაიგო, იტალიური ენის შესწავლას შეუდგა. მას ერთი ჩვენი პატრი ასწავლის“[2]. მართალია, ცოტა გაუგებარია, თუ რა კავშირშია ვენის გამარჯვების ამბავი გიორგი XI-ის მიერ იტალიური ენის შესავლის დაწყებასთან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებას, ამ საკითხს გასაღებს მოვუძებნით.

როგორც ცნობილია, 1683 წლის მარტში თურქი დამპყრობლები აღმოჩნდნენ ვენასთან. ამჯერად ევროპის ყველა ქრისტიანული სახელმწიფო მიხვდა ამ პოლიტიკური მომენტის მნიშვნელობას. 1683 წლის მარტში რომის პაპის ინოკენტი XI-ის სურვილით რომის საღვთო იმპერიის იმპერატორმა კავშირი დადო პოლონეთის მეფე იან სობესკისთან; იმპერიის შიგნით ყველა კურფიურისტმა გულმოდგინედ დაიწყო მზადება თურქებთან საბრძოლველად.

1683 წლის 12 სექტემბერს გათენდა მარად დაუვიწყარი დღე. ქრისტიანთა ყველა ჯარი დაიძრა თურქების წინააღმდეგ. ბრძოლის ბედი ამ ღირსახსოვარ დღეს გადაწყვიტა პოლონეთის მეფე იან III სობესკიმ (1674-1696). 110 თუ 160 ათასიანი ჯარი სულთან მეჰმედ IV-ის ვეზირ ყარა-მუსტაფას მეთაურობით

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 268.

[2] **დიონიჯო კარლი.** თბილისის აღწერა, გვ. 172, 177; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №121, ფურც. 9v.

დამარცხდა[1]. მას ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. გამარჯვებულთა რიგებიდან ყველაზე მეტი პატივი ერგო პოლონეთის მეფეს იან სობესკის, რომელსაც ხოტბას ასხამდნენ და ლოცავდნენ ყოველნაირად. ასე მაგალითად, მოპოვებული გამარჯვების გამო იოანეს სახარებიდან არჩეული იქნა მე-6 მუხლი, რომელიც აცხადებს: „იყო კაცი მოვლინებული ღმერთის მიერ, და სახელი მისი იოანე“. რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს ლეოპოლდ I-ს (1658-1705) კი იქამდე დაავიწყდა ეტიკეტი, რომ ავსტრიის დედაქალაქის განმათავისუფლებელთან შეხვედრისას, თვით მივიდა მასთან, მოიხადა მის წინ ქუდი და რამდენიმე სიტყვა გაუზიარა[2]. რომში იან სობესკის მიერ ვენასთან (1683 წ.) მოპოვებული გამარჯვება აღიარებული იქნა, როგორც კათოლიკობის ტრიუმფი. ამან ევროპა გადაარჩინა თურქთა უღელს. ამიტომ ამ გამარჯვების პატივსაცემად ინოკენტი XI-მ დააწესა ქალწული მარიამისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც აღინიშნება 12 სექტემბერს[3].

ვენასთან თურქებზე გამარჯვებას მოჰყვა მათ წინააღმდეგ ჰაბსბურგთა მონარქიის მთელი რიგი წარმატებული ლაშქრობები, რომელიც 1699 წლის 26 იანვარს კარლოვიცის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა. ამ ღირსახსოვარი და ხელსაყრელი ზავით დამთავრდა XVII საუკუნე. ამიერიდან თურქები იძულებულნი გახდნენ მუდმივ თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საფუძველი გვაქვს დავასკვნათ: კათოლიკე მისიონერების მეშვეობით მეფე გიორგი XI კარგად იყო ინფორმირებული ევროპაში პოლიტიკური ძალების განლაგების შესახებ. მათი მეშვეობით იგი თვალყურს ადევნებდა პოლიტიკური მოვლენების განვითარებას დასავლეთში. ვენასთან თურქების ისტორიულ დამარცხებას იგი აღიქვამდა, როგორც საერთო ქრისტიანულ საქმეს, ქრისტიანთა საყოველთაო გამარჯვებას, ხოლო 1686 წლიდან, ვიდრე 1699 წლამდე ჰაბსბურგთა მონარქიის მიერ თურქეთის წინააღმდეგ შეუწყვეტელ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად ისიც მოემზადებოდა, თუ ამის საშუალება მიეცემოდა. ასევე მან კარგად უწყოდა, რომ რომის პაპს ისევ შენარჩუნებული ჰქონდა, ფორმალურად მაინც, დასავლეთის მეფეებს შორის მოსაშუალეს როლი. შეუძლებელია, ამის გარდა, სხვა რამ იგულისხმებობდეს გიორგი მეფის მიერ პაპისადმი გაგზავნილ ზემოაღნიშნულ წერილში.

ამრიგად, გიორგი XI-ის პირველი დიპლომატიური ნაბიჯები რომში მიმართული იყო იქითკენ, რომ პაპის საშუალებით დაემყარებინა კავშირი თურქების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან. იგი პაპისადმი წერილში კონკრეტულად არ მიუთითებს, თუ რომელ სახელმწიფოსთან ცდილობდა კავშირში შესვლას. მისთვის ეს არ იყო მთავარი, რადგან რომის პაპის ლოცვა-კურთხებით „მზად

---

[1] დაწვრ. იხ: **Подхородецкий Л.,** Вена-1683, пер. С польск. М., 2002.

[2] **Иегер О.,** Всеобщая история, т. III, СПб., 1894, с. 440.

[3] Enciclopedia Italiana, t. XIX. Roma, 1951, p. 91.

იყო შეესრულებინა მისი ბრძანება“. ვენასთან თურქების სასტიკი დამარცხება გიორგი XI-მ იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად ჩათვალა, რომ იტალიური ენის შესწავლას შეუდგა, რათა ამით ესიამოვნებინა კურიის წარმომადგენლებისათვის საქართველოში. ვენის ისტორიული მოვლენების შეფასებაში გიორგი სავსებით მართალი იყო. ვენასთან დამარცხებული და შემდეგ დასავლეთში ბრძოლებით დაკავებული თურქეთი ძალუმად ვერ შეუტევდა საქართველოს. ამ მოვლენასთან კავშირში უნდა განვიხილოთ ის ამბავი, რომ XVII ს-ის მიწურულს თურქეთი ვერ ერეოდა იარაღის ძალით საქართველოში მიმდინარე ამბებში.

დაბოლოს, ჩვენი აზრით, გიორგი XI-ს მიერ კათოლიკობის მიღების სურვილი არ უნდა ავხსნათ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით. მართალია, არ გაგვაჩნია, არცერთი წყარო, რომელიც გაგვარკვევდა, თუ რატომ მისცა გიორგი XI-მ კათოლიკურ დოქტრინებს უპირატესობა, ან რამდენად ერკვეოდა იგი კათოლიკურ პრინციპებში, მაგრამ სავარაუდოა, რომ მისთვის კათოლიკობა ნიშნავდა უფრო პროგრესულ ძალებთან კავშირს. იგი იყო საშუალება დასავლეთის ქრისტიან მონარქებთან კავშირისა და ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარებისა. ამ მიზანს უნდა მომსახურებოდა მის მიერ იტალიური ენის შესწავლაც. მისიონერებთან მჭიდრო კონტაქტში მყოფმა მეფემ, ალბათ, კარგად გაარკვია, თუ რაში მდგომარეობდა ცენტრალიზებული და ეროვნული ევროპული სახელმწიფოების სიმტკიცე.

მაშასადამე რა უშლიდა ხელს საქართველოში გაკათოლიკებას? ამაზე ვპასუხობთ კაპუცინი პატრის დიონიჯო კარლის სიტყვებით, რომელიც წერს: „ქართველები ფრანგებისადმი (კათოლიკებისადმი – ავტ.) დიდი თანაგრძნობით არიან განწყობლინი. ისინი ჩვენ მეზობლად რომ ყოფილიყვნენ და შეგვძლებოდა მათთვის საჭირო შემწეობა აღმოგვეჩინა, ეჭვი არაა ყველა გაკათოლიკდებოდა“[1]. მსგავსი წყაროების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ახლა მოვლენების განვითარებას მივყვეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. როგორც თავის ადგილზე ვთქვით, 1687 წლის გაზაფხულზე რომის პაპთან ელჩად გაგზავნილ ანჯელო ფილინელს მიჰქონდა გიორგი XI-ის წერილი ინოკენტი XI-თან. ამავე პატრს ასევე მიჰქონდა პაპთან გიორგი მეფესთან ძალზე დაახლოებული პირის ეპისკოპოს ექვთიმე რატიშვილის წერილი, რომელიც 1687 წლის 2 მაისითაა დათარიღებული. ამ ეპისკოპოსს კათოლიკობა მიუღია 1685 წლის 20 დეკემბერს. იგი ხსენებულ წერილში ადიდებდა პაპს და „მის უწმიდესობას კათოლიკობის აღიარებით ეამბორებოდა“. „ამას ჩავდივარ, – წერდა ექვთიმე პაპს, – არა მარტო გარეგნულად, ხორციელად, არამედ სულითაც, რომელიც თქვენი სიყვარულით სავსე გვაქვს, თუმცა კი შორს ვიმყოფებით“. წერილის ბოლოს მოკლედ ჩანს ის მთავარი სათხოვარი, რასაც მიზნად ისახავდა ეს ეპისტოლე. „ამასაც მოგახსენებთ, – ვკითხულობთ ამ წერილში, –

[1] **დიონიჯო კარლი,** თბილისის აღწერა, გვ. 176.

რომ ღვთისაგან კურთხეული ჩვენი მეფე გიორგი, საქართველოს ყველა ეპისკოპოსი, მღვდელი, მონაზონი და ერისკაცნი დიდად მოხარულნი არიან თქვენს გაძლიერებასა და თქვენი მტრების დამარცხებაზე. ამისათვის ვევედრებით ღმერთს, რომ უმეტესად გაგაძლიეროთ და აღამაღლოს თქვენი მარჯვენა, ეგრეთვე უყოს თქვენთა შვილთა მთავრებსაც, რომლებიც თქვენი მორჩილი და ერთგულნი არიან"[1].

როგორც ვხედავთ, დამაჯერებელი ტონით დაწერილ ამ წერილში ეპისკოპოსი ექვთიმე პაპს, ვითარცა კათოლიკე სუვერენთა სულიერ მეთაურს, ულოცავდა ვენასთან თურქებზე გამარჯვებას. მის წერილს, როგორც გაკათოლიკებული სასულიერო მესვეურისას, გარკვეული ეფექტი უნდა მოეხდინა პაპის კარზე და გამოხატავდა ქართლის სამეფოს სასულიერო პირთა დამოკიდებულებას გიორგი მეფის ევროპული პოლიტიკის მიმართ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ექვთიმე ეპიკოპოსი და სხვა ქართველი სასულიერო პირები იზიარებდნენ გიორგი XI-ის ევროპულ საგარეო პოლიტიკურ კურსს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის სამეფოში XVII ს-ის 90-იან წლებში მრავალი სასულიერო და საერო პირი გაკათოლიკდა: გიორგი XI-ის ძმა ლევან ვახტანგის ძე[2], გიორგი არაგვის ერისთავის ძმა, ბარძიმი[3], გიორგი XI-ის ვაჟიშვილ ბაგრატი, მღვდელი აბრაამი, გიორგი XI-ის მწერალი ესტატე, თბილისის მოურავის შვილი სოლომონ თუმანიშვილი და სულხან-საბა ორბელიანი[4]. როგორც პროპაგანდა ფიდეს საქართველოში კაპუცინთა მისიონის საქმიანობის შესახებ ერთ-ერთი ვრცელი ანგარიშიდან ჩანს, იმხანად იმერეთის მეფეს არჩილ II-ს (1690-1691, 1695-1696) ერთი იეზუიტი მამისათვის კათოლიკობაზე მოქცევა უთხოვია[5]. არჩილ მეფის თხოვნის შედეგად, ორი იეზუიტი, დაახლოებით 1690 წელს, მიემართება იმერეთს, „მაგრამ რა მოიმოქმედეს მათ იმერეთში, არაფერი ვიცით" – წერს მ. თამარაშვილი[6]. აღნიშნული წყაროდან კი ჩანს, რომ „...იმერეთის მეფე (არჩილი – ავტ.) 1692 წელს მოინათლა", მაგრამ ეს წყარო არ იძლევა საკმაო საფუძველს, რომ არჩილ მეფის გაკათოლიკება უეჭველ ფაქტად ვაღიაროთ.

პაპმა ინოკენტი XI-მ აღტაცებით მიიღო გიორგი XI-ის ელჩი ანჯელო ფილინელი. მან პაპს გადასცა გიორგი მეფისა და ექვთიმე ეპისკოპოსის წერილები და ზეპირად მოახსენა მათი დანაბარები. პაპმა გიორგი მეფის წერილს, 1688

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 269, 693.

[2] გიორგი XI-ის ძმამ, ლევან ვახტანგის ძემ კათოლიკობა მიიღო 1688 წლის 19 დეკემბერს. **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 265.

[3] ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი // გორის გორის სახელმწიფო სასწავლო ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული №14, გვ. 185-195.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 261-266.

[5] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 44.

[6] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, pp. 588; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 645.

წლის 14 მაისის ეპისტოლეთი უპასუხა. მასში ინოკენტი XI ენით აუწერელ აღტაცებასა და სიხარულს გამოთქვამდა ქართლის მეფის კათოლიკობაზე მოქცევის გამო „ვინაიდან ჩვენი მწყემსობრივი მოვალეობის უმთავრესი ზრუნვა, – წერდა პაპი გიორგი მეფეს, – არის იესო ქრისტეს პატიოსანი სისხლით დახსნილთა სულების ცნობა, ამიტომ ისე არაფერს შეეძლო ჩვენთვის ნუგეში ეცა, როგორც გვანუგეშა თქვენი მოქცევის (კათოლიკობის მიღების – ავტ.) ამბავმა, რადგან ამ თქვენს მოქცევას დიდად ვაფასებთ და იმედი გვაქვს, რომ მაგ თქვენი მაგალითით დღიდან დღე უფრო განეფინოს ეს ჩვენი სარწმუნოება. ღირსეულ ქებას შევასხამთ რა მაგ თქვენს წარჩინებულ მოქმედებას, თქვენს დიდებულებას კათოლიკე ეკლესიის წიაღსა შინა შევიწყნარებთ და გრაცხთ თქვენც ჩვენს მორწმუნე და ქვეშევრდომ მეფეთა შორის“[1].

პაპის მეორე წერილში გიორგი მეფისადმი, რომელიც 1688 წლის 22 მაისითაა დათარიღებული, საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი მისი კათოლიკობაზე მოქცევით გამოწვეული სიხარული რომში. ამის ნიშნად „საჭიროდ ვსცანით, – წერდა პაპი გიორგი მეფეს, – მივუძღვნათ თქვენს დიდებულებას საუკეთესო ხელოვნებით შემკობილი და ვერცხლით შემოჭედილი ღვთისმშობლის ხარების ხატი, რომლის ჩარჩოც აბანოზის ხის არის“. აქვე პაპი ქართლის მეფეს უნიშნავდა მოსანანიებელი შენდობის მრავალრიცხოვან ლოცვებს[2]: პაპმა ასევე მისწერა წერილი ექვთიმე რატიშვილს, რომელიც დათარიღებულია 1688 წლის 14 მაისით. მასში ინოკენტი XI უსაზღვრო სიხარულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ექვთიმე ეპისკოპოსმა კათოლიკობა აღიარა. ამ ფაქტს რომში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან იგი, ერთი მხრივ, ამტკიცებდა თუ რა ნაყოფი გამოიღო საქართველოში კათოლიკობამ და, მეორე მხრივ, საიმედო პერსპექტივებს სახავდა ეკლესიათა გაერთიანების საქმეში. პაპს არც ექვთიმე ეპისკოპოსი დარჩენია დაუსაჩუქრებელი. მას გამოუგზავნა „ერთი ძვირფასი და დიდნახელავი ბარძიმი“[3]. აქვე აღვნიშნავთ: ერთი ცნობის მიხედვით, „...ხსენებული ქვეყნის (საქართველოს – ავტ.) ეპისკოპოსი ექვთიმე, იმავე ქვეყნის მეფეს (გიორგი XI-ს – ავტ.) წერილით უნდოდა გაეგზავნა მის უწმიდესობა ინოკენტი XI-სთან, მაგრამ ამ საქმე სიძნელე შეხვდა“[4]. თუ რაში გამოიხატა ეს, ან რა მიზნით აგზავნიდა გიორგი მეფე რომის პაპთან ექვთიმე რატიშვილს, წყაროებში არ ჩანს. ცხადია, თუ ამ გადაწყვეტილებას მართლა ჰქონდა ადგილი, მაშინ ის დაკავშირებული იქნებოდა გიორგი XI-ის ევროპული პოლიტიკის ამოცანებთან.

ბუნებრივია, აღნიშნული მოვლენების მიღმა არც „პროპაგანდა დე ფიდე“ დარჩენილა. პროპაგანდის კრებამ 1688 წლის 3 აპრილს მოკლე ბარათი გამო-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 271.

[2] იქვე, გვ. 273.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 270-271.

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 43.

უგზავნა გიორგი მეფეს, რომელშიც შექებულია მისი ბრძნული ნაბიჯი, რომ შვილთან ერთად აღიარა კათოლიკური სარწმუნოება. თავის მხრივ პროპაგანდა თბილისის კაპუცინთა პრეფექტს ჯუსტინო ლივორნოელს მადლობის წერილს წერდა, რომ „კათოლიკე ეკლესიას თავიანთი ცდით ესეთი წარჩინებული პირები შესძინეს“. აგრეთვე „გაუგზავნეს სარწმუნოების სიმბოლო, რათა მეფეს, მის შვილსა და მის ძმას გაამეორებინონ აღსარება. ხელი მოაწერონ და ისევ რომში გამოგზავნონ, რათა ასეთი შესანიშნავი საქმე სამახსოვროდ დარჩეს“[1].

რაც შეეხება პატრი ანჯელო ფილინელის მიერ რომში სასწავლებლად ჩაყვანილ 18 წლის თბილისელ სოლომონ ქართველს, იგი 1688 წელს მიიღებს პროპაგანდის კოლეჯში. სწავლის დამთავრების შემდეგ, 1694 წლის იანვარში სოლომონი წავიდა ვიტერბოს პროვინციის პატარა დაბა ბანაიაში და „კაპუცინებთან მონაზონად შევიდა“[2]. ამ მხრივ იგი იტალიელებთან შემონაზვნებული მესამე ქართველი კათოლიკე იყო.

ამრიგად, რომში პატრი ანჯელო ფილინელის ელჩობა წარმატებით დასრულდა. პაპმა გიორგი XI-ის თხოვნა შეასრულა. იგი ჩარიცხეს კათოლიკე მეფეთა რიცხვში და აღიარებულ იქნა პაპის ქვეშევრდომად.

უცნობია, თუ როდის დაბრუნდა რომიდან საქართველოში ანჯელო ფილინელი. ჩანს, იგი თბილისში მაშინ ჩამოვიდა, როცა ქართლიდან განდევნილი გიორგი XI დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აფარებდა თავს. უფრო სავარაუდებელია, მას არც შეხვედრია პატრი ანჯელო და შესაბამისად არც პაპის წერილი უხილავს. ასეც რომ ყოფილიყო, იმ დროს საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, გიორგი XI ვერ მოიცლიდა პაპისაგან გამოგზავნილი წერილის საპასუხოდ. ამის ნათელსაყოფად მოკლედ შევჩერდებით XVII ს-ის უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის განხილვაზე.

მეფე გიორგი XI-ის მთელი საქმიანობა თავისი შინაარსით ირანის საწინააღმდეგო ხასიათისა იყო. იგი მამის პოლიტიკას არა მარტო აგრძელებდა, არამედ უფრო რადიკალურიც იყო და საიდუმლოდ ემზადებოდა ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის[3]. შაჰი ჩქარა დარწმუნდა, რომ გიორგი ნაკლებად აპირებდა მორჩილებას. მან ქართლიდან არ გააძევა არჩილი, რომელსაც შაჰი დაჟინებით მოითხოვდა. პირიქით, არჩილი გიორგის დახმარებით არაერთხელ გამეფდა იმერეთში. ნიჭითა და სიმამაცით დაჯილდოებულ არჩილ მეფეს, რომელიც ხან კახეთის ტახტზე ავიდა, ხან კი იმერეთისა, ბედმა არ არგუნა გამხდარიყო დიდი მმართველი. ამისათვის მეცნიერებით გატაცებულ მეფეს არაფერი არ აკლდა, გარდა იმისა, რომ მას მოუწია ეცხოვრა ისეთ საქართველოში, სადაც

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 273.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 142.

[3] **გვრიტიშვილი დ.,** ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), ტ. 2, თბ., 1965, გვ. 458.

მტრობა, შური, გაუტანლობა, შინაფეოდალური და დინასტიური ომები ცხოვრების წესად იყო ქცეული. მოკლედ, ძნელია მოიძებნოს იმდენი საშინელი სამოქალაქო ომები, რაც საქართველომ გადაიტანა 1661 წლიდან 1698 წლამდე. ამიტომ შემთხვევითი არ იყო პატრი დიონიჯო კარლის სიტყვები, რომ საქართველოს მართვას, „თვით მაკიაველიც კი ვერ გაართმევდა თავსო“.

გიორგი XI აქტიურად ერეოდა იმერეთის საქმეებში. ამავე დროს იგი კახეთის ხანის განსადევნად ემზადებოდა. აქ მას ძლიერი მომხრეები ჰყავდა[1]. 1688 წელს კახეთის მოსახლეობამ თხოვნით მიმართა გიორგის, რათა დახმარებოდა ყიზილბაში მმართველის განდევნაში. მან გადაწყვიტა, ესარგებლა ამ მომენტით და ქართლ-კახეთი გაეერთიანებინა, მაგრამ მისი ეს გეგმა შინაური ღალატის გამო ჩაიშალა.

ირანის შაჰი ინტრიგების ქსელს აბამდა გიორგის წინააღმდეგ. ამ საქმეში მას საიმედო მოკავშირეებად ქართლის თავადთა ის ჯგუფი მიაჩნდა, რომელიც გიორგის ეურჩებოდნენ. რენეგატი თავადები ხარბად დაეწაფნენ შაჰ ჰუსეინის ქრთამს. განდგომილ თავადთა რიგებში იყვნენ არაგვის ერისთავი გიორგი, მუხრანის ბატონი ერეკლე, იესე და სარგის მაჩაბლები და სხვები. გიორგი არ შეუშინდა შაჰის რისხვას და რენეგატ თავადთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღო[2].

ახლა შაჰის კარზე მიზეზს ეძებდნენ გიორგის გადასაყენებლად. იგი ირანში დაიბარეს, მაგრამ მან ეს თხოვნა არ შეასრულა და იმერეთში გადავიდა. ყოველივე ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ დიდი ყოყმანის შემდეგ ირანში მყოფმა ერეკლე ბატონიშვილმა მაჰმადიანობა მიიღო და 1688 წელს ქართლის ტახტზე ავიდა ნაზარალი-ხანის სახელწოდებით.

ერეკლე I ქართლს 1688-1703 წლებში განაგებდა. მან შეცვალა ქვეყნის ანარქიული მდგომარეობა. მის დროს ქართლ-კახეთში ირანის ხელისუფლება განმტკიცდა, რასაც მოჰყვა აქ სპარსული ზნე-ჩვეულებების დამკვიდრება. თავადებს არ მოსწონდათ ქართული წესების „დამშლელი“ ერეკლე. ისინი კვლავ გიორგი მეფეს ეფიცებოდნენ ერთგულებას და ტახტზე იწვევდნენ.

1691 წელს გიორგი ქართლში შემოვიდა. ოთხი წელი გაგრძელდა პარტიზანული ბრძოლა გიორგისა და ერეკლეს მომხრეებს შორის. იმერეთიდან ხელახლა გამოძევებული არჩილი გიორგისთან ერთად იბრძოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ. მისი მიზანი კახეთის ტახტის დაჭერა იყო, მაგრამ დამარცხდა. 1695 წელს გიორგი ისევ იმერეთში გადავიდა. ერეკლე ქართლ-კახეთის ტახტზე დაემკვიდრა.1691 წლის 22 ოქტომბერს თბილისიდან კაპუცინთა პრეფექტი ჯულიო კრემონელი წერდა: „მეფე[3] ოთხჯერ მოვიდა ჩვენთან თავისი გამოჩენილი სწავლულებით. გარდა ამისა, ყველაზე გამოჩენილი ქართველი სწავლულები მოდიოდნენ ჩვენთან ცალ ცალკე, ასევე ყველაზე დიდგვაროვანი ქალბატონე-

[1] **ბერძენიშვილი ნ.,** საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1973, გვ. 280.

[2] **გვრიტიშვილი დ.,** ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), ტ. 2, გვ. 459-460.

[3] იგულისხმება – ქართლის მეფე გიორგი XI.

ბიც; როცა მათ ნახეს ჩვენი კარგად მორთული ეკლესია, ლამაზი საკურთხეველი და შესანიშნავად დალაგებული და მოწყობილი გარემოება, ყველა უკლებლივ ადიდებდა უფალს, გვეუბნებოდნენ, რომ კათოლიკური ეკლესია[1]- ეს ნამდვილი დედაა ქრისტიანების, რომ მხოლოდ კათოლიკეები ზრუნავენ ჭეშმარიტად უფლის დიდების ამაღლებისათვის და მისი კულტის სილამაზისათვის. [ასევე გვეუბნებოდნენ], რომ [კათოლიკეები] არ აქცევენ ყურადღებას საერო საზრუნავს, როგორც ამას სხვა სექტებში აკეთებენ, სადაც სხვა მიზანია და საკუთარი ხეირის გარდა სხვას არას ეძებენ"[2]. გიორგი მეფის იარაღის ძალით გამარჯვება მისიონერებს საქმიანობის წინსვლის გარანტად მიაჩნდათ. ამავე წერილში ის აგრძელებს: „... თუკი უფალი გიორგი მეფის[3] იარაღს წარმატებას მოუტანს; ეს მეფე[4] ამჟამად დაეუფლა იმერეთს და დაიკავებს კოლხიდას[5] და ამგვარად იმზადებს ნიადაგს საქართველოში[6] შემოსაჭრელად და დასაკავებლად, მით უფრო, რომ მის მხარეზე არის ყველა დიდი მოაზროვნე".[7]

ასეთ ანარქიულ მდგომარეობაში დიდად უნდა შეშლოდა ხელი მისიონერთა საქმიანობას, მაგრამ პირიქით მოხდა. თბილისის მისიონი წარმატებით განაგრძობდა მუშაობას. რაც შეეხება გორის მისიონს, აქ 1684 წელს მამა კარლო პეშელის გარდაცვალების შემდეგ პატრები არ იყვნენ. მათი მონასტერი და ქონება, ჩანს, სომხების ხელში გადავიდა. კაპუცინთა პრეფექტი პატრი ჯულიო კრემონელი 1689 წელის წერიილთ რომიდან ითხოვდა 64 თუ 70 პიასტრს, რათა დაებრუნებინათ გორის მონასტერი და რიგიანად მოეწყოთ ის. სათანადო სახსრების გარეშე გორში კათოლიკე პატრის გაგზავნა საძნელო საქმე იყო[8].

კაპუცინი პატრები განუწყვეტლივ ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, ისევ გამოეცოცხლებინათ გორის მისიონი და აღედგინათ ომის შედეგად დანგრეული სახლი და მონასტერი. ამისათვის კაპუცინთა პრეფექტი პროპაგანდას სთხოვდა 200 სკუდოს გამოგზავნას[9]. რაც შეეხება „გორის მაცხოვრებლებს, ისინი კარგად იყვნენ განწყობილნი წმინდა სარწმუნოების მიმართ და სურდათ, რომ მათი შვილები კაპუცინ პატრებს გაეწვრთნათ[10]. ამ შემთხვევაში პროპაგანდამ ყურადღე-

---

[1] იგულისხმება – თბილისის კათოლიკური ეკლესია.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 417r -418v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 175.

[3] იგულისხმება – ქართლის მეფე გიორგი XI.

[4] ქართლის მეფე გიორგი XI-მ.

[5] იგულისხმება – სამეგრელოს სამთავრო.

[6] იგულისხმება – ქართლის სამეფოში.

[7] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 418v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 176.

[8] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 71-71v.

[9] იქვე, ფურც. 29-30.

[10] იქვე, ფურც. 30.

ბა მიაქცია კაპუცინთა თხოვნას და გორის მისიონის აღდგენისათვის თავდა-პირველად გამოყო 150 სკუდო, რომელიც შემდეგ 180 სკუდომდე გაზარდეს[1]. მიუხედავად ამისა, გორის მისიონმა ვერ შეძლო მუშაობის განახლება და აქ მყოფი მისიონერები თბილისში დაბრუნდნენ[2].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კაპუცინებს ფაქტობრივად აღარ ჰყავდათ ისეთი მფარველი, როგორიც გიორგი XI იყო, თბილისში მისიონის საქმიანობა წარმატებით გრძელდებოდა. 1690 წლის 24 აგვისტოს იეზუიტი იოანე გოსტოვსკი პროპაგანდის ერთ-ერთ კარდინალს აუწყებდა, რომ თბილისში „კათოლიკობა მუდამ დღე ვრცელდებოდა და ახლად გაკათოლიკებუნლნი ხშირად ეზიარებოდნენ წმიდა საიდუმლოებებს“[3]. ამავე იეზუიტს დავალებული ჰქონია ქუთაისში მისიონის დაარსება.

1691-92 წლების სამი დღემდე უცნობი რელაციონეს საფუძველზე შესაძლებელია კათოლიკე მამების საქართველოში ყოველდღიურობის მიახლოებითი სურათის აღდგენა. მისიონის პრეფექტის ჯულიო კრემონელის 1691 წლის 28 ნოემბრის შედარებით ვრცელი რელაციონე ძალზე საინტერესოდ გვიხატავს თბილისის მისიონსა და ქართველთა ბუნებას, ამ უკანასკნელთა მიერ კათოლიკე მამებისადმი დამოკიდებულებას. რამდენადაც ამ თვალსაზრისით რელაციონეში მოცემული ინფორმაცია ძალზე ნიშანდობლივად მიგვაჩნია, მას შედარებით ვრცლად მოვიტანთ. ავტორის თანახმად, თბილისი ეს ის ადგილია, „...სადაც ყველა სამეფოდან ჩამოდიან: აქ აუცილებელია ყველა ხალხს ვანახოთ ჩვენი კულტის (კათოლიკური ეკლესიის – ავტ.) ბრწყინვალება, მსახურების სილამაზე და საეკლესიო მოკაზმულობა, რათა ყოველივე ამით განვამტკიცოთ ჩვენი რწმენის ქადაგება და მასზე გადასვლა. ასე რომ, ვეყრდნობი რა ქვეყანათა შესახებ ჩემს ცოდნას, შემიძლია მთელი რწმუნებით განვაცხადო, რომ თბილისის მისიონი აღმოსავლეთში არსებულ მისიონებს შორის ყველაზე გამორჩეულია. ასეთი აზრი მომისმენია ძალიან გამოცდილი მრავალი ადამიანისაგან, რომლებიც კარგად იცნობენ აღმოსავლეთს. შემდეგ ასეთივე აზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს ჩვენი ბერების მსჯელობის მიხედვითაც, რომლებიც არიან ზრდილობიანები და ნასწავლნი. მათ მიმართ ქართველები დიდ პატივისცემას იჩენენ, მფარველობენ და მიაგებენ უზომო პატივს. რაც უფრო წარჩინებულ ქართველებს აქვთ [მისიონერებთან] საქმე, მით უფრო გვცემს [ხალხი] პატივს. ასევე პატივითა და ღირსებით გვეპყრობა ქალაქში (თბილისში – ავტ.) მაცხოვრებელ სომეხთა დიდი ნაწილი, რომელთა რიცხვი 30 ათასამდეა“[4]. კათოლიკე მამების ყოველდღიური საქმიანობა და ხალხში მათი ავტორიტეტის ძირითადად დასავლეთ ევროპული

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №78, ფურც. 12.

[2] იქვე, №79, ფურც. 1.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 274.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 436v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 179-180.

კულტურის ფორმითაა წარმოდგენილი. „თბილისში ჩვენი ბერები, აგრძელებს ჯულიო კრემონელი, დადიან, სადაც უნდათ, ყოველგვარი შიშის გარეშე, ზუსტად ისე, როგორც ამას იტალიაში აკეთებენ; ჩვენი ბერული[1] ტანსაცმელი არ იწვევს არავისგან დაცინვას. აქ ჩვენ ღვთისმსახურებას ვეწევით ღია კარებში, ვაწყობთ ჯვრის მსვლელობებს საჯაროდ, ასევე ჯვრის მსვლელობას წმინდა შესაწირავით, ვასამარებთ უშიშრად შეურაცხყოფას. აქ ბერებს დიდებულთა კარზე, კერძო სახლებსა და სხვა ეკლესიებში შესვლა შეუძლიათ. მათ ყველგან ძალუძთ დაუბრკოლებლად იქადაგონ. საჯარო სკანდალის საფრთხე არ ემუქრებათ როგორც თურქებს (ე.ი. მუსლიმებს – ავტ.), ასევე ქართველებსა და სომხებს შორის. როცა ჩვენი მისიონერი მიდის ქალაქში, არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც მას გზას არ დაუთმობდა და თუკი მათგან რომელიმეს ძალიან აქვს განვითარებული პატივმოყვარეობა, ბერს არ სჭირდება ინადიროს დიდებაზე, რადგან მას ყველა, ამის გარეშეც, ეთაყვანება და პატივს მიაგებს“[2].

ავტორი თბილისისა და გორის კათოლიკეებს გარკვეულ ფენომენად მიიჩნევს და წერს: „აქაური კათოლიკეები გამოირჩევიან ღვთისმოსაობით, უბრალოებით, ხშირად მოდიან აღსარების სათქმელად, ზიარების მისაღებად და გულდასმით იცავენ ჩვენს წესებს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თავდახურულნი დგანან ეკლესიაში, დგანან მუხლებზე... როგორც ჩანს, იმის შიშით, რომ სხვაგვარად მათ დევნას დაუწყებენ. ყოველივე ამის მნახველმა იეზუიტმა მამა კოსტკოვსკიმ აღტაცებით წამოიძახა: ნეტარი ხართ თქვენ, ვინაიდან იმყოფებით ბარბაროსულ[3] ქვეყანაში, სარგებლობთ ასეთი თავისუფლებით და აკვირდებით დღითიდღე როგორ უფრო და უფრო იზრდება კათოლიკური სარწმუნოება, ვიდრე ჩვენს იტალიაშიო. ასევე იეზუიტმა მამა ლაპოლსკიმ, რომელიც გვეწვია მამა კოსტკოვსკის ერთი წლის შემდეგ, უფრო მეტი აღტაცება გამოხატა ჩვენს მიმართ; მან ჩვენთან გაატარა 25 დღე, ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა და აღტაცებული დარჩა უკვე აღდგენილი ეკლესიით, მაგრამ ის ყველაზე მეტად გააოცა ჩვენს მისიონში ხალხის მოწყდომამ; უწმინდესი მარიამ ღმრთისმშობლის მიძინების დღესასწაულის დღეს, როცა ნახა, ეკლესიაში ჩვენთან აღსარებაზე სრულიად თავისუფლად და ღიად მოვიდა 80 კაცზე მეტი, მან გულაჩუყებულმა ტირილით გვითხრა: „უფალო, სად ვიმყოფები, პოლონეთშიც კი არ მინახავს, რომ ამდენი ქრისტიანი მოსულიყო აღსარების სათქმელად და ზიარების მისაღებად, როგორც ამ ეკლესიაში“[4].

---

[1] იგულისხმება – კაპუცინი ბერების მათხოვრული წესების შესაბაბამისი სამოსელი.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 436v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 180.

[3] აქ სიტყვა „ბარბაროსი“ გამოიყენება ჩამორჩენილი ხალხის მნიშვნელობით.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 436v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 180.

## *თბილისის კათოლიკეთა ეკლესია-ქრისტიანული ფასეულობის განუყრელი ნაწილი*

პირველწყაროები დაუფარავად ავლენენ, რომ XVII საუკუნის 90-იან წლებში თბილისის კათოლიკეთა მდგომარეობა აღმავლობასა და აყვავებას განიცდიდა. ეს, ერთი მხრივ, გულმოდგინე და ღვთისმოსავი მამების სულიერი მოწოდების აბსოლუტური გამოვლენის შედეგი იყო, ასევე კათოლიკობისადმი მიდრეკილი ქართლის მეფის გიორგი XI-ის მხარდაჭერის ნაყოფი. ამ ორი ფაქტორის გარეშე აღნიშნული შედეგის მიღწევა გამორიცხული იყო. ამ საკითხის სრულად გააზრების მიზნით, აქვე აუცილებელია წარმოვადგინთ თბილისის კათოლიკეთა ეკლესის განახლება-აღდგენის სულისჩამდგმელის, კაპუცინი პატრის, ჯულიო კრემონელის ზოგადი პორტრეტი.

საქართველოში მოღვაწე კაპუცინ მამებს შორის უდავოდ საინტერესოა ჯულიო კრემონელის სასულიერო-მისიონერული საქმიანობა. ამაში ეჭვმიუტანლად გვარწმუნებს 1689-1692 წლებში თბილისიდან წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდესადმი“ მის მიერ გაგზავნილი 11 რელაციონე[1]. აქვე მართებულია თვით ჯულიო კრემონელის საქართველოში საქმიანობის ქრონოლოგიაც შეძლებისდაგვარად დავაზუსტოთ. ჩვენს ხელთ არსებული ვატიკანის საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ რომიდან თბილისის მისიონის პრეფექტად დანიშნული ჯულიო კრემონელი 1687 წლის 2 ნოემბერს ჩამოვიდა საქართველოში[2]. მას მისიონის პრეფექტად ვხედავთ 1692 წლის მარტის თვეშიც[3], მაგრამ როდემდე ედგა მას სათავეში ზუსტად ვერ დგინდება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ „ამ დროიდან, ვიდრე 1698 წლამდე...“ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება წყაროები თბილისის მისიონის შესახებ[4].

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ჯულიო კრემონელი ხუთი თუ მეტი წლის მანძილზე სათავეში ედგა თბილისის კაპუცინთა მისიონს. მისი სამოციქულო საქმიანობის გვირგვინს წარმოადგენდა ქართლის სამეფოს მდივან-ბეგის ბარძიმ ერისთავის (1688-1692) 1689 წელს კათოლიკობაზე მოქცევა[5]. როგორც ხსენებული რელაციონებიდან ჩანს, ჯულიო კრემონელის ჭეშმარიტი მისიონერული საქმიანობის შედეგად თბილისისა და გორის მისიონი დიდ აღმავლობას

---

[1] დაწვრ. იხ: ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 159-203.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 393r.

[3] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 417r.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 288.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 288; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 580; **მისივე**, ქართული ეკლესია..., გვ. 638.

განიცდიდა[1]. ეს რელიეფურად ასახულია მის მიერ პროპაგანდაში გაგზავნილ რელაციონებში, რომელთაგან ინფორმაციულობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯულიო კრემონელის ერთ ვრცელ ანგარიშს გორსა და თბილისში კათოლიკეთა მდგომარეობისა და მის მიერ თბილისში კათოლიკეთა ეკლესიის ფაქტობრივად ხელახლა აშენებისა თუ განახლება-შეკეთების შესახებ[2]. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი წერს: „...უფროსი პატრი ჯულიო 1692 წელს რომში სწერს და ანგარიშს აძლევს რომიდგან წამოღებულის და დახარჯულის ფულებისა, რომელთა რიცხვში 505 სკუდო დაუხარჯავს მონასტრისა და ეკლესიის შეკეთებაზე“[3].

როგორც ვთქვით, ჯულიო კრემონელს 1689-1692 წლებში კაპუცინ მისიონერთა პრეფექტის თანამდებობა ეკავა. ამდენად, მისი ცნობები მეტად ფასეულია და შეიძლება უფრო ვენდოთ, რადგან მისიონის პრეფექტი პროპაგანდას, ცხადია, მისი ფიციდან გამომდინარე, მცირეოდენი გაზვიადების გამორიცხვით, ზუსტ ინფორმაციას მიაწვდიდა. ამდენად, ამ რელაციონებში ქართლის სამეფოში კათოლიკე მისიონერთა ყოველდღიურობა და ქართულ სამყაროში მომხდარი მრავალფეროვანი უტყუარი ამბებია წარმოდგენილი.

ერთი სიტყვით, ჯულიო კრემონელი დასახელებულ ანგარიშში სრულ სურათს წარმოგვიდგენს თბილისის კათოლიკეთა ეკლესიის მდგომარეობისა და მის გასაახლებლად გაწეული სამუშაოების შესახებ. მოკლედ, იგი ნათლად წარმოგვიდგენს, ერთი მხრივ, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა აღდგენამდე თბილისის კათოლიკეთა ეკლესია, რა სახის სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა და, მეორე, თუ რა როლი მიუძღვით ამ საქმეში ქართველ მესვეურებს. პირველ ფაქტორთან დაკავშირებით ჯულიოს 1691 წლის 22 ოქტომბრის წერილში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ძნელი იყო დასანახად თბილისის კათოლიკეთა ეკლესია, რომელიც „...საშინელი სახის სამჭედლოს...“ ჰგავდა, რომლის აღწერა ავტორს საძნელო საქმედ მიაჩნდა[4]. ამ მოკლე განცხადების შემდეგ ის შედარებით ვრცლად აღწერს, თუ რა სახე ჰქონდა აღნიშნულ ეკლესიას. „ჩვენი ეკლესიის დანახვაზე როგორ შეიძლებოდა მოკრძალებული გრძნობით საუბარი, როცა იგი იყო გატიალებული, შავი, როგორც ნახშირი, ნახევრად დანგრეული. საკურთხევლის რაიმე მორთულობის გარეშე, შიშველი და უგვანო? როცა მე ჩამოვედი [თბილისში] და შევედი ეკლესიაში და ვნახე იგი რა მდგომარეობაშია, კინაღამ მოვკვდი გულისტკივილისაგან. როცა მოვისმინე ჩვენი ზარების რეკვა, რომელთაგან ყველაზე დიდი გაბზარული იყო და ცუდად დადგმული, მაშინვე ვთქვი: ძალიან კარგი, ყვე-

---

[1] დაწვრ. იხ: ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 160, 164, 168.

[2] ეს რელაციონე დღემდე უცნობი იყო. დაწვრ. იქვე, გვ. 187-201.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 288.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 437r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 180-181.

ლაფერი მიდის კარგად, ეკლესია უშნოა, ზარი გაბზარულია, თავშესაფარი აკლებულია და დანგრეული, მისიონი უფულოდაა, უკეთესს ვერ ინატრებ"[1]. აქედან გამომდინარე, ჯულიომ სამოქმედო გეგმა დასახა. ის წერს: „ამიტომ მისიონერთა სახიდან ამ სირცხვილის ჩამოსარეცხად უნდა შეწყდეს ეკლესიაზე დაცინვა, რათა შევარცხვინოთ ერეტიკოსები და წავართვათ აბუჩად აგდების საბაბი. ჩვენს ბერებთან ერთად საჭიროებისამებრ გავისარჯე, რათა აღმედგინა დანგრეული, ხელი მიმეშველებინა ნგრევის პირას მყოფისათვის, გადამეხურა უგვანო და ღვთაებრივი კულტისთვის დამებრუნებინა ის მშვენიერება, რომელიც დამახასიათებელია იტალიური ეკლესიისათვის"[2]. დაბოლოს, ავტორი ასკვნიდა: „ეს შევძელი უფლისა და ჩვენი კათოლიკე ეკლესიის დიდებისათვის, სარწმუნოების გავრცელების სარგებლობისათვის"[3].

დასახული მიზნის განხორციელება სრულად არ იყო ადვილი საქმე. უპირველეს ყოვლისა, როგორც ყოველთვის, პროპაგანდის ხელმომჭირნეობის პირობებში, ადგილზე აუცილებელი სახსრების მოძიება რთული იყო. საკუთრივ ჯულიოს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მან ეკონომიის, მორწმუნეთაგან საჩუქრების, მოწყალების მიღების, წირვისაგან ჯილდოების მიღების შედეგად შესძლო 298 სკუდოს მოგროვება, რაც იძლეოდა საშუალებას თითქმის დანგრევის პირას მყოფი ეკლესიის აღსადგენად[4]. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო და მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ პრეფექტი ჯულიო დიდ იმედებს ამყარებდა ქართლის მეფე გიორგი XI-ზე, რომელიც სწორედ ამ დროს იმერეთში იყო გადახვეწილი ერეკლე I-თან გაჩაღებული ბრძოლის გამო. ის წერდა: „ეს მისია საჭიროებს გიორგი მეფის მოსვლას, რადგან დიდი ხარჯების გარეშე შეუძლებელია ეკლესიის წესრიგში მოყვანა, რათა მასში შესაძლებელი იყოს საჯაროდ მსახურება"[5]. ასევე თბილისის კათოლიკეთა ეკლესიისადმი გიორგი მეფის უანგარო შემწეობაზე მიუთითებს მეორე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ჯულიოს თანახმად, „...ამ ქვეყნებში საკმეველი და თანაც კარგი საკმეველი ძალიან ძვირი ღირდა..."[6]. თბილისის მისიისათვის 25 სკუდო სრულიად უკმარისი იყო

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 438r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 174.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 438r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 174.

[3] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 438r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 174.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 438r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 189.

[5] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 437v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 184.

[6] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 437v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 184.

საკმეველის, ზეთის ანდა ცვილის შესაძენად[1]. აქვე ჯულიო გვაუწყებს: „როცა გიორგი მეფე იყო, წინამორბედ მისიონერებს შეეძლოთ იმდენი ცვილი და საკმეველი ეხარჯათ, რამდენსაც მოისურვებდნენ, რადგან ეს გულუხვი მეფე მათ ჩუქნიდა 36 სანთელს, რომელიც თითოეული 6 უნცია ღირდა. მაგრამ მე მისი გულუხვობით სარგებლობა ვერ შევძელი, რადგან იგი გააძევეს“[2].

თუ რა სახის აღდგენითი სამუშაობი ჩაუტარდა თბილისის კათოლიკეთა ეკლესიას, ხსენებული „ანგარიში“ შემდეგ სურათს გვაძლევს: პირველ რიგში ეკლესიისათვის გამოუცვლიათ ყველა ფანჯარა და ჩამოუფარებიათ თხელი ქსოვილის ფარდა, რათა მეტი შუქი მოფენოდა ეკლესიას. თუ წინათ საკურთხეველი სრულიად ცარიელი იყო, ახლა მისთვის დაუმზადებიათ ქაღალდისა და აბრეშუმისაგან ყვავილები, შირმა, კიბე, გლორიას ქსოვილი, შანდლები და ყვავილებისათვის ლარნაკები[3]. საკუთრივ საკურთხეველი გაულესავთ და მისი ნაწილი გაუთეთრებიათ. პირველ წელს ჩატარებული ეს სამუშაო 8 პიასტრი დამჯდარა[4].

ეკლესიის აღდგენა-განახლება შემდეგში, როგორც ჩანს, უფრო ინტენსიურად გაგრძელდა. გამოუჭრიათ ახალი გვერდითი ფანჯარა, ხოლო წინა ფასადის ფანჯარა გაუდიდებიათ, რათა ეკლესიაში მეტი შუქი შესულიყო. იატაკზე მთლიანად ახალი ფილები დაუგიათ; მთელი ეკლესია გაუთეთრებიათ, რაც ამ მხარის არქიტექტურისათვის სრულიად უცნობი იყო. „ამის შემდეგ, წერს ჯულიო, – გავაკეთე კარავი, რომელიც ფარავს საკურთხევლის მთელ სივრცეს; მისი დამზადებისათვის გამოვიყენე ქერელის მაგარი და სქელი ქსოვილი, რომელიც სამ-ოთხ ფენად დავფარე ცარცითა და წებოთი. შემდეგ მასზე გავაკეთე ყვავილის ორნამენტი და შევღებე ჯიღჯიღა ვერცხლითა და მინის კილიტებით გავაწყე, რათა ის დამსგავსებოდა მდიდრულ ქსოვილს...თვით წვერზე არის დიდი მოვერცხლილი გვირგვინი, რომელზე არის დაკიდული ეს ნაგებობა. ეს გვირგვინი საკურთხეველზე ბალდახინის ფუნქციას ასრულებს; მის სიღრმეში გამოსახულია სულიწმიდა მტრედის სახით, რომელიც ციდან ეშვება საკურთხეველზე ოქროს სხივებს შორის. თითქმის მთლიანად გადაკეთდა საეკლე-

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 437v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 184.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 437v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 184.

[3] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 437v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 184.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 440r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 191.

სიო ჭურჭლის საცავი, გამოიცვალა მისი იატაკი და თავიდან ბოლომდე იქნა გალესილი. კანდელებისათვის დამზადდა ლითონის მხარიხე“[1].

მთელი ეკლესია იატაკიდან ჭერამდე იქნა მოხატული. თუ ვერწმუნებით ჯულიოს, ეს სამუშაო მას პირადად შეუსრულებია. ის პირველ პირში წერს: „ამის შემდეგ მთელი ეკლესია იატაკიდან ჭერამდე მე მოვხატე“[2]. ასევე წერს სხვაგანაც: „...ამის შემდეგ მე გავაკეთე კარავი“[3]. როგორც ირკვევა, ჯულიო კრემონელი აღნიშნულ საქმეში გაწაფული იყო. ცხადია, ეს დიდი ეკონომიას აძლევდა მისიას.

საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით „ანგარიშში“ სააღსარებოს აგების შესახებ. მეტი სიცხადისათვის მთლიანად მოვიტანთ ამ ცნობას: „შემდეგ აგებული იქნა ფიცრისაგან სამი სააღსარებო, რომელიც სრულიად შეესაბამება ჩვენს იტალიურ წესს, ორი ქალებისათვის და ერთი მამაკაცებისათვის. მან მეტწილად დაამშვენა ჩვენი ეკლესია და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მხოლოდ კათოლიკეებზე, არამედ ბერძნული წესის ქართველებსა და სომხებზე, რომლებიც არ იღლებიან აღსარების წმინდა წესების ქებით, განსაკუთრებით ქალების მიმართ. აქამდე მღვდლები აღსარებას იღებდნენ პირისპირ. ახლა კი, როცა სააღსარებო გაჩნდა, ყველას მოეწონა ეს წესები იმდენად, რომ ვფიქრობ ერეტიკოსებს საკუთრივ სურთ იგივეს გაკეთება“[4].

საგანგებოდ მოწესრიგდა ბაპტისტერია, რომელიც ყველაზე უბადრუკ მდგომარეობაში ყოფილა. „ჩვენ დავანგრიეთ ტიხარი, – ვკითხულობთ „ანგარიშში – ,,რომელიც მას გამოყოფდა ეკლესიისაგან და ჩავდგით მაგარი კარი, რომელიც მოვრთეთ ფრიზითა და ფაქიზი ძერწილი მოკაზმულობით, როგორც მთელი ბაპტისტერიის სივრცე; ბაპტისტერიის კარი და შიდა სარტყელი დავფარეთ ვერცხლით. ამის შემდეგ შეიღება ღობე და ისიც დაიფარა ვერცხლის გადასახურით. ამდენად, მთელ ეკლესიაზე დაიხარჯა დიდი ზომის 1200 ვერცხლის ფირფიტა, რომელთაგან 800 ძღვნად მივიღე ჩვენი ახალი კათოლიკე დივან ბეგისაგან“[5]. ამ უკანასკნელს ასევე ვერცხლის ქსოვილი უჩუქებია ჯულიოსათვის, რათა დაემზადებინათ ფარდები ერთფეროვანი მანტიისათვის[6].

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 440r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 191.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 445v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 196.

[3] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 445v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 196.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 445v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 196.

[5] ე.ი. ქართლის სამეფოს მდივანბეგ ბარძიმისაგან.

[6] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446r. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 197.

ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი, რომელიც ეკლესიის ზარების შეცვლასა და ახლების შეძენას ეხება. როგორც ჯულიო იუწყება, აქამდე თბილისის კათოლიკეთა ეკლესიას ორი ზარი ჰქონია, ერთი პატარა 25 ფუნტის წონის, ხოლო მეორე – 140 ფუნტის. ორივე ზარი გაბზარული ყოფილა და რეკვისას შესაბამისად ჟღერდა. აი, როგორ გადმოგვცემს ის ამ ფაქტს: „ძალიან ვწუხდი, რომ ამ ქვეყანაში არ იყვნენ სამსხმელო საქმის ოსტატები, რათა ზარები გადაგვეკეთებინა; მეტისმეტად მრცხვენოდა ზარის ასეთი ბგერადობის გამო, რადგან მასზე თავს იქცევდნენ ერეტიკოსებიც. სირცხვილი იყო მისი საშინელი ზრიალი და უცებ გასულ წელს[1] ბედმა გამიღიმა: მოსკოვიდან ერთმა სომეხმა მღვდელმა ჩამოიტანა ორი ახალი და ძალიან კარგი ზარი. რამდენადაც ის იძულებული გახდა ისინი გაეყიდა, რათა ვალები გაესტუმრებინა, მე ისინი მისიონერთა სრული თანხმობითა და მოწონებით ვიყიდე. მათ მირჩიეს ხელიდან არ გამეშვა ასეთი შესაძლებლობა, რადგან ამ მხარეებში ასე იაფად მას ვერ შევიძენდი. ორივე ზარი 350 ფუნტი წონის სულ მცირე 38 ცეხინი ღირდა და საერთოდ აქ ზარი უფრო ძვირია, ვიდრე იმავე წონის ოქრო“[2]. ასეთი ბრწყინვალე ზარების შეძენამ თავისთავად განაპირობა ასევე საუცხოო სამრეკლოს აგება, რადგან ასეთი რამ, როგორც ირკვევა, კათოლიკეთა ეკლესიას არ გააჩნდა[3]. „ანგარიშში“ ვკითხულობთ: „ზარების წონის შესაბამისად ავაგეთ სამრეკლო... მისი აგება დამიჯდა სულ მთლად 6 პიასტრი, რადგან მის მშენებლობაში მონაწილეობდა 5 თუ 6 ადგილობრივი კათოლიკე“[4], წერს ავტორი.

ერთი სიტყვით, ამავე წყაროზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ამ აღდგენა-განახლების შემდეგ თბილისის კათოლიკეთა ეკლესია ერთ „...პატარა სამოთხეს წარმოადგენდა...“[5]. თუ რატომ უნდა ყოფილიყო ეს ეკლესია ყველაზე წარმტაცი, ასეთ დასკვნას გვთავაზობს ღრმად დაკვირვებული ჯულიო: „თბილისში მდებარეობს სამეფო რეზიდენცია და საერთოდ ეს ადგილია, სადაც ყველა სამეფოდან ჩამოდიან; აქ აუცილებელია ყველა ხალხს ვაჩვენოთ ჩვენი კულტის დიდებულება, მსახურების სილამაზე და საეკლესიო მოკაზმულობა...“[6]. თბილისში,

---

[1] ანგარიში დაიწერა 1691 წლის 28 ნოემბერს. თუ ამას ავიღებთ ამოსავლად, მაშინ გამოდის რომ ზარები შეუძენიათ 1690 წელს.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 198-199.

[3] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 198-199.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 198-199.

[5] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 198-199.

[6] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 198-199.

ამ მეტად ძვირ ქალაქში[1], ჯულიოს სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლებელია კაპუცინთა სიღარიბის ფილოსოფიის დაცვა[2]. „ამიტომ პრეფექტმა ეს მისია, როგორც მას ეკადრება ისე უნდა შეინახოს, ანდა თავი უნდა დაანებოს მას.“[3] „სხვათა შორის, – დასძენდა ჯულიო, – გიორგი მეფისათვის მე დამიმზადეს 8 სკუდოს ღირებულების ოქროს ბეჭედი“[4]. აღნიშნულთან დაკავშირებით ნიშანდობლივია სინამდვილის ჯულიოსეული აღქმა: „აღმოსავლელი ადამიანები, – წერს ის, – ვიდრე ნებისმიერი სხვა, ძალიან მგრძნობიარენი არიან გარეგნობისადმი და, თუმცა ზოგიერთი რეაგირებს, როცა მათ ეუბნებიან, რომ ჩვენ მივიღეთ სიღარიბის აღთქმა უფლისადმი სიყვარულის გამო, თუმცა შეუძლებელია უწინდებურად დავრჩეთ ღარიბები. ისინი თვით არასოდეს იყენებენ კულტის უბრალო საგნებს, არამედ მხოლოდ ძალიან ლამაზსა და ძვირფასს არჩევენ. ამიტომ მინდა გითხრათ, თუკი გვიგზავნით სამოსელსა და ეკლესიისათვის ხატის მოჭედილობას, მაშინ ის უნდა იყოს ლამაზი, განსაკუთრებით სამოსელი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს შეკერილი აბრეშუმისაგან და არა ისეთი, როგორც ადრე გამოგვიგზავნეთ, რადგან აქ ასეთი რამით სარგებლობა არ შეიძლება. ასეთი საგნების გამოყენება აქ სამარცხვინოა, თუ არა სასკანდალო. და თუკი არ არის შესაძლებლობა ასეთი ლამაზი საგნების გამოგზავნისა, მაშინ უმჯობესია გამოაგზავნოთ ფული, რადგან აქ ყველაფრის დამზადება შეიძლება“[5].

დაბოლოს, ჯულიოს სიტყვებით რომ ვთქვათ, თბილისის ამ „სამოთხის სადარ“[6] ეკლესიას ოთხჯერ ეწვია მეფე გიორგი XI. ამის შესახებ მოვუსმინოთ თვით პატრს: „მეფე [გიორგი XI – მ.პ] ოთხჯერ მოვიდა ჩვენთან თავისი ყველაზე გამოჩენილი სწავლულებით. გარდა ამისა, საქართველოს ყველაზე ცნობილი სწავლულები ჩვენთან ცალკეც მოდიოდნენ, ასევე ყველაზე წარჩინებული ქალბატონებიც; ყველანი, როცა ხედავდნენ ჩვენს კარგად მორთულ ეკლესიას, ბრწყინვალე საკურთხეველს და ლამაზ გარემოს, არ იღლებოდნენ უფლის დიდებით და გვეუბნებოდნენ, რომ კათოლიკური ეკლესია ეს ნამდვილად ქრისტიანთა დედაა, რადგან კათოლიკეები ნამდვილად არ არიან დაკავებულნი საკუთა-

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 198-199.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 200.

[3] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 200.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 200.

[5] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 200.

[6] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 446v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 200.

რი საერო საზრუნავით, როგორც ამას სხვები აკეთებენ...“[1]. და რაც უფრო საგულისხმოა: კათოლიკე პატრები და საკუთრივ ჯულიო მელიკოკელი საქართველოში კათოლიკობის წინსვლას უშუალოდ უკავშირებდნენ გიორგი XI-ის მიერ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის წარმატებით დასრულებას. 1691 წლის 22 ოქტომბერს ის რომს ატყობინებდა: „ამ მხარეებში წმინდა ეკლესია დიდებით შეიმოსება, თუ უფალი მეფე გიორგის იარაღს წარმატებას მოუვლენს; ამ მეფემ ახლა დაიკავა იმერეთი და იმორჩილებს კოლხეთს და ამგვარად ამზადებს ნიადაგს ქართლის დასაკავებლად. მას ამ საქმეში უკვე მხარს უჭერენ ქვეყნის მთავარი ინტელექტუალური ძალები“[2].

ჯულიო კრემონელს უყურადღებოდ არ დარჩენია თბილისის კათოლიკური ეკლესიის ყოველდღიურობა. ზემოდასახელებილი წლების ეს სურათი ასე გამოიყურება. ჯულიოს მეცადინეობის შედეგად დაუსრულებიათ თბილისის თავშესაფარის მშენებლობა[3]. ასევე დაუმთავრებიათ და კეთილ მოუწყვიათ სამზარეულო. რაც შეეხება ძველ სამზარეულოს, იგი საცხოვრებელ ოთახად გადაუკეთებიათ, სადაც ძირითადად სტუმრებს ათავსებდნენ.[4] მოამზადეს პურსაცხობი და ამისათვის ყველა იარაღი შეიძინეს. თუ რატომ გახდა ეს საჭირო, ჯულიო წერს: „ეს გაკეთდა იმისათვის, რათა პურის ყიდვის ხარჯის ეკონომია გაგვეკეთებინა... ასევე იმისათვის, რომ პური გამოგვეცხო ჩვენი ევროპული წესის მიხედვით...“[5]. საწყობსა და ორ სხვა სათავსში გაუკეთებიათ საიდუმლო საკუჭნაო, რათა აჯანყების ან ომის შემთხვევაში დაემალათ მეტად აუცილებელი საგნები[6]. ბოსტნის მოსარწყავად წყლის დიდი ავზი დაუდგამთ, რამაც მოსავლიანობა დიდად გაზარდა და მისიის ხარჯები კვებაზე მნიშვნელოვნად შეამცირა. „...გვაქვს რა ბოსტანი, – წერდა ჯულიო, – იგი ჩვენთვის არანაკლები ნუგეშია და შველა... ბერებისათვის ბოსტანი გასართობ ადგილსაც წარმოადგენს, რათა მის ირგვლივ ისეირნონ“[7]. როგორც ირკვევა, ეკონომიის გაწევის

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 418v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 175.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 418v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 176.

[3] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 439r. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 190.

[4] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 439r. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 190.

[5] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 439r. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 190.

[6] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 439r. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 190.

[7] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 439r. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 190.

ფაქტორმა, რადგან წყლის ყიდვაზე დიდი თანხა იხარჯებოდა, განაპირობა ჭის ამოთხრა, რისთვისაც შეუძენიათ წყლის ამოსაღები ინსტრუმენტები[1]. „დავამზადეთ ხუთი ლეიბი და ცხრა საბანი. ამის გაკეთება იმისათვის იყო საჭირო, რომ ბერებს შიშველ ფიცარზე უხდებოდათ წოლა საბნის გარეშე“ – ვკითხულობთ „ანგარიშში“. დაუმზადებიათ პირსახოცები და 24 ხელსახოცი, რვა მრავალჯერადი ცხვირსახოცი. საჭიროებისამებრ შეძენილი იქნა ორი დიდი ლარნაკი, ასევე პატარა ლარნაკები და ქოთნები, სპილენძის თეფშები, ქვაბები, ტაფები და სხვა ჭურჭლეულობა, სულ 31 დასახელების საგანი, რადგან ადრე ასეთი რამ არ ჰქონდათ. დამზადდა ერთი გრძელი სკამი, ორი მოკლე, ოთხი ტაბურეტი. ფანჯრებს ჩამოაფარეს ფარდები, რაც ადრე არ ჰქონდა[2]. ასეთია, იმ ყოველდღიურობის სურათი, რომელსაც ჯულიო მელიკოკელის რელაციონებსა და „ანგარიშში“ ვკითხულობთ.

ყოველივე ზემოთ მოტანილი ფაქტები, თანამედროვე გადასახედიდან, კარგად ავლენს თბილისში კათოლიკური მემკვიდრეობის ისტორიულ მნიშვნელობას. მის ხორცშესხმაში ქართლის მეფის გიორგი XI-ის როლს. ასევე წარმოაჩენს ამავე მეფის პროლათინური პოლიტიკის შედეგად კათოლიკური მემკვიდრეობის საერთო ქრისტიანული ფასეულობის განუყოფელ ნაწილად აღიარებას. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რატომ ანიჭებდა გიორგი მეფეს კათოლიკეთა ბრწყინვალე ეკლესიის ხილვა სიხარულს და თანაც ოთხჯერ სტუმრობა რა მიზანს ემსახურებოდა, ასევე რატომ შველოდა კათოლიკე პატრებს ეკლესიის განახლებაში.

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 439r. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 190.

[2] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 439v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 191.

## *კათოლიკოზის გზა საქართველოში 1698-1709 წწ.*

1692 წლიდან, ვიდრე 1698 წლამდე წყაროები სდუმან საქართველოში კაპუცინთა საქმიანობაზე. ერთი მცირე ცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ თბილისში 1697 წლის ბოლოს მოღვაწეობდა 5 მღვდელ-მისიონერი და ორი მორჩილი ძმა. ხუთივე პატრი, ჩანს, კარგად ფლობდა ქართულ ენას და პარქტიკულად იყენებდნენ მას სამოციქულო ღვთისმსახურებისას[1]. ისინი თავისუფლად ეწეოდნენ კათოლიკეთა შვილების ნათლობასა და სამისიონერო საქმიანობას. თბილისის გარდა კათოლიკეთა მისიონი არსებობდა გორში. აქ მათ ჰქონდათ ეკლესია, სახლი, ბაღი, მოღვაწეობდა ორი პატრი და ერთი მორჩილი ძმა[2].

კათოლიკე მისიონერების მიმართ ერეკლე I-ის დამოკიდებულების შესახებ, როცა ის ირანშის შაჰის კარზე ტახტის მაძიებლის როლში იყო, ჩვენ სათანადო ადგილას ვიმსჯელეთ. საქართველოში უკვეე მისი ხელმწიფებისას, მამამისიონერებთან მის ურთიერთობაზე ჯერჯერობით სულ ორიოდე მცირე ცნობა მოგვეპოვება. ერთი სანდო წყაროს მიხედვით, როგორც ამას ხაზი თავის ადგილას გავუსვით, ირანში ტახტის მაძიებელი ერეკლე I-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა კაპუცინ მისიონერ ანტონიო რუფინოსთან (Antonium Rufinum) და მას გამოუცხადა „...თავისი მიდრეკილება კათოლიკე სარწმუნოებისადმი...“[3]. ცნობილი ფრანგი მოგზაური ტურნეფორი, რომელიც 1701 წლის 21-26 ივნისს თბილისში იმყოფებოდა გვაუწყებს: „მეფე ერეკლე I ორივე რელიგიას (მაჰმადიანობასა და ქრისტიანობას – ავტ.) ერთდროულად აღიარებს: დადის მეჩეთშიც, ხოლო, როცა კაპუცინებთან მიდის, მისი უწმიდესობის პაპის სადღეგრძელოს სვამს“[4]. ამდენად, ჩანს, რომ ერეკლეს მეფობის დროს მისიონერები წარმატებით განაგრძობდნენ მოღვაწეობას.

მიუხედავად ამისა, კათოლიკე მისიონერები თავიანთ საქმიანობაში ყველაზე საიმედო გარანტად გიორგი XI-ს სახავდნენ. ამიტომ ისინი ოცნებობდნენ იმ დროზე, როცა ის ისევ დაუბრუნდებოდა თავის ტახტს, მაგრამ ამას ადვილად განხორციელება არ ეწერა. ასეთ ვითარებაში კათოლიკე მამებს მფარველად მოევლინა ქართველი კათოლიკე, გიორგი არაგვის ერისთავის ძმა ბარძიმი, რომელიც ერეკლე I-ის სამეფო კარზე მსაჯულთუხუცესი იყო.

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №79, ფურც. 1.

[2] იქვე, №79, ფურც. 10, 18.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 243.

[4] **ტურნეფორი ჟ. პ. დე.,** მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში / ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო **მზია მგალობლიშვილმა,** თბ., 1988, გვ. 12.

ბარძიმმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღო 1689 წელს[1], რაც მაშინვე აცნობა კაპუცინთა პრეფექტმა რომს. როგორც მისიონერთა წერილებიდან ირკვევა, ბარძიმი დიდი გავლენით სარგებლობდა ქართლის სამეფოში. ამის შესახებ ჟულიო კრემონელი 1690 წლის 1იანვრის წერილით რომს აუწყებდა: „...ეს პირი, სახელად ბარძიმი, რომელიც ახლა შევუერთე წმიდა რომის ეკლესიას, არის ერთი უძლიერესი და უწარჩინებულესი საქართველოს მთავართაგანი და აქვს დიდი სამთავრო, სავსე მეომარი ხალხით. ამჟამად იგი არის მდივანბეგი, როგორც აწინდელი მეფის (ერეკლე I-ის – ავტ.) შემდეგ არის პირველი პირი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცოტათი წილი ამასაც უდევს იმაში, რომ საქართველოს გიორგი მეფეს აუჯანყდა. გეორგიც მეტად განრისხებულია მასზე“[2].

ამ ეპისტოლედან ჩანს, რომ ბარძიმის მფარველობით მისიონერებმა მეტად გაიხარეს, რადგან ქართლის სამეფოში იგი გავლენიან პიროვნებას წარმოადგენდა და ამასთანავე „კათოლიკურ ეკლესიას დიდ სიყვარულს უცხადებდა“. „როდესაც ბარძიმმა მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, – წერს პატრი ჯულიო, – შეგვეხვეწა, რომ მიგვეწერა პაპისათვის, რათა მას მიეღო იგი რომის ეკლესიის შვილად..., რათა მისი კურთხევით გაძლიერებულმა შეიძლოს... მთელი სამეფო შეუერთოს კათოლიკე ეკლესიას“. აქვე პატრი ირწმუნებოდა, რომ ბარძიმი „მზად არის ყველაფერი დაუმორჩილოს პაპის ბრძანებას“-ო[3].

ბარძიმ მსაჯულთუხუცესის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. წყაროებიდან ჩანს, რომ მას სულიერ მამობას უწევდა ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსი ექვთიმე რატიშვილი. ყოველივე ამან პატრებს ნათელი პერსპექტივა დაუსახა მომავალ საქმიანობაში. „ღვთის განსაკუთრებული შემწეობით ამ ჩვენი მისიონის წარმატება იმდენად დიდია, რომ არავის შეუძლია მასზე რაიმე ეჭვი შეიტანოს“ – წერდა პროპაგანდას 1690 წლის 18 მარტს ჯულიო კრემონელი. ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყანაში ანარქია სუფევდა და სომეხთა მხრიდან მისიონერები იდევნებოდნენ, სწორედ ბარძიმისთანა გავლენიანი მზრუნველი სჭირდებოდათ პარტებს[4].

ალბათ, ამიტომ იყო, რომ კაპუცინებმა ძალზე დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ბარძიმ მსაჯულთუხუცესის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებას. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ბარძიმის პიროვნების, მისი გაკათოლიკების მნიშვნელობისა და მისიონერებისადმი გაწეული მფარველობის შესახებ ოთხი ვრცელი წერილი გაიგზავნა რომში 1690 წელს საქართველოდან[5]. ვიმეორებთ, ეს შემთხვევითი არ იყო, რადგან გიორგი მეფის შემდეგ კაპუცინ მისიონერებს

---

[1] არის ერთი ცნობა, რომლის თანახმად, ბარძიმ ერისთავი კათოლიკედ მოინათლა 1692 წელს (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 44.).

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 275.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 276.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 278-279.

[5] იქვე, გვ. 275-280; **Tamarati M., L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours,** pp. 580-583.

ბარძიმ ერისთავი ესახებოდათ ყველაზე საიმედო გარანტად თავიანთ საქმიანობაში. საკუთრივ ბარძიმ ერისთავმა ორი წერილი (1690 წლის 1 იანვარი, 1690 წლის 20 ნოემბრამდე)[1] გაუგზავნა პაპ ინოკენტი XII-ს (1691-1700), რომელშიც იგი რომის პირველმღვდელმთავარს უცხადებდა უსაზღვრო ნდობას, მორჩილებას, თაყვანისცემასა და კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულებას; ჰპირდებოდა პაპს, რომ მთელი თავისი ქვეშევრდომებით შეასრულებდა ყველა თხოვნას, რასაც მისი უწმიდესობა მომავალში ინებებდა.

მართალია, მისიონერებს ბარძიმის სახით ერთგული მზრუნველი ჰყავდათ, მაგრამ მათ, როგორც საქართველოს პოლიტიკურ ამბებში კარგად ჩახედულმა პირებმა, სწორად შეაფასეს, რომ კათოლიკობის წარმატების მტკიცე გარანტია ქვეყანაში მშვიდობის დამყარება და მეფის მფარველობა იყო. ამის გარეშე საქმე ნავარაუდევი წარმატების მომტანი ვერ იქნებოდა. სწორედ ამიტომ სურდათ მათ გიორგი მეფისა და ბარძიმ ერისთავის შერიგება. საქმის არსში გასარკვევად მოკლედ შევეხებით შემდეგ ამბებს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გიორგი XI-ის მოწინააღმდეგე თავადთა შორის იყო გიორგი არაგვის ერისთავი, რომლის ძმა იყო ბარძიმი. ეს უკანასკნელი ერეკლე I-ს უჭერდა მხარს. ამ დახმარების შედეგი უნდა იყოს ის, რომ ერეკლემ „ბარძიმი მსაჯულთუხუცესად დაადგინა“[2]. შემდეგში, როცა გიორგი XI-მ 1691 წელს თავისი სამეფოს დიდი ნაწილი დაიკავა მის მხარეზე გადავიდა ქართლის თავადთა დიდი ნაწილი და მათ შორის გიორგი არაგვის ერისთავი და მისი ძმა ბარძიმი[3].

გიორგი მეფესა და ბარძიმ ერისთავს შორის დაპირისპირებას კათოლიკე მამები ძალზე მტკივნეულად განიცდიდნენ. ცხადია, ამ ორ კათოლიკე-მესვეურს შორის მშვიდობა კაპუცინთა საქმიანობაში წარმატების მიღწევის საფუძველი იყო. ამიტომ მათ, ჩანს, განიზრახეს საქმეში ჩაერიათ პროპაგანდის მეშვეობით რომის პაპი. კაპუცინთა პრეფექტი ჯულიო კრემონელი პროპაგანდას წერდა: „კარგი იქნება, სთხოვოთ პაპს, რომ ორი სიტყვა მოსწეროს ჩვენს ლტოლვილ მეფეს (გიორგი XI-ს – ავტ.), რათა შეურიგდეს ამ მთავარს (ბარძიმ ერისთავს – ავტ.) და ერთად დაიწყოს ეს წმინდა საქმე (ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების საქმე – ავტ.) უფრო მეტის ძალით და ეგრეთვე იმისათვის, რომ ყველა ჩვენი რჩევა მიიღოს ისე, როგორც მისი წარმომადგენლისაგან“[4]. თავის მხრივ კი, კაპუცინთა უფროსი, როგორც იგი ირწმუნება, ენერგიას არ იშურებდა, მეფესა და ბარძიმს შორის ქიშპობა ერთგულებით

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 281-283; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours**,** pp. 584-586.

[2] **ვახუშტი,** ცხოვრება ქართლისა, ქართლის ცხოვრება II, 1854, გვ. 60.

[3] იქვე, გვ. 63.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 276.

შეეეცვალა. „ბარძიმმა ძალიან დამაიმედა, – წერს იგი, – თანახმა ვარ, ერთგულად შევუერთდე გიორგი მეფესო“[1]. თუ ეს განხორციელდებოდა მამა ჯულიო კრემონელს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს „წმიდა ეკლესიის" სამოთხე გახდებოდა, რადგან მიუხედავად ამდენი არეულობისა, განსაცდელისა, შიშისა და დევნისა (სომხებისაგან – ავტ.), ბევრნი გაკათოლიკდნენ და შეიქმნენ მსასოებელნი, კეთილი მაგალითის მიმცემნი, უანგარონი და უყვართ ღმერთი“[2].

კაპუცინთა პრეფექტ ჯულიო კრემონელის ეს თხოვნა რომის პაპს ალექსანდრე VIII (1689-1691) უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მ. თამარაშვილის მიხედვით, „1691 წელს პაპს გიორგი მეფისათვის რჩევის წიგნი მიუწერია, რათა კვლავ დამეგობრებოდა ბარძიმს და მას შეერთეოდა, რომ მისი და სხვა კათოლიკეების დახმარებით ერთად ეზრუნათ საქართველოს საკეთილდღეოდ“[3]. რაც შეეხება ბარძიმ ერისთავს, მას მომდევნო პაპმა ინოკენტი XII-მ წერილობით სთხოვა გიორგი XI-თან შერიგება[4]. მართალია, გიორგი XI-სა და ბარძიმს შორის შერიგებაში გადამწყვეტი ვერ იქნებოდა პაპისა და მისიონერთა თხოვნა, მაგრამ შეუძლებელი მათი მცდელობა ამ საქმეში დადებითად არ შევაფასოთ და მასში დიდი მორალური მხარდაჭერა არ დავინახოთ. ისინი ხომ ფაქტობრივად დაპირისპირებული ძალების გაერთიანებას ისახავდნენ მიზნად[5]. ეს კი თავისთავად დადებითი მოვლენა იყო, რადგან, როგორც იტყვიან, საქართველოს ისტორიის ბორბალი ამ დროს უკუღმა ტრიალებდადება?

გიორგი XI-ს სხვა გზა არ ჰქონდა. ქართლის ტახტი რომ დაეკავებინა, იგი შაჰს უნდა დამორჩილებოდა. ამ მიზნით ის 1697 წელს ისპაანში ჩავიდა. ირანის ხელმწიფემ ამით ძალიან გაიხარა. სხვა შემთხვევაში შაჰი ასეთ პიროვნებას თავს გააგდებინებდა, მაგრამ ახლა სეფიანებს ქართველთა სამხედრო ცოდნისა და სიმამაცის წყალობით უნდა გადაერჩინათ თავი. საქმე ისაა, რომ ირანს ამ დროს აუჯანყდნენ ავღანელი ტომები, რომელთაც სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ქვეყანას აღმოსავლეთში. ასეთ ვითარებაში შაჰი გიორგი XI-ზე უკეთეს სამხედრო ნიჭითა და ძალით დაჯილდოებულ პიროვნებას ვერ ინატრებდა. ამიტომ იგი ირანში დატოვეს და ქირმანის ბეგლარბეგად დანიშნეს, ხოლო მისი ძმა ლევანი – ნაიბად.

ერთი სიტყვით, ირან-საქართველოს ურთიერთობაში დაიწყო 22 წლიანი პერიოდი, როცა ქართლის მეფეებს და რჩეულ ქართველ მეომრებს ირანის მტრების წინააღმდეგ უნებლიედ უხდებოდათ თავგანწირული ბრძოლა და

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 237.

[2] იქვე, გვ. 284.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 284.

[4] იქვე, გვ. 287.

[5] **მამისთვალიშვილი ე.,** ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი // გორის გორის სახელმწიფო სასწავლო ისტო¬რიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული №14, თბილისი, 2016, გვ. 185-195.

სისხლისღვრა. სწორედ მიუთითებს ინგლისელი ისტორიკოსი ვ. ალენი: „გიორგისა და მისი ძმების სამხედრო სიმტკიცემ შეინარჩუნა უკანასკნელ ათეულ წლებში სეფიანთა დინასტია სპარსეთში“[1].

ამდენად, კათოლიკეთა მფარველი გიორგი XI ირანში აღმოჩნდა შაჰის სამსახურში. მან აქაც გააგრძელა ლათინ მამებთან ურთიერთობა. მაჰმადიანთა მიწაზე ავღანელთა წინააღმდეგ მებრძოლი მეფე ერთგული დარჩა ქრისტიანული სარწმუნოებისა. ამის აშკარად გამოხატვა, ბუნებრივია, ირანში შეუძლებელი იყო. ამიტომ მას თავისთან ექიმების სახით ჰყავდა ორი კაპუცინი პატრი, რომლებიც მოძღვარის ფუნქციას ასრულებდნენ. ამასობაში საქართველოში კაპუცინთა საქმიანობამ წინანდელი ბრწყინვალება დაკარგა. საქმე ისაა, რომ (1697-1699 წწ.) საქართველოში დაიწყო სომეხთა მიერ კათოლიკეთა სასტიკი დევნა, რომლის მსგავსი აქამდე არ ყოფილა. ქართლის მეფე ერეკლე I იმის შიშით, რომ შაჰის წინაშე არ დაესმინათ სომხებს, კათოლიკეთა მფარველობის გამო, პატრებისაგან ითხოვდა ირანის ხელმწიფის რაყამს (ბრძანებულებას). ამას პატრებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს და 1698 წელს მამა ფელიჩე მარია სელანელი (Felice Maria da Selano) გაგზავნეს რომში, რათა პირადად მოეხსენებინა პროპაგანდისათვის სომეხთა დევნისაგან მისიონს თავსდამტყდარი ამბების გამო[2].

როგორც წყაროებიდან ირკვევა, კათოლიკეთა ასეთი სასტიკი დევნის მიზეზი იყო ის, რომ, კაპუჩინთა მისიონერებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს მოსახლეობის გაკათოლიკების საქმეში[3]. იმან, რომ კათოლიკე მამებს არ ჰყავდათ ისეთი მფარველი, როგორიც იყო გიორგი XI, მოწინააღმდეგეებს საშუალება მისცა, დაუყოვნებლივ გასწორებოდნენ პატრებს. ამან დიდი გამოხმაურება პოვა ევროპაში. რომის პაპმა თავისი ნუნციუსების საშუალებით სთხოვა რომის საღვთო იმპერატორს, საფრანგეთის მეფეს, ვენეციის რესპუბლიკას და ტოსკანის სამეფოს მესვეურებს, გაეგზავნათ ელჩები ირანში, რათა ეთხოვათ შაჰისათვის, რომ მას „...მიეღო და მფარველობა გაეწია მისიონერებისათვის ირანის იმპერიაში...“[4].

თავის მხრივ, ვატიკანში ყველაფერი აწონ-დაწონეს და პაპმა ინოკენტი XII-მ გადაწყვიტა, მიემართა ირანის შაჰისათვის. მან ისპაანში ელჩად გააგზავნა ფელიჩე მარია სელანელი და თან გაატანა 1699 წლის 25 იანვრით დათარიღებული წერილი, რომლითაც შაჰს სთხოვა, რომ „მის სამეფოში კათოლიკე მისიონერებისათვის თავისუფლება მიეცა და მფარველობა აღმოეჩინა სომეხთა დევნის

---

[1] **Allen W.E.D.A.,** History of the Georgian People from – the beginning down to the Russian conquest in the nineteenth century, London, 1932.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ.296.

[3] **Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 609; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 29-30.

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 11.

წინააღმდეგ. ეს პატრი წავიდა სპარსეთში იმავე წლის 3 თებერვალს და პაპის წერილის გარდა, შაჰთან აგრეთვე ევროპის მთავრების წერილებიც წაიღო“[1].

ირანის შაჰმა პაპი ინოკენტი XII-ის თხოვნა დააკმაყოფილა. მან სპეციალური ბრძანებით კათოლიკურ ეკლესიას ირანის იმპერიაში რიგი უფლებები და პრივილეგიები მიანიჭა: 1. ახალი ეკლესიების აშენებისა და ძველი ეკლესიების შეკეთების უფლება; 2. ირანის სამეფოში თავისუფალი გადაადგილების უფლება და ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება; 3. კათოლიკური სარწმუნოების ქადაგების თავისუფლება; 4. კათოლიკური სასულიერო, საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებების გახსნის უფლება; 5. რომის პაპს დაქვემდებარებული სასულიერო პირების იურიდიული ხელშეუხებლობის უფლება; 6. ყველა ქრისტიანის კათოლიკეებთან თავისუფალი ურთიერთობის უფლება; 7. ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეების მხრიდან განსაკუთრებული პატივისცემის უფლება; 8. სომეხ სასულიერო პირთა დასჯა, რომლებიც მისიონერებს დევნას დაუწყებდნენ[2]. რაც შეეხება მისიონის შენახვისათვის 6733 სკუდოთი დახმარების აღმოჩენას, ეს ირანის ხაზინამ ვერ შეძლო[3].

ამრიგად, კათოლიკე მისიონერებმა ირანის იმპერიაში სამისიონერო საქმიანობის თავისუფლება მიიღეს, მაგრამ მათი დევნა სომეხთა მხრიდან მემკვიდრეობით გადაეცა XVIII საუკუნეს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ირანში ჩასული გიორგი XI ქირმანის გენერალ-გუბერნატორად (ბეგლარბეგად) დანიშნეს. ქირმანში ამ დროს არეულობა დაიწყო. იგი ირანის იმპრიის ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა. 1699 წლის ნოემბრის ბოლოს გიორგიმ თავისი ძმა ლევანი ქართველთა ლაშქრით ქირმანში გაგზავნა, ხოლო 1700 წლის მაისში მას თავისი ჯარით შეუერთდა. სამხედრო ოპერაციების დამთავრების შემდეგ გიორგიმ ლევანი ისპაანში დააბრუნა, ხოლო თვითონ 1704 წლის გაზაფხულამდე ქირმანში დარჩა.

მცირე ხნის შემდეგ ყანდაჰარში ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ღილზაის ტომის ბელადი მირ ვეისი. შაჰმა ისევ თვალყური მიაპყრო გიორგის, „მამაც ჯარისკაცსა და ნიჭიერ მხედართმთავარს, რომელსაც გაუგზავნა ბრძანება, დაეტოვებინა ქირმანის პროვინციის გუბერნატორობა და როგორც ირანელთა 20 ათასიანი და ქართველთა 4 ათასიანი ლაშქრის მეთაური, ვიცე-შაჰის თანამდებობაზე გამგზავრებულიყო ყანდაჰარში“ – წერს იოსებ ქართველი[4]. სეხნია ჩხეიძის მიხედვით, შაჰმა გიორგის ქართლის მეფობა დაუბრუნა, დანიშნა ირანის ჯარების მთავარსარდლად, უბოძა ყანდაჰარისა და გი-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 296; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 44.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 297.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 44.

[4] **ტაბაღუა ი.,** მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 90.

რიშკის ბეგლარბეგობა და ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლა უბრძანა[1]. ვახუშტის ცნობით, „აღუძნდა ფრიად საქმე ესე მეფესა და არა ენება, არამედ აიძულებდნენ მის თანა მყოფნი ქართველნი ამის ყოფად“[2]. „შეგვექმნა სიხარული ქართლის შოვნისათვის, მაგრამ ყანდაარს წასულის მოწყენა“ – შენიშნავს ლაკონურად სეხნია ჩხეიძე[3].

უეჭველია, გიორგი მეფე კარგად ხედავდა, რომ ის შაჰს თავისი მიზნებისათვის სჭირდებოდა. მას ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლა არ სურდა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მას ან შაჰის ტყვეობა უნდა აერჩია, ანდა ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლა. შექმნილ სიტუაციაში გიორგი გონივრულ კომპრომისზე წავიდა. ვახუშტი წერს: „...ნება სცა ყეენსა, რათა მისცეს აწვე განგეობა ქართლისა ვახტანგს და მერმე წარავლინოს ლევან ქართლს, რათა განაგოს საქმენი“[4].

შაჰმა გიორგის თხოვნა შეასრულა. 1703 წელს ქართლის ჯანიშინობა ვახტანგ ლევანის ძეს (ვახტანგ VI-ს) მისცა. ერეკლე I-ს კი შაჰ ჰუსეინმა კახეთის მეფობა, ირანის ყულარაღასობა (შაჰის გვარდიის უფროსობა) უბოძა და ისპაანში გაიწვია.

გიორგი XI-ის ყანდაჰარში გაგზავნით ირანის მთავრობას შეეძლო დამშვიდებულიყო. ამით შაჰ ჰუსეინი ორ მიზანს აღწევდა: პირველი, გიორგის ხელით ფიტავდა ქედუხრელი ავღანელების ძალებს. ეს ნიჭიერო და გამოცდილი მხედართმთავარი უნდა გამხდარიყო ირანის იმპერიის უშიშროების გარანტია; მეორე, მოაცილა რა იგი საქართველოს, ირანის მთავრობამ მოხსნა ამ მხრიდან საშიშროება, რადგან საქართველოში გიორგი პოზიციების განმტკიცებას შეეძლო საბედისწერო როლი შეესრულებინა ირანში არსებული ხელისუფლებისათვის[5]. სავსებით სწორად დაასკვნის ი. კრუსინსკიზე დაყრდნობით პროფ. ლ. ტარდი: გიორგი XI „ქართველ დიდებულებს... ბედის ანაბარა რომ არ მიეტოვებინათ...“ შესძლებდა სპარსეთის ბატონობისაგან საქართველოს გათავისუფლებას[6].

საბოლოოდ, გიორგი XI 1709 წლის 21 აპრილს ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლის მსხვერპლი შეიქმნა. ასე რომ, მან თავისი მხედრული ნიჭი, უნარი და ენერგია ვერ მოახმარა თავის ქვეყანას. გიორგის პოლიტიკის მარცხის შესახებ სა-

---

[1] საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი, ტფილისი, 1913, გვ. 19.

[2] საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი, ტფილისი, 1913, გვ. 106.

[3] იქვე, გვ. 19.

[4] საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი, ტფილისი, 1913, გვ. 106.

[5] **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 18.

[6] **ტარდი ლ.,** ქართველები 1711-1725 წწ. ავღანეთ-სპარსეთის ომში // საქართველო და ევროპის ქვეყნები, V, თბ., 1991, გვ. 122.

ყურადღებო დასკვნას აკეთებს ფრანგი შარლ დე პესონელი: „გიორგი XI-ს არ ეყო პოლიტიკური სიბრძნე. იგი მიზნის მისაღწევად ძალას მიმართავდა და ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ მოხერხებულობით ხშირად მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე ძალადობით. მას არ ეყო სიფრთხილე, რის გამოც ებმებოდა მახეში, საიდანაც თავის დაღწევა შეიძლებოდა მოხერხებულობით და არა მამაცობით. მაგრამ მის მიერ დაშვებული შეცდომები უფრო საბედისწერო აღმოჩნდა, ვიდრე სარგებლობა მოუტანა გმირულმა საქმეებმა. მან დაადასტურა, თუ რამდენად სახიფათოა გამბედაობა სიფრთხილის გარეშე. მისმა მტერმა მირ ვეისმა კი პირიქით, აჩვენა თუ რას აღწევს ეს ორი თვისება, როცა ისინი განუყოფელნი არიან“[1].

ამ ამბებზე ასე ვრცლად ჩვენ ერთი მოსაზრებით შევჩერდით. კერძოდ, ვაჩვენოთ, იმ რთულ ვითარებაში, როგორ ახერხებდა გიორგი მეფე კათოლიკე მამებთან ურთიერთობასა და პატივისცემის გამოხატვას. ირანში მყოფ გიოგრი XI-ს კავშირი არ გაუწყვეტია კათოლიკე მამებთან. ერთ-ერთი პატრი პიერ რიკარი ერთხანს მკურნალობდა გიორგი მეფეს და მეგობრობდა მასთან[2]. გიორგი მეფესთან ჯარის საჭიროების საბაბით მუდამ იყო „ორი კაპუცინი: ძმა რეჯინალდო და კონტე და ძმა ამბროჯი მილანელი. მეფემ მათ მიანდო თავისი საგვარეულო ძვირფასეულობა, ოქრო და ძვირფასი ქვები. პირველი მათგანი რეჯინალდო და კონტე ქირმანში გარდაიცვალა...“ – წერს იეზუიტი თადეუშ კრუსინსკი[3]. მუხანათურად მოკლული მეფის მკერდზე იპოვეს ოქროს ჯვარი. ამასთან დაკავშირებით კრუსინსკისთან ვკითხულობთ: „თვლიან, რომ ავღანელებთან ბრძოლის წინ გიორგიმ მიიღო წმიდა ზიარება და სრულიად დაბრუნდა რომის კათოლიკური ეკლესიის წიაღში“[4].

უდავოა, ეს ცნობები იძლევა სრულ საფუძველს დავასკვნათ, რომ ირანში გიორგი მეფესთან ექიმი მისიონერების ყოფნა არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ისინი ექიმობასთან ერთად მოძღვრის ფუნქციას ასრულებდნენ და მაჰმადიანთა გარემოცვაში განსაცდელის წინაშე მყოფ მეფეს სულიერად განამტკიცებდნენ. პატრების ასეთი თავგაწირვა (შეუძლებელია არ დაენახათ, თუ რა საფრთხეში იგდებდნენ თავს გიორგისთან ყანდაჰარში ყოფნით) უმთავრესად ნაკარნახევი იყო არა მხოლოდ მათი სასულიერო მოწოდებით, არამედ, ჩანს, ისინი გიორგი XI-ს კათოლიკე მეფედ მიიჩნევდნენ და მასთან ერთად მძიმე ხვედრის გაზიარებას თავიანთ ზნეობრივ მოვალეობად თვლიდნენ. ყოველივე ეს ცხადად აჩვენებს, რომ გიორგი XI ერთგული დარჩა კათოლიკური სარწმუნოებისადმი. ამასთან ერთად, აქვე ვიტყვით:

---

[1] **Peyssonel Ch.,** Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, Paris, 1754, p. 53.

[2] **Lokhart L.L.,** The fall of the Safavi Dynasty and the Afgan occupation of Persia. Cambridge, 1958, pp. 46-47.

[3] **Krusinski Th.,** Tragica Vertentis belli Persici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno 1728 vum. Leopoli, 1740, p. 276.

[4] Ibid.

ჩვენი აზრით, ირანში კათოლიკე მისიონერთა მეთაურმა ეპისკოპოსმა ბარნაბა მილანელმა სცადა, გამოეყენებინა გიორგი XI-ს მმართველობა (1704-1709) ყანდაჰარში, რათა ზემოხსენებული, თუ სხვა კათოლიკე მამების საშუალებით ავღანელებში დაეწყო სამისიონერო საქმიანობა. ჩვენი ეს ვარაუდი ემყარება შემდეგ ცნობას: ავღანთა წინამძღოლი მირ ვეისი შაჰის კარს მოახსენებდა, რომ „დღეისათვის ბევრი ავღანელი მოექცა ქართველების მოქმედებით (ალბათ, გიორგი XI-ის მისიონერებისადმი მხარდაჭერის საშუალებით – ავტ.) ქრისტიანულ რჯულზე, მოინათლა და ყურანისაგან წყეული გახდა“[1]. თუ ეს ცნობა სინამდვილეს ასახავს, მაშინ ჩვენი ვარაუდი მისაღები უნდა იყოს.

გიორგი მეფის ავღანეთში დაღუპვა ნიშნავდა ირანის იმპერიის მზის ჩასვენებას. ამით შეშინებულმა შაჰმა შექმნა დიდი ჯარი და მის მეთაურად დანიშნა ისპაანის გუბერნატორი და დივანბეგი ქაიხოსრო ლევანის ძე. ამასთანავე, შაჰ ჰუსეინმა მას უბოძა ქართლის ტახტიც. თ. კრუსინსკის მიხედვით, „ასეთი ნაბიჯით ირანის შაჰი ორი ამოცანის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად: ერთი, ქართველთა გულადობით ყანდაჰარი კვლავ თავის მორჩილებაში მოეყვანა და, მეორე, ქართლის სამეფოს გაძლიერება არ დაეშვა. ამ სამეფოს იგი არ ენდობოდა“[2].

[1] **ტარდი ლაიოშ.** დასახ. ნაშრ., გვ. 124-125.

[2] **ტარდი ლაიოშ.** დასახ. ნაშრ., გვ. 128.

## *ქაიხოსრო უფლისწული და კათოლიკე მამები*

ქაიხოსრო ორი წელი (1709-1711) ითვლებოდა ქართლის მეფედ, მაგრამ იგი თავის სამშობლოში არ უნახავთ. წინამორბედ, თუ მომდევნო მუხრანბატონელთა დარად ქაიხოსრო აშკარა სიმპათიას ავლენდა კათოლიკობის მიმართ. ამასთან დაკავშირებით თ. კრუსინსკი წერს: „მისიონერთა მფარველმა და კეთილისმყოფელმა ხოსრო (ქაიხოსრო-ავტ) ხანმა თბილისის, გორის, განჯისა და თავრიზის მისიებს მუდმივი შეწირულობის გადახდა დაუნიშნა. მასთან მუდმივად იყო კარმელიტი ძმა ბასილი პარიზიდან, რომელიც დამსახურებული მისიონერი იყო და დიდი პატივისცემით სარგებლობდა სპარსელებს შორის“[1]. ასევე სხვა სანდო წყაროში ვკითხულობთ: „ხოსრო ხანმა (ქაისოსრომ – ავტ.) საჯაროდ აღიარა კათოლიკური სარწმუნოება და ყოველთვის თან იახლებდა სამ ევროპელ მისიონერს: ფრანგ მამა ბასილის პარიზიდან, რომელიც ფეხშიშველ კარმელიტთა ორდენს ეკუთვნოდა და ორ იტალიელ კაპუცინს – მამა რეჯინალდოს და მამა ამბროსიოს მილანიდან. ის რეგულარულად ესწრებოდა სამ მესას ყოველდღე და უხვად გასცემდა წყალობას, ათას-ათასი კრონიც კი აჩუქა მისიებს თბილისში, თავრიზში, განჯაში, გორში, ისპაანსა და შირაზში. მოკლედ, ეს სამაგალითო ღვთისმოსაობით და ერთგულებით გამორჩეული ბატონიშვილი“[2].

ჩვენი ღრმა რწმენით, ქაიხოსროს, როგორც ირანის სახელმწიფოს დიდი მოხელის კათოლიკე მისიონერებისადმი ასეთი მზრუნველობა, უწინარეს ყოვლისა, ირანის შაჰის პოლიტიკიდან გამომდინარეობდა. კერძოდ, ირან-საფრანგეთის 1708 წლის 7 სექტემბრის ხელშეკრულების 26-ე მუხლის თანახმად, ირანის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ორდენის მამებს თავისუფლად შეეძლოთ „თავიანთი სარწმუნოების სამსახური“. მათ ასევე უფლება მიეცათ, ირანის იმპერიის ნებისმიერ ქალაქში ეცხოვრათ, ესწავლებინათ და გაეწვრთნათ ბავშვები“. ამ საქმეში ხელის შეშლა არავის შეეძლო.[3]

იმ სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის ფონზე, რომელიც საქართველოში მუდამ არსებობდა, საკვირველი არაფერია იმაში, რომ ქაიხოსრო კეთილგანწყობას იჩენდა მამა-მისიონერების მიმართ. აქ მთავარი ისაა, რომ მან ფარულად აღიარა კათოლიკობა, რომელსაც მხოლოდ სარწმუნოებრივ „ჭეშმარიტებაში“ დარწმუნება არ ედო საფუძვლად. როგორც პირველწყაროებიდან ირკვევა, ქაიხოსრო და მისი ძმა, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1705-1741) ერთიან რელიგიურ პოლიტიკას ადგნენ, რომელიც დასავლეთში მოკავშირის ძიებას ისახავდა მიზნად. ახლა ყური მივუგდოთ წყაროებს:

---

[1] **Krusinski Th.,** Tragica Vertentis belli Persici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno 1728, p. 276.

[2] A Chronicle of the Carmelities in Persia and Papal Mission of the XVII th and XVIII th centuries, vol. I, London, 1939, pp. 569-570; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 93.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I. შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო **ილია ტაბაღუამ,** თბ., 1975, გვ. 72.

ქაიხოსრომ და დომენტი კათალიკოსმა 1708 წლის ზაფხულში წერილი მისწერეს რომის პაპ კლიმენტი XI-ს (1700-1721). მათი წერილების შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ პროპაგანდა ფიდეს ისპაანის ვიკარიუსისადმი 1708 წლის 13 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან (პროპაგანდა ვიკარიუსს სთხოვდა დაწვრილებითი ცნობები მიეწოდებინა ქაიხოსროსა და დომენტის შესახებ) დაახლოებით შეგვიძლია აღვადგინოთ ქაიხოსროსა და დომენტის წერილების შინაარსი.

დომენტი კათალიკოსი თავის წერილში პაპისადმი ერთგული ქვეშევრდომობის ნებას და კათოლიკური სარწმუნოების მიღების სურვილს გამოთქვამდა. აქ პაპი სახელდებოდა ქრისტეს მონაცვლედ, წმინდა სამოციქულო ეკლესიის მეთაურად და ჩაუქრობელ ლამპრად. რაც შეეხება ქაიხოსროს, ის პაპს წერილობით აუწყებდა, რომ გამუსლიმებულმა „...პატრი ბასილის მეშვეობით...“[1] საიდუმლოდ მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, მაგრამ ირანში მისი საჯაროდ აღიარება შეუძლებელი იყო. ამიტომ პაპისაგან ითხოვდა, რომ ნება მიეცა, გარეგნულად დაეფარა თავისი ქრისტიანობა. ასევე „მიანიჭოს ახსნა უწინ ქრისტიანობის უარყოფისათვის და შენდობიანი ჯვარი უბოძოს. აგრეთვე აუწყოს, რომ რომში მივიდეს პაპთან და თავშესაფარს იშოვიდა თუ არა?“[2].

ადრესატებისადმი პასუხის გამოგზავნა რომმა ძალიან დააგვიანა. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ, ალბათ, ისპაანიდან დროზე ვერ მიაწოდეს ინფორმაცია ქაიხოსრო და დომენტის შესახებ, რასაც პროპაგანდა 1708 წელს ითხოვდა. მხოლოდ 1711 წლის 24 იანვარს შეძლო პროპაგანდამ წერილი მიეწერა ქაიხოსროსა და დომენტი კათალიკოსისათვის. ამ უკანასკნელს პროპაგანდა პაპის სახელით უწონებდა კათოლიკური სარწმუნოების მიღების წადილს და მოუწოდებდა, თავისი ნდომა აღესრულებინა. ასევე აგულიანებდა „ხელი მოეწერა კათოლიკური სარწმუნოების სიმბოლოსათვის, რომელიც ამ წერილთან ერთად ეგზავნებოდა“[3]. რაც შეეხება ქაიხოსროს, პროპაგანდა პაპის სახელით წერდა: „პაპი მამობრივის სიყვარულით შეგაგულიენებთ, რომ თქვენს ასეთ კეთილ წადილში მარად მტკიცედ იყოთ“. „ხოლო პაპი გულმოწყალებით ყველაფრის ნებას აძლევდა, რაც კი კათოლიკურ სარწმუნოებას არ ეწინააღმდეგებოდა“[4].

ცნობილი არ არის, მიიღეს თუ არა ადრესატებმა ეს წერილები, ან რა შედეგი მოჰყვა ამას. ავღანელებთან სასტიკ ბრძოლაში ჩაბმული ქაიხოსრო, ცხადია, ვერ მოიცლიდა პროპაგანდის წერილის საპასუხოდ.

ამრიგად, წარმოდგენილი წყაროების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქაიხოსროსა და კათალიკოს დომენტის მიერ კათოლიკობის მიმართ სიმპათია აშკარად იყო გამოხატული. ისინი საიდუმლოდ აპირებდნენ, რომ კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასულიყვნენ. წმინდა ტახტმა მათ უარი უთხრა იმის საფუძველზე, რომ წესდება არ ითვალისწინებდა საიდუმლოდ სარწმუნოების გამოცვლას. ძმები

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 306.

[2] იქვე.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 307.

[4] იქვე, გვ. 309.

გულწრფელნი იყვნენ თავიანთ განზრახვაში, მაგრამ მათ კეთილგანწყობას რომის კათოლიკური ეკლესიისადმი მხოლოდ სარწმუნოებრივი საფუძველი არ ჰქონდა. ამ პერიოდში აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანში რომისა და საფრანგეთის გავლენის სწრაფმა ზრდამ ღვიძლ ძმებს, ისპაანის გუბერნატორს ქაიხოსროს, ქართლის ჯანიშინს ვახტან VI-ს და კათალიკოს დომენტი IV-ს რომის პაპსა და საფრანგეთის მეფეში სასურველი მოკავშირეები დაანახვა.

რენესანსის შვილებთან, კათოლიკე მამებთან ურთიერთობა ქაიხოსრო უფლისწულს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შეუწყვეტია. როგორც წყაროები მეტყველებენ, ავღანელების წინააღმდეგ დაძრულ ირანელთა ჯარის სარდალს ქაიხოსროს თან სამი მისიონერი ახლდა. აქედან ორის სახელი ცნობილია. ესენია: მამა ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელი და მამა ბასილი პარიზიდან. მესამის სახელი უცნობია. ფრანგი მამა ბასილი იყო სენ-შარლიდან. „...მამა ბასილი, – ვკითხულობთ წყაროში, – იძულებული გახდა წასულიყო ამ ქალაქიდან (ისპაანიდან – ავტ.), რათა თან ხლებოდა სპარსეთის შაჰის არმიის გენერალს (ქაიხოსროს – ავტ.), რომელსაც ბრძანება ჰქონდა მიღებული დაებრუნებინა ქალაქი ყანდაჰარი, რომელიც მოგოლმა აიღო. მამა ბასილი მიიწვიეს ამ მოგზაურობაში იმიტომ, რომ არმიის ეს გენერალი (ქაიხოსრო – ავტ.) იყო ქრისტიანი ქართველი და მისი პირადი მეგობარი“[1]. რაც შეეხება ჯუზეპე ფრესკურატ ვერონელს, ის არა მარტო ქაიხოსროს მახლობელი იყო, არამედ ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის ძველი მეგობარი გახლდათ[2].

1711 წლის 26 ოქტომბერს კიდევ ერთი ავი დღე დაუდგათ ქართველებს ავღანეთში. ქართველი სარდლის ირანული არმია 30 ათასი ირანელი და 1200 რჩეული ქართველი მეომრისაგან შედგებოდა. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქედუხრელი ავღანელების შეტევას ვერ გაუძლეს ირანელმა მეომრებმა და მასობრივად გარბოდნენ ბრძოლის ველიდან. ასეთ სირცხვილს სიკვდილი ერჩია ქაიხოსრო მეფეს. ის 200 შემორჩენილი ქართველი მხედრით ეკვეთა მტრის მთავარ რაზმს და სიმამაცისა და სიმტკიცის სასწაული აჩვენა, ვიდრე ურიცხვმა ძალამ არ გაიმარჯვა და მამაცურად არ დალია სული. ქართველთა სიმამაცის სასწაულმა მაგალითმა ათქმევინა ქედუხრელ ავღანელებს: „სპარსელები ჩვენთან შედარებით დიაცები არიან, მაგრამ ქართველებთან შედარებით ჩვენ ვართ დიაცები“[3].

ასე დაასრულა სიცოცხლე ქართლის მეფე ქაიხოსრომ. „უფლისწულ ქაიხოსროს სიკვდილი, – წერს დიუს სერსო, – ყველაზე დიდი დანაკარგი იყო, რადგან იმ დროს სპარსეთის სამეფოში არ იყო ისეთი ღირსეული და ნიჭიერი მხედართმთავარი, რომელიც მას შეცვლიდა“[4]. აქვე უადგილო არ იქნება ითქვას:

---

[1] **პაპაშვილი მ.,** ქაიხოსრო უფლისწული და კათოლიკე მისიონერები // საისტორიო ვერტიკალები, 2008, №15, გვ. 23.

[2] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, ტ. I, თბ., 1996, გვ. 127.

[3] **Krusinski Th.,** Tragica Vertentis belli Persici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno 1728 p. 198.

[4] **Cerceau Du.,** Histoire de la dernière Rèvolution de Perse, t. I, Paris, 1728, p. 257.

XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ირანის წინააღმდეგ მოაჯანყეთა ერთადერთი დამაშოშმინებელი ძალა ქართველები იყვნენ. ინგლისელი ისტორიკოსი ვ. ალენი სავსებით მართებულად მიუთითებს: „გიორგისა და მისი ძმების სიმამაცემ შეინარჩუნა უკანასკნელ ათეულ წლებში სეფიანთა დინასტია სპარსეთში“[1]. ირანის ინტერესებისათვის გიორგი XI-ისა და ქაიხოსროს დაღუპვას საქართველოსათვის მძიმე შედეგები მოჰყვა. ყანდაჰართან კატასტროფა ნიშნავდა არა მარტო სეფიანთა შერყეული რეჟიმის დაღუპვას, არამედ მან საქართველოს დაუკარგა რჩეული მხედართმთავრები, სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს ისინი ესოდენ სჭირდებოდნენ[2].

თადეუშ კრუსინსკის თანახმად, ქაიხოსროსთან ერთად დაიღუპა კარმელიტი ძმა ბასილი. „მან არ ისურვა საფრთხეში მიეტოვებინა ბელადი, – წერს ავტორი, – თუმცა მას უბრძანეს გაქცევით ეშველა თავისათვის, მაგრამ იგი ქაიხოსროსთან ერთად დაიღუპა, რომელიც ჩუმად ასრულებდა მოძღვრის ფუნქციას“[3]. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. მამა ბასილი ავღანელებმა ტყვედ ჩაიგდეს და იგი ბრძოლის ველზე არ მოუკლავთ. სენ-ლორანიდან 1714 წლის 23 მარტს ერთ-ერთი ფრანცისკელი მამა პარიზში ერთ-ერთ სახელმწიფო მოხელეს წერდა: „მამა ბასილი ტყვედ ჩავარდა და არ მოუკლავთ ის როგორც ეს ჩვენ თავდაპირველად გვაცნობეს. სპარსეთის მისიონერები იწერებიან, რომ ყოველნაირად ცდილობენ მის გამოსყიდვას და მამა ბასილის განთავისუფლებას“[4]. ამავე წყაროდან ჩანს, რომ მამა ბასილი დაიხსნეს ტყვეობიდან და საფრანგეთის ვიცე კონსულად დაინიშნა ირანში[5]. ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელიც გადაურჩა ავღანელთა მახვილს[6].

ახლა დგება კითხვა: რატომ ახლდნენ ქაიხოსრო უფლისწულს კათოლიკე მამები ავღანელების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში? ამ კითხვაზე უტყუარი პასუხის გაცემა ძნელია. ვდგავართ რა ვარაუდის საფუძველზე, ვფიქრობთ: კათოლიკე მამები ქაიხოსრო უფლისწულს, ვითარცა გულით მტკიცე ქრისტიანს ახლდნენ, რათა მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლაში განემტკიცებინათ და ამით თავისი უზენაესი ქრისტიანული ვალი მოეხადათ. შესაძლებელია, პირადად ქაიხოსრო კი, კათოლიკე მამების თანხლებით, მაჰმადიანების წინააღმდეგ ომს რელიგიური ჯვაროსნობის ნიშანს ანიჭებდა.

---

[1] **Allen W.E.D.A.,** History of the Georgian People from – the beginning down to the Russian conquest in the nineteenth century, London, 1932, p. 176.

[2] **Lang D.M.,** The Last Years of the Georgian Monarchy 1658-1832. New-York. Columbia University Press, New-York, 1957, p. 102.

[3] **Lang D.M.,** The Last Years of the Georgian Monarchy 1658-1832. New-York. Columbia University Press, New-York, 1957, p. 276.

[4] Archives du Ministère des Affaires Etrangères, Paris., ”Perse”, t. 3. f. 106v.

[5] Archives du Ministère des Affaires Etrangères, Paris., ”Perse”, t. 3. f. 106v.

[6] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, ტ. I, თბ., 1996, გვ. 127.

## *ვახტანგ VI და კათოლიკობის გზა საქართველოში*

როგორც ვნახეთ, ქართლის მეფე გიორგი XI 1709 წლის 21 აპრილს ყანდაჰარში დაიღუპა. იმავე წლის ივლისში რანში გარდაიცვალა ქართლის ტახტის მემკვიდრე ლევანი. 1711 წლის 26 ოქტომბერს დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო. ამ პერიოდში, კერძოდ, 1703 წლიდან ქართლის სამეფოს მართავდა ვახტანგ VI. ამ დროს აღორძნიდა ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრება. მაჰმადიანთა ძალმომრეობის პირობებში ვახტანგი ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკის მედროშედ გამოვიდა. მისი „მოღვაწეობის ე.წ. ჯანიშინობის პერიოდი საქართველოს იდეოლოგიური შემზადების ხანა იყო“[1]. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა ირანის შაჰის პროგრამას, მაგრამ სანამ გიორგი XI თავისი ჯარით ყანდაჰარში ავღანელთა მრავალრიცხოვან ტომებს აკავებდა, შაჰის სამეფო კარი იძულებული იყო, როგორმე შეეკავებინა თავი ქართლის შინაგან საქმეებში ჩარევისაგან და გიორგის ზურგს უკან ამოფარებული ჯანაშინი ქართლში წარმატებით საქმიანობდა.

ვახტანგ VI, ისე როგორც წინამორბედი მეფეები (ვახტანგ V, გიორგი XI, ქაიხოსრო) მფარველობდა კათოლიკე მისიონერებს. ერთი სანდო წყაროს მიხედვით, მეცნიერებით გატაცებულ ჯანიშინს კაპუცინთა პრეფექტი სილვესტრო პანიკალელი „ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევდა“. მასთან და პატრ რეჯინალდო ლენტინელთან (Reginaldo da Lentini) ვახტანგი ხშირად ბჭობდა მართლმადიდებლური და კათოლიკური დოგმატიკის საკითხებზე. ჩანს, ამ მამებმა ქართლის ჯანიშინი დაარწმუნეს იმ „შეცდომებსა“ და „დაბნეულობებში“, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია იცავდა. ამის შედეგად ვახტანგი „აღიარებდა რომის ეკლესიას“ და „ჰკიცხავდა ბერძნების განყრას“[2]. პატივცემული მ. თამარაშვილის ეს ბოლო თამამი აზრი, ჯერჯერობით წყაროებით არ მტკიცდება. ამიტომ მასზე მსჯელობას აქ არ დავიწყებთ. მართალია, ვახტანგ VI ბოლომდე იჩენდა კათოლიკობის მიმართ ლოალურ დამოკიდებულებას, მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ მან კათოლიკობა აღიარა.

ამ მცირე ცნობისა და ვახტანგის კათოლიკურ ევროპაზე აღებული ორიენტაციის საფუძველზე დავასკვნით: ვახტანგ VI, როგორც ღრმად განათლებული და მაღალნიჭიერი მოღვაწე კარგად ხედავდა, რომ დასავლეთის „ცივილიზებულ“ სახელმწიფოებში კათოლიკურ სარწმუნოებას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, ხოლო ლათინ სამღვდელოებას ჰქონდა მაღალი საგანმანათლებლო და კულტურული დონე. იგი ეკლესიათან გათიშვაში, შესაძლებელია, ბრალს სდებდა ბიზანტიას და შექმნილი „სულიერი ჩიხიდან“, რომელშიც აღმოჩნდა

---

[1] **სამსონაძე მ.,** საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნე, 1988, გვ. 36.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 339.

მართლმადიდებლური ეკლესია, გამოსავალს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანებაში, უფრო სწორად უნიაში ხედავდა.

XVIII ს-ის დასაწყისში, წინანდელ დროსთან შედარებით, კათოლიკობის წარმატებები უმნიშვნელო იყო. საქართველოში მხოლოდ თბილისის მისიონი მოქმედებდა. ტურნეფორის მიხედვით 1701 წლისათვის თბილისში სამი კაპუცინი იყო – ორი მამა და ერთი მორჩილი ძმა, რომლებსაც კონგრეგაცია წლიურად აძლევდა თითო სულზე 25 რომაულ ეკიუს. გარდა ამისა, ისინი შემოსავალს ღებულობდნენ მოსახლეობისაგან მკურნალობისათვის. კაპუცინებს თბილისში ჰქონდათ ლამაზი ეკლესია და დავრდომილთა თავშესაფარი. აქ სულ „500 რომაელი კათოლიკე იყო“[1]. ამავე ავტორის თანახმად „საქართველოს პატრიარქი (უდავოა, ევდემოს II – 1701-1705 – ავტ.) ანუ მიტროპოლიტი... მსოფლიოს პირველ მღვდელმთავრად ...“ პაპს სცნობს და, „როდესაც ქართველთა პატრიარქი კაპუცინებთან მიდის, იგი პაპის სადღეგრძელოს სვამს...“[2] – წერს იგი.

მიუხედავად შექმნილი მძიმე პირობებისა, კათოლიკე პატრები ისევ აგრძელებდნენ მოღვაწეობას. 1702 წელს მათ რომში ურბანოს კოლეჯში სასწავლებლად გაგზავნეს ერთი ქართველი ახალგაზრდა კათოლიკე იოსებ აბესალამაშვილი (აბენალომიანი, აბისალიამიანი)[3]. იგი, როგორც XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ამბებში ჩართული ქართველი დიპლომატი მეტად საინტერესოა ჩვენთვის და ამიტომ მის შესახებ ვრცლად შევჩერდებით. ჩვენს ხელთ არსებული ყველა მასალის საფუძველზე იოსების პიროვნებაზე შემდეგი სურათის აღდგენა შეიძლება.

იოასებ აბესალამაშვილი (უცხოური წყაროებით – იოსებ ქართველი) თბილისის მკვიდრი იყო[4]. სხვა ცნობით, იგი „დაიბადა თბილისის ახლოს“[5]. მისი მშობლები კათოლიკეები იყვნენ. 16 წლის იოსები რომში პროპაგანდის კოლეჯში

---

[1] **ტურნეფორი ჟ. პ. დე.,** მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო **მზია მგალობლიშვილმა,** თბილისი, 1988; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972, გვ. 106.

[2] **ტურნეფორი ჟ. პ. დე.,** მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო **მზია მგალობლიშვილმა,** თბილისი, 1988, გვ. 67.

[3] მისი ვინაობისა და დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ დაწვრ. იხ: **გაბაშვილი ვ.,** იოსებ ქართველი – XVIII საუკუნის დიპლომატი და ისტორიკოსი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 32, თბ., 1955; **მისივე,** იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 116, თბ., 1965, გვ. 329-357; **ნატროშვილი თ.,** „მაშრიყით მაღრიბამდე“, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 1978, გვ. 312-320; **Tabagoua I.,** Pour server à l'histoire de l'activité de Joseph Géorgian en Orient, "Bedi Kartlisa revue de kartvelologie", vol. XXXIII, pp. 204-215, Paris, 1975; **ტაბაღუა ი.,** მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982.

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 142.

[5] **ტაბაღუა ი.,** მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 74.

სასწავლებლად წაუყვანია კაპუცინ პატრს ამადიო ბრეშელს[1], სხვა ცნობით – ისპა-ანის ეპისკოპოსს ელიას[2]. რომში მისმა მიმყვანმა იგი წარუდგინა წმიდა კრებას, მაგრამ პროპაგანდის კოლეჯში უადგილობის გამო, იოსები გაუგზავნიათ მოტეფი-ასკონეს სემინარიაში. აქ იგი მცირე ხანს სწავლობდა და „დაეუფლა ცოტაოდენ გრამატიკას“. 1703 წლის 11 ოქტომბერს ის პროპაგანდის კოლეჯში მიიღეს და მომდევნო წლის 6 აპრილს ფიცი დადო. ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ იოსები ერთი წელი თეოლოგიას სწავლობდა, მაგრამ მას კოლეჯი არ დაუმთავრებია. „იმ მიზნით, რომ თავით ქვეყანაში აღეძრა ინტერესი (კათოლიკობისა – ავტ.), მან წმინდა პროპაგანდას სთხოვა სამშობლოში დაბრუნება. ამის ნება მისცეს და 1709 წლის 25...ში კოლეჯიდან წავიდა“[3].

ცნობილი არ არის, იოსები დაბრუნდა თუ არა თბილისში. წყაროში ერთგან აღნიშნულია, რომ მას მისცეს ოცი სკუდო ვენეციაში გა-სამგზავრებლად[4]. თურქეთის დიდვეზირისადმი წარდგენილ „ანგარიშში“ იოსე-ბი წერს: „მე თქვენმა მონა-მორჩილმა, წარმოშობით თბილისელმა, ყრმობის წლებში ენის შესწავლის, ცოდნისა და განათლების მიღების მიზით საფრანგეთში წასვლა განვიზრახე და გავემგზავრე, როდესაც ფრანგულ ენას დავეუფლე, ვენეციის გემში ჩავჯექი და კონსტანტინეპოლისაკენ გა-ვემგზავრე“[5]. თურქეთში იოსები „სულთანის კაცელარიის თარჯიმან იანაქ ბეგთან“ მოეწყო[6]. ძნელია დადგენა, თუ როდის მოხდა ეს. მხოლოდ უდავოა, რომ იოსები საფრანგეთიდან თუ ვენეციიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა 1717 წლის მარტამდე, რადგან ამ დროს ირანში საფანგეთის კონსულად მიმავალმა დე გარდანმა იგი კონსტანტინოპლში აიყვანა თარჯიმნად[7].

ევროპაში (რომსა და საფრანგეთში) იოსებ ქართველმა საკმაო განათლე-ბა მიიღო. მან, როგორც „დაუცხრომელი სულის“[8] ადამიანმა, დიდი ნიჭი და უნა-რი გამოავლინა ენების შესწავლაში. როგორც ირკვევა, იოსებ ქართველმა ქართული და სომხური ენების გარდა იცოდა თურქული, სპარსული, ფანგული და იტალიური ენები[9]. „მასში მე ვპოვე გონებამახვილობა და უნარი ყველა ენის ცოდნაში დიდად დახელოვნებისა“ – წერდა თავის მთავრობას კონსტანტინო-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 305.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 142.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 142.

[4] იქვე.

[5] **ტაბაღუა ი.,** მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 204-205.

[6] იქვე, გვ. 205, 254.

[7] იქვე, გვ. 42, 192, 205.

[8] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 142.

[9] **ტაბაღუა ი.,** მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის.

პოლში საფრანგეთის ელჩი დ'ანდერზელი[1]. იოსებ ქართველის ნიჭსა და უნარს მაღალ შეფასებას აძლევს ფრანგი ლა დე ლა მამი დე კლერაკი. იგი წერს: „ეს ქართველი... საფრანგეთის საკონსულოს თარჯიმანი, ერთმანეთთან ახამებდა უმთავრესი ევროპული და აღმოსავლური ენების ცოდნას, დიდ მახსოვრობას, ცოცხალ გონებას, სამართლიანობას და საკმაოდ ფართო ერუდიციას გეოგრაფიასა და ისტორიაში"[2].

## *პირველი დიპლომატიური კავშირი – მარი პეტის სტუმრობა საქართველოში*

აღნიშნული დროისათვის ვახტანგ VI-ის კათოლიკე მამებთან ურთიერთობას მტკიცე საფუძველს უყრიდა ლუი XIV-ის საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა აღმოსავლეთში, კერძოდ ირანში. ცნობილია, რომ XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საფრანგეთის აბსოლუტიზმის ინტერესებში გააქტიურდა ლუი XIV-ის სავაჭრო პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნებში და განსაკუთრებით ირანში. მართალია, საფრანგეთმა ჯერ კიდევ 1604 წელს დაარსა თავისი ოსტ-ინდოეთის კომპანია, მაგრამ მისი ურთიერთობა ირანთან 1664 წლამდე ნულის ტოლი იყო. ამავე წლის დეკემბერში საფრანგეთის კოლონიური იმპერიის ფუძემდებლის, ლუი XIV-ის პირველი მინისტრის ჟან ბატისტ კოლბერის (1619-1683) ინიციატივით მარსელიდან ირანში გაიგზავნა ელჩობა, რომელიც მიზნად ისახავლა ირანის შაჰისაგან სავაჭრო და პოლიტიკური პრივილეგიების მიღებას[3].

ელჩობა ისპაანში ჩავიდა 1665 წლის ივლისში. შაჰმა საფრანგეთის მისია დიდი პატივით მიიღო და უბოძა მათ ფირმანი, რომლის საფუძველზე ირანში საფრანგეთის ქვეშევრდომებმა მიიღეს თავისუფალი დასახლების, გადაადგილებისა და ვაჭრობის უფლებები[4]. მოლაპარაკებათა ძირითადი შედეგი იმაშიც მდგომარეობდა, რომ „...სპარსეთში საფრანგეთის საქონელი 3 წლით თავისუფლდებოდა საბაჟო და სხვა გადასახადისაგან"[5]. მიუხედავად ამ ხელსაყრელი პირობებისა, ფრანგმა ვაჭრებმა ვერ შეძლეს ესარგებლათ აღნიშნული პრივილეგიებით[6].

---

[1] **ტაბაღუა ი.,** მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 186.

[2] **Clairac La De La Mamye**, Histoire de Perse, depuis le Commencement de ce siècle, Paris, Jombert, 1750, t. I, p. 6.

[3] **Панахиян Г.Г.,** О режиме капитуляции в Иране (1568-1715). Автореф. Кан. Дис. М., 1962, с. 12.

[4] **Панахиян Г.Г.,** О режиме капитуляции в Иране (1568-1715). Автореф. Кан. Дис. М., 1962, с. 13.

[5] **Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, М., 1991, с. 327.

[6] იქვე.

მართალია, ხსენებულმა ფირმანმა მალე დაკარგა თავისი ძალა, მაგრამ ირანში საფრანგეთის ავტორიტეტი ამით არ დაცემულა. ის უფრო განამტკიცა 1671 წელს ჟ. ჟონშერის ელჩობამ ისპაანში. მან ირანის შაჰს სულეიმანს (1666-1694) „...გადასცა ლუი XIV-ის საჩუქრები“[1]. ამ ელჩობის შედეგად საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ შაჰისაგან მიიღო ახალი ფირმანი, რომლის თანახმადაც ირანში საფრანგეთის ქვეშვრდომებმა მიიღეს ისეთივე პრივილეგიები, რომლითაც სარგებლობდნენ ინგლისელი და ჰოლანდიელი ვაჭრები[2].

ევროპაში ესპანეთის ნიდერლანდების დაუფლებისათვის ომებით დასუსტებულმა საფრანგეთმა ვერც ახლა ისარგებლა ირანის შაჰისაგან ბოძებული პრივილეგიებით. ამის შემდეგ თითქმის 30 წელი თვლემდა საფრანგეთის „ირანული პოლიტიკა“. 1699 წელს საფრანგეთთან კავშირის განახლება-განმტკიცების ინიციატივით გამოვიდა ირანის ხელმწიფე შაჰ ჰუსეინი (1694-1722), რომელიც კონკრეტულ ამოცანებს აყენებდა. უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის სამხედრო ფლოტის დახმარებით დაეპყრო მასკატი, რომლითაც არაბ მბრძანებელს ხელთ ეკავა სპარსეთის ყურის გასაღები. „სანაცვლოდ შაჰი საფრანგეთს გადასცემდა სპარსეთის ყურეში ნავსადგურ ბუშირს და აღადგენდა 1665 წლის სავაჭრო პრივილეგიებს“[3].

საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობების განახლების შესახებ შაჰის წინადადებას, ვერსალი მოგვიანებით, 4 წლის შემდეგ გამოეხმაურა. ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად 1703 წელს ისპაანში ჩავიდა ფრანგი კომერსანტი ჟან ბიონ დე კანსევილი. ინგლისელმა და ჰოლანდიელმა აგენტებმა, რომლებიც ცდილობდნენ გადაეკეტათ საფრანგეთისათვის გზა ირანში, რათა ამით აეცილებინათ თავიდან მასთან კონკურენცია, ყველა ზომას მიმართეს ამ მოლაპარაკების ჩასაშლელად. მათ მიზანს მიაღწიეს[4].

ასეთ ვითარებაში ვერსალმა გადაწყვიტა, გაეაქტიურებინა საფრანგეთის დიპლომატია ირანში და იქ გაეგზავნა ლუი XIV-ის ელჩი. ამისათვის მზადება, როგორც ირკვევა, 1702 წლიდან მიმდინარეობდა. ელჩად გასაგზავნი პირიც შეირჩა. ეს იყო „...საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის კომპანიის ყოფილი დირერქტორის ფაბრის ძმა-ჟან ბატისტ ფაბრი“[5], რომელთანაც დაკავშირებულია

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 235.

[2] **Панахиян Г. Г.,** О режиме капитуляции в Иране (1568-1715), с. 13.

[3] **Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 327.

[4] **Hanotaux G.,** Martineaux A. Histoire des colonies françaises et de l'expansion de la France dans le monde, Paris, 1931, pp. 543-545; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 237.

[5] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 327.

მარი პეტის სახელი. სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ჟ. ბ. ფაბრის ელჩობის ამბებზე, მანამ მოკლედ შევჩერდებით მარი პეტის ვინაობასა და საქმიანობაზე.

მარი პეტი დე მულენი (1665-1720) ცხოვრობდა პარიზში მაზარინის ქუჩაზე, რომელსაც ეს სახელწოდება 1687 წელს მიენიჭა. ეს პატარა ქუჩა (სულ 414 მეტრი) ცნობილი იყო იმით, რომ აქ მცირე ხანს მდებარეობდა მუსიკალური აკადემია, რომელიც თანამედროვე პარიზის ოპერის აკვანი გახდა. ამასთანავე ქალაქის ეს კუთხე განთქმული იყო მრავალგვარი მყუდრო გასართობი დაწესებულებებით. ერთ-ერთი ასეთი დაწესებულების-სამორინეს მეპატრონე იყო 27 წლის ქერა, ცისფერთვალება მარი პეტი, რომელსაც მამაკაცთა უმრავლესობა ლამაზ ქალბატონად თვლიდა. ამ სამორინეს ხშირი სტუმარი იყო 50 წლის მარსელელი კომერსანტი ჟან ბატისტ ფაბრი. სწორედ აქ, 1702 წელს, ჟ.ბ. ფაბრიმ აუწყა მარი პეტის, რომ მას კანცლერი ლუი პონშარტრენი დაჰპირდა ირანში ელჩად გაგზავნას[1]. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც მიდრეკილი იყო ავანტიურისადმი, თავი ვერ შეიკავა და ფაბრის სთხოვა, რომ „...თან წაეყვანა და განუცხადა: თუ ის მის თხოვნას დააკმაყოფილებდა, მაშინ ფაბრის გადასცემდა თავის დანაზოგს“[2]. მართალია, ამ თანხის ოდენობა არ დასახელებულა, მაგრამ მარი პეტის ფაბრისაგან ისპაანში ჩასვლის ერთი თვის შემდეგ გასამრჯელოდ უნდა მიეღო 8 ათასი ეკიუ[3]. ამის თაობაზე, როგორც დიპლომატიაში იტყვიან, მხარეები შეთანხმდნენ. ამგვარად, ჩვენი აზრით, მარი პეტისათვის მთავარი იყო ფულის მოგების მიზნით სავაჭრო გარიგებაში მონაწილეობა და არა მარტო ფაბრისთან ერთად ამ ხიფათით აღსავსე გზაზე სატრფიალო მგზავრობა. თვით ფაბრისათვის კი პეტი იყო როგორც საყვარელი, ისე საქმიანი პარტნიორი, რომელმაც „წარმოებაში“ ფული ჩადო.

როგორც ითქვა, მარი პეტიმ გადაწყვიტა, რომ თავისი დანაზოგი ჩაედო საფრანგეთ-ირანის ვაჭრობაში. ამასთანავე ენახა „ახალი ქვეყნები-გაესეირნა მსოფლიოში“ და შეეძინა დიპლომატიური გამოცდილება“[4]. თავის მხრივ, ავანტიურისტი მადმუაზელი ფაბრის დაჰპირდა, რომ ელჩობაში სრულ მხარდაჭერას აღმოუჩენდა. 1702 წლის 2 დეკემბერს მან თავისი ვალდებულება დოკუმენტურად დააფიქსირა: „მე ქვემორე ხელის მომწერი, – წერდა ის, – ვალდებულებას ვკისრულობ, რომ გავყვე ჟ. ფაბრის მის მოგზაურობაში კონსტანტინოპოლსა და სხვა ადგილებში, სადაც ის უნდა ჩავიდეს ან მეფის (ლუი XIV-ის –

[1] **Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 326.

[2] Тамже, с. 327.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 43; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 68.

[4] **Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 327-328.

ავტ.) სამსახურის ან თავისი საქმეების გამო“[1]. ანალოგიურად მიიღო წერილობითი ვალდებულება ფაბრისაგან მარი პეტიმ[2].

ჟ. ბ. ფაბრის ელჩობა დაახლოებით ორი წელი მზადდებოდა. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული მარი პეტიც. მასთან ერთად შეადგინა ფაბრიმ ირანის შაჰისა და მასთან დაახლოებული პირებისათვის გადასაცემი საჩუქრების სია. საჩუქრების (ხალიჩები, საათები, ქსოვილები, ლარნაკები, სურათების ასლები) საერთო ღირებულება 15 ათას ლივრს შეადგენდა[3]. მათ ასევე „რამდენიმე ათასი ლივრის ჩაწოლილი საქონელი შეიძინეს სპარსეთში გასაყიდად“. თვით ელჩის ჯამაგირი თვეში 1500 ლივრს შეადგენდა[4].

მარსელში ყველაფერი სწრაფად მომზადდა. ფრანგული დიპლომატიური სისტემის მიხედვით, ელჩს თავად შეეძლო შეერჩია მისიის პერსონალი და განესაზღვრა მისი ოდენობა[5]. შეიქმნა მრავალრიცხოვანი, 50 კაცისაგან შემდგარი მისია, რომელიც თავისი შემადგენლობით მრავალფეროვანი იყო.

ცხადია, ამ მისიაში იყო მარი პეტიც. როგორც ირკვევა, ფაბრი მარსელში ძალზე ფრთხილობდა. მან უმჯობესად ჩათვალა, რომ მარი პეტი, როგორც ქალი, ინკოგნიტოდ დარჩენილიყო ხელისუფლებისათვის. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ ჩაჯდა მადმუაზელი გემში „კაცის ტანისამსში გადაცმული“[6]. რაც შეეხება მისიის წევრებს, მათთვის მარი პეტი იყო ფაბრის პირველი მსახურის – ამელის მეუღლე.

ექვსი კვირის ზღვით მოგზაურობის შემდეგ მისია ყოველგვარი სირთულეების გარეშე ჩავიდა ალექსანდრიაში, მაგრამ ელჩს მკაცრი გამოცდა ალეპოში ელოდა[7]. აქ ფაბრის „ვეზირმა განუცხადა, რომ ვერ დართავდა ნებას ფრანგების გადასვლას სპარსეთში, რადგან სულთანი წინააღმდეგი იყო საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობისა“[8].

ფაბრის ბედით ძალზე შეწუხდნენ ვერსალში. საქმის მოგვარება მხოლოდ დიპლომატიური საშუალებებით იყო შესაძლებელი. ამიტომ საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში მარკიზ დე ფერიოლს მიეთითა, რომ დაეწყო მოლაპარაკებე-

---

[1] **R. de Maulde. La Claviere.** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, Paris, 1870, p. 22.

[2] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 68.

[3] **Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 328.

[4] Тамже.

[5] დაწვრ. იხ: **Никольсон Г.,** Дипломатическое искуство, М., 1962, с. 70-89.

[6] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი, სქოლიო 144, გვ. 68.

[7] **პაპაშვილი მ.,** მადმუაზელ მარი პეტი-ლუი XIV-ის თვითმარქვია ელჩი ირანში და მისი სტუმრობა საქართველოში // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი, შრომები, I, თბ., 2002, გვ. 88.

[8] **Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 328.

ბი თურქეთის ხელისუფლებასთან. ამ უკანასკნელმა ენერგიულად მოკიდა საქმეს ხელი და შედეგიც მიიღო. მან დაარწმუნა თურქები, რომ ფაბრი იყო არა დიპლომატი, არამედ – ვაჭარი, რომელიც ირანში მიემგზავრებოდა „სავაჭრო კომპანიის საქმეებზე, რომელსაც სპარსეთში უკვე ჰყავდა თავისი წარმომადგენლობა“[1].

ფაბრის მისია ალეპოში თითქმის ერთ წლამდე დაყოვნდა. სხვა სირთულეებთან ერთად შეიქმნა ფინანსური სიძნელეებიც. ამას თან ერთვოდა უსაზღვრო მოლოდინით დაღლილი მარი პეტის თავისუფალი ქცევა. მისიის წევრებს განსაკუთრებით დიდი ბრძოლა დასჭირდათ იმისათვის, რომ ის არ გაეშვათ „...ქალაქში ამაზონის კოსტიუმით, თუღიანი ქუდითა და ღია პირისახით“. ნათელია, მუსლიმურ ალეპოში ეს აღიქმებოდა, როგორც მაჰმადიანთა შეურაცხყოფა. სანაცვლოდ მარი პეტიმ „საფრანგეთის საკონსულოს საცხოვრებელი გადააქცია პარიზის ტავერნად აზარტული თამაშებით, ქეიფებითა და თავისუფალი ცეკვებით“[2].

როგორც ირკვევა, საკონსულო მარი პეტის საქციელის გამო მოსალოდნელ საშიშროებას განერიდა და იგი თავის ცრუ ქმართან ერთად საკონსულოს გვერდით მდებარე სახლში გადაიყვანა. ადგილობრივ მაცხოვრებელთა ცნობისმოყვარეობაც ყოველდღიურად იზრდებოდა. „საქმე ჩხუბამდე მიდიოდა იმათ შორის, რომლებიც ცდილობდნენ, ერთი თვალით მაინც შეეხედათ პარიზელი ქალისათვის. ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი საშიშროების ქვეშ აღმოჩნდა“[3]. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გზა-ალეპოს სასწრაფოდ დატოვება იყო.

1705 წლის თებერვალში მისია სრული შემადგენლობით ალეპოდან კუნძულ სამოსში ჩავიდა. სახსრების უქონლობის გამო აქ დარჩა ფაბრის ამალა და საელჩოს ტვირთი, ხოლო თვითონ მარი პეტისთან ერთად დროის დაუკარგავად გაემართა კონსტანტინოპოლში. აღმოსავლეთის ამ რომში მას ელოდა საფრანგეთის ელჩი ფერიოლი[4], მაგრამ მან არ ისურვა მასთან შეხვედრა. და საერთოდ: ჟ.ბ. ფაბრმა გადაწყვიტა, რომ ფერიოლის ჩაურევლად, ინკოგნიტოდ, კონსტანტინოპოლში ირანის ელჩის დახმარებით მოეგვარებინა საქმე. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ წყაროში ვკითხულობთ: „ფაბრი კონსტანტინოპოლში რომ ჩავიდა, აქ მას დახვდა სპარსეთის ელჩი, ჩამოსული აქ, რათა მიელოცა (ტახტზე ასვლა) ახალი სულთანისათვის. მისი თანდასწრებით ფაბრმა ჩაიცვა თურქული (თათრული) ტანისამოსი, ხოლო მარი პეტიმ კი ქართველი მამაკაცის ტანისამოსი. ამ ელჩის მფარველობით ფაბრმა მიაღწია სპარსეთის საზღვარს 1706 წლის ივნისს, სადაც ის შეჩერდა სპარსეთის შაჰის ბრძანების მოლო-

---

[1] **R. de Maulde. La Claviere.,** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, Paris, 1870, pp. 67-86.

[2] **Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 329.

[3] **Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 330.

[4] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 68.

დინში“[1]. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მარი პეტიმ უმჯობესად ჩათვალა თურქეთში ეტარებინა ქართული ტანისამოსი. ვფიქრობთ, ეს იყო უშიშროებისა და თურქებისა და სპარსელების მხრიდან პატივისცემის გარანტი. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ მაინცდამაინც ქართველი მამაკაცის ტანისამოსი შეირჩა მარი პეტისათვის.

დგება კითხვა: რატომ თქვა უარი ფაბრმა მარკიზ დე ფერიოლის დახმარებაზე? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს ვპოულობთ გრაფ დე პონშარტრენის მიერ ფერიოლისადმი 1706 წლის 19 მაისს მიწერილ წერილში, სადაც ის წერს: „ალეპოში ფაბრის ყოფნის დროს მაუწყეს მისი ცუდი ქცევის შესახებ. მაცნობეს, რომ მას თან მიჰყვება ერთი უბედური ქალი...გამოუცხადეთ მას, რომ, თუკი ის არ დააბრუნებს უკან იმ ქალბატონს, რომელსაც თავისი პირველი მსახურის ცოლად ასაღებს...მკაცრად დაისჯება. ეს მაგალითი იქნება სხვებისათვის. ამ მგზავრობასთან დაკავშირებით დიდძალი ხარჯი რომ არ ყოფილიყო გაწეული, მეფე მას საფრანგეთში დააბრუნებდა; რამდენადაც ყველაფრის თავიდან დაწყება იქნებოდა საჭირო, ამიტომ მისმა უდიდებულესობამ (ლუი XIV – ავტ.) მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ განეგრძო ფაბრის მგზავრობა, თუკი ის მის (ელჩობის ამოცანების – ავტ.) განხორციელებას შეძლებს“[2].

ამ წყაროზე დაყრდნობით დასმულ კითხვას შეიძლება ასე ვუპასუხოთ: ჟ. ბ. ფაბრი გრძნობდა, თუ რა საპასუხისმგებლო მისიას ასრულებდა. ამიტომ ის შეეცადა, მისი მოვალეობა ბოლომდე აღესრულებინა. აშკარაა, მარი პეტის გამო თავს გადახდილი ამბების გამო მარკიზ დე ფერიოლს შეეძლო მისთვის კატეგორიულად მოეთხოვა ამ ქალბატონის უკან დაბრუნება, რაც ჟან ბატისტს არაფრად არ ეწადა. ერთი სიტყვით, ფაბრი მარი პეტისთან ერთად ვერ გამოიჩნდებოდა საელჩოში ფერიოლთან. ჩვენი აზრით, ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ფაბრიმ ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია და არავითარი ანგარიში არ გაუწია ფერიოლს, რომელიც თავის მხრივ მისადმი რისხვას არ მალავდა.

ამგვარად პარიზში რეპუტაცია შელახული ფაბრი მარი პეტისთან ერთად „...1706 წლის ივნისში ერევანში[3] ჩავიდა. აქედან ისპაანისაკენ დაუყოვნებლივ გზის გაგრძელებას ორი გარემოება აბრკოლებდა. პირველი, ელჩობის ამალა და ირანის შაჰისათვის განკუთვნილი საჩუქრები იგვიანებდა ერევანში ჩამოსვლას; მეორე, მიუხედავად ლუი XIV რწმუნების სიგელის წარდგენისა, ფაბრის ელჩობის ნამდვილობაში ეჭვი ეპარებოდათ ერევნის ხანსა და სპარსელ მოხელეებს. მათ უნდობლობას უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ „ერევანში სპარსელი მოხელეები თავიანთ თვალებს არ უჯერებდნენ, როცა ცუდად ჩაცმულმა და და-

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 69.

[2] **R. de Maulde. La Claviere.,** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, pp. 98-99.

[3] **ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბ., 1990, გვ.14.

ძაბუნებულმა ფრანგმა, რომელიც მაწანწალას უფრო ჰგავდა, საფრანგეთის ელჩად წარმოადგინა თავი“[1].

ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში ეფექტური გამოდგა ფაბრის შემდეგი დიპლომატიური სვლა. მან ერევნის ხანსა და ირანელ მსახურებს მარი პეტი წარუდგინა, როგორც პრინცესა, რომელიც ვითომდა „...ლუი XIV-ის ერთ-ერთი ნათესავი იყო“[2]. ერევნის „ხანს არა იმდენად ფაბრის სიტყვებისა სჯეროდა, რამდენადაც ის მოხიბლა ახალგაზრდა ქალის მიმზიდველობამ, თავაზიანობამ და გულწრფელმა სიტყვებმა“[3].

ამასობაში თითქმის ორი თვეც მიიწურა. ჩანდა, ყველაფერი მოგვარდა. ერევნის ხანმა ფაბრი ლუი XIV-ის ელჩად აღიარა, მაგრამ ერთ-ერთი ნადირობისას ის გაცივდა და 1706 წლის 16 აგვისტოს უეცრად გარდაიცვალა[4]. არსებობს აზრი, რომ ის ერევნის ხანმა მოაწამვლინა[5]. წყაროებიდან კი ირკვევა, რომ ფაბრის მოწამვლაში მარი პეტის ედებოდა ბრალი[6]. ჩვენი აზრით, მარი პეტის ინტერესებში, რომ მას საფრანგეთ-ირანის ვაჭრობიდან მიეღო თავისი წილი, სულაც არ იყო ხელსაყრელი ფაბრის მოწამვლა. შეუძლებელია, ამ განათლებულსა და ჭკვიან ქალბატონს არ სცოდნოდა, რომ მისი მიზნის მიღწევა ფაბრის მისიის წარმატებით დამთავრებაზე იყო დამოკიდებული.

ყოველივე ამის შემდეგ მარი პეტის მდგომარეობა იყო კატასტროფული. აქ არ შეიძლებოდა არც დაბნევა, არც შეშინება და მით უფრო დაღუპვა. მას უნდა ეპოვა თავის თავში ძალა, გრძნობა გაეკონტროლებინა გონებით და პირიქით, ესარგებლა თავისი გარეგნობით და ევლო წინ. ამ საბედისწერო შემთხვევაში გამოჩნდა მისი დიპლომატიური უნარი. კერძოდ: მან არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ ის იყო ფაბრის მემკვიდრე; წინასწარ მოუმზადა ნიადაგი ირანში მის ჩასვლას; გაიჩინა მომხრეები ფაბრის დიპლომატიური მისიის ამალაში; გამოჩინა თავაზიანობა, ტაქტიანობა და ისარგებლა თავისი მიმზიდველობით; შეისწავლა საფრანგეთის „ირანული პოლიტიკა“ და კარგად გაერკვა საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ინტერესებში.

მარი პეტის ამ დიპლომატიურმა ხერხმა გაჭრა. ერევნის ხანმა ის აღიარა ფაბრის მემკვიდრედ და მას თარჯიმნად მიუჩინა ავანტიურისტული ბიოგრაფიის მქონე სომეხი წაჩინებული ზაგელი[7]. მარი პეტი, როგორც იტყვიან, სერიოზუ-

---

[1] **Борисов Ю. В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 331.

[2] **Борисов Ю. В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 331.

[3] Тамже.

[4] **R. de Maulde. La Claviere.,** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, p.103.

[5] **M. Brosset.** Documents originaux sur les relarions diplomatiques de la Georgie avec la France la fin du regne de Louis XIV // "Nouveau Journal Asiatique", t. IX, Paris, 1832, p. 200.

[6] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 69.

[7] გრაფი ზაგელი ერთხანს საფრანგეთში იყო მუშკეტერი. შემდეგ ბედის საძიებლად ის გაემგზავრა სტოკჰოლმში, მაგრამ აქედანაც მალე წავიდა. მას თვალს ხან პოლონეთში, ხან

ლად ჩაუჯდა სპარსული პოლიტიკის შესწავლას. „თავისი თარჯიმნის საშუალებით ის გაეცნო სპარსეთის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის ვაჭრობას და კავკასიის ვასალურ ქვეყნებთან შაჰის ურთიერთობას“[1]. ერთი სიტყვით, მადმუაზელმა პეტიმ მძიმე წუთები უკვე გადაიტანა. შექმნილ შემთხვევაში მან სწრაფად განსაზღვრა თავისი მიზანი და შედარებით იოლად გაიკვლია გზა ისპაანისაკენ. თუმცა ყოველივე მადმუაზელის მიერ დასახული გეგმის მიხედვით არ განვითარდა. საქმე იყო შემდეგში:

მართალია, მარი პეტის ხელს უწყობდა ერევნის ხანი და ეს იმ ვითარებაში მთავარი იყო, მაგრამ მის წინააღმდეგ ენერგიულად მოქმედებდა მარკიზ დე ფერიოლი. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა უფლებამოსილება, მან მაშინვე გარდაცვლილი ფაბრის ნაცვლად ელჩობის მეთაურად დანიშნა თავისი საელჩოს თანამშრომელი ლუი მიშელი. ამასობაში სამოსის კუნძულიდან „საელჩოს ბარგით“ ერევანში ჩამოვიდნენ ფაბრის ამალის წევრები.

როგორც აღინიშნა, მარი პეტისათვის ამ მძიმე მდგომარეობაში ყველაზე ძლიერი მოკავშირე იყო ერევნის ხანი. პროფ. ი. ტაბაღუას მიერ მოტანილი წყაროებიდან ჩანს, რომ ხანი „..მზად იყო ეცნო მარი პეტი ელჩობის მეთაურად, მაგრამ ღირსი მამა იეზუიტთა მისიიდან წინ აღუდგა ამას, განაცხადა რა, რომ ბატონ ფაბრის ჰყავს მემკვიდრე ბაბილონის ეპისკოპოსის სახით“[2]. თავის მხრივ ფერიოლიც ჩქარობდა. ფაბრის მისიის გასაგრძელებლად დანიშნული 28 წლის დიპლომატი ლუი მიშელი, რომელიც ფაბრისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა[3] „...დაუყოვნებლივ გაუდგა გზას ისპაანისაკენ, რათა დასწეოდა მარი პეტის და არ მიეცა მისთვის საშუალება გამოცხადებულიყო შაჰის კარზე, როგორც საფრანგეთის წარმომადგენელი“[4].

მიუხედავად ამისა, დიპლომატიურ სარბიელზე მარი პეტიმ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა. სანამ ლუი მიშელი შეუდგებოდა გრძელ გზას, მანამ მადმუაზელმა ერევანი დატოვა. ამით დამთავრდა ერევნის ხანთანაც ფრანგი მანდილოსნის რომანი. აქედან ის გაემართა ნახიჭევანისაკენ, სადაც მას დაეწია ლუი მიშელი[5]. ამ უკანასკნელმა მარი პეტის მოსთხოვა, გადაეცა მისთვის ფაბრის

---

გერმანიაში და ხან კონსტანტინოპოლში მოჰკრავდნენ. ბოლოს ის დაბრუნდა მშობლიურ ერევანში, სადაც ჯარის ზედამხედველად მოეწყო. **R. de Maulde. La Claviere.,** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, p. pp. 98-99.

[1] **Борисов Ю. В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 332.

[2] **Борисов Ю. В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 332.

[3] **R. de Maulde. La Claviere.,** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, p. 138.

[4] **ახალაძე ნ.,** დასახ. ნაშრ., გვ. 15.

[5] **Борисов Ю. В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 333.

ნივთები და საბუთები, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა[1]. ფრანგი მანდილოსნისათვის ახლა სასურველი რეალური ჩანდა. ლუი მიშელიც თავის უფლებებში შეზღუდული იყო. მას არ ჰქონდა ოფიციალური რწმუნებები, ანუ ნომინალური ნდობის სიგელი. ის მხოლოდ „შეიარაღებული“ იყო მარკიზ დე ფერიოლის წერილით. დიპლომატიურ ენაზე რომ ვთქვათ, ლუი მიშელი ოფიციალურად არ იყო დანიშნული ლუი XIV-ის ელჩად ვერსალის მიერ.

ლუი მიშელმა დროებით უკან დაიხია. მან შემოვლით გზას მიმართა. ის წავიდა თავრიზში, სადაც შეკრიბა კაპუცინი მისიონერები და მათ წინაშე თავი ლუი XIV-ის ელჩად გამოაცხადა, თუმცა მას ამის უფლება არ ჰქონდა. ამჯერად პეტისა და მიშელს შორის დიპლომატიურმა ბრძოლამ თავრიზში გადაინაცვლა. მართალია, მადმუაზელს ნაკლები მომხრეები ჰყავდა, ვიდრე მიშელს, მაგრამ მის წინააღმდეგ, როგორც წყაროები მოწმობენ, ქალბატონს ორი ძლიერი არგუმენტი გააჩნდა: პირველი, მისადმი კეთილად იყო განწყობილი თავრიზის ხანი და მეორე, „...რათა სახელი გაეტეხა ბატონი მიშელისათვის და ხელი შეეშალა მისიის მსვლელობისათვის, ყველგან აცხადებდა, რომ, მიშელი არ იყო საფრანგეთის მეფის დესპანი და პირიქით, ის იყო მხოლოდ საელჩოს უბრალო მდივანი“[2]. ასეთ სიტუაციაში ლუი მიშელის მომხრე კაპუცინმა პატრებმა ირანის შაჰს გაუგზავნეს წერილი, რომ მარი პეტი იყო თვითმარქვია და ითხოვდნენ მის დაპატიმრებას[3]. მოვლენების განვითარების გათვალისწინება შეუძლებელი იყო. ყოველივე ამან თავრიზის ხანიც საგონებელში ჩააგდო. ამ უკანასკნელმა დავისათვის ბოლო რომ მოეღო, ლუი მიშელს ერთ-ერთი აუდიენციისას დაუსვა კითხვა: „ხართ თუ არა თქვენ ის ელჩი, რომელიც ერევნიდან მიღებული ცნობით თან ახლდა მარი პეტის?“. რა თქმა უნდა, ამაზე მიშელს არ შეეძლო დადებითი პასუხი გაეცა. ამან საბოლოო წერტილი დაუსვა გაუთავებელ დავას. მარი პეტის პირდაპირ გაეხსნა გზა ისპაანისაკენ.

ირანის დედაქალაქი დიდი ინტერესით ელოდა ამ არაორდინალურ შემთხვევას და მზად იყო მადმუაზელის მისაღებად. მოწინააღმდეგენი უძლურნი აღმოჩნდნენ მისთვის ხელი შეეშალათ. ამჯერად მათ მხოლოდ პეტის გარშემო მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვებაღა რჩებოდათ ნუგეშად. ერთ-ერთი ასეთი წყაროს თანახმად, ამ მანდილოსანმა „...უფრო მეტად რომ მიეზიდა თავის მხარეზე ამ უცხო ხალხის (მაჰმადიანების – ავტ.) გული, მან დაიწყო აშკარად ლაპარაკი, რომ ჩამოვიდა სპარსეთში მხოლოდ იმისათვის, რომ

---

[1] **გაბაშვილი ვ.,** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი..., გვ. 68; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 71. **ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 15.

[2] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 163.

[3] **R. de Maulde. La Claviere.,** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, pp. 134-135; **Борисов Ю. В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 333.

მიეღო მაჰმადიანური სარწმუნოება; რადგან მან შეიცნო ქრისტიანული რელიგიის ბოროტება“[1]. თუ ეს წყარო სანდოა, უნდა დავიჯეროთ, რომ პერტის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ნაკარნახევი იყო მხოლოდ დიპლომატიური მოსაზრებით და არა იმით, რომ მან მართლაც შეიცნო მაჰმადიანური რელიგიის ჭეშმარიტება. ჩანს, ის ითვალისწინებდა, რომ მკაცრ მაჰმადიანურ ირანში მის ასეთ დიპლომატიურ ხერხს დიდი ძალა ექნებოდა და უფრო შედეგიანად იმუშავებდა. ეს რომ ასე იყო და არა სხვაგვარად, იმაში გამოჩნდა, რომ მას ირანში თავისი გადაწყვეტილება სისრულეში არ მოუყვანია, ანუ მუსლიმობა არ მიუღია. ბუნებრივია, მოწინააღმდეგეთა ხელში ეს გახდა მაკომპრომეტირებელი საბუთი და მას პარიზში მომავალ სასამართლო პროცესზე გამოიყენებენ კიდევაც.

ამრიგად, მარი პეტი ისპაანში ჩავიდა, ხოლო მიშელი თავრიზში დარჩა პარიზიდან რწმუნების სიგელის მიღების მოლოდინში. ვერსალის რთული ადმინისტრაციული მანქანა ბოლოს და ბოლოს უნდა ამუშავებულიყო. ამასობაში მადმუაზელ მარი პეტი შაჰის კარზე განსაკუთრებული პატივითა და ყურადღებით მიიღეს. ერთ ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ისპაანში ის მოათავსეს მისთვის გამზადებულ ბინაში და აუდიენცია ჰქონდა იმპერიის პირველ ვეზირთან. შაჰ ჰუსეინმა კი მას აჩუქა 600 ეკიუ[2]. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ იყვნენ ირანში დაინტერესებული საფრაგეთის სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებით. მაგრამ აქვე შაჰის კარიც კარგად ხედავდა, რომ თვითმარქვია ელჩთან მოლაპარაკებებს რაიმე პოზიტიური შედეგი არ მოჰყვებოდა.

ისტორიკოს ი. ბორისოვის მიხედვით, შაჰის კარზე მარი პეტიმ „...დაიწყო მოლაპარაკებები საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ჩანდა, ისინი წარმატებით მიიწევდნენ წინ“[3]. ჩვენ არ ვიცით, თუ რას ემყარება ავტორის ეს დასკვნა. წყაროები ამის შესახებ დუმან. ამიტომ გვიჭირს ამ აზრის გაზიარება,. ვფიქრობთ, რამდენადაც ირანის მხარე უარს ამბობდა მარი პეტისთან მოლაპარაკებების გამართვაზე, ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ მან მოულოდნელად გადაწყვიტა უარი ეთქვა თავის დიპლომატიურ კარიერაზე და დაბრუნებულიყო თავრიზში ლუი მიშელისთან ახსნა-განმარტებებისათვის. ხსენებული ავტორი ი. ბორისოვი ამასთან დაკავშირებით სვამს სრულიად სამართლიან კითხვას: რა მოხდა? მარი პეტი გატეხა დაღლილობამ? ნერვებმა უმტყუნა? ანდა გარდაუვალი დასჯის წინ გაუჩნდა შიში? „შესაძლებელია ერთიც, მეორეც, მესამეც და ყველა ერთად აღებული“ – პასუხობს მკვლევარი.

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 164.

[2] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 165-166.

[3] **Борисов Ю. В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 333.

ნათქვამს კი ჩვენ დავამატებთ: მარი პეტის გადაწყვეტილება, რომ შეეწყვიტა თავისი მისია და დაბრუნებულიყო სამშობლოში, ძირითადად ნაკარნახევი იყო დიპლომატიური მოტივით. საკუთრივ: მადმუაზელის ავანტიურისტული ცნობისმოყვარეობა უკვე დაკმაყოფილებული იყო. მან საფრანგეთის აღმოსავლური დიპლომატიის ისტორიაში სამუდამოდ ჩაწერა საკუთარი სახელი. ამასთანავე ის ჩაწვდა საქმის არსში და მიხვდა, რომ ვერ აღასრულებდა ამ ელჩობის ამოცანებს. მან ასევე კარგად დაინახა, რომ მისი მოქმედება ხელს უშლიდა საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. მისი მოქმედების გარშემო ატეხილი სკანდალიც ამას თვალნათლივ ავლენდა. ასე რომ, ჩვენ არ გვაქვს ცნობები, რომელიც დაგვარწმუნებდა, რომ ირანის მხარე მარი პეტის აღიარებდა საფრანგეთის ელჩად და მასთან დადებდა ხელშეკრულებას. ამდენად, პეტიმ იგრძნო პასუხისმგებლობა, მაგრამ არა ისე, რომ თავისი საქციელის გამო სამართლის წინაშე პასუხი ეგო.

მოკლედ რომ ვთქვათ, მარი პეტი სპარსელ მოხელეთა თანხლებით დიდი პატივით დაბრუნდა თავრიზში ლუი მიშელთან, რათა ამ უკანასკნელს მოეგვარებინა საფრანგეთში მისი დაბრუნების საქმე. წყაროებიდან ჩანს, რომ მარის პარიზში დაბრუნება საქართველოზე გავლით ჯერ კიდევ ისპაანში გადაუწყვეტია. ამ მიზნით მას შაჰ ჰუსეინისათვის მიუმართავს: „მე მას (შაჰს – ავტ.) ვთხოვე, – წერს მარი პეტი, – აღმოეჩინა ჩემთვის მოწყალება, რათა წავსულიყავი საქართველოს გავლით, რაზედაც ნება დამრთეს შესაბამისი ბრძანებით მთავრებისადმი, რაც მათ შეძლეს ჯეროვნასდ“[1]. ეს ცნობა ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია. ამიტომ მასზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ შაჰ ჰუსეინისაგან მარი პეტის ქართლის ჯანიშინ ვახტანგ VI-სთან მოჰქონდა წერილი თუ „შესაბამისი ბრძანება“ მისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ერთი სიტყვით, გუშინდელი მოწინააღმდეგენი – მარი პეტი და ლუი მიშელი ახლა ისევ შეხვდნენ ერთმანეთს თავრიზში. აქ მათ დავისა და ურთიერთდაპირისპირების დრო არ ჰქონდათ. პეტის გადაწყვეტილებით გახარებულმა მიშელმა სასურველი და რეალური ერთმანეთს შეათანხმა, მადმუაზელის მოთხოვნები დააკმაყოფილა და თავიდან მის სწრაფად მოშორებას შეუდგა. ამ მიზნით ის მარი პეტის, ისპაანში ელჩობის ხარჯების ანგარიშით, დაჰპირდა საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ 12 ათას 200 ლივრის მიცემას, ხოლო სახარჯოდ ხელზე 500 ეკიუს გადაცემას[2]. გარიგება „გულწრფელად მოხდა“[3].

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 74.

[2] **ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 16, 33; **R. de Maulde. La Claviere.,** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, p. 138.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I. გვ. 33.

მაგრამ სულ მალე გამოჩნდა, რომ ეს იყო დიპლომატიური საშუალება მარი პეტის თავიდან მოსაშორებლად. აი, რას წერდა ლუი მიშელი მარი პეტის თბილისში: „მე ვერ დაგპირდებოდით 12 ათას 200 ლივრსა და 500 ეკიუს ნაღდ ფულს, იმ დროს, როდესაც ეს ფული მე ძალიან მჭიდებოდა“[1]. ცხადია, ამით „გარიგება“ ჩაიშალა, მაგრამ მარი პეტი დათმობას არ აპირებდა. ისე კი საფიქრებელია, ეს ხომ არ იყო ის თანხა, რომელიც მარი პეტის უნდა მიეღო „წარმოებაში“ ჩადებული წილიდან მოგების სახით ჟ.ბ. ფაბრისაგან? წყაროების დუმილის გამო ძნელია ამის მტკიცება, მაგრამ ვფიქრობთ, ამ ვარაუდს არსებობის უფლება აქვს. ამგვარად, მარი პეტი სამშობლოში ბრუნდებოდა არა სასჯელის მოსახდელად, რომელიც მას თვითმარქვია ელჩობისათვის ელოდა, არამედ აღნიშნული თანხის მისაღებად, რათა თავისი ცხოვრება უკეთ მოეწყო.

ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენ ხანს დარჩა მარი პეტი თავრიზში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლუი მიშელი არ დაახანებდა მის გამგზავრებას საფრანგეთში საქართველოზე გავლით. პარიზში მიმავალი ქალბატონი შეიარაღებული იყო ლუი მიშელის სარეკომენდაციო წერილებით ქართლის ჯანიშინ ვახტანგ VI-სთან, სმირნაში საფრანგეთის კონსულ ფონტენიუსთან, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩ მარკიზ დე ფერიოლთან და სხვებთან[2].

როგორც გარკვეულია, 1707 წლის ივლისის პირველ ნახევარში მარი პეტი უკვე თბილისში იყო[3]. ქართულმა სტუმართმოყვარეობამ ამ ქალბატონს ისევ დაუბრუნა სიამაყე. აქ მას შეეძლო დაესვენა და გართობილიყო კიდევაც. ვახტანგ VI-მ და ქართლის სამეფო კარმა მადმუაზელს განსაკუთრებული პატივი მიაგო. ის მიიღეს არა როგორც ავანტიურისტი და მომხიბლავი ქალბატონი, არამედ როგორც საფრანგეთის წარმომადგენელი. ეს ნათლად აისახა ლუი მიშელის მიერ მარი პეტისადმი მიწერილ წერილში, რომელშიც ვკითხულობთ: „ბატონ ბორეგარს ვუგზავნი საქართველოს მეფეს თუ რა შეიძლება გაკეთდეს თქვენი სამსახურისათვის....როდესაც მეფე (ვახტანგი – ავტ.) დაინახავს ჩემს მიერ გამოგზავნილ კაცს, თქვენ აღმოგიჩენთ ყოველგვარ დახმარებას. მე ასევე ვწერ ამ მეფეს, რომ მან გამოყოს თქვენთვის ერთგული კაცი, რომელიც გაგაცილებთ კონსტანტინოპოლამდე“[4].

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I. გვ. 33.

[2] **ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 15-16.

[3] **ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 15; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 74.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობი ისტორიიდან, გვ. 34; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 75;

[4] **ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 17.

ამ წყაროდან ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლუი მიშელი ახლო ურთიერთობაშია ვახტანგ VI-სთან. ვფიქრობთ, ლუი მიშელისათვის მისიონერების, კერძოდ, ამ დროს თბილისში მოღვაწე კაპუცინი პატრის ჯოზეფო მარია პერუჯელის[1], მეშვეობით კარგადაა ცნობილი ვახტანგის კეთილგანწყობილება ევროპელების, განსაკუთრებით ფრანგებისადმი. ეს აზრი უფრო იმიტომ უნდა ვირწმუნოთ, რომ ხსენებული მისიონერი აქტიურად მონაწილეობდა მარი პეტის საქართველოდან გამგზავრების საქმეში. ის იყო შუამავალი ვახტანგსა და მარი პეტის შორის[2]. ამდენად, ლუი მიშელს სრული რწმუნებით შეეძლო მარი პეტისათვის განეცხადებინა, რომ ვახტანგი, როცა „ჩემი მხრიდან გაგზავნილ კაცს დაინახავს, აღმოგიჩენთ ყოველგვარ დახმარებასო“.

ლუი მიშელი არ შემცდარა. ვახტანგ VI-მ ყველაფერი იღონა მარი პეტისა და ლუი მიშელის ინტერესების სასარგებლოდ, თუმცა საქართველოდან ფრანგი მანდილოსნის გაგზავნა სამი თვით მაინც დაყოვნდა. ამის მიზეზად წყაროში დასახელებულია ცუდი ამინდების გამო ზღვაზე მოგზაურობის სიძნელეები[3]. როგორც ყველგან, ისე თბილისშიაც, მარი პეტის ქცევის შესახებ შეითხზა ტყუილი და მართალი. „გავრცელდა ხმები, რომ მან განიზრახა ქართველს გაჰყოლოდა ცოლად“[4]. „ამ საძაგელმა (მარი პეტიმ – ავტ.), – წერდა ერთ-ერთი მისიონერი, – თბილისშიც გამოიწვია დიდი აურზაური, რადგან გულგაღეღილი დადიოდა ქუჩებში და მთელი ხალხი მას ასდევნებოდა; ამიტომ სქიზმატიკოსებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და აუგად მოიხსენიეს წმინდა რჯული (კათოლიკური სარწმუნოება – ავტ.)“[5]. ძნელია, ეს ფაქტი განვაზოგადოთ და მადმუაზელ მარი პეტი დავადანაშაულოთ უზნეობაში, ეს მაშინ, როდესაც ამის საწინააღმდეგო აზრებიც არსებობს.

წყაროთა სიმწირის გამო ვერ ხერხდება, სრულად წარმოვადგინოთ სამი თვის მანძილზე თბილისში მარი პეტის საქმიანობის სურათი. მხოლოდ შესაძლებელი ხდება შემდეგი დეტალის აღდგენა. თბილისში ფრანგი მანდილოსანი საზრუნავის გარეშე არ დარჩენილა. როგორც ერევანში, ისე თბილისში მან „...ქრისტიანი კათოლიკეს კარგი მაგალითის ჩვენების გარდა...ბევრი იმუშავა ამ მეფესთან (ვახტანგ VI-სთან – ავტ.) საცოდავი კათოლიკეების ტანჯვის შესამსუბუქებლად, რომელნიც იდევნებიან წამხდარი ერეტიკოსებისაგან (სომხე-

---

[1] **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 242.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 23-24.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 37; **ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 17.

[4] **Борисов Ю. В**., Дипломатия Людовика XIV, с. 334.

[5] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), I, გვ. 37.

ბი გრეგორიანებისაგან – ავტ.)“[1]. ამ ინფორმაციის სანდოობას ადასტურებს ვახტანგ VI-ის მიერ მარკიზ დე ფერიოლისადმი მიწერილი წერილიდან ერთი ადგილი. მარი პეტის შესახებ ვახტანგი ელჩს აუწყებდა შემდეგს: „ჩვენ ამ დედაკაცის საქმე მოკითხული ვქენით. ქრისტიანი და კარგი ნამუსიანი დედაკაცი ყოფილა. ერთი ჯიზვიტი (იეზუიტი – ავტ.) პატრი და სხვა მრავალი ქრისტიანი ფრანგები, ერისკაცნი სიკვდილს მოურჩენია“[2]. ერთი სიტყვით, ამ მეამბოხე სულის მქონე მადმუაზელი მოწყალე ბუნების გახლდათ.

თავის მხრივ ვახტანგ VI მარი პეტის საქართველოში სტუმრობით ყველაზე კარგი შემთხვევა ეძლეოდა, გარკვეულიყო საფრანგეთ-ირანის ურთიერთობის ასპექტებში. სახელდობრ, დაენახა, თუ რა მნიშვნელობას იძენდა ირანი საფრანგეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში. ასევე გაეგო, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავდა ლუი მიშელის დიპლომატიური მისია ირანში. მას, აშკარაა, მარი პეტისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოუხდა ხელი მოეწერა იმ წერილზე, რომელიც ადასტურებდა, რომ ლუი მიშელი ირანში საგანგებო დესპანად იყო გაგზავნილი ლუი XIV-ის მიერ. ამასთან დაკავშირებით მივმართავთ წყაროს: „მისი (მარი პეტის – ავტ.) იქ (თბილისში – ავტ.) ყოფნის დროს, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – ერევნის ხანს მისი სუვერენისაგან (სპარსეთის შაჰისაგან – ავტ.) დავალებული ჰქონდა, გაეგზავნა [კაცი] საქართველოს მეფესთან (ვახტანგ VI-სთან – ავტ.) რათა... მიეღო პეტის დადასტურება იმაზე, რომ საფრანგეთის მეფემ სპარსეთის შაჰთან გაგზავნა საგანგებო დესპანი ბატონი მიშელი თუ არა. მან (მარი პეტიმ – ავტ.) ამის შესახებ მისცა წერილობითი ცნობა, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს მეფემ (ვახტანგ VI-მ – ავტ.), ორმა თურქმა და მარი პეტიმ“[3]. წყაროში ასევე ნათქვამია, რომ ვახტანგს მარი პეტიმ „მოუთხრო საფრანგეთის ამბები“[4].

თუ გავითვალისწინებთ იმ ამოცანებს, რომელსაც საფრანგეთ-ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ჩარჩოებში მიზნად ისახავდა სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ვერსალში, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ მარი პეტის სტუმრობამ თბილისში საფუძველი მოუმზადა საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას. უეჭველია, მარი პეტიმ გაარკვია ვახტანგი საფრანგეთის „ირანულ პოლიტიკაში“. ეს ზემოთ მოხმობილი წყაროდანაც კარგად ჩანს. მოკლედ, ვახტანგ VI განათლებულმა ყოველივე ამაში ნახა საფრანგეთთან სა-

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), I, გვ. 24.

[2] იქვე, გვ. 51.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), I, გვ. 23.

[4] იქვე, გვ. 24.

ვაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების მომავალი შესაძლებელი სინამდვილე. ასე რომ, მარი პეტის სტუმრობამ ბიძგი მისცა საფრანგეთ-საქართველოს დაკავშირებას. ამ მიზნითა და გრძნობით ანთებული ვახტანგ VI „ყველა შესაძლებელ სამსახურს“ უწევდა ნებისმიერ ფრანგს[1]. ევროპაში მუდამ ერთგული მოკავშირის მაძიებელი ქვეყნის მესვეურის ასეთი ემოციური დამოკიდებულება ფრანგებისადმი და განსაკუთრებით მარი პეტისადმი სრულიად გასაგებია. სწორედ ეს მიზანი აძლევდა ისტორიულ მნიშვნელობას მადმუაზელ პეტის სტუმრობას საქართველოში.

ევროპელებისადმი, კერძოდ ფრანგების მიმართ ვახტანგ VI-ის კეთილგანწყობით კარგად ისარგებლა მარი პეტიმ. მას ვახტანგის ავტორიტეტი სჭირდებოდა თავისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ეს გამოვლინდა იმაში, რომ მან მიიღო ქართლის ჯანიშინის სარეკომენდაციო წერილი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის მარკიზ დე ფერიოლისადმი.

ამასობაში სამი თვე მიიწურა და დადგა საქართველოდან მარი პეტის გამგზავრების დროც. 1707 წლის სექტემბრის ბოლოს[2] მან თბილისი დატოვა და მცირე ესკორტის თანხლბით სამშობლოში გაემგზავრა. ის ჯერ ახალციხეში უნდა ჩასულიყო, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლში. წინდახედულმა ქალბატონმა იცოდა, რომ მას სკანდალისა და ცუდი ქცევისათვის პარიზში სასჯელი ელოდა[3]. ამიტომ იგი შეიარაღებული იყო ლუი მიშელის, ბაბილონოის ეპისკოპოსის პიდუს, ვახტანგ VI-ის დადებითი სარეკომენდაციო წერილებით. ვერსალში გამაოგნებელი იყო ის, რომ მადმუაზელს ხელთ ჰქონდა მისი დაუძინებელი მოწინააღმდეგის მარკიზ დე ფერიოლის „დაცვითი სიგელი“[4]. და საერთოდ: კარდინალურად შეიცვალა ფერიოლის დამოკიდებულება მარი პეტისადმი. ეს ქალბატონი „რვა თვის განმავლობაში ცხოვრობდა ელჩ ბატონ დე ფერიოლის სასახლეში და ამ დროის განმავლობაში ჭამდა მასთან ერთად ერთ მაგიდაზე[5]. გასაგებია, საელჩოს თანამშრომელთა გაკვირვებასაც საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მომხიბვლელი პარიზელი ქალბატონი ალბათ ფერიოლის გულსაც ადვილად დაეპატრონა. ასეა თუ ისე, მარი პეტი ყოველთვის გარემოების შესაბამისად მოქმედებდა და ამ შემთხვევაშიც ასე იყო.

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), I, გვ. 48.

[2] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 76; **ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 19.

[3] **R. de Maulde. La Claviere.** Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, p. 181.

[4] Ibid, p. 200.

[5] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 76.

## *საფრანგეთთან კავშირების გაფართოება საქართველოში კათოლიკე პატრების საქმიანობის კონტექსტში*

ამის შემდეგ ისევ ვუბრუნდებით საქართველოში კაპუცინ მისიონერთა საქმიანობას. XVIII საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1707 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1707 წლისათვის აქ მოღვაწეობდნენ კაპუცინი მამები ფრანჩესკო და ბიტელტო, ტომაზო და ლეონესა, ალესიო მილანელი, რეჯინალდო ლენტინელი (იგი იყო მისიონის პრეფექტი) და ჯოზეფო მარია პერუჯელი[1]. ეს უკანასკნელი იყო დამსახურებული მისიონერი-დიპლომატი. იგი პაპმა კლიმენტი XI-მ 1709 წელს გაგზავნა ირანის შაჰის კარზე სპეციალური დავალებით[2]. ამავე წლის მიწურულისათვის კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის დახმარებით თურქეთის გავლით საქართველოში ჩამოვიდა ხუთი იტალიელი კაპუცინი[3].

ჩვენ სათანადო ადგილას ვნახეთ, ხომ XVII საუკუნის მიწურულს ირანის იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც სომეხთა მხრიდან დაიწყო კათოლიკე მისიონერების დევნა. მართალია, შაჰის ბრძანებით ირანის იმპერიაში კათოლიკე პატრებს ირან-საფრანგეთის 1708 წლის ხელშეკრულებამ კათოლიკე მისიონეებს ისევ მიანიჭა თავისუფლი მოქმედების უფლებები, მაგრამ მას მხოლოდ თეორიული ხასიათი ჰქონდა. ირანის იმპერიაში კათოლიკე პატრები ისევ განიცდიდნენ დევნას. წყაროთა მიხედვით, ეს გამოწვეული იყო სომხეთის პატრიარქის საქმიანობით. მან დიდი ქრთამის (150 სკუდი) საშუალებით ირანის მესვეურებისაგან მიიღო სიგელი, რომლის ძალითაც მისიონერთა საქმიანობას დაბრკოლებებს უქმნიდა[4]. ირანის იმპერიიდან მისიონერებს განდევნა ემუქრებოდა. სომხური ეკლესიის მსახურნი ხელს უშლიდნენ თბილისში პატრების საქმიანობას.

სომეხი სასულიერო პირების ანტიკათოლიკური განწყობილების მიზეზების შესახებ პროფ. ვ. გაბაშვილი წერს: „კათოლიკე მისინერებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი სომეხი სარწმუნოების თბილისელი ვაჭრები, რომლებიც აქტიურად მოანწილეობდნენ მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. ისინი კათოლიკე მისიონერებს თვლიდნენ, სავსებით მართებულად აგენტებად და საშიშარ მეტოქეებად. სომეხი ვაჭრები წინააღმდეგობას

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 40, 42v, 49, 50v.

[2] **Krusinski Th.,** Tragica Vertentis belli Persici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno 1728, p. 266; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 23.

[3] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 66.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 23; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 37.

უწევდნენ კათოლიკე მისიონერების კომერციულ საქმიანობას, როგორც სპარსეთში, ასევე საქართველოში“[1]. შემდეგში ეს აზრი მტკიცედ იქნა გაზიარებული სპეციალურ ლიტერატურაში.

ცნობილი მეცნიერის, პროფ. ვ. გაბაშვილის აღნიშნულ დასკვნას ჩვენ მთლიანად ვერ გავიზიარებთ. როგორც ვიცით, 1633 წელს კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ბრძანებით, კათოლიკე მისიონერებს აეკრძალათ სავაჭრო საქმიანობა[2]. ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთი საბუთი, რომელიც დადასტურებდა, რომ რომიდან გამოგზავნილი მისიონერები საქართველოში ეწეოდნენ სავაჭრო ოპერაციებს ანდა დაკავებული იყვნენ სავაჭრო საქმიანობით. ჩვენი აზრით, სომეხი სასულიერო პირები უფრო იმიტომ იყვნენ საქართველოში კათოლიკე პატრებისადმი ანტიპათირუად განწყობილნი, რომ ქართველების მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებით სომხური ეკლესია კარგავდა თავისად მიჩნეულ მრევლს. ქართველთა უფრო მეტი სიმპათიები და მიდრეკილება კათოლიკური სარწმუნოებისადმი მოსვენებას უკარგავდა იმდროინდელ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწინაურებულ სომხებს. „პოლიტიკური კატაკლიზმებითა და ეკონომიკურ იალაჯობით შერყეულ სახელმწიფოში, ვერც ქართული ეკლესია იდგა სათანადო დონეზე, რათა ეკისრა ერის შემომკრები და დამრაზმავი ფუნქცია. როგორც ჩანს, სასიცოცხლო ძალებისაგან დაცლილი და დაძაბუნებული ერი ვერც სათანადო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ვერ განამტკიცა და ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლა სომხურმა ეკლესიამ, მან დაიწყო უაღრესად აქტიური და ენერგეიული მოქმედება, რათა გზადაბნეული და უხელმძღვანელო მოსახლეობა თავის მრევლად ექცია“[3]. მარტივად რომ ვთქვათ, სომხური ეკლესია ცდილობდა, ქართველები თავიანთ სამშობლოშივე გრიგორიანობაზე, სომხურ რჯულზე მოექციათ. სწორედ აქ ეგულებოდა თავის მოცილედ სომხურ ეკლესიას კათოლიკე პატრები, რადგან ქართველები გრიგორიანობას კათოლიკური სარწმუნოების მიღებას ამჯობინებდნენ. კათოლიკობა იყო ის ფარი, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა იდენტობის შენარჩუნება.

როგორც ზემოთ ითქვა, ვერც ირან-საფრანგეთის 1708 წლის ხელშეკრულებამ შეძლო ბოლო მოეღო მისიონერთა შევიწროებისათვის სპარსეთის იმპერიაში. ასეთ ვითარებაში 1710 წლის ბოლოს ისპაანში გაგზავნილი იქნა აგათაპოლელი ეპისკოპოსი, ბაბილონის კოადიუტორი[4] აბატი გატიე დე გალისკონი, რომელიც აღჭურვილი იყო საფრანგეთის მეფის წერილებით ირანის შაჰისადმი.

---

[1] **გაბაშვილი ვ.,** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი // სულხან-საბა ორბელიანი 1658-1958. საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 63.

[2] Histoire universelle des missions catholiques, t.I. Sous la dir de Mgr. S. Delacroix, Paris, 1957, p. 119.

[3] **ბარამიძე რ.,** ლიტერატურული შტუდიები, თბ., 1988, გვ. 47.

[4] კოადიუტორი-საფრანგეთში პიროვნება, რომელიც წარმოადგენს პრელატის შემწეს და მომავალში იკავებს მის ადგილს.

ეს იყო 1711 წლის 3 აგვისტომდე. მან „ყველა კათოლიკე მისიონერი ჰპოვა მძიმე მდგომარეობაში“[1].

ჩვენი აზრით, გატიე დე გალიკსონის ჩამოსვლა საქართველოში გარკვეულ მისიას ისახავდა. მაშინ, როცა ირანის იმპერიაში კათოლიკე პატრები იდევნებოდნენ, ქართლში გალიკსონის ჩამოსვლას ის მიზანი ჰქონდა, რომ მისიონერთა საიმედო მფარველ ვახტანგ VI-ს ამ საქმეში მისთვის ქმედითი დახმარება გაეწია.

გატიე დე გალიკსონმა ისევ აღადგინა ძალაში კათოლიკური მისიების უფლებები, მაგრამ არსებობდა საშიშროება იმისა, რომ შაჰის მიერ გაცემული ფირმანი ისევ გაუქმებულიყო. საქმე ისაა, რომ მისიონერების მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად სწრაფად განვითარდებოდა ვაჭრობა ირანსა და საფრანგეთს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მისიონერს უკან დაბრუნება ელოდა[2].

ამასობაში ქართლის სამეფოშიც შეიცვალა მდგომარეობა. ცნობილია, რომ 1711 წლის 26 ოქტომბერს ყანდაჰარში ქაიხოსროს დაღუპვის შემდეგ ქართლის ტატხტი გათავისუფლდა. შაჰმა ახლა მეფობა ვახტანგ VI-ს შესთავაზა და ტახტზე დამტკიცების მიზნით ირანში გაიწვია. 1712 წლის 23 აპრილს ვახტანგი 300 კაცის თანხლებით[3], სხვა ცნობით 2 ათასი[4] ირანში გაემგზავრა. შაჰმა იგი დიდი პატივით მიიღო, გამაჰმადიანება მოსთხოვა და მალე გამოსტუმრება აღუთქვა, მაგრამ ვახტანმა სარწმუნოების შეცვლაზე უარი განაცხადა. როგორც ჩვენს ხელთ არსებული ერთ-ერთი საარქივო მასალიდან ირკვევა სარწმუნოების შეცვლის საკითხთან დაკავშირებით ვახტანგს კათოლიკე პატრებისათვის მიუმართავს, თუმცა მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სიცოცხლის ფასადაც „თავისი სარწმუნოება“ არ მიეტოვებინა[5]. ამის გამო ვახტანგი ირანში დააკავეს.

ისეთ ვითარებაში, როცა კათოლიკე მისიონერები ირანის იმპერიაში განიცდიდნენ შევიწროებას, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა, დაემყარებინა კავშირი ისპაანში დაკავებულ ვახტანგთან, რომლის მდგომარეობა ფრანგმა მესვეურებმა გატიე დე გალიკსონისა და თავრიზის მისიების წინამძღვრის პიერ დ ისუდენი წერილების საშუალებით უკვე იცოდნენ.

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 201.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 111.

[3] საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა, გვ. 118.

[4] **Krusinski Th.,** Tragica Vertentis belli Persici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno 1728, p. 144.

[5] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 110.

ჩვენი აზრით, საფრანგეთის მთავრობამ, როცა დაინახა, რომ ირანის შაჰს არ შეეძლო მისიონერთა მფარველობა, თუ ამას არ მოჰყვებოდა 1708 წლის ხელშეკრულების რატიფიკაცია, გადაწყვიტა კავშირი დაემყარებინა ვახტანგთან. ჩანს, ფრანგი მესვეურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვახტანგის მფარველობას მისიონერებისადმი და ამ საქმეში მისი მხარდაჭერა საიმედოდ ესახებოდათ. რაც შეეხება ირანში მყოფ მისიონერებს, მათ საქართველოში კაპუცინთა საქმიანობის წარმატებისათვის ვახტანგის ქართლის ტახტზე ქრისტიან მეფედ დაბუნება ერთადერთ გზად მიაჩნდათ. ამიტომ ისინი ფრანგ მესვეურებს სთხოვდნენ აქტიურად ჩარევას[1].

მოკლედ, კათოლიკე მამების (პიერ დ ისუდენის, გატიე დე გალიკსონის, ჟან რიშარის) მეშვეობით ირანში „ტყვედ“ მყოფმა ვახტანგმა 1712 წლის ივლის-აგვისტოში მიიღო კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის გრაფ დეზალორის, ხოლო 1713 წლის აპრილს-საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ისა და კანცლერ გრაფ დე პონშარტრენის წერილები. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ვახტანგმა 1713 წლის 17 ნოემბერს საფრანგეთსა და რომში წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით დიპლომატიური მისიით გაგზავნა ს. ს. ორბელიანი. ამ ელჩობის მომზადებისა და გამგზავრების საკითხს ჩვენ აქ არ შევეხებით. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნეთ: დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანის საგანგებო ელჩობით აღჭურვა ვახტანგ VI-ის მიერ კარგად მოფიქრებული პოლიტიკური ნაბიჯი იყო და წარმოადგენდა ადრე დაგეგმილი მიზნების ხორცშესხმის ცდას[2].

---

[1] ვრცლად იხ. **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1991, გვ. 35-36.

[2] **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1991, გვ. 140.

## *სულხან-საბა ორბელიანი კათოლიკობის გზაზე*

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკობის მიღების საკითხს, ძალზე ზოგადად აღვნიშნავთ: ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა სოფელ ტანძიაში 1658 წლის 4 ნემბერს. მან მიიღო კარგი აღზრდა-განათლება. დაახლოებული იყო ქართლის სამეფო კართან; სულხან ორბელიანის განათლების საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ ქართლის მეფე ვახტანგ V და მისი შვილები[1]. სულხანმა რამდენიმე უცხო ენა იცოდა: სომხური, სპარსული, თურქული, ბერძნული, ლათინური. თვით იგი თავის ავტობიოგრაფიაში ამბობს: „ვიყავი სწავლისა ფრიად მოყვარე“.

სულხან-საბა ორბელიანი ახალგარზრდობიდანვე ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ის ჯერ თანამშრომლობდა გიორგი XI-სთან, „რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღორძინების საქმეში უშუალოდ ვახტანგ VI-ის წინამორბედი იყო“[2]. ქართლში ერეკლე I-ის მეფობის დროს სულხან-საბა, როგორც გიორგი XI-ის მომხრე ახალციხეში გაიხიზნა და სიმამრთან ცხოვრობდა. 1697 წელს, როგორც კი გიორგი XI-ს შემოურიგდა ირანის შაჰი და მას დაუბრუნა ქართლის ტახტი, სულხანი თბილისში დაბრუნდა. 1698 წლის 18 მარტს იგი გარეჯის მონასტერში ბერად აღიკვეცა და საბად იწოდა.

1703 წელს ქართლის გამგებელი გახდა ვახტანგ VI. ამ ამბით გახარებულმა სულხან-საბამ დატოვა გარეჯის მონასტერი და კვლავ ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი გახდა ვახტანგის ერთ-ერთი მრჩეველი. სულხან-საბა დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა მთელს საქართველოში.

ახლა უშუალოდ სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკური სარწმუნოების მიღების საკითხზე. იმის შესახებ, თუ როდის, რა მიზნით მიიღო სულხან-საბამ კათოლიკობა, ან კი იყო ის საერთოდ კათოლიკე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს. ქართულ ისტორიოგრაფიაში კი სულხან-საბას გაკათოლიკების საკითხი არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი. მის მიმართ ინტერესი დიდი იყო მუდამ და ჩანს, ის მომავალშიც არ განელდება. დიდი უმრავლესობა, ვინც კი შეეხო ამ პრობლემას, გარდა მიხეილ თამარაშვილის, მერაბ ღაღანიძის[3] და მურმან პაპაშვილისა[4], თვლის, რომ სულხან-საბა ორბელი-

---

[1] სულხან-საბას მამა, ვახტანგი იყო ქართლის მეფის ვახტანგ V-ის ცოლის ძმა. ვახტანგ V-ის შვილები იყვნენ: არჩილი, გიორგი (შემდეგში მეფე გიორგი XI), ლევანი, ალექსანდრე, ლუარსაბი, სოლომონი, ანუკა, თამარი: ვახტანგ VI იყო სულხან-საბას მამიდაშვილის შვილი. ფრანგულ წყაროებში სულხან-საბას უწოდებდნენ ვახტანგ VI-ის ბიძას, ხოლო ვახტანგს, მის დისწულს.

[2] **გაბაშვილი ვ.,** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 61.

[3] **სულხან-საბა ორბელიანი,** სამოთხის კარი. საქრისტიანო მოძღვრება, თბ., 2004, გვ. 5-6.

[4] **პაპაშვილი მ.,** კიდევ ერთხელ, თუ რატომ მიიღო სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკობა // საისტორიო ვერტიკალები, №18, 2009, გვ. 29-37.

ანმა კათოლიკობა მიიღო პოლიტიკური მიზნით და ეს იძულებითი ნაბიჯი ნაკარნახევი იყო ვახტანგ VI-ის ირანის „ტყვეობიდან“ დასახსნით. ამ შეხედულების მომხრე მკვლევართა აზრით, სულხან-საბა იყო ფორმალური კათოლიკე და ეს მისი დროებითი პოლიტიკური ნიღაბი იყო, ამიტომ დასავლეთში მისი უშედეგო ელჩობის შემდეგ ის ისევ დაუბრუნდა მართლმადიდებლობას[1] .

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ არ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას და საკუთარი თვალსაზრისის დასამტკიცებლად ამთავითვე ვსვამთ სამ კითხვას: პირველი: როდის მიიღო სულხან-საბამ კათოლიკობა? მეორე: მიაჩნდა თუ არა სულხან-საბას მისი კათოლიკობა მართლმადიდებლობის ღალატად? და მესამე: რა პოლიტიკური გეგმა ჰქონდა საბას, რომ კათოლიკობის ნიღბით უზრუნველეყო პაპის ტახტისა და საფრანგეთის კათოლიკე მეფის ლუი XIV-ის მხარდაჭერა?

იმასთან დაკავშირებით, თუ როდის მიიღო სულხან-საბამ კათოლიკობა მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევრები „...საბას მიერ კათოლიკობის მიღების ოთხ სხვადასხვა თარიღს (1687, 1692, 1701, 1713) უჭერს მხარს...“[2]. ამ პრობლემის გარშემო ამთავითვე მივმართავთ პირველწყაროებს.

საქართველოში მოღვაწე კაპუცინ მისიონერთა ვიცე-პრეფექტი ჯუსტინო ლივორნოელი 1687 წლის 1 ნოემბერს თბილისიდან გაგზავნილი წერილით წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ატყობინებდა მისიონის მდგომარეობას და ამას თან ურთავდა ამავე წლის 1 ივნისიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცეულთა სიას[3] „ამას (ამ წერილს – ავტ.) ვურთავთ მეტად სარწმუნო სიას: „ბატონი თამაზა[4] (Tamasa), ჯარის სარდალი და მთავრის ბიძა, კეთილშობილური წარმოშობის ქართველი, კაპელანიარტის გვარიდან [კათოლიკობაზე მოექცა] ამავე წლის (ე.ი. 1687 წლის – ავტ.) 25 ივლისს[5]; ბატონი სულხანი (Sulchan) დიდი კანჩილიერის[6] (gran Cancillieri) ქართველ დიდებულთა გვარეულო-

---

[1] **პაპაშვილი მ.,** კიდევ ერთხელ, თუ რატომ მიიღო სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკობა, გვ. 29.

[2] **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 332.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol. 31, ff. 392 r-394r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 152-158.

[4] ("Il Signore Tamasa, generale delle armi e zio del Principe, nobilissimo georgiano de'Chapellaniarti, 25 luglio et anno ut supra".) ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სპასპეტი (მხედართმთავარი) თამაზ ყაფლანიშვილი (სწორედ ეს იხსენიება ამ რელაციონეში, როგორც „კაპელარიარტი“) იყო ღვიძლი ბიძა ქართლის მეფე გიორგი XI-ისა. მოგვიანებით თავისი სიძის, გიორგი არაგვის ერისთავის, ინტერესებში უღალატა გიორგი XI-ს: **ვახუშტი ბატონიშვილი,** ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 455, 461.

[5] პატივცემული მ. თამარაშვილის მიხედვით, 15 ივნისს. **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 262).

[6] ტექსტში ასე იკითხება: „Cancillieri". უდავოა, ეს არის თანამედროვე იტალიურში სიტყვა „cancelliere", რაც ნიშნავს მდივანს. უდავოა, ამ შემთხვევაში მოხელის აღმნიშვნელი ეს ტერმინი – „დიდი მდივანი“, გამოყენებულია XVII-XVIII სს. საქართველოში არსებული „მდივანბეგის“ მნიშვნელობით, რაც ნიშნავს „უფროს მოსამართლეს“, „მსაჯულთუხუცესს“. აქედან

ბიდან. მან უღირსეულესად წარმოადგინა თავი ქრისტიანულ;ი მოძღვრების ცოდნაში, რომლის მიხედვით თვით მე შევადგინე კითხვარი, მოინათლა ამავე წლის (ე.ი. 1687 წლის – ავტ.) 25[1] აგვისტოს“[2].

როგორც მოტანილი წყაროდან ვხედავთ, სულხან-საბამ 1687 წლის 25 აგვისტოს მიიღო კათოლიკობა. სხვა უფრო სანდო წყარო რომ არ არსებობდეს, შეუძლებელი იქნებოდა ამ ცნობის სისწორეში ეჭვის შეტანა. თავდაპირველად, როცა მ. თამარაშვილი ამ ცნობაზე დაყრდნობით მიიჩნევდა, რომ საბამ კათოლიკობა სწორედ 1687 წელს მიიღო[3], მაშინ მას ხელთ არ ჰქონდა ის წყარო, რომელზეც დაყრდნობით, მოგვიანებით სავსებით მართებულად გამოთქვა ფრთხილი ვარაუდი, რომ საბას „...კათოლიკობა 1701 წლისთვის უნდა მიეღოო“[4]. რადგან მ. თამარაშვილს ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგნად არ უქცევია, სათანადო წყაროც არ მოუტანია. ამის შესახებ ქვემოთ ითქმევა, ახლა კი:

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ მეცნიერთა (გ. ლეონიძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, მ. ტაბაღუა, ივ. ლოლაშვილი, რ. ბარამიძე) აზრს, რომ 1687 წელს საბას კათოლიკობა არ მიუღია. სრულად ვეთანხმებით აკად. გ. ლეონიძეს, რომ ამ დროს სულხანმა „...მხოლოდ გამოთქვა სიმპათია კათოლიციზმისადმი. მისიონერებმა კი ეს ამბავი გადაჭარებულად აჩვენა რომს, როგორც ნაყოფი მისი გულმოდგინებისა“[5]. მაგრამ ვერ დავუჭერთ მხარს იმ მოსაზრებას (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ივ. ლოლაშვილი, რ. ბარამიძე), რომ სულხან-საბა ორბელიანმა დასავლეთში დიპლომატიური მისიით გამგზავრების წინ, ე.ი. 1713 წელს მიიღო კათოლიკობა პოლიტიკური მიზნით. ამ დებულების დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული ფაქტი ამ მკვლევარებს არ გააჩნიათ[6]. მათთვის ამ აზრის დასამტკიცებლად ამოსავალია მხოლოდ ის ფაქტი, რომ სულხან-საბამ თავის თხზულებაში „სამოთხის კარი“ და „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელთა მეორე რედაქცია მან 1713 წლის პირველ ნახევარში შეადგინა, გაატარა აშკარა პა-

---

გამომდინარე, სულხანი იყო ქართლის სამეფოს მდივანბეგის ანუ მსაჯულთუხუცესის შვილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულხანი იდენტიფიცირდება დიდ სულხან-საბა ორბელიანთან, რომელიც იყო მდივანბეგ ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიანის შვილი და დედის მხრიდან ქართლის მეფე გიორგი XI-ის ბიძაშვილი.

[1] მ. თამარაშვილი რატომღაც 15 აგვისტოს წერს. **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 263.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, ff. 393r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 155.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 311.

[4] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 589; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან გვ. 646.

[5] **ლეონიძე გ.,** ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 80.

[6] **ბარამიძე რ.,** ლიტერატურული შტუდიები, გვ. 117.

პისტური დოგმატები და კათოლიკური ტენდენციები[1]. ვფიქრობთ, ეს არ არის საფუძვლიანი არგუმენტი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, საბამ 1713 წელს მიიღო კათოლიკობა. უფრო მეტიც: დასავლეთში დიპლომატიური მისიით გამგზავრების წინ სულხან-საბა კათოლიკობას, როგორც არც მანამდე, ოფიციალურად ვერ აღიარებდა, რადგან საქართველოში ირანოფილურ პარტიას, ე.ი. ვახტანგ VI-ის მოწინააღმდეგეებს, მისი პოლიტიკური მოსაზრებით აღჭურვილ ელჩობაში ეჭვი არ შეეტანათ. სწორედ ამის გამოა, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთსა და რომში მის პირად ინიციატივად არის წარმოდგენილი. მიგვაჩნია, რომ სავსებით სწორია მ. თამარაშვილის აზრი, რომ „...სულხან-საბამ ევროპაში წასვლამდე კარგა ხნით ადრე“ მიიღო კათოლიკობა[2].

როგორც აღვნიშნეთ, თავიდან მ. თამარაშვილი მიიჩნევდა, რომ სულხან-საბამ კათოლიკობა მიიღო 1687 წელს, ხოლო შემდეგ გამოთქვა ვარაუდი, რომ ამას ადგილი ჰქონდა 1701 წელსო. ჩვენ ამ მოსაზრებას ვუჭერთ მხარს, რადგან იგი უტყუარი დოკუმენტით მტკიცდება, აი, ისიც: „პროპაგანდა ფიდეს“ კარდინალ-პრეფექტი ჯუზეპე საკრიპანტი[3] 1714 წლის 24 ივლისს სულხან-საბა ორბელიანის მიერ წარდგენილი 14 პუნქტიანი მოხსენების საფუძველზე წერს: „ საფრანგეთის სამეფო კარიდან რომში ჩამოვიდა მამა სულხან საბა, წმინდა ბასილის [ორდენის] კათოლიკე ბერი, ბატონი ორბელი, საქართველოს პროვინციიდან, საქართველოს მთავრისა და მეფის ვახტანგის ახლო ნათესავი. მის უწმიდესობას მოუთხრო იმ მიზეზების შესახებ, რამაც ის მიიყვანა საფრანგეთის სამეფო კარზე, ასევე [იმ] სურვილზე, რომ წინ წასწიოს წმინდა კათოლიკური სარწმუნოება. ის ამბობს, რომ 13 წელია [ამ მხრივ] საქმიანობს არა მხოლოდ საქართველოში[4], არამედ სამეგრელოში, აფხაზეთში, ჩერქეზეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში“[5].

ამ ცნობის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა სულხან-საბას საკრიპანტისადმი წარდგენილი მოხსენების პირველ პუნქტს, აშკარად ჩანს, რომ მან კათოლიკობა მიიღო 13 წლის წინ. თუ ამოვალთ იქიდან, რომ საბამ თავისი მოხსენება დაწერა 1714 წელს, მარტივად გამოითვლება, რომ მას კათოლიკობა მიუღია 1701 წელს. ჩვენ ძალიან გვიჭირს ვიფიქროთ, რომ სულხან-საბა „პროპაგანდა ფიდეს“ კარდინალ პრეფექტს ამ შემთხვევაში, რაღაც დიპლომატრიური მიზნით ატყუებდა. და საერთოდ: ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია სულხან-საბა ორბელიანი სარწმუნოების საკითხებში დიპლომატიური მიზნით კომპრომისების მაძიებელ,

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, ტბ., 1968, გვ. 452; **ბარამიძე ალ.,** სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, თბ., 1959, გვ. 107-110.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 311.

[3] ჯუზეპე საკრიპანტი, წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ კარდინალ-პრეფექტი (1700-1727).

[4] იგულისხმება – ქართლის სამეფოში.

[5] Acta Sacra Congregazione de Propaganda Fide. Anno 1714, fol. 442, №32 – “Georgia”.

მატყუარა პიროვნებად. ბუნებრივია, ის თავის კათოლიკობას დიპლომატიური მიზნის მისაღწევად იყენებს, მაგრამ ვიმეორებთ, არა სარწმუნოებრივ საკითხებში კომპრომისების მისაღწევად. ეს წყაროც რომ არ იყოს, სულხან-საბას დიპლომატიური კომპანიონი ჟან რიშარი 1713 წლის 17 ნოემბერს საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში ატყობინებდა: „გავიარე რა გორში, მე ვნახე სულხან-საბა, საქართველოს მეფის ბიძა, რომელმაც უკვე რამდენიმე წელიწადია წმ. ბასილის მონაზონის სამოსელი მიიღო“[1].

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანმა, რომელიც 1686-87 წლიდან სიმპათიებს აშკარად გამოხატავდა კათოლიკური სარწმუნოების მიმართ, 1701 წელს მიიღო კათოლიკობა. მაინცდამაინც თუ ამ თარიღს არ დავუჭერთ მხარს, მაშინ უდავო ხდება ის ფაქტი, რომ 1709 წლისათვის სულხან-საბა უკვე კათოლიკეა. ამ აზრის სასარგებლოდ მოვიტანთ სულხან-საბას მიერ 1709 წლის 13 აგვისტოს რომის პაპ კლიმენტი XI-სადმი მიწერილ წერილს. მასში საბა აღიარებს პაპის უზენაეს ხელისუფლებას, უწოდებს მას „მოციქულისა პეტრეს მოსაყდრესა“ და მის „წმიდათა ფერხთა მთხვეველი“ ევედრება კლიმენტი XI-ს, „რათა ცოდუათა ჩუენთა სიმრავლეთა აღჴოცად ევედროს ღმერთსა და წმიდა კურთხევა მათი მოგვფინოს და ლოცვა ყოს ჩუენ უღირსთათვის, რათა სიმტკიცით ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა (კათოლიკურ სარწმუნოებას – ავტ.) ზედა შეურყევლად. სიტყვით და საქმით უწყით, რამეთუ შენ გაქუს ჴელემწიფება მიტევებად ცოდუათა“[2].

როგორც ამ წყაროდან ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკობა 1709 წლისათვის უდავო ფაქტია. ამ ცნობაში რაიმე ეჭვის შეტანა ან მასში სხვა აზრის ამოკითხვა უბრალოდ შეუძლებელია. იგო მხოლოდ არ აზუსტებს, ანუ არ ასახელებს დროს, თუ „სიმტკიცით როდის ეგნო მართალსა სარწმუნოებასა“, ანუ მიიღო კათოლიკობა. ამდენად, სულხან-საბა რომის ეკლესიის წიაღში თვლიდა თავს და არ ივიწყებდა აღსარების ფორმულას ჩვეულებრივი დანათქმით: „წმიდათა ფეხთა მთხვეველი“.

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანმა, რომელიც 1686-1687 წლიდან აშკარა სიმპათიებს ატარებდა კათოლიკური სარწმუნოების მიმართ, 1701 წელს გახდა უნიატი კათოლიკე. ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი 1709 წელს უკვე უნიატი კათოლიკეა. რაც მოწინააღმდეგე საერო და სასულიერო მესვეურებისათვის (რა თქმა უნდა, ასეთები იყვნენ) შეუმჩნეველი რჩებოდა. თუ რატომ? ამაზე ქვემოთ. ახლა კი დგება კითხვა: რა მიზნით მიიღო სულხან-საბამ კათოლიკობა?

მკვლევართა უმრავლესობა, ვინც კი შეეხეო ამ საკითხს, მას მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით ხსნის. ეჭვს არ იწვევს, რომ სულხან-საბა ორბელიანს

---

[1] საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 104.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 311.

უნიატი კათოლიკობა უადვილებდა პარიზსა და რომში პოლიტიკურ საკითხზე დიპლომატიურ მილაპარაკებებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მის მიერ კათოლიკობის მიღებას პოლიტიკური მიზნით. თუ ამას ასე მივიჩნევთ, მაშინ ის უნდა ავხსნათ, 1701 წელს, ან თუნდაც 1709 წელს რა პოლიტიკური მიზნები ჰქონდა სულხა-საბას რომ სარწმუნოებრივ საკითხში ასეთი კომპრომისი დაეშვა. ცხადია, პრობლემის პოლიტიკური მიზნის ახსნა უმართებულოა და უსაფუძვლო. ჩვენი ამ მოსაზრების ძირეულ არგუმენტად დავასახელებთ შემდეგ ფაქტს: თუ სულხან-საბას მიერ კათოლიკობაზე გადასვლა მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით იყო გამოწვეული, მაშინ გაუგებარი ხდება, თავისი უშედეგო ელჩობიდან დაბრუნების შემდეგ, რატომ ეწეოდა იგი კათოლიკობის აგიტაციას საქართველოში, ან რატომ „მოაქცია საბამ კათოლიკობაზე ყველა თავისი სახლობა და თავისი უკეთილშობილესი და უმრავლესი გვარეულობა“[1], რატომ დარჩა ბოლომდე საბა ერთგული კათოლიკობისადმი? ვფიქრობთ, ეს ფაქტები უდავოდ ადასტურებენ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი ღრმა რწმენით, სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკობაზე გადასვლა ეკლესიათა უნიის იდეისადმი ერთგულებით იყო ნაკარნახევი. ამდენად, სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკობის მიღება არ ნიშნავდა მართლმადიდებლობის ღალატს, ტიპიკონისა და საეკლესიო წესების შეცვლას, წინაპართა ტრადიციების უგულებელყოფას, რადგან წმ. ბასილის ორდენის წევრობა ამას გამორიცხავდა. ამდენად, საბას გაკათოლიკება არ ნიშნავდა ჭეშმარიტების პოლიტიკურ ამოცანებზე მორგებას[2].

ამას ნათლად დავინახავთ, თუ გავარკვევთ, რატომ გახდა ს.ს. ორბელიანი წმ. ბასილის ორდენის მოწესე და რას ნიშნავს ეს. ქართველი მეცნიერებიდან ამ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. რეევაზ ბარამიძემ და გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები.

ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი სახის ლიტერატურა, რომელშიც მთლიანად იქნებოდა მოცემული ბასილიანთა ორდენის მდიდარი და რთული ისტორია. ეს ბევრად აძნელებს ჩვენთვის საინტერესო მრავალი საკითხის გაშუქებას, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში შევეცდებით, გადმოვცეთ ამ ორდენის არსი.

ბასილიანთა ორდენის ფუძემდებლად ითვლება ბერძენი საეკლესიო მოღვაწე ბასილი დიდი კესარიელი (330-379). აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც. ბასილი დიდმა ჯერ კიდევ IV საუკუნეში დაწერა ორდენის წესდება, რომლებსაც „დიდი და მცირე წესი“ ეწოდება. მასში დადგენილი იყო ბასილიანთა მისიონერული მოღვაწეობის ძირითადი ამოცანები, ფორმები და მეთოდები.

ამ ორდენით დაინტერესება განსაკუთრებით გაძლიერდა XV ს-ში, როდესაც ფართოდ მოიკიდა ფეხი აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების გა-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 346.

[2] **პაპაშვილი მ.,** კიდევ ერთხელ სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკობის შესახებ // საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე II და III, თბ., 1997, გვ. 187.

ერთიანების იდეებმა. სპეციალურ ლიტერატურაში დასავლეთში ბასილიანთა ორდენის შექმნის გზაზე პირველ პრაქტიკულ ნაბიჯად მიჩნეულია 1446 წლის ნოემბერი, როდესაც კარდინალმა ბესარიონმა მოიწვია ახალი კაპიტული ორდენის რეფორმის მიზნით. 1579 წლის 1 ნოემბერს პაპი გრიგოლ XIII-ის ხელმოწერით აღმოსავლეთის ბასილიანთა ორდენმა მიიღო კონსტიტუცია[1]. ეს წერილი ითვლება აღმოსავლეთში ამ ორდენის დაარსების თარითად.

XVII საუკუნიდან დაიწყო ბასილიანთა ორდენის ლათინურ ბერმონაზვნურ ორდენად გარდაქმნა. მიმდინარეობდა აღმოსავლური რიტის ცვლილებები. ჩამოყალიბდა ე.წ. „შერეული რიტი“, რომელიც სავსე იყო ნაირგვაროობით. ამით ორდენმა უნიატური ხასიათი მიიღო. მისი სტატუსი განსაზღვრული იქნა პაპ კლიმენტი VIII-ის (1592-1605) ბულით „Decet Romanum Pontifiecem“, რომელიც დათარიღებულია 1596 წლის 23 თებერვლით[2] ორდენის რეფორმა დიდხანს გაგრძელდა. მის ძირითად რეფორმატორად და პირველ პატრონად მიჩნეულია იოსებ ვილიამინ რუტსკი (1574-1637).[3]

იოსებ ვილიამინ რუტკსიმ თავისი დროისათვის სოლიდური განათლება მიიღო. მან რომში დაამთავრა წმიდა ათანასეს სახელობის იეზუიტთა კოლეგია და პრაღაში – იესოს საზოგადოების აკადემია. იეზუიტი მამების ხელმძღვანელობით ის ზედმიწევით დაეუფლა თეოლოგიასა და კათოლიკური ეკლესიის დოგმატებს, სწავლობდა ლათინურ და ბერძნულ ენებს. 1608 წელს ვილენის წმიდა სამების უნიატური ეკლესიის პირველმა მიტროპოლიტმა პოტიმ იგი დანიშნა თავის მოადგილედ ვილნოსა და მთელ ეპარქიაში. რუტსკიმ თავის ადგილსამყოფელად აირჩია წმიდა სამების მონასტერი. 1613 წელს პოტის გარდაცვალების შემდეგ მან მიიღო სამიტროპოლიტო კათედრა[4].

ი. რუტსკიმ ბასილიანთა ორდენის რეფორმაზე ფიქრი დაიწყო ჯერ კიდევ სამიტროპოლიტო კათედრის დაკავებამდე. 1617 წელს კი იგი ენერგიულად შეუდგა ბასილიანელთა ორდენის რეფორმის ჩატარებას, რომელშიც მას დიდ დახმარებას უწევდნენ იეზუიტები[5]. შედგენილი იქნა ორდენის წესდება და განისაზღვრა მისი მოღვაწეობის მეთოდები. მის მიზნად გამოცხადდა: „ერთ ნაწილში კათოლიკური სარწმუნოების შენარჩუნება, ხოლო მეორეში (მართლმადიდებელში – ავტ.) – მისი გავრცელება“. მისი უმთავრესი ამოცანა „იყო აღმოსავლელი სლავების (რუსი

[1] **Szegda M.,** Dzialalnose pravno-organizacyjna metropolity Iozefa IV Welamina Rutskiego (1613-1633), Warszawa, 1967, ss. 35-42.

[2] **Pelesz G.,** Geschichte der Union der ruthenischen Kirche mit Rom, Vienna 1878-1880, vol. 2, s. 15.

[3] **Szegda M.,** Dzialalnose pravno-organizacyjna metropolity Iozefa IV Welamina Rutskiego (1613-1633), ss. 45-61.

[4] Ibid, s. 85.

[5] **Senyk S.,** Rutskis reform and Orthodox Monasticism: A comparison // OCP, 1982, v. 42, №2, p. 408.

ხალხის – ავტ.) შეერთება რომის ეკლესიასთან“[1]. წარმოდგენილი რეფორმის მიხედვით, ბასილიანელთა ორდენის წევრი თითქმის ყველაფერში იცავდა მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპებს. კერძოდ, ისინი ატარებდნენ წვერსა და თმას, ასრულებდნენ ყველა ბერძნულ წეს-ჩვეულებებს, ხელმძღვანელობდნენ ნიკეის კრების სიმბოლოთი. რელიგიურ საიდუმლოებებსა და მარხვის დაცვაში მთლიანად ეყრდნობოდნენ აღმოსავლური ეკლესიის წესდებასა და ტრადიციებს. ამ ორდენის წესდების მიხედვით კათოლიკური იყო მხოლოდ ორი ნაწილი: პირველი, ორდენის წევრს უნდა ეღიარებინა რომის პაპის უზენაესობა და მეორე, სარწმუნოების სიმბოლოზე უნდა დაემატებინა, რომ სულიწმიდა გამოდის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ „ძისგანაც“[2].

1624 წლის გაზაფხულზე იოსებ რუტსკი გაემგზავრა რომში, რათა დაემტკიცებინა ბასილიანელთა ორდენის წესდება და სტრუქტურა. კურიის ყველაზე დიდი მზრუნველობის საგანი გახდა ორდენის წესდებაში კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ბერმონაზონთა დამახასიათებელი თვისებების შეთავსება. არანაკლებ რთული იყო ორდენის ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხის გადაწყვეტა. 1624 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე კონგრეგაციამ მიიღო დეკრეტი, რომელიც ოთხი პუნქტისაგან შედგებოდა და შეიცავდა ორდენის ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს. კერძოდ, კარდინალებმა გასცეს სანქცია, რომ ყველა უნიატი ბასილიანელი გაერთიანებულიყო ერთ კონგრეგაციაში. ამრიგად, მათ შეეძლოთ აერჩიათ „გენერალი ანდა უბრალოდ არქიმანდრიტი“[3]. პაპმა ურბან VIII-მ, ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა და ბასილიანელთა ორდენს მიანიჭა ფართო სამისიონერო უფლებამოსილება.

დაბოლოს, ბასილიანელთა ბერძნულ-უნიატური ორდენი აღმოსავლეთში კათოლიკობის გავრცელების საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა. ამიტომ პროპაგანდა მას შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა, რადგან უნიის შენარჩუნება შესაძლებელს ხდიდა კათოლიკობის წარმატებებს აღმოსავლეთში.

როგორც ვხედავთ, ბასილიანელები იყვნენ უნიატური ორდენის წარმომადგენლები და არა შენიღბული კათოლიკეები, როგორც ამას თვლის პატივცემული რ. ბარამიძე[4]. მისი წევრები ბერძნულ-მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებისა და აღმსარებლობასთან ერთად აღიარებდნენ ორ კათოლიკურ დოგმატს: რომის პაპის უზენაესობას და „ფილიოკვეს“, ე.ი. სარწმუნოების სიმბოლოს ამატებდნენ, რომ სულიწმიდა გამოდის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ „ძისგანაც“.

ორდენის ასეთი ხასიათიდან გამომდინარე, მისი წევრი გარეშე მორწმუნეთათვის შეუმჩნეველი რჩებოდა და იგი მართლმადიდებლის შთაბეჭდილებას

---

[1] **Senyk S.,** Rutskis reform and Orthodox Monasticism: A comparison // OCP, 1982, v. 42, №2, pp. 409-412.

[2] Ibid, pp. 415-418.

[3] Ibid, p. 108.

[4] **ბარამიძე რ.,** ლიტერატურული შტუდიები, გვ. 124

ტოვებდა, „ხოლო ის ფაქტი, რომ ის პაპს აღიარებდა, ამის შესახებ იცოდა თვითონ და ორდენის ხელმძღვანელმა მოძღვარმა“. ამიტომ ბასილიანელთა ორდენის წევრად გახდომა შეუმჩნეველი რჩებოდა მართლმადიდებელი მრევლისათვის და დაზღვეული იყო ყოველგვარი უსიამოვნებისაგან[1]. ასე რომ, გარეგნული ნიშნის მიხედვით ბასილიანელი იყო მართლმადიდებელი, ხოლო შინაარსის მიხედვით კათოლიკე. ამდენად, წმ. ბასილის ორდენი ბერძნულ მართლმადიდებლური ტიპიკონით სარგებლობდა, რაც პაპობის მხრივ გაცილებით დიდი კომპრომისი იყო, ვიდრე „ფილიოკვეს“ აღიარება. ეს კი განპირობებული იყო იმით, რომ აღმოსავლეთში პაპობის უნიატური პოლიტიკის ღერძად ბასილიანელთა ორდენი ითვლებოდა.

ასე რომ, ბასილიანელთა ორდენი ატარებდა კათოლიკური და მართლმადიდებლური სამღვდელობისათვის დამახასიათებელ თვისებებს. კათოლიკური ორდენებისაგან განსხვავებით, მისი სტრუქტურა და ორგანიზაცია სპეციფიკური ხასიათისა იყო და წარმოადგენდა ძლიერ ლათინიზირებულ უნიატურ ორდენს. იგი ექვემებარებოდა პროპაგანდა ფიდეს გენერალურ ხაზს უნიის საკითხებში და ამდენად უნიატური ეკლესია მთლიანად ემორჩილებოდა რომს. აქ ფორმალურად კონსტანტინოპოლზე დამოკიდებული მართლმადიდებლური ეკლესიების სტატუსი მხედველობაში მისაღები არ იყო. ამდენად, ძნელია, ვირწმუნოთ, პროფ. რ. ბარამიძის აზრი, რომ „...ბასილის ორდენი ბერძნული ეკლესიის, ე.ი. მართლმადიდებლური ეკლესიის ორდენად იწოდებოდა“[2].

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანი წმ. ბასილის ორდენის მოწესე ბერი, ანუ უნიატი კათოლიკეა. საფრანგეთსა და რომში მის ელჩობასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სულხან-საბა „წნ. ბასილის ორდენის ბერია. აი, ისინიც: ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი 1713 წლის 17 ნოემბრის წერილში ვერსალის სამეფო კარს აუწყებდა: „გავიარე რა გორში, მე ვნახე სულხან-საბა, საქართველოს მეფის ბიძა, რომელმაც უკვე რამდენიმე წელიწადია წმ. ბასილის მონაზონის სამოსელი მიიღო“[3]. 1714 წლის 13 სექტემბერს სულხან-საბას ფლორენციაში ყოფნის შესახებ ერთ მცირე საბუთში ვკითხულობთ: „გასულ საღამოს (ე.ი. 1714 წლის 12 სექტემბერის საღამოს – ავტ.) რომიდან ფლორენციაში ჩამოვიდა სულხან-საბა ორბელიანი, ბასილიელი ბერი, საქართველოს თავადთაგანი...იგი რომაელი კათოლიკეა; მან თავისი მცდარი სარწმუნოება უარყო; ორჯერ ცოლი ჰყოლია, უკანასკნელი კათოლიკედ გარდაიცვალა; იგი 62 წლისაა, ბენედიქტელი ბერისამებრ არის ჩაცმული; მას თან ახლავს რამდენიმე ბასილიელი ბერი“[4].

---

[1] **ბარამიძე რ.,** ლიტერატურული შტუდიები, გვ. 123.

[2] **ბარამიძე რ.,** ლიტერატურული შტუდიები, გვ. 121.

[3] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკ. №6, გვ. 104.

[4] იქვე, დოკ. № 60, გვ. 258-259.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით: სულხან-საბა ორბელიანი იყო უნიატი კათოლიკე. პირველწყაროების მიხედვით, იგი საქართველოშივე გახდა ამ ორდენის მოწესე[1]. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საბას, ალბათ, ბასილიანთა ორდენის წესდება, სტრუქტურა და მიზანი საქართველოში მოღვაწე კაპუცინმა მამებმა გააცნეს. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სწორედ მამა-მისიონერების რჩევით გახდა ის ბასილიანელი, რათა თავიდან აეცილებინა დევნა. ის შემთხვევით როდი იყო გარეჯის იოანე ნათლისმცემელის მონასტერში წმიდა ბასილის ბერების უფროსი[2]. აქ, უდავოა, საბას მიმდევრებიც იქნებოდნენ. ამიტომ საკვირველი არაა, თუ ჩავთვლით, რომ წმ. ბასილის მოწესე „თბილისელი ქართველი მონაზონი ბეჟანა“[3] საბას უნიატორული პოლიტიკის მომხრე ერთ-ერთი კათოლიკე სასულიერო პირია.

ჩვენ სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, რომ წმ. ბასილის ორდენის მოწესე ვალდებული იყო, ორი კათოლიკური დოგმატი დაეცვა: რომის პაპის უზენაესობა და „ფილიოკვე“ ანუ სულიწმიდის მამისაგან და ძისაგან გამომავლობა. ცხადია, სულხან-საბა ამ ორივე დოგმატს აღიარებდა. პირველთან დაკავშირებით მისი „საქრისტიანო მოძღვრება“ ანუ „სამოთხის კარი“ გვაუწყებს „ვინათგან შეიყვარა ქრისტემან სძალი თჳისი-წმიდა ეკლესია და ბრძანა ერთი შესაკრებელი ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა და რომელმანცა ნათელიღოს და რწმენეს მართალი სარწმუნოება იესო ქრისტესი, მათგან ჯერ-არს მორჩილება რომის პაპისა, რომელი დაადგინა გამგებლად ეკლესიისა და შემდგომად ქრისტესა ქუეყანასა ზედა მჯდომარე არს“[4].

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა აღიარებს პაპის პრიმატს და მართლმადიდებლობას კათოლიკობისაგან არ ასხვავებს. ამ ორ კონფესიას შორის ტოლობის ნიშანს სვამს. ძნელია, გადაჭრით ითქვას, სულხან-საბა დოგმატის დონეზე აყენებდა პაპის პრიმატს, თუ კონფესიურ ჭეშმარიტებად თვლიდა. ჩვენ უფრო ეს უკანასკნელი გვგონია და მიგვაჩნია, რომ ბასილიანელისათვის სავალდებულო პაპის პრიმატის მიღება კი არ ნიშნავდა საბას კომპრომისს სარწმუნოების სფეროში, არამედ ის აღიარებდა პაპის, როგორც პეტრე მოციქულის მემკვიდრის მსახურებას და მსოფლიო ეკლესიაში მის განსაზღვრულ როლს. ვფიქრობთ, სულხან-საბა დიდი სქიზმამდელი (1054 წ.) შეგნებით ეკლესიათა ერთიანობის მომხრეა და მიჰყვებოდა საქართველოს ეკლესიის იმ ტრადიციულ გზას, რომელიც ყოველთვის აღიარებდა პაპის პრიმატს[5].

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 127, 140.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 317.

[3] იქვე, გვ. 342.

[4] სულხან-საბა ორბელიანი. სამოთხის კარი, გვ. 54-55.

[5] **პაპაშვილი მ.,** კიდევ ერთხელ, თუ რატომ მიიღო სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკობა, გვ. 34-35.

რაც შეეხება ფილიოკვეს, იმავე სულხან-საბას კატეხიზისში ვკითხულობთ: „ოდეს იყო მამა, მაშინვე ძე და მაშინვე სული წმიდა, რამეთუ მამა უშობელ არს, ხოლო ძე მამისაგან შობილ და სული წმიდა მამისაგან და ძისაგან გამოსული“[1]. ნათელია, რომ სულხან-საბა აღიარებდა ფილიოკვეს. სხვა შემთხვევაში ის ამას კატეხიზისში არ შეიტანდა. ამასთან დაკავშირებით, სავსებით ვეთანხმებით ზ. კიკნაძის აზრს, რომ სულხან-საბა „ფილიოკვეს ან სალხინებლის თეოლოგიას...იმდენად არ უნდა ჩაღრმავებოდა, რომ მათით აღტაცებულს ისინი შეუვალ ჭეშმარიტებად ეღიარებინა. მის კატეხიზისში ესენი მხოლოდ განმასხვავებელ ნიშნებად, უფრო ემბლემებად ჩანან, ვიდრე ღრმად განცდილ ჭეშმარიტებად“[2].

ერთი სიტყვით, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც წმ. ბასილის ორდენის მოწესე ანუ უნიატი, აღიარებდა ორ კათოლიკურ დოგმატს. ეს მისთვის სრულიადაც არ ნიშნავდა მართლმადიდებლობის ღალატს და კომპრომისს სარწმუნოების სფეროში. სწორედ ეს ვერ გაიგეს სულხან-საბას მოწინააღმდეგეებმა, როცა მას კრება მოუწყვეს. მოვუსმინოთ თვით საბას: „...მცხეთას...კრება მიყვეს და წმინდის პაპის გინება მომიდვეს. მე მართლმადიდებლობა ვერ უარყავ...“[3].

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით გვაუწყებს კრების მონაწილეთა მოთხოვნას. კერძოდ, მოწინააღმდეგენი მას სთხოვდნენ „წმინდა პაპის“ გინებას, ანუ მისი უზენაესობის, პრიმატის დოგმატის უარყოფას. საკუთრივ საბამ პაპის პრიმატობა და კათოლიკობა არ უარყო. ფრაზაში – „მე მართლმადიდებლობა ვერ უარვყავ“ ნიშნავს იმას, რომ ის ტოლობის ნიშანს სვამდა „...პაპობასა და მართლმადიდებლობას შორის“[4], ანუ „მორჩილება რომის პაპისა“ მართლმადიდებელთა რწმენაა[5]. ამის აღიარება კი სულხან-საბას არ მიაჩნდა მართლმადიდებლობის ღალატად და ამიტომ ამბობს, რომ „მართლმადიდებლობა ვერ უარყავ“.

დაბოლოს: სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იმის მტკიცებას, რომ საბამ კათოლიკობა პოლიტიკური მიზნით მიიღო, ზნეობრივი მხარეც გააჩნია. ძნელად წარმოგვიდგენია „სწავლანის“ და „საქრისტიანო მოძღვრების“ – ღრმა თეოლოგიური და ზნეობრივი ქრისტიანული ქადაგებების კრებულის ავტორი სულხან-საბა სარწმუნოებაში პოლიტიკური კომპრომისისა და ორმაგი რელიგიური თამაშის მიმდევარ პიროვნებად წარმოვიდგინოთ, მით უფრო, რომ „სწავლანში“ თვითონ ამას ეწინააღმდეგება მისი ეთიკა და დიდაქტიკა.

ამრიგად, სულხან-საბას ბასილიანობა უდავოდ უმარტივებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს ვერსალსა და რომში. ეს მას სრულ საშუალებას

---

[1] **სულხან-საბა ორბელიანი,** სამოთხის კარი, გვ. 21

[2] **კიკნაძე ზ.,** კვლავ დაბრუნების თუ გადასვლის თაობაზე // დიალოგი, №1(2), თბ., 2005, გვ. 18.

[3] ქართული მწერლობა, ტ. 7, თბ., 1989.

[4] **კიკნაძე ზ.,** კვლავ დაბრუნების თუ გადასვლის თაობაზე, გვ. 18.

[5] იქვე.

აძლევდა, კათოლიკურ დასავლეთთან გამოენახა საერთო ენა და ამასთანავე დაეცვა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესებიც. მისი წარმოდგენით ეკლესიათა უნიას საქართველოსათვის უნდა მოეტანა შემდეგი წარმატებები: პირველი, უნია რეალურად დააკავშირებდა საქართველოს რომთან და მისი მეშვეობით კათოლიკურ ევროპასთან. ამით საქართველოში გზა გაეხსნებოდა ევროპულ კულტურასა და ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას; მეორე, უნია ხელს შეუწყობდა ქართველი მართლმადიდებლური სამღვდელოების კულტურის დონის ამაღლებას. ამით მართლმადიდებლობა კი არ დაკარგავდა თავის წეს-ჩვეულებებს, არამედ გამდიდრდებოდა და განმტკიცდებოდა.

სულხან-საბამ, როგორც უაღრესად განათლებულმა და მოწინავე, წყაროს ენით რომ ვთქვათ „დიდმა მეცნიერმა და ძალიან განსწავლულმა“[1] ადამიანმა, ჩინებულად იცოდა, რომ, მიუხედავად ეკლესიათა გათიშვისა, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია განსაკუთრებული სიახლოვით იყო დაკავშირებული კათოლიკურ ეკლესიასთან. ბასილიანელისათვის სავალდებულო პაპის პრიმატის ცნობა კი არ ნიშნავდა საბას კომპრომისს სარწმუნოების სფეროში, არამედ იგი აღიარებდა პაპის, როგორც პეტრე მოციქულის მემკვიდრის მსახურებას და მსოფლიო ეკლესიაში მის განმსაზღვრელ როლს. მისთვის პაპის პრიმატი უბრალოდ სახარებისეულ ძალაუფლებას წარმოადგენდა „ხოლო მე ვარ თქვენს შორის, როგორც მსახური“ (ლუკას სახარება, 22, 27). ასე რომ, საბასათვის კათოლიკობა პროგრესს ნიშნავდა და განსაზღვრავდა ევროპასთან საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ურთიერთობის ფაქტორებს.

ახლა ისევ ვუბრუნდებით დასავლეთში სულხანსაბა ორბელიანის დიპლომატიური ელჩობის საკითხს. 1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა ფრანგ მისიონეერ ჟან რიშართან ერთად გორიდან გაემგზავრა საფრანგეთში დიპლომატიური მისიით. აქვე სამართლიანობა მოითხოვს, რამდენიმე სიტყვით ითქვას ჟან რიშარის შესახებ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში ელჩობის საქმეში[2].

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 50.

[2] ვრცლად იხ. **მამისთვალიშვილი ე.,** რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა ევროპაში // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IV, თბ., 1997, გვ. 275-290.

## *ჟან რიშარის როლი სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის მომზადების საქმეში*

პარიზშში უცხოეთის მისიების სემინარიის აბატი ჟან რიშარი 1710 წლის ბოლოს გატიე დე გალიკსონთან ერთად გაემგზავრა ირანში საქართველოს გავლით. ჩვენი აზრით, აქ თბილისში გაეცნო და შეხვდა ის სულხან-საბას და ვახტანგ VI-ს. 1712 წელს ისპაანში ჩასულ ვახტანგთან რიშარმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა და წარმოადგენდა მის მესაიდუმლესა და მრჩეველს დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხებში[1]. მისი დიდი მეცადინეობის წყალობით მოხდა საფრანგეთის მეფის ლუი XIV-სა და კანცლერი გრაფი დე პონშარტრენის წერილობითი კავშირის დამყარება ვახტანგთან და რომში სულხან-საბას დიპლომატიური მოლაკარაკებების მომზადებისა და ხელშეწყობის საქმეში.

ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში დასმული საკითხი უყურადღებოდ არ დარჩენილა. მიუხედავად ამისა, თუ რა როლი შეასრულა ჟან რიშარმა საფრანგეთსა და რომში ს.ს. ორბელიანის ელჩობის მომზადებისა, დიპლომატიური მოლაპარაკებების გამართვისა და შედეგების მისაღწევად გაწეულ შრომაში, ნაკლებადაა შესწავლილი და გააზრებული.

პრობლემის არსში უკეთ გარკვევის მიზნით მოკლედ აღვნიშნავთ: საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობები სათავეს იღებს 1648 წლიდან, მაგრამ მან რეალური განვითარების შესაძლებლობა 1708 წლამდე ვერ ჰპოვა. ამ ხნის მანძილზე ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1671 წელი, როცა შაჰმა სულეიმანმა ფრანგ ვაჭრებსა და მისიონერებს სპარსეთის იმპერიაში თავისუფალი გადაადგილების უფლებები მიანიჭა[2]. მიუხედავად ამისა, არც ამ ეტაპს მოჰყვა რეგულარული სავაჭრო კავშირების განვითარება, რაც ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა, მაგრამ ამ მხრივ ირანი უფრო აქტიურობდა. 1708 წლამდე ამ ურთიერთობებში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა, თუმცა ირანის შაჰსა და საფრანგეთის მეფეს შორის წერილების გაცვლა-გამოცვლა ინტენსიურად მიმდინარეობდა[3].

ეს შენელებული დიპლომატიური ურთიერთობები იმით დაგვირგვინდა, რომ 1708 წლის 7 სექტემბერს ირანსა და საფრანგეთს შორის დაიდო კაპიტულაციების ტიპის სავაჭრო ხელშეკრულება, რითაც ფრანგ ვაჭრებსა და ფრანგ მი-

---

[1] **დონდუა ვ.,** საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967, გვ. 160; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 148; **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 354.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 94-100.

[3] **Herbette M.,** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907, pp. 245-247.

სიონერებს სპარსეთის იმპერიაში თავისუფალი საქმიანობის უფლება მიენიჭათ[1]. შაჰის ინტერესებში ამ ხელშეკრულებამ საფრანგეთს ირანში ინგლის-ჰოლანდიასთან სამეტოქეოდ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა, მაგრამ მას რატიფიკაციამდე ძალა არ ჰქონდა. საკუთრივ შაჰმა კი ორი ფირმანით ხელშეკრულების რატიფიკაცია დაადასტურა[2].

ფრანგი მეცნიერის ტ. ჰერბეტის ეს მტკიცება ცხადყოფს, რომ ირანი ხელშეკრულების ძალაში შესვლას ჩქარობდა. საფრანგეთს ამაში ხელს უშლიდა ესპანეთის ტახტის მემკვიდრეობისათვის მიმდინარე ხანგრძლივი ომი. მართალია, შაჰის კარზე ამას გაგებით ეკიდებოდნენ, მაგრამ, რადგან საფრანგეთი ვერ ასრულებდა თავის დაპირებას ვაჭრობის განვითარების საქმეში, ირანში დაიწყეს ფრანგი მისიონერების შევიწროება და დევნა. წყაროების თანახმად, ამან კულმინაციას 1710 წლის მეორე ნახევარში მიაღწია[3]. გარკვეულია, რომ სომხეთის პატრიარქმა და მისმა მომხრეებმა დიდი ქრთამის გაღებით ირანის მესვეურებისაგან მიიღეს სიგელი, რომლის ძალითაც ფაქტობრივად აიკრძალა ფრანგ მისიონერთა საქმიანობა[4]. კარგი დღე არც თბილისში მოღვაწე მისიონერებს დაადგათ, რადგან სომხური სარწმუნოების თბილისელი ვაჭრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში, კათოლიკე მისიონერებს დასავლეთის სახელმწიფოების აგენტებად და საშიშ მეტოქეებად თვლიდნენ[5]. ამიტომ, ისინი, მისიონერთა საქმიანობას, როგორც ირანში, ისე საქართველოში დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ

შექმნილ ვითარებაში ირანის იმპერიაში ფრანგი მისიონერების საქმიანობის გაგრძელება მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა იმაზე, თუ რამდენად დააჩქარებდა ლუი XIV 1708 წლის ხელშეკრულების ამოქმედებას. ეს საქართველოში, კერძოდ ქართლის სამეფოში, დიდი ყურადღების საგანი იყო. როგორც შესაბამის ადგილას ვნახეთ ლუი XIV-ის თვითმარქვია ელჩის თბილისში სტუმრობამ ქართლის ჯანიშინი ვახტანგ VI მეტნაკლებად გაარკვია საფრანგეთის „ირანულ პოლიტიკაში“. მარტივად რომ ვთქვათ, ვახტანგმა ლუი XIV-ის აღმოსავლური პოლიტიკის მიზნებში საფრანგეთთან საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირის შესაძლებელი სინამდვილე დაენახა.

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 59-75.

[2] **Herbette M.,** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907, p. 350.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 94-95.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 94-100.

[5] **გაბაშვილი ვ.,** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 63.

ირანთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის მიზნით ლუი XIV-მ ისფაჰანში გაგზავნა აგათაპოლელი ეპისკოპოსი, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, გატიე დე გალიკსონი, რომელიც აღჭურვილი იყო წერილებით ირანის შაჰისადმი[1]. გალიკსონი ირანში საქართველოს გავლით ჩავიდა. თბილისში ის 1711 წლის 3 აგვისტომდე ჩანს ჩამოსული. მას სწორედ ამ რიცხვს უნდა გააგზავნა პარიზში წერილი, რომელშიც, ირიბი წყაროს თანახმად, იუწყებოდა, რომ აქ „ყველა კათოლიკე მისიონერი ჰპოვა მძიმე მდგომარეობაში“[2]

როგორც პროფ. ი.ტაბაღუამ გაარკვია, გალიკსონს თბილისში თან ახლდა ფრანგი აბატი ჟან რიშარი. ამასთან დაკავშირებით ვიზიარებთ მკვლევრის დასკვნას, რომ რიშარმა თბილისში ყოფნის დროს გაიცნო ვახტანგ მეფე და ს.ს. ორბელიანი და ჰქონდა საუბარი საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ”[3]. ასევე ვეთანხმებით ი. ტაბაღუას აზრს, რომ „...აგათაპოლელმა ეპისკოპოსმა და ჟან რიშარმა თბილისიდან მისწერეს წერილები რომსა და პარიზში და სრული წარმოდგენა მისცეს ვახტანგ მეფეზე, სულხან-საბასა და საერთოდ საქართველოზე, რისი შედეგიც იყო: საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის, კანცლერი გრაფი დე პონშარტრენისა და რომის პაპ კლიმენტი XI-ის აქტიურობა საქართველოს სასარგებლოდ…“[4].

ჩვენთვის უცნობია, თუ რას წერდა კონკრეტულად ვახტანგ VI-ის შესახებ გალიკსონი ადრესატებს. წერილი რომ მისწერა, ფაქტია. ვახტანგი 1714 წლის 7 აპრილს ლუი XIV-ს აუწყებდა: „ეპისკოპოსმა დე გალიკსონმა, რომელმაც მოწყალებით მისწერა ჩვენს შესახებ თქვენს უდიდებულესობას, ვერ იგრძნო ჩვენს სამფლობელოში ყოველივე ის, რისი გაკეთება გვსურს და რასაც გავაკეთებთ ყოველთვის, როცა ამის შემთხვევა გვექნება, რათა დავუმტკიცოთ თქვენს უდიდებულესობას ჩვენი უმდაბლესი მადლობა; გვსურს თქვენ ამაში კარგად იყოთ დარწმუნებული“[5]. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გალიკსონის ჩამოსვლა საქართველოში გარკვეულ მიზანს ისახავდა. კერძოდ, მისიონერთა დევნის შეწყვეტის საქმეში გახტანგს გალიკსონისათვის დახმარება უნდა აღმოეჩინა. ვახტანგი კი წერილში მიანიშნებს, რომ გალიკსონს ქმედითი დახმარება ვერ გაუწია, მაგრამ, „როცა ამის შემთხვევა“ მიეცემოდა, ანუ

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I. გვ. 96.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 101.

[3] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 28.

[4] იქვე.

[5] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 193.

საფრანგეთის მეფე მას ირანის „ტყვეობიდან“ ქრისტიანობით დაიხსნიდა, მაშინ ლუი XIV-ს ერთგულ სამსახურს გაუწევდა.

ამდენად, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ვახტანგ VI ჯერ კიდევ ქართლში ჯანიშინობის დროს დაადგა საფრანგეთზე ორიენტაციის გზას და კარგად გაერკვა საფრანგეთ-ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ინტერესებში.

გალიკსონი 1708 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ირანში ელჩის რანგში შეუდგა ფრანგი მისიონერების უფლებების აღდგენას[1]. ამაში ის ოსტატურად იყენებდა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის გრაფი დეზალორის მხარდაჭერას. გალიკსონს შაჰის კარი დიდი პატივით შეხვდა, რასაც მოწმობდა მისი ხშირი აუდიენციები შაჰთან. ამის შედეგად გალიკსონმა შაჰის ფირმანით ირანის იმპერიაში ფრანგი მისიონერების ადრინდელი უფლებები აღადგინა[2]. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა ჟან რიშარი, რომელიც პროფესიონალი ელჩის თვისებებით მოქმედებდა. კერძოდ, მან გალიკსონთან ერთად განამტკიცა ირანის შაჰის პოზიცია და ჩაშალა ინგლისელებისა და ჰოლანდიელების ცდა, აეძულებინათ შაჰ ჰუსეინი გაეუქმებინა 1708 წლის საფრანგეთ-ირანის ხელშეკრულება[3].

გალიკსონის მიერ მიღწეული წარმატება საბოლოო შედეგს ვერ იხილავდა, თუ საფრანგეთი არ გახსნიდა საკონსულოს ირანში და 1708 წლის ხელშეკრულების 31-ვე მუხლს არ აამოქმედებდა. ამასობაში ესპანეთის ტახტის მემკვიდრეობისათვის ომი დასასრულს მიუახლოვდა.

შაჰის კარზე ენერგიულად დაიწყეს საფრანგეთში ელჩის გასაგზავნად მზადება, რათა 1708 წლის ხელშეკრულების მუხლები ცხოვრებაში გატარებულიყო. თავდაპირველად შაჰის საპასუხო წერილები ლუი XIV – სთან უნდა წაეღო გატიე დე გალიკსონს, მაგრამ იგი 1712 წლის 22 სექტემბერს ისფაჰანში გარდაიცვალა. მისი ადგილი ეთიმადოვლეს ბრძანებით დაიკავა ლაზარისტმა აბატმა ჟან რიშარმა[4], რომელმაც მისიონერების კეთილმოწყობისა და ვაჭრობის საქმეში დიდი როლი შეასრულა[5]. ახლა სწორედ მას დაევალა გალიკსონის მისიის შესრულება, მაგრამ შაჰის კარმა ეს აზრი შეცვალა და გადაწყვიტა: რიშართან ერთად გაეგზავნათ ირანის ელჩი, რომელიც პირადად

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 96.

[2] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 254.

[3] იქვე, გვ. 257.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 116, 143.

[5] იქვე, გვ. 205.

წარუდგენდა შაჰის წერილებს საფრანგეთის მეფეს. ეს ელჩი კი ერევანში უნდა დახვედროდა გამზადებული ჟან რიშარს[1].

მოვლენების თანმდიდევრულ განხილვამდე კიდევ ერთხელ გავიმეორებთ. ვიცით, რომ 1712 წლის აპრილში ვახტან VI ქართლის ტახტზე მეფედ დამტკიცების მიზნით ირანში გაიწვიეს. შაჰმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვა და მალე გამოსტუმრება აღუთქვა. აქ მან ჩასვლიდან ორ თვეში, 1712 წლის ივლისაგვისტოში, მიიღო კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის გრაფი დეზალორის წერილი, ხოლო 1713 წლის აპრილს – საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ისა და კანცლერ გრაფ დე პონშარტრენის წერილი.

დღემდე არ გაგვაჩნია წყარო, რომელიც გაგვარკვევდა, თუ ვინ იზრუნა ჩაეყენებინა საქმის კურსში საფანგეთის ელჩი კონსტანტინოლპოლში გრაფი დეზალორი, კანცლერი გრაფი დე პინშარტრენი და მეფე ლუი XIV ირანში ვახტანგ VI-ის გაწვევისა და შემდეგ იქ დაკავების შესახებ. ძნელი მარჩიელობაა, თუ რომელმა ფრანგმა მისიონერმა, რომელთაც ვახტანგ VI-თან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ისფაჰანში, როგორებიც იყვნენ პიერ დ'ისუდენი, ბერნარ დე ბურჟი, ჟან როტი, ჟან რიშარი, ჯუზეპე პრესკურატი ვერონელი, შეატყობინა ხსენებულ მესვეურებს ვახტანგის ირანში დაკავების შესახებ. ლოგიკა გვკარნახობს, რომ ასეთი რამ აუცილებელად იქნებოდა.

ასევე უცნობია, თუ რას წერდა საფრანგეთის მეფე ვახტანგს, მაგრამ ფრანგი მისიონერის პიერ დ'ისუდენის ისფაჰანიდან 1713 წლის 11 მაისს პარიზში გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ლუი XIV-ის წერილმა მას მტკიცე იმედი ჩაუსახა[2]. აქვე წერილის ავტორი დე პონშარტრენს ეფექტური დახმარების აღმოჩენას თხოვდა[3]. სწორად მიიჩნევს პროფ. ვ. გაბაშვილი, რომ „სპარსეთის შაჰის ტყვისათვის მეტად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ლუი XIV-ის წერილში აღნიშნული დაპირებანი", რადგან მის წერილს მალე მოჰყვა სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა[4].

ვახტანგ VI-ის სამზადისში აქტიურად მონაწილეობდა ჟან რიშარი. სწორად მიუთითებს ვ. დონდუა, რომ რიშარი ვახტანგის მესაიდუმლე იყო ისფაჰანში[5]. ასევე მართებულად მიიჩნევს ი. ტაბაღუა, რომ „ჟან რიშარმა იცოდა

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 119.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 117.

[3] იქვე.

[4] **გაბაშვილი ვ.,** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 69.

[5] **დონდუა ვ.,** საისტორიო ძიებანი, I, გვ. 160.

ვახტანგის შეხედულებები დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის თაობაზე[1]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რიშარი არა მარტო მესაიდუმლე იყო ვახტანგისა და იცოდა მისი შეხედულებები დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხებზე, არამედ მან ირანში ვახტანგთან ერთად შეიმუშავა საქართველოს საფრანგეთთან პოლიტიკური, რელიგიური, სავაჭრო და სამხედრო კავშირის გეგმები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამაში მონაწილეობდა სულხან-საბა ორბელიანიც, რომლიც ვახტანგ VI-ს ახლდა ირანში და იქ ექვსი თვე დაჰყო[2]. თავის მხრივ სულხან-საბა წმ. კონგრეგაციის კარდინალ პრეფექტს ჯუზეპე საკრიპანტის მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით უხასიათებდა ჟან რიშარის დამსახურებას აღნიშნულ საქმეში. „ფრანგმა მისიონერმა, – წერს სულხან-საბა, – ბატონმა [ჟან] რიშარმა, დიდად მცოდნე პირმა, რომელიც ბევრს გაისარჯა ისპაანში კათოლიკეებს და მისიონერებს დახმარებოდა, სამეგრელოს პატრიარქისა და ხსენებული მეფის [3], რომელიც საფრანგეთის მეფის გეგმის ინტერესებში მოქმედებას დათანხმდა [4], დიდი ნდობა მოიპოვა [5].“

ყოველივე აქედან გამომდინარე დავასკვნით: პირველი, ჟან რიშარმა სულხან-საბასთან ერთად დასავლეთ საქართველოში ჩაატარა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები იმ მიზნით, რომ ირანთან ვაჭრობაში საფრანგეთის სამეფო კარს უპირატესობა მიენიჭებინა საქარველოში გამავალ გზაზე; მეორე, ჟან რიშარი სულხან-საბასთან ერთად ეწეოდა მოლაპარაკებებს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს გრიგოლ II-სთან სამეგრელოში, აფაზეთსა და იმერეთში ფრანგ იეზუიტთა მისიონის დაარსების შესახებ; მესამე, 1714 წლის 25 აპრილს მარსელში შედგენილი ვრცელი მემორანდუმი, რომელშიც ჩამოყალიბებულია საფრანგეთ-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობის საკითხები, ძირითადად ეყრდნობოდა ჟან რიშარის სამახსოვრო ბარათსა და სულხან-საბას წინადადებებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟან რიშარი ირანის ელჩთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო საფრანგეთში. ეს უკანასკნელი მას ერევანში უნდა დახვედროდა გამზადებული. პარიზში მიმავალ რიშარს ასევე უნდა წაეღო ვახტანგის საპასუხო წერილი ლუი XIV-სა და გრაფ პონშარტრენთან. „ვახტანგი მას ანდობდა პასუხებს“[6]. აქედან გამოდის, რომ რიშარს შაჰისა და ვახტანგის

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 148.

[2] **სულხან-საბა ორბელიანი.** ლექსიკონი ქართული, II. თბ., 1993, გვ. 642.

[3] იგულისხმება ვახტანგ VI.

[4] იგულისხმება ირანის იმპერიაში ლუი XIV-ის რელიგიურ და სავაჭრო-ეკონომიკურ მიზნებზე თანხმობა.

[5] Acta Sacra Congregazione de Propaganda Fide. Anno 1714, fol. 442, №32 – “Georgia”.

[6] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 120.

დიპლომატიური დავალება ერთდროულად უნდა შეესრულებინა. ამასთან დაკავშირებით ი. ტაბაღუა წერს: „ჟან რიშარს უნდა წაეღო ვახტანგის საპასუხო წერილები საფრანგეთის მეფისათვის, მაგრამ მას უნდა გაევლო გორში და ენახა სულხან-საბა, რომელიც მასთან ერთად გაემგზავრებოდა საფრანგეთში და პირადად გადასცემდა ვახტანგის წერილს საფრანგეთის მეფეს“[1].

ვერ გავიზიარებთ პატივცემული მკვლევარის ამ მოსაზრებას. საკითხი ნათელი რომ გავხადოთ, თუ როგორ წარმოედგინა ვახტანგს სულხან-საბას რიშართან ერთად ელჩობა მაშინ, როცა პარიზში რიშართან ერთად ირანის ელჩი უნდა გამგზავრებულიყო, დგება ორ კითხვას: პირველი, რომელი გზით ჰქონდა გადაწყვეტილი ჟან რიშარს საფრანგეთში გამგზავრება?; მეორე, როგორ დაგეგმა ვახტანგმა სულხან-საბას რიშართან ერთად ელჩობა?

რიშარის 1713 წლის 17 ნოემბრის წერილიდან ჩანს, რომ ერევნის ხანის მიერ ელჩად დანიშნული პიროვნება უნდა გამგზავრებულიყო იმ გზით, რომლითაც რიშარი მოისურვებდა წასვლას[2]. ერევანში გამზადებულმა ელჩმა „ვერ გაბედა იმ გზით გამგზავრებულიყო“, რომელსაც რიშარი გაჰყვა და „მან აირჩია სხვა უცნობი გზა“. ამიტომ გადაწყდა, რომ თითოეულს „საიდუმლოდ გაევლო გზა“.[3]

როგორც ვხედავთ, რიშარი პირდაპირ არ ასახელებს, თუ თავიდან რომელი გზით ჰქონდა საფრანგეთში გამგზავრება განზრახული, მაგრამ ჩანს, რომ მას ირანში ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოს გავლით წასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული იყო, მას გორში ენახა სულხან-საბა.

1713 წლის 5 ივნისს რიშარი უკვე ერევანში იყო. ელჩად დანიშნულმა მირზა სადოკმა ათი ათასი ეკიუს გაღებით ამ დავალებისაგან თავი დაიხსნა. რიშარი წერს: ელჩი „ცდილობდა თავიდან აეცილებინა ეს არასასიამოვნო დავალება“, რადგან შეეშინდა მოგზაურობის ხანრძლივობის, თურქებისაგან მოსალოდნელი ხიფათისა და იმისა, თუ რა ელოდა ირანში დაბრუნებულს საფრანგეთში წარმატებისათვის რომ არ მიეღწია[4]

ამრიგად, რიშართან ერთად ვერ მოხერხდა ირანის ელჩის საფრანგეთში გამგზავრება. ახალი ელჩის დანიშვნას მან შეგნებულად არ დაუცადა და პირდაპირ თბილისში გაემგზავრა. აქედან კი გორში ჩავიდა, სადაც შეხვდა სულხან-საბა ორბელიანს. 1713 წლის 17 ნოემბერს რიშარი კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის მინისტრს ატყობინებდა: „გავიარე რა გორში მე ვნახე სულხან-საბა.. მიიღო რა მან ისფაჰანიდან მისი (ვახტანგის –

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 144.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 127.

[3] იქვე.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 127.

ავტ.) პასუხები იმ წერილზე, რომელიც მისმა უდიდებულესობამ (ლუი XIV – ავტ.) კეთილინება პატივი დაედო მისთვის (ვახტანგისათვის – ავტ.) მიეწერა, რათა ისინი ჩემთვის მოეცათ გავლისას (გორიდან – ავტ.) მე მომანდო (საბამ გადმომცა – ავტ.) და მას შემდეგ, რაც მან გააკეთა ჩემთვის, ის რაც შთააგონა მისმა სიყვარულმა, რომელიც მას აქვს საფრანეთისადმი, გამომაცილა შავ ზღვამდე სამეგრელოს გავლით მრავალი მოხელითა და მსახურით. ამ დროს მიიღო (საბამ – ავტ.) რა წერილი ვახტანგისაგან, მაცნობა მე სურვილი, რომელიც მას ყოველთვის ჰქონდა, ენახა მისი უდიდებულესობა და მითხრა, რომ ვერ ნახავდა რა უკეთეს შემთხვევას“[1].

მოტანილი წყაროდან კარგად ჩანს, რომ ვახტანგს საპასუხო წერილი საფრანგეთის მეფისადმი, რიშარის ელჩობის დაწყებამდე, გორში გამოუგზავნია სულხან-საბასთვის. ახლა აქ უნდა გადაეცა საბას ეს წერილი რიშარისათვის. შეუძლებელია სხვა აზრი ამოვიკითხოთ რიშარის სიტყვებში, რომ „ისინი (წერილები) ჩემთვის მოეცათ“, ესე იგი საბას მისთვის უნდა გადაეცა. აქ გადამწყვეტია ერთი მომენტი: საბამ „ამ დროს მიიღო რა წერილი ვახტანგისაგან“, გამოთქვა სურვილი, რომ „ენახა მისი უდიდებულესობა“. უდავოა, ამ წინადადებაში პირდაპირ იკითხება, რომ სულხან-საბამ რიშარის გორში ჩამოსვლის შემდეგ მიიღო წერილი ვახტანგისაგან და გადაწყვიტა დიპლომატიური მისიით გამგზავრებულიყო პარიზში, რადგან უკეთეს შემთხვევას ვერ ნახავდა. ისმება კითხვა, რა წერილი უნდა ყოფილიყო ეს? ვფიქრობთ, ვახტანგის ეს წერილი იყო დასტური იმისა, რომ სულხან-საბა საგანგებო უფლებით აღჭურვილიყო და შეესრულებინა დიპლომატიური მისია. საკუთრივ საბა, მართლაც, „ვერ ნახავდა უკეთეს შემთხვევას“ ორი მოტივით: პირველი, ირანის ელჩის საფრანგეთში გაგზავნა დაყოვნდა და მეორე, მას ახლა გვერდით ჰყავდა ჟან რიშარი, რომელიც მეგზურობას გაუწევდა პარიზსა და რომში და პროფესიულ დიპლომატიურ დახმარებას აღმოუჩენდა ყველა დონეზე მოლაპარაკებებში, რაშიც არ შემცდარა.

ამრიგად, ზემოთ დასმულ მეორე კითხვას ვპასუხობთ დასკვნის სახით: ირანიდან პარიზში მიმავალ ჟან რიშარს არ მიჰქონდა ვახტანგის საპასუხო წერილები საფრანგეთის მესვეურებთან, როგორც ეს ი. ტაბაღუას მიაჩნია. რიშარს არც ვახტანგის წერილები მიჰქონდა საქართველოში მის ნათესავებთან, როგორც ამას დ. ლენგი თვლის[2]. ვახტანგის წერილები საფრანგეთის მესვეურებთან რიშარისათვის გორში უნდა გადაეცა სულხან-საბას. ჩანს, ვახტანგმა თავისი საპასუხო წერილები წინასწარ, ისფაჰანიდან რიშარის გამგზავრებამდე, გამოუგზავნია საბასთვის საქმის არსში გასარკვევად. ირანში არც რიშარსა და არც ვახტანგს წინასწარ არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ერევანში ელჩად და-

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 127-128.

[2] Lang D. M. Georgian Relations with France during the reign of Vakhtang VI (1711 – 1724) // Repr. From the Journal of the Royal Asiatic Society, Parts 3 and 4, London, October, 1950, p. 118.

ნიშნული მირზა სადოკი ელჩობას თავს აარიდებდა. შეუძლებელია, ვახტანგს არ გაეთვალსიწინებინა, თუ სპარსელი ელჩი რიშართან ერთად გაემგზავრებოდა, მაშინ გამორიცხული იყო საბას მისია. ჩვენი ღრმა რწმენით, ვახტანგმა გაიგო რა, რომ სპარსელი ელჩის გაგზავნა შეფერხდა, მან სულხან-საბას, დიპლომატიურ ენაზე რომ ვთქვათ, გაუგზავნა რწმუნების სიგელი, რათა აღჭურვილიყო საგანგებო მისიით დასავლეთში. მეტი ალბათობაა ვიფიქროთ, რომ, თავდაპირველად რიშარი და ვახტანგი შეთანხმდნენ: თუ სპარსელი ელჩი რიშართან ერთად გაემგზავრებოდა, მაშინ მას გორში უნდა ენახა ს.-ს. ორბელიანი, რომელიც გადასცემდა ვახტანგის საპასუხო წერილებს ფრანგი მესვეურებისადმი, რათა თვითონ რიშარს წარედგინა საფრანგეთის სამეფო კარზე. ვახტანგისაგან დასტურის შედეგ, სულხან-საბამ, რამდენადაც ერევანში ახალი ელჩის დანიშვნა გარკვეულ დროს საჭიროებდა და ის უნდა გამგზავრებულიყო ალეპოს გზით, ეს ყველაზე საუკეთესო საშუალებად მიიჩნია, რათა მას თვითონ შეესრულებინა დიპლომატიური მისია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ასევე დავასკვნით: ფრანგმა აბატმა ჟან რიშარმა განსაკუთებული როლი შეასრულა სულხან-საბა ორბელინის დიპლომატიური მისიის მომზადებაში. მისი გულმოდგინება, კაცთმოყვარეობა, აღმოსავლეთში საფრანგეთის სავაჭრო პოლიტიკის დაწინაურების დიდი სურვილი და ვახტანგ VI-ის ირანის ტყვეობიდან დახსნის დაუოკებელი წადილი, მას წარმოგვიდგენს ქართული საქმისთვის დიდად გარჯილ დიპლომატად.

## *ლუი XIV-ის – „მეფე მზის“ სიმბოლოს გაგება ვახტანგ VI-ის დიპლომატიაში*

საქართველოს ევროპულ საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში ვახტანგ VI-ის ურთიერთობას საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სთან განსაკუთრებული ადგილი უკავია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ვახტანგ VI-ის ქართლში ჯანიშინობის (1703-1712), ხოლო შემდეგ ირანის ტყვეობის დროს (1712-1716) სრულად გამოვლინდა დასავლეთისაკენ იმ მისწრაფების ამოცანები და მიზნები, რომელსაც მანამდე საქართველოს ევროპულ საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში ადგილი არ ჰქონია. ამ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ როგორი სიზუსტით ესმოდა ვახტანგ VI ლუი XIV-ის – „მეფე მზის“ სიმბოლო და რა დიპლომატიურ დატვირთვას აძლევს მას საფრანგეთზე ორიენტაციის კონტექსტში.

ამ ამოცანიდან გამომდინარე, აუცილებელია ზოგად ხაზებში წარმოვადგინოთ ლუი XIV-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ძირეული ასპექტები. ცნობილია, რომ ლუი XIV-ის მეფობა (1643-1715) 72 წელი გაგრძელდა. მონტესკიეს თქმით, ლუი XIV „...იმდენად დიდხანს მეფობდა, რომ ბოლოს დავიწყებას მიეცა მისი მეფობის დასაწყისი“[1]. ამ მეფის მმართველობის დროს საფრანგეთის აბსოლუტიზმა განვითარების მწვერვალს მიაღწია, ხოლო მისი მეფობა ისტორიაში დიდი საუკუნის სახელით შევიდა. ეს იყო საფრანგეთის ერთიანობის, კონსოლიდაციის, მისი სამხედრო ძლიერების, დიდი საერთაშორისო წონის, ინტელექტუალური და კულტურული აყვავების მთელი ეპოქა. ამ მხრივ საინტერესოა ვნახოთ თუ რა შეფასებას აძლევს დიდი სულხან-საბა ორბელიანი პარიზში ელჩობის შემდეგ საფრანგეთის სამეფოს ბრწყინვალებასა და სიდიადეს. ამ ქვეყნის გაცნობით მიღებული უშუალო შთაბეჭდილება სავსებით შეესაბამება სპეციალურ სამეცნიოერო თუ მხატვრულ ლიტერატურაში მოცემულ შეფასებას. აი, ისიც: საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში გრაფი დეზალორი (1709-1716) 1715 წლის 18 თებერვალს ლუი XIV-ს წერდა: „სულხან-საბა განუწყვეტლივ ლაპარაკობს თქვენი უდიდებულესობის კეთილგანწყობაზე და დიდმშვენიერებაზე, პატივზე, რომელიც თქვენგან მიიღო, თქვენი სასახლეების სიდიადეზე და სიმშვენიერეზე, განსხვავებაზე, რომელიც გააჩნია მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნებთან და სახელმწიფოებთან შედარებით საფრანგეთის სამეფოს, და წესრიგზე, რომელსაც ყველაფერში იქ იცავდნენ. სულხან-საბა არაერთხელ იმეორებს, რომ ეშინია თავის ქვეყანაში არ დაუჯერონ, როდესაც მათ აღწერს მის მიერ საფრანგეთში ნანახ საოცრებებს. ვინაიდან ის, რაც ნახა, აღმოსავლელების შეზღუდულ გონებაზე მაღლა დგას, რომელთა წარმოდგენა

[1] ციტ.: **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი, გვ. 110, სქოლიო 1.

მათ მხედველობაზე უფრო შორს არ ვრცელდება. და ბოლოს, იგი გამსჭვალულია მის მიერ ნახულით და მას თავი მომხიბლავ ქვეყანაში ჰგონია“[1].

მოტანილი წყარო იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ ლუი XIV-ის სამეფოს სიდიადესა და ბრწყინვალებას აფასებს დიდი ქართველი ინტელექტუალი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი და იგი სრულიადაც არ წარმოადგენს დიპლომატიურ ქათინაურს, არამედ სავსებით ასახავს რეალობას და ნათლად წარმოაჩენს იმ მიზანს, რისკენაც მიისწრაფოდა საქართველო თავის ევროპულ პოლიტიკით.

ახლა უშუალოდ საკითხზე: ლუი XIV დე ბურბონი, რომელმაც დაბადებიდანვე „ლუი დიოდონეს“ („ღვთის ბოძებული“) სახელი მიიღო, ასევე ცნობილია, როგორც „მეფე მზე“ („Luis XIV le Roi Solei”). ლუი XIV-მ, რომელსაც თავისი ღვთაებრივი წარმოშობა სჯეროდა[2], სიმბოლოდ აირჩია „მზე“ და, ცხადია, ეს თვითგაღმერთების მაგალითს წარმოადგენდა[3]. საკუთრივ მეფე განმარტავდა თუ რატომ აირჩია სწორედ ეს ხატება, რომელიც სიახლეს არ წარმოადგენდა საფრანგეთის ისტორიაში. მზის ემბლემის გამოყენება პირველად გვხვდება ანრი III-ის მმართველობის დროს. მას იყენებდნენ ლუი XIV-ის ბაბუა (მეფე ანრი IV) და მამა (მეფე ლუი XIII), მაგრამ მზის სიმბოლომ ფართო გავრცელება ლუი XIV-ის დროს ჰპოვა.

საინტერესოა ვნახოთ, თუ როგორ ესმოდა ლუი XIV-ს მის მიერ არჩეული ხატება. მზე, როგორც ყველა კეთილდღეობის მომტანი, მონარქის ტრადიციული გამოსახულებაა. მეფე ამ დიდ მნათობში ხედავდა მიბაძვის მაგალითს. მზე-დაუცხრომელი მუშაკი სამართლიანობის წყაროა. მეფე მას ასე ახასიათებდა: „მზე თანაბრად და სამართლიანად ანაწილებს თავის სხივებს დედამიწის ყველა ნაწილზე „იგი განუწყვეტლივ მოძრაობს და ამასთან ერთად მუდამ მშვიდია. „იგი არასოდეს უხვევს თავისი გზიდან“[4].

ლუი XIV-ის ემბლემაზე მზე დედამიწას ანათებს. ეს ჰიპერბოლა იმას გამოხატავს, რომ მეფეს აქვს უფლება თავისი კეთილისმყოფელი მმართველობა სხვა ხალხზეც გაავრცელოს. ამის დამტკიცება ხდება დევიზით: „Nec pluribus impar“ („მრავალ თანასწორთათვის“). მეფე იგონებდა, რომ დედამიწამ და ამ დევიზმა უბიძგა მას ემბლემაში სამეფო სახლის ზოგიერთი მოხელე შეეტანა: „მათ (სამეფო კარის მოხელეებს – ავტ.) მხედველობაში ჰქონდათ და ეს სასიამოვნოა პატივმოყვარე ახალგაზრდა მეფისათვის, რომ მე თვითონ გავართმევ თავს

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, „საისტორიო მოამბე“, 55-56, თბილისი, 1987, გვ. 387.

[2] **Борисов Ю. В.,** Дипломатия Людовика XIV, с. 43

[3] **Малов В.Н.,** Людовик XIV: опыт психологической характеристики // Новая и новейшая история, 1996, №6, с. 152.

[4] Mémoires de Louis XIV pour l’instruction du Dauphin, vol. 2, Paris, 1860, p. 570.

ურიცხვ საქმეს, მაშინ, რასაკვირველია, სხვა სამეფოების მართვას შევძლებ მსგავსად მზისა, რომელიც სხვა მიწებსაც გაანათებდა თუ ისინი მისი სხივების ქვეშ აღმოჩნდებოდნენ“[1].

აღნიშნული არ უნდა მივიჩნიოთ იმად, რომ ლუი XIV-ს დედამიწაზე ცოცხალ ღმერთად სურდა თავის წარმოდგენა. „მეფის მსჯელობა, როგორც ამას ჟ. ტირო მიიჩნევს, საკმაოდ ზომიერია, რადგან მონარქი ხელმწიფის ვალდებულებებსა და საკუთარ პიროვნებას შორის მკვეთრ ზღვარს ავლებდა“[2]. ამავე მკვლევრის აზრით, „ლუი XIV ხელისუფლების საკრალურობის თეზისს არ უარყოფდა და მისი წარმოდგენები ემყარებოდა იმას, რომ მეფე უშუალოდ ღმერთისაგან იღებდა ძალაუფლებას“[3]. აქვე ჟ. ტირო აგრძელებს, რომ მეფე ამას პირდაპირ არ ამტკიცებდა და მაშასადამე, ბოლომდე არ იზიარებდა ღვთაებრივი სამართლის კონცეფციას, ხოლო რაც შეეხება სამეფო ძალაუფლების საკრალურობას, ლუი XIV მას ნებისმიერი მონარქის ხელისუფლებაზე ავრცელებდა. „..ღმერთის წყალობის გარეშე ხელისუფლების მემკვიდრეობითი გადაცემა არ არსებობს“[4] ასე სწამდა მეფე-მზეს. „დიდი მეფის მთელი საქმიანობა მიმართული იყო ღმერთის მსახურებაზე და სახელმწიფოს მეთაურის ვალდებულებების გულდასმით შესრულებას ხაზი უნდა გაესვა უზენაესისადმი მონარქის თავგამოდებულ ურთიერთობაზე“[5]. „მეფე-მზის“ მიერ ღმერთის მსახურებას რომის პაპი კლიმენტი XI მეფისადმი 1714 წლის 20 ივლისს მიწერილ წერილში, რომელშიც სთხოვდა ვახტანგ VI-სათვის დახმარების აღმოჩენას, ასე აფასებდა: „ქრისტეს მიერ საყვარელო ჩვენო შვილო. მოგესალმები შენ. ყველაფერში, რაც შეეხება ჩვენი სარწმუნოების დაცვას და გამრავლებას, შენ შენი გულმოდგინებით აღემატები ყველა სხვას, როგორც აქამომდე მოწმობდა მრავალრიცხოვანი ნიშანი შენი მეფური მართლმორწმუნეობისა“[6]. მოკლედ რომ ვთქვათ, მეფე-მზე მიისწრაფოდა, რომ სახელმწიფოს ძლიერება თავის პიროვნებასთან გაეერთიანებინა და საკუთარ თავზე აეღო საფრანგეთზე ხელმძღვანელობა, რაშიც მდგომარეობდა ლუი XIV-ის აბსოლუტიზმის ორიგინალურობა[7].

---

[1] Mémoires de Louis XIV pour l'instruction du Dauphin, vol. 2, Paris, 1860, p. 570; **Малов В.Н.,** Людовик XIV: опыт психологической характеристики // Новая и новейшая история, 1996, №6, с. 153.

[2] **Thireau J.L.,** Les idees politiques de Louis XIV, Paris, 1973, p. 202.

[3] Ibid, p. 201.

[4] **Thireau J.L.,** Les idees politiques de Louis XIV, Paris, 1973, p. 202.

[5] **Goubert P.,** Louis XIV et vingt millions de Français, Paris, 1991, p. 217.

[6] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., f. 36r; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს **მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა** და **ზურაბ გამეზარდაშვილმა**, თბ., 2020, გვ. 16.

[7] **Thireau J.L.,** Les idees politiques de Louis XIV, p. 212.

ჩვენი მიზნიდან გამომდინარე, ამ მეტად საინტერესო საკითხზე მეტს არ გავაგრძელებთ. ისე კი ლუი XIV-ის პიროვნება და მისი შეხედულებები მრავალი თაობის ისტორიკოსების დაინტერესებას შემთხვევით არ იწვევს. ხელმწიფე, რომლის მმართველობის დროს საფრანგეთის აბსოლუტურმა მონარქიამ თავის ზენიტს მიაღწია, მთელი ევროპისათვის მაგალითს წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ ირანში „ტყვედ“ მყოფ ვახტანგ VI-სთან გარკვეული პოლიტიკური მიზნით კავშირი დაამყარა საფრანგეთის წარმომადგენლობამ ირანში. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, 1712 წლის ივლის-აგვისტოში ვახტანგ VI-მ მიიღო კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის გრაფ დეზალორის წერილი, ხოლო 1713 წლის აპრილს – საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ისა და კანცლერ გრაფ დე პონშარტრენის წერილი[1]. ამას მალე მოჰყვა სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა (1713 წლის 17 აგვისტო) დასავლეთში, რაც ქართველი მესვეურების მიერ კარგად მოფიქრებული პოლიტიკური ნაბიჯი იყო და წარმოადგენდა ადრე დაგეგმილი განზრახვის განხორციელებას. საქართველოს ელჩს ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეების წინაშე ევალებოდა არა მარტო „სათხოვარი“ ირანის „ტყვეობიდან“ ვახტანგის გათავისუფლების შესახებ, არამედ საქართველო-საფრანგეთს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და ცხოვრებაში განხორციელება, რასაც საბოლოოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა უნდა მოჰყოლოდა[2].

სწორედ ლუი XIV-სთან სულხან-საბა ორბელიანის პირველი აუდიენციის დროს (1714 წლის 7 და 14 აპრილს) დაიწერა ვახტანგ VI-ის წერილი „მეფე-მზისადმი“ (1714 წლის 7 აპრილი)[3]. ირანში „ტყვედ“ მყოფი მეფე საფრანგეთის მონარქს წერდა: „უდიდესს, უმაღლესს, ფრიად მოლაშქრე მეფეს, რომელიც თავისი იარაღის ძალით უმორჩილებს ყველა დანარჩენთ თავის ძლიერებას. ყველაზე უმაღლესო, ფრიად სანაქებო და მთელი სამყაროს მიერ თაყვანსაცემო. ***მზეო, რომელმაც შენი შუქით გაანათე სხვა მთავრები, ვინაიდან მათ მიმართ თქვენ ხართ ის, რაც მზე არის მნათობების მიმართ და რომელსაც არ შეიძლება მსგავსი მოეძებნოს*** (ხაზგასმა ჩვენია): თქვენ აღვირით გიჭირავთ თქვენი მტრები ისე, რომ არავის შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა“[4].

---

[1] **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 36; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 28.

[2] **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 140.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 193-194; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 143.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 193; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 143.

ხაზგასმული ფრაზა ეჭვს არ ტოვებს, რომ ვახტანგ VI-ს „მეფე-მზის“ სიმბოლო ზუსტად ისეთივე ჰიპერბოლით ესმის, როგორც ამას თავად ლუი XIV განმარტავდა. მზის ეპითეტზე აქცენტის გადატანა აქ შემთხვევითობას არ წარმოადგენს. იგი კაშკაშა მნათობია, შუქმფინარი მზეა, საიდანაც სხივები მთელ დედამიწას ეფინება. ვახტანგის წერილში საკმაოდ ლაკონურად ხაზგასმა – „მზეო, რომელმაც შუქით გაანათე სხვა მთავრები, ვინაიდან მათ მიმართ თქვენ ხართ ის, რაც მზე არის მნათობების მიმართ...“, სამეფო ხელისუფლების საკრალურ გაგებას ზუსტად გადმოსცემს და დიპლომატიურად მიანიშნებს, რომ „მეფე-მზე“ მაგალითია არა მარტო მთელი ევროპისათვის, არამედ ირანში დატყვევებული ქრისტიანი მეფის საქართველოსთვისაც. „მეფე-მზის“ სიმბოლოზე ხაზგასმით წერილის დაწყება ემსახურება ერთ მიზანს. კერძოდ: ლუი XIV-ს აგრძნობინოს, რომ იცის სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის მისეული კონცეფცია და პირდაპირ მიანიშნებს. „...არავის შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა“ თუ მის შემწეობას მიზნად დაისახავს და, რადგან მოწადინებულია ლუი XIV თავისი ქვეშევრდომების კეთილდღეობა უზრუნველყოს, მან ირანში „ტყვედ“ მყოფ ქრისტიან მეფეს, „მზის“ მისიის მსგავსად, დახმარება აღმოუჩინოს. ამის რეალობად ქცევის შემდეგ კი ვახტანგ VI საფრანგეთის მეფის სამსახურში ჩადგებოდა. ზემოხსენებულ წერილში ეს ასე იკითხება: „ჩვენ, ვახტანგ, საქართველოს მეფე, რომელიც მხურვალედ ვეძებთ შემთხვევას, ვემსახუროთ თქვენს უდიდებულესობას, გეახლებით, რათა წარმოგიდგინოთ ჩვენი უმდაბლესი პატივისცემა და, რამდენადაც ამის ღირსი ვართ, ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ, მოგწეროთ ყოველი შესაძლებელი უღრმესი პატივისცემით“[1]. კითხვაზე, თუ საიდან იცოდა ვახტანგ VI-მ „მეფე-მზის“ სიმბოლოს კონცეფცია? – ლოგიკური პასუხი ასეთია: ამის შესახებ ირანში „ტყვედ“ მყოფი მეფე, ალბათ, კარგად გაარკვიეს მასთან დაახლოებულმა ფრანგმა მისიონერებმა. ესენია: ჟან რიშარი, პიერ დ'ისუდენი, ჟან ბატისტ დე მონმორო და ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელი[2].

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 193; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 144.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 106; 117; 147; 162-164.

## *სულხან-საბა ორბელიანი დასავლეთის გზაზე – პირველი დიპლომატიური ნაბიჯები*

სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთში ელჩობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ ამოცანებს ჩვენ აქ საგანგებოდ არ შევეხებით[1]. მასზე საუბარი გვექნება იმდენად, რამდენადაც საკვლევ პრობლემასთან იქნება კავშირში. ამიტომ აქვე ზოგადად აღვნიშნავთ: სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა დასავლეთში ვახტანგ VI-ის ირანში გამგზავრებამდე დაგეგმილი პოლიტიკური ნაბიჯი იყო[2]. „საქართველოშივე, ვახტანგმა სულხან-საბა ორბელიანთან ერთად შეიმუშავა საფრანგეთთან ის სამხედრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის პროექტი, რითაც წარსდგა ქართველი ელჩი ვერსალში“[3]. ასე რომ,

საქართველოს ელჩს ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეების წინაშე ეველებოდა არა მარტო „სათხოვარი“ ირანის ტყვეობიდან ვახტანგის გათავისუფლების შესახებ, არამედ საქართველო-საფრანგეთის მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, ვახტანგ VI-ის ევროპული პოლიტიკის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ გამოევლინა, თუ რა სარგებლობის მიღება შეეძლო საქართველოს საფრანგეთისაგან თავისი საშინაო და საგრეო პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად. ამიტომ შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში ვახტანგ VI-მ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ირანის „ტყვეობიდან“ დასავლეთის დახმარებით გათავისუფლების მიღწევას. თუ საფრანგეთი ამ მიმართულებით პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამდა და ქართლის ტახტზე ვახტანგი ქრისტიანად დაემკვიდრებოდა, მაშინ იგი აღმოსავლეთში საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის მოკავშირე და მტკიცე საყრდენი იქნებოდა[4].

სულხან-საბა ორბელიანი და ჟან რიშარი 1713 წლის 17 აგვისტოს გაემგზავრნენ გორიდან და ჩავიდნენ ქუთაისში, სადაც 40 დღე დარჩნენ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ გრიგოლ II ლორთქიფანიძესთან

---

[1] დაწვრ. იხ: **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972; **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1992, გვ. 27-58; **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, თბ., 2019, გვ. 248, 320-390.

[2] **პაპაშვილი მ.,** დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთან ერთად დავით მეგრელის დიპლომატიური მისიით გაგზავნის საკითხისათვის // საქართველო ევროპა-ამერიკა, 1997, №1, გვ. 45; **მისივე,** როდის იყო განზრახული სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა დასავლეთში. ჟურნ // საისტორიო ვერტიკალები (დამატება), 2009, №18, გვ. 78.

[3] იქვე.

[4] **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 140-141.

(1696-1742)[1]. წყაროებიდან არ ჩანს, თუ სად სტუმრობდნენ სულხან-საბა და ჟან რიშარი კათალიკოსს. რამდენადაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია გელათში იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მაღალი სტუმრებიც აღნიშნული დროის განმავლობაში აქ იყვნენ[2]. ახლა ისმება კითხვა: რას აკეთებდნენ ამ ხნის მანძილზე სულხან-საბა და ჟან რიშარი დასავლეთ საქართველოში?

ამის შესახებ წყაროები უშუალო ინფორმაციას არ იძლევა. პროფ. ი. ტაბაღუას აზრით, „...ამ დროის განმავლობაში სულხან-საბა და რიშარი ხვდებოდნენ დასავლეთ საქართველოს საერო და სასულიერო მოღვაწეებს და შეძლებისდაგვარად აცნობდნენ მათ ვახტანგის გეგმებს და სულხან-საბას ევროპაში გამგზავრების მიზნებს“[3].

როგორც ვხედავთ, პატივცემული მკვლევარი არ აკონკრეტებს, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ის „სასულიერო და საერო მოღვაწეები“, რომელთაც საბა და რიშარი ხვდებოდნენ და აცნობდნენ ვახტანგის ევროპული პოლიტიკის გეგმებს. წყაროებში ასეთ პირებად მხოლოდ დასახელებულნი არიან კათალიკოსი გრიგოლი და მისი თანაშემწე დავით მეგრელი[4]. ჩვენ სადავოდ არ ვხდით პროფ. ი. ტაბაღუას აზრს, მხოლოდ დაკონკრეტების მიზნით დავსძენთ: სულხან-საბა ორბელიანმა თავისი ელჩობის მიზანი და ამოცანები გააცნო დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს გრიგოლ II-ს და მის თანაშემწეს დავით ბერს. დასაშვებია, ამ წრეში სხვა რომელიმე თანამოაზრე შედიოდა, მაგრამ არა გვგონია, ის მრავალრიცხოვანი ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: პირველი, ჟან რიშარი თავის ვრცელ მოხსენებებში უთუოდ დაასახელებდა იმ პირებს, რომლებიც ვახტანგ VI-სა და სულხან-საბას გეგმებს უჭერდნენ მხარს, რათა ამით უფრო გაეზარდა „ტყვე“ მეფის ავტორიტეტი ფრანგი მესვეურების წინაშე; მეორე, ისეთ ვითარებაში, როცა სულხან-საბა თავის ელჩობას საიდუმლოდ და შენიღბულად აწარმოებდა, შეუძლებელია, მას იგი გაეხმაურებინა დასავლეთ საქართველოში.

რაც შეეხება კათალიკოს გრიგოლს, იგი იზიარებდა ვახტანგისა და სულხან-საბას გეგმებს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ჩვენ ქვეყანაში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების საქმეში იგი მხარს უჭერდა სულხან-საბას მიზნებს და თავის მხრივ „...სურდა პირველ რიგში თვითონ განათლებულიყო (მოქცეულიყო კათოლიკობაში – ავტ.) და

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 314; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 15; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა…, გვ. 152.

[2] **პაპაშვილი მ.,** დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთან ერთად დავით მეგრელის…, გვ. 45.

[3] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 152.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 128, 150.

შემდგომში რომის ეკლესიისადმი მიეზიდა ყველა ეს ქვეყანა (სამეგრელო, იმერეთი და აფხაზეთი – ავტ.)“[1]. ამ მხრივ კათალიკოს გრიგოლის მიზანი ცხადად ჩანს რიშარის შემდეგ ცნობაში. ის წერს: „დასავლეთ საქართველოს პატრიარქმა ...რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი, რომ შეერთებოდა კათოლიკური ეკლესიას. მან მთხოვა, გამომეგზავნა მისთვის მისიონერები სამი მისიისათვის, რომელსაც ის განალაგებდა სამეგრელოში, იმერეთსა და აფხაზეთში... უფალი საბა ყველა ჩვენი საუბრის მოწმე იყო და მოუწოდებდა ამ პატრიარქს გაეგზავნა მასთან ერთად მისი თანაშემწე დავით ბერი, რათა თან ხლებოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე მას გავუგზავნიდი“[2]. ეს მისიონერები უმთავრესად სამედიცინო საქმიანობაში უნდა ყოფილიყვნენ დახელოვნებულნი[3].

წყაროების თანახმად, კათალიკოსი გრიგოლი ჟან რიშარის მეშვეობით საფრანგეთის მეფეს სთხოვდა, რომ 8 ან 10 ფრანგი მისიონერი გამოეგზავნა დასავლეთ საქართველოში[4]. კითხვაზე, თუ რატომ უნდოდა მაინცადამაინც საფრანგეთის მისიის მისიონერების ჩამოყვანა საქართველოში გრიგოლ II-ს, პასუხს ყოველგვარი განმარტების გარეშე თვით ეს წყარო იძლევა: „ამ პრელატმა (დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა გრიგოლ II-მ – ავტ.) წერს რიშარი, – ...როცა გავიარე მის სამფლობელოში მეტად დაჟინებით მთხოვა, რომ მის უდიდებულესობას (ლუი XIV-ს – ავტ.), რომელიც მთელს ლევანტში აღიარებულია, როგორც ყველა მისიის მფარველი და მხარდამჭერი, ვთხოვო რვა ან ათი მისიონერი“[5]. სხვა წყაროს მიხედვით, ფრანგი მისიონერების სამეგრელოში დაფუძნებით დიდად ყოფილან დაინტერესებულნი „ამ მხარის ბატონები“[6]. ერთ-ერთ წყაროში კი ვკითხულობთ: „მეგრელებს აქვთ ბერძნული რიტი, მაგრამ პრეტენზია აქვთ იყვნენ კარგი კათოლიკეები და გამოხატავენ წმიდა სარწმუნოებისადმი ერთგულებას“[7]. ვფიქრობთ, აღნიშნული ელჩობა ხელსაყრელ გარემოებად მიიჩნიეს, ალბათ, სამეგრელოს მესვეურებმა, რომლებიც ნიადაგ ცდილობდნენ თეატინელთა ტრადიციების განახლებას ოდიშის სამთავროში და კათოლიკოს

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 213.

[2] იქვე, გვ. 126-129.

[3] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, გვ. 400.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 184.

[5] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 184.

[2] იქვე, გვ. 140, 282, 291; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 38.

[7] იქვე, №85, ფურც. 46.

გრიგოლს თხოვეს, რომ სულხან-საბა ორბელიანთან ერთად გაეგზავნა დავით ბერი, რომელიც ფრანგულ წყაროებში „დავით მეგრელად“ არის წოდებული.

დავით ბერისა თუ დავით მეგრელის შესახებ ჩვენ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამის გამო შეუძლებელი ხდება მისი ვინაობის დადგენაც. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ის დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის თანაშემწე იყო და მას ძალიან ენდობოდა[1]. ასევე ეს მასალები უეჭველს ხდის, რომ დავით ბერი სამეგრელოდან იყო. წყაროებში პირდაპირ არის დასახელებული, რომ „... ერთი ბერი სამეგრელოდან თან ახლავს ამ ბატონს“[2]. დავითს უნდა წაეყვანა პარიზიდან ფრანგი მისიონერები დასავლეთ საქართველოში „...რომლებსაც იგი მისცემდა სამ სახლს, ერთს სამეგრელოში, მეორეს იმერეთში და მესამეს აფხაზეთში...“[3]. რადგან ამ საქმის მოგვარებაზე დავითს უნდა ეზრუნა, მასვე დაევალა, შეესწავლა ფრანგული ენა, რათა შემდეგში კათოლიკე პატრებისათვის ქართული ესწავლებინა[4].

პირველწყაროებიდან ჩანს, რომ დავით მეგრელი კათოლიკოს გრიგოლის თანაშემწე იყო[5]. ის განათლებული და ნიჭიერი პიროვნება ყოფილა. ალბათ, ამ უნარის გამო დაევალა მას ფრანგული ენის შესწავლა. უდავოა, იგი იზიარებდა სულხან-საბასა და კათალიკოს გრიგოლის გეგმებს საფრანგეთთან ურთიერთობის საკითხებში. თავის მხრივ კი დავითი „...ერთგულებას იჩენდა კათოლიკური სარწმუნოების მიმართ“[6] და საქართველოში ავტორიტეტულ პიროვნებას წარმოადგენდა. საბუთში ერთგან, სადაც საუბარია ფრანგი მისიონერების სამეგრელოში დაბინავების საკითხზე, ნათქვამია „იგი (დავით მეგრელი – ავტ.) მზადაა, სამეგრელოში წინასწარ მოაგროვოს ყველაფერი“[7].

ჩვენი აზრით, დავით მეგრელის აღნიშნული თვისებები, უნარი და მისწრაფება დაედო საფუძვლად იმ გადაწყვეტილებას, რომ იგი საბამ თავის ელჩობაში ჩააბა. ეს ნაბიჯი, ალბათ, გადაიდგა საბას რჩევით, რადგან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ნდობით აღჭურვილი დავითი გარანტად დასდგომოდა ფრანგ მესვეურებსა და რომის პაპს სამეგრელოში კათოლიკე მისიონერების კარგად მოწყობისა და მათთვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზის შექმნის საქმეში. ეს დიპლომატიური ხერხი ხელს უწყობდა საბას

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 128, 150.

[2] იქვე, გვ. 129.

[3] იქვე, გვ. 150.

[4] იქვე.

[5] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 128, 150.

[6] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, გვ. 396.

[7] იქვე.

ამოცანების განხროციელებას იმ მხრივ, რომ ახლა მას შეეძლო ლუი XIV-ისა და რომის პაპის წინაშე წარმდგარიყო არა მარტო ქართლის სამეფოს, არამედ მთელი საქართველოს ელჩად. ამით, ერთი მხრივ, იზრდებოდა ვახტანგ VI-ის ავტორიტეტის და, მეორე მხრივ, წარმოჩნდებოდა, რომ საფრანგეთთან ურთიერთობის დამყარებას ესწრაფოდა არა მხოლოდ ქართლის სამეფო, არამედ დასავლეთ საქართველოც. ამიტომ დავით მეგრელი სულხან-საბას „ყოველთვის თან ახლდა“[1].

წყაროების თანახმად, კათალიკოსი გრიგოლი ჟან რიშარის მეშვეობით საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს სთხოვდა, რომ 8 ან 10 ფრანგი მისიონერი გამოეგზავნა დასავლეთ საქართველოში. კითხვაზე, თუ რატომ უნდოდა მაინცდამაინც საფრანგეთის მისიონერების ჩამოყვანა საქართველოში გრიგოლი II-ს, პასუხს თვის წყარო იძლევა: „ამ პრელატმა (კათალიკოსმა გრიგოლმა – ავტ.), – წერს რიშარი, – „...როცა გავიარე მის სამფლობელოში მეტად დაჟინებით მთხოვა, რომ მის უდიდებულესობას (ლუი XIV-ს – ავტ.), რომელიც მთელს ***ლევანტში აღიარებულია როგორც ყველა მისიის მფარველი*** და მხარდამჭერი (ხაზგასმა ჩვენია), ვთხოვო რვა ან ათი მისიონერი“[2].

აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ კათალიკოსი გრიგოლი, სულხან-საბა და, რასაკვირველია, ვახტანგ VI კარგად იყვნენ გარკვეულნი აღმოსავლეთში საფრანგეთის მისიების მოღვაწეობის ხასიათსა და მასშტაბებში. ამ დროისათვის საფრანგეთი ითვლებოდა დიდ კათოლიკურ ქვეყნად, რომელიც ქმედითად მფარველობდა აღმოსავლეთში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს და დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა უცხოეთის მისიების საზოგადოებას[3]. საფრანგეთის მეფე „...იყო ლევანტში ქრისტიანთა მფარველი, მიუხედავად მათი ეროვნულობისა“[4]. ამ მხრივ „მეფე მზეს“ მიაჩნდა, რომ „...რეპუტაცია ყველაზე ძლიერ ჯარზე მეტს ნიშნავდა“[5].

ძალიან ბევრი რამე იყო დამოკიდებული საფრანგეთის ელჩზე კონსტანტინოპოლში თურქეთის გავლით აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოში კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლის საქმეში[6]. საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში მარკიზ შარლ დე ფერიოლი (1699-1703) „თავისი ელჩობის დროს ცდილობდა, რომ

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, გვ. 396.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 184.

[3] **Launay A.,** Histoire générale de la Societé des missions étrangèeres, vol. I, Paris, 2003, pp. 499-500.

[4] **Veinstein Gilles**. Sissionnaires jésuites et agents français en Crimée au début du XVIIIe siècle // In: Cahiers du monde russe et soviétique. Vol. 10, №3-4. Jullet-Décembre, 1969, p. 414.

[5] Ibid, p. 415.

[6] Archives du Ministère des Affaires Etrangères, Paris.,"Turquie", t. 39, ff. 84 v; 85, 124, 221.

დაეკმაყოფილებინა მეფის ზრახვანი და საქმიანობის დიდი ნაწილი რელიგიური გულმოდგინებით აღესრულებინა“[1]. ელჩს ნიადაგ უნდა ეზრუნა, რომ მისიონერები დაეცვა მუსლიმთა დევნისაგან და თავის მხრივ ეცადა, „...დაეარსებინა მისიები იქ, სადაც არ არსებობდა“[2]. მაგრამ ამას არ ჰქონდა საფრანგეთ-თურქეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობის ფორმა. ამ საკითხის მოგვარებას ენერგიულად შეუდგნენ ფრანგი დიპლომატები XVIII ს-ის დასაწყისიდან. მიზანიც მიღწეული იქნა. 1673 წლის კაპიტულაციის მუხლებში[3] შეტანილი იქნა დამატებები[4], კერძოდ, ერთ მუხლში ჩამოყალიბდა ოსმალეთის იმპერიაში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობისა და საფრანგეთის „განსაკუთრებული მფარველობის“ უფლებები[5]. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის მეფემ მიიღო „აღმოსავლეთში ქრისტიანობის ერთადერთი დამცველის ტიტული“[6]. მართალია, ოსმალეთის იმპერიაში ფრანგ მისიონერებს მოღვაწეობის სრული თავისუფლება მიეცათ, მაგრამ თურქები მუდამ ხელს უშლიდნენ საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში, რათა საქართველოში მოღვაწე პატრებზე მფარველობა გაეწია. ეს იმიტომ, რომ თურქეთის ცენტრალური მთავრობა დაუშვებლად მიიჩნევდა საქართველოს რაიმე სახით დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ურთიერთობას. ამ კონტექსტში კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ საფრანგეთმა ასევე ირანთან 1708 წელს დადებული ხელშეკრულების 26-ე მუხლით მიიღო ირანის იმპერიაში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებზე მფარველობის უფლება[7].

ჩვენი აზრით, საფრანგეთ-თურქეთისა და ირან-საფრანგეთის კაპიტულაციების არსში საკმაოდ უნდა გარკვეულიყვნენ ვახტანგ VI, სულხან-საბა და კათალიკოსი გრიგოლი II. ეს უკანასკნელი, ჩანს, ვატიკანთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა ევროპის წამყვანი კათოლიკური ქვეყნის საფრანგეთის მისიონის დაფუძნებას საქართველოში. პირველწყაროების თანახმად, ეს გადაწყვეტილება კათოლიკოსმა გრიგოლმა სულხან-საბას რჩევით მიიღო[8] და მიზნად ისახავდა „შეერთებოდა პაპის წმიდა ტახტს და ემუშავა ამ მისიონერებთან (ფრანგ მისიონერებთან – ავტ.) ერთად აბაზების მოქცევისათვის...“[9].

---

[1] **Veinstein Gilles**. Sissionnaires jésuites et agents français en Crimée au début du XVIIIe siècle p. 415.

[2] **Veinstein Gilles**. Sissionnaires jésuites et agents français en Crimée au début du XVIIIe siècle p. 415.

[3] Noradounghian G., Recuel d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, t. I, 1897-1903.

[4] Archives du Ministère des Affaires Etrangères, Paris.,"Turquie", t. 39, ff. 86v-89v.

[5] Ibid.

[6] **Veinstein Gilles**. Sissionnaires jésuites et agents français en Crimée au début du XVIIIe siècle, p. 414

[7] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 161-172.

[8] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 128, 140, 149, 261.

[9] იქვე, გვ. 184.

ყოველივე ამის შემდეგ ისმება კითხვა: რატომ სურდა კათოლიკოს გრიგოლსა და სულხან-საბას საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსება? მართალია, აღნიშნულ პირებს კარგად ესმოდათ, რომ ეს წმიდა საეკლესიო კატეგორია იყო, მაგრამ მას ჰქონდა პოლიტიკური გაგებაც. კერძოდ, საქართველოში პარიზის მისიონის დაარსებას მოჰყვებოდა ჩვენს ქვეყანაში საფრანგეთის ინტერესებისა და პოზიციების დამკვიდრება, რადგან მისიონის წინსვლა სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის გარეშე არ არსებობდა.

ერთი სიტყვით, სულხან-საბამ და კათოლიკოსმა გრიგოლმა კარგად იცოდნენ, რომ კათოლიკური ეკლესიის პრაქტიკული მისიონერული საქმიანობა არ არსებობდა კონკრეტული პოლიტიკის გარეშე. ამიტომ მათი სწორი აზრით, საფრანგეთი საქართველოში მისიონის დაარსების შემდეგ უფრო ქმედით ნაბიჯს გადადგამდა ვახტანგის ირანის ტყვეობიდან გასათავისუფლებლად. ამასთანავე, აღნიშნული გზით ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ, რომ საფრანგეთი მოეახლოებინათ საქართველოსათვის. ამიტომ შემთხვევით როდი იყო აქცენტი გადატანილი ფრანგი იეზუიტი მისიონერების საქართველოში ჩამოყვანაზე. ეს ორდენი „XVII ს-ის 80-იანი წლების შუა ხანებიდან მტკიცედ იყო ორიენტირებული თავის აღმოსავლურ პოლიტიკაში საფრანგეთზე“[1].

მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობა ასევე მოითხოვს აქვე აღინიშნოს შემდეგიც: 40 დღის განმავლობაში სულხან-საბა, ჟან რიშარი და კათოლიკოსი გრიგოლი უქმად როდი იყვნენ დასავლეთ საქართველოში. ისინი აქ, ალბათ, გულმოდგინედ მუშაობდნენ საფრანგეთის აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობაში საქართველოს როლისა და ადგილის, საქართველოში კათოლიკე მისიონერების ჩამოყვანისა და მათ მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ გეგმების ჯეროვან დამუშავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მას შეეძლო დაეინტერესებინა ფრანგი მესვეურები ვახტანგ VI-ის ბედით[2] აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეოდა კათოლიკოსი გრიგოლი. ამასთან დაკავშირებით ჟან რიშარი წერს: „ჩვენ ვიპოვეთ ადვილი გზა ფრანგი ვაჭრებისათვის, რომლებიც მოისურვებენ კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვით საქართველოში და სპარსეთში ჩასვლას, **<u>იმ რჩევების მიხედვით</u>** (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.), რომელიც მან (გრიგოლმა – ავტ.) ჩვენ მოგვცა“[3]. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კათოლიკოსი გრიგოლი გარკვეულ როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი წარმოგვიდგება როგორც გამჭრიახი, გა-

---

[1] Histoire universelle des missions catholiques, pp. 163-164.

[2] **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 42-44.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 129.

ნათლებული და უნარიანი პიროვნება. მას რიშარი ლაკონურად ასე ახასიათებს: „იგი გონიერი და საუკეთესო თვისებების მატარებელი ადამიანია“[1].

ამრიგად, ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთსა და რომში თავისი ელჩობის ამოცანებს საფუძველს უყრიდა ჯერ კიდევ დასავლეთ საქართველოში ყოფნისას. აქ მან კონკრეტულად შეიმუშავა საფრანგეთთან საქართველოს ურთიერთობის ის გეგმები, რომლითაც იგი წარსდგა კათოლიკური სამყაროს პოლიტიკური მესვეურების წინაშე. ცხადია, საბას ელჩობის პოლიტიკურ მიზნებში თვით დავით მეგრელიც კარგად უნდა ყოფილიყო გარკვეული. სხვა შემთხვევა გამორიცხულია, რადგან სულხან-საბას დიდი პოლიტიკური ამოცანებით აღწურვილ ელჩობაში ის მონაწილეობას ვერ მიიღებდა. აქედან გამომდინარე უეჭველია, დავითი ქმედით მონაწილეობას იღებდა ზემოხსენებული გეგმების შემუშავებაშიც. იგი საფრანგეთსა და რომში სულხან-საბას უბრალო თანმხლები პირი არ იყო. შესაძლებელია, სულხან-საბა მასთან მრავალ საკითხზე თათბირობდა და იღებდა გადაწყვეტილებას კიდეც მისი რჩევით, რისი ამსახველი მასალები ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია[2].

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 135.

[2] **პაპაშვილი მ.,** დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთან ერთად დავით მეგრელის…, გვ. 51.

## *ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის რელიგიური ასპექტი ვერსალსა და რომში*

სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის პოლიტიკურ ამოცანებს, როგორც ეს სათანადო ადგილას ითქვა რელიგიური ფაქტორი ედო საფუძვლად. უფრო მეტიც; საფრანგეთის „მეფე-მზის" ლუი XIV-ის მიერ საქართველოს გაძლიერების განზრახვის ქვაკუთხედს ჩვენს ქვეყანაში „ნამდვილი ქრისტიანობის (უნდა გავიგოთ კათოლიკური – ავტ.) ზრდა და მხარდაჭერა"[1] განსაზღვრავდა. ამდენად, აღნიშნული მოვლენის მამოძრავებელი ძალის განხილვა-ანალიზის გარეშე დასმული პრობლემის გასაღების მოძებნა შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელია ამთავითვე ვნახოთ, თუ როდიდან და რა მიზნით დაიწყო საფრანგეთმა აღმოსავლეთში ქრისტიანთა დაცვა. ბუნებრივია, აქ მთელი ისტორიის გადმოცემა მიზანშეუწონელია. ამიტომ მოკლე ექსკურსს მივმართავთ.

აღმოსავლეთში საფრანგეთის რელიგიური პოლიტიკის ამოსავალ წყაროდ, ვფიქრობთ, უნდა მივიჩნიოთ საფრანგეთ-ოსმალეთის 1535 წლის კაპიტულაციის პირველ ხელშეკრულება, რომლის საფუძველს „...ლევანტში (აღმოსავლეთში – ავტ.) საფრანგეთის ეკონომიკური, რელიგიური და პოლიტიკური პროტექტორატი"[2] შეადგენდა. ამ ხელშეკრულებამ ბოლო მოუღო „...ხმელთაშუა ზღვაზე ვენეციელთა სავაჭრო უპირატესობას"[3] და ფრანგ ვაჭრებს ოსმალეთის იმპერიაში მონოპოლიური უფლებები მიანიჭა[4]. კაპიტულარის მე-3 მუხლის მიხედვით, ქალაქ გალათაში იქმნებოდა საფრანგეთის საელჩო და სამლოცველო. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დოკუმენტში ნათქვამია: „ფრანგებს სრული უფლება აქვთ აღიარონ თავიანთი რელიგია (კათოლიკური სარწმუნოება – ავტ.) [ოამალეთის] იმპერიაში და ფრანგ კათოლიკეებს შეუძლიათ წმინდა ადგილების მომლოცველობა"[5].

ამ წყაროზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფრანგეთი იყო პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელსაც ოსმალეთის სულტანმა მახლობელ აღმოსავლეთში კათოლიკეთა დაცვის პრივილეგია მიანიჭა. ბუნებრივია, ამის საფუძველზე საფრანგეთის სამეფო კარს ლეგიტიმურად შეეძლო სამისიონერო საქმიანობის წარმოებაც. ასეთი პრინციპები საფრანგეთ-ოსმალეთის მომდევნო ხელშეკრულებებში უფრო და უფრო იხვეწებოდა და საფრანგეთის უპირატესობით წყდებოდა. ამაში ჩვენ დაგვარწმუნა 1604 წლის

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის...,გვ. 226; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, I, გვ. 51.

[2] **Noradounghian G.,** Recuel d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, t. I, 1897-1903, p. 118.

[3] **Roche F., Pigniau B**. Histoires de diplomatic culturelle des origins a 1995. La Documentation francaise, Paris, 1995, p. 196.

[4] **Noradounghian G.,** Recuel d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, t. I, 1897-1903, p. 12-13

[5] Ibid, pp. 83-84.

და მით უფრო 1673 წლის კაპიტულაციის მუხლების გაცნობამ. ამ უკანასკნელ, ადრიანოპოლში დადებულ ხელშეკრულებაში ფრანგ ვაჭრებს ისევ განუმტკიცდათ სავაჭრო-ეკონომიკური პრივილეგიები, ხოლო რელიგიურ საკითხზე ახალი დამატებები იქნა შეტანილი. კერძოდ, „...საფრანეთში ყველანაირი რელიგიური მიმდინარეობების...“ მიმდევარებს თავისუფალი აღმსარებლობის ნება ეძლეოდათ ოსმალეთის იმპერიაში[1]. ხელშეკრულების მუხლში ასევე დაფიქსირდა: „კაპუცინები და იეზუიტები, რომლებიც იმყოფებიან გალათაში, სარგებლობენ თავიანთი უპირატესობით. კაპუცინებს აქვთ პირადი ხელშეუხებლობის უფლება. ასევე ოსმალეთის მხარის სურვილია, ეს კაპიტულარი გავრცელდეს იმ ფრანგ მისიონერებზე, რომლებიც იმყოფებიან სმირნაში, ალექსანდრიასა და მთელ აღმოსავლეთ იმპერიაში“[2].

როგორც ვხედავთ, 1673 წლის კაპიტულარით კიდევ უფრო შეივსო და განმტკიცდა საფრანგეთის რელიგიური პრივილეგიები ოსმალეთის იმპერიაში. ეს აძლევდა საშუალებას საფრანგეთს, ახლა თავისი სამისიონერო პოლიტიკა საქართველოს მიმართულებითაც წარემართა. სწორედ ამ პრიზმაში უნდა განვიხილოთ წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ მიერ 1672 წელს საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსების განზრახვა, რომლის ამსახველი მასალები ბოლო დრომდე უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის[3].

სანამ უშუალოდ ამ ახალი ისტორიული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენეულ დასკვნას გავაკეთებთ, მოვლენებთან ლოგიკური კავშირი მოითხოვს რამდენიმე წინადადებით გავიმეოროთ შემდეგი: ვიცით, რომ 1663 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ თბილისში, წარმატებით შეუდგნენ მუშაობას ვატიკანის წარმომადგენლები, კაპუცინთა ორდენის მისიონერები[4]. კაპუცინი მამების მოღვაწეობა ათი წლის თავზე, მიუხედავად დიდი სიდუხჭირისა, შთამბეჭდავი იყო. მათ თბილისში ჰქონდათ ორი სახლი და ერთი ეკლესია, გახსნეს სკოლა და საკმაო მრევლიც გაიჩინეს[5]. ასეთ ვითარებაში წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდემ“ 1672 წლის მაისში სპეციალური დეკრეტის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ კაპუცინთა საქართველოს მისიონი გაეცვალა

---

[1] **Noradounghian G.,** Recuel d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, t. I, 1897-1903, pp. 138-139.

[2] **Noradounghian G.,** Recuel d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, t. I, 1897-1903, pp. 140-141.

[3] დაწვრ. იხ: სტუ, ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითო ცენტრი. ევროპული კვლევები II, თბ., 2015, გვ. 46-97.

[4] დაწვრ. იხ: **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 221-560; **Tamarati M.,** Rapport sur l'eglise latine de l'assomption de Tiflis en Georgia, pp. 562-673; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 616-733; **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 199-298.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 225; **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 202-203.

საფრანგეთის აღმოსავლურ მისიონზე[1], რასაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისისა და გორის კაპუცინთა მისიონის წინამძღოლებმა. ამას კაპუჩინთა მისიონის პრეფექტი სერაფინო მელიკოკელი იტალიელი ერის დიდ სირცხვილად მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირებით მის მიერ პროპაგანდა ფიდეს ერთ-ერთი კარდინალისადმი 1674 წლის 18 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ვალდებულად მივიჩნევ თავს თქვენს მოწყალებას ამის შესახებ ღიად განვუცხადო, რადგან მე ეს უკვე გავაკეთე თვით წმინდა კონგრეგაციაში: პირველი, [ეს] არახელსაყრელი და საზიანოა იტალიელი ერისათვის, რადგან საქართველოს მისიონი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო, ნაყოფიერი და თავისუფალია მთელს აღმოსავლეთში. იგი არის ქრისტიან, თუმცა სქიზმატიკოს ხალხს შორის, რის წყალობითაც ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ყველა კათოლიკური მსახურება წარვმართოთ, ზარები ვრეკოთ, მსვლელობა მოვაწყოთ და სხვა, (რასაც ჩვენ ღვთის წყალობით ვაკეთებთ), რომლის გაკეთება აღმოსავლეთის არც ერთ ქვეყანაში არ შეუძლიათ“[2]. სამი წლის მანძილზე მათი შეუპოვარი დაუმორჩილებლობის შედეგად, როგორც ირკვევა, პროპაგანდამ თავისი გადაწყვეტილება დღის წესრიგიდან მოხსნა[3]. მართალია, ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში არ ჩანს რეალური მიზეზი, თუ რატომ გადაწყვიტა პროპაგანდამ საქართველოს კაპუცინთა მისიონი საფრანგეთის მისიონისათვის გადაეცა, მაგრამ ფაქტია, იგი ეფუძნებოდა საფრანგეთის აღმოსავლეთთან ვაჭრობის განვითარების ინტერესებს, რომელიც რელიგიური პოლიტიკის გატარებასაც ისახავდა მიზნად.

ამის საილუსტრაციოდ ისევ მივმართავთ ისტორიულ კონტექსტს. როგორც ვნახეთ, საფრანგეთ-ოსმალეთის კაპიტულაციების ხელშეკრულებით ოსმალეთის მხარე ფრანგ მისიოინერთა დაცვის ვალდებულებას იღებდა. „ამით ახლო აღმოსავლეთში ფრანგული ენა და კულტურა იჭრებოდა“[4]. კარდინალ რიშელიეს დაჟინებული მცდელობით კი საფრანგეთმა 1626 წელს რომის კურიისაგან ფრანგულ კათოლიკურ მისიებზე ხელმძღვანელობის უფლება მიიღო[5]. ამ ერთგვარი პატრონატის უფლების საფუძველზე ფრანგი მისიონერები წარმატებით საქმიანობდნენ ახლო აღმოსავლეთში[6]. ამან ერთგვარი ასახვა პოვა 1717 წლის 10 სექტემბერს შედგენილი კაპიტულაციების განახლების სამახსოვრო ბარათში, რომელშიც ვკითხულობთ: „ოტომანის იმპერიის დანარჩენ ნაწილში

---

[1] Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. f. 178 v.

[2] Ibid, f. 178 v.

[3] დაწვრ. იხ: სტუ, ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითო ცენტრი. ევროპული კვლევები II, გვ. 65-97; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 44-58.

[4] **Roche F., Pigniau B.,** Histoires de diplomatic culturelle des origins a 1995, p. 12.

[5] Histoire universelle des missions catholiques/ Sous la dir de Mgr. S. Delacroix, Paris, 1957, t. I, p. 128

[6] Ibid, p. 130.

მტკიცედ დამყარდეს ფრანგი მისიონერების უფლებები. ძველ კაპიტულაციებში ხაზგასმულია, რომ ფრანგი მღვდლები, რომლებიც ლევანტში (აღმოსავლეთში – ავტ.) ცხოვრობდნენ, საფრანგეთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იქნებოდნენ....“[1].

ამ ერთგვარი პრივილეგიებიდან გამომდინარე, ბევრი რამ იყო დამოკიდებული საფრანგეთის ელჩზე კონსტანტინოპოლში კათოლიკე მისიონერების თურქეთზე გავლით საქართველოში უშიშრად ჩამოსვლის საქმეში. „მხოლოდ საფრანგეთის ელჩის მტკიცე მფარველობის ქვეშ შეეძლოთ მათ თურქეთის ტერიტორიის გავლა და საქართველოში ჩამოსვლა“ – ვკითხულობთ წყაროში[2]. ამავე საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის რეკომენდაცია საქართველოში მიმავალი წმ. ტახტის მისიონერებისათვის ერთგვარი ხიფათის თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალება იყო. საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში პერადან 1673 წელს პროპაგანდა ფიდეს კარდინალს აუწყებდა: კაპუცინ მისიონერებს „...მივეცი წერილი არზრუმისათვის (არზრუმის ფაშასთან – ავტ.) იმ პირობით, რომ ისინი ისარგებლებდნენ ამით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ჩავიდნენ რა არზრუმში, მათ უჩვენეს პორტაში მიღებული განკარგულება, მაგრამ ისინი დააპატიმრეს. მეორე დღეს მათ უჩვენეს ჩემი წერილი, ისინი გაათავისუფლეს და ნება დართეს გაევლოთ თითოეულზე ხუთი ეკიუს გადახდის შემდეგ, რაც წარმოადგენს თავისებურ გადასახადს ანუ ხარაჯას, რაზედაც შეთანხმებული ვარ არზრუმის თურქებთან (არზრუმის ფაშასთან – ავტ.). სხვა კაპუცინებმაც ასე გაიარეს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზღვარზე თავისუფალი ხართ გადაიხდით რა ხუთ ეკიუს. საჭიროა კიდევ გქონდეს ერთ-ერთი ჩემი წერილთაგანი“[3]. აქედან მარტივია დავასკვნათ, რომ საფრანგეთის კონსტანტინოპოლელ ელჩზე ბევრად იყო დამოკიდებული თურქეთზე გავლით საქართველოში რწმენის კონგრეგაციის მისიონერების ჩამოსვლა. ბუნებრივია, ქართველი პოლიტიკოსებისათვის ეს ფაქტი დამალული ვერ იქნებოდა.

თურქებთან 1673 წლის კაპიტულაციების განახლებამდე რვა წლით ადრე, კერძოდ 1665 წელს, საფრანგეთის მეფე ლუი XIV-მ ირანში ანალოგიური სავაჭრო და პოლიტიკური პრივილეგიების მისაღებად ელჩობა გაგზავნა. ირანის შაჰმა აბას II-მ (1642-1666) ფრანგ ვაჭრებს ისპაანსა და ბენდერ-აბასში ახალი ფაქტორიების დაარსების უფლება მისცა[4]. ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1671 წელი, როცა შაჰმა სულეიმან I-მა (1666-1694) ფრანგ ვაჭრებსა და მისიონერებს

[1] Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Turquie”, t. 39, f. 84.

[2] Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Turquie”, t. 39, f. 124.

[3] Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Turquie”, t. 39 f. 121-122v.

[4] **Herbette M.,** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907, pp. 199-213.

სპარსეთის იმპერიაში თავისუფალი გადაადგილების უფლება მიანიჭა[1]. ამავე პერიოდიდან საქართველოს მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ფრანგი მოგზაურები. XVII საუკუნიდან „...საქართველოში იმოგზაურა ან საქართველოს შესახებ მასალები შეაგროვა და დასავლეთ ევროპას მიაწოდა ბევრმა ფრანგმა მკვლევარმა, მეცნიერმა და დიპლომატმა (ტავერნიე, შარდენი, ტურნეფორი და სხვ.)“[2].

ერთი სიტყვით, XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საფრანგეთის აბსოლუტიზმის ინტერესებში გააქტიურდა ლუი XIV-ის სავაჭრო და რელიგიური პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნებში და განსაკუთრებით თურქეთისა და ირანის იმპერიაში. ამ პოლიტიკაში ჯდებოდა საქართველოსადმი საფრანგეთის ინტერესებიც. ამ აზრს გვიმყარებს ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის სტუმრობა საქართველოში (1672 წლის სექტემბერი-1673 წლის თებერვალი), რომლის „...უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ევროპის ქვეყნებსა და ირანს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობათა მოსინჯვა და ამ ურთიერთობისათვის ახალი გზის გაკვალვაც“[3]. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დროს გადაწყვიტა რწმენის პროპაგანდამ კაპუცინთა საქართველოს მისიონი გადაეცა საფრანგეთის აღმოსავლეთის მისიისათვის. დგება კითხვა: რატომ? ამ კითხვაზე ჩვენს ხელთ არსებული ვატიკანის საარქივო მასალები გვაძლევენ უტყუარ პასუხს, რომ საქართველოს ტერიტორია, როგორც სატრანზიტო გზა, საფრანგეთის ირანთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში გარკვეულ ადგილს იჭერდა[4]. „ფრანგებს, – ვკითხულობთ წყაროში, – სურთ, რომ ჩვენი ეს მისიონები[5] მიიღონ, რათა მათმა სოვდაგრებმა აქ ადვილად ივაჭრონ. ასევე სურთ, სავაჭრო გზა გაკვალონ შავი ზღვით სამეგრელომდე, აქედან აღმოსავლეთ საქართველოს გავლით სპარსეთამდე“[6]. ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პროპაგანდამ გადაწყვიტა საქართველოში კაპუცინთა მისიონი ფრანგთა მისიონით შეეცვალა და ამის ინიციატივა, ალბათ, ფრანგული მხარედან მოდიოდა. იმის გავითვალისწინებთ, რომ ირანისა და ინდოეთისაკენ მიმავალი მთავარი საზღვაო გზა ინგლისისა და ჰოლანდიის ხელში იყო და სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას საფრანგეთი საქართველოს ტერიტორიის

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 94-100.

[2] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 93.

[3] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 9.

[4] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol. I. ff. 162-168.

[5] ვფიქრობთ, ამაში იგულისხმება არა მხოლოდ გორისა და თბილისის მისიონი, არამედ შემახასა და განჯის მისიონიც.

[6] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol. I. f. 179r.

მეშვეობით ცდილობდა[1], შეიძლება მეტი ალბათობით ვიფიქროთ შემდეგი, კერძოდ: ლუი XIV-ის სამეფო კარი საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაფუძნებით აპირებდა, რომ ირანისა და თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობა თავიდან აეცილებინა. საკუთრივ პროპაგანდამ აღნიშნული გადაწყვეტილება საფრანგეთის აღმოსავლური სავაჭრო პოლიტიკის გააქტიურების საფუძველზე მიიღო. რამდენადაც პროპაგანდა კაპუცინთა მისიონს საქართველოში ვერ უწევდა საჭირო მატერიალურ დახმარებას[2], ჩანს, გადაწყვიტა, რომ იგი ეკონომიკურად ძლიერი საფრანგეთის მისიონით ჩაენაცვლებინა. მაშინ, როგორც ირკვევა, საფრანგეთის სამეფო კარი არ აღმოჩნდა მზად, დასახული ამოცანა ბოლომდე მიეყვანა, რადგან XVIII საუკუნის დასაწყისამდე მისი აღმოსავლური პოლიტიკა აქტიური არ აღმოჩნდა.

საფრანგეთ–ირანის ურთიერთობა 1708 წლიდან ახალ ფაზაში შევიდა. ამ წელს ორ სახელმწიფოს შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც 31 მუხლისაგან შედგებოდა[3]. ჩვენი კვლევისათვის საინტერესო პირველი მუხლით საფრანგეთს ირანის იმპერიაში თავისუფალი ვაჭრობის უფლება ეძლეოდა[4]. 26–ე მუხლით ირანის სამეფო კარი ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ირანის იმპერიაში ჩასულ მისიონერებს. აქ ნათქვამია: „სპარსეთის იმპერიაში მცხოვრებ ფრანგ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს შეუძლიათ თავიანთი სარწმუნოების სამსახური და ამაში მათი ხელის შეშლა არავის არ შეუძლია“[5]. თუ საფრანგეთ–თურქეთის, საფრანგეთ–ირანის მოხმობილი კაპიტულაციების რეჟიმის ხელშეკრულებებს დავეყრდნობით, თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლუი XIV–ის სამეფო კარი XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ახდენდა ზონდირებას საქართველოს ტერიტორიის, როგორც სატრანზიტო გზის, გამოყენების შესახებ. ამ საქმეში საფრანგეთის მხარე, თურქეთისა და ირანის მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად, მოქმედების დაწყებას ფრანგი მისიონერების მეშვეობით ცდილობდა. ეს უკანასკნელნი, პირველ რიგში, საფრანგეთის ინტერესებში, ვაჭრობის მისიონერები უნდა ყოფილიყვნენ. ამის დასადასტურებლად კიდევ

---

[1] **გაბაშვილი ვ.,** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 63.

[2] ევროპული კვლევები II, გვ. 74-75; 82-83; 85.

[3] **Herbette M.,** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907, pp. 333–349; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 59-75.

[4] **Herbette M.,** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907, pp. 335-336; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 61-62.

[5] **Herbette M.,** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907, pp. 345-347; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 161-172.

ერთხელ დავიმოწმებთ ზემომოტანილ 1674 წლის 18 ოქტომბრის რელაციას, რომელშიც ნათქვამია, რომ ვერსალში სურდათ ხელში ჩაეგდოთ საქართველოს მისიონი, რათა ფრანგ ვაჭრებს გზა გაეკვლიათ „...შავი ზღვით სამეგრელომდე, აქედან აღმოსავლეთ საქართველოს გავლით სპარსეთამდე“[1].

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მოკლედ შეიძლება დავასკვნათ: ვერსალსა და რომში დიპლომატიური მისიით აღჭურვილი სულხან-საბა ორბელიანი საფუძვლიანად თუ არა, კარგად მაინც იქნებოდა გარკვეული საფრანგეთის აღმოსავლური პოლიტიკის რელიგიურ მიზნებში. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფაქტორი დაედო საფუძვლად ს.ს. ორბელიანისა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გრიგოლ II ლორთქიფანიძის (1696-1742) გეგმებს საქართველოში კათოლიკობის გავრცელების შესახებ, რომელიც 1713 წლის აგვისტო-სექტემბერში, 40 დღის მანძილზე, მუშავდებოდა გელათში. მოხმობილი წყაროების თანახმად, კათალიკოსი გრიგოლი, სულხან-საბა და, ცხადია, ვახტანგ VI კარგად იყვნენ ჩახედულნი აღმოსავლეთში საფრანგეთის მისიების მოღვაწეობის ხასიათსა და მასშტაბებში. ამ დროისათვის საფრანგეთი ითვლებოდა ძლიერ კათოლიკურ ქვეყანად, რომელიც აქტიურად და ეფექტიანად მფარველობდა აღმოსავლეთში კათოლიკე მისიონერებს და დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა უცხოეთის მისიების საქმიანობას[2]. ასევე გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ დასახელებული ქართველი მესვეურები, ალბათ, საკმაოდ ერკვეოდნენ საფრანგეთ-თურქეთისა და საფრანგეთ-ირანის კაპიტულაციების არსში. რაც შეეხება კათალიკოს გრიგოლ II-ს, ეს უკანასკნელი, ჩანს, ვატიკანთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებდა ევროპის წამყვანი კათოლიკური ქვეყნის საფრანგეთის მისიონის დაარსებას საქართველოში. პირველწყაროების თანახმად, ეს გადაწყვეტილება კათალიკოსმა გრიგოლმა სულხან-საბას რჩევით მიიღო[3] და მიზნად ისახავდა „შეერთებოდა პაპის წმინდა ტახტს და ემუშავა ამ მისიონერებთან (ფრანგ მისიონერებთან – ავტ.) ერთად აბაზების მოქცევისათვის...“[4].

ამგვარად, კათალიკოსი გრიგოლ II შეეცადა, რომ დასავლეთ საქართველოში დაემკვიდრებინა საფრანგეთის მისიონი, რომელიც უშუალოდ სულხან-საბას დიპლომატიური ელჩობის ამოცანების განხორციელებას უკავშირდებოდა. ამ წინადადებით აღჭურვილ სულხან-საბას, რომლის დასტურს კათალიკოს გრიგოლ II-ის მიერ მასთან სპეციალურად ამ მისიით გაგზავნილი დავით მეგრელის თანხლებაც ადასტურებდა, ახლა შეეძლო საფრანგეთის მეფის წინაშე

---

[1] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol. I. f. 179r.

[2] **Launay A.,** Histoire générale de la Société des Missions étrangères, vol. I, Paris, 1894, p. 499-500.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 128, 140, 149, 261.

[4] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 184.

ხელცარიელი არ წარმდგარიყო და ამასთანავე მოლაპარაკების საგანი ლუი XIV-ის კარზე სრულიად საქართველოს მიზნად წარმოეჩინა. თავისთავად ეს კი დაარწმუნებდა პარიზსა და რომს, რომ ვახტანგ VI და მისი მომხრე საერო და სასულიერო პირები ესწრაფვოდნენ საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას. ამასთან დაკავშირებით 1713 წლის 16 დეკემბერს საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში დეზალორი თავის მინისტრს ატყობინებდა: „ეს პატრიარქი (კათალიკოსი გრიგოლი II – ავტ.) და ამ ქვეყნების (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი – ავტ) გამგებელნი თითქმის ყველანი განწყობილნი არიან, როგორც ამაში გვარწმუნებს აბატი რიშარი, რომ გაადვილონ და ხელი შეუწყონ მათ დაარსებას (საფრანგეთის მისიების – ავტ.), გამოყოფენ რა ადგილებს, სადაც მისი მისიონერები ადვილად შეძლებდნენ დამკვიდრებას და მიიღონ რაიმე დახმარება, რომელიც, ამასთანავე, მათ შეიძლება დასჭირდეთ“[1].

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში..., დოკ. № 8, გვ. 112.

## *დიპლომატიური რაუნდი ვერსალში: 1714 წლის იანვარი-ივნისი*

1714 წლის 22 იანვარს სულხან-საბა, ჟან რიშარი და დავით მეგრელი მარსელში ჩავიდნენ. ქართველი ელჩი ჩქარობდა. მან დიპლომატიურად სწორად გათვალა. სანამ საფრანგეთის მეფის წინაშე წარსდგებოდა აუცილებელი იყო რომის კურიის რეკომენდაცია, რადგან საქართველოში კათოლიკობის გავრცელების მისეული პროექტის შესახებ, პარიზში აუცილებლად მოსთხოვდნენ პაპის აზრს. 1714 წლის 11 მარტს საბამ მარსელიდან წერილი გაუგზავნა პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტს., რომლითაც აუწყებდა საფრანგეთში მისი ელჩობის მიზანს და სთხოვდა პაპის შუამავლობას საფრანგეთის მეფის წინაშე. აქვე ატყობინებდა, რომ საფრანგეთში მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი ჰქონდა რომში ჩასვლა, რათა საქართველოში მისიონერები წაეყჰვანა კათოლიკობის გასავრცელებად[1].

სულხან-საბას წინადადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ვატიკანში. პროპაგანდის მესვეურებმა დაუყოვნებლივ აცნობეს პაპს ქართველი ელჩის პროექტის დიდი პრაქტიკული სარგებლობის შესახებ. პაპი კლიმენტი XI განსაკუთრებით დაინტერესდა საბას გეგმით და მაშინვე (1714 წლის 14 აპრილს) საფრანგეთის მეფეს მისწერა წერილი, რომელშიც სთხოვდა, ყველა საშუალებით დახმარებოდა ქართველ ელჩს „ვახტანგ მეფის გასათავისუფლებლად“. რომის მითითებით ქართველ დიპლომატს პარიზში დიდ დახმარებას უწევდა პაპის ნუნციო, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ საბას ელჩობას სასურველი შედეგო მოჰყოლოდა[2].

საფრანგეთის სამეფო კარზე სულხან-საბა ორბელიანის მოლაპარაკებები საქართველოში პარიზის მისიის დაარსების შესახებ წარმატებით დასრულდა. ფრანგი პოლიტიკოსებისა და უმთავრესად ჟან რიშარის რჩევით, სულხან-საბამ გადაწყვიტა, რომ საქართველოში წაეყვანა იეზუიტებისა და სენ-ლაზარის კონგრეგაციის მისიონერები[3]. ამ კონგრეგაციას აფრიკაში ხანგრძლივი მოღვაწეობის გამოცდილება ჰქონდა და მისი წევრები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ სხვა სასულიერო ორდენის მამებს შორის[4]. ამ კონგრეგაციამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და მაშინვე შეუდგა საქართველოში გა-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 315; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, pp. 593-594.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 208.

[3] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 264; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკ. №31, გვ. 197-198.

[4] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 603.

საგზავნი პატრების პერსონალის შერჩევასა და დაიშვნას[1]. ამით ფაქტობრივად სულხან-საბას პროექტის რელიგური ამოცანა დადებითად გადაწყდა.

ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე ლუი XIV-მ „სამეგრელოში მისიონის დასაარსებლად გამოყო ფონდი ათასი ეკიუ[2] ყოველწლიურად სენ-ლაზერის კონგრეგაციიდან ათი მისიონერისა და მისი წინამძღვარის უზრუნველსაყოფად[3]. ყოველივე ეს მიუთითებდა იმაზე, რომ საფრანგეთი დაინტერესებული იყო საქართველოსთან კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება-განვითარებით. ამას ცხოვრებაში პრაქტიკულად გაატარებდნენ ფრანგი მისიონერები. მათ, ერთი მხრივ, საქართველოში უნდა დაეარსებინათ სემინარია და კოლეჯი[4], რითაც ხელს შეუწყობდნენ ქართველ ხალხში ევროპული განათლებისა და კულტურის დანერგვას, ხოლო მეორე მხრივ, გზა უნდა გაეკაფათ „საქართველოს ტერიტორიის გავლით სპარსეთთან ვაჭრობაში“[5] საფრანგეთის კაპიტალისათვის. ეს კი ხელს შეუწყობდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და გაძლიერებას, რაც მომავალში საშუალებას მისცემდა საქართველოს ებრძოლა დამოუკიდებლობისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის. სწორედ აღნიშნულ მიზანს უნდა მომსახურებოდა საქართველოში კათოლიკობის გავრცელება. მას უნდა შეესრულებინა ხიდის როლი კათოლიკურ დასავლეთსა და ევროპის კონტინენტს მოწყვეტილ საქართველოს შორის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებაში. ეს მიზანი ძალზე საინტერესოდ არის ასახული 1714 წლის 25 აპრილს შედგენილ ვრცელ მემორანდუმში, რომლის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სულხან-საბა ორბელიანმა. მასში ნათქვამია: „თუ სარწმუნოებამ (კათოლიკობამ – ავტ.) ერთხელ შეძლო კავშირის კვანძების შეკვრა, რომელიც არსებულზე კიდევ უფრო მჭიდრო უნდა იყოს...მათი საერთო ინტერესებისათვის; თუ სარწმუნოებაში (კათოლიკობაში – ავტ.) მოქცეული ჩერქეზები შევლენ ამნაირ კავშირში და ყველა ერთმანეთს დაეხმარება, ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ შეძლებდა მათ განადგურებას მათი უპირატესობის გამო კავკასიის მთებში, რომლებიც ორივე მხრიდან თანაბრად აკრავთ. შეუძლებოლელია ისინი (ქართველები და მათთან გაერთიანებული მეზობელი ხალხები – ავტ.) თვითონ გახდებოდნენ საშიში ორი ხალხისათვის (თურქებისა და სპარსელებისათვის – ავტ.), რომლებსაც

---

[1] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 605.

[2] სხვა წყაროებით 3 ათასი ლირა (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 43; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 605).

[3] Idem, p. 605.

[4] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 599; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 658.

[5] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკ. № 5, გვ. 392.

ისინი დღემდე ბორკილებში ჰყავდა. ვინაიდან ისინი შეძლებდნენ ფეხზე დაეყენებინათ ასი ათასზე მეტი კაცი-ცხენოსანი და ქვეითი. ხოლო ვაჭრობის საშუალებით, რომელიც...უნდა მომხდარიყო თერქებისა და სპარსელების ნებართვით, აგრეთვე იმ კავშირების საშუალებით, რაც მეფესა (ვახტანგ VI-სა – ავტ.) და მის ქვეშევრდომებს შეიძლებოდა ჰქონოდათ საფრანგეთთან, საქართველოს მეფე შეძლებდა გამხდარიყო შედარებით უფრო მდიდარი"[1]. ამ ვრცელი ამონარიდიდან ასევე კარგად ჩანს, თუ რისკენ მიისწრაფოდა მაშინდელი საქართველო საფრანგეთთან და რომთან მჭიდრო კავშირის დამყარება-განვითარებით.

როგორც ვიცით, საფრანგეთი კათოლიკურ მისიონებზე „პატრონატის" უფლების მქონე ქვეყანა იყო. ამიტომ მას რომის კურიისაგან დამოუკიდებლად შეეძლო, გაეგზავნა პატრები მისიის ქვეყნებში. სულხან-საბას შემთხვევაში კი ჩანს, რომ ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეები (მეფე ლუი XIV, სახელმწიფო მდივანი გრაფი დე პონშარტრენი, საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში მარკიზი დეზალორი) შეეცადნენ, საქართველოში მისიონერთა გაგზავნის საქმეში წინასწარ მიეღოთ რომის პაპისაგან მხარდაჭერა.

ჩვენი აზრით, საკითხის ასე დასმა ორმა გარემოებამ განაპირობა: პირველი, ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ იტალიელი კაპუცინი მისიონერები, რომლებიც ვატიკანის წარმომადგენლები იყვნენ და უშუალოდ წმ. კონგრეგაციას ემორჩილებოდნენ. ასეთ შემთხვევაში, ჩანს, საფრანგეთის მხარემ თავი აარიდა პაპის უნებართვოდ გაეგზავნა საქართველოში საფრანგეთიის მისიის მისიონერები, რათა ამით არ გამოეწვია რომისაგან უკმაყოფილება; მეორე, ფრანგი მესვეურები, ალბათ, იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ შეიძლება საფრანგეთის მისიის მისიონერებსა და საქართველოში მოღვაწე კაპუცინებს შორის მომხდარიყო წინააღმდეგობა და გათიშვა. ამიტომ ლუი XIV-მ სულხან-საბას „...უთხრა, რომ ყოველივე ეს (საქართველოში საფრანგეთის მისიის მამების გაგზავნის საკითხი – ავტ.) წარუდგინოს პაპს და „პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციას"[2]. საკუთრივ კი ლუი XIV-ს უნდოდა, რომ „მეტოქეობა გაეწია ვატიკანისათვის საქართველოში მისიონის დაარსების საქმეში"[3].

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 221-222; **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკ. №28, გვ. 163-164.

[2] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 264.

[3] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, გვ. 391-392.

## *დიპლომატიური რაუნდი რომში: 1714 წლის ივლისი-აგვისტო*

ვერსალში მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ს.ს. ორბელიანი ჟან რიშარისა და დავით მეგრელის თანხლებით 1714 წლის ივნისის შუა რიცხვებში რომში გაემგზავრა. საქართველოს ელჩის საქმეებით დიდად დაინტერესებული, გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი რიშარი რომში 1714 წლის 25 ივლისამდე დარჩა და საბას თარჯიმნის როლს ასრულებდა. რომში ქართველი ელჩის მისაღებად პაპს კლიმენტი XI-ს ერთგვარი მოსამზადებელი ღონისძიება ჩაუტარებია. პაპმა პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტს საკრიპანტის და თავის ძმას კარდინალ ალბანი ანიბალეს დაავალა, ეზრუნათ ქართველი ელჩის მისაღებად. კარდინალმა ალბანიმ სულხან-საბას შესახვედრად გაგზავნა ეტლი და კარეტები[1].

1714 წლის 29 ივნისს სულხან-სანა რომში ჩავიდა. აქ, ისე როგორც პარიზში[2], სულხანი მონასტერში დაუყენებიათ[3] [268]. კერძოდ, ის მოათავსეს მამა მისიონეებთან მონტე-ჩიტორიოში, სადაც მისთვის მომზადებული ჰქონდათ ბინა. აქ იგი ღებულობდა კარდინალებს[4]. 5 ივლისს საბა მიიღო პაპმა კლიმენტი XI-მ, რომელიც მას აქამდე მხოლოდ წერილობით იცნობდა. პაპმა განსაკუთრებული პატივით მიიღო ვახტანგის ელჩი: „...თავზე მომეხვია და, ჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა, ფეხზე დამაყერნა. მე დაბლა ბოლო ვდგებოდი, გვერდს ახლომ მიმიყვანა, მომიკითხა მიალერსა“[5].

პაპთან აუდიენციის შემდეგ სულხან-საბა შეხვდა პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტ საკრიპანტის და სხვა კარდინალებს: დე ლა ტრემუაის, პაულიჩის, ალბანის და კასინის[6]. თითოეულმა მათგანმა და განსაკუთრებით საკრიპანტიმ დიდი პატივისცემა და სიყვარული გამოავლინა ქართველი ელჩის მიმართ[7]. საერთოდ პაპმა და კარდინალებმა მრავალი საჩუქარი მიართვეს ძვირფას სტუმარს. პაპმა სულხან-საბას „...გამოსამშვიდობებელი... აუდიენციის

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 314; **სულხან-საბა ორბელიანი,** თხზულებანი, ტ. I, თბ., 1959, გვ. 161.

[2] პარიზში სულხან-საბა ცხოვრობდა სენ-ლაზარის მონასტერში.

[3] სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. I, გვ. 314.

[4] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკ. №28, გვ. 221.

[5] **სულხან-საბა ორბელიანი,** თხზულებანი, ტ. I., გვ. 221.

[6] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I. გვ. 317.

[7] **სულხან-საბა ორბელიანი,** თხზულებანი, ტ. I., გვ. 163.

დროს ... აჩუქა აქატის კრიალოსანი ოქროს მედლითა და ბროლის ჯვრით, რომელიც იყო ნამდვილი ჯვრის ნაწილი“[1].

აქვე უნდა ითქვას შემდეგიც: 1714 წლის 25 ივლისს ჟან რიშარის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ სულხან-საბა თარჯიმნის გარეშე დარჩა. ახლა ამ მოვალეობას ასრულებდა ორი კაპუცინი მამა, საქართველოში დიდხანს ნამსახური სულხან-საბას მეგობრები პატრი ანჯელო ფილინელი და სილვესტრო პანიკალელი[2]. იგი 1687 წელს ელჩად გაგზავნა რომში ქართლის მეფე გიორგი XI-მ. რაც შეეხება პარიზის უცხოეთის მისიონერთა სემინარიის მღვდელს სილვესტრო და პანიკალელს, იგი ოცი წელი ცხოვრობდა საქართველოში და იყო კაპუცინთა მისიონის პრეფექტი[3]. ბუნებრივია, პატრ ანჯელოსა და სილვესტროს დიდად გაახარებდა საბას ხილვა რომში. თავის მხრივ, საბასათვის ისინი დიდ იმედს წარმოადგენდნენ. ამიტომ სულხან-საბამ მოითხოვა ქართული ენის ჩინებული მცოდნე სილვესტრო პანიკალელი გაეგზავნათ მისთვის რომში თარჯიმნად ჟან რიშარის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ. მოკლედ, „მარადიულ ქალაქში“ ასეთი პატივითა და ყურადღებით არც ერთი ქართველი ელჩი თუ წარმომადგენელი არ მიუღიათ აქამდე. ამაში დიდ როლს ასრულებდა ქართველი მაღალი სტუმრის ავტორიტეტი, ინტელექტუალური შესაძლებლობები და საქართველოსადმი დიდი ინტერესი.

სულხან-საბამ რომში ელჩობის მთავარი საკითხის მოგვარება ფრთხილად დაიწყო. მან 1714 წლის 24 ივლისს კარდინალ-პრეფექტ საკრიპანტის წარუდგინა XV პუნქტისაგან შემდგარი მოხსენება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო საფრანგეთსა და რომში მისი ელჩობის პოლიტიკური და რელიგიური მიზანი, საფრანგეთში ლუი XIV-სთან მოლაპარაკებისას მიღწეული შედეგები, საქართველოში საფრანგეთის მისიის მამების გაგზავნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები[4]. ამასთან დაკავშირებით საბა მის უწმიდესობას სთხოვდა, რომ მიეწერა ეპისტოლე საფრანგეთის მეფისათვის, რათა მას დაენიშნა განათლებული მისიონერები საქართველოში გასაგზავნად. ამასთან კავშირში წარმოდგენილი იყო საფრანგეთის მეფის შუამავლობით ვახტანგ VI-ის ირანის ტყვეობიდან განთავისუფლება, რომელიც საქართველოში იქნებოდა კათოლიკობის „უდიდესი წარმატების“ გარანტი. გარდა ამისა, ვახტანგი საქართველოში „...დაბრუნების შემდეგ ხელს შეუწყობდა წმიდა სარწმუნოების წარმატებით გავრცელებას ჩერქეზეთში“[5].

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I., გვ. 341.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 36v.

[3] იქვე, ფურც. 37.

[4] Acta Sacra Congregazione de Propaganda Fide. Anno 1714, fol. 442, №32 – “Georgia”.

[5] Acta Sacra Congregazione de Propaganda Fide. Anno 1714, fol. 442, №32 – “Georgia”.

მოხსენების მე-6 პუნქტში მოცემულია, თუ როგორი სტრუქტურა უნდა ჰქონოდა საქართველოში დაფუძნებულ საფრანგეთის მისიონს. კერძოდ, მისიონერებს ეყოლებოდათ „მეთაური და იღუმენი“. ლათინთა ეპისკოპოსის სამყოფელი იქნებოდა „...ან საქართველოში (ქართლის სამეფოში – ავტ.) ან სამეგრელოში და მისი იურისდიქცია გავრცელდებოდა ზემოხსენებულ პროვინციებზე (აფხაზეთი, იმერეთი, ახალციხე, ჩერქეზეთი – ავტ.)...“ ამ საქმეში წინსვლა პირდაპირ დამოკიდებული იყო საქართველოში ვახტანგ VI-ის ქრისტიან მეფედ დაბრუნებაზე, რადგან მხოლოდ მას შეეძლო ხსენებული მხარეების მესვეურებთან „მეგობრული მოლაპარაკებები“. XIII მუხლში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საქართველოში გაგზავნილი მისიონერები უნდა იყვნენ არა მხოლოდ ნიჭიერები, სანიმუშოები, ზომიერები, თავდაჭერილები, არამედ – ჯამაგირით კარგად უზრუნველყოფილნი[1].

ამრიგად, სულხან-საბამ, როგორც გამჭრიახმა დიპლომატმა, ჩინებულად იცოდა, რომ, მართალია, საერთაშორისო პოლიტიკაში პაპობას მხოლოდ მორალური ავტორიტეტი ჰქონდა შენარჩუნებული, მაგრამ მისიონერულ პოლიტიკაში მას ჯერ კიდევ ანგარიშს უწევდნენ „პატრონატის“ უფლების მქონე ქვეყნები. ამიტომ იგი შეეცადა მიეღწია რომისა და საფრანგეთის მისიონერთა ძალების კონსოლიდაციისათვის. სწორედ ამის გამო პროპაგანდამ კეთილგანწყობილებით მიიღო საბას წინადადებები, რომ საქართველოში სხვა ორდენის ბერები გაეგზავნა[2] .

ასე რომ, პაპმაც და პროპაგანდის მესვეურებმაც მიიღეს საბას წინადადება, რომ საქართველოში გაეგზავნათ სენ-ლაზარის კონგრეგაციის მამები. ამასთან დაკავშირებით ერთ დოლუმენტში ვკითხულობთ: „ზემოხსენებული საბა ამბობს, რომ სამეგრელოში უფრო მეტად სურთ, მიიღონ საფრანგეთის მისიიდან ისეთი მისიონერები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით მსგავსნი იქნებიან თეატინელებისა, მეტადრე ბასილიანელებისა“[3] . პაპმა კლიმენტი XI-მ 1715 წლის 7 მაისს ამ კონგრეგაციის უფროს-წინამძღვარს იოანე ბონეს წერილი გაუგზავნა, რომელშიც უქებდა გადაწყვეტილებას და აუწყებდა, რომ მის კონგრეგაციას „...სამეგრელოსა და მიმდებარე ახლო პროვინციათა სამოციქულო მისიონები…“... მივანდეთო[4]. ამასთანავე პაპი ბონეს მოუწოდებდა, რომ მთელი ძალით ეღვაწა „ამ საწყალი ერისათვის, რათა მათში ამობრწყინდეს უზენაესი ნათელი ჭეშმარიტი (კათოლიკური – ავტ.) რწმენისა...“[5]. აქვე პაპი ადრე-

[1] Acta Sacra Congregazione de Propaganda Fide. Anno 1714, fol. 442, №32 – “Georgia”; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 30v-36.

[2] **Tamaratil M.,** L’Eglise géorgienne des origins jusqu’à nos Jours, p. 602.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 87.

[4] **Tamaratil M.,** L’Eglise géorgienne des origins jusqu’à nos Jours, p. 603.

[5] Ibid.

საცს შეახსენებდა, რომ ვალდებული იყო ზუსტად დაედგინა, თუ სად შეუდგებოდნენ მის მიერ „ამ მხარეში წარგზავნილი მისიონერები მოღვაწეობას“. პაპი იმედს გამოთქვამდა, რომ ბონე დასავლეთ საქართველოში გაგზავნიდა ისეთ პატრებს, რომელთაც კეთილმსახურება, სულთა ცხოვრება და „ერის განსწავლა“ ექნებოდათ მიზნად[1]. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ მოეწონა კაპუცინთა ორდენის გენერალს და მან საქართველოში გასაგზავნად ერთბაშად 12 კაპუცინი მისიონერი გამოყო, რითაც უკმაყოფილო დარჩა როგორც საბა, ასევე პროპაგანდაც[2].

ამრიგად, პაპმა სულხან-საბას თხოვნა ზუსტად შეასრულა. მან საბას წინადადების შესაბამისად გადაწყვიტა, რომ დასავლეთ საქართველოში გაეგზავნათ საფრანგეთის მისიის მისიონერები, რომლებიც ხელს არ შეუშლიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე კაპუცინ მამა-მისიონერებს. პაპმა ასევე ანგარიში გაუწია კაპუცინთა ორდენის გენერლის გადაწყვეტილებას. ამის შესაბამისად პროპაგანდამ 12 კაპუცინი მისიონერი გაამზადა საქართვლოში გასაგზავნად. ესენი ქართველ ელჩს კონსტანტინოპოლში შეუერთდებოდნენ.

პაპმა ასევე ზუსტად შეასრულა სულხან-საბას თხოვნა, რომ მიეწერა წერილი საფრანგეთის მეფესთან რომში მათ შორის მიღწეული შეთანხმების შესახებ. 1714 წლის 26 ივლისს პაპმა მისწერა წერილი ლუი XIV-ს ვახტანგისადმი დახმარების აღმოჩენის თაობაზე. პონტიფექსი წერილში დიდ შეფასებას აძლევდა საფრანგეთის მონარქიის მოღვაწეობას მისიონერების მფარველობის საქმეში და წერდა: „არავითარ შემთხვევაში ხელი არ აეღო კეთილ განზრახვაზე“, რადგან კათოლიკე მისიონერთა საქმიანობას აღმოსავლეთში წარმატება რომ ჰქონდეს, საჭიროა ვახტანგის ირანის ტყვეობიდან გათავისუფლება. „მოიმოქმედე, რასაც ყველაზე საუკეთესოდ და სასარგებლოდ მიიჩნევდე ვახტანგ მეფის უსწრაფესი გათავისუფლებისა და გამოშვებისათვის“ – წერდა პაპი ლუი XIV-ს[3]. პაპის გადაწყვეტილების თანახმად, ფრანგი მსევეურები (ლუი XIV, გრაფი დე პონშარტრენი, მარკიზი დე ტორსი, ბონე, ჟან რიშარი) ენერგიულად შეუდგნენ შეეკრიბათ საქართველოში გასაგზავნი მისიონერები[4]. წყაროებით დგინდება ამ მისიონერთა სახელები. ესენია: პატრი აინარდო გარსინი, პატრი პიეტრო იგნასიო, პატრი იოანე პარისი, პატრი იოანე კოლატი, პატრი პიეტრო პემონტე, პატრი გაბრიელ იგუდა, ძმა იოანე ვაკუიერი, ძმა ჯაკომო გრანდე და ძმა კარლო გუიდონი[5].

---

[1] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 603.

[2] Ibid, p. 602.

[3] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 327.

[4] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, გვ. 392.

[5] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 25.

სულხან-საბა ორბელიანმა დაასრულა რა ვატიკანში მოლაპარაკებები კონსტანტინოპოლისაკენ გაემგზავრა. 1714 წლის 11 სექტემბერს იგი წავიდა დანტესა და ბოკაჩოს სამშობლოში ფლორენციაში. პაპის მსგავსად, მის შესახვედრად ფლორენციის დიდი დუკას კოზიმო III და მედიჩის (1639-1723) წინასწარი თადარიგი დაუჭერია. მიიღო რა დიდი ზემით ქართველი ელჩი, მისი ბრძანებით „ორი ეტლით წაიყვანეს წმიდა სამების მონასტერში“, სადაც დიდი დუკას ხარჯზე მას ბრწყინვალედ გაუმასპინძლდნენ[1]. ძვირფასი ქართველი ელჩის პატივსაცემად კოზიმო III-ს იშვიათი სუფრა გაუმართავს და საბასათვის მშვენიერი საჩუქრებიც მიურთმევია. დუკას მიბაძვით კაპუცინ პატრებს სულხანისათვის დიდი პატივი დაუდვიათ და მონტუგის მონასტრის უფროსს საბასა და მისი თანმხლები პირებისათვის საზეიმო სუფრა მოუწყვია. სულხან-საბას თხოვნით „18 სექტემბერს ახადეს ფარდა ხარების ღვთისმშობლის ხატს, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო“. რომშიც და აქაც საბას თარჯიმნის როლს ასრულებდა პატრი სილვესტრო პანიკალელი. აქვე საბას სანახავად ერთ მისიონერთან ერთად მოვიდა მამა ანჯელო ფილინელი, რომლის ხილვა ძლიერ გაეხარდა ქართველ ელჩს. პატრმა ანჯელომ საბა ლივორნომდე მიაცილა[2].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით: სულხან საბა ორბელიანის რელიგიური პროექტი მიზნად ისახავდა, რომ საქართველოში დაეფუძნებინა საფრანგეთის მისიონი. ამ ორგანიზაციის მისიონერები დაკავებული იქნებოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობით. ისინი მისიონერული საქმიანობის საფარველქვეშ დაარსებდნენ საქართველოში კოლეჯს და „...12 წლის მანძილზე...“[3] მნიშვნელოვან გარდატეხას შეიტანდნენ ქართველი ახალგაზრდების პროფესიული განათლების საქმეში. მათ მიერ აღზრდილი ახალგაზრდები საფრანგეთში დაეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს, ხელოსნობასა და ვაჭრობა. ამის შედეგად საქართველოში „ნამდვილი ქრისტიანობის“ ანუ კათოლიკობის ფართოდ გავრცელება დაიწყებოდა[4] და ქვეყანას ეყოლებოდა საფრანგეთში განსწავლული პროფესიონალი ინჟინრები, ოფიცრები და დისციპლინირებული ჯარისკაცები. ამგვარი რელიგიური საბურველი თურქებისა და სპარსელების თვალში დამალავდა საფრანგეთ-საქართველოს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირის დასახულ მიზნებს. საფრანგეთის მისიონის აბატები პირველ რიგში, ვერსალის ინტერესების გათვალისწინებით, ვაჭრობის მისიონერები იქნებოდნენ[5]. ამასთანავე დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, ჩერქეზეთში შეუდგებოდნენ კათოლიკობის გავრცელებას და მოამზადებდნენ ნიადაგს

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 350.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 329.

[3] Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Perse”, t. 3, f. 140v.

[4] Ibid, f. 138v.

[5] Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol. I. f. 167.

ეკლესიის გაერთიანებისათვის. ასეთ შემთხვევაში ფრანგ პოლიტიკოსებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ კათოლიკური სარწმუნოებით გაერთიანებული საქართველო და მასთან კავშირში შესული ჩერქეზეთი შექმნიდა ისეთ ძალას, რომლის განადგურებას „...ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ შეძლებდა“[1]. თავის მხრივ, კაპიტულაციებით მინიჭებული პრივილეგიები ნაკლებად შეზღუდავდა საფრანგეთის რელიგიურ პოლიტიკას საქართველოში და იგი მოამზადებდა ნიადაგს ეკლესიათა გაერთიანებისათვის, რომელსაც მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ირანი და ოსმალეთი[2].

ამრიგად, აღნიშნულ პროექტს ორმხრივი ინიციატივა და ინტერესები აძლევდა რეალურ შინაარსს. მისი ძირითადი მიზანი ვახტანგ VI-ის ქრისტიანობით ტახტზე დაბრუნება იყო, რომელიც გარანტად დაუდგებოდა ამ პროექტის განხორციელებას. მის რეალიზაციაზე გადიოდა საქართველოს დაკავშირება დასავლურ პროგრესთან და მომავალი ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობება.

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 222.

[2] Archivio della SCPF, SOCG, “Georgia”, ff. 432-433 v.

## *სულხან-საბა ორბელიანის კონსტანტინოპოლში დაყოვნების მიზეზები*

საფრანგეთსა და რომში დიპლომატიური მისიის დასრულების შემდეგ, ს.ს. ორბელიანი მალტიდან კონსტანტინოპოლისაკენ გაემგზავრა, სადაც 1715 წლის იანვრის მეორე ნახევარში ჩავიდა[1]. ამ გზაზე „ერის მამას“ თურქეთის დაზვერვა თვალს არ აშორებდა. ერთ ნაწილს ის საქართველოს მეფე ეგონა, ხოლო მეორე – მასში ელჩს ხედავდა, რომელიც საფრანგეთსა და იტალიაში თურქების საწინააღმდეგო ღონისძიებებს აგვარებდა. ამავე წლის 18 თებერვალს კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის ელჩი გრაფი დეზალორი „მეფემზე“ ლუი XIV-ს წერდა: „...დარდანელიდან ამბავი მოვიდა, რომ ამ ხომალდზე რამდენიმე თურქი იყო, რომელთაგან ზოგი ამბობდა: ის (სულხან-საბა – ი. ტ.) საქართველოს მეფეაო, სხვები ამბობდნენ, რომ იგი არის დიდი პიროვნება, რომელიც მოდის საფრანგეთიდან და იტალიიდან, სადაც თურქების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებდა“[2]. 30-მდე თურქი აგენტი, რომელიც ვითომდაც „მგზავრები“ იყვნენ, ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ სულხან-საბას ხელში ჩასაგდებად[3]. ამ ამბავმა ვეზირის ყურამდეც მიაღწია. მანაც არ დააყოვნა და ნაპირზე გადმოსვლისას მისი დაკავება ბრძანა[4].

შექმნილ რთულ ვითარებაში ყველაფერი საფრანგეთის კონსტანტინოპოლელ ელჩზე აღმოჩნდა დამოკიდებული. გრაფმა დეზალორმა, როგორც გამოცდილმა დიპლომატმა, სულხან-საბას კარგმა ნაცნობმა და მისადმი დიდად პატივმცემელმა[5], ყველაფერი წინასწარ გათვალა. სანამ ხომალდი ღუზას კონსტანტინოპოლის ნაპირზე ჩაუშვებდა, დეზალორს ინფორმაცია მიუვიდა იმ მოსალოდნელი ხიფათის შესახებ, რაც სულხან-საბას მოელოდა. მანაც არ დააყოვნა და უმალვე ნავი გაგზავნა, რათა ხომალდიდან გადმოესვა ქართველი ელჩი. „ეს გარემოება მავალებდა, – წერდა დეზალორი საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს ზემოხსენებულ წერილში, – რომ იგი (სულხან-საბა – ავტ.) ფრთხილად გადმომეყვანა ხომალდიდან და მომეთავსებინა საფრანგეთის სასახლეში (საელჩო რეზიდენციაში – ი. ტ.), ვიდრე შემთხვევა მომეცემა, იგი თავის

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, გვ. 385; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი)..., გვ. 285.

[2] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №1, გვ. 385.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 387.

[5] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 155.

სამშობლოში გავისტუმრო“[1]. მართალია, ამ შემთხვევაში ფრანგულმა დიპლომატიამ გაიმარჯვა თურქების სიფხიზლეზე, მაგრამ საშიშროების თავიდან აცილების მიზნით საჭირო იყო სასწრაფოდ სულხან-საბას საქართველოში გამოსტუმრება [2].

ამდენად, მოტანილი წყარო გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ თურქეთის ოფიციალურმა მთავრობამ თავისი სადაზვერვო არხებით დაადგინა, რომ სულხან-საბა საფრანგეთსა და რომში დიპლომატიურ მისიას ასრულებდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმ გადაწყვეტილებას, თუ რატომ იყო საბას მისია რელიგიურ სამოსელში გახვეული და ეს ფაქტორი რატომ განსაზღვრავდა საფრანგეთთან მომავალი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითრების პერსპექტივას. უფრო კონკრეტულად: საფრანგეთ-თურქეთის კაპიტულაციების პრინციპებმა განაპირობა ის, რომ თურქეთის ოფიციალურმა მთავრობამ ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, თვალები დახუჭა და სულხან-საბას მიმართ დევნა არ განახორციელა. საკუთრივ, დეზალორის სწრაფი რეაქცია კი ნათლად ამოწმებდა სულხან-საბას ელჩობის ამოცანის მნიშვნელობას საფრანგეთის სამეფო კარისათვის. საერთოდ კი, საქართველოს ნებისმიერი კავშირი დასავლეთთან თურქეთის სულთნის კარზე ეჭვს აღძრავდა და მას ოფიციალური მთავრობა იმპერიის საწინააღმდეგო ნაბიჯად მიიჩნევდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, სულთნის კარზე საფრანგეთის სახელმწიფოს განსაკუთრებულმა პოლიტიკურმა წონამ თავისი როლი შეასრულა. ეს დასკვნა ემყარება სულხან-საბას მიერ 1715 წლის 7 აპრილს კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის მინისტრისა და სახელმწიფო მდივნის ლუი ფელიპოს, გრაფ დე პონშარტრენისადმი[3] მიწერილ წერილში გამოყენებულ ერთ ლაკონურ დიპლომატიურ ფრაზას: „ეს რომ ნახეს[4] თათრებმა (თურქებმა – ავტ.), – წერს საბა, – ვეზირს მოახსენეს, მაგრამ ელჩის საქმით მოვრჩით“[5]. მიუხედავად ამისა, სულხან-საბა მაინც სწრაფად უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში, რადგან მას უსაფუძვლოდ როდი ეშინოდა, რომ „...თურქებმა...არ დაატყვევონ თავისი ამალით“, თუმცა მან 17 თვე დაახანა კონსტანტინოპოლში.

წყაროების თანახმად, დაღლილი ელჩი კონსტანტინოპოლის საფრანგეთის საელჩოში ძალების მოკრებას შეუდგა. დეზალორი კი თადარიგს შეუდგა, რათა ის საქართველოში უსაფრთხოდ გაესტუმრებინა. საფრანგეთსა და „...მთელს იტალია-

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №1, გვ. 387.

[2] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №1, გვ. 387.

[3] ჩანს, სულხან-საბამ არ იცის, რომ ამ დროს გრაფი დე პორშარტრენი უკვე გადამდგარი იყო თანამდებობიდან.

[4] იგულისხმება – სულხან-საბას დასავლეთში მოგზაურობა.

[5] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან; ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 270, სქოლიო 2.

ში...“[1] მაღალ და თანასწორ დონეზე დიპლომატიური მიღებებით დიდად მადლიერი სულხან-საბა დეზალორს განუწყვეტლივ შეახსენებდა ლუი XIV-ის კეთილგანწყობასა და იმ პატივს, რომელიც მას ვერსალში აღმოუჩინეს. ქართველი ელჩი ჯერ კიდევ პარიზსა და რომში ნანახით გამოწვეული ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ იყო. ამის შესახებ გრაფი დეზალორი ლუი XIV-ს წერდა: „სულხან საბა განუწყვეტლივ ლაპარაკობს თქვენი უდიდებულესობის კეთილგანწყობასა და დიდმშვენიერებაზე, პატივზე, რომელიც თქვენგან მიიღო, თქვენი სასახლეების სიდიადეზე და მშვენიერებაზე, განსხვავებაზე, რომელიც გააჩნია მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნებთან და სახელმწიფოებთან შედარებით საფრანგეთის სამეფოს, და წესრიგზე, რომელსაც ყველაფერში იქ იცავენ. სულხან-საბა არაერთხელ იმეორებს, რომ ეშინია თავის ქვეყანაში არ დაუჯერონ, როდესაც მათ აღუწერს მის მიერ საფრანგეთში ნანახ საოცრებებს. ვინაიდან ის, რაც ნახა, აღმოსავლელების[2] შეზღუდულ გონებაზე მაღლა დგას, რომელთა წარმოდგენა მათ მხედველობაზე უფრო შორს არ ვრცელდება“[3]. ეს წყარო ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტებების გარეშე ააშკარავებს, თუ რატომ მიილტვოდა საქართველო და მისი ელჩი-მეცნიერი, საფრანგეთი როგორმე მოეახლოვებინათ საქართველოსათვის. ჩვენი ქვეყნის დასავლურ პროგრესთან დაკავშირება საფრანგეთთან ორმხრივი სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობების დამყარება–განვითარებაზე გადიოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს მიერ მდიდარი ევროპული კულტურის ათვისება საფრანგეთთან მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებით იყო შესაძლებელი. რაც უფრო ნიშანდობლივია, სულხან-საბა აღტაცებულია საფრანგეთის აბსოლუტური მონარქიის ბიუროკრატიული მმართველობით, რომელიც ლუი XIV-ის სახელმწიფოს ნიმუშს წარმოადგენდა; ფრაზა – „წესრიგზე, რომელსაც ყველაფერში იქ (საფრანგეთში – ავტ.) იცავენ“ – ვფიქრობთ, სწორედ ამ აზრს გადმოსცემს. რაც შეეხება საფრანგეთის პოლიტიკურ სტატუსს, სულხან-საბას მსოფლიოში მისი მსგავსი სახელმწიფო არ ეგულება და მისადმი დამოკიდებულებას ამაღლებული კულტურული მგრძნობელობით გამოხატავს: „განსხვავებაზე, რომელიც გააჩნია მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნებთან და სახელმწიფოებთან შედარებით საფრანგეთის სამეფოს...“, ვფიქრობთ, აღნიშნული მნიშვნელობითაა დიპლომატიურად გამოთქმული.

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან; ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 314.

[2] ცხადია, აღმოსავლელებში იგულისხმებიან ზოგადად აზიელები და არა მხოლოდ ქართველები, რადგან ევროპელთა თვითშეგნებაში „აღმოსავლეთი“ მაშინ ასოცირდებოდა აზიასთან. სულხან-საბას აქ, ალბათ, ძირითადად მხედველობაში აქვს აზიისაგან განსხვავებით, დასავლეთის პოლიტიკურ-კულტურული განსხვავებები, ტექნიკური პროგრესი და დასავლეთის ცივილიზაციის განსაკუთრებულობა.

[3] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №1, გვ. 387.

როგორც წყაროებიდან ცნობილია, ვერსალის სამეფო კარის დაპირების თანახმად, სულხან-საბა ორბელიანი კონსტანტინოპოლში უნდა დალოდებოდა ფრანგ მისიონერებს და ასევე ლუი XIV-ის მიერ დიპლომატიურად მომზადებულ გადაწყვეტილებას ირანის ტყვეობიდან ვახტანგ VI-ის გათავისუფლების შესახებ[1]. ამ უკანასკნელ საკითხს ჩვენ აქ არ განვიხილავთ. პირველთან დაკავშირებით აქვე აუცილებელია წინდაწინ ერთ ფაქტს შევეხოთ:

როგორც გრაფი დეზალორის ზემოხსენებული წერილიდან ირკვევა, სულხან-საბა ორბელიანი ჯერ კიდევ პარიზში გაეცნო საფრანგეთის მომავალ ელჩს კონსტანტინოპოლში მარკიზ დე ბონაკს[2], რომელსაც უნდა შეეცვალა გრაფი დეზალორი. ეს უკანასკნელი საფრანგეთის მეფეს წერდა: „...სულხან-საბას, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვს კონსტანტინოპოლში დაელოდოს ბატონ ბონაკს, რომელიც მას (სულხან-საბას – ავტ.) სენ-ლაზარის რამდენიმე მისიონერის ჩამოყვანას დაპირდა“. საკონტროლო მასალის უქონლობის გამო ძნელია ზუსტად ითქვას, რა სახის კავშირი დამყარდა საფრანგეთში ვიზიტის მანძილზე დე ბონაკსა და სულხან-საბას შორის, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ორი დიპლომატი ერთმანეთს პარიზში გაეცნო და საფრანგეთის მომავალმა ელჩმა კონსტანტინოპოლში სულხან-საბას დაპირება მისცა, რომ თვითონ ჩამოიყვანდა სენ-ლაზარის „...8 ან 10 ფრანგ მისიონერს...“[3], რომელთაც საბა შემდეგში დასავლეთ საქართველოსა და ახალციხეში განალაგებდა. ვფიქრობთ, მოტანილი წყარო გვაძლევს ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას. იგივე წყარო ასევე გვკარნახობს, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სულხან-საბას საფრანგეთში ყოფნის დროს[4] გადაწყდა დეზალორის დე ბონაკით შეცვლა. ჩვენი აზრით, საფრანგეთის მხარემ, ჩანს, ეს გაითვალისწინა და მომავალი ელჩი მარკიზ დე ბონაკი სულხან-საბას გააცვნეს. ახლა დაისმის კითხვა: რატომ უნდა შეეცვალათ კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი გრაფი დეზალორი მარკიზ დე ბონაკით?

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთსა და რომში დიპლომატიური მისიით ელჩობის დროს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი იყო გრაფი დეზალორი. მან დიდი როლი შეასრულა ამ ელჩობის ორგანიზებაში როგორც დასავლეთში, ისე უკან, საქართველოში დაბრუნებისას. დეზალორი ელჩის მოვალეობას კონსტანტინოპოლში 1709-1716 წლებში ასრულებდა. წყაროებიდან ირკვევა, რომ დეზალორმა ავადმყოფობის გამო გადაწყვიტა ელჩობიდან გადადგომა. კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის საელჩოს მდივა-

---

[1] Brosset M., Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Pouis XIV, p. 439.

[2] საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში ჟან ლუი დ'იუსსონ მარკიზ დე ბონაკი 1716-1724 წწ.

[3] Brosset M., Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Pouis XIV, Doc. №2, p. 389.

[4] 1714 წლის 22 იანვარი-1714 წლის 20 ივნისი. **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 233-234.

ნი დე ბიზი[1] 1715 წლის 24 მაისს საფრანგეთის სახელმწიფო მდივანს საგარეო საქმეებში მარკიზ დე ტორსის[2] წერდა: „რამდენადაც მისი უდიდებულესობა (ლუი XIV – ავტ.) ინფორმირებულია ელჩის (გრაფი დეზალორი – ავტ.) ავადმყოფობის შესახებ, მან კეთილი ინება მისი შემცვლელი (მარკიზ დე ბონაკი – ავტ.) დაენიშნა. თუ ის შემცვლელი (მარკიზ დე ბონაკი – ავტ.) მალე არ ჩამოვა, ელჩის (გრაფი დეზალორის – ავტ.) განუწყვეტელი შეუძლოდ ყოფნა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს მას და მის საქმეს“[3]. აქედან ნათლად ჩანს, რომ გრაფი დეზალორი ავადმყოფობის გამო ელჩის მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებდა. ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ დეზალორი „...სხვადასხვა ამბების...“[4] გამო „...მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდა“[5]. მართალია, ზუსტად არ ვიცით სულხან-საბას პარიზში ვიზიტის ჟამს (1714 წლის იანვარი-1714 წლის ივნისი) დროის რომელ მონაკვეთში დაისვა, თუ ეს მანამდეც იდგა, აღნიშნული მიზეზის გამო გრაფი დეზალორის მარკიზ დე ბონაკით შეცვლის საკითხი, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სულხან-საბასთვის ცნობილი იყო. ალბათ, პარიზშივე, მეტი ალბათობით მარკიზ დე ტორსის ორგანიზებით, შედგა სულხან-საბასა და გრა-

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №9, შენიშვნა 5, გვ. 414.

[2] ცნობილი ფრანგი დიპლომატი ჟან-ბატისტ კოლბერ დე ტორსი, ტორსის მარკიზი (1665-1746) სახელმწიფო მდივანი საგარეო საქმეებში იყო 1696-1715 წლებში. მას მიიჩნევენ, როგორც ყველაზე ეფექტიან, წარმატებულ მინისტრად და ბრწყინვალე ფსიქოლოგად. საგულისხმოა, მან 1712 წელს მომავალი დიპლომატების აღსაზრდელად დააარსა პოლიტიკური აკადემია. დაწვრ. იხ: John C. Rule, Ben S. Trotter, A World of Paper: Louis XIV, Colbert de Torcy, and the Rise of the Information State, McGill-Queen's University Press, 2014; მარკიზ დე ტორსი მიეკუთვნებოდა ფრანგ პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევდნენ საქართველოსთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ურთიერთობის დამყარება-განვითარებას. დაწვრ. იხ: **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 276-390.

[3] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი № 9, გვ. 399.

[4] ამაში, ალბათ, იგულისხმება – სხვადასხვა ხარჯები, რომლის გაღება ელჩს უწევდა.

[5] ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობას გვაძლევს ერთ-ერთი წყარო. საფრანგეთის საელჩოს მდივანი კონსტანტინოპოლში დე ბიზი ზემოხსენებულ წერილში მარკიზ დე ტორსის წერდა: „რადგან კონსტანტინოპოლში უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა სამეფოს კარზე, საფრანგეთის ელჩს უწევს მდიდრულად ცხოვრება...“ (Archives du Ministère des Affaires Étrangères. Paris. "Turquie", t. 55, f. 69). ამ წინადადებას პროფ. ი. ტაბაღუა ცოტა განსხვავებულად თარგმნის: „ვინაიდან კონსტანტინოპოლში უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა სამეფო კარზე, საფრანგეთის ელჩს არ შეუძლია არ იცხოვროს მდიდრულად...“ **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №9, გვ. 399; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №71, გვ. 290. ნათელია, რომ სულთანის კარზე საფრანგეთის საელჩოს მდიდრული ცხოვრება „მეფე-მზის“ მონარქიის პრესტიჟის საქმე იყო.

ფი დეზალორის შემცვლელი მარკიზ დე ბონაკის შეხვედრა, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა აღუთქვა საქართველოს ელჩს ფრანგი მისიონერების ჩამოყვანა კონსტანტინოპოლში. სხვაგვარად შეუძლებელია წავიკითხოთ წყაროს ინფორმაცია, რომ დე ბონაკი დაპირდა სულხან-საბას „...სენ ლაზარის რამდენიმე მისიონერის ჩამოყვანას...“. თუ ჩვენი ვარაუდი სარწმუნოა, მაშინ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ სავარაუდოდ, გათვლილი იქნებოდა, თუ რა დროსათვის დაბრუნდებოდა რომიდან საბა კონსტანტინოპოლში. მხარეები, ალბათ, შეთანხმდებოდნენ, თუ სულხან-საბა კონსტანტინოპოლში დე ბონაკზე ადრე ჩავიდოდა, იქ დაელოდებოდა ის საფრანგეთის ელჩის ჩამოსვლას დაპირებულ მისიონერებთან ერთად. თუ ჩვენი ეს ვარაუდი სწორია, ამაზე დაყრდნობით, მაშინ ისიც შეიძლება ითქვას, რომ მარკიზ დე ბონაკი სულხან-საბას საკმაოდ მაღალ ავტორიტეტად მიიჩნევდა და მასაც საქართველოში საფრანგეთის რელიგიური პოლიტიკა მომავალი ორმხრივი ურთიერთობის საფუძვლად მიაჩნდა. ცნობილია, რომ ბონაკის კონსტანტინოპოლში ჩამოსვლა კი 1716 წლის ოქტომბრამდე ვერ მოხერხდა[1].

ამ ფაქტზე საგანგებოდ შემდეგი მოსაზრებით შევჩერდით: კერძოდ, ორი ფაქტორიდან ერთი, თუ რატომ დაყოვნდა სულხან-საბა 17 თვე კონსტანტინოპოლში, ჩვენი აზრით, მდგომარეობდა მის მიერ საფრანგეთის პოლიტიკოსებისა (გრაფი პონშარტრენი, მარკიზ დე ტორსი, მარკიზ დე ბონაკი) და წმინდა ტახტის მესვეურებისადმი (პაპი, კარდინალები, პროპაგანდა ფიდეს წარმომადგენლები) მიცემულ დაპირებაში: დაელოდებოდა კონსტანტინოპოლში მისიონერებს, რათა თვითონ ჩაეყვანა ისინი საქართველოში და დაებინავებინა მისიის ადგილებში[2]. ერთ-ერთ წყაროში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „მას (სულხან საბას – ავტ.) რომ თავის თავზე არ აეღო ვალდებულება და ადგილზე (საქართველოში – ავტ.) მისიონერების მოწყობისათვის ეხელმძღვანელა, იგი უკვე გაემგზავრებოდა კონსტანტინოპოლიდან“[3]. ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის ჟან რიშარი 1715 წლის 21 მაისის წერილში, რომელიც მიწერილია რომელიმე ფრანგი მესვეურისადმი: „რაც შეეხება პირადად სულხან-საბას, იგი კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრება მხოლოდ მაშინ, როცა თან წაიყვანს მისიონერებს“[4] – წერდა ჟან

---

[1] Schefer Charles. Mémoire historique sur l'Ambassade de France à Constantinople par le Marquis de Bonac publié avec un précis de ses négociations à la Porte Ottomane. Paris, 1894, p. 27.

[2] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №10, გვ. 400; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №72, გვ. 295.

[3] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №7, გვ. 396; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №69, გვ. 284.

[4] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №8, გვ. 396; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №70, გვ. 286.

რიშარი. საკუთრივ სულხან-საბა მისიონერებს საფრანგეთიდან ელოდებოდა, რომელთაც „...ეცოდინებოდათ მედიცინა...“[1]. ამ პირობის დარღვევა მას დაუშვებლად მიაჩნდა. ამიტომ საბამ უარყო გრაფი დეზალორის წინადადება, რომ გამგზავრებულიყო საქართველოში, რათა წინასწარ მოემზადებინა ფრანგი მისიონერების დასაბინავებელი ადგილები. „ყველაფერს გავაკეთებ, – წერდა გრაფი დეზალორი ლუი XIV-ს, – რათა იგი (სულხან-საბა – ავტ.) დავარწმუნო, რომ, როგორც კი მონახავს საშუალებას, მაშინვე გაემგზავროს, რათა საქართველოში წინდაწინ მოამზადოს ადგილები, სადაც ამ მისიონერების დაფუძნებას საჭიროდ მიიჩნევს, შემდეგ, როდესაც მათ ადგილზე მოაწყობს, შედეგები ჩვენ შეგვატყობინოს“[2]. სულხან-საბამ, რომელმაც, როგორც ირკვევა, ჩინებულად იცოდა ვალდებულების პირველხარისხოვანი მნიშვნელობა დიპლომატიაში, ასევე დაპირებისა და სიტყვის როლი, მაღალი პასუხისმგებლობის გამოვლენით თავაზიანად უარით უპასუხა დეზალორის წინადადებას. „სულხან-საბა, – აუწყებდა დეზალორი „მეფე-მზეს“, – არ იზიარებს ჩემს მოსაზრებას და მეუბნება: საფრანგეთსა და რომში მან პირობა მისცა საქართველოში მისიონერების თან წაყვანის თაობაზე, ამიტომ ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე სიტყვა ვერ შეასრულოს“[3]. ასე რომ, სულხან-საბა ორბელიანის, როგორც დიპლომატის, სიმტკიცე მისი მაღალი მორალითა და პირგაუტეხლობით აიხსნებოდა. ამ თვალსაზრისით ის იდეალური ელჩის თვისებას ავლენდა.

რაც შეეხება მეორე ფაქტორს, იგი შემდეგში მდგომარეობდა: ჩვენი აზრით, სულხან-საბასთვის ფრანგი მისიონერების ჩამოყვანა დასავლეთ საქართველოში და იქ მათი დაბინავება საფრანგეთსა და რომში მისი ელჩობის პრესტიჟის საქმედ მიაჩნდა, ხოლო ხელცარიელი დაბრუნება-დამარცხებად. მას, როგორც შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსსა და დიპლომატს[4], კარგად ესმოდა ინდივიდუალური ფაქტორისა და მიცემული დაპირების მნიშვნელობა დიპლომატიაში. ლუი XIV-ის მზადყოფნა, რომ სულხან-საბას ღვთისმოსაობის გამო „...მის დასახმარებლად სიამოვნებით გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზე იქნება დამოკიდებული“[5], ექსტრაორდინალურ ელჩს პრაგმატული მიზნით უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, კონკრეტულ ამოცანასთან ერთად, გაეთავისუფლებინათ

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №10, გვ. 400; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №72, გვ. 295.

[2] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №1, გვ. 387.

[3] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №1, გვ. 388.

[4] ეს საკითხი დღეს თავის მკვლევარს ელის.

[5] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №14, გვ. 407; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №77, გვ. 312.

ირანის ტყვეობაში მყოფი ვახტანგ VI ქრისტიანობით, საქართველოში საფრანგეთის მისიონის დაარსებით საფუძველი უნდა ჩაეყარა ორმხრივი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის, რაც რელიგიურ რეალობას ემყარებოდა. ამ ამოცანის განხორციელების ჩაშლას საქართველოში მოჰყვებოდა ევროპულ პოლიტიკაზე იმედგაცრუება. ამაში გვარწმუნებს 1715 წლის 29 მაისს ხსენებული დე ბიზის საგარეო საქმეებში საფრანგეთის სახელმწიფო მდივან მარკიზ დე ტორსისადმი მიწერილი წერილი. „მეორე მიზეზი[1] – ეს ის სიძნელეა, რომელსაც სულხან-საბა განიცდის: დაბრუნდეს ქართლში, ასევე იმ მხარეებში[2], რომლებიც ევროპაში მიმავალმა სულხან-საბამ გაიარა. მაშინ ის დაპირდა, რომ ამ ადგილებში ჩაიყვანდა ადამიანებს [3], რომელთაც ეცოდინებოდათ მედიცინა და თავიანთ სამისიონერო მოვალეობასაც შეასრულებდნენ[4]. ასეთია წყაროთა ის წრე, რომელიც დაგვეხმარა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევაში.

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც აღებული ვალდებულებების მიმართ მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი დიპლომატი, ვერსალსა და რომში დადებული ზეპირი შეთანხმების შესრულებას, რომ კონსტანტინოპოლში დაელოდებოდა ფრანგ მისიონერებს, რათა თვითონ წაეყვანა ისინი და დაეფუძნებინა „განსაკუთრებული მისიონი“[5] დასავლეთ საქართველოში, თავისი ელჩობის პრესტიჟად მიიჩნევდა. ამ ამოცანის დადებითად გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული საქართველოს ევროპული საგარეო პოლიტიკის ახალი ეტაპის განვითარება, რაც ქართულ დიპლომატიურ ცხოვრებაში პირველად სულხან-საბას ექსტრაორდინალური ელჩობით დაიწყო. ამ შეგნებითა და შთაბეჭდილებებით აღჭურვილ ქართველ დიპლომატს აღნიშნული ფაქტორები უბიძგებდა მანამადე დაეხანებინა კონსტანტინოპოლში, სანამ ვერსალი და რომი დაპირებებს არ შეასრულებდა. ხოლო 17 თვის ლოდინი კონსტანტინოპოლში და შეცვლილ გარემოებათა შესაბამისად, სულხან-საბას მისიის წარუმატებლობა აშკარად ავლენდა იმდროინდელი საქართველოს ევროპული პოლიტიკის პირველი ადგილიდან უკანა მხარეზე გადანაცვლებას და არა დასავლურ ორიენტაციაზე საბო-

---

[1] იგულისხმება მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა კონსტანტინოპოლიდან სულხან-საბას საქართველოში გამგზავრებას.

[2] „ალბათ, იგულისხმება იმერეთი, სამეგრელო და გურია, რომელთა ტერიტორიაზე გაიარეს ევროპაში მიმავალმა სულხან-საბამ და ჟან რიშარმა 1713 წლის აგვისტო-სექტემბერში“ (**ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №71, შენიშვნა 4, გვ. 297.)

[3] იგულისხმება ფრანგი მისიონერები.

[4] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №10, გვ. 400; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №72, გვ. 295.

[5] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, დოკუმენტი №3, გვ. 390; **მისივე,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, დოკუმენტი №65, გვ. 269.

ლოოდ უარის თქმას. ეს მომდევნო პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკურმა ამოცანებმაც დაადასტურა.

და ბოლოს, რამდენიმე სიტყვით სულხან-საბა ორბელიანის, როგორც დიპლომატის შეფასებისათვის: ქართული დიპლომატიის ისტორიაში ს.ს. ორბელიანს განსაკუთრებული ადგილი უკავია. პარიზსა და რომში მისი დიპლომატიური ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ საფრანგეთის აღმოსავლური პოლიტიკის ფართო ამოცანებში გამოეკვეთა თავისი ქვეყნის ინსტერესები. ქართველთაგან ის პირველი შორსმჭვრეტელი დიპლომატია, რომელმაც სცადა დასავლეთში საქართველოს თავისუფლების იდეა ასე ფართოდ დაეკავშირებინა რომისა და საფრანგეთის რელიგიურ და პოლიტიკურ ინტერესებთან. ერთ-ერთი ასეთი სულიერი წახნაგი ამ ბრწყინვალე წარმომადგნელისა მკაფიოდ ჩანს მის ნაშრომში – „მოგზაურობა ევროპაში“. იტალიის აქ აღწერილი სულიერი სიდიადე სავსებით ემთხვეოდა საბას პირად გრძნობებსა და შეხედულებებს. სწორედ ეს გარემოება აადვილებდა ფსიქოლოგიურად მისი დიპლომატიური მისიის შესრულებას. აკი თვითონ ამბობს: „დაიჯერეთ, რომი ასეთია, ას წელს სულ იაროს კაცმა, მის საკვირველებას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს... უსაცილოდ დაიჯერეთ, რასაც ვწერ ნაკლებია, და მასაც თავს გაუსვლელსა და შეუძლებელსა, დაიჯერეთ, ნახევარს მაშინც ვერ მივსწვდები“[1].

თამამად უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი ცივილიზებული ევროპის შუაგულში ს.ს. ორბელიანმა გამოამჟღავნა პროფესიონალი ელჩისათვის დამახასიათებელი თვისებები. პარიზსა და რომში მის მიერ გამოჩენილმა გონიერებამ ათქმევინა პაპს შემდეგი სიტყვები საბასადმი: „მიხარიან, რომში დიდი ხმა დაგივარდა, კარგად იქცევი და გონიერადო“. საბას დიპლომატიური მოლაპარაკებების დიდმა უნარმა ათქმევინა ასე ჟან რიშარს, რომ დასავლეთში „დიდი ქებით იხსენიებდნენ ბატონ სულხან-საბას საქმეებს“-ო. ალბათ, საბას, როგორც პოლიტიკოსისა და დიპლომატის მიერ გამოჩენილი უნარი ჰქონდა მხედველობაში იმავე ჟან რიშარს, როცა წერდა: „სულხან-საბას ღვთისმოსაობა იმდენად მოეწონა მის უდიდებეულესობას (ლუი XIV-ს – ავტ.), რომ სამჯერ თუ ოთხჯერ გვითხრა, მის დასახმარებლად, სიამოვნებით გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზე იქნება დამოკიდებული“[2].

ამრიგად, სულხან-საბას დიპლომატიის სიდიადე არა მხოლოდ მის ტექნიკურ ხელოვნებაში მდგომარეობდა, არამედ მის მასულდგმულებელ პატრიოტულ იდეაში.

ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას დასავლეთში შედეგი არ მოჰყოლია. მაგრამ მაღალნიჭიერი დიპლომატის სულხან-საბას წარუმატებელი მოლაპარაკებები საფრანგეთში არ შეიძლება ფუჭად დაკარგულ დროდ

---

[1] ქართული პროზა, წიგნი V, თბ., 1983, გვ. 201.

[2] **ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, გვ. 407.

ჩავთვალოთ, რადგან მან გამოავლინა, თუ რა უშლიდა ხელს საქართველო-საფრანგეთის დაახლოებას და რაში მდგომარეობდა მათი ინტერესების ერთობა. ეს ნათლად გამოიკვეთა მარსელში სულხან-საბას ყოფნის დროს (1714 წლის იანვარი-მარტის შუა რიცხვები) შედგენილ ვრცელ მემორანდუმში, რომელიც წარმოადგენს XVIII საუკუნემდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ისტორიაში ასეთი სახის უდიდეს და პირველ დიპლომატიურ დოკუმენტს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვით ამ მემორანდუმში ჩამოყალიბებულ საფრანგეთ-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობის ამოცანებს „ერთ-ერთ უდიდეს პროექტად“[1] მიიჩნევდნენ ფრანგი პოლიტიკოსებიც.

აღნიშნული მემორანდუმის ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ მასში მოცემული გეგმები ემყარებოდა ქართველი პოლიტიკოსების (ვახტანგ VI, სულხან-საბა, გრიგოლ II, დავით მეგრელი) საფრანგეთის აღმოსავლეთთან ვაჭრობაში საქართველოს გზის გამოყენების მკაფიოდ გაანალიზებულ მიზნებს. „ზღვებზე გაბატონებულ ინგლისთან და ჰოლანდიასთან მეტოქეობაში საფრანგეთს მიმზიდველად ესახებოდა საქართველოს ტერიტორია, აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი ხელსაყრელი გზა“[2]. აქედან გამომდინარე, ამ დროს საფრანგეთი მზად იყო საქართველოსათვის გაეწია მხოლოდ მორალური დახმარება. ამას მოწმობს ის ინტენსიური დიპლომატიური მიწერ-მოწერა, რომელიც წარმოებდა ქართველ პოლიტიკოსებსა და ფრანგ მესვეურებს შორის მთელი XVIII ს-ის I მეოთხედის განმავლობაში. ამის მიზანი იყო ის, რომ არ შესუსტებულიყო ქართველ პოლიტიკოსებში ორიენტაცია საფრანგეთზე და ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე (ასეთი XVIII ს-ის I მეოთხედში არ იყო) მას ეფექტიანად ემოქმედა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის ინტერესებისათვის. მიუხედავად ამისა, სულხან-საბას დიპლომატიურ მისიას ჰქონდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ქართული დიპლომატია იძენდა ევროპულ გამოცდილებასა და ცოდნას. ამ საქმეს შემდგომი განვითარება არ ეწერა რუსეთის მიერ ქართლის სამეფოს ირანის წინააღმდეგ ავანტიურაში ჩართვის გამო.

---

[1] საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, გვ. 212.

[2] **გაბაშვილი ვ.,** იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 116, თბილისი, 1965, გვ. 347.

## *იძულებითი კომპრომისი და რუსული ავანტიურა*

დასავლეთისაგან დახმარების მიღების მომლოდინე ვახტანგი ირანში ჯიუტად განაგრძობდა წინააღმდეგობას სარწმუნოების შეცვლაზე. მას 1716 წელს გადაუწყვეტია, კათოლიკური სარწმუნოება მიეღო. თ. კრუსინსკის მიხედვით, ვახტანგს თავისი კარისკაცი ვინმე სომეხი კათოლიკე ელიზბარი გაუგზავნია ფრანცისკელთა ორდენის მღვდელ ბარნაბა ფედელი მილანელთან, რომელიც მაშინ ისპაანში სამოციქულო ვიკარი იყო, თხოვნით: გაეგზავნა მისთვის სპარსული ენის მცოდნე მისიონერი, რათა იგი მოექცია კათოლიკურ სარწმუნოებაზე[1]. ჩვენ არ ვიცით, თუ რა შედეგი მოჰყვა ვახტანგის ამ ნაბიჯს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს აქტი არ შედგა, რადგან საქმე სხვა მიმართულებით განვითარდა. თუ აღნიშნული ფაქტი სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ვახტანგის დიპლომატიური ნაბიჯი იყო ირანის შაჰის წინაშე. კერძოდ, ვახტანგის გაკათოლიკება შაჰის კარს შეეძლო ჩაეთვალა მისი „ქართველობისაგან", მართლმადიდებელი სარწმუნოებისაგან განდგომად და შედარებით იოლად დაეთანხმებინა შაჰი, ის ქართლში დაევბრუნებინა. ჩანს, ამ გადაწყვეტაში ვახტანგი იმასაც ეყრდნობოდა, რომ ირანი კათოლიკობას უფრო იწყნარებდა, ვიდრე მართლმადიდებლობას.

1716 წლის მაისის შუა რიცხვებში ს.ს. ორბელიანი 12 კაპუცინ მისიონერთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. ამავე წლის 1 ივნისს დასავლეთისაგან იმედგაცრუებული ვახტანგი იძულებული გახდა, მაჰმადიანობა მიეღო. ამაზე, ვფიქრობთ, სულხან-საბას ელჩობის შედეგებმა უშუალო გავლენა მოახდინა. მიუხედავად ამისა, ვახტანგ მეფეს კათოლიკე მისიონერების მფარველობაზე ხელი არ აუღია. ერთი მცირე ცნობის მიხედვით, ირანში მყოფმა ვახტანგ VI-მ თავის შვილ ბაქარს, რომლიც ქართლის სამეფოს მართავდა 1716-1719 წლებში, წერილობით უბრძანა: ყველა ის დამნაშავე, რომელიც ზიანს აყენებდა კაპუცინთა მისიონს, სასტიკად დაესაჯა[2].

სანამ დასავლეთში ს.ს. ორბელიანის ელჩობა გრძელდებოდა, თბილისში 6 კაპუცინი პატრი მოღვაწეობდა. გორში კი ამ დროს ოთხი მამა ეწეოდა მუშაობას. ჩანს, მათ აქ საქმიანობის კარგი პირობები ჰქონდათ, რადგან კათოლიკობაში მოუქცევიათ რამდენიმე თავადი და მრავალი ყმა[3]. სულხან-საბამ ჩამოსვლის შემდეგ, მის მიერ ჩამოყვანილ მისიონერებთან ერთად, გულმოდგინედ დაიწყო ქადაგება და კათოლიკობის გავრცელება. ამან დიდი გავლენა იქონია ხალხზე დ ამ დროს ბევრმაც მიიღო კათოლიკობა. ამასთან დაკავშირებით 1717 წელს პროპაგანდა ფიდეში გაგზავნილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ტფლისში, საქართველოს დედაქა-

---

[1] **Krusinski Th**. Tragica Vertentis belli Persici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno p. 172.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 45.

[3] **თამარაშვილი მ**. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 334.

ლაქში, სადაც ცხოვრობს ამ პროვინციის მთავარი [1], ბინადრობს აგრეთვე საბა, ბასილიანელი ბერი, რომელიც 1714 წელს იმყოფებოდა რომში. ამ ბერის კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევის გამო, რომელსაც თან ახლდა სხვა პირთა მიერ კათოლიკობის მიღება, გამოწვეული იყო მისი ქადაგებებით, ქართველებში იფეთქა ახალმა მტრობამ მამა მისიონერების მიმართ, არა ნაკლები, ვიდრე სომხების მხრიდან, რამდენადაც ერთნიც და მეორენიც ხედავდნენ, რომ ხალხი ტოვებს მათ ეკლესიებს და უერთდება რომაულ- კათოლიკურს. ისინი (ე.ი. სომხები და ქართველები – ავტ.) ამის გარეშეც მტრობდნენ ერთმანეთს რელიგიის გამო, მერე კი შესაბამისად [გაერთიანდნენ], რამდენადაც კათოლიკური სარწმუნოება აწყლულებს ხალხს“[2]. ეს წყარო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სულხან-საბა ორბელიანს უნიატობა არ მიუღია პოლიტიკური მოსაზრებით. როგორც ვხედავთ, პირიქით, დასავლეთის უშედეგო ელჩობის შემდეგაც, სულხა-საბა განაგრძობდა კათოლიკობის პროპაგანდას, რასაც მოჰყვა ახლა სომხებთან ერთად ქართველების მხრიდანაც მისიონერების მიმართ დევნა.

ერთი სიტყვით, ქვეყანაში კათოლიკობის წინსვლა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1717 წელს სომხების მხრიდან დაწყებულ დევნას, რომლის დროსაც დაანგრიეს კათოლიკე მამების სახლი, ქართველებიც შეუერთდნენ. ასეთ ვითარებაში მამებმა უკიდურესი სიფრთხილე გამოიჩინეს, რათა მისიონერები არ ჩარეულიყვნენ „...ქართველებთან რელიგიაზე კამათში“[3]. „ეს აუცილებელია იმისათვის, რათა არ დაიკარგოს, როგორც ერთ ისე მეორე მხარესთან [მიღწეული] მონაპოვარი, რადგან ერთხელაც, ისინი ერთმანეთთან გაერთიანებულნი ჩვენ გაგვაძევებენ“[4]- წერდა კონგრეგაციას ერთ-ერთი მისიონერი. მიუხედავად ამისა, გორის მისიონში გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა სწორედ ამ დევნის ჟამს აქ კათოლიკობა მიუღია ოთხ წარჩინებულ მოსახლეს, „...ხოლო მათთან ერთად, მცირე დროის განმავლობაში, კიდევ 20...“ კაცი გადასულა კათოლიკობაზე[5]. „დიდად იკლო იმათ შიშმა, ვინც ჩვენს მისიონერებთან მოდიოდნენ და ეშინოდათ, რომ დევნას დაუწყებდნენ. თანდათანობით შეწყდა კათოლიკეებზე თავდასხმები, რამდენადაც კათოლიკე გახდა ის ოთხი წარჩინებული კაცი; შეიძლება გვქონდეს იმედი სულების კიდევ მეტ მოსავალზე. გორიდან ჩემი გამომგზავრების დროისათვის მყავდა ოცდაათი... კათოლიკე, სხვები კი მზათ

[1] იგულისხმება ქართლის მეფე.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., f. 39r.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., f. 39r.

[4] Ibid.

[5] Ibid.

იყვნენ ჩვენს სარწმუნოებაზე გადმოსასვლელად“[1] – აუწყებდა პროპაგანდას კაპუცინი მისიონერი ანტონიო რომანო. აქვე საგულისხმოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ გორის მისიაში კათოლიკე ქალებს „მედასავლეთეებს“ ეძახდნენ. ავტორი წერს: „....ქალი-კათოლიკეები...არიან დაბნეულები, რადგან ეშინიათ...ატარონ „მედასავლეთე“ [ქალის] მეტსახელი, რომელიც შეურაცხყოფად ითვლება სომხებში...“[2]. ეს ინფორმაცია კარგად ავლენს იმ ფაქტორს, რომ კათოლიკე, რომელიც სახელწოდება „ფრანკთან“ იგივდებოდა, ახლა, ჩანს, „მედასავლეთეს“ სახელს იმკვიდრებდა, რაც სომხურ თუ ქართულ მენტალიტეტში, ალბათ, „უცხოს“, „არათავისიანის“ მნიშვნელობას ატარებდა.

1718 წელს ისევ განახლდა ეჩმიაძინის პატრიარქის ხელმძღვანელობით კათოლიკე პატრების დევნა, რომელიც 1719 წელს ვახტანგის საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეწყდა[3].

პროპაგანდა ფიდეს 1720 წლის აქტში, რომელიც ეყრდნობა ისპაანის ეპისკოპოსისა და სამოციქულო ვიკარის ბარნაბა ფედელის ამავე წლის 7 მაისის ინფორმაციას, ვკითხულობთ, რომ ვახტანგ VI კათოლიკური სარწმუნოებისადმი დიდ პატივისცემასა და მიდრეკილებას იჩენდა. იგი განსაკუთრებულ პატივისცემას აველნდა კათოლიკე მამების მიმართ. „ზემოხსენებული მეფე (ვახტანგ VI – ავტ.) – აუწყებდა ბარნაა ფედელი პროპაგანდის პრეფექტს, – თავის მხრივ თხოვს მის მაღალ ღირსებას, რომ ჩათვალოს ღირსად, გაუგზავნოს [მას] რამდენიმე მისიონერი, რომლებიც განსწავლული იქნებიან ფილოსოფიაში, ეცოდინებათ მათემატიკა და ასტროლოგია. ეს უკანასკნელი ორი (დარგი – ავტ.) მეცნიერებისა მას მეტად იტაცებს და ძალიან დიდ სიამოვნებას მიანიჭებს, თუ ამ საქმის პროფესიონალებს გაუგზავნიან“[4]. უდავოა, აქედან ნათლად ჩანს მეცნიერი მეფის სულიერი და გონებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი. აკი ამიტომ თხოვდა პროპაგანდას ხსენებული ბარნაბა, გაეგზავნათ ვახტანგ მეფისათვის ისეთი წიგნები, რომელიც მის სულიერ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა[5].

საქართველოში მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1722 წლის 8 მარტს ავღანთა წინამძღოლმა მირ მაჰმუდმა სეფიანთა დინასტიას ბოლო მოუღო და ირანი დაიპყრო. ეს ხელს უხსნიდა თურქეთს ამიერკავკასიისა და ირანის წინააღმდეგ მოქმედებებისაკენ. ასეთ ვითარებაში მიზაანშეწონილი გახდა

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., f. 40r.

[2] Ibid, f. 40v.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 46.

[4] იქვე, ფურც. 58.

[5] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 58.

რუსეთის მეფე პეტრე I-ის ლაშქრობა კასპიისპირეთში 1722-1723 წლები. რუსეთის ამ ლაშქრობაში ვახტანგ VI გამოვიდა პეტრე I-ის მოკავშირედ[1]. 1722 წელს მიღწეულ იქნა პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ს შორის სიტყვიერი შეთანხმება ირანის წინააღმდეგ ერთიანი სამხედრო მოქმედების შესახებ[2]. ამ კავშირის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთის ჯარს ქართველ-სომეხთა შეიარაღებული ძალების დახმარებით უნდა დაეკავებინა კასპიისპირა ოლქები. თავის მხრივ პეტრე I-ის შესაძლებლობის მიხედვით დახმარება უნდა გაეწია აღმოსავლეთ საქართველოს ირანის უღლისაგან გასათავისუფლებლად[3].

შეიქმნა ასეთი ისტორიული ვითარება: თუ სეფიანთა სახელმწიფოს დაარსებასა და განმტკიცებაში (1502 წ.) ქართველებმა გარკვეული როლი შეასრულეს, ახლა მათ უნდა გადაერჩინათ ეს 200 წლოვანი დინასტია. თუ მაშინ ქართველები სეფიანთა სახელმწიფოს გაძლიერებაში ხედავდნენ ოსმალეთის საპირისპირო ძალას, ახლა ვახტანგ VI რუსეთის სახით ხედავდა ორივე მტრის საპირისპირო ძალას, რაც რეალურ საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა და თავად კი რუსეთის ავანტიურის მონაწილე გახდა.

---

[1] **პაიჭაძე გ.,** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1960; **მისივე,** ვახტანგ მეექვსე, თბ., 1981; **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთირთობანი, გვ. 75.

[2] იქვე, გვ. 73.

[3] იქვე, გვ. 74-94.

## *კიდევ ერთი დიპლომატიური მცდელობა დასავლეთში*

ვახტანგისეულ რუსულ პოლიტიკას განხორციელება არ ეწერა. აარიდა რა თურქეთთან შესაძლო ომს თავი, პეტრე I-მა ანტიირანულ სამხედრო ავანტიურაში ჩათრეული ვახტანგ VI[1] ახლა სულთანს პირისპის შეატოვა. ვახტანგი ხედავდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი წარმატებას ვერ აღწევდა (თუმცა მან საბოლოოდ მაინც ვერ გაარკვია პეტრე I-ის ვერაგული პოლიტიკის არსი). ამიტომ გადაწყდა, კიდევ ერთხელ ეთხოვა შველა დასავლეთ ევროპისაგან. 1722 წლის 29 ნოემბერს ვახტანგმა წერილობით მიმართა პაპს ინოკენტი XIII-ს და ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს, რათა მიეღო მათგან დახმარება თურქეთისაგან მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ 1722 წლის სექტემბრის დასაწყისში რუსეთის იმპერატორი პეტრე I კასპიისპირეთის ლაშქრობიდან უკან დაბრუნდა. ამით ჩაიშალა ირანის წინააღმდეგ ქართლის მეფე ვახტანგ VI მიერ რუსეთთან სიტყვიერად მიღწეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გეგმა. მომდევნო წლისათვის რუსეთის ჯარის საორჭოფო ლაშქრობის მომლოდინე ვახტანგ VI დილემის წინაშე აღმჩნდა. მას არც ძალაწართმეული ირანის შაჰი ენდობოდა და არც თბილისის დასაკავებლად გამზადებული სულთანი. ამ ვითარებაში ქართლის მეფეს ერთდროულად უნდა მოეხდინა კახეთის რენეგატი მეფის კონსტანტინე II-ის პოზიციის პარალიზება, სულთანის დაჟინებითი მფარველობის უარყოფა და შაჰსა და პეტრე I-ს შორის შუამავლობის გაწევა. რა თქმა უნდა, ეს ვახტანგის ძალებს აღემატებოდა[2].

პეტრე I-ის დარუბანდიდან უკან ასტრახანში დაბრუნება სტამბულში დიდ სიხარულს იწვევდა. მიუხედავად ამისა, თურქეთის ცენტრალური მთავრობა საქართველოს წინააღმდეგ აშკარა სამხედრო მოქმედების დაწყებას ორი მიზეზით არ ჩქარობდა: პირველი, საჭირო იყო თურქეთის ჯარის სათანადო მომზადება და მეორე, რუსეთის წინააღმდეგ შესაძლო ომში გაერკვია დასავლეთის და, განსაკუთრებით ინგლისის, დიპლომატიის პოზიციები[3].

ასეთ ვითარებაში 1722 წლის 29 ნოემბერს ვახტანგ VI-მ წერილობით მიმართა რომის პაპ ინოკენტი XIII-ს (1721-1724)[4] და რომის საღვთო იმპერიის

---

[1] **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 244.

[2] ვრცლად. იხ: **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 73-94; **მამისთვალიშვილი ე.**, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 238-244.

[3] **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 95-131.

[4] პროფ. ი. ტაბაღუამ სამართლიანად შენიშნა, რომ ვახტანგ VI-მ წერილობით მიმართა პაპ ინოკენტი XIII-ს. (**ტაბაღუა ი.,** ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს

იმპერატორს კარლ VI-ს (1711-1740), რათა თურქეთიდან მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ დახმარება მიეღო[1].

ქართლის მეფე რომის პაპს წერდა: „უნეტარესო მამაო, ვინაიდგან დავითის მიერ დადგენილი ხართ ყველა ქრისტიანების წინამძღვრად და თავად. თქვენს მამობრივის სიყვარულით აღვსილ გულს მეტად სამწუხაროდ დაურჩება მოსმენა ეგოდენი შეწუხებისა და ტანჯვისა, რის გამო თქვენი შვილები კვნესიან. ოსმალების მთავარი (სულთანი – ავტ.) აწ ამზადებს ჯარს ჩვენის საზღვრების ახლოს, რათა ჩვენი სამთავრო (სამეფო – ავტ.) ერთან მოაოხრონ და ეგრეთვე აქაურობაში ერთიან მოსპონ ქრისტიანობის სახელიც. ასეთ მწუხარებაში მყოფთ ჩვენ სხვა გზა აღარა გვაქვს, მის მეტი რომ მივმართოთ თქვენს მამობრივს წიაღს და მზრუნველობას. მხოლოდ მას შეუძლია ქრისტიანე მთავრების (ევროპის ქრისტიანი ხელმწიფეების – ავტ.) ძალით, ან მათის შუამდგომლობით ოსმალეთის მთავრობის მუქარა არ აასრულებინოს და ჩვენი ქვეყანა არ ააოხრებინოს. თუმცა ეს ერი უღირსია თქვენის უწმინდესობის მფარველობისა, რადგან მათგანი მომეტებული არ ემორჩილებიან თქვენს წმინდა საყდარსა. გარნა მე გპირდებით ვცხოვრობდე თქვენს მორჩილების ქვეშ წმინდა კათოლიკე სარწმუნოების აღმასრულებელი. როგორც ჩემი წინაპარნი: სამწუხაროდ, აქაური უბედურება და ხალხის ღალატი ნებას არ მაძლევს ცხადად ვაღიარო კათოლიკობა. ვინაიდგან მამის სიკეთე დიდად შეეწევა ჭეშმარიტების ერთობაში განყრილ შვილთ შემოყვანისა, კვალად ჰყავთ იმ კათოლიკეთათვისაც, რომლებიც ბლომად არიან ამ ჩვენს სამთავროში. ჩემ მოვალეობად ჩავრაცხე, რომ გაცნობოთ ეს გარემოება და ამნაირი გაჭირვებაში ვედრებით ვითხოვო თქვენი მფარველობა და კურთხევა.

ამ მხარეს მაჰმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამის გამო ვერ შევიძელი, რომ თქვენთვის გვეახლებინა ხარისხოვანი ვინმე პირი“[2].

ჩვენ სრულად მოვიტანეთ ვახტანგ მეფის წერილი რომის პაპისადმი. მასში აშკარად ჩანს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მეფის გოდება. სულისშემძვრელია მისი სიტყვები: „თქვენს მამობრივის სიყვარულით აღსავსე გულს მეტად სამწუხაროდ დაურჩება მოსმენა ეგოდენი შეწუხებისა და ტანჯვისა, რის გამო თქვენი შვილები კვნესიან“. ამით ვახტანგი პაპს დაუფარავად მიანიშნებდა რომ აღმოსავლეთში, როგორც წმ. ტახტის, ასევე დასავლეთის კათოლიკე მესვეურთა დასაყრდენი ქრისტიანი ქართველები ერთიანი გაქრობის წი-

---

ურთიერთობა ავსტრიასთან) // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XLVII, №1, თბ., 1967, გვ. 243) და არა პაპ ინოკენტი XII-ს, როგორც ეს მიაჩნდა პატივცემულ მ. თამარაშვილს (**თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 340))

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორის კათოლიკობისა..., გვ. 340-341; **ტაბაღუა ი.,** ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან), გვ. 243; **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარი, თბ., 1979, გვ. 79; **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,... გვ. 244.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლოკობისა ქართველთა შორის, გვ. 340.

ნაშე დგანან და ამ საქმეში ქრისტიანობა უზენაესი კატეგორიითა წარმოდგენილი, ვიდრე კათოლიკობა ან მართლმადიდებლობა. ამ განსაცდელის ჟამს საქართველოს სახით ქრისტიანობა იყო გადასარჩენი, თუმცა ვახტანგ VI პაპის შვილად და კათოლიკედ მიიჩნევს თავს. მაგრამ ეს სავსებით არ ნიშნავს, როგორც ამას მ. თამარაშვილი ფიქრობს, რომ „...ვახტანგმა კათოლიკე სარწმუნოება მტკიცედ დაიცვა და რუსეთს წასული კათოლიკედ მიიცვალა“[1]. ეს ამ საკითხის პრიმიტიული ახსნა იქნებოდა. წერილი უდაოდ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და საქართველოში მცხოვრები კათოლიკეთა დაცვის მოტივითა და შესაფერისი გარემოების დადგომის შემთხვევაში ვახტანგის მიერ კათოლიკური სარწმუნოების საჯაროდ აღიარება ერთ-ერთი დიპლომატიური ხერხია იმ ამოცანის მისაღწევად, რასაც ქართლის მეფე ისახავდა მიზნად. მოცემულ შემთხვევაში ქართლის მეფეს სხვა ხელჩასაჭიდი რომის პაპის წინაშე არაფერი ჰქონდა. საკუთრივ კი ვახტანგ VI-მ, როგორც წინათ, 1719 წლის აგვისტოდან, როცა ირანიდან საქართველოში დაბრუნდა განაგრძო კათოლიკეთა დაცვა, „...რისთვისაც რომმა დიდი მადლობა შესწირა“[2].

როგორც ვხედავთ, წერილში დაკონკრეტებული არ არის, თუ რომელი კათოლიკე სუვერენის წინაშე სთხოვდა ვახტანგ მეფე პაპს შუამდგომლობას, რათა საქართველოს წინააღმდეგ „...ოსმალეთის მთავრობას თავისი მუქარა არ აასრულებინოს...“. ამის გამო პირდაპირ ვერ ვიტყვით, რომ ვახტანგი პაპს რომის საღვთო იმპერიის იმპერატორ კარლ VI-ის წინაშე სთხოვდა შუამდგომლობას. როგორც ითქვა, წერილში ადრესატი დასახელებული არ არის. აქ ზოგადად, მრავლობით რიცხვშია დასმული დასავლეთ ევროპის „ქრისტიანე მთავრები“ ანუ კათოლიკე ხელმწიფეები, რომელთა წინაშე პაპს უნდა ეშუამდგომლა. თუ ამ აზრს მივიღებთ სარწმუნოდ, მაშინ გამოდის, რომ ვახტანგ VI პაპ ინოკენტი XIII-ს დასავლეთ ევროპის ნებისმიერ კათოლიკე ხელმწიფის წინაშე სთხოვდა შუამდგომლობის გაწევას. სწორედ ამის გამო პირდაპირ არაა დასახელებული ავსტრიის სამეფო კარი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ვახტანგ მეფე რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს კარლ VI მიმართავდა დახმარებისათვის ოსმალეთის აგრესიის თავიდან ასაცილებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგი პირველ რიგში პაპს იმპერატორ კარლ VI-ის წინაშე სთხოვდა შუამდგომლობას. თუმცა, ვიმეორებთ, ეს არ გამორიცხავდა დასავლეთ ევროპის კიდევ სხვა რომელიმე ქვეყნის წინაშე შუამდგომლობასაც, რომელთანაც საქართველოში კათოლიკეთა დაცვისა და საერთოდ ქრისტიანობის გადარჩენის საბაბით რომის პაპს, ალბათ, საკუთარი შეხედულებით უნდა ემოქმედა.

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლოკობისა ქართველთა შორის, გვ. 341.

[2] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 613; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 671.

ერთი სიტყვით, ვახტანგ VI-ის მიმართვას რომის პაპ ინოკენტი XIII-სადმი რაციონალური შინაარსი უდაოდ ჰქონდა, მაგრამ ზუსტად ამ დროისათვის „ წმინდა ტახტის პოლიტიკური და დიპლომატიური პრესტიჟი მნიშვნელოვნად დაქვეითებული იყო“[1]. უფრო მეტიც, მძიმედ ავადმყოფი ინოკენტი XIII არ სარგებლობდა განსაკუთრებული გავლენით, როგორც რომში, ასევე დასავლეთის საერთაშორისო ურთიერთობებში[2], თუმცა პაპი ვენეციელებსა და განსაკუთრებით მალტელებს თურქებთან ბრძოლაში ეხმარებოდა“[3]. ასევე ამ პაპმა 1722 წლის 9 ივნისს, ე.ი. ვახტანგ მეფის მისადმი მიწერილი წერილიდან 4 თვით ადრე, ნეაპოლისა და სიცილიის ტახტზე აკურთხა კარლ VI და იმპერატორს გაუგზავნა ერთგულებასა და კავშირზე ფიცი[4],რაზეც ყოველთვის უარს ამბობდნენ წინამორბედი პაპები[5].

ვახტანგVI-მ პაპთან ერთად 1722 წლის 29 ნოემბრის თარიღით წერილები მისწერა ავსტრიის ელჩს კონსტანტინოპოლში იოზეფ ფონ დირლინგსა[6] და იმპერატორ კარლ VI. ოსმალთა საფრთხის წინაშე პირისპირ დარჩენილი პეტრე I-ის მოკავშირე ვახტანგ VI ავსტრიის ელჩს კონსტანტინოპოლშიწერდა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, გაცნობებთ თქვენ, როგორც მისი უდიდებულესობა იმპერატორის სრულუფლებიან წარმომადგენელს პორტაში, რომ ამჟამად იქაური მაჰმადიანი მმართველი თავს უყრის ჩვენს საზღვრებთან ახლო მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს, რათა ჩვენზე მოულოდნელი თავდასხმით გაანადგუროს ჩვენი სამფლობელო და ძირფესვიანად აღმოფხვრას აქ ქრისტიანული სახელის ყოველგვარი ხსენება.

გვწამს რომ განსაცდელი და ტანჯვა აქაური უბედური ქრისტიანებისა, რომელთა შორის არის ბევრი ადამიანი, რომელიც კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებს, გამოიწვევენ თქვენს გულში სინანულის გრძნობას, და...ვევედრები თქვენს გულმოდგინებას ქრისტიანობისათვის, რათა თქვენ პირადად აიღოთ თქვენ თავზე პორტაში ყველაზე ქმედითი შუამდგომლობა, რაზედაც გევედრებით და ვლოცულობ თქვენზე სავსებით დარწმუნებული, რომ ღმერთი ერთი ასად მიგიზღავთ თქვენ და თავისი სურვილისამებრ წარმართავს იმპერატორის იარაღს.

წერილი, რომელიც თან ერთვის, გთხოვთ კეთილი ინებოთ, გადაუგზავნოთ იმპერატორს. ამჟამად ჩვენ საზღვრებთან გზებს მაჰმადიანები (ე.ი. თურქები – ავტ.) სდარაჯობენ, რაც არ მაძლევს საშუალებას ეს წერილი ერთ-ერთი ჩემი შიკრიკის ხელით გამოგიგზავნოთ.

---

[1] **Норвич Дж.,** История Папства / Пер. с англ. А. В. Короленкова и Е.А. Семенвой, М., 2014, с. 448.

[2] Тамже, с. 452-455.

[3] Тамже, с. 456; **Claudio Rendina**, I papi, Roma, Ed. Newton Compton, 1990, p. 200.

[4] **Claudio Rendina**, I papi, Roma, Ed. Newton Compton, 1990, pp. 201-204.

[5] **Норвич Дж.,** История Папства, с. 456.

[6] იოზეფ ფონ დირლინგი ავსტრიის ელჩი კონსტანტინოპოლში 1720-1728 წლებში.

თქვენო უმაღლესობავ, თქვენი უმორჩილესი მსახური ვახტანგი, საქართველოს მეფე. თბილისი, 1722 წლის 29 ნოემბერი“[1]

დირლინგთან გაგზავნილ წერილს თან ერთვოდა რომის საღვთო იმპერიის იმპერატორისათვის გადასაგზავნი წერილი. ვახტანგი კარლ V-ს წერდა:

„საღვთო და საიმპერატორო უდიდებულესობავ, ოჰ, ხელმწიფევ, ღვთისაგან ამაღლებულო საიმპერატორო ტახტზე, რათა თქვენი უმაღლესი ხელისუფლებით მფარველობა გაუწიოთ ყველა ქრისტიან ხალხს და დაიცვათ ყველა კანონი, რათა თქვენი გულმოწყალებით გამოეხმაუროთ იმ წვალებას და სიმძიმეს, რომელსაც განიცდის ქრისტეს სახელისათვის ეს ხალხი.

ამჟამად, მაჰმადიანი მბრძანებელი აგროვებს ჯარებს ჩვენ საზღვრებთან ახლოს, რათა გაანადგუროს ჩვენი სამფლობელო, ძირფესვიანად აღმოფხვრას აქ ქრისტიანული სახელის ყოველგვარი ხსენება.

ამ მძიმე ვითარებაში ჩვენ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი, მივმართოთ თქვენს გულმოწყალებას, მოგმართავთ რა თქვენ თხოვნით, აიძულოთ მაჰმადიანები (თურქები – ავტ.), ძალით (იგულისხმება ძალის დემონსტრირებით – ავტ.) ან პორტაში თქვენი ელჩის საშუალებით, შეაჩერონ ჩვენზე გამანადგურებელი ლაშქრობა, რომლითაც ისინი ჩვენ გვემუქრებიან. და, თუ აქაური ხალხის, რომლებიც იმყოფებიან თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ, უმრავლესობა არ იმსახურებს ამ პატივს – რადგანაც გაეყარნენ ჭეშმარიტ რომაულ ეკლესიას, მაინც მეტად მრავალად არიან ჩვენს სამფლობელოებში კათოლიკეები, და მათ რიცხვში მეც, ჩემი რწმენით, თუმცა ამ ადგილებში არეულობა ჯერ კიდევ საშუალებას არ მაძლევს გავამხილო ეს. ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, მაინც ვაცნობო თქვენს უდიდებულესობას, ვინაიდან თქვენი გულმოწყალე მფარველობა აქ მცხოვრებ კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტი შვილებისადმი იქნება მეტად ნაყოფიერი საშუალება, რათა კვლავ გაერთიანდნენ გათიშულნი და მოექცნენ ისინი ჭეშმარიტ, ნამდვილ სარწმუნოებაში. ამიტომ უმორჩილესად გევედრებით თქვენ კეთილ დაცვაზე.

მაჰმადიანების მიერ გზები დაკავებულია, რაც ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს გამოგიგზავნოთ თქვენ ეს მიმართვა ჩვენი შიკრიკის ხელით.

თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობავ, თქვენი უმორჩილესი მსახური ვახტ ანგ, საქართველოს მეფე. თბილისი, 1722 წლის 29 ნოემბერი“[2].

---

[1] ამ წერილს ავსტრიის სახელმწიფო არქივში (Österreichisches Staatsarchiv. Wien. Turkai, I. Kart, 190) პირველმა მიაკვლია პროფ. ილია ტაბაღუამ და სრულად გამოაქვეყნა. ; **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი, გვ. 77-78; **ტაბაღუა ი.,** ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან) გვ. 244.

[2] **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე, გვ. 78-79; **ტაბაღუა ი.,** ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან), გვ. 244-245; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 341. ჩვენ ვარჩიეთ ვახტანგ მეფის ამ წერილის თარგმანი აგვეღო პროფ. ი. ტაბაღუასაგან, რადგან იგი სრულად გადმოსცემს

იტალიურ ენაზე დაწერილ ამ წერილს ვახტანგ VI-ის ქართულად შესრულებული ხელმოწერა ერთვის.[1] ძნელი მისახვედრი არაა, რომ წერილი ვახტანგ VI-ის კარნახით თბილისში, ალბათ, იტალიურ ენაზე რომელიმე იტალიელმა მისიონერმა, სავარაუდოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ „...1716 წლის მაისის შუა რიცხვებში...“ საქართველოში ჩამოყვანილ 12 კაპუცინთაგან[2] ერთ-ერთმა, დაწერა. თუ ვახტანგVI-ის ამ და პაპისადმი მიწერილ წერილებს ერთმანეთს შევადარებთ, ადვილად ვნახავთ, რომ ისინი ერთმანეთისაგან არსობრივად არ განსხვავდებიან, თუმცა არის რიგი ნიუანსები, რომელზეც გვინდა ყურადღების გამახვილება.

ჩვენ ვახტანგ VI-ის სამივე წერილი სრულად მოვიტანეთ. მათში მარტივი დიპლომატიური ენით, ისე რომ აზრი არ მოითხოვს დამატებით განმარტებას, გადმოცემულია ქართლის მეფის სათხოვარი და მიზანი. ცნობილია, რომ კარლ VI-სადმი წერილის მიწერის დროს ვახტანგ VI-ის რუსული პოლიტიკის შედეგად საქართველო თავის დასასრულთან ახლოს იმყოფებოდა. მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით ვახტანგ VI-მ, როგორც რომის პაპს, ასევე რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს, ქრისტიანობის, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში მცხოვრები კათოლიკეების დაცვის საბაბით, „გულმოწყალე მფარველობას“ თხოვდა, რათა ოსმალებს ხელი აეღოთ საქართველოს დაპყრობაზე. თუ იმპერატორის კარი ამ უბედურ შემთხვევას საქართველოს თავიდან აარიდებდა, მაშინ ქართლის მეფე რომაულ-კათოლიკური და ქართულ-მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანებას პრაქტიკულად განახორციელებდა. ძნელია იმის მტკიცება, თუ რამდენად გულწრფელი იყო ვახტანგი ამაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რელიგიური ფაქტორი იყო ის მწირი დიპლომატიური საშუალება, რომელიც მოცემულ შემთხვევაში პეტრე I-თან მოკავშირეობის გამო დილემის წინაშე მდგარი ვახტან VI-ის ხელში რჩებოდა. ძნელია ითქვას, თუ რამდენად ერკვეოდა ვახტანგ VI იმაში, რომ XVIII საუკუნის დასაწყისიდან რელიგიურმა ფაქტორმა საერთაშორისო ურთიერთობეში სრულად დაკარგა არსებითი როლი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ვახტანგ მეფემ კარგად იცის, რომ რელიგიურ მოტივების გამოყენება არაა გამორიცხული საერთაშორისო ურთიერთობებში, ყოველ შემთხვევაში, თუ განზრახულია ირანისა და ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანების, უპირატესად კათოლიკეების, დაცვა. ეს პრაქტიკულად გამოსცადა ქართლის მეფემ საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ისრელიგიუ-

---

იტალიური დედნის შინაარსს, ვიდრე მ. თამარაშვილთან, რაც დაზღვეული არ არის რიგი უზუსტობებისაგან.

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე, გვ. 79, სქოლიო 1.

[2] **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 258; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 334.

რი პოლიტიკის მაგალითზე ირანში 1708-1715 წლებში[1]. რაც შეეხება ამ თვალსაზრისით კარლ VI-თან ურთიერთობას, მართალია, ამის შესახებ პირდაპირი წყაროები არ გაგვაჩნია, მაგრამ გვაქვს ერთი ირიბი წყარო, რომელიც გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას:

1717 წლის სექტემბერში[2] ეჩმიაძინის პატრიარქისა და მისი ვიკარის მინას ვართაპეტის ხელმძღვანელობით თბილისში განახლდა კათოლიკე მისიონერთა მანამდე გაუგონარი დევნა[3]. ამ ფაქტმა დიდად შეაშფოთა წმ. ტახტი და „რომიდან მაშინვე მისწერეს ევროპის ყველა მთავარს (ე.ი. მეფეებს – ავტ.), რათა სპარსეთის ყეენისათვის წიგნი მიეწერათ სომხების დასასჯელად და კათოლიკეების დასაფარავად“[4]. წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ძალისხმევის შედეგად საქმეში, გარდა ვენეციის, ტოსკანის მმართველებისა და საფრანგეთის მეფისა, ჩაერია „ავსტრიის იმპერატორი“[5] კარლ VI. ამ უკანასკნელს საფრანგეთის მეფესთან ერთად 1719 წლის 18 თებერვლამდე წერილი მიუწერია ირანის შაჰისათვის, რათა კათოლიკე მისიონერთა დევნა შეეწყვიტათ და დამნაშავეები დაესაჯათ.[6] მართალია, თბილისში ატეხილი ანტიკათოლიკური შფოთი სულხან-საბა ორბელიანმა მეფე ბაქარ ვახტანგის ძის დახმარებით დააშოშმინა[7], მაგრამ იგი ძირითადად შეწყდა 1719 წელის აგვისტოში, ვახტანგ VI-ის ირანის „ტყვეობიდან“ დაბრუნების შემდეგ[8].

ყოველივე ეს იმისთვის მოვიხმეთ, რომ გვეთქვა: შეუძლებელია ვახტანგ VI-ს, მით უმეტეს იმჟამად ირანში მყოფს, არ გაეგო, თუ როგორ ჩაერია იმპერატორი კარლ VI ირანის ქვეშევრდომ ტერიტორიებზე კათოლიკე მისიონერებისა და აქ მცხოვრები კათოლიკეების დაცვის საქმეში. ვფიქრობთ, ამ ფაქტს ეყრდნობოდა ვახტანგ VI-ის თხოვნა იმპერატორ კარლ VI-სადმი, რომ მას, ვითარცა კათოლიკური სამყაროს საერო ხელისუფალს, ზუნვის საგნად ამ კრიტიკულ სიტუაციაში ექცია ქრისტიანების დაცვის უზრუნველყოფა აღმოსავლეთში და კერძოდ, საქართველოში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვახტანგ მეფეს ვენის

---

[1] დაწვრ. იხ: **ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 60-78, 235-281; **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 27-38.

[2] ჩვენს ადრეულ ნაშრომში შეცდომით მივიჩნევდით 1718 წელს. **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 258.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 335-337; **Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 610-613; **თამარაშვილი მ**., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 670-671.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 337.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 338.

[6] იქვე, გვ. 337-338.

[7] იქვე, გვ. 337.

[8] **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 258.

საიმპერატორო კარის მიერ ირანსა და საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა დაცვა კარლ VI-ზე პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებად მიაჩნდა.

აქვე აუცილებელია შევეხოთ ერთ საკითხსაც. პროფ. ი. ტაბაღუამ ავსტრიის სახელმწიფო არქივში მიაკვლია იტალიურ ენაზე ხელით შედგენილ საქართველოს რუკას, რომელიც ვახტანგ VI-ის მიერ იმპერატორ კარლ VI-სადმი გადასაგზავნ წერილს ახლდა. მეცნიერის აზრით, იგი ან კონსტანტინოპოლში შეადგინეს, ან ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში[1]. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ეს რუკა კონსტანტინოპოლში გაამზადეს, რათა ავსტრიის ელჩს ჟოზეფ ფონ დირლინგს წარმოდგენა შეექმნა თავისი მთავრობისათვის საქართველოზე. გამორიცხული არაა, რომ ეს რუკა რომელიმე იტალიელმა მისიონერმა გაამზადა საქართველოში, რათა ხსენებული წერილისათვის მეტი დამაჯერებლობა შეეძინა. ასევე ვენის საიმპერატორო კარზე შეექმნათ წარმოდგენა, თუ ფიზიკურად რომელი ქვეყნის დაცვას ეხებოდა საქმე და რამდენად შეიძლებოდა მომავალში იგი ეხილათ რომის საღვთო იმპერიის მოკავშირედ აღმოსავლეთში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გაურკვეველია, თუ რაში მდგომარეობდა ვახტანგ VI-ის დიპლომატიის ავსტრიული ასპექტი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჰქონდა თუ არა ვახტანგის დიპლომატიურ მცდელობას რეალური საფუძველი. ამ პრობლემის გასარკვევად ჩვენ პირდაპირი წყაროები არ გაგვაჩნია. ამიტომ, ცხადია, უტყუარი დასკვნების გაკეთება გაჭირდება, მაგრამ ირიბი მასალების საფუძველზე შევეცდებით რეალობასთან მიახლოებული ვარაუდებისა თუ დასკვნების გაკეთებას.

როგორც ცნობილია კონსტანტინოპოლში ინგლისის ელჩი ა. სტანიანი მიზანმიმართულად ცდილობდა[2], რომ დაეშინებინა თურქეთის ცენტრალური მთავრობა რუსეთ-ავსტრიის კავშირის დადების შესაძლებლობით; რაც შეეხება საფრანგეთის კონსტანტინოპოლელ ელჩს მარკიზ დე ბონაკს, მის მიზანს შეადგენდა, რომ ხელი შეეშალა რუსეთ-ავსტრიის დაახლოებისათვის[3].

თურქეთის დიპლომატია კარგად ხედავდა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურ ამოცანებს. ამიტომ სულთანი აჰმედ III ცდილობდა, ამიერკავკასიის მიმართ თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში რუსეთთან ომის გარდუვალობის შემთხვევაში ავსტრიის მხრიდან უშიშროების გარანტია მიეღო[4].

ინგლისელ ისტორიკოსს მ. შეის, ვენეციის ელჩების წერილების საფუძველზე, თავის ნაშრომში, არაერთხელ აქვს ნაჩვენები თურქეთის ცენტრალური მთავრობის მცდელობა-გაერკვია, თუ რა პოზიციას დაიჭერდა იმპერა-

---

[1] **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარი, გვ. 79.

[2] დაწვრ. იხ: **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტკური ურთიერთობანი, გვ. 126-133.

[3] **პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტკური ურთიერთობანი, გვ. 131.

[4] იქვე, გვ. 134.

ტორი კარლ VI რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელ ომში[1]. ირანელი ისტორიკოსი მ. ჰექმათი წერს: „პორტა ცდილობდა, არ ჩაბმულიყო ომში ავსტრიის წინააღმდეგ..., რადგან ანგარიშს უწევდა მისგან მოსალოდნელ საშიშროებას[2].

ავსტრიის საელჩოს თანამშრომელი ნიკოლო თეილსი 1722 წლის 26 სექტემბრის რელაციაში იუწყებოდა: „პორტა დიდი საიდუმლოებით იცავდა მეფის (პეტრე I-ის – ავტ.) მნიშვნელოვან უწყებებს. მე ვცდილობდი, გამეგო პორტას საიდუმლო მიზანი, თუ რატომ სთხოვდა დიდვეზირი ბატონ დირლინგს უავგუსტესი ბატონის (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი კარლ VI – ავტ.) გადაწყვეტილებების გაგებას“[3]. აქვე ავტორი მოკლედ აღნიშნავდა: „...პორტა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა უავგუსტეს ბატონთან (კარლ VI-სთან – ავტ.) მეგობრობას“[4]. ამ ვრცელ წერილში, რომელშიც მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია კასპიისპირეთში პეტრე I-ის ლაშქრობისა და მასთან დაკავშირებული წარმატებების შესახებ, ვკითხულობთ: „მე, როგორც ერთგული ვასალი უავგუსტესი მონარქისა (იმპერატორ კარლ VI-ისა – ავტ.)) დიდი გულმოდგინებით ვცდილობდი პორტას საიდუმლოებებს ჩავწვდომოდი... ორმაგი შრომის ფასად გავიგე, რომ აქაურმა ქრისტიანმა მინისტრებმა (ქრისტიანი ქვეყნის ელჩებმა – ავტ.) არაფერი იციან, თუ რა გადაწყვიტა პორტამ ამ დივანზე (საბჭოზე – ავტ.)....ინგლისისა და ვენეციის ელჩები სთხოვდნენ ბატონ დირლინგს, შეეჩერებინა მეფეს (პეტრე I-ს – ავტ.) ახლანდელი ექსპედიცია...“[5].

სანამ გავაგრძელებთ ჩვენი არგუმენტების გამამყარებელი სხვა წყაროების მოხმობას, გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგს. ჩვენს ხელთ არსებული ავსტრიის სახელმწიფო არქივის მასალები ეკუთვნის კონსტანტინოპოლში ავსტრიის საელჩოს თანამშრომლს ნიკოლო თეილსს. მისი ერთ-ერთი რელაციიდან ირკვევა, რომ მას მოსკოვიდან ინფორმაციას აწვდიდა საკუთარი ძმა. ნ. თეილსი წერს: „ჩემი ძმა, რომელიც დგას მეფის (პეტრე I-ის – ავტ.) სამსახურში ჩემს პატრონს (დირლინგს – ავტ.) მოსკოვიდან 3 სექტემბრის წერილში წერდა, რომ....მეფე (პეტრე I – ავტ.) წარმატებებს აღწევს კასპიის ზღვაზე (კასპიისპირეთში – ავტ.) და მჯერა, რომ მას ზურგი გამაგრებული ექნება ზემოხსენებული სამეფოდან (ქართლის სამეფოდან – ავტ.)...“[6]. ნ. თეილსს ეჭვი არ ეეჭვებოდა, რომ პეტრე I კასპიისპირეთში ლაშქრობით ეცდებოდა, თურქებზე „...პრუტზე მიყენებული

---

[1] **Shay M.L.,** The Ottoman Empire from 1720-1734 as revealed in dispatches of the Venetian baili, Urbana, 1944, pp. 95-124.

[2] **Hekmat M.A.,** Essai sur l'Histoire de relation politiques Irano-Ottomanes de 1722 a 1747, Paris, 1937, p. 133.

[3] Österreichisches Staatarchives, "Turcica", t. 90, ff. 104, 108.

[4] Ibid, f. 78.

[5] Österreichisches Staatarchives, "Turcica", t. 90, ff. 104-105.

[6] Österreichisches Staatarchives, "Turcica", t. 90, ff. 107-108.

წყენის გამო“ შური ეძია[1]. ეს ფაქტი იმიტომ მოვიხმეთ, რომ გვეთქვა ნიკოლო თეილსი კარგად ინფორმირებული პირი გახლდათ. ის თავის რელაციონებში, ყოველ შემთხვევაში რაც ხელთ გაგვაჩნია, ვენას აწვდიდა ვრცელ ინფორმაციას პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის დიპლომატიურ-პოლიტიკური და სამხედრო კავშირის შესახებ,[2] ცხადია, კასპიისპირეთში რუსეთის მეფის ლაშქრობის მიზნებთან და ამოცანებთან კავშირში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ნიკოლო თეილსი ამ ორ მხარეს შორის ურთიერთობაში რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა. 1722 წლის 12 ოქტომბრის რელაციით ის ვენას ატყობინებდა: „...თბილისის ხანმა, სპარსეთის ქვეშევრდომი საქართველოს მმართველმა (ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ – ავტ.) მეფესთან (პეტრე I-თან – ავტ.) შესახვედრად საქართველოს პატრიარქი გაგზავნა, რათა მიესალმოს და მფარველობა სთხოვოს. მეფემ (პეტრე I-მა – ავტ.) დიდი პატივისცემით მიიღო პატრიარქი და მათი საჩუქარი გვირგვინი, რომელიც არა ნაკლებ 20 ათასი პიასტრი ღირს“.[3] ასევე საინტერესოა შემდეგი ფაქტიც. ამავე წერილში ნ. თეილსი წერს: „ამჟამად მეფე (პეტრე I – ავტ.) საქართველოში აგროვებს ახალ ჯარს, მათ ამარაგებს კარგი იარაღითა და მოსავს ქრისტიანული ტანსაცმლით, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება“.[4] ამ ცნობებს ჯერჯერობით პარალელურ წყაროებს ვერ ვუძებნით და ამიტომ მათ უტყუარობასა, თუ ნატყუარობაზე აქ თავს შევიკავებთ. მთავარი იყო გვეთქვა, რომ ავსტრიის საიმპერატორო კარი წვრილმანებამდეც კი იყო ინფორმირებული ვახტანგ მეფისა და პეტრე დიდის სამოკავშირეო ურთიერთობების შესახებ და მოცემულ შემთხვევაში ხაზი ესმებოდა ერთმორწმუნეობის მნიშვნელობას ამ კავშირში.

როგორც ერთ-ერთი წყაროდან ირკვევა, ოსმალეთის ცენტრალური მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვენის საიმპერატორო კარის პოზიციას რუსეთთან ომის შემთხვევაში. ნიკოლო თეილსის უთარიღო რელაციონეში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „...უავგუსტესი ბატონის (კარლ VI-ის – ავტ.) გადაწყვეტილება მეფისადმი (პეტრე I-სადმი – ავტ.) მუდმივ მეგობრობაზე (უნდა წავიკითხოთ მოკავშირეობაზე – ავტ.) პორტაში ეჭვებს აძლიერებდა...ვეზირმა გადაწყვიტა ვენაში გაეგზავნა ვინმე ოსმან აღა კონსულის თანამდებობაზე.... და ამ გზით ვენაში გაიჩინონ ჯაშუში უავგუსტესი ბატონის (იმპერატორ კარლ VI-ის – ავტ.) გეგმების გასაგებად“[5].

ასევე ნიკოლო თეილსის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, თუ როგორ შიშობდა სულთანი, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში, ავსტრიას არ შეეტია

---

[1] Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90, f. 77.

[2] Ibid, ff. 1722, 70-80v; 93-117; 1723, 78-97v.

[3] Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90, ff. 71-71v.

[4] Ibid, f. 71v.

[5] Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90, f. 97.

თურქეთისათვის ევროპიდან. სულთანის აზრით, ასეთ „...შემთხვევაში მეფეს (პეტრე I-ს – ავტ.) ომის წარმოება წარმატებით შეეძლო....გარდა ამისა, მის უბრწინვალესობას (კარლ VI-ს – ავტ.) სურს, რომ მეფემ (პეტრე I-მა – ავტ.) პირველ და მეორე კამპანიაში ევროპის ამ მხარეში თურქები გაანადგუროს. ამით ოტომანის პორტას დიდ საფრთხეში ჩააგდებდნენ, რადგან თურქების მიერ დამორჩილებულ ევროპაში არიან დამარცხებული ბერძნები, რომლებიც მოსკოველების (რუსების – ავტ.) წეს-ჩვეულებისანი (იგულისხმება მართლმადიდებლები – ავტ.) არიან და მსგავს შემთხვევაში თურქების წინააღმდეგ იარღს მოკიდებდნენ ხელს“. „ეს აშინებდა ვეზირ ალი ფაშას,-წერს ნ. თეილსი,-,რომ ოტომანის პორტას ქვეშევრდომ ბერძნებს თურქების წინააღმდეგ იარაღი არ აეღოთ და აგზავნიდა ბრძანებებს ევროპის ფაშებთან, რათა ბერძნები განეიარაღებინათ“. „ამრიგად, - დაასკვნიდა ნ. თეილსი, - მეფე (პეტრე I – ავტ.) ამ უპირატესობის წყალობით შეძლებდა წარმატებით შეეტია თურქებისათვის ევროპული ნაწილიდან და გაგზავნოს ერთი რეგულარული ჯარის ნაწილი შირვანის პროვინციების დასაკავებლად...და ქართველებთან გასაერთიანებლად“[1]. „პორტა ეჭვობდა რუსეთ-ავსტრიის სამოკავშირეო ხელშეკრულების არსებობის შესახებ და შიშობდა კონფლიქტის შემთხვევაში არ ჩაბმულიყო ომში, რადგან მხედველობაში იღებდა თავისი ჯარისა და ფინანსების ცუდ მდგომარეობას“.[2] ავსტრიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის განეიტრალების შემთხვევაში „...პორტას შეეძლო ეფექტიანად მოეხდინა რუსეთზე ზეწოლა და უფრო მეტის მიღწევა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო“.[3]თურქებს ისიც აშინებდათ, თუ ისინი მთელ ძალებს ირანის მიმართულებით წარმართავდნენ, „...მაშინ ავსტრიის იმპერატორი არად ჩააგდებდა მის (სულთანის – ავტ.) გეგმებს და მას (კარლ V-ს – ავტ.) შეეძლო ევროპაში მშვიდობის საზიანოდ მოქმედება“[4]. სწორედ ამიტომ მიმართავდა მთელ ძალისხმევას საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში მარკიზ დე ბონაკი, რომ „...სულთანს არ მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის შემდეგ ავსტრიის სამეფო კარს თურქეთისაგან თავდასხმის საშიშროება მოეხსნებოდა ანდა, ყოველ შემთხვევაში, მისთვის (თურქეთისათვის – ავტ.) ანგარიშის გაწევისა“[5].

საგულისხმო ფაქტს ვაწყდებით ნ. თეილსის 1722 წლის ნოემბრის თვის რელაციონეში იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზნით სურდა დიდვეზირს ვენა-

---

[1] Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90, ff. 92-92 v.

[2] **Hekmat M.A.,** Essai sur l’Histoire de relation politiques Irano-Ottomanes de 1722 a 1747, Paris, 1937, p. 133.

[3] Ibid, p. 133.

[4] Ibid.

[5] **Schefer Ch**. Mémoire historique sur l’Ambassade de france à Konstantinople per le Marquis de Bonac publié avec un précis de ses négotiations à la Porte Ottomane par M. Charles Schefer Membre de l’instiu, Paris, 1894, p. 56.

ში თურქეთის საკონსულოს დაარსება. „წინა დღეებში დიდვეზირმა მოიფიქრა ვენაში გაგზავნოს ოსმან აღა, როგორც კონსული, – წერს ნ. თეილსი,-მაგრამ ის უარს ამბობს ამ თანამდებობაზე. პორტას ამ მიზეზით ბატონ დირლინგისათვის არაფერი შეუტყობინებია, რადგან უნდათ სხვა პიროვნების შერჩევა“[1]. „ამასობაში, – განაგრძობს ნ. თეილსი, – ბატონ რეზიდენტს (დირლინგს – ავტ.) შევატყობინე და ვურჩიე, ეს ამბავი შეეჩერებინა, რადგან შესაძლებელი იყო თურქებს ამ ხერხით უნდოდათ ვენაში ჯაშუში გაეჩინათ და არა ვაჭრობის ინტერესებისათვის დაეჭირათ მხარი“[2]. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის, რომ თურქეთში, რომელსაც XVIII საუკუნის ბოლომდე არ ჰყავდა მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლები საზღვარგარეთ[3], როგორც ვხედავთ იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვენის საიმპერატორო კართან სამშვიდობო ურთიერთობის შენარჩუნებას პეტრე I-თან შესაძლო ომში, რომ აუცილებლად ჩათვალეს საკონსულოს გახსნა. ამას დირლინგი შეეწინააღმდეგა იმ არგუმენტით, რომ კონსულის შენახვა ვენაში წელიწადში 12 ათასი ფლორინი დაუჯდებოდათ თურქებს, რადგან „...აქ (ვენაში – ავტ.) ყველაფერი ძვირი იყო..., ხოლო პორტას 2 ათასი პიასტრის გადახდა შეეძლო მხოლოდ“[4].

ნიშანდობლივია ვენეციის ბაილოს ჯოვანი ემოს ცნობები, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ თურქეთის ოფიციალური მთავრობა სანამ საქართველოს დასაპყრობად ჯარის გაგზავნის გადაწყვეტილებას მიიღებდა, მანამ ცდილობდა გამოერკვია, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ავსტრია. მ. შეის მიერ მოტანილ ემოს რელაციონებში ვკითხულობთ: „დირლინგს აცნობეს, რომ თურქეთის ჯარები მზად იყვნენ ერევნის დასაკავებლად და ქართველების დასამორჩილებლად. ვიღაც სანდო პირმა ემოს შეატყობინა, რომ ეს ბრძანებები გააუქმეს...“[5]. ასევე: „საქართველო რუსეთთან კავშირს არჩევდა და თურქები შიშობდნენ, რუსეთს კავშირი არ შეეკრა ავსტრიასთან“[6]. ან „თურქებმა გადაწყვიტეს, ებრძანათ იბრაჰიმ ფაშასთვის, გაელაშქრა საქართველოში..., რათა თბილისის ხანი (ქართლის მეფე ვახტანგ VI – ავტ.) თურქების ქვეშევრდომი გაეხადათ..., მაგრამ აბრკოლებდათ ის, რომ საჭირო იყო წმინდა რომის იმპერატორისაგან (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორისაგან – ავტ.) უშიშროების გა-

---

[1] Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90, f. 98.

[2] Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90, f. 97-97v.

[3] www.istoria.com/karpovsp-istorya-srednix-vekov-tom-2/183/-evropa-i-osmanskaya-imperiya-v-xvi-pervoj.html

[4] Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90, f. 97v.

[5] **Shay M.L.,** The Ottoman Empire from 1720-1734 as revealed in dispatches of the Venetian baili. Urbana, 1944, p. 101.

[6] Ibid, p. 123.

რანტია“[1]. ასეთია ძირითადად წყაროთა ის წრე, რომელიც აღნიშნული საკითხის გარშემო ამჟამად გაგვაჩნია.

ვფიქრობთ, მოხმობილი წყაროები საკმაო წარმოდგენას გვაძლევს პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობის, რუსეთ-საქართველოს სამოკავშირეო ურთიერთობისა და ამის ფონზე რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის ჩარჩოებში ავსტრიის პოზიციის მნიშვნელობაზე. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თურქეთის ცენტრალური მთავრობა, რომელიც 1716-1718 წლებში ავსტრიასთან ომში დამარცხდა და პოჟარევაცის ხელშეკრულებით ევროპაში თავდაცვაზე გადავიდა[2], სანამ ირანის მიმართულებით და აღმოსავლეთ საქართველოს დასაპყრობად ჯარს გააგზავნიდა, მანამდე ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ ავსტრიის მხრიდან საფრთხე არ ემუქრებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა თურქეთის დიპლომატიური მცდელობა, რომ ავსტრიისაგან უსაფრთხოების გარანტიისათვის მიეღწია. ასევე სულთანი ითვალისწინებდა რუსეთ-ავსტრიის კავშირის დადების შესაძლებლობას პორტას წინააღმდეგ. მოხმობილი წყაროებიდან ისიც ჩანს, რომ მოცემულ მომენტში თურქეთის იმპერიის ექსპანსიონისტური მიზნების ძირითადი მოწინააღმდეგენი ავსტრია და რუსეთი იყვნენ. ამ გარემოებას თურქეთის ცენტრალური მთავრობა, კერძოდ, დიდვეზირი ნევშეჰირლი დამად იბრაჰიმ ფაშა (1718-1730) ანგარიშს უწევდა.[3] თავის მხრივ კი რუსეთის დიპლომატია ვენაში ნიადაგს ეძებდა თურქეთთან შესაძლო ომში კავშირისათვის. ეს კი თურქეთში დიდ შიშს იწვევდა, რადგან მის ექსპანსიონისტურ გეგმებს ირანისა და ამიერკავკასიის მიმართ პარალიზებით ემუქრებოდა[4]. საბოლოოდ კი რუსეთ-ავსტრიის „დაახლოებამ აიძულა ნევშეჰირლი იბრაჰიმ ფაშა პეტერბურგთან დაედო ხელშეკრულება (იგულისხმება 1724 წლის – ავტ.) ამიერკავკასიაში რუსეთისა და ოსმალეთის სამფლობელოების გამიჯვნის შესახებ და ვენის სამეფო კართან პირდაპირ კონფრონტაციაზე უარი ეთქვა“[5].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით: ჩვენი აზრით, ვახტანგ VI დაკვირვებით ადევნებდა თვალს, ერთი მხრივ, თურქეთ-ავსტრიის ურთიერთობების, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთ-ავსტრიის კავშირების განვითარებას. დიდი ალბათობით ამაში მას ეხმარებოდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, რომელთა მეშვეობით, ალბათ, დაამყარა მან კავშირი ავსტრიის საელჩოსთან კონსტანტინოპოლში. უფრო სწორად რომელიმე კათოლიკე მისიონერმა წაიღო ვახტანგის წერილები კონსტანტინოპოლში და გა-

---

[1] **Shay M.L.,** The Ottoman Empire from 1720-1734 as revealed in dispatches of the Venetian baili. Urbana, 1944, p. 95.

[2] **Kinross Patric.** The Ottoman Centuries: The Rise and Fall of the Turkish Empire. William Morrow, 1979, p. 376.

[3] Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90, ff. 89-92v.

[4] Ibid, ff. 93-105.

[5] Всемирная история. Т. 4. Мир в XVIII веке, М., 2013, с. 200.

დასცა ავსტრიის ელჩს იოზეფ ფონ დირლინგს ადრესატებისათვის გასაგზავნად. ვახტანგი, ჩანს, სათანადოდ გაერკვა და მიიჩნია, რომ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ომის გადაწყვეტისას ანგარიში უნდა გაეწია ავსტრიის სამეფო კარისაგან მოსალოდნელი საშიშროებისათვის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგ VI-ის მიერ იმპერატორ კარლ VI-სადმი მიმართვა დახმარებაზე უკავშირდება რუსეთ-ავსტრიის დაახლოების აღნიშნულ ტენდენციას და ასევე თურქეთის მიერ ანგარიშის გაწევის პოლიტიკას ავსტრიისადმი, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ამ რთულ დიპლომატიურ ანგარიშიანობასა და კომბინაციებში საქართველო, როგორც იმდრიონდელი საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტი, რუსეთთან კავშირს შეეწირა და ინგლის-საფრანგეთისაგან ზურგმომაგრებული[1] თურქეთი უშიშრად შეუდგა საქართველოს დაპყრობას. ამან კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ხუთი სუბიექტიდან (საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია, რუსეთი, პრუსია) სამმა-საფრანგეთმა, რუსეთმა და ავსტრიამ, რომლებთანაც დააკავშირა ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ინტერესები, მათ თავიანთ მიზნებს დაუქვემდებარეს და აქედან გამომდინარე ტრაგიკულმა შედეგებმა ბევრად განაპირობა საუკუნის ბოლოს საქართველოს დაცემა.

[1] დაწვრ. იხ: პაპაშვილი მ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 126-138.

ვახტანგ VI-ის, სულხან-საბას და მათი მომხრე ევროპაზე ორიენტირებული ქართველების ხელშეწყობითა და მფარველობით საქართველოში კათოლიკობამ ფეხი მყარად მოიკიდა. 1723 წელს საქართველოდან ორი ქართველი ახალგაზრდა წავიდა რომში სასწავლებლად[1]. 1725 წლის 4 აგვისტოს პროპაგანდის კოლეჯში შევიდა 23 წლის გორელი ქართველი კათოლიკე დავით ტულიკაანთ პაპაშვილი[2]. იგი იქ მოხვდა სულხან-საბას რეკომენდაციით. „თავის ეროვნულ ენაზე (ქართულ ენაზე – ავტ.) მან შექმნა ჩინებული მოკლე გამოკვლევა ფიზიკაზე“ – ვკითხულობთ ერთ-ერთ პატარა ცნობაში[3]. 1726 წლის 10 ნოემბერს მან ფიცი მისცა, ხოლო 1732 წლის 22 მარტს დავითმა საჯარო სხდომაზე ფილოსოფიაში ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია, რომელსაც დაესწრო პროპაგანგის კარდინალ-პრეფექტი. მომდევნო წლის 21 მარტს დავითი მღვდლად ეკურთხა ლათინურ ტიპიკონზე და კაპუცინებთან მონაზვნად შევიდა[4]. დავით პაპაშვილი რიგით მეორე ქართველი იყო, რომელმაც რომში საჯაროდ დაიცვა დისერტაცია.

დავითი რომში მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. 1733 წელს მან იტალიურიდან თარგმნა „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც 1741 წელს რომში დაბეჭდა ქართველმა კათოლიკე მღვდელმა ივანე ჯიგანაშვილმა[5]. ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მისიაში 11 წლის ნამსახურებმა „ქართული და სომხური ენის პროფესორმა“ კაპუცინელმა პატრმა კლაუდიო რეჯიელმა[6]. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავითს არ შეუწყვეტია მთარგმნელობითი მუშაობა. ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში მან თარგმნა თომა კემფელის ლათინურ ენაზე დაწერილი თხზულება – „ქრისტეს მინაძვა“[7]. დავითი დიდი სახელითა

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 341.

[2] დავითის გვარის ნამდვილობის შესახებ (დაწვრ. იხ: **ჭიჭინაძე ზ.** უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი გვარად ტულუკაანთ დავითა, ტფილისი, 1898; **ლომსაძე შ.,** გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, გვ. 57

[3] (Nella lingua della sua nazione ha fatto stretti di studi fino alla Fisica...). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 143.

[4] (Nella lingua della sua nazione ha fatto stretti di studi fino alla Fisica...). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 143; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 346.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 343; **ჭიჭინაძე ზ.,** უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი გვარად ტულუკაანთ დავითა, გვ. 52.

[6] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 344-345.

[7]**ჭიჭინაძე ზ.,** უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი გვარად ტულუკაანთ დავითა, გვ. 75.

და გავლენით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში. მან დიდი ამაგი დასდო მშობლიურ გორს. მისი თაოსნობით აქ გაიხსნა სკოლა, სადაც ქართველ კათოლიკეთა შვილების გარდა, სწავლობდნენ ქართველ მართლმადიდებელთა შვილებიც. სკოლაში ერთ დროს პატრი დავითიც ასწავლიდა[1].

დავით პაპაშვილის შემდეგ ქართველ კათოლიკეთა რიგებში გამორჩეული ადგილი უკავია ივანე ჯიგანაშვილს. იგი თბილისელ კათოლიკეთა ოჯახში დაიბადა. 16 წლისა იყო, როცა 1729 წლის 18 ივნისს შევიდა პროპაგანდის კოლეჯში. აქ მან გამოიჩინა თავი ნიჭით, სერიოზულობითა და სიმტკიცით. 1731 წლის 2 თებერვალს ივანემ დადო ფიცი, ხლო 1740 წლის 5 ივნისს ეკურთხა მღვდლად სომხურ ტიპიკონზე. 1741 წლის 29 აპრის მან მიიღო ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში სამეცნიერო დოქტორის ხარისხი. იმავე წლის 31 აგვისტოს კი ივანე საქართველოში დაბრუნდა[2]. ამგვარად, ივანე ჯიგანაშვილი რიგით მესამე ქართველი იყო, რომელმაც რომში საჯაროდ დაიცვა დისერტაცია.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ კათოლიკეთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ორბელიანთა გვარეულობის სასულიერო თუ საერო წარმოამდგენლებს. უდავოა, ორბელიანთა გვარის წარჩინებულ პირთა გაკათოლიკება ს.ს. ორბელიანის რელიგიური პოლიტიკის უშუალო ნაყოფია. ხსენებულ გვარს ამშვენებს ივანე, ვახტანგ და ქრისტეფორე ორბელიანთა სახელები. ამათგან პირველ რიგში შევჩერდებით ეპისკოპოს ქრისტეფორე ორბელიანის მოღვაწეობაზე.

ბასილიანელი ანუ უნიატი (წმ. ბასილის ორდენის მოწესე – Dell'Ordine di S.BAsilio)[3] ქრისტეფორე ორბელიანი იყო თბილისის „ეპარქიის ეპისკოპოსი და მის მრევლს შეადგენდა ქართული ტიპიკონის მქონე კათოლიკეები". მას მთელს საქართველოში დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი. მან, ჯერ კიდევ მღვდელმა, 1725 წლის წინა ხანებში მიიღო კათოლიკური სარწმუნოება იტალიელი პატრი „ანჯელო პოპის" (Angelo Maria da Poppi)[4] მეშვეობით[5]. პროპაგანდის კოლეჯის მოსწავლის ანტონ ლოდაკანტის მიერ (Antonio Lodacanti)[6], რომელიც რომში იყო ქრისტეფორე ეპისკოპოსის თარჯიმანი[7], 1742 წლის 4 ოქტომბერს პროპაგანდისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ:

---

[1] **ჭიჭინაძე ზ.,** უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი გვარად ტულუკაანთ დავითა, გვ. 75; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 328.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 143; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 346.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 143; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 746.

[4] იქვე, გვ. 746.

[5] იქვე, გვ. 355.

[6] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №77, ფურც. 60.

[7] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 353.

„ხუთი წლის წინათ ანტიოქიის პატრიარქმა კირილემ იგი (ქრისტეფორე – ავტ.) ეპისკოპოსად დანიშნა“[1]. თუ ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება, მაშინ გამოდის, რომ ქრისტეფორე რობელიანი თბილისის კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნულა 1737 წელს და არა 1734 წელს, როგორც ეს მიაჩნია მ. თამარაშვილს[2].

პირველწყაროებიდან ჩანს, რომ მას დიდი დამსახურება მიუძღოდა არა მარტო ქართველ კათოლიკეთა, არამედ მართლმდიდებელ ქართველთა წინაშეც[3]. მას ასე ახასიათებს საქართველოში ათი წელი ნამსახური კაპუცინი მისიონერი ანჯელო მარია ვოლტერალელი: „თავისი კარგი თვისებების გამო იგი ნამდვილად ღირსეული პრელატია. ამისათვის ის უყვარს არა მარტო ქართველთა პატრიარქს (დომენტი IV-ს – ავტ.), რომელიც მას აფასებს და თვალისჩინივით უფრთხილდება, არამედ ყველა ქართველ მთავარსა და ბატონს... როდესაც ქართველთა ზემოხსენებული პატრიარქი (დომენტი IV – ავტ.) პოლიტიკური მიზეზების გამო თურქებმა კონსტანტინოპოლში დააკავეს..., მაშინ ხსენებულმა პატრიარქმა თავის ვიკარად დანიშნა ხსენებული პრელატი (ქრისტეფორე ორბელიანი – ავტ.), და გაუგზავნა მას მოწმობა, რათა ეზრუნა მის სამწყსოზე და ხელი შეეშალა ზოგიერთი პატივმოყვარესათვის, რომელთაც შეიძლება ეს თანამდებობა მოესურვებინათ"[4].

როგორც ამ პირველწყაროდან ჩანს, ქრისტეფორე ორბელიანის მიმართ დიდი პატივისცემა ჰქონდა საქართველოს კათალიკოსს დოემენტი IV-ს. მან კონსტანტინოპოლში მისდაუნებურად ყოფნის დროს (1725-1739) ქრისტეფორე თავის ვიკარად დანიშნა საქართველოში. მაგრამ ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ როდის მოხდა ეს, ან ქრისტეფორე საერთოდ ასრულებდა თუ არა მასზე დაკისრებულ ფუნქციას. შესაძლებელია, ვიფიქროთ, კათალიკოსმა დომენტი IV-მ ქრისტეფორე ორბელიანი თავის ვიკარად დანიშნა საქართველოს ფაქტიური კათალიკოსის ბესარიონის (1725-1737) გარდაცვალების შემდეგ. ალბათ, იგი ამ მოვალეობას ასრულებდა 1739 წლის ნოემბრამდე, თბილისში კათოლიკოს დომენტის დაბრუნებამდე.

ამრიგად, ქრისტეფორე ეპისკოპოსის კათოლიკობა დაფარული არ იქნებოდა დომენტი კათოლიკოსისა და მისი სამწყსოსათვის. საქართველოში ოსმალობის ჟამს (1723-1735), როცა ქართველობას ძნელი დღეები ედგა, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნება მიმართული იყო ქვეყნის საშინაო მიზნების მხარდაჭერისაკენ. ასეთი კავშირი საქართველოს

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 143.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 355; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 618.

[3] Ibid., p. 618.

[4] Ibid., p. 618-619; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 745; ვრცლად იხ. **მამისთვალიშვილი ე.,** კათალიკოს დომენტი IV-ის პორტრეტისათვის // მაცნე, №2, 2017, 33-53.

მართლმადიდებლურ მოსახლეობაში მაღლა სწევდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტს. რაც შეეხება ქრისტეფორე ორბელიანს, იგი არის ქართველ კათოლიკეთა მეორე უნიატი ეპისკოპოსი. ახლა ისევ ვუბრუნდებით ქრისტეფორე ორბელიანის რომში სპეციალური დავალებით გაგზავნის საკითხს.

1741 წლსი 1 ოქტომბერს ქრისტეფორე ორბელიანი კაპუცინთა პრეფექტის ნიკოლო ჯირჯენტის სარეკომენდაციო წერილებით აღჭურვილი[1] თბილისიდან რომში გაემგზავრა. წყაროები რომში მისი გამგზავრების ორ მიზანს ასახელებენ: პირველი, რომ მას სურდა რომის პაპის ნახვა, რათა მოეხსენებინა კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველში და მოელოცა წმიდა ადგილები; მეორე, იგი საგანგებო დავალებით გაგზავნეს ივანე და ვახტანგ ორბელიანებმა. რომის პაპმა ბენედიქტ XIV- (1740-1758) განსაკუთრებული პატივისცემით მიიღო ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსი. ეს საგანგებო შემთხვევა იყო საქართველო-წმინდა ტახტს შორის ურთიერთობაში. ამიტომ პაპმა ქრისტეფორე ეპისკოპოსს „...მიანიჭა უხვი წყალობა და სულიერი ძალა, აგრეთვე წმიდა ჯვრის ნაწილი და ნაკურთხი კრავები“[2].

ქრისტეფორე ეპისკოპოსი გარკვეული თხოვნით წარსდგა წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ წინაშე. წმიდა კრებისათვის მას უთხოვია, რომ პროპაგანდის კოლეჯში გამოყოფილ ორ ადგილზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიეღოთ ქართველი ახალგაზრდები[3]; ასევე არწმუნებდა პროპაგანდას, რომ „...აუცილებელია მეტი სტუდენტების ყოლა [რომში]“, თუკი „...მათ აგზავნის კათოლიკე ეპისკოპოსი ან მისიონერ-კაპუცინები საქართველოდან“[4]. ქრისტეფორეს პროპაგანდისათვის ასევე შეუხსენებია, რომ აუცილებელი იყო პაპ კლიმენტი XI-ის მიერ სულხან-საბა ორბელიანისათვის მიცემული პირობის, კერძოდ, რომში ქართველებისათვის „საკუთარი სახლის გაცემის“ საკითხის გადაწყვეტა, რადგან „ეს სახლი დიდად...“ შეეწეოდა საქართველოს მისიონს[5]. ამ მცირე ცნობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ს.ს. ორბელიანი პაპობასთან მჭიდრო კავშირების დამყარების მიზნით ცდილობდა, რომ კურიის დახმარებით დაეარსებინა საქართველოს კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობა ვატიკანში. ამ მუდმივი წარმომადგენლის საშუალებით განხორციელდებოდა პაპის კარზე სხვადასხვა საკითხების დაუყოვნებელი გადაწყვეტა. მიუხედავად სულხან-საბასადმი პაპ კლიმენტი XI-ის დაპირებისა, ეს

---

[1] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 618.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 351.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, ff. 341r.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, ff. 341r; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 354-355.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 354.

საქმე წინ არ წაწეულა. ამჯერად ქრისტეფორე ორბელიანი შეეცადა, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიერ დასახული მიზნისათვის ხორცი შეესხა, მაგრამ უშედეგოდ. ამის მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრისტეფორე ეპისკოპოსი პაპთან გაგზავნეს წარჩინებულმა ქართველმა კათოლიკეებმა ივანე და ვახტანგ ორბელიანებმა. ამათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ პირველწყაროები ცოტა რამეს გვეუბნებიან. ჩვენს ხელთაა ერთი მცირე ინფორმაცია, რომლის თანახმად ორბელიანთა მთელი ოჯახი და მათ შორის დასახელებული პირები კათოლიკობაზე სულხან-საბა ორბელიანმა მოაქცია. „ერთი მათგანი, – გვაუწყებს წყარო, – დღესაც ცოცხალია. ის 80 წლისაა და სახელად ჰქვია ივანე, რომელიც მეფე ერეკლეს პირველი ნოტარიუსი და მთავარი არბიტრია. ქართულად მას იოვანე დივან ბეგი (Iovane Divan Beghi) ჰქვია"[1]. ასე რომ, ივანე ორბელიანი 1773 წლისათვის უკვე 80 წლისა იყო და ერეკლე II-ის კარზე მდივანბეგის თანამდებობა ეკავა. ივანეს ბიძაშვილი იყო იმ დროს ცნობილი პოეტი და ფილოსოფისი ვახტანგ ორბელიანი[2], რომელმაც ლათინურიდან თარგმნა თხზულება „სარწმუნოების სითბოს შესახებ"[3]. ამ თავადებთან ერთად კათოლიკობა მიიღეს მათმა ქვეშევრდომებმა. ამ ორივე პირს წმინდა ტახტთან, როგორც ირკვევა, პირდაპირი კავშირი ჰქონდათ, რადგან პაპმა მათ 1734 წელს მოსაკითხი წერილი გამოუგზავნა, რაც მათთვის „...ზეიმი და სიხარული..." იყო[4]. თუ ერთ ცნობას ვირწმუნებთ, ვახტანგ ორბელიანი 50-იან წლებში იმერეთის სამეფოში გადასულა და გაუკათოლიკებია იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720-1752), აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი (1742-1769) და მისი ძმა როსტომ რაჭის ერისთავი (1749-1769) და სხვა წარჩინებულები[5].

აქვე უმჯობესად მივიჩნევთ ვახტანგ ორბელიანის შესახებ ერთი დღემდე უცნობი წყაროს ინფორმაცია მოვიტანოთ. კაპუცინი მისიონერი ჯუზეპე მოდენაელი 1756 წლის 3 იანვარს წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთ კარდინალს აუწყებდა: „1752 წლის ნოემბრის მიწურულს თბილისში გარდაიცვალა

---

[1] ("…è in vita di anno 80 appelato Giovanni ed è primo notaro ed arbitro principale del Sig. principe Eraclio, detto in giorgiano (Jovane Divan Beghi) è uno dei fratelli cugini di questi per nome Vachtangh…".) საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 50v.

[2] ვახტანგ ვახუშტის ძე ორბელიანი იყო ქართველი მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე, ერეკლე II-ის პირველი ცოლის-ქეთევანის მამა. 1735 წლიდან იყო ჯერ მოსკოვში, შემდეგ პეტერბურგში. 1738 წელს დაბრუნდა საქართველოში. ქსე. ტ. 7. გვ. 557.

[3] Духовный Вестник Грузинского экзархата, 1891, №10-11, с. 7.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2, f. 340.

[5] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 74; №85, ფურც. 50v; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 368.

ერთ-ერთი ჩვენი კათოლიკე სახელად ვახტანგი[1] (Vactan), რომელიც საქართველოს თავადთა ოჯახის წარმომადგენელი იყო; რადგან ის კათოლიკე იყო, შესაძლებელია, ამიტომ ჩამოერთვა ქონება და ამის გამო გახდა ერთი ძალიან ღარიბი ადამიანი"[2]. ამავე ავტორის თანახმად, როცა „...პატრები გარდაცვლილის დაკრძალვაზე მსჯელობდნენ, მათ წინააღმდეგ ამხედრდნენ ქართველები...", რადგან „...უნდოდათ მკაცრად გასწორებოდნენ მამებს..." და ეს საქმე მათთვის არ დაეთმოთ[3]. ყოველივე ამას, როგორც ჯუზეპე გვაუწყებს, სათავეში ედგა ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი – ზაქარია გაბაშვილი (1705-1780)[4]. ჩანს, ვახტანგ ორბელიანს არ აპატიეს სიცოცხლეში კათოლიკობაზე გადასვლა და სიკვდილის შემდეგაც უპატიოდ მოექცნენ. აი, რას გვაუწყებს მამა ჯუზეპე: „...სამი დღის...[შემდეგ] უკვე დაიწყო გვამმა] ხრწნა, ღამით წაასვენეს ერთ მინდორზე და იქ დაასაფლავეს როგორც ნადირი"[5].

ახლა დგება კითხვა: რა მიზნით გაგზავნეს ივანე და ვახტანგ ორბელიანებმა ეპისკოპოსი ქრისტეფორე 1741 წელს რომში? წყაროებიდან ჩანს, რომ 1741 წელს ნადირ შაჰის მიერ ქართლის სამეფოს აღწერისა და დახარკვის შედეგად ივანე და ვახტანგ ორბელიანებისათვის ქონების დიდი ნაწილი წაურთმევიათ. ნადირის ანტიკათოლიკური განწყობილებით უსარგებლიათ სომხებს და ქართველ კათოლიკეთა შევიწროვება დაუწყიათ. „კათოლიკური აღმსარებლობის ორივე თავადი განიცდიდა განსაკუთრებულ დევნას, რადგან მათ წინააღმდეგ განწყობილნი არიან არა მხოლოდ სპარსელები, არამედ ყველა ერეტიკოსი"[6]- ვკითხულობთ წყაროში. ჩანს, ქართველებისადმი დაპირისპირებული სომხები ნადირ შაჰის მომხრეები იყვნენ და მისი ანტიკათოლიკური პოლიტიკა ხელსაყრელად ჩათვალეს ქართველ კათოლიკეთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის დასაწყებად. სომხებისაგან შევიწროვებულ ქართველ კათოლიკეთა რიგებში იყვნენ ივანე და ვახტანგ ორბელიანები. შექმნილი ვითარების გამო მათი მდგომარეობა იმდენად მძიმე ყოფილა, რომ გადაუწყვეტიათ საქართველო დაეტოვებინათ. „12 წელი თურქების მონობაში ვეწამეთ და ახლა სპარსელების ქვეშ ვიმყოფებით, – წერდნენ ისინი რომის პაპს ბენედიქტე XIV-ს, – და თითქმის მთელი ჩვენი ქონება წაგვართვეს, რის გამოც სავალალო მდგომარეობაში ვართ.

---

[1] ცხადია, ვახტანგ ორბელიანი, რომელიც დაიბადა 1700 წელს. იყო თავისი დროის ცნობილი პოეტი და ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 487v.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 488r.

[4] Ibid.

[5] Ibid.

[6] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 341v.

ხშირად ერეტიკოსები ცუდად გვეპყრობიან და თუ თქვენი უწმინდესობა გვიბოძებს რომელიმე ადგილს, სადაც შევძლებდით ცხოვრებას, ჩვენ მზად ვართ მთელი ჩვენი ქვეშევრდომებით დავტოვოთ ჩვენი სამშობლო მანამდე, სანამ შევძლებთ ამ საბრალო სულების ხსნას. თქვენი უნეტარესობა თუ ამას არ ისურვებს, მაშინ იქნებ გვიშუამდგომლოთ ყულიხანთან [1], რომ მან მეტად არ დაგვჩაგვროს, რომ ჩვენს წინააღმდეგ განუწყვეტელი დევნა, რომელსაც ერეტიკოსები ახორციელებენ შეაჩეროს, რადგან ამ ბოლო დროს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვგრძნობთ თავს: ამის გამო იძულებული გავხდით ეს ჩვენი არქიმანდრიტი გამოგვეგზავნა, რათა თქვენი უწმინდესობისათვის ჩვენი სავალალო მდგომარეობა გვეუწყებინა"[2].

ამ ცნობაში, როგორც ვხედავთ, ნათლად ჩანს ზემოთ დასმული კითხვის პასუხი, რომ საქართველოში ისევ განახლდა სომეხთა მიერ კათოლიკეების დევნა. ამას ისეთი ძლიერი სახე მიუღია, რომ ყველა კათოლიკე მამა-მისიონერს ახალციხისათვის შეუფარებია თავი. მრევლი მოძღვრების გარეშე დარჩა. კათოლიკე მისიონერებმა ყოველივე ეს სასწრაფოდ აცნობეს რომს პატრი ნიკოლა ბორგოელის (Niccola da Borgo) მეშვეობით[3]. შექმნილმა ვითარებამ ძალზე შეაწუხა ივანე და ვახტანგ ორბელიანები, თავადი გივი ამილახვარი და საქართველოს კათოლიკოსი ნიკოლოზ VII ხერეულიძე (1741-1744). თითოეულმა ცალ-ცალკე მისწერა პაპ ბენედიქტე XIV-ს წერილი და აცნობა საქართველოში შექმნილი ვითარება. გამოთქვამდნენ რა დიდი წუხილს პატრების დევნის გამო, რომის პაპს უმორჩილესად სთხოვდნენ, რომ არ გაეწვიათ უკან კათოლიკე მოძღვრები და მათი ეკლესია არ დაეხურათ[4]. ამის სანაცვლოდ საქართველოს კათალიკოსი მზად იყო „პაპისადმი მორჩილება გამოეცხადებინა და ყველა მისი ბრძანება აღესრულებინა." აქვე ბენედიქტე XIV-ს პატიებას სთხოვდა იმის გამო, რომ კათოლიკე მამებს სათანადო დახმარება ვერ გაუწია. ამის შემდეგ კი აუწყებდა: „ჩემი დიდი ხნის წადილის შესრულება სომხებმა არ დამაცადეს, რადგან ისინი ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთ ნებისამებრ ბატონობდნენ"[5]. ყოველივე ეს მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საყოველთაო საგარეო საფრთხის ჟამს უმაღლესი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო იერარქი ისე ზრუნავდა კათოლიკეებზე, როგორც საკუთარ მრევლზე. შექმნილ კრიზისულ ვითარებაში შესაძლებელია საქართველოს კათოლიკოსს შემწედ მხოლოდ რომის პაპი ესახებოდა.

---

[1] თამაზ ყული-ხანი/ნადირ-შაჰი (1688-1747) ირანის შაჰი.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, ff. 242r-242v; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 350.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 357; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 622.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 751, 360.

[5] იქვე, გვ. 52-53.

როგორც ვხედავთ, ივანე და ვახტანგ ორბელიანები, თავადი გივი ამილახვარი და საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ VII პაპს სთხოვდნენ, რომ კაპუცინი პატრები უკან არ გაეწვია და ქართველი კათოლიკები მოძღვრების გარეშე არ დაეტოვებინა. ეს თხოვნა უმთავრესად იმ მიზნით იყო ნაკარნახევი, რომ კათოლიკე მრევლი სომეხთა ხელში არ გადასულიყო. თავისთავად ჩანს, რომ ამ მიმართულებით ნადირ შაჰისაგან ზურგმომაგრებული სომხები ძალიან აქტიურობდნენ. მათი მიზანი იყო: პირველი, ბოლო მოეღოთ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა წინსვლა-წარმატებისათვის, რადგან ამით სომხური ეკლესია თავის მრევლს კარგავდა; მეორე, ევროპასთან ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირის მოსაშუალე მისიონერების განდევნით, ბოლო მოეღოთ საქართველოში ევროპული სავაჭრო კაპიტალის ფეხის მოკიდებისათვის, რომელიც ხელიდან გამოაცდილა სომეხ ვაჭრებს მონოპოლიას აღმოსავლეთში.

სანამ ვატიკანი სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებდა, კაპუცინებმა ერთ-ერთი პატრი ლეონ ბავაელი ისპაანში გაგზავნეს პატრ დამიანე ლიონელთან, რომელიც ნდირ შაჰის მკურნალი ექიმი იყო. მას დიდი გავლენა ჰქონდა შაჰის კარზე და ამის წყალობით ნადირისაგან მიიღო რაყამი, რომლის ძალითაც კაპუცინებს „შეეძლოთ თბილისში დარჩენილიყვნენ“[1].

ამრიგად, სოხებმა 1742 წელს კაპუცინი მისიონერები თბილისიდან განდევნეს და მათი ეკლესია დახურეს. მაგრამ ვატიკანის აქტიური ჩართვის შედეგად რამდენიმე თვეში კაპუცინები ისევ დაბრუნდნენ თბილისში და თავიანთი ეკლესიაც დაიბრუნეს. მათი საქმიანობა ჩვეულ ძალას ირკებდა. მისიონერებს საქმიანობისა და კათოლიკობის გავრცელების წარმატებების შესამოწმებლად 1746 წელს თბილისში ჩამოვიდა ისპაჰაის ლათინთა ეპისკოპოსო ფილიპე. მდგომარეობის შესწავლის შემდეგ მან გადაწყვიტა, რომ თბილისში დაეარსებინა კათოლიკეთა საეპისკოპოსო[2] და ამ მიზნით ვიკარად დაადგინა კაპუცინი პატრი ნიკოლო ჯირჯენტი (Niccolo da Girgenti), რომელმაც ჩინებულად იცოდა ქართული ენა. ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად შეხვდა კაპუცინთა მისიონის პრეფექტი კლაუდიო რეჯიელი (Claudio da Reggio), რომელმაც დატოვა თბილისის მისიონი და ახალციხეში გადავიდა. დავა-უთანხმოება ამით არ დამთავრებულა. მამა კლაუდიო არ აპირდებდა საეპისკოპოსოს ვიკარად დანიშნული ნიკოლო ჯირჯენტისათვის დაქვემდებარებას. არც ერთი მხარე დათმობაზე არ მიდიოდა. რომი კი ამაოდ ცდილობდა მხარეთა დაშოშმინებას[3]. მოსალოდნელი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით, პროპაგანდამ 1742 წელს გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ახალციხის კაპუცინთა მისიონი კონსტანტინოპოლის საეპისკოპო-

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 360-361.

[2] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 622.

[3] Ibid, p. 622-623.

სოს დაექვემდებარა[1]. ამით იგი გადადიოდა პაპის წარმომადგენლის გამგებლობაში და ჩამოსცილდა ისპაანის საეპისკოპოსოს, რომელსაც 1632 წლიდან ემორჩილებოდა. ყოველივე ამის შემდეგ ნიკოლო ჯირჯენტი ახალციხის მოძღვრებმა არ სცნეს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის წარმომადგენლად. ამ საქმეში ისპაანის ლათინთა ეპისკოპოსის ცდა, რომ ახალციხის მღვდლები დამორჩილებოდნენ ნიკოლო ჯირჯენეტის, უშედეგოდ დამთავრდა. და საერთოდ, მართალია, კაპუცინთა მისიონი ისპაანის ლათინთა საეპისკოპოსოს ემორჩილებოდა, მაგრამ იგი კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოს წიმაშე უფრო იყო ვალდებული და მისი საშუალებით ამყარებდა კავშირს რომთან და ფაქტობრივად მას ემორჩილებოდა.

ამასთან დაკავშირებით სავსებით სწორად წერს მ. თამარაშვილი: „...ამან საქმე კი არ გამოასწორა და გააუმჯობესა, პირიქით, ამ ქვეყნის კათოლიკეების მდგომარეობა უფრო გააუარესა. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც ეს მხარე სამოციქულოს რეზიდენტის გამგებლობაში გადავიდა, არც ერთი მათგანი იქ არ გამოჩენილა და დაიწყო დაუსრულებელი, საუკუნოვანი არეულობა თვით სამღვდელოება-მორწმუნეებსა და სამღვდელოებას, კაპუცინებსა და სამღვდელოებას შორის“[2].

ამავე პერიოდში საქართველში მოღვაწე პატრებს შორის მომწიფდა აზრი თბილისში კათოლიკეთა საეპისკოპოსოს დაარსებისა და ადგილობრივი ეპისკოპოსის განწესების შესახებ[3]. მამა-მისიონერები ამის აუცილებლობას შემდეგში ხედავდნენ: „აუცილებელია საქართველოს ხსენებულ მისიონში დაინიშნოს ადგილობრივი ეპისკოპოსი, ვინაიდან მისიონერების უძალობის გამო, ჩვენი კათოლიკეები მოკლებულნი არიან ამგვარი (ე.ი. ეპისკოპოსისაგან – ავტ.) [მირონცხების] საიდუმლოს. ასეთ ნამდვილ გასაჭირში ჩვენს კათოლიკეებს ურყევი ერეტიკოსები ნიადაგ კიცხავენ ნაკლულად მონათვლის გამო, რომ ისინი სინამდვილეში არ არიან მონათლულები, რადგან მათ აკლიათ [მირონცხების] საიდუმლო. თავიანთი უცოდინრობის გამო ისინი ერთმანეთში ურევენ ნათლისღების საიდუმლოსა და კონფირმაციის საიდუმლოს. ნათლობა და კონფირმაციის საიდუმლო, ეს ყველაფერი შესაძლოა მისიონერებმაც შეამოწმონ, განუმარტონ მათ და ამგვარი შეცდომებისაგან იხსნან ისინი, მაგრამ ეპისკოპოსის დანიშვნა აუცილებელია ზემოთ დასახელებული მიზეზით...“[4] - ვკითხულობთ წყაროში.

---

[1] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, pp. 626-627.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 684-685.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia",1708-1760. V. 2, ff. 444r; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 363.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 444r.

ამ მიზნით მათ 1750 წელს რომში გაგზავნეს პატრი პიერ მარიო ბორგიელი, რომელმაც პროპაგანდას სპეციალურ მოხსენება წარუდგინა, სადაც არგუმენტირებულად იყო დასაბუთებული თბილისში ლათინთა საეპისკოპოსოს დაარსების აუცილებლობა. აქ კათოლიკეთა საეპისკოპოსოს დაარსებით პროპაგანდას შეეძლო მომავალში დიდი წარმატებები ევარაუდა, მაგრამ ეს კონკრეტული წინადადება კურიაში უყურადღებოდ დარჩა.

ამის მიზეზს მ. თამარაშვილი ხედავს იმაში, „...რომ პროპაგანდა ცდილობდა სხვა ხარჯი არ მისცემოდა ეპისკოპოსის დანიშვნით“[1]. ვფიქრობთ, ეს არ უნდა ყოფილიყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ პროპაგანდამ უარი თქვა თბილისში ლათინთა საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი იყო შემდეგი: პირველი, ჩანს, ვატიკანმა თავი აარიდა სომხებთან ახლად ჩამცხრალი კონფლიქტის ისევ განახლებას, რაც შეიძლება მოჰყოლოდა თბილისში ლათინთა საეპისკოპოსოს დაარსებას; მეორე, ვატიკანში ალბათ, ითვალისწინებდნენ თეიმურაზ II-ის ანტიკათოლიკურ განწყობას და შესაძლოა, კურიაში მხედველობაში ჰქონდათ ისიც, რომ თბილისში კათოლიკეთა ეპისკოპოსის დანიშვნით არ გაემწვავებინათ ურთიერთობა ქართველ მართლმადიდებელ სამღვდელოებასა და თეიმუაზ II-ს შორის.

რაც შეეხება კათოლიკე პატრებს, ისინი თბილისის საეპისკოპოსოს დაარსების აუცილებლობას შემდეგში ხედავდნენ: პირველი, ძლიერ განსწავლული და წარჩინებული ეპისკოპოსი იმის გარანტი იქნებოდა, რომ საქართველოში „კათოლიკურ სარწმუნოებას შესაფერისი პატივი და წარმატება“ ჰქონოდა; მეორე, საჭირო იყო ლათინი ეპისკოპოსი, რადგან „...მაშინ შიში აღარ იქმნება მწვალებელთაგან (სომხებისაგან – ავტ.), ვინაიდან მისიონში იქმნება ოსმალეთის და სპარსეთის მთავრობის თანხმობით და არც მათსავით ქვეშევრდომი იქმნება ამ ორი მთავრობისა...“[2].

მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, კათოლიკობა საქართველოში წინ მიიწევდა. პირველი, ეს გამოიხატა იმაში, რომ 1748 წლისათვის პროპაგანდის კოლეჯში უკვე სამი ადგილი დაეთმო ქართველებს; მეორე, 1749 წელს თბილისში აშენდა კათოლიკეთა ახალი მშვენიერი ეკლესია; მესამე, გაკათოლიკდა იმერეთის მეფე ალექსანდრე V, აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი თავისი სამი ბერით, როსტომ რაჭის ერისთავი და მისი შვილი გიორგი[3] მეოთხე, 1755 წლამდე კათოლიკობა მიიღო 60 ქართველმა თავადმა და ცნობილმა კათოლიკოსმა ანტონ I დიდმა[4]; მეხუთე, 1757 წელს რომში წმიდა კოლეგიის გადაწყვეტილებით, საქართველოში მოღვაწე კაპუცინმა მამებმა ნებართვა

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 364.

[2] იქვე, გვ. 752, 364.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 366; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 50.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 372.

მიიღეს, რომ საზეიმო მესის დროს ქართულ ენაზე ეგალობათ სამოციქულო სახარება „დიდება“ („Gloria“) და „მრწამსი“ („Credo“)[1]. ეს ფაქტიურად ქართული რიტის შემოღებას ნიშნავდა[2].

ჩვენთვის უცნობია, თუ რა მოტივით იყო ნაკარნახევი იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის, კათალიკოს ბესარიონისა და რაჭის ერისთავის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ონში კათოლიკეთა მონასტერი მოქმედებდა და აქ მოღვაწეობდა კაპუცინი ძმა იერონიმე მარია ნურსიელი და პატრი ბატისტინი[3]. აქ მსახურობდა აგრეთვე ბასილიანელი ქართველი მონაზონი სტეფანე. როსტომ რაჭის ერისთავმა დიდად შეუწყო ხელი კათოლიკე მისიონერებს. მათ განკარგულებაში იყო როსტომის მიერ გადაცემული სახლი ონში. მან 1751 წელს საკუთარი ხარჯებით ააშენა ეკლესია და მონასტერი. ერისთავთან პირადად მეგობრობდა პატრი ლეონე, რომელიც საქართველოში 31 წელი ცხოვრობდა[4].

1753 წლამდე ონში კათოლიკეთა რიცხვი 35 სულამდე აღწევდა, მაგრამ 1754 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელმძღვანელობით ბერძენმა მღვდლებმა მოშალეს რაჭის მისიონი. ამგვარად, იმერეთის სამეფოდან და რაჭიდან კათოლიკე მისიონერები თბილისში დაბრუნდნენ[5]. ამ გამარჯვების შემდეგ ბერძნი ბერები თბილისში გაემართნენ, რათა იქიდანაც გაეძევებინათ კაპუცინი მამები. ამას მხარი სომხებმაც აუბეს და ანტონ I კათალიკოსს ქრთამად 52 000 ეკიუ შესთავაზეს, მაგრამ საქართველოს კათალიკოსის ურყევი პოზიციის გამო, საქმე უშედეგოდ დამთავრდა[6].

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №77, ფურც. 44; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 627-628.

[2] **ლომსაძე შ.,** გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, გვ. 58.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 50.

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 59-68; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 366-367.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 370-371.

[6] იქვე.

## *ანტონ კათალიკოსი და კათოლიკობა*

სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ კათოლიკობისადმი მიდრეკილ სასულიერო პირთა შორის ყველაზე გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს კათოლიკოს ანტონ I დიდს (1744-1755, 1764-1788). მის შესახებ ერთ-ერთი მისიონერის რელაციაში ლაკონურადაა ნათქვამი: „ქართლ-კახეთის ბერძნულ-მართლმადიდებელი პატრიარქი ანტონი განსწავლული, მეტად უნარიანი, დიდად განათლებული, ბრძენი და კეთილგონიერი ადამიანია“[1]. ფილოსოფოს-მეცნიერმა ანტონმა კათოლიკოსის ტახტი ქართლში თეიმურაზ II-ის (1744-1762) გამეფების დროს დაიკავა. ფართო განათლებისა და ურყევი ნებისყოფის მქონე ანტონი უმალვე ენერგიულად შეუდგა ფეოდალური აშლილობისა და განკერძოების პირობებში კრიზისულ მდგომარეობამდე მისული ეკლესიის აღორძინება-განმტკიცებას, მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, საქართველოში სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას, ურჩ და განდგომილ მღვდელმთავართა დამორჩილებას, დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას, სასწავლებლების დაარსებას და ა.შ. თავისი მიზნების განსახორციელებლად მან ორიენტაცია აიღო დასავლეთ ევროპაზე[2], დაუახლოვდა საქართველოში მოღვაწე მისიონერებს (პატრი ნიკოლო ჯირჯენტის, ფრანჩესკოს, ბონავენტურა პადუელს) და ბასილიანეთლა უნიატური ორდენის მოწესე გახდა. იგი კათოლიკე მამების ყველაზე საიმედო მფარველი იყო მთელი მათი დევნის ჟამს, რაც გარკვეულად უმსუბუქებდა მდგომარეობას კაპუცინ მამებს[3].

უშუალო წყარო არ გაგავაჩნია იმის შესახებ, თუ ზუსტად როდის მიიღო ანტონ კათალიკოსმა კათოლიკური სარწმუნოება. 1755 წლის 15[4] თუ 16[5] [360] დეკემბერს მცხეთაში გამართულ საეკლესიო კრებაზე, რომელიც ანტონ I-ის ბრალეულობის საკითხს იხილავდა ნათქვამია, რომ იგი „...18 თვე იყო დაბნეულობაში (კათოლიკობაში – ავტ.). თუ ამ ცნობას დავეთანხმებით, გამოდის, რომ ანტონ I-მა კათოლიკობა მიიღო 1754 წლის ივნისის შუა რიცხვებში[6]. მ. თამარაშვილის მიხედვით, ეს მოხდა 1755 წელს[7]. ასე თუ ისე, ანტონ I-მა კათოლიკობა მიიღო არაუადრეს 1754 და არაუგვიანეს – 1755 წლის დეკემბრამდე.

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, 85, ფურც. 41v.

[2] ქართული მწერლობა, ტ. VIII, თბ., 1990, გვ. 613.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 7v-9; №85, ფურც. 41v.

[4] **Марр Н.** Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, V, Спб., 1903, с. 64.

[5] **კარბელაშვილი პ.,** იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, თბ., 1904, გვ. 154; **ნიკოლაძე ე.,** საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 176.

[6] Духовный Вестник грузинского экзархата, 1891, №14, с. 27.

[7] **Tamarati M.,** Rapport sur l'eglise latine de l'assomption de Tiflis en Georgia. Mai 1903, Rome, 1908, p. 17.

როგორც ირკვევა, ანტონმა კათოლიკობა მიიღო გორში მოღვაწე კაპუცინთა მისიონის პრეფექტის ჯიროლამო ნორჩელის (F. Gerolamo Maia da Norcia) მეშვეობით. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ კაპუცინი მისიონერის ბონავენტურა ტრენტოელის 1757 წლის 21 სექტემბერს პროპაგანდისადმი გაგზავნილ რელაციონეში: „კათოლიკეებს იცავდა საქართველოს პატრიარქი[1], რომელიც საკუთარ თავს ყველასაგან დამოუკიდებლად მიიჩნევდა და ჩვენ კეთილი თვალით გვიყურებდა... ბოლოს და ბოლოს, ღვთის მადლით აღძრულმა რომის წმინდა სარწმუნოება მიიღო და აღთქმა მისცა ჩვენს მისიონერს, გორის [მისიონის] უფროსს ჯიროლამო ნორჩელს. მან აღიარა რა ჭეშმარიტება, ცდილობდა სხვების გულში მის თანდათან მოხერხებულად ჩანერგვას“[2]. სხვა წყაროში ნათქვამია: „მან (ანტონ I-მა – ავტ.) ბოლოს ღვთის მადლით აღძრულმა უპირატესობა მიანიჭა რომაულ (კათოლიკურ – ავტ.) წმიდა სარწმუნოებას და გორის ჩვენი მისიონერთა წინამძღვრის იერონიმე ნორჩელის ხელით აღსარება თქვა მის წინ“[3].

ამ მისიონერ-პატრის მოღვაწეობა საქართველოში აღსანიშნავია იმითაც, რომ მან შეადგინა ქართული ენის გრამატიკა, რომელიც განკუთვნილი იყო „...ახლად ჩამოსული მისიონერებისათვის“[4]. მისი ავტორი სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას და სარგებლობდა ანტონ I-ის მიერ შედგენილი „ქართული ღრამატიკით“[5]. ეს ხელნაწერი გრამატიკა ფრანჩესკო მარია მაჯოს მიერ გამოქვეყნებული გრამატიკის შემდეგ, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო დასავლეთისათვის ქართული ენის გაცნობის საქმეში. თუ გავითვალისწინებთ სტეფანე პაოლინის, ფრანჩესკო მარია მაჯოს, ბერნანდო მარია ნეაპოლელის, 1724 წელს გორში უცნობი იტალიელი მისიონერისა და ჯოროლამო და ნორჩას მიერ შედგენილ ლექსიკონებსა და გრამატიკას, XVII-XVIII საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ ევროპისათვის ქართული ენის გაცნობის საუკუნედ.

როგორც ზემოთ ითქვა, წყაროებში არაა მითითებული, მაგრამ სავარაუდოა, რომ ანტონ I ბასილიანელი იყო, რადგან მან სიტყვიერად სცნო ორი დოგამტი კათოლიკობისა: პაპის, ვითარცა პირველმღვდელმთავრის ავტორიტეტი და სულიწმინდის „ძისგანაც“ გამომავლობა ე.წ. „ფილიოკვე“. ახლა ისმება კითხვა: რა მოტივებმა განსაზღვრეს ანტონ კათალიკოსის მიერ კათოლიკობის

---

[1] იგულისხმება საქართველოს პატრიარქი ანტონ I ბაგრატიონი (1744-1755; 1764-1788).

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 498 r.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 758.

[4] **მაგაროტო ლუიჯი, ტაბაღუა ილია,** იტალიელი ავტორის მიერ შედგენილი ქართული ენის გამოუქვეყნებელი გრამატიკა (XVIII საუკუნისა) // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული VI, დანართი, თბ., 1979, გვ. 284.

[5] იქვე, გვ. 284, 286.

მიღება? ჩვენ არ გაგვაჩნია პირდაპირი წყარო, რომელიც ამ კითხვაზე პასუხს პირდაპირ გასცემდა. ამიტომ მოკლედ შევეხებით შემდეგ გარემოებებს.

ცნობილია, რონ ანტონ I-ს საკათალიკოსო ტახტის დაკავება მოუხდა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მომენტში, როცა ჩვენი ქვეყანა იწყებდა აღდგენას. ერეკლე II-ის რეფორმები, კერძოდ, შესაძლებლობის ფარგლებში ჯარსა და ადმინისტრაციაში ახალი ევროპული წესრიგის დანერგვა, საჭიროებდა ეკლესიის რეფორმებსაც. ამ საქმეში ანტონმა უზარმაზარი ენერგია და უნარი გამოავლინა. „მან (ანტონმა – ავტ.) თავისი მაგალითითა და მოღვაწეობით მის თანამედროვე საზოგადოებაში, – წერს თ. ჟორდანია, – გააღვიძა სიყვარული განათლებისა და ახალი ევროპული იდეების აღქმისადმი“[1]. მას უნდოდა თბილისში გაეხსნა ლათინური ტიპის უმაღლესი სკოლა[2]. იგი კარგად ხედავდა, რომ ძლიერ კათოლიკურ ეკლესიას მაღლა ეჭირა სქოლასტიკური განათლების დროშა. ამ სფეროში მისიონერებთან თეორიულად მომზადებულმა ანტონმა წარმატებით შესძლო სომეხ მონოფიზიტებთან ბრძოლა[3].

ამრიგად, ანტონ I კათოლიკობაში ხედავდა განათლების, მეცნიერებისა და ეროვნული სახელმწიფოს განვითარების პროგრესს. ამ ინტერესიდან გამომდინარეობდა კათოლიკოსის მფარველობა კათოლეკე პატრებისადმი[4]. „კონსტანტინოპოლის ამჟამინდელი პატრიარქის, – ვკითხულობთ პირველწყაროში, – მონაზონ კირილეს[5] წინამორბედი[6], როგორც კი პატრიარქის ტახტზე ავიდა, მუდმივად ეძებდა უფრო და უფრო მაცდურ ხრიკებს, რათა მთელი საქართველოდან კაპუცინი მისიონერები გაეძევებინა. ამ მიზნით კონსტანტინოპოლიდან ყოველ წელს ორ ბერს აგზავნიდა, რომლებიც მოწყალების მიღების საბაბით ყველგან აბნევდნენ ხსენებული პატრიარქის მიერ ხელმოწერილ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ ცირკულარულ წერილებს“[7], მაგრამ კათოლიკეებს „...იცავდა საქართველოს პატრიარქი“[8].

როგორც წყაროები მოწმობენ, ანტონ I აღიარებდა კათოლიკობის ჭეშმარიტებას[9]. ასევე ერთი წყაროს მიხედვით, ანტონ I კათალიკოსს, ვითარცა თეი-

---

[1] Духовный Вестник грузинского экзархата, 1891, №5, с. 26.

[2] Духовный Вестник грузинского экзархата, 1891, №10-11, с. 7.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №77, ფურც. 27-28; 43v; 48.

[4] **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III,..., გვ. 505.

[5] კონსტანტინოპოლის პატრიარქი კირილე V კარაკალოს ნიკეელი (1752-1757).

[6] საუბარია კონსტანტინოპოლის პატრიარქ პაისი II ქიუმურჯიოღლუზე (1751-1752).

[7] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 498r.

[8] Ibid.

[9] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 373.

მურაზ მეფის „დიდად საყვარელ“ და „ქართლ-კახეთის ყველა თავადისა და აზნაურის უსაყვარლეს მამას“ უფიქრია, რომ ახლა არის დრო „ყველას გულში კარგი თესლი ჩავყაროო“[1]. ერთი სიტყვით, უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონ კათალიკოსისათვის უნიის იდეა, ანუ ფლორენციის კრების ტრადიციები სავსებით მისაღები იყო. ამან განაპირობა სწორედ მისი ბასილიანელობა. ამასთანავე, ანტონ I-ის მიერ კათოლიკობის მიღება უნდა განვიხილოთ, როგორც დასავლეთზე ორიენტაციის გამოვლენად, რომელიც რეგრესული ძალების მცდელობით მარცხით დამთავრდა. ჯერჯერობით ასეთია ის თეორიული ვარაუდები, რასაც უნდა გამოიწვია ანტონ I-ის მიერ კათოლიკობისადმი მიდრეკა.

როგორც ერთ-ერთი წყაროდან ირკვევა, ანტონ I-ის პროკათოლიკურმა მოღვაწეობამ დიდი ბიძგი მისცა, რამდენიმე თვეში „ასზედ მეტი ქართველი, რომელთა შორის 60 თავადი იყო“ გაკათოლიკებულიყო[2]. „ეს გამოჩენილი ბატონები (თავადები – ავტ.) არიან საკმაოდ დიდი დამოუკიდებელი საბატონოს პატრონები“ – ვკითხულობთ დოკუმენტში[3]. ამასთანავე კათოლიკობაზე მოქცეულან მონაზვნები, მღვდლები და აზნაურები[4]. დაახლოებით შესაძლებელი ხდება იმ სასულიერო პირების ჩამოთვლა, რომელთაც კათოლიკობა, ანუ უნია მიიღეს. ესენია: არქიმანდრიტი მიხეილი, რუსის მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი, ეპისკოპოსი სტეფანე, არქიეპისკოპოსი ბესარიონი, არქიეპისკოპოსი ალექსი მესხიშვილი, იპოდიაკონი პროფირე, გაბრიელი და ეფრემი. დიაკონი ტრიფილე, ვინმე სასულიერო პირი გაიოზი[5]. ერთ-ერთი წყაროს თანახმად ანტონ I-ის მომხრე 10 ბერს თმა და წვერი გაპარსეს 1755 წელს საეკლესიო კრებაზე კათოლიკობის გამო[6]. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ შესაძლებელია, ისინი ზემოთ ჩამოთვლილი პირები არიან. საგულისხმოა, რომ ანტონ I-ის უნიას მხარს უჭედა ქართლის მთავარეპოსკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი[7]. აქედან გამომდინარე გასაგებია, კაპუცინი მამა ჯოროლამო ნორჩელი, თუ რატომ მიაწერდა კათოლიკობის წარმატებას საქართველოში ანტონ I-ის სახელს.

ახლა საინტერესოა ვნახოთ, თუ წყარო როგორ გადმოგვცემს ანტონ კათალიკოსის კათოლიკობის მხილებას. ხსებული ბონავენტურა ტრენტოელი იმავე რელაციონეში პროპაგანდას აუწყებდა: „მან (ანტონ კათალიკოსმა – ავტ.) აღიარა რა ჭეშმარიტება, ცდილობდა სხვების გულში მის თანდათან მოხერხებულად ჩანერგვას; ამიტომ ამ ქვეყნის ერთი ქალბატონი, რომელიც თავის დრო-

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, 85, ფურც. 42-43.

[2] **თამარაშვილი მ.**, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 757.

[3] იქვე, გვ. 757, 372.

[4] იქვე, გვ. 372.

[5] Духовный Вестник грузинского экзархата, 1891, №15, с. 22-23.

[6] Марр Н., დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[7] **მამისთვალიშვილი ე.,** გორის ისტორია, I, გვ. 330.

ზე მისი სულიერი შვილი იყო, დარწმუნდა წმინდა ეკლესიის[1] წიაღში შესვლაზე. როცა ეს ქალბატონი მძიმედ დასნეულდა, ნათესავები, მეგობრები და სხვ. მივიდნენ მის სანახავად. ასევე მათ შორის იყო მეფე თეიმურაზის, საქართველოს დიდი ნაწილის მფლობელის[2] ქალიშვილი. არ შემიძლია ვთქვა, რა გამოეცხადა ავადმყოფს, როცა ასეთი სიტყვები ამოაფრქვია: „ოო! რომის წმიდა მამავ, ილოცე ჩემთვის, რადგან დიდხანს ვიყავი ცრურწმენით სიბნელეში". მეტი არ იყო საჭირო მეფის ასულს გაეგო, რომ ეს ქალბატონი კათოლიკე იყო; მიუბრუნდა გარშემომყოფთ და [უთხრა]: „ეჰ! ხედავთ, დასძინა მან, ეს ფრანკი[3] ყოფილა; მაშ კარგი, მამაჩემი დაბრუნდება ლეკებთან ომიდან და შემდეგ ვნახოთ"[4].

მოვლენების შემდგომ განვითარებას ავტორი ისე გადმოგვცემს, რომ განმარტებები და ანალიზი საჭირო არ არის. ამიტომ ტექსტს სრულად მოვიტანთ: „მართლაც, როგორც კი მეფე, მამამისი, თბილისში დაბრუნდა, მეფის ასულმა აუწყა მას[5] ამ წარმატების [6] შესახებ და [მეფემ] ყურადღებით განიხილა, ვის შეეძლო ქალბატონის [კათოლიკობაზე] მოქცევა. ეჭვი პატრიარქზე მიიტანა, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ის [ქალბატონი] პატრიარქის სულიერი შვილი იყო, მისიონერებს კი არასოდეს ჰქონდათ ურთიერთობა ამ ოჯახთან, რომელიც თითქმის საქართველოს საზღვართან ცხოვრობდა. პირველ რიგში პატრიარქზე ეჭვობდა, რადგან უწინ შეეტყო, რომ მათი პატრიარქი ნამდვილად კათოლიკე იყო. ამიტომ სიმართლის გასარკვევად დაქრთამეს მეფე, მისი წინამძღვარი ერასტი[7] (Erasto) და მათი ერთი მონაზონი, რომელმაც თავი ისე მოაჩვენა თითქოსდა სარწმუნოებაზე ბევრი ეჭვი ჰქონდა, პატრიარქთან წავიდა მის განსაქარვებლად. მოაჩვენა რა თავი ისე, რომ სრულიად კმაყოფილი იყო პატრიარქის გადაწყვეტილებითა და პასუხებით, მეფესა და მის მოძღვარს მომხდარზე ყველაფერი მოახსენა. მეფე თეიმურაზმა მოისმინა რა ცრუ მონაზონისაგან ყოველივე, განრისხებულმა ბრძანა, რომ დაუყოვნებლივ მოეწვიათ არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსებისა და თბილისის ბერ-მონაზონთა მეთაურების კრება. მეფისა და კრების სახელით შეკრებილებმა პატრიარქთან გაგზავნეს ორი ეპისკოპოსი, რათა გაეგოთ, რომელ სარწმუნოებას მისდევდა ის. და პატრიარქმა, როგორც მათი კრების მეთაურმა, მისვლა ითხოვა, მაგრამ მეფემ და შეკრებილებმა ის არ დაუშვეს

---

[1] იგულისხმება კათოლიკობა.

[2] იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო.

[3] ე.ი. კათოლიკე.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 498r.

[5] ე.ი. მეფე თეიმურაზ II-ს.

[6] ქალბატონის მიერ კათოლიკობის მიღება.

[7] პატივცემულმა მ. თამარაშვილმა, ჩანს, დედნიდან სწორად ვერ ამოიკითხა და მას რაბეთის უწოდებს. **მ. თამარაშვილი.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 374.

შიშის გამო. [ეს იმიტომ], რომ პატრიარქის დასწრებით არ შერცხვენილიყვნენ მისი მეტოქეები და ის გამარჯვებული არ წასულიყო ამ ადგილიდან, სადაც სურდათ მისი გაკიცხვა. ამიტომ მათ მეორედ მიუგზავნეს ორი ეპისკოპოსი, რათა კვლავ ეკითხათ, რომელ სარწმუნოებას მისდევდა. განმეორებით თხოვნას სულგრძელად და მხნედ უპასუხა, რომ ის კათოლიკეა და ვისაც უნდა ცხონება, მან ეს სარწმუნოება სრულად უნდა მიიღოს და დაიცვას. ასეთმა პასუხმა უფრო მეტად განარისხა მეფე და პატრიარქის მტრები, რომელთაც მაშინვე აჰყარეს ღირსება, ხოლო მერე ჯერ ბევრი პირფეროობით, შემდეგ მუქარით უნდოდათ, რომ ისევ თავის მხარეზე მოექციათ, თუმცა მუდმივად ძლიერი და ურყევი იყო. [ამიტომ] ის ერთ სოფელში გაგზავნეს მონანიებისათვის, თუმცა მისი შეურაცხყოფისაგან თავი შეიკავეს“[1].

რელაციონეს ავტორს ამ პოლიტიკის მიზანი სწორად აქვს გააზრებული. ის წერს: „ეს უბრალო პოლიტიკა იმ მიზანს ისახავდა, რომ მისი ოჯახი და ნათესაობა არ გაეხელებინათ, რადგან თვით მეფეს შეიძლება საფრთხე დამუქრებოდა. მაგრამ მათ ჯავრი იყარეს სამ კათოლიკე სასულიერო პირზე, რომლებიც პატრიარქის სამსახურში იდგნენ. მათ სამი დღე დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე, ყოველნაირად შეურაცხყოფდნენ და ლანძღავდნენ, ისე ძლიერ გაჯოხეს ორი კათოლიკე ქალი, რომ ტკივილისაგან ერთი მესამე დღეს გარდაიცვალა.

ამ ხმაურის გაძლიერებას ხელი შეუწყვეს საქართველოს ყველა მხარის ქორეპისკოპოსებმა[2], მსაჯულებმა, მეფემ და უმეტესად სომეხმა სქიზმატიკოსებმა. მათ წააქეზეს მეფე ჩვენს წინააღმდეგ, იმდენი უჩიჩინეს, იმდენი ოქრო შესთავაზეს, რომ ბოლოს და ბოლოს მან ბრძანება გამოსცა მისი სამეფოდან ჩვენი გაძევების შესახებ; მეფემ არც ჩვენი მიღება ისურვა“. ამ საყოველთაო მრისხანებას თავისი ხმა შეუერთა კონსტანტინოპოლმაც: „კონსტანტინოპოლის ბერძენი ბერები, – წერს ბონავენტურა ტრენტოელი, – რომელთაგან ერთ-ერთი ეპისკოპოსი იყო, თბილისთან ძალიან ახლოს იყვნენ დამალულნი და როგორც კი ერთი მხრით წავედით, მეორე მხრიდან ისინი შევიდნენ ქალაქში, ეკლესიაში საჯაროდ წაუკითხეს მათ პატრიარქის[3] წერილი და დაანგრიეს მთავარი ტრაპეზი, [ეკლესია] მათებურად აკურთხეს და იქ დააყენეს ქართველი მღვდელი, რათა მისთვის მოევლო. მეფემ[4] ადგილობრივ არქიეპისკოპოსზე გააჩუქა გორის ჩვენი

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 498v.

[2] პატივცემული მ. თამარაშვილი მათ უწოდებს მეფის ნაცვლებს, რაც სწორი არაა (**მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 375).

[3] იგულისხმება – კონსტანტინოპოლის პატრიარქის.

[4] ცხადია, ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ.

მეორე ეკლესია. ორი წლის უკან ჩვენ გაგვაძევეს რაჭიდან და ახლა საქართველოში არაფერი არ დაგვრჩა“[1].

როგორც ამ ვრცელი ამონარიდიდან ვხედავთ, ანტონ I-ის მიერ კათოლიკობისკენ მიდრეკამ მთელი ანტიკათოლიკური ძალები გააერთიანა და აამოქმედა. ცხადია, ყველაზე მაღალი საეკლესიო იერარქის მიერ, რაც აქამდე საქართველოს სინამდვილეში არ მომხდარა, მართლმადიდებლობისაგან განდგომა, როგორც ეს მოწინააღმდეგეებს ესმოდათ, დილემის წინაშე აყენებდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. ამიტომ ანტონ I-ის კათოლიკობაზე გავრცელებული ხმა „...გახდა ბიძგის მიმცემი აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკეთა დიდი დევნისა“[2]. სხვა შემთხვევაში წყაროს ენით რომ ვთქვათ, „თვით მეფეს შეიძლება საფრთხე დამუქრებოდა“. თუ რა რეაქცია გამოიწვია თეიმურაზ მეფეში ანტონ I-ის მიერ კათოლიკობისკენ მიდრეკამ, ერთ წყაროში ვკითხულობთ: „მას (თეიმურაზ მეფეს – ავტ.) უკიდურესად ეწყინა და როგორც ავი ძაღლი ისე ღმუოდა“. ის თავის შვილს ერეკლეს საყვედურობდა, რომ მისი მფარველობა არა, „პატრიარქი ამდენს“ ვერ შესძლებდა. ახლა კი ერეკლეს მისთვის უნდა მიეცა ნება, რათა სამეფო გვირგვინი და ტახტი დაეცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში „აუცილებლად თავი უნდა მოეკლა“[3]. ამავე წყაროს თანახმად, ერეკლე II-მ უყოყმანოდ თეიმურაზ მეფის მხარე დაიჭირა და უპასუხა: „იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენ მოგწონთ და მიგაჩნიათ. მე კი მიგულეთ თქვენი ბრძანების უმორჩილეს მსახურად“[4].

ამრიგად, საქართველოში 1750-1755 წლებში კათოლიკობის მიერ მოპოვებულმა დიდმა გავლენამ და წარმატებებმა უკუსვლა იწყო. როგორც ყოველთვის, კათოლიკე მამების წინააღმდეგ აქტიურობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი. ამასთან დაკავშირებით კაპუცინი პატრი ჯუზეპე მოდენელი 1756 წლის 3 იანვარს წმინდა კონგრეგაციის ერთ-ერთ კარდინალს ატყობინებდა: „მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მისიონერები და კათოლიკეები [საქართველოში] დავტოვე ძალიან დაღონებულნი და შეშინებულნი, რაც მომდინარეობდა კონსტანტინოპოლის ბერძენთა პატრიარქისაგან, რომლის მიზეზით გასულ წელს მისიონმა კავკასიის მთების ძირას დაკარგა რაჭის მისიონი და არსებობდა საფრთხე სხვა დანარჩენის დაკარგვისა“ . ამავე წყაროს ვრცელი ინფორმაციით, „1753 წელს პატრების წინააღმდეგ ამხედრდნენ სომხები და მათი მეთაური სახელად აღა მელიქი (აგა მელიკ) ერთხელ ეწვია თბილისში საქართველოს პატრიარქს, რომელსაც წინ დაუდო 500 თუმნით სავსე ქისა, რაც ჩვენს ფულზე 51 000

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 499r.

[2] **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 503.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, № 85, ფურც. 45.

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, № 85, ფურც. 45.

სკუდოს უდრის და სთხოვდა მას, თუ პატრებს ვერ გააძევებდა, მათთვის ეკლესია მაინც ჩამოერთვა: მაგრამ მას პატრიარქმა უპასუხა, რომ პატრების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და ამიტომ თავისი ფული შეენახა, რადგან ის მათ მიმართ ასეთ უსამართლობას არასოდეს ჩაიდენდა. და ის ასე ცოტა შერცხვენილი გაისტუმრა". ირკვევა, ეს საშუალება ანტიკათოლიკურად განწყობილმა სომხებმა არ იკმარეს და იმავე წელს სხვა ხერხის გამოყენება სცადეს. ამის შესახებ უმჯობესად მივიჩნევთ თვით წყაროს მოვუსმინოთ: „იმავე 1753 წელს ეჩმიაძინიდან თბილისში მოხვდა ერთი სომეხი ვართაპეტი. მისი ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ სომხებმა დაიწყეს მისიონერების ძაგება და, სადაც ნახავდნენ, ეუბნებოდნენ: მოიცადეთ კიდევ ორი თვე და მერე ნახავთ რაც დაგემართებათო. მისიონერები ვერ მიხვდნენ საუბრის ასეთ მანერას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კვანძი გაიხსნა, როცა ერთხელ დილით ჩვენთან მოვიდა საქართველოს პატრიარქი[1] და თქვა: ახლად [მოსულმა] სომეხმა ვართაპეტმა სთხოვა მას ჩვენთან საუბარი სარწმუნოების შესახებ და ამიტომ სადილის შემდეგ მასთან მივსულიყავით, სადაც თავადთა თანდასწრებით იქნებოდა შეხვედრა. მამებს ის განცდა დაეუფლათ, რომ ლოცვა-კურთხევა ეძლევათ, რომ სიტყვებით ამცნონ მწარე სიმართლე: „როდესაც წარსდგეთ მეფეთა წინაშე" („Cum steteritis ante Reges"). მართალია, ისინი მომზადებულნი არ იყვნენ, მაგრამ მიწვევა მიიღეს, რადგან კარგად იცოდნენ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა და უღმერთობა. ასეთი ხერხით სომეხთა ვართაპეტი დარჩა დაბნეული, თუმცა ურყევი, და არ იცოდა რა ეპასუხა, ასე შერცხვენილი წავიდა. გავრცელდა ხმა, რომ სომეხი ვართაპეტი დავაჯერეთ[2], რის შემდეგაც ბრბომ ისე ძლიერ შემოგვიტია, რომ მთავარი[3], რათა მათგან დავეფარეთ, იძულებული გახდა თავისი კაცები ეახლებინა სახლამდე; გზაზე ისინი გვესროდნენ ქვებს, ტალახს და მსგავს თავხედობას სჩადიოდნენ; ამგვარად ისინი დიდხანს იქცეოდნენ და ამ დროის მანძილზე მათ სირცხვილი არც აწუხებდათ. აქედან, თქვენს ფრიად პატივცემულებასა და ღირსებას შეუძლია ნახოს, აუცილებელია თუ არა ამ მხარეებში სწავლული ბერმონაზვნების გაგზავნა, რადგან აქ მეტ-ნაკლებად ყოველთვის საჭიროა ბჭობა. მართალია, დროის გასვლის შემდეგ სომხები დამშვიდნენ, მაგრამ არასოდეს ამბობდნენ უარს ჩვენდამი სიძულვილზე და ეწადათ აქედან ჩვენი განდევნა. რადგან ვერ მიაღწიეს მიზანს ვერც ფულის ძალით, ვერც პაექრობით, მათ სხვა სტრატაგემა მოიფიქრეს, რომელიც სინამდვილეში ყველაზე ძლიერი იყო"[4].

ამ მეტად საინტერესო ინფორმაციიდან ჩვენთვის ყველაზე მეტად საგულისხმოა იმ ფაქტის ხაზგასმა, თუ თეოლოგიური დისპუტის საშუალებით რო-

---

[1] საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ I.

[2] უნდა გავიგოთ, ჩვენს აზრზე მოვაქციეთ.

[3] ალბათ, ქართლის მეფე თეიმურაზ II (1744-1762).

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 488 r-488v.

გორ ოსტატურად შეეცადა ანტონ I კათოლიკობის უპირატესობის წარმოჩენას. შეუძლებელია კათოლიკე მამებთან დაახლოებულს, მათგან თეორიულად მომზადებულ ანტონ კათალიკოსს არ გაეთვალისწინებინა, რომ მსგავს თეოლოგიურ კამათში კათოლიკეები გამარჯვებული გამოვიდოდნენ. საკუთრივ ასეთი ფორმა თვით პატრიარქმა შეარჩია, რადგან, წყაროს ენით რომ ვთქვათ, „ასეთი ხერხით სომეხთა ვართაპეტი დაბნეული დარჩა“. ჩვენი აზრით, უკვე კათოლიკობისკენ მიდრეკილმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ანტონ I ბაგრატიონმა, სომეხ სასულიერო პირებთან კათოლიკე მისიონერების დისკუსია, რომელშიც კათოლიკე მამების გამარჯვება ანტონ I-ს, ალბათ, არც ეეჭვებოდა, იმ საშუალებად მიიჩნია, რომ ქართველ დიდებულთა (წყაროს ენით, „თავადთა“) წინაშე კათოლიკობის უპირატესობის დემონსტრირება მოეხდინა.

ამ ფაქტორით, როგორც წყაროები მოწმობენ, კათოლიკეთა დევნა არ დამცხრალა. „ის, რაც ხდება თბილისში, ჩვეულებრივ ასე ხდება [მთელს] საქართველოში და ის, რასაც ამბობენ თბილისის სომხები და ქართველები კათოლიკეების წინააღმდეგ, იგივეს ამბობენ და აკეთებენ გორშიც[1] – წუხდა ზემოხსენებული მამა ჯუზეპე მოდენელი. ამ უკანასკნელში კათოლიკეთა დევნით 1753 წელს თავი გამოიჩინა „თბილისის არქიეპისკოპოსმა, ეროვნებით ქართველმა, კირილემ“, რომელიც ხუთი თვის მანძილზე „...ყველაზე მეტად დევნიდა კათოლიკეებს“[2]. როგორც ჩანს, ანტონ კათალიკოსს კირილე არქიეპისკოპოსისთვის ბრძანება გაუგზავნია, რომ ამ საქმეზე აეღო ხელი, თუმცა მას ეს არ შეუსმენია[3]. დევნილმა კათოლიკეებმა „...თბილისში... მეფესა და პატრიარქს მიმართეს არქიეპისკოპოსის წინააღმდეგ, რომელმაც მრავალი დევნა და უსამართლობა დაატეხა თავს [კათოლიკეებს]. ის ხელახლა გამოიძახეს თბილისში და იძულებული გახდა კათოლიკეებისათვის დაებრუნებინა ის, რაც მათ წაართვა დიდძალი ფულის სახით“[4]. მოვლენების შემდგომი განვითარებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ გატარებული ღონისძიებები არ აღმოჩნდა საკმარისი. ახლა „1754 წელს გორის სომხები გაერთიანდნენ თბილისის სომხებთან და ყველა ერთად მივიდა მეფესთან[5] და არასერიოზული საბაბით, რომ [მამები] ყველას აფრანგებენო[6], აქედან ჩვენი გაძევება მოსთხოვეს; რამდენადაც ერეკლე მეფე წინააღმდეგი იყო ამისა, ისინი დედოფალთან მივიდნენ საჩუქრებით, თუმცა მი-

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. I, f. 489v.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, ff. 489v-490r.

[3] Ibid.

[4] Ibid, f. 490r.

[5] ცხადია, ქართლის მეფე თეიმურაზ II-სთან.

[6] ე.ი. აკათოლიკებენო.

სი მეშვეობით მეფისაგან ვერ მიიღეს ის, რაც უნდოდათ. მაგრამ მათ [მეფისაგან] მიიღეს წერილი, რომელშიც მეფე[1] ბრძანებდა, რომ მომავალში არავის მიეღო კათოლიკობა და ის, ვინც გაკათოლიკდებოდა, დაუყოვნებლივ გაეძევებინათ საკუთარი სახლიდან და მთელი ქონება ჩამოერთვათ"[2] – ვკითხულობთ წერილში.

როგორც ვნახეთ, 1753-54 წლებში კათოლიკეთა დევნამ მიზანმიმართული ხასიათი მიიღო. ცხადია, ასეთ შემთხვევაში თეიმურაზ II-ის (1744-1762) ანტიკათოლიკურ განწყობილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს უკანასკნელი „კათოლიკური სარწმუნოების დიდი მტერი და შეუდრეკელი იყო თავის მოსაზრებებში"[3], თუმცა მოცემულ შემთხვევაში კი, სანდო წყაროს მიხედვით, თეიმურაზ II-ის წამქეზებლებად დასახელებულნი არიან, მეფის მეუღლე, დედოფალი ანა და კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი[4].

თეიმურაზ მეფის რისხვა კი უშუალოდ გამოვლინდა 1755 წელს, როცა მცხეთაში მოწვეულმა საგანგებო საეკლესიო კრებამ კათოლიკობისადმი მიდრეკის გამო ანტონ I კათოლიკოსი ტახტიდან გადააყენა და დააპატიმრა, ხოლო მისი თანამოაზრეები მკაცრად დასაჯა[5].

ეყრდნობა რა პირველწყაროებს, მ. თამარაშვილი მიიჩნევს, რომ თეიმურაზ მეფე ამგვარი მოქმედებისათვის წააქეზეს საქართველოში არსებულმა პროირანულმა ძალებმა, ანტონ კათალიკოსის პირადმა მტრებმა, კათოლიკეთა მოწინააღმდეგე სომხებმა და კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელმა პატრიარქმა კირილე V-მ[6]. ვეთანხმებით რა ავტორის ამ აზრს, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ საქმეში, თუ ძირითადი არა, არანაკლები როლი მიუძღოდათ პრორუსულ ძალებს. ამ თვალსაზრისით სრულად ვიზიარებთ მკვლევარ კ. გაჩეჩილაძის აზრს, რომ რუსეთის თანადგომის მოსაპოვებლად ქართულმა პრორუსულმა ძალებმა გადაწყვიტეს პროზელიტი პატრიარქის დასჯა[7].

ყოველივე ამას კარგად ამჩნევდა პატრი ჯულიო ბონავენტურა ტრენტოელი. ამიტომ მან სცადა პრობლემისადმი ევროპული ხასიათი მიეცა და მასში ჩაერთო რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი, რათა მას ეშუამდგომლა რუსეთის მონარქის წინაშე. ამ მიზნით ის ჩავიდა ვენაში და პაპის ნუნციუსის მეშვეობით შეუდგა დიპლომატიურ მოქმედებას. აი, რას გვაუწყებს ამის შესახებ წყარო:

---

[1] უნდა ვიგულისხმოთ – ქართლის მეფე თეიმურაზ II.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 489.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 43 v.

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 43 v.

[5] **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 268.

[6] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 368-372.

[2] დაწვრ. იხ: **გაჩეჩილაძე, კ.** ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ტ. 349. თბ., 2003, გვ. 441-461.

„ასე რომ, მონსინიორ ნუნციოსთან, – წერდა ბონავენტურა პროპაგანდას ერთ-ერთ კარდინალს, – მუშაობის გამო ვენაში ვბინადრობ და ვეყრდნობი მათ კეთილგონიერებას, რომ მოვიპოვო მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სარეკომენდაციო წერილი მოსკოვის იმპერატრიცასადმი; რომ რუსეთის დიდმა მეფემ ჩვენს სასარგებლოდ მოსწეროს საქართველოს მეფეს, რომელიც ძალიან საჭიროებს მის მხურვალე ერთგულებას, რათა საკუთარი სახელმწიფოს ტახტზე მყარად იჯდეს. ჩვენ მარტო [დავრჩით] სომხებთან, რომელიც ყოველთვის მხარდაჭერილი იყო მეფისაგან. დღემდე. მჯერა, რომ საქართველოს სამეფო ოჯახი, წმინდა ტახტი, მოძღვრები და სათნოების დამცველები, განსაკუთრებით მისი ყოვლადუწმინდესობა, ყველანაირ სწრაფ და ძალიან ფასეულ დახმარებას აღმოუჩენენ საქართველოს საბრალო კათოლიკეებს, რომლებიც უკვე გახდნენ საძულველნი არსებანი...“[1]

წყაროებში ასევე, როგორც ვთქვით, თეიმურაზ მეფის ანტიკათოლიკური პოლიტიკის გატარების მომხმარეებად დასახელებულნი არიან თეიმურაზის მეუღლე, დედოფალი ანა და სამეფო კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი. ეს უკანასკნელი და ნინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი საბა ტუსიშვილი სათავეში ედგა თეიმურაზის ანტიკათოლიკურ მოძრაობას. მას სასულიერო პირთა წრეში მრავალი მომხრე ჰყავდა. სამღვდელოების ამ კონსერვატიულმა ნაწილმა ზაქარია გაბაშვილის მეთაურობით 1755 წლის ბოლოს მცხეთაში მიაღწია საგანგებო საეკლესიო კრება, რომელმაც ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენა და დააპატიმრა, ხოლო მისი თანამოაზრეები მკაცრად დასაჯა. რამდენიმე თვის შემდეგ მომდევნო საეკლესიო კრებაზე ანტონმა აღიარა და მოინანია თავისი შეცდომა, უარყო კათოლიკობა და ითხოვა ღვთისმსახურების უფლებაში აღდგენა და რუსეთში წასვლა.

1756 წლის აპრილში რუსეთისაკენ მიმავალი ანტონი გორში შეჩერდა, სადაც მას ეკლესიაში წირვის უფლება მისცეს[2]. ის გორში ეკლესიასთან ბერების სახლში გაჩერდა. მისმა ასეთმა მოქმედებამ ააღელვა ქალაქის სამღვდელოება. ანტონმა თავი იმით იმართლა, ნაავადმყოფარი ვარ და, რადგან ამაზე უკეთესი სახლი არ არის აქ გავჩერდებიო[3], ანტონით უკმაყოფილო გორელებმა მეფეს წე-

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 499 v.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2, f. 499v.

[3] **ჭიჭინაძე ზ.,** პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896, გვ. 24.

რილიც კი მისწერეს[1]. სწორია ის ვარაუდი, რომ რუსეთისაკენ მიმავალი ანტონი გამოემშვიდობა თავის ყოფილ თანამოაზრეებს გორელ კათოლიკებს[2].

გორში პატრებმა დიდი პატივი მიაგეს ანტონს, რაც მათთვის საბედისწერო გახდა. სომეხ და ბერძენ სასულიერო პირთა მიერ წაქეზებულმა თეიმურაზ II-მ თბილისიდან და გორიდან განდევნა კაპუცინები და 1755 წელს მათ ჩამოართვეს ეკლესიები. ამ დარბევას ხელმძღვანელობდა ზაქარია გაბაშვილი და მღვდელი ლარაძე. ამ დროს განადგურდა გორში კათოლიკეთა საავადმყოფო, წამალხანა და სასწავლებელი[3]. გორის კათოლიკეთა ეკლესია თეიმურაზ მეფემ „იქაურ არქიეპისკოპისს"[4] ანუ როგორც თ. ჟორდანია მიიჩნევს სამთავროს ეპისკოპოსს კირილე ციციშვილს გადასცა[5]. მაგრამ ამით ქართველ კათოლიკეთა კერა არ ჩამქრალა გორში. მან თავიანთი ეკლესია გადაიტანეს ზუბალაშვილების სახლში[6].

ამრიგად, ნიკიფორე ირბახისა და სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ, ანტონ I ბაგრატიონი იყო მაღალი თანამდებობის მესამე უნიატი ქართველი სასულიერო პირი. მისი გაკათოლიკება, როგორც წინამორბედებისა, არ ნიშნავდა მართლმადიდებლობის ღალატს, ტიპიკონისა და საეკლესიო წესდების შეცვლას, წინაპართა ტრადიციების უგულებელყოფას, რადგან წმ. ბასილის ორდენის მოწესეობა ამას გამორიცხავდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ქართველი კათოლიკენი არსებობის დღიდან ფაქტობრივად უნიატები იყვნენ, რადგან მათ საეკლესიო წიგნები და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე ჰქონდათ. კათოლიკური სარწმუნოების ასეთი ხალხი კი „უნიატებად" იწოდებოდნენ[7]. ანტონის, ისევე როგორც საბას, გაკათოლიკება მართლმადიდებლობას კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ მის გადარჩენას ისახავდა მიზნად. ვინაიდან მოძალებული ისლამის აგრესიის პირობებში ევროპის დახმარების გარეშე (ჩრდილოეთიდან აღთქმული დახმარება იგვიანებდა) თავად მართლმადიდებლობა დგებოდა უკიდურესი საფრთხის პირისპირ. ეს არ ესმოდა ქართული სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელმაც ანათემა გამოუცხადა საბას და ანტონს[8].

ანტონ კათოლიკოსის თხზულებებიდან ირკვევა, რომ იგი არა მხოლოდ გონებისმიერი ხედვით ჭვრეტდა ეკლესიათა კვლავ შეერთების აუცილებლობას. „მზამეტყველებაში" მოჩანს, რომ ეს გათიშვა ეკლესიებისა ანტონისათვის იყო

---

[1] **მამისთვალიშვილი ე.,** გორის ისტორია I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბილისი, 2018, გვ. 330.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 375; **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 629, შენიშვნა 1.

[3] **ჭიჭინაძე ზ.,** კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 57.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 375.

[5] Духовный Вестник грузинского экзархата, 1891, №14, с. 29.

[6] **ჭიჭინაძე ზ.,** კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 58.

[7] **პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, გვ. 269.

[8] **გამსახურდია ზ.,** წერილები-ესეები, თბ., 1991, გვ. 97.

პირადი ტრაგედია, ღრმა განცდის საგანი უწინარეს ყოვლისა. ცხარე ცრემლით გლოვობს იგი ამ გათიშვას, ამ დარღვევას ღვთაებრივი ერთობისას, რამაც კაცობრიობა, მისი თვალზასრისით, განსაცდელში ჩააგდო: „ხოლო აქა ცრემლითა ფრიადითა ჟამი არს წერად, და რათა მაქუენდეს კალამი მწუხარებისა ალთა შინა წთობილი, ხოლო კვეთილი მახვილთაგან საგონებელთა მომკვლელთაისა და მელანი, ნაზავი ცრემლითა, ვაიმე! ვაიმე! განიყვნეს ეკლესიანი სძალნი ქალწულნი, შვენიერნი მნათობნი აღმოსავლისა და დასავლისა ცის კიდეთანი, რომელსა ერთ სამე ეწოდებოდა ეკლესიაი და არა ორ... ერთისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა არა სადმე განყოფითა თანა კერძოსა მისისათა დაიხსნების სრულებაი... არამედ უმჯობეს იყო, რათამცა ორთა ნაწილთაგან იგი შედგმულებაი დაუხსნელ იყო“. აქედან ცხადი ხდება, თუ რად მიელტვოდა ანტონ I ეკლესიათა კვლავ შეერთებას. ეს მისი მაღალი ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარეობდა. ამიტომ მის მიერ „კათოლიკობის მიღებას“ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ხოლო საქმით მას არ დაუთმია მართლმადიდებლური სჯული[1].

ნათქვამს ასევე დავამატებთ: ანტონ კათოლიკოსის ასეთი ჭვრეტა ნაკარნახევი იყო მისი უნიატური მზრუნველობით. ქრისტიანობის ერთიანობის გარეგნული აღდგენა, ყველა ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობის შექმნა მოითხოვდა კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის დოქტრინალური შეუთანხმებლობის გადალახვას. კარგად იცის ანტონმა, რომ ამის მიღწევა ადვილად არ მოხერხდება და ამიტომ მასზე არ ამახვილებს ყურადღებას. იგი მოსურნეა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები დაადგნენ გაერთიანების გზას. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ აუარა გვერდი ანტონ I-მა თავის ნაშრომში „ღვთისმეტყველებაში“ კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის განსხვავების საკითხებს[2] . ანტონის ასეთი ხედვა დღესაც შეგვახსენებს, რომ ეკლესიათა ერთიანობა შეიძლება მხოლოდ დაფუძნდეს სარწმუნოებაზე და საჭირო აღარაა დოქტრინალური უთანხმოების წინ წამოწევა.

დაბოლოს, ზემოთმოყვანილი ციტატის მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანტონ დიდმა „მზამეტყველებაში“ არა მხოლოდ ახალ სიმაღლეზე აიყვანა უნიის საკითხებზე მსჯელობა, არამედ ქართულ ნიადაგზე გადმოიტანა ეკლესიათა ერთიანობის იდეა, რომელიც ერთი მხრივ, პასუხობდა ამ პერიოდის პაპობის უნიატური პოლიტიკის სულისკვეთებას და, მეორე მხრივ, იცავდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესებსაც.

აქვე ზოგადი დასკვნის გაკეთების მიზნით ვსვამთ შემდეგ კითხვას: როგორ უნდა შევაფასოთ კათოლიკე მისიონერთა საქმიანობაში ქართველ არქიელთა და სხვა სასულიერო პირთა პირდაპირი მონაწილეობა?

ეს უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან ორგანული კავშირის დამყარების

---

[1] **გამსახურდია ზ.,** წერილები-ესეები, თბ., 1991, გვ. 97.

[2] ქსე, ტ. I, გვ. 497.

სურვილი. სახელმწიფოს დაქვემდებარებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იზიარებდა ქვეყნის პოლიტიკურ მეთაურთა პროკათოლიკურ და პროდასავლურ პოლიტიკას, რადგან ის ამოცანად ისახავდა დასავლეთის დახმარებით საქართველოს თავისუფლებასა და აყვავებას. ბუნებრივია, ეს თავისთავად განაპირობებდა ქართული ეკლესიის კეთილდღეობას. სწორედ ეს პოლიტიკური ასპექტი განსაზღვრავდა, როგორც სასულიერო მესვეურთა, ისე ხალხის შემწყნარებლობას კათოლიკობის მიმართ. ჩვენი აზრით, ამის გამო იყო, რომ ქართველთა კათოლიკობა, რომელთაც საქართველოში „ფრანგებს“ ეძახდნენ, არასოდეს ნიშნავდა ეროვნების შეცვლას და არასოდეს იყო მიმართული ქართველობის წინააღმდეგ. ახლა ისევ ვსვამთ კითხვას: რას მოუტანდა საქართველოს ქართველ სასულიერო მესვეურთა მიერ კათოლიკობის აკრძალვა? იმ პერიოდში ვატიკანთან კავშირი იყო ერთადერთ გზა საქართველოს იზოლაციის გარღვევისა; საქართველოს დასავლეთთან კავშირისა, ქვეყნის დასავლურ კულტურასთან ზიარებისა და საბოლოოდ ამის საფუძველზე ქვეყნის აღორძინებისა; სამხრეთ საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნებისა. ამ მხარეში კათოლიკობის მიღება იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი, რომელიც შესამჩნევად ასუსტებდა მაჰმადიანობისა და გრიგორიანობის პოზიციებს. საეკლესიო იერარქები პროგრესულად უყურებდნენ მისიონერთა საქმიანობასა და ვატიკანის რელიგიურ პოლიტიკას. მართალია, ზოგი ამაზე მიდიოდა ხალისით, ზოგი უხალისოდ, მაგრამ პრინციპში ისინი ერთ აზრს იზიარებდნენ, რომ პროგრესი დასავლეთშია, კათოლიკობაში, ანუ „ფრანკობაში“.

## *თეიმურაზ II და ერეკლე II – კათოლიკეებთან ურთიერთობის ორმაგი სტანდარტი*

მოვლენების განვითარების ქრონოლოგიური პრინციპიდან გამომდინარე ამთავითვე შევეხებით ერთ მცირე ფაქტს, რომელიც დღემდე არაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ფრანგი ისტორიკოსი პოლ მასონი თავის ნაშრომში „აღმოსავლეთში საფრანგეთის ვაჭრობის ისტორია XVIII საუკუნეში“[1] საარქივო მასალებზე დაყრდნობით წერს, რომ „მომდევნო წელს (1750 წელს – ავტ.) მოხუცმა ფაშამ ბონევალმა (ახმად ფაშა – ავტ.) კასტელანს (საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში – ავტ.) შეატყობინა საქართველოდან ოთხი კაპუცინი მამის მისიისა და იმ წერილის შესახებ, რომელიც ეხებოდა სპარსეთიდან საქართველოს გავლით სავაჭრო გზის გაყვანის საკითხს“[2]. ამ ცნობის სისწორე დაუდასტურებია ორ სომეხ ვაჭარს საქართველოში[3]. საფრანგეთის ელჩი „...ამ გეგმას მეტისმეტად გრანდიოზულად მიიჩნევდა, ხოლო საქართველოს (იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს – ავტ.) გავლით გზას ნალებ ხელსაყრელად, ვიდრე ტრაპეზუნდის გავლით, რომელზეც ფიქრობდა მარკიზ დე ბონაკი“[4] .

ამ ცნობის სანდოობის შესამოწმებელი მასალა ჩვენ ამჯერად არ გაგვაჩნია. თუ ეს ფაქტი სინამდვილეს ასახავს, მაშინ უნდა დავასკვნათ შემდეგი: ქართველი პოლიტიკოსები (ცხადია, ერეკლე II და თეიმურაზ II), ჩანს, შეეცადნენ, ისევ გამოეცოცხლებინათ ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი პროექტი საფრანგეთის აღმოსავლეთთან ვაჭრობაში საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო გზად გამოყენების შესახებ. ამ საქმის დიპლომატიურ მოსაშუალედ როგორც წინათ, ახლაც გამოვიდნენ კათოლიკე მისიონერები.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, თეიმურაზ II-ს ანტიკათოლიკური განწყობილება ბოლომდე არ გაჰყოლია. ჩვენი აზრით, ჩანს, ის ერეკლე მეფის რჩევით მიხვდა, რომ პროგრესის მოწინააღმდეგე ძალების სურვილს ასრულებდა და ამიტომ კათოლიკეებისათვის ისევ შემწეობა აღმოუჩენია. ამის უტყუარი საბუთია ის, რომ მან მეფე ერეკლესთან ერთად 1760 წლის 13 იანვარს წერილი მისწერა ახალციხის პრეფექტს ლეონარდო ვიტერბოელს, რათა ერთი მღვდელი გამოეგზავნა თბილისში უმწყემსოდ დარჩენილი მრევლისათვის[5].

ჩვენ არ ვიცით, ახალციხის კაპუცინთა ვიცე-პრეფექტმა ლეონარდომ დააკმაყოფილა თუ არა თეიმურაზისა და ერეკლეს თხოვნა. მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ ლეონარდო საქმის კურსშია თეიმურაზის მიერ რუსეთში ელჩობით

---

[1] Masson Paul. Histoire du commerce français dans le Levant au XVIII siècle, Paris, 1911.

[2] **Masson P.,** Histoire du commerce français dans le Levant au XVIII siècle, Paris, 1911, p. 642.

[3] Ibid.

[4] Ibid.

[5] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85, ფურც. 42.

გამგზავრების შესახებ. 1759 წელს ის რომს ატრობინებდა: „თეიმურაზი მიდის რუსეთს და ვგონებ იქიდან აღარ დაბდუნდესო, რადგან საკმაოდ დროულიაო“[1]. ცნობილია, რომ თეიმურაზ II 1760 წლის აპრილში გაემგზავრა რუსეთში და იქვე გარდაიცვალა 1762 წელს. როგორც ვხედავთ, ლეონარდოს ვარაუდი ახდა. ამ ფაქტს იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ ლეონარდო თეიმურაზ მეფეზე განაწყენებულია და, ცხადია, მისი სიკვდილი იმ საშუალებად მიაჩნია, რომ ერეკლესთან ადვილად გამოენახა საერთო ენა. ამის საფუძველი მას ჰქონდა, რადგან თეიმურაზისაგან განსხვავებით, ერეკლე, ლეონარდოსავე სიტყვებით, კათოლიკობისადმი „...მიდრეკილია (უნდა გავიგოთ ლოიალურად განწყობილია – ავტ.) და ჩვენთვის კარგი უნდაო“[2].

სანამ მოვლენების შემდგომ განვითარებას შევეხებით, მანამ საკუთრივ ლეონარდოს შესახებ. საქართველოში ამ მისიონერის საქმიანობაზე მ. თამარაშვილის მიერ მოძიებულ და მოტანილ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ასეთი სურათის დახატვა: პატრი ლეონარდო ვიტერბოელი საქართველოში 1759-1766 წლებს შორის ჩანს[3]. უდავოა, რომ კაპუცინი ლეონარდო 1759 წელზე უფრო ადრეა საქართველოში ჩამოსული. ამის უმთავრეს არგუმენტად მივიჩნევთ იმას, რომ ლეონარდო ჯიროლამო ნორჩასთან ერთად ახლო ურთიერთობაში იყო ანტონ I კათალიკოსთან და 1755 წელს მცხეთაში გამართულ საეკლესიო კრების დროს საქართველოში იმყოფებოდა. თუმცა ჩვენი მიზნისთვის იმის დადგენას, თუ ზუსტად როდის ჩამოვიდა ლეონარდო საქართველოში ამჯერად გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება ზედა ზღვარს, წყაროების თანახმად, ლეონარდო სამშობლოში საბოლოოდ 1766 წელს გაემგზავრა[4].

პატრი ლეონარდო თავიდანვე თბილისში, ან გორში ეწეოდა სამისიონერო საქმიანობას და ახალციხეში მხოლოდ 1755 წლის შემდეგ გადავიდა. რომიდან 1760 წლის 15 ნოემბერს ლეონარდოსადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით, მას საქართველოში კაპუცინ მისიონერთა ვიცე-პრეფექტის ადგილი ეკავა[5]. ერთხანს, დროებით ვიკარიუსიც იყო[6]. ირიბი წყაროების თანახმად, იგი პატრ ჯიროლამო ნორჩასთან ერთად მოღვაწეობდა გორში[7]. ცხადია, ეს გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ლეონარდო ახლოს იცნობდა ანტონ კათალიკოსს, რადგან ამ უკანასკნელმა სწორედ ჯიროლამო ნორჩას წინაშე აღიარა კათოლიკობისადმი მიდრე-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 377.

[2] იქვე, გვ. 377.

[3] იქვე, გვ. 377-380, 426, 436.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 436.

[5] **Tamaratil M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 633; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღერმდე, გვ. 690.

[6] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 426.

[7] იქვე, გვ. 372-373.

კა[1]. კიდევ ერთი, პატრი ლეონარდო საექიმო საქმეებში დახელოვნებული პირი ჩანს, რომელსაც არა მარტო ქართლის სამეფო კარზე, არამედ მთელს საქართველოში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. უფრო მეტიც, ექიმი-მისიონერი, ანდა საექიმო საქმეში გაწაფული პატრი, ეს ამოსავალი იყო კათოლიკე მამების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებისა და პატივისცემის გამოსახატავად.

ცნობილია, რომ 1762 წელს თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ხელმწიფე გახდა ერეკლე II. 1763 წელს ერეკლე მეფემ ანტონ I, რომელიც 1757 წლის 1 დეკემბრიდან ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი იყო, კვლავ საქართველოში დააბრუნა და კათოლიკოსობა უბოძა. ამას შეეძლო გარკვეული როლი შეესრულებინა კათოლიკეების მიმართ ფარული სიმპათიით განწყობილ ერეკლეზე დასავლური ორიენტაციის სასარგებლოდ. ამ დროისათვის ერეკლეს გამოუმჟღავნებელი სიმპათია უდავოა კათოლიკეებისადმი. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ წყაროში ვკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლე ბერძნული [წესის] მართლმადიდებელია, მან იცის რომაულ-კათოლიკური რელიგიის ჭეშმარიტება და ძალიან შემწყნარებელია კათოლიკობისადმი. ყოველ შემთხვევაში ხელს უწყობს და მფარველობს მათ (მისიონერებს – ავტ.). არ შეუძლია აშკარად გამოაცხადოს თავი კათოლიკედ...“[2]. ერეკლე მეფის შემწყნარებლობა კათოლიკებისადმი ასევე გამოვლინდა იმაში, რომ მან კათოლიკობისათვის განდევნილი ივანე ორბელიანი ექსორიიდან დააბრუნა. ასევე დააბრუნა ანტონ I-თან ერთად გაძევებული ბერები[3].

კაპუცინი პატრების თბილისიდან განდევნა, ცხადია, დიდად მტკივნეული იყო კათოლიკე მრევლისათვის. ასეთ ვითარებაში მათ თხოვნით მიმართეს ერეკლე და თეიმურაზ მეფეებს, რათა მათთვის ახალციხიდან გამოეგზავნათ მღვდელი. ქართველმა ხელმწიფეებმა შეიწყნარეს კათოლიკე მრევლის თხოვნა და 1760 წლის 23 იანვარს ახალციხეში კაპუცინთა პრეფეტს ლეონარდო ვიტერბოელს (Leonardo da Viterbo) წერილობით მიმართეს შემდეგი თხოვნით: მას ან ვინმე ახალციხელი მღვდელი გამოეგზავნა, ან თვითონ წამოსულიყო სამწყსოს გასაძღოლად[4].

ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ რა შედეგი გამოიღო თეიმურაზისა და ერეკლეს თხოვნამ ლეონარდო ვიტერბოელისადმი. მხოლოდ ირკვევა, რომ 1760 წლის აგვისტოს დასაწყისში ერეკლე მეფემ ახალციხეში პატრ ლეონარდოსთან

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 373.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85 ფურც. 44v.

[3] იქვე, ფურც. 44.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 377.

გაგზავნა თავისი სიძე 62 (სხვა ცნობით 60 ჯარისკაცი)[1] ჯარისკაცით, რათა ეთხოვნათ მისთვის, რომ თბილისში დაბრუნებულიყო. წყაროებში ამის მიზეზად დასახელებულია შემდეგი: პირველი, კათოლიკე მრევლი ლეონარდოს, ვითარცა მკურნალსა და მოძღვარს, თხოვდა თბილისში დაბრუნებას[2] მეორე, ერეკლე მეფეს სურდა, ლეონარდო, როგორც ექიმი, თავის სამსახურში აეყვანა[3], ხოლო ახლა იწვევდა თავისი დის სამკურნალოდ[4]. ამასთანავე, მას ერეკლეს მფარველობით სრული უფლება ეძლეოდა სასულიერო საქმიანობისათვის, რაც ქართველი კათოლიკეებისათვის დიდ ნუგეშს წარმოადგენდა. ერეკლესთვის, ჩანს, ლეონარდოს პიროვნებას ეპიზოდური მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან განჯის დასამორჩილებლად ბრძოლაში ჩაბმული[5] მეფე პოულობს დროს და სპეციალურად აგზავნის ბანაკიდან თბილისში პირს, რომ ლეონარდოს არავინ შეუშალოს ხელი „...წირვის თქმისა და სხვა სასულიერო სამსახურის შესრულება“-ში. ბრძოლის ველზე მყოფი მეფის მიერ ასეთი ყურადღება და ლეონარდოზე, მის საქმიანობაზე ზრუნვა, ამ ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. შესაძლებელია, ეს მისიონერების მეშვეობით ევროპასთან ერეკლეს მომავალ მიზნებსაც უკავშირდებოდეს, რასაც ის აქედანვე უყრიდა საფუძველს.

ამჯერად ლეონარდომ ერეკლე მეფის თხოვნა შეასრულა, მაგრამ, როგორც მ. თამარაშვილი წერს, „ერეკლესაგან დაბარებული პატრი ლეონარდო რავდენსამე თვის შემდგომ გაბრუნებულა ახალციხეს ჰაერის გამოსაცვლელად, რადგან დასნეულებული იყო და აგრეთვე ახალციხის საქმეების გამო“[6]. იმავე მ. თამარაშვილის თანახმად, 1761 წლის გაზაფხულზე ერეკლე მეფის მეუღლე, დედოფალი ავად გამხდარა. მას დაჟინებით მოუთხოვია, რომ მისთვის წამლობა და მკურნალობა ლეონარდოს გაეწია. ამ მიზნით ერეკლე II-ს ახალციხეში გაუგზავნია სახლთუხუცესი (Maggiordomo) 34 ცხენოსნითა და წერილით ლეონარდოს წამოსაყვანად[7].

მოკლედ რომ ვთქვათ, ერეკლე მეფე პატრ ლეონარდოს ამჯერად დედოფლის თუ სამეფო ოჯახის რომელიმე წევრის განსაკურნებლად იბარებდა ახალციხიდან თბილისში. ამ მიზნით მას წერილი მიუწერია ლეონარდოსათვის, ცხადია, ქართულ ენაზე. ამ წერილის დედანს მ. თამარაშვილმა მაშინ ვერ მიაკვლია. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „ეს წიგნი (ერეკლე II-ის წერილი ლეო-

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 378, 760.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 5 v.

[3] იქვე.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 378.

[5] დაწვრ. იხ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 630.

[6] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 379.

[7] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 6 v; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 379.

ნარდოსადმი – ავტ.) ვერ ვიპოვეთ, მარტო მისი იტალიურიდან თარგმანი გვაქვს“[1]. ამჯერად ერეკლე მეფის ქართულ ენაზე დაწერილი წერილი ჩვენს ხელთაა და მას მთლიანად მოვიტანთ. მანამდე კი გვსურს აღვნიშნოთ შემდეგი. ერეკლე მეფის წერილი ლეონარდოსადმი დაწერილია 1761 წლის 21 აპრილს. ჩანს, მისი თარგმანი იტალიურ ენაზე ლეონარდომ შეასრულა, რადგან მან ქართული ენა კარგად იცოდა. ბუნებრივია, წერილის დედანი და თარგმანი ლეონარდომ პროპაგანდაში თავის უფროსებს გაუგზავნა. რადგან მ. თამარაშვილმა ერეკლეს წერილის დედანს ვერ მიაკვლია, მან იტალიური ქართულ ენაზე თარგმნა და თავის ცნობილ წიგნში – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ მთლიანად მოიტანა[2]. აი, ისიც: „ლეონარდოს!

ქ: ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს დიდათ იმედათ მისაჩენელს, მისახედავს და არაოდეს ჩვენგან არ დასავიწყარს ახალციხის თემის უფროსს და დიდებულის ეპისკოპოზის მაგიერს პატრი უფროსს . მრავალი მათის სრულის თავის სა-კადრი მოკითხვა და უმიზეზოდ ბრძანებს სიხარული მოეხსენოს ამხანაგად. თქვენი წიგნი მოგვივიდა, დიდათ გვეამა და რაც მოგეწერათ ყველა ვუწყით და მანამ ჩვენ კახეთიდამ მოვიდოდით, თქვენ წასულიყავით. ახლა ამას გაუწყებთ. ცოტა ხანი არის, რომ ჩვენი სახლი შეუძლოთ არის. არა ვიცით ხველა-სურდო არის თუ ისე სხვა ცხელება რომ არის. ჩვენი ეშიგაღასი ბაში რევაზ გამოგვიგზავნია თქვენის სიკეთისა და ღ-თის მოყვარულობისაგან ამას მოგელით, რომ არ დაზარდეთ და ამას გამოყვეთ. ვიცით, რომ მანდ ბევრი საქმეები გაქვს, მაგრამ ჩვენის ხათრისათვის მანდ ერთი ვინმე ან ვართაპეტი და ვინც იცოდეთ ხუცესი ცოტას ხანს მანდ თქვენ მაგიერად დააყენოთ და თქვენ წამოხვიდეთ. ვიცით, რომ ქრისტიანების მოყვარული ხართ და ქრისტეს გულისათვის არ დაზარდეთ ხვალვე ამგვარებს. ამიტომ შემოგიკვეთეთ თუ ჩვენც გამოგველი რასმე და ან ჩვენი ხათრი და სიყვარული გაქვს ამას მოგელით, რომ მალე წამოხვიდეთ ღ-თის მოწყალებით მაგისთანა [სნეულება არ არის], მაგრამ თქვენი მოსვლა მუნასიბი ვნახეთ. ახლა ღმერთის შეწევნით მაგ გზაზე მშვიდობა არის და კარგად წამოხვალთ და როდესაც წასვლა გინოდესთ ღ-თით კარგად მშვიდობით გაგისტუმრებთ. ეს რევაზ ეშიგაღას ბაში რომ გამოგვიგზავნია თუნდა ჩვენ მოვსულვართ მანდ. თუნდა ეს ასე უნდა დაიჭიროთ ღ-თსამცა ნუღარ დაზარდებით ამას გამოყვენით და ამას წინათ ჩვენ აქ არ ვიყავით და თქვენთვის ჯორი მოერთმევინათ იმის ჯარიმათ ერთი ჯორი მოგვირთმევია კარგი და ერთიცა ცხენი მოგვირთმევია, რომ მამდედამვე ამავე ცხენით უნდა წამოხვიდეთ და ერთი სხვა ჯორიც გამოგვიგზავნია თქვენის ბარგის ასაკიდებლად და სამოცი ზარ მაჰმუდი ფლური მოგვირთმევია წამლიანა და რიგი ნახეთ რასაც დაეშურებით წამოსვლას თქვენ იცით“.[3]

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 379.

[2] იქვე, გვ. 379-380.

[3] Archivio della SCPF, “Persia”, t. III, №7.

როგორც მოტანილი წერილიდან ვხედავთ, მასში კონკრეტული საკითხია დასმული. კერძოდ, ერეკლე მეფე ახალციხის კათოლიკეთა ვიცე-პრეფექტს ლეონარდო ვიტერბოელს, როგორც ექიმს, იწვევდა თბილისში ოჯახის წევრთა სამკურნალოდ. ამასთანავე კარგად ჩანს ის პატივი და სათუთი დამოკიდებულება, რომელიც ერეკლეს ჰქონდა ლეონარდოსადმი. თანამედროვე დიპლომატიურ ენაზე რომ ვთქვათ, ასეთი ექსკორტის თანხლებით, რომელსაც სათავეში ედგა ეშიკაღასბაში ანუ საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსი, ლეონარდოს მიწვევა მხოლოდ მაღალი სტუმრის რანგს შეეფერებოდა.

სამი დღე და ღამის მგზავრობის შემდეგ იგი თბილისში ჩამოვიდა. მან მალე განკურნა დედოფალი. ამის გამო ერეკლემ და დედოფალმა მას, ვითარცა ბრწყინვალე ექიმს, დიდი სიყვარული და ნდობა გამოუცხადეს. მას ასევე პატივისცემა დაუმსახურებია ქართველი ბატონებისა და ზოგიერთი გავლენიანი სომხისგანაც. ამის წყალობით ლეონარდოს კათოლიკეების ერთი საკმაოდ დიდი სახლი ეკლესიად გადაუქცევია, სადაც საჯაროდ დაუწყია ქადაგება, წირვა და სხვა სამსახურის აღსრულება. კათოლიკების გარდა მასთან სამკურნალოდ სხვებიც მიდიოდნენ და მის ქადაგებას ისმენდნენ. 3 სომეხი მღვდელი, 9 მართლმადიდებელი კაცი და 22 ქალი გაუკათოლიკებია. ლეონარდოსთან გორიდან მოსულა ბერძნული ტიპიკონის ორი ქართველი მღვდელი და კათოლიკობა მიუღია[1].

ჩვენი აზრით, მარტო აღნიშნული საჭიროებით არ იყო გამოწვეული ერეკლე მეფის შემწყნარებლობა კათოლიკე პატრებისადმი. იგი შემადენელი ნაწილი იყო ერეკლე II-ის დასავლური ორიენტაციის იმ კონკრეტული ამოცანისა, რომელიც 80-იანი წლებიდან დადგა საქართველოს საგარეო პოლიტიკის წინაშე. ამიტომ ერეკლე ფრთხილ დამოკიდებუებას იჩენდა მისიონერების მიმართ, რაც ხშირად მისი მიზნის საწინააღმდეგო მოქმედებითაც ხასიათდებოდა. ეს კი გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებით, რაც ხანდახან სარწმუნოებრივ საკითხებში დიპლომატიურად ლავირებას მოითხოვდა.

ერთი სიტყვით, თბილისში ისევ განახლდა მისიონერთა მოღვაწეობა. კაპუცინთა პრეფექტს ჯიროლამო მარია ნორჩას 1762 წლის ვრცელი მოხსენების მიხედვით, მთელ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის ასეთი სურათი იხატება: საქართველოში კათოლიკე მისიონერთა პრეფექტურას ჰქონდა დავრდომილთა 5 თავშესაფარი და შესაბამისად 5 ეკლესია – თბილისში, გორში, ონში, ქუთაისსა და ახალციხეში[2]. ამ უკანასკნელში იყო სამი ეკლესია: ერთი კაპუცინებისა ღვთისმშობლის სახელობისა და ორი ჯვრის ეკლესია[3]. „თელავში ალავერდსა და სხვა მხარეში იყო სამი კათოლიკე მონაზონი და 29 კათო-

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 6 v; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 380.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 9-16.

[3] იქვე, ფურც. 60.

ლიკე ერისგანი“. მთელ საქართველოში კათოლიკეთა რიცხვი 9 ათასს სჭარბობდა. ოცი წლის მანძილზე მისიონერებმა თბილისში, კახეთში, გორში, შინდისსა და ახალციხეში კათოლიკობაზე მოქციეს 1045 კაცზე მეტი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გორსა და თბილისში მრავალი ბერძნული რიტის კათოლიკეები, ანუ უნიატები იყვნენ[1]. ახალციხის კათოლიკეთა სკოლაში 70 მოსწავლე სწავლობდა[2] .

თბილისში კაპუცინი მამების მოღვაწეობის განახლებამ რომში დიდი დსიხარული გამოიწვა. პაპმა კლიმენტი XIII-მ (1758-1769) ერეკლე II-ს 1763 წლის 16 აპრილს მისწერა წერილი, რომლებიც მოძღვართა გარეშე დარჩნენ. „აწ გთხოვთ, ინებოთ და დააბრუნოთ თქვენს სამეფოში ეგ მონაზვნები, რომლებიც უწინ თავიათის ღისების თქვენნი საყვარელნი იყვნენ და კიდევ იფარავდით მათ. აწ რასაც ვსთოვთ თქვენს ხელმწიფებას, დიდ სიკეთედ შევრაცხავთ და თქვენგან მარადის დავალებული ვიქნებით“ – წერდა პაპი ერეკლეს[3].

ერეკლე მეფემ ცოტა მოგვიანებით განიზრახა გორის მისიონის აღდგენა. ამ მიზნით მან 1767 წლის გაზაფხულის დასაწყისში ახალციხის მისიონის უფროსს პატრ ალიოზის (Aloysius de Praga) მისწერა წერილი, რომ გორში გამოეგზავნა მამა გიორგი-ტაურინელი, რომელიც იმავე წლის 14 მარტს ჩავიდა გორში. მას მისცეს სახლი, სადაც ტრაპეზი აღმართეს და კათოლიკეები ეკლესიის მაგივრად იყენებდნენ. ჩამორთმეული ეკლესიის მაგიერ მეფემ მისიონერებს ეკლესიის ასაშენებლად ადგილი უბოძა. მალე მშენებლობაც დაიწყო. ეკლესიის აგება დაასრულა პატრმა მარიუსმა 1813 წელს[4] .

საქართველოში კათოლიკეთა საქმიანობის ასეთი წარმატებით შემობრუნებამ რომის შესაბამისი რეაგირება გამოიწვია. პაპი კლიმენტი XIV 1769 წლის 23 აგვისტოს წერილით ერეკლე II-ს გულთბილ მადლობას უძღვნიდა მისიონერებისადმი გაწეული მფარველობის გამო. აქვე მეფეს აუწყებდა, რომ მან მთელ ევროპაში მოიხვეჭა სახელი თავისი სიბრძნით, გულადობით, მტერზე გამარჯვებით, კაპუცინი მისიონერებისადმი კარგი მოპყრობით და მათზე მზრუნველობით. პაპი ამ გულთბილ წერილში იმედს გამოთქვამდა, რომ ერეკლე კვლავაც დაიფარავდა პატრებს და მათ შემწეობას არ მოაკლებდა[5]. ერთი სიტყვით, პაპი ერეკლე მეფის მფარველობას კათოლიკეებისადმი საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდა და ამით მისი პიროვნების მასშტაბებს ზრდიდა.

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 763, 383.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 60.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 383.

[4] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 385-386; **ჭიჭინაძე ზ.,** კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში..., გვ. 51; **მამისთვალიშვილი ე.,** გორის ისტორია, I, გვ. 332.

[5] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 387.

ამავე ხანებში რომიდან გორში დაბრუნდა კაპუცინებთან მონაზვნად შესული გორელი მორჩილი ძმა ანტონ ქართველი[1]. მ. თამარაშვილი მის გვარს არ უთითებს. ჩვენი აზრით, ეს ანტონ ფირალაშვილია (Antonio Piralianti), რომელიც 1754 წლის 6 ივნისს შევიდა პროპაგანდის კოლეჯში. აქ იგი „...2 წელი სწავლობდა თეოლოგიას“. 1757 წლის 26 მაისს ანტონმა მიიღო ფიცი და 1761 წელს დაბრუნდა თბილისში[2], სადაც დაიწყო სამისიონერო მოღვაწეობა. შემდეგ იგი 1779 წელს კაპუცინთა პრეფექტმა რაღაც საჭირო საქმის გამო რომში გაგზავნა, სადაც 1781 წელს კაპუცინთა ორდენში შევიდა. ამავე წელს ანტონი საქართველოში დაბრუნდა. ახლა მას რომიდან იმერეთის მეფე სოლომონს I-თან მოჰქონდა პაპ პიუს VI-ის წერილი და საჩუქრად ერთი საათი. როგორც ირკვევა, ანტონი საუკეთესო მკურნალი ყოფილა. ამის გამო იგი თითქმის მუდმივად იმყოფებოდა ერეკლე მეფის კარზე. ამგვარად, ანტონ გორელი რიგით მეოთხე ქართველი იყო, რომელიც კაპუცინთა ორდენში შევიდა. იგი 1787 წეს გარდაიცვალა[3].

XVIII ს-ის 50-70-იან წლებში იმერეთის სამეფოში კათოლიკობას საკმაოდ დაეტყო წინსვლა. პატრი ლეონეს მიხედვით, იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს (1720-1740) (1741-1752) კათოლიკური სარწმუნოების მიმართ „ძალზე კარგი და გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა. ამის შედეგად კაპუცინი მამები დიდ წარმატებებს აღწევდნენ“[4]. იმერეთის სამეფოში, კერძოდ, რაჭაში მისიონერთა მოღვაწეობის აღორძინებას განსაკუთრებით ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს კათოლიკე პატრიარქი ბესარიონი და მისი ძმა როსტომ რაჭის ერისთავი. აღნიშნული მიზნით ისინი ახლაციხის მისიონის უფროსს ალიოზის გამუდმებით თხოვდნენ, რომ გაეგზავნა მისიონერები რაჭაში[5], მაგრამ პრეფექტი თავს იკავებდა ამისაგან. ამის მიზეზს თვით წყარო ასახელებს. ალიოზ პრაღელი 1767 წლის 18 მარტს ახალციხიდან პროპაგანდა ფიდეს ერთ-ერთ კარდინალს აუწყებდა: „იმერეთის პირველმა ერისთავმა[6] (princeps Eristavi Imeretanus) მონსინიორ კათალიკოსთან[7] ერთად წერილობით სამჯერ მთხოვა ძმა დიონისო და ერთი მღვდელი გამეგზავნა მის ქვეყანაში, რათა იქ სამუდამოდ დარჩენილიყვნენ. ამასთან ერთად ღირსეულმა მამამ იერონიმემ[8], ჩემმა წინამორბედმა, დამაჯერა, რომ ადვილად არ მერწმუნა მათი წერილები, უწინარეს

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 386.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70, ფურც. 145.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 386, 397, 405.

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 50.

[5] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 179r.

[6] როსტომ რაჭის ერისთავმა (1750-1769).

[7] იგულისხმება – დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ბესარიონი (1742-1769).

[8] ალბათ, იერონიმე ნორჩა.

ყოვლისა, ახლა გამეფებული ომებისა და ბერი აკადებულის (monachum Akadebuli)[1] გამო, რომელიც მზად იყო ძალის გამოყენებით ხელახლა დაეწყო ჩვენი დევნა"[2].

როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში გამეფებული ანარქიის გამო (იგულისხმება სოლომონ I-სა და როსტომ რაჭის ერისთავს შორის მიმდინარე განუწყვეტელი ბრძოლები), კაპუცინთა უფროსი, მისიონერთა უსაფრთხოების გარანტიის მიღების გარეშე, საშიშად თვლიდა იმერეთის სამეფოში პატრების გაგზავნას. ყოველივე ამას პირველწყარო ასე გადმოგვცემს; „როცა მესამედ მომწერა [წერილი] თავადმა[3] და კათალიკოსმა[4], იერონიმესთან მოთათბირებითა და ფაშას[5] (Baschae) ბრძანებითა და სარეკომენდაციო წერილით, იმერეთში გავგზავნე ძმა დიონისიო, რომელსაც გადავეცი ბეჭედდასმული ინსტრუქცია იტალიურ და ქართულ ენაზე, რომელსაც დასახელებულმა ძმამ და ბატონებმა ღიად, ფიცის ქვეშ უნდა მოაწერონ ხელი. ასევე ძმა დიონისიომ ორი სანუგეშო წერილი მომწერა, რომელშიც მაუწყა, რომ ყველა დიდებულმა თანხმობა დაადასტურა და ბატონმა კათალიკოსმაც[6] (ასევე თვით ბერ-მონაზონმა აკადებულმა), რომელმაც, ავადმყოფობისაგან უფლის შემწეობით განკურნებულმა, ასევე თანხმობა განაცხადა წერილობით და გვევედრება ონსა და რაჭაში უწინდელი მდგომარეობა ეფექტიანად აღვადგინოთ დასახული მიზნით"[7].

ამრიგად, პატრების დაცვის გარანტია წერილობით თავის თავზე აიღო პატრიარქმა ბესარიონმა და როსტომ რაჭის ერისთავმა. ამ დაპირებას პატრი ალიოზი არ დათანხმდა და იმერეთში გაგზავნა საექიმო ხელოვნებით განთქმული ერთი ძმა დიონიზიო სპეციალური ინსტრუქციით. მასში, ალბათ, მოცემული იყო ის პირობები, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინა ზემოთხსენებულ პირებს. კათოლიკოსმა ბესარიონმა, რაჭის ერისთავმა და სხვა თავადებმა წერილობით მისცეს პატრ ალიოზს დასტური, რომ კათოლიკე მამებს ყოველგვარ შემწეობას აღმოუჩენდნენ[8].

მ. თამარაშვილი მიხედვით, ქუთაისში ჩასული დიონიზიო ონში გამგზავრებულა, რათა იქ განეახლებინა მოღვაწეობა. მას აქ „კიდევ აუშენებია... სამი ოთახი, ეკლესიაც უნდა დაეწყო, ხოლო ამის ნება არ მივეცი, სანამ არ

---

[1] ბერი დაყუდებული?

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 179r.

[3] იგულისხმება – როსტომ რაჭის ერისთავი.

[4] იგულისხმება – დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ბესარიონი.

[5] იგულისხმება – ახალციხის ფაშა.

[6] იგულისხმება – დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ბესარიონი.

[7] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, ff. 179r-179v.

[8] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 386.

გამომიგზავნის მთავარ დადიანის და ახალი მეფის (სოლომონ I-ის – ავტ.) წერილობით თანხმობას“ – წერდა პატრი ალიოზი პროპაგანდას ზემოხსენებულ რელაციონეში[1].

სოლომონ I დიდის (1752-1784) მეფობის დრო ხასიათდება იმერეთ-ოსმალეთს შორის ომებითა და განუწყვეტელი შინაფეოდალური ბრძოლებით. ეს უეჭველია, ხელს უშლიდა მისიონერთა მოღვაწეობის გაშლას. მართალია, სოლომონ მეფე არ იყო წინააღმდეგი პატრების საქმიანობისა, მაგრამ მათ მიმართ არც დიდ ხელშეწყობას ავლენდა. მიუხედავად ამისა, კათოლიკე მამებს იმერეთის სამეფოში საქმიანობის სრული თავისუფლება ჰქონდათ. 1778 წლისათვის ქუთაისში 15 მოსახლე კათოლიკე იყო, რომელთაც საკუთარი ეკლესია ჰქონდათ. მათ სულიერ მწყემსობას უწევდა ერთი კათოლიკე მღვდელი, რომელსაც ხანდახან ახალციხეში მყოფი კაპუცინები ცვლიდნენ.

1779 წლის 25 აგვისტოს სოლომონ I-მა წერილი მისწერა რომის პაპს პიუს VI-ს (1775-1789). მეფე ადრესატს სთხოვდა, რომ იმერეთში ორი ექიმი და მისთვის საჩუქრად ერთი საათი გაეგზავნა[2]. რომში სოლომონის წერილი და სათხოვარი იმერეთში კათოლიკობის მომავალი წარმატების საწინდრად მიიჩნიეს და პროპაგანდამ პაპის მეთაურობით დაუყოვნებლივ დაიწყო საქართველოში მოღვაწეობის მსურველი ექიმის ძებნა. ეს არ იყო ადვილი საქმე ორი მიზეზით: პირველი, ძნელი იყო ვინმეს ხალისი გამოეთქვა მუდმივად საშიშროების ქვეშ მყოფი იმერეთის სამეფოში მოღვაწეობაზე; მეორე, წამოსვლის მსურველმა არ იცოდა, მეფე მას მისცემდა თუ არა ჯამაგირს[3]. „ბევრი ძებნის შემდეგ აღმოჩნდა ერთი ფრანგი და აქ წამოსვლის სურვილი გამოაცხადა. იგი იყო ავიონიონის უნიევრსიტეტის პირველი ექიმი პენიერ დე ლონშანი. იმისა და პროპაგანდას შორის მიწერ-მოწერა გაიმართა. პროპაგანდა მზად იყო ყველაფრით დახმარებოდა და მალე გაესტუმრებინა“ – წერს მ. თამარაშვილი[4]. რაც შეეხება საათს[5], ის პაპმა თავის წერილთან ერთად გამოატანა საქართველოში მიმავალ კაპუცინ

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 179v; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 384-385.

[2] **თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,** გვ. 395.

[3] იქვე, გვ. 397.

[4] იქვე.

[5] პირველწყაროს მიხედვით, ეს საათი, ჩანს, გზაზე დაზიანდა. როგორც ირკვევა, პრეფექტმა ანდრია პალერმოელმა უხერხულად მიიჩნია, იგი მიერთმია სოლომონ მეფისათვის. თანაც, ჩანს, ეს საათი ვერ შეედრებოდა ახალციხის ფაშასა და ეჩმიაძინის პატრიარქის მიერ სოლომონისათვის საჩუქრად ბოძებულ საათს. Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, ff. 100r-100v.

პატრს ანტონ გორელს[1]. პიუს VI წერილში, რომელიც დაწერილია 1781 წლის 27 იანვარს, სოლომონ I-ს ატყობინებდა, რომ დიდად წუხდა ოსმალებისაგან მისი შეჭირვების გამო. ღმერთს შეევედრებოდა, რომ მის სამეფოში სიმშვიდემ დაისადგუროს. აუწყებდა, რომ საჩუქრად უგზავნიდა საათს და შეეცდებოდა, მალე გამოეგზავნა ერთი ექიმიც[2].

ეს უკანასკნელი დაპირება შეუსრულებელი დარჩა. პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტმა ანტონელიმ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ხსენებული პენიე დე ლონშანი, რომელმაც პირველ ხანებში საქართველოში წამოსვლაზე თანხმობა განაცხადა[3], სოლომონ I-თან გაეგზავნა, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა [420]. წყაროებში ამის მიზეზად დასახელებულია შემდეგი: „მას (პენიე დე ლონშანს – მ. პ.) არ შეუძლია იმერეთსი გასამგზავრებლად ხარჯების გაღება და ამასთანავე, არ იცის, თუ რა სარგებლობას მოუტონს მას ეს გამგზავრება (იმერეთის სამეფოში სამსახური – მ. პ.) [421] – წერდა 1781 წლის 16 ივნისს ვინმე ჯაკომო ფილომავენო კარდინალ-პრეფექტს ანტონელის.

ამ წყაროზე დაყრდნობით, ჩანს, პენიე დე ლონშანმა, სანამ იმერეთის სამეფოში გამგზავრების საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, დაადგინა, თუ როგორი მატერიალური უზრუნველყოფა ექნებოდა მას საქართველოში თავისი ექიმობისათვის. ამ მხრივ მან, ალბათ, რეალურად შეაფასა ვითარება და ვერაფერი დაინტერესება ნახა იმერეთში თავისი საქმიანობისა. ამიტომ მან პროპაგანდას თავაზიანად უარი შეუთვალა იმ იმედით, რომ „სხვა ადგილას“ (იქ, სადაც მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა – ავტ.) პაპის სამსახურისთვის მზად იყო.

იმერეთის სამეფოში კაპუცინი მამების წარმატებული მოღვაწეობის შედეგს უნდა მივაწეროთ ისიც, რომ ვინმე ანტონ ქართველს ქუთაისიდან (Antionio di Girogoi di Cytais) კარგად შეუსწავლია იტალიური და ლათინური ენები. ამის შემდეგ იგი პროპაგანდის კოლეჯში განათლების მისაღებად მზადებას შესდგომია[4]. სამწუხაროდ, სხვა რაიმე ცნობა ანტონ ქართველის შესახებ ჯერჯერობით ჩვენ არ გაგვაჩნია.

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, ff. 100r.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 396.

[3] **მერაბიშვილი გ.,** ვატიკანთან ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ურთიერთობის ისტორიიდან // ევროპის ქვეყნის ისტორიის პრობლემები, თბ., 1983, გვ. 118.

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №77, ფურც. 39v.

## *ერეკლე II-ის ევროპული პოლიტიკა საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის კონტექსტში*

ამავე ხანებში, კერძოდ, 80-იან წლებში, ერეკლე II-მ გადაწყვიტა, კონტაქტი დაემყარებინა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. მას ამ დროისათვის კარგად იცნობდნენ ევროპაში. ჯერ კიდევ 1738 წელს ერეკლე მეფის ნიჭსა და უნარზე ალაპარაკდა აღმოსავლეთი და დასავლეთი. ევროპელი მკითხველისათვის საქართველოსა და ერეკლეს პიროვნების გაცნობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი დიპლომატის შარლ პესონელის წიგნს[1] – „მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქათველოში", რომელიც პარიზში გამოვიდა 1754 წელს. ავტორი ამ ნაშრომში აღტაცებით აღწერს „დიდი პრინცის" ერეკლეს პორტრეტს. ის წერს: მეფე ერეკლე „...დღეისათვის ერთადერთი და ყველაზე ძლიერი პიროვნებაა ამ ორ სამეფოში-საქართველოსა და სპარსეთში. ერეკლე ყველაზე უფრო სრულყოფილია იმ მეფეებს შორის, რომლებიც კი გამოჩენილან აღმოსავლეთში. იგი 27 წლისაა[2] და ამჟღავნებს დიდ გონიერებას, მეტ წინდახედულებას, ვიდრე ეს მის ასაკს შეეფერება; გამოცდილებას, უბადლო ვაჟკაცობას. ყველა ამ სათნოებით მან დაიმსახურა თავისი ხალხისა და ჯარის თაყვანისცემა, მისი მეზობელთა აღფრთოვანება და მტერთა თავზარი. იგი კარგი აგებულებისაა, საკმაოდ მაღალი, ტანადი, სახე საშუალო სილამაზის, ალალ-მართალი, სადა თავის ტანსაცმელში და საქციელში. მაგრამ ამ პიროვნებას აქვს ის სიდიადე, რომელიც ცხადყოფს, რომ იგი მეფეა თავის სასახლეში, ხოლო სარდალი თავის ჯარში". „არაფერი გადამიჭარბებია, – აგრძელებს ავტორი, – ერეკლეს აღწერაში. მეფე, რომელიც ამდენი მშვენიერი თვისებებით არის შემკული, ფლობს ორ დიდ სამეფოს-საქართველოსა და სპარსეთის სომხეთის სამეფოებს. მართავს ორ ყველაზე მამაც ერს აღმოსავლეთში. და, რომ ისინი, სიყვარულით მათი მეფისადმი და ერთგულებით ქრისტიანული რელიგიისადმი, შეძლებენ განახორციელონ უფრო ვრცელი წამოწყებები"[3].

ერეკლე მეფის ეს ბრწყინვალე პორტრეტი, ჩვენი აზრით, ფრანგმა დიპლომატმა იმისათვის შექმნა, რომ მისი პიროვნების მიმართ დასავლეთში ინტერესი აღეძრა. ამ აზრით, ავტორი შესანიშნავ მაგალითს იძლეოდა და მისი გადაწყვეტილება მიზანში ხდვდებოდა. კერძოდ, იცავდა რა ობიექტურობას, მას სურდა დასავლეთისათვის ეჩვენებინა, რომ ერეკლე მეფე სპარსულ-თურქულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოთამაშეა, რომელიც მომავალში „ორ მამაც ერზე" დაყრდნობით თავისი მხედარმთავრული ნიჭის წყალობით წარმოებული ბრძოლების შედეგად ქრისტიანული სამყაროსათვის უდიდესი კეთილისმყოფე-

---

[1] **Peyssonel Ch.,** Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, Paris, 1754.

[2] აქ შეცდომაა: ერეკლე II დაიბადა 1720 წელს და 1754 წლისათვის ის იყო 34 წლის.

[3] **Peyssonel Ch.,** Op. cit., pp. 151-155; **ტაბაღუა ი.,** ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. თბ., 2000, გვ. 4-6.

ლი გახდება. შესაძლებელია, კარსმომდგარი „აღმოსავლეთის საკითხის“ კონტექსტში ერეკლეს პორტრეტის დახატვა ამ მიზანსაც ემსახურებოდა. ძნელია ამტკიცო, მართლა თქვა თუ არა პრუსიის მეფემ და გამოჩენილმა მხედართმთავარმა ფრიდრიხ II დიდმა (1740-1786) – „ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში-ერეკლეო“, მაგრამ შარლ პესონელის ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, რომელიც გერმანულ ენაზე 1755 წელს ითარგმნა და გამოიცა მაინის ფრანკფურტში, სრულიადაც არაა გასაკვირი მსგავსი რამ ეთქვა პრუსიის მეფეს.

ერეკლე მეფისადმი სხვა ავტორთა ინტერესი სავარაუდებელია შარლ პესონელის წიგნმაც კი შეამზადა. ასეა თუ ისე, 1766 წელს ლისაბონში პორტუგალიურ ენაზე გამოიცა ორი 8 გვერდიანი ბროშურა[1]. ამ მცირე მოცულობის ნაშრომებში ბევრი ისტორიული ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს, რისი გაანალიზების ადგილს აქ ვერ ვხედავთ. თუმცა ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ ორივე ბროშურის ავტორი ერეკლე მეფის ბრძოლებს აგრესორთა წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის უკომპრომისო ბრძოლის კონტექსტში წარმოადგენს. ავტორები ნიადაგ ისეთ სტატისტიკას იშველებენ, რომ თურქთა უზარმაზარ ჯარს ქართველები ერეკლეს მხედართმთავრული ნიჭის წყალობით სულ მცირე ძალებით ამარცხებენ[2]. ავტორები განსაკუთრებული აღტაცებით აღწერენ ერეკლე მეფის ბრძოლებს თურქების წინააღმდეგ. ეს გატაცება იმდენად დიდია, რომ მათი ვერსიით 1766 წლის 16 ივლისს ერეკლე II-მ ტრაპიზონი აიღო[3], რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. ნიშანდობლივია ბრძოლის დაწყების წინ ერეკლე მეფის ჯვაროსნული განწყობის გადმოცემა. ბროშურის ავტორის თანახმად, ერეკლე მეფემ შემდეგი სიტყვებით მიმართა ჯარს: „თავდადებულო ჯარისკაცებო, კეთილშობილური გულით თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ ჩვენს მესამე მტერს ვებრძვით იესო ქრისტეს-ჩვენი უფლის რწმენისათვის. ამიტომ ყველანი მსხვერპლად შევწირავთ ჩვენს სიცოცხლეს, როგორც ***კეთილი კათოლიკეები*** *(ხაზგასმა ჩვენია).* დე, ნუ შეგაშინებთ თქვენ ნურც სიკვდილი, ნურც მტრების დიდი რაოდენობა. იფიქრეთ მხოლოდ უფლის პატივსა და დიდებაზე და თქვენს სახელზე. იბრძოლეთ მამაცურად, რწმენით, უფლის დახმარებით! მე მჯერა, რომ თავხედი ურჯულოები კვლავ იგრძნობენ თქვენი დარტყმის ძალას. მაშ ასე: გამბედაობა, უშიშროება და მამაცობა!“[4]

როგორც ვხედავთ, ბროშურის ავტორი საქართველოს კათოლიკურ ქვეყანად მიიჩნევდა, ხოლო მის მეფეს ერეკლეს კი-კათოლიკედ. ვიცით, რომ ამ

---

[1] დაწვრილებით ამ ორი ბროშურის შინაარსი იხ: **ტაბაღუა ი.,** ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. თბილისი, 2000, გვ. 8-40.

[2] **ტაბაღუა ი.,** ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. თბილისი, 2000, გვ. 15, 25.

[3] იქვე, გვ. 22-26.

[4] იქვე, გვ. 24.

ფაქტს სინამდვილესთან არა აქვს კავშირი. ასევე შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ბროშურის ავტორმა არ იცოდა, რომ საქართველო არ იყო კათოლიკური ქვეყანა. ჩვენი ვარაუდით, აქ საქმე გვაქვს ჰიპერბოლასთან, რის საშუალებითაც ავტორმა ქრისტიანობის საერთო მტრის, თურქების წინააღმდეგ, ერეკლე მეფის ბრძოლა საყოველთაო ქრისტიანულ, ანუ კათოლიკურ საქმედ მიიჩნია, ხოლო ერეკლეს კათოლიკე მეფის გვირგვინი დაადგა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ XVIII საუკუნეში რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში ისევ ასრულებდა თუ გადამწყვეტს არა, გარკვეულ როლს, ჩვენი ვარაუდი სინამდვილესთან ახლოსაა.

ერთი სიტყვით, დასავლეთ ევროპის მონარქებთან ერეკლე მეფის დაკავშირებას თეორიული საფუძველი გააჩნდა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი ნაბიჯი ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე მდგარი ფინანსური პრობლემის გამო გადაიდგა.

ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768-1774) საქართველომ გასწია ხარჯი 430 ათასი მანეთი. საჭირო იყო ხარჯების დაფარვა. ერეკლემ რუსეთს სესხად სთხოვა ფული. „...რაკი რუსეთიდან ჯარით არ მეხმარებით, სესხად ან „პენსიონის“ სახით ფული მომაშველეთ, რომ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ჯარის დაქირავება და შენახვა შევძლო“ – წერდა ერეკლე[1]. მაგრამ რუსეთიდან პასუხი არ ჩანდა.

ასეთ ვითარებაში ერეკლე მეფემ არცთუ ისე დიპლომატიურად მართებული ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, ჩვენი აზრით, შეჭირვებული ფინანსური მდგომარეობის ოდნავ შემსუბუქების მიზნით სომეხი სამღვდელოების ინტერესებში აღმოსავლეთ საქართველოში ანტიკათოლიკური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამის შესახებ სრულ ინფორმაციას გვაძლევს თბილისის კაპუცინთა მისიონის პრეფექტის დომენიკო ტრიესტელის მიერ 1775 წლის 24 ნოემბერს პროპაგანდის ერთ-ერთი კარდინალისადმი გაგზავნილი ვრცელი რელაციონე. მის თანახმად, სომხების მხრიდან დევნის გამო მისიონი დაცემას განაგრძობდა[2]. ამ მიმართულებით ეჩმიაძინის კათოლიკოს-პატრიარქი სიმეონ I (1763-1780) დიდძალ თანხას ხარჯავდა[3]. ამ უკანასკნელმა, ჩვენი აზრით, კარგად დაინახა ერეკლე მეფის ფინანსური გასაჭირი და ფულის გაღებით შეეცადნენ მის მოქრთამვას, რათა გადამჭრელი პოლიტიკური ნაბიჯი გადაედგა კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის აღსაკვეთად.

ამისათვის შერჩეული იქნა შესაბამისი გარემოება, რომელის მიმდინარეობასაც ასე გადმოგვცემს ხსენებული პატრი. „გასული წლის მაისის[4] თვეში მეფე

---

[1] **ცინცაძე ი.,** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 85.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 331r.

[3] Ibid.

[4] ე.ი. 1774 წლის მაისში.

ერეკლემ თავისი მეორე ვაჟიშვილი ლევანი[1] დააქორწინა. ქორწილზე მოწვეული იყო არა მხოლოდ ამ ქვეყნის ყველა დიდებული, არამედ მრავალი უცხო [მხარის წარმომადგენელი], რომელთა შორის დაპატიჟებული იყო სომეხთა ზემოხსენებული ანტიპატრიარქიც[2]; თუმცა ის ქორწილში თვითონ არ მოვიდა, მაგრამ თავის მაგივრად გამოაგზავნა ორი ეპისკოპოსი ვართაბეტი[3] (მათ შორის იყო ის ვართაბიეტი, რომელმაც რვა წლის წინათ ახალციხეში კათოლიკეების დევნა წააქეზა), რომელთაც 300 თუმნის, რაც ჩვენს ფულზე დაახლოებით 3000 სკუდოს უდრის, საჩუქრები გამოატანა. როგორც კი ქორწილი დამთავრდა, ორმა სომეხმა ვართაბიეტმა თავისი ხალხის[4] მღვდლებთან და დიდებულებთან იფიქრეს, რომ იმ საჩუქრების წყალობით, რომელიც ერეკლეს მიართვეს, ის[5] ნებისმიერ უსამართლო გადაწყვეტილებას მიემხრობოდა და ამით ესარგებლათ. ამიტომ ზემოხსენებული საჩუქრების გარდა, მათ [მეფეს] შესთავაზეს 700 თუმანი, ანუ 7000 სკუდო, იმ პირობით, რომ ერეკლე მეფე ნებას დართავდა, იძულებით ისევ სომხურ სარწმუნოებაზე მოექციათ არა მარტო 20 წლის მანძილზე კათოლიკობაზე მოქცეულნი, არამედ ამ ქალაქიდან[6] მამა-მისიონერების განდევნის შემდეგ სომეხი მღვდლების მიერ მონათლულთა მშობლებიც. მეფეს თვალი აუხვია არა იმდენად სომხების მაცდურმა დაპირებებმა, რომ ისინი ფულითა და საკუთარი სისხლით საჯაროდ დაიცავდნენ მას მტრებისაგან, რომლებიც ტახტის წართმევით ემუქრებოდნენ, რამდენადაც უფრო აცდუნა შეთავაზებულმა 700 თუმანმა, რომ თითოეულ სომეხს, ვინც კი კათოლიკობასთან დათმობაზე მიდიოდა ისეთი გამძვინვარებით მოქცეოდნენ, როგორც მოისურვებდნენ“[7].

მეფის ასეთმა გადაწყვეტილებამ ფართო გასაქანი მისცა კათოლიკეების დევნას ისე, რომ „არ იბრალებდნენ ფეხმძიმე ქალებსაც, რომელთაგან ორს, შიშისა და ცუდი მოქცევის გამო, მალე მუცელი მოეშალა“. „აქ არ შემიძლია აღვწერო ის, – აგრძელებს რელაციონეს ავტორი, – თუ როგორი შეურაცხყოფით, დაცინვითა და გინებით მიათრევდნენ საწყალ კათოლიკეებს ამ არჩეულ მოსამართლეებთან. მათ წინაშე თუკი რომელიმე თავის დაცვას შეეცდებოდა, ყველა ხმას უწევდა და მათ ლანძღავდა და წყევლიდა; ის, ვინც უშიშრად განაცხადებდა, რომ სურს იცხოვროს და მოკვდეს ამ ორთოდოქსულ სარწმუნოებაში[8],

---

[1] ლევან ბატონიშვილი (1756-1781).

[2] ე.ი. ეჩმიაძინის კათოლიკოს-პატრიარქი სიმეონ I.

[3] ვართაპეტი – სწავლული ბერი სომხურ ეკლესიაში, არქიმანდრიტი.

[4] ცხადია, იგულისხმება – თბილისში მცხოვრები სომეხი მღვდლები და წარჩინებულნი.

[5] ე.ი. მეფე ერეკლე II.

[6] იგულისხმებიან – თბილისში მცხოვრები სომხები.

[7] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 331r.

[8] ე.ი. კათოლიკურ სარწმუნოებაში.

მას დიდხანს უმოწყალოდ სცემდნენ, შემდეგ სატუსაღოში აგზავნიდნენ და მანამ არ ათავისუფლებდნენ, სანამ დიდძალ ფულს არ გადაახდევინებდნენ. ამის გამო ზოგი ჩვენი კათოლიკე დიდ გასაჭირში ჩავარდა, ხოლო ზოგი ვალებში ჩაეფლო. რამდენადაც ბევრი იყო კათოლიკობაში ბრალდებული, დევნა და სასამართლო პროცესი ორი თვე გაგრძელდა, რომლის განმავლობაში საშინელი მუქარითა და არაადამიანური მოპყრობით მათ ორივე სქესის 8 პირს უარი ათქმევინეს წმინდა სარწმუნოებაზე[1] და აიძულეს სომეხთა მწვალებლობა მიეღო. საჯაროდ ჩემი შერცხვენის მიზნით სამჯერ დამიბარეს ამ უკეთურ სასამართლოში, სადაც მაძლევდნენ ზოგიერთ ისეთ კითხვას, რომელიც უაზრობა იყო და მიზნად ისახავდა ჩვენი წმინდა სარწმუნოების აბუჩად აგდებას. მეფე ერეკლე მაშინ არ დასწრებია[2] სასამართლოს, რადგან ჩემი ძალიან რცხვენოდა, როგორც ეს მან ერთ თავის მესაიდუმლესთან აღიარა, 12 წლის მანძილზე ჩემი ერთგულებისა და მსახურების გამო[3].

ერეკლე მეფის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ და კათოლიკეთა დევნამ ქართული მართლმადიდებელი სამღვდელოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ამას ძალზე მკაფიოდ გადმოგვცემს ხსენებული რელაციონე. აი, ისიც: „როგორც კი ერეკლე მეფის უსამართლობა ყველასათვის ცხადი გახდა, ქართველ მართლმადიდებელთა დიდმა და საუკეთესო ნაწილმა, განსაკუთრებით ბერებმა, ეპისკოპოსებმა და მათმა კათალიკოსმა, ანუ პატრიარქმა დაუფარავად გაკიცხეს მეფის უსამართლო მოქცევა. არა მხოლოდ [ქართველი] მართლმადიდებელი ბერები, არამედ თვით პატრიარქიც, ასევე მეფის უფროსი შვილი, რომელთაც ვებრალებოდით ხანგრძლივი უსამართლო ჩაგვრის გამო, მოვიდნენ ჩვენთან, რათა ვენუგეშებინეთ ჩვენს მწუხარებაში. მათ ეს ვერ გაეგოთ, თუ როგორ დააბრმავა და გაამძვინვარა ფულმა მეფე ერეკლე ისე, რომ ყურს არ უგდებდა საპატივცემლო ხელქვეითებს, როცა ისინი ჩვენს დახმარებაზე საუბრობდნენ“[4].

საზოგადოების ასეთ უკმაყოფილებას შეუძლებელია მეფე ერეკლეზე არ ემოქმედა, მაგრამ თუ რა მიზნით გადადგა მან ეს ნაბიჯი და რა ფარულ მიზანს ისახავდა, შეიძლება ამავე რელაციონედან ამოვიკითხოთ. „..მეფე ერეკლემ, – წერს დომენიკო ტრიესტელი, – ერთი თავისი კარისკაცი ჩემთან გამოგზავნა და მამცნო: „ყოველგვარი ორგულობის გარეშე გარწმუნებთ, რომ ძალიან დავალებული ვარ უფროსი პატრის, რომელიც მრავალ შემთხვევაში ერთგულად მემსა-

[1] ე.ი. კათოლიკურ სარწმუნოებაზე.

[2] ამ ინფორმაციის მიხედვით, ჩანს, რომ ამ სამი დაკითხვის დროს მეფე ერეკლე II სასამართლოში არ მისულა.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 331v.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 331v.

ხურა; ვიცი, რომ დამწუხრებული იქნება უსიამოვნებებითა და კინკლაობით, რომელიც ხდება კათოლიკეებსა და სომხებს შორის, მაგრამ უნდა მოითმინოს, რადგან ამას საჭიროებს ქვეყნის საქმეები; თუმცა, როგორც მამებისათვის, ასევე მათი ხალხისათვის შედეგი კარგი იქნება“[1].

ვფიქრობთ, ადვილი მისახვედრია, რომ ერეკლე II-მ აღნიშნული ნაბიჯი ქვეყნის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო გადადგა. უფრო მეტიც, მისი მომდევნო ბრძანებაც ამავე მიზანს ისახავდა. ეს კარგად აქვს დანახული პატრ დომენიკეს, რომელიც წერს: „ამით არ დასრულებულა მეფე ერეკლეს მთელი უსამართლობა. ასრულებდა რა სომხებისადმი მიცემულ სხვა ხელსაყრელ დაპირებებს, მან კათოლიკეების წინააღმდეგ გამოსცა რამდენიმე უკეთური ბრძანება, [რომელიც] მჯერა, ეშმაკმა ჩააგონა. ამ ბრძანებებში მოჭორილი და ცრუ დაპირებების შემდეგ, ცუდად და ირიბად იყო რა ნათქვამი ჩვენს კათოლიკურ სარწმუნოებაზე, მან გადაჭრით დაადგინა: თუკი მომავალში რომელიმე სომეხი მიიღებს კათოლიკურ სარწმუნოებას, მას ორი თვით მიუსჯიან სატუსაღოს, სადაც სარჩოდ მხოლოდ პური და წყალი ექნება, ხოლო ერთი თვის აქ ყოფნის შემდეგ 300 კაცი გაწკეპლის, მთელი ქონება ჩამოერთმევა, მერე სახლიდან გააძევებენ სიცოცხლის ბოლომდე ერთ სოფელში, საიდანაც გაქცევას ვერ შეძლებს. პატრმა, რომელმაც კათოლიკობაზე მოაქცია რომელიმე, ჯარიმად უნდა გადაიხადოს 50 თუმანი, რაც უდრის 500 სკუდოს და ბოლოს, მეფის ქვეყნიდან[2] უნდა იქნეს გაძევებული. ეს არის მოკლედ ბარბაროსული ბრძანებები, რომელიც საინტერესოა, რაც ერეკლემ ფულის გამო გააკეთა[3]. სხვა ინფორმაციით, ერეკლე მეფის ბრძანების თანახმად, ის მისიონერი, რომელიც „...ნებისმიერ სომეხ ერეტიკოსს კათოლიკობაზე...“ მოაქცევდა 350 რომაული სკუდოს ოდენობის ჯარიმას იხდიდა[4].

მოტანილი ციტატები ადვილად გვარწმუნებენ, რომ აღნიშნული ნაბიჯი ერეკლე მეფემ ძირითადად ფინანსური მოსაზრებით გადადგა, მაგრამ თუ პრობლემას უფრო ჩავუღრმავდებით მასში პოლიტიკურ მიზანს დავინახავთ. ჩვენი აზრით, ერეკლე II-მ თავისი „ანტიკათოლიკური“ პოლიტიკა ააგო იმ ფაქტორზე, რომ ამით საფრანგეთის მონარქისა და რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის ყურადღება მიეპყრო, რათა აღნიშნული პრობლემის მოგვარების საფუძველზე აეგო მათთან მომავალი ურთიერთობა. სწორედ ამ მიზნით უთხრა ერეკლე მეფემ ორაზროვნად დომენიკოს, რომ „...უნდა მოითმინოს, რადგან

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, ff. 331v-332r.

[2] იგულისხმება – აღმოსავლეთ საქართველოდან.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 332r.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 120v.

ამას[1] საჭიროებს ქვეყნის საქმეები“. თუკი დასავლეთთან ურთიერთობები აეწყობოდა, მაშინ საქართველოში კათოლიკე მამების საქმიანობა ჩვეული წარმატებებით გაგრძელდებოდა. სწორედ ეს აზრია მოცემული დომენიკოსადმი ერეკლე მეფის დიპლომატიურად ნათქვამ სიტყვებში: „თუმცა, როგორც მამებისათვის, ასევე მათი ხალხისათვის შედეგი კარგი იქნება“. ცხადია, მეფე მაშინ ვერ გაუმხელდა კაპუცინ მამას თავისი ანტიკათოლიკური ბრძანებების მიზანს. მოკლედ, რელიგიური ფაქტორი იყო ის საშუალება, რაც საფუძველს მისცემდა ერეკლე მეფის ინტერესებში აღნიშნულ მონარქებთან ურთიერთობის დამყარებას. საკუთრივ კი კათოლიკე მისიონერები, ერეკლე მეფისვე გათვლით, თავიანთი საქმიანობის ინტერესებში არ დაიშურებდნენ ენერგიას აღნიშნულ მონარქებთან შუამავლობის გაწევაში. ეს გათვლა უმალვე დადასტურდა, რადგან დომენიკო ტრიესტელმა დაუხანებლად მიმართა წმინდა ტახტს დახმარებისათვის. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოვიტანთ დომენიკე ტრიესტელის შემდეგ ინფორმაციას. ამ უკანასკნელს არ ეეჭვება, რომ დიდად სასარგებლო იქნებოდა „...თუკი საქმეში საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩი და იმპერატორის[2] ინტერნუნციო[3] ჩაერეოდნენ“[4], რადგან „ეს ორი სამეფო კარი...მეფე ერეკლესათვის...უფრო პატივსაცემი და მოსარიდებელი“[5] იყო. უსაფუძვლო არ იქნება იმის ფიქრიც, რომ ერეკლე II-ის ანტიკათოლიკური პოლიტიკა ასევე მიზნად ისახავდა უკვე ერთადერთ მოკავშირედ მიჩნეული რუსეთისათვის ერთმორწმუნეობის ურყევი ერთგულება დაემტკიცებინა, რადგან ამ დროისათვის, ალბათ, ტოტლებენის მოღალატური საქციელის გამო, ორ სახელმწიფოს შორის ერთგვარ წყენას ჰქონდა ადგილი. ამ აზრის ამოკითხვის საშუალებას გვაძლევს დომენიკოს შემდეგი ინფორმაცია. ის წერს: „რუსეთის სამეფო კარის რეკომენდაციები ვერ მოგვცემს რაიმე ეფექტს, რადგან იგი უკმაყოფილო და ნაწყენია მეფე ერეკლესაგან და არც ესენი მოეკიდებიან [დადებითად] ამ სამეფო კარის რეკომენდაციებს. მეფეს გაამხნევებს თქვენი უგანათლებულესობისა და უწმინდესობის...ინფორმაციები....“[6].

ამრიგად, მეფე ერეკლე II-ის ანტიკათოლიკური პოლიტიკა უმთავრესად დიპლომატიური მიზნით გადადგმული ნაბიჯი იყო. იგი მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში კათოლიკობის მომავალზე დაფიქრებულ და-

---

[1] უნდა ვიგულისხმოთ – სომეხ კათოლიკეთა დევნა.

[2] იგულისხმება – რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი და ავსტრიის ერცჰერცოგი იოსებ II (1763-1790).

[3] ინტერნუნციო (internunzio/internuncio) – პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი, რანგით ნუნციუსზე დაბალი.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, f. 333v.

[5] Ibid.

[6] Ibid.

სავლეთის კათოლიკე მონარქებს ამ პრობლემის საფუძველზე ქართლ-კახეთის მეფესთან კავშირი გაებათ. ამ საშუალებით, უნდა ვიფიქროთ, რომ მეფე რუსეთზე ზეგავლენის მოხდენასაც ისახავდა მიზნად.

როგორც ვთქვით, მეფე ერეკლე II-ის დიპლომატიურმა გათვლამ გაამართლა. თბილისის კაპუცინთა მისიონის პრეფექტი დომენიკე ტრიესტელი „კონგრეგაცია ფიდეს“ მესვეურთა მეშვეობით ენერგიულად შეუდგა კავშირების ძიებას ევროპის მონარქებთან, რათა ერეკლე მეფეზე გავლენა მოეხდინათ[1]. საკუთრივ მეფე ერეკლე II-მ კაპუცინთა პრეფექტ დომენიკოს აღუთქვა, რომ პრობლემა მოგვარდებოდა, თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან სესხის მიღებაში დაეხმარებოდნენ[2].

ერთი სიტყვით, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ერეკლე მფემ გადაწყვიტა, სესხად ფული ეთხოვა ევროპის სახელმწიფოებისათვის. ევროპის ხელისუფალთათვის თავისი პოლიტიკური მიზანი კარგად რომ გაეცნო, ერეკლე მეფე საჭიროებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში შესაფერისი უნარისა და გამჭრიახი გონების მქონე პიროვნებას. არჩევანი შეჩერდა პატრ დომიკე ტრიესტელზე (Domenico Da Trieste), რომელსაც 19 წლის ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა ერეკლესთან[3]. როგორც ირკვევა, ელჩად პატრი დომენიკეს კანდიდატურა შემთხვევით არ იყო შერჩეული. მას რთული დიპლომატიური მოლაპარაკების გარიგებაში საკმაო გამოცდილება ჰქონდა. მის უნარს პატრი მაურო ვერონელი ასე ახასიათებს: „ექსპრეფექტი დომენიკო ტრიესტელი, რომელსაც [მეფე] პატივისცემით ეკიდებოდა, როგორც გულითად ადამიანს, ვისაც დიდი ოსტატობით შეეძლო რთული საქმეების მოგვარება, მას მიანდო მისი შესრულება“[4]. ცხადია, სწორედ ამ თვისების გამო გაგზავნა ერეკლე მეფემ დომინიკე საგანგებო მისიით პაპისა და ავსტრიის სამეფო კარზე[5].

1781 წლის მარტისათვის თბილისში უკვე დასრულდა დომენიკო ტრიესტელის დიპლომატიური მისიით გაგზავნისათვის მზადება. თუ რა თანმიმდევრობით ევალებოდა მისიის შესრულება დომენიკოს, ამის შესახებ პატრი მაურო ვერონელი იუწყება: მეფე ერეკლე II-მ „...მას უბრძანა, რომ

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3, ff. 357r-357v.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, ff. 44r-45r.

[3] **Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours p. 639; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 392.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, ff. 44r; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 398.

[5] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, ff. 44r.

პირველად მივიდეს თქვენს ყოვლადუწმინდესობასთან[1], რათა ჩემი ეს წერილი წარმოგიდგინოთ; [მეფე ერეკლემ წერილში] მეც მიბრძანა, შევევედრო თქვენს ყოვლადუწმინდესობას, რომ გვერდზე გადადოს მისიონში მრავალი წლის მანძილზე ყველა მისი[2] პირადი დამსახურება და მიიღოს ის, როგორც მეფის მიერ გაგზავნილი [დესპანი] არა მხოლოდ მის ყოვლადუწმინდესობასთან, რომლისადმი უნდა გამოხატოს თავისი ერთგულება და გულმოდგინება, არამედ კვლავ გააგზავნოს მისი იმპერატორობით უდიდებულესობასთან, რათა აწარმოოს [დიპლომატიური] მოლაპარაკება თავის რამდენიმე საჩქარო საქმეზე[3].

ჩვენი ზემოთ გამოთქმული აზრი, რომ ერეკლე მეფის ანტიკათოლიკური დიპლომატია პოლიტიკურ მიზანს ისახავდა, ახლა ეს ნათლად გაცხადდა. მოვუსმინოთ თვით მაურო ვერონელს. „ამ მიზნით [მეფე ერეკლე] კიდევ ერთხელ ევედრება თქვენს უწმინდესობას, რომ მას სურს მის უდიდებულესობასთან [4] „[დომენიკოს] თან აახლოს სარეკომენდაციო წერილი, რომელიც მის უდიდებულესობას არა მხოლოდ სულიერად შთააგონებდა, არამედ მნიშვნელოვანი საქმის მქონე ადამიანებთან მოლაპარაკების, პატივისცემისა და მზრუნველობის სურვილს აღუძრავდა. ეს მეფე, როგორც მადლიერი და ძალიან კეთილი გულის პატრონი, საჯაროდ აცხადებს, რომ უფრო განუხრელად და მხურვალედ დაიცავს კათოლიკე ეკლესიას[5], ვიდრე ეს ოდესმე იყო. ნებისმიერი შუამდგომლობა, რასაც თქვენი უწმინდესობა გასწევს მისი უდიდებულესობა იმპერატორის წინაშე, საჯაროდ აცხადებს მეფე და ფიცავს, რომ თქვენი უწმინდესობა არ ინანებს, არამედ პირიქით, ისინი ბლომად ნახავენ შესაბამის ეფექტსა და სამსახურს. ყველაფერი, რაც დავწერე, ამავე მეფე ერეკლეს პირითაა [ნათქვამი] და მისი გრძნობებითაა [გადმოცემული][6]. ამ წყაროდან იმდენად ნათელია ყველაფერი, რომ ტექსტი არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

1781 წლის ზაფხულში პატრი ლომინიკე კონსტანტინოპოლზე გავლით დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა. იმავე წლის 20 ივნისს იგი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, მაგრამ 3 ივლისს პერაში მოულოდნელად გარდაიცვალა[7]. თუ რა

---

[1] ანუ წმინდა კონგრეგაციის კარდინალთან, უფრო შესაძლებელია, კარდინალ-პრეფექტთან.

[2] დომენიკო ტრიესტელს.

[3] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, ff. 44r-44v.

[4] იგულისხმება რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი იოსებ II.

[5] ცხადია, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის იოსებ II-ის მიერ ერეკლე მეფის თხოვნისადმი სათანადო დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ.

[6] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 44v.

[7] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 45v; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 399.

ბედი ეწია ერეკლეს წერილებს, დღემდე უცნობია. ამასთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი წერს: „მისი (ერეკლე II-ის – ავტ.) წერილები კი მაინც ჩაიტანეს რომში“-ო[1]. წყაროთა უქონლობის გამო ჩვენ გვიჭირს ამ საკითხზე უტყუარი აზრის გამოთქმა. ამდენად დღემდე უცნობია, თუ რა ბედი ეწია ერეკლე მეფის წერილებს, თუ წერილს, რომელიც დომენიკე ტრიესტელს მიჰქონდა. არც ისაა ცნობილი, თუ დასავლეთის რამდენ მონარქთან მიჰქონდა დომენიკოს წერილი. ჩვენი ვარაუდით, პატრ დომენიკოს მიჰქონდა წერილი რომის პაპისა და ავსტრიის იმპერატორისათვის, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, კონსტანტინოპოლში დაიკარგა, რადგან მკვლევრებმა მას დღემდე ვერ მიაკვლიეს ვატიკანისა და ავსტრიის არქივებში.

მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის, რომ კონსტანტინოპოლში ვატიკანის წარმომადგენლობას ყველაფერი ეღონა, რათა ეს ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა და ერეკლეს წერილები რომში გაეგზავნა. რამდენადაც ერეკლე მეფის წერილები უცნობია, ბუნებრივია, არც მათ შინაარზე შეიძლება მსჯელობა. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: დომინიკე ტრეისტელი თავდაპირველად უნდა ჩასულიყო რომში პაპთან და მისთვის უნდა გადაეცა ერეკლეს წერილი. შემდეგ პაპს საქართველოს ელჩ დომინიკესათვის უნდა ეშუამდგომლა ავსტრიის იმპერატორის წინაშე, რათა მოესმინა მეფის თხოვნა. მასვე ვენაში დომენიკო ძალიან სწრაფად უნდა გაეგზავნა[2].

ერთი წლის შემდეგ, 1782 წლის ოქტომბერში, ერეკლე მეფემ გორში მოღვაწე კაპუცინთა პრეფექტის პატრ ანდრეა პალერმოელის (Andrea da Palermo)[3] დახმარებით გულმოდგინედ მოამზადა და ხელახლა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი საგანგებო მისიით ევროპაში მეფისავე ბრძანებით „... მოსკოვის გზით“[4]. იგი იყო პატრი მაური ვერონელი, რომელიც 1776 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოში[5]. აქ ჩამოსვლამდე მაურო იყო „ვერონისა და ვენეციის პროვინციის მოქადაგე“ და ევროპის ქვეყნებში სამისიონერო მოღვაწეობის დიდი გამოცდილება ჰქონდა[6]. როგორც პატრი დომინიკე ტრიესტელის შემთხვევაში, ახლაც მაურო ვერონელი ელჩად შერჩეული იქნა ამ საქმეებში შესაფერისი

---

[1] L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, p. 640; **თამარაშვილი მ.,** ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 698.

[2] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 45r.

[3] Ibid, ff. 103r.

[4] Ibid, ff. 118r; **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე, გვ. 62; **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 400.

[5] **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე, დოკ. №5, გვ. 82.

[6] იქვე.

უნარის გამო[1]. პირადად მაურომ „...მისიონის სარგებლობისათვის ხალისით მიიღო ეს [დავალება]“[2].

1782 წლის 28 ოქტომბერს ერეკლემ ქართულ, თურქულ და ლათინურ ენებზე პასპორტი მისცა მაურო ვერონელს და იმავე წლის ნოემბრის შუა რიცხვებში იგი ევროპაში გაემგზავრა[3]. ახლა მაუროს მიჰქონდა ქართულ ენაზე დაწერილი წერილები და მათი თარგმანი რომის პაპის, საფრანგეთის, სარდინიის, ნეაპოლიტანიის, პრუსიის მეფეების, ავსტრიის იმპერატორისა და ვენეციის რესპუბლიკის სახელზე[4]. ამ წერილების თარგმნა მეფემ ანდრეა პალერმოელს დაავალა[5]. დგება კითხვა: რას სთხოვდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II დასავლეთ ევროპელ მონარქებს? ამაზე პასუხს თვით წყარო გვაძლევს. ამიტომ მას მთლიანად მოვიტანთ: „ვარაუდობენ თურქების წინააღმდეგ ომის დაწყებას; მეფე ერეკლე, რომელიც ოდესღაც სპარსეთის მოხარკე იყო და ახლა დამოუკიდებელია, ნახა რომ სპარსეთი დაყოფილია სუსტ სამფლობელოებად, მაგრამ სკვითებისაგან განუწყვეტელ თავდასხმებს განიცდის. ამიტომ იმპერატორისაგან ითხოვს ორ პოლკს, საფრანგეთისგანაც-ორ პოლკს, სარდინიისაგან-ერთ პოლკს, ასევე ერთ პოლკს ნეაპოლისაგან და ერთს-ვენეციისაგან, მაგრამ ჯართან შედარებით, უფრო ფულით დახმარებას ითხოვს. ამიტომ შუამდგომლობას სთხოვს წმინდა მამას დასახელებულ ხელმწიფეთა წინაშე და ხელშეკრულების დადების [შემთხვევაში] მის პრინციპებს შეასრულებს, როგორც სპარსეთის დაპყრობისათვის, ასევე ოსმალეთის წინააღმდეგ თავისი ძალებით დახმარებისას, რადგან უკუაქციოს ეს სკვითები, რომლებიც ახლა ხელშეუხებელნი გახდნენ“[6]. ერთი სიტყვით, ერეკლე მეფემ კარგად იცოდა, რომ დასახელებული სახელმწიფოს მონარქები მას ჯარით ვერ დაეხმარებოდნენ და ამიტომ სთხოვდა ფულად დახმარებას, რათა ევროპულ ყაიდაზე შეექმნა ჯარი, რომელიც შემდეგ საერთო ქრისტიანული საქმისათვის იქნებოდა გამოყენებული. ამ უკანასკნელთან იყო მიბმული კათოლიკეთა მომავალი საქმიანობის გაგრძელება საქართველოში, რომელსაც უკვე მეფე არ მალავდა. ამისათვის მივმართოთ წყაროს. ერეკლე მეფე, წერდა პატრი ანდრეა პალერმოელი 1782 წლის 14 ნოემბერს „პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთ კარდინალს, „...დაგვპირდა, თუნდაც პირობითად, თუკი [მას დაეხმარებიან] ევროპის სამეფო კართან დაახლოებაში, რომ დაგვიბრუნებდა ეკლესიებს, ჩამორთმეულ სახლებს, მამებსა და კათოლიკეებს მფარველობას გაუწევდა. ის გვპირდება ხუთი თუ ექვსი მამის

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, ff. 103v.

[2] Ibid.

[3] Ibid., f. 118r.

[4] Ibid.

[5] Ibid.

[6] Ibid., ff. 119r-119v.

სამუდამოდ აქ, თბილისში, დატოვებას და თავისი ხარჯით შენახვას, რასაც ასე გამოხატავს: თუ დაპირებას არ შეგისრულებთ, მაშინ ის იქნება საკუთარი სიტყვის გამტეხი და არ იმსახურებს ქრისტიან ხელმწიფეთაგან არანაირ თანაგრძნობას[1].

მთლიანი კვანძი, თუ რაში მდგომარეობდა ერეკლე მეფის ანტიკათოლიკური პოლიტიკა და ახლა დასავლეთთან კავშირით მას რისი მიღწევა სურდა, იხსნება მაურო ვერონელის სრულიად სარწმუნო დაკვირვებაში. „თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ თუ სულ არა, უკიდურეს შემთხვევაში [მეფე ერეკლე] მოგვცემს ეკლესიებს, ოღონდ მისმა წერილებმა [დასახელებული მონარქებისადმი] მოიპოვოს საგანგებო ხელშეწყობა. მაშ ასე, იესო ქრისტეში ვევედრები მის უწმინდესობას, ჩვენს პაპს, ზემოხსენებული სახელმწიფოების წინაშე გააკეთოს ის, რასაც მისი წმინდა გულმოდგინება უკარნახებს. ამ მეფის წერილის პასუხად მის უწმინდესობას[2], პირველი, ეძლევა საბაბი, რომ მოითხოვოს ჩვენი ეკლესიების დაბრუნება. პირობები, რომელიც ამ მეფემ წამოაყენა [იმაში მდგომარეობს], რომ ეკლესიების[3] ეფექტიანად დაბრუნების შემთხვევაში, თავისი სამღვდელოების წინაშე იმართლოს თავი, როგორც ეს ერთ-ერთ კერძო საუბარში გვითხრა[4].

ამრიგად, მოტანილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კაპუცინთა მამებმა სავსებით სწორად დაინახეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკობის წარმატებისათვის საქართველოში ევროპის პოლიტიკურ დაახლოებას. მათ კარგად გაითვალისწინეს ის მომენტიც, რომ დასავლეთისაგან პრაქტიკული დახმარების შემთხვევაში საქართველოს ევროპულ პოლიტიკაში კათოლიკეებისადმი მხარდაჭერა განმსაზღვრელ როლს შეასრულებდა. აქედან გამომდინარე, ისინი არ აკლებდნენ მცდელობას, რომ მაურო ვერონელის დიპლომატიურ მისიას სასურველი შედეგები მოეტანა.

როგორც ითქვა, პატრ მაურო ვერონელს მიჰქონდა რომის პაპთან ერეკლე II-ის წერილი, რომელიც ჯერჯერობით მკვლევართათვის უცნობია პატრ ანდრეა პალერმოელის 1782 წლის 14 ნოემბერს პროპაგანდის ერთ-ერთი კარდინალისადმი მიწერილი ვრცელი წერილიდან, რომელიც მთლიანად ეხება ერეკლე II-ის ევროპული პოლიტიკის ამოცანებს, ჩანს, რომ მაუროს მიჰქონდა

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 119v.

[2] ე.ი. რომის პაპს.

[3] მ. თამარაშვილი ასახელებს 18 ეკლესიის დაბრუნებას (**თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 401), რაც დედანში არ წერია. აქ საუბარია თბილისსა და გორში ჩამორთმეულ ეკლესიაზე, ე.ი. სულ ორ ეკლესიაზე.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 120r.

აგრეთვე ანდრეა პალერმოელის წერილი პროპაგანდის კარდინალთან[1]. დგება კითხვა: რაზე უნდა ყოფილიყო საუბარი ერეკლე მეფის წერილში პაპ პიუს VI-სთან (1775-1799)? პატრ ანდრეა პალერმოელის ზემომოტანილი წერილისა და ასევე მის მიერ 1783 წლის 19 ნოემბერს წმინდა კონგრეგაციაში გაგზავნილი წერილის[2] საფუძველზე ერეკლე II რომის პაპს პიუს VI-ს ავსტრიის იმპერატორთან შუამდგომლობის სანაცვლოდ, ალბათ ჰპირდებოდა, რომ კათოლიკე მისიონერებს თბილისსა და გორში 1757 წელს ჩამორთმეულ ეკლესიებს დაუბრუნებდა. უფრო მეტიც, ერეკლე მეფეს სურდა, რომ ეს ეკლესიები „...მისი უდიდებულესობა ავსტრიის იმპერატორისათვის ეჩუქებინა...“[3].

სანამ მაურო ვერონელი დასავლეთისკენ დიპლომატიური მისიით გზას მიიკვლევდა, როგორც ერთ-ერთი წყარო გვამცნობს, მანამ კათოლიკე მამებმა სცადეს ეს შემთხვევა გამოეყენებინათ და ერეკლე მეფისათვის სათხოვარი განეახლებინათ. 1783 წლის 19 ნოემბერს ანდრეა პალერმოელი პროპაგანდას აუწყებდა: „შარშან ამ მეფეს[4] მივართვი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მოვახსენე ჩვენი სახლის ნგრევით გამოწვეულ განსაცდელზე და ვთხოვე ადგილი ან საცხოვრებელი სახლი. მან საჯაროდ მითხრა, რომ მზადაა ეკლესიები დამიბრუნოს; მაგრამ დიდებულთა და სამღვდელოთა წინაშე საკუთარი თავის გამართლებისათვის სურდა, რომ დიდ პიროვნებას[5] მისთვის თხოვნით მიემართა. სანამ ეს მამა[6] ცოცხალია [ეკლესიების] დაბრუნება მარტივია, შემდეგ კი გაძნელდება, რადგან [მეფეს ერეკლეს] უფროს შვილს[7] მისმა მოძღვარმა საწინააღმდეგო მოვალეობა დააკისრა; ის დღეს ჩვენს [ჩამორთმეულ] ეკლესიაში დეკანოზი და იღუმენია და იღებს თავის გასამრჯელოს. ასე რომ, კარგი შემთხვევაა, თუ ზემოაღნიშნული გზით წყალობას მივიღებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წმინდა კონგრეგაციის ნებართვით, ჩვენ მეორედ წარვადგენთ არზას, რომ სახლი მოგვცეს და უსაფრთხოდ ჩვენის ეკლესიების დაბრუნება ვითხოვო[8].

ამრიგად, ერეკლე II-ის ევროპაზე აღებული ორიენტაცია კაპუცინთა პრეფექტს ანდრეა პალერმოელს, პატრ მაუროსა და სხვა მამებს ხელსაყრელ გარემოებად მიაჩნდათ საქართველოში კათოლიკობის შემდგომი წარამტები-

---

[1] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 128v.

[2] Ibid., f. 129r.

[3] Ibid., f. 128v.

[4] ე.ი. ერეკლე II-ს.

[5] იგულისხმება – დიდი სახელმწიფოს მონარქი.

[6] საუბარია – მეფე ერეკლე II-ზე.

[7] ცხადია, გიორგის, – შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1798-1800).

[8] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 129r.

სათვის. ამიტომ ისინი თავიანთ უნარს, ენერგიასა და შესაძლებლობას არ აკლებდნენ, რომ მაურო ვერონელის ელჩობა დასავლეთში წარმატებით დაგვირგვინებულიყო. ასეთ შემთხვევაში ერეკლე მეფე კათოლიკეებს არა მარტო მფარველობას აღუთქვამდა, არამედ 1755 წელს ჩამორთმეული ეკლესიების, სახლებისა და სხვა ქონების უკან დაბრუნებასაც. ასევე ჰპირდებოდა „თბილისში თავის ხარჯზე ხუთი პატრის შენახვას“[1]. მეფემ ამ მიმართულებით პირველი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა. 1781 წლის 20 ნოემბერს მისი ბრძანებით თბილისისა და გორის პატრები გაათავისუფლეს ყოველგვარი ხარჯებისა და გამოსაღებებისაგან.

არც მაურო ვერონელის ელჩობას ეწერა ბედი. 1783 წლის მაისში პატრი მაურო ვერონელი პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში გარდაიცვალა[2]. ამით სერიოზულად შეწუხდა პოლონეთის პროვინციის კაპუცინთა უფროსი პატრი პაჩიფიკუსი. ჩანს, მასაც კარგად ესმოდა, თუ რა წარმატებას უქადდა ამ ელჩობის დადებითი შედეგები საქართველოში კაპუცინთა საქმიანობას. კერძოდ, პაჩიფიკუსმა ერეკლეს წერილების წაღება ვენაში დაავალა კაპუცინელ პატრებს – ვოლფგანგსა და ჰილარიუმს. ახლა, გარდა ერეკლეს წერილებისა, მათ მიჰქონდათ პაჩიფიკუსის ერთი წერილი ავსტრიის იმპერატორისადმი, რომელიც შედგა ვლოდიმირში 1783 წლის 15 მაისს. მასში საუბარია იმაზე, თუ საიდან აღმოჩნდა ერეკლეს წერილები ბერდიჩევში. ის სხვა წერილებთან ერთად მათ უნდა წარედგინათ ვენაში იმპერატორის კარზე[3].

კაპუცინთა პატრებმა ვოლფგანგმა და ჰილარიუმმა ერეკლეს წერილები ვენაში იმპერატორის კარს ჩააბარეს, მაგრამ აქ ქართული არავინ იცოდა და გადაწყვიტეს, ეს წერილები რომში – პროპაგანდა ფიდესათვის გაეგზავნათ სათარგმნელად. ამ საქმეზე სერიოზულად იზრუნა ავსტრიის კანცლერმა ვენცელ ანტონ კაუნიცმა (1753-1792). მან 1782 წლის ივნისის ბოლოს ერეკლეს წერილები რომში გადაუგზავნა პაპის კარზე ავსტრიის „სრულუფლებიან მინისტრს“ კარდინალ ჰრზან ფონ ჰარას ფრანც ქსავერს[4]. ამ უკანაკსნელმა აღნიშნული წერილების თარგმნისათვის მზრუნველობა დაავალა პროპაგანდა ფიდეს პრეფექტს, კარდინალ ლეონარდო ანტონელის (1780-1795)[5].

კარდინალი ანტონელი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით მოეკიდა დავალებული საქმის შესრულებას, მაგრამ წერილების თარგმნა დიდხანს შეყოვნდა. „ამის მიზეზი ისაა, – ვკითხულობთ პირველწყაროში, – რომ ამ კოლეგიაში (პროპაგანდის კოლეჯში – ავტ.) მხოლოდ ორი ყმაწვილია, რომლებიც

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 401.

[2] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 401; **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე, დოკ. №5, გვ. 82

[3] იქვე, გვ. 64.

[4] იქვე, დოკ. № 30-35, გვ. 115-118.

[5] იქვე, დოკ. № 32, გვ. 116.

ქართულს ფლობენ და მხოლოდ ერთი, რომელიც სპარსულს ფლობს“[1]. გადაჭრით ვერ ვიტყვით, აქ ნახსენები ქართული ენის მცოდნე ორი ყმაწვილი წარმოშობით ქართველები იყვნენ თუ რომელიმე სხვა ეთნოსის წარმომადგენლები. უფრო სავარაუდებელია, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ზუსტად ამ დროს კი პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა[2]. ესენი იყვნენ: ივანე გოკიელი (Joannes Gochieli) და პეტრე ხუციშვილი (Petrus Cuzzianti)[3]. შესაძლებელია, ის ორი ყმაწვილი ესენი-ივანე გოკიელი და პეტრე ხუციშვილი – იყვნენ, რომელთაც „...მონაწილეობა მიიღეს წერილის თარგმნაში...“ და საჩუქრად 12 დუკატი გადაეცათ[4].

1783 წლის სექტემბრის დასაწყისისათვის ერეკლეს წერილები უკვე თარგმნილი იყო. ერთი წერილი პაპის სახელზე რომში დაიტივეს, ხოლო დანარჩენები უკანვე ვენაში გამოაგზავნეს. ამ საქმისათვის კარდინალ ლეონარდო ანტონელისთან ერთად დიდი შრომა გასწიეს კარდინალებმა ჰრზანმა[5] და სტეფანიმ[6]. როცა ვენაში გაიგეს წერილების შინაარსი და საქმის ვითარება, იმპერატორ იოსებ II-ის (1780-1790) ბრძანებით ავსტრიის ელჩს პეტერბურგში გრაფ ლუდვიგ ფონ კობენცლის (1753-1809) შეეკითხნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოში შექმნილი და რა მდგომარეობაშია ერეკლე მეფე. ამ დროს უკვე საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო. 1783 წლის 24 ივლისს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველო მოექცა რუსეთის გაველნის ქვეშ. ავსტრიის ელჩმა პეტერბურგში ლუდვიგ ფონ კობენცლიმ ყველაფერი ეს შეატყობინა ვენას და მას თან დაურთო გეორგიევსკის ტრაქტატი გერმანულ ენაზე[7].

აღნიშნული ტრაქტატი, როგორც ჩვენში მოღვაწე კათოლიკე მამებმა, ასევე რომში, სავსებით სწორად აღიქვეს საქართველოში კათოლიკობის შემზღუდველ ფაქტორად[8]. პაპის კურიაში ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ამიერიდან საქართველოში არსებულ კათოლიკურ ეკლესიაზე პრეტენზია მოგილევის არქიეპისკოპოსს ექნებოდა[9]. ეს ასეც მოხდა. რუსეთის მთავრობის წაქეზებით მოგილევის ლათინთა

---

[1] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 401; **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე, დოკ. №35, გვ. 119.

[2] **თამარაშვილი მ**., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 466-467.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 50.

[4] **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე, დოკ. №35, გვ. 119.

[5] იქვე, დოკ. №36, გვ. 120.

[6] იქვე.

[7] **ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე, დოკ. №35, გვ. 119.

[8] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №77, ფურც. 10.

[9] იქვე, ფურც. 10v.

ეპისკოპოსმა დაუყოვნებლიც დაიწყო იმის მცდელობა, რომ საქართველოსკათოლიკური ეკლესია თავისი იურისდიქციის ქვეშ მოექცია[1].

საქართველოში კაპუცინთა მისიონის პრეფექტი ანდრეა პალერმოელი სწორად ჭვრეტდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა რუსეთის რელიგიურ პოლიტიკას კათოლიკობის მიმართ: პირველი, მათ გაუჭირდებოდათ რუსეთისაგან ზურგმომაგრებულ სომხებთან ბრძოლა; მეორე, რუსეთი რომელიც თავის ქვეყანაში არ იწყნარებდა კათოლიკურ სარწმუნოებას, ყოველმხრივ შეეცდებოდა, საქართველოს კათოლიკური ეკლესია მოგილევის საეპისკოპოსოსადმი დაემორჩილებინა და ამით კავშირი გაეწყვიტა საქართველოსა და ვატიკანს შორის[2]; მესამე, იმპერატორისაგან წაქეზებული რუსეთზე ორიენტირებული ქართველი სასულიერო მესვეურები ყოველმხრივ შეეცდებოდნენ (ეს ასეც მოხდა) კათოლიკეებისათვის ჩამორთმეული თბილისისა და გორის ეკლესიები მათთვის უკან არ დაებრუნებინათ[3].

კათოლიკეებისათვის აღნიშნული ეკლესიების დაბრუნებასთან დაკავშირებით დღემდე უცნობი საარქივო მასალები ახალ ინფორმაციას გვაწვდიან. კერძოდ, 1784 წლის ნოემბრისათვის პატრმა ანდრეა პალერმოელმა კიდევ ერთხელ სცადა, მეფე ერეკლესთვის შეეხსენებინა მიცემული პირობა ეკლესიათა დაბრუნების შესახებ, რაზედაც მეფეს უპასუხია: „...თქვენი ეკლესიები არ დაგიბრუნდებათ, თქვენ მიიღებთ ამ ეკლესიების საფასურს ფულით. ეს არის იდეა და არა ინსინუაცია“[4]. ირკვევა, ეკლესიათა დაბრუნების თაობაზე ანდრეა პალერმოელს არაერთხელ ჰქონია საუბარი ტახტის მემკვიდრე, უფლისწულ გიორგისთან, ქართლ-კახეთის მომავალ მეფე გიორგი XII-სთან (1798-1800). ამ უკანასკნელს პატრისათვის დაუფარავად უთქვამს, რომ „...ეკლესიები უკვე კურთხეულია ჩვენგან და არ შეგვიძლია ამიერიდან მათი დაბრუნება, თუმცა ვალდებულნი ვართ დაგიბრუნოთ საფასური“[5].

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეფემ დანაპირები არ შეასრულა და კათოლიკე მამებს არ დაუბრუნა ჩამორთმეული ეკლესიები, თბილისის კაპუცინთა მისიონის პრეფექტი ანდრეა პალერმოელი მის შესახებ თავის უამრავ რელაციონეში უარყოფითად არსად საუბრობს. 1784 წლის 29 ნოემბერს ის პროპაგანდა ფიდეს ერთ-ერთ კარდინალს წერდა: „მეფე ერეკლე უკვე წლოვანებით 65 წლამდეა. თავის მთავრობაში ის მისიონერების მიმართ ყოველთვის ავლენდა მადლიერების ნიშნებს. [ვსაუბრობ] წინდახედულ პოლიტიკოსზე და იშვიათ ადამიანზე, მხედველობაში მაქვს განსვენებული მამა მაუროს [დიპლომატიური

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №77, ფურც. 18v, 19v.

[2] იქვე, ფურც. 24-26v.

[3] **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 485.

[4] Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4, f. 158v.

[5] Ibid.

მისიით] გაგზავნა, როცა ამაში დამარწმუნა და საკუთარი ხელით დაწერილი წერილით დამპირდა, რომ მხოლოდ მე ვიცი ეს და სხვა არავინ; გასული მაისის თვეში, ზემოხსენებული მამის[1] გარდაცვალების გამო დაკარგა რა იმედი, მეფე ერეკლესთან მქონდა რამდენიმე კერძო საუბარი და წარვუდგინე მეფე ერეკლეს მისი წერილი, აი, როგორ ვერ შეძლო მან ჩემთვის რაიმე სასარგებლო გზის გამოძებნა, მაგრამ არ ინდომა წერილის უკან გამორთმევა და თქვა: „შეინახეთ იგი“. ვითვალისწინებ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ (უფალმა დაიფაროს) ჩვენი საქმე, გარდა უფლის განგებისა, უარესობისაკენ წავა“.

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმულში ნათლად ჩანს სარწმუნოების საკითხში მეფე ერეკლე II-ის ორგვარი სტანდარტი: ქვეყნის შიგნით მართლმადიდებლობის თავგამოდებული დაცვა, ხოლო დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის დროს კათოლიკობის მიმდევრად თავის წარმოჩენა[2]. ასეთ პოლიტიკას მუსლიმურ ოკეანეში მარტოდ დარჩენილი, მაგრამ ახლა რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა განაპირობებდა, რისი განხილვის საჭიროება აქ არ არის. ნიშანდობლივი ის გახლავთ, რომ, ჩანს, ერეკლე მეფე მის მიერ გამოყენებული ანტიკათოლიკური დიპლომატიის უმართებულობას ადამიანურად განიცდიდა. ამაში გვარწმუნებს ის, რომ მეფემ პატრ ანდრეა პალერმოელს არ გამოართვა უკან მისი პირობის წერილი ეკლესიათა დაბრუნების შესახებ. მეფის სიტყვა „შეინახეთ იგი“ მიემართებოდა იმას, რომ მისი სიკვდილის შემდეგ პატრებს ის საბუთად ჰქონოდათ ვინიცობაა ეკლესიათა დაბრუნების მოთხოვნისას. სხვა აზრს ამ ცნობაში ჩვენ ვერ ვხედავთ.

საქართველოსთვის შეცვლილ საერთაშორისო ვითარებაში ანდრეა პალერმოელი პაპის კურიას დაჟინებით თხოვდა, რომ მიეცათ მისთვის საჭირო ინსტრუქციები მოქმედებისათვის[3]. ამასთანავე ანდრია კურიას სთავაზობდა, რომ დაენიშნათ იგი ისპაანის ეპისკოპოსის ვიკარიად საქართველოში, რადგან 1632 წლიდან საქართველოს მისიონი ემორჩილებოდა ხსენებულ საეპისკოპოსოს. ამით, მისი აზრით, „...რუსეთის პრელატი (მოგილევის კათოლიკეთა ეპისკოპოსი – ავტ.) ვერასოდეს შეძლებდა თავისი იურისდიქციის ქვეშ მოექცია (კათოლიკური ეკლესია საქართველოში – ავტ.), რადგან ვერ დაარღვევდა ისპაანის ეპისკოპოსის უცილობელ უფლებას“[4]. მსგავსი მტკიცებები მან არაერთხელ გააგზავნა ვატიკანში[5], მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა ყველაფერი. მიუხედავად ამისა, კაპუცინმა მამებმა, ვიდრე ისინი რუსეთის მთავრობამ არ განდევნა სა-

---

[1] იგულისხმება – მაურო ვერონელი.

[2] **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 503.

[3] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №77, ფურც. 11, 18v.

[4] იქვე, ფურც. 20.

[5] იქვე, ფურც. 26 v.

ქართველოდან 1845 წელს, მოგილევის არქიეპისკოპოსს არ მისცეს თავისი გეგმების განხორციელების საშუალება.

აქვე აუცილებელია ითქვას: უდავოა, კაპუცინი მამების ამ მცდელობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი კათოლიკეებისათვის, რადგან თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ანტიკათოლიკურმა პოლიტიკამ, ვატიკანის მიერ ქართული რიტის უარყოფამ, დიდი ზიანი მიაყენა ქართველ კათოლიკეებს საქართველოდან კაპუცინი მამების განდევნის შემდეგ. რადგან ქართველ კათოლიკეებს არ ჰქონდათ საკუთარ ენაზე ღვთისმსახურების აღსრულების საშუალება, რუსეთის მხარდაჭერით ფრთაშესხმული სომეხი სასულიერო პირები ადვილად აქცევდნენ ქართველ კათოლიკეებს თავიანთი გავლენის ქვეშ. პაპის კურიას კი არ აღმოაჩნდა სხვა საშუალება, რომ ქართველების სამართლიანი მოთხოვნისათვის მტკიცედ დაეჭირა მხარი. ამიტომ კურიისათვის მთავარი ის იყო, რომ სომეხ კათოლიკეთა მიერ მოპოვებული გავლენა საქართველოში შენარჩუნებულიყო. აქედან გამომდინარე, წმინდა ტახტი მხარს უჭერდა სომხურ ტიპიკონს და არა ქართულს. აქ მძლავრად მოქმედებდა ის ფაქტორიც, რომ რუსეთი ამ საქმეში მხარს სომხებს უჭერდა. ყოველივე ამან უარყოფითი როლი შეასრულა, რადგან სარწმუნოება და ეროვნულობა გაიგივდა და ბევრ უწიგნურ ქართველს დააკარგვინა საკუთარი ენა და იდენტობა.

# ბიბლიოგრაფია

## *წყაროები*

**ბაგრატიონი ვახუშტი.** საქართველოს ცხოვრება 1459-1800-მდე, თბილისი, 1913.

**დიონიჯო კარლი.** თბილისის აღწერა / იტალიური ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო **ბეჟან გიორგაძემ.** „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 29, თბილისი, 1951. ევროპული კვლევები, II, თბილისი, 2015. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს **მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა** და **ზურაბ გამეზარდაშვილმა**, თბილისი, 2018.

ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს **მურმან**

**პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა** და **ზურაბ გამეზარდაშვილმა**, თბ., 2020.

**ვახუშტი ბატონიშვილი.** ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973.

**თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **მზია მგალობლიშვილმა,** თბილისი, 1975.

საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I. შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო **ილია ტაბაღუამ,** თბილისი, 1975.

**სულხან-საბა ორბელიანი,** თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1959.

**სულხან-საბა ორბელიანი,** სამოთხის კარი, თბილისი, 2004.

**ტაბაღუა ი.,** მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბილისი, 1982.

**ტაბაღუა ი.,** საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716, „საისტორიო მოამბე“, 55-56, თბილისი, 1987

**ტურნეფორი ჟ. პ. დე.,** მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო **მზია მგალობლიშვილმა,** თბილისი, 1988.

**M. Brosset**. Documents originaux sur les relarions diplomatiques de la Georgie avec la France la fin du regne de Louis XIV // Nouveau Journal Asiatique, t. IX, Paris, 1832.

**Krusinski Th.,** Tragica Vertentis belli Persici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno 1728 vum, Leopoli, 1740.

Духовный Вестник Грузинского экзархата, 1891, №10-11

Духовный Вестник грузинского экзархата, 1891, №14

Духовный Вестник грузинского экзархата, 1891, №5.

Духовный Вестник грузинского экзархата, 1891, №15.

## *საარქივო მასალები*

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №21.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №70.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №74.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №78.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №79.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №85.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88.

Archivio di Propaganda Fide, Scritture Fiferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. I.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1779-1790. V. 4.

Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31.

Acta Sacra Congregazione de Propaganda Fide. Anno 1714, fol. 442, №32 – “Georgia”.

Archieves du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Turquie”, t. 39.

Archives du Ministère des Affaires Étrangères. Paris. “Turquie”, t. 55.

Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. “Perse”, t. 3.

Archivio della SCPF, SOCG, “Georgia”

Archivio della SCPF, “Persia”, t. III, № 7.

Österreichisches Staatarchives, “Turcica”, t. 90.

## *ლიტერატურა*

**ახალაძე ნ.,** ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1990.

**ბარამიძე ალ.,** სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, თბილისი, 1959.

**ბარამიძე რ.,** ლიტერატურული შტუდიები, თბილისი, 1988.

**ბერძენიშვილი ნ.,** საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბილისი, 1973.

**გაბაშვილი ვ.,** იოსებ ქართველი – XVIII საუკუნის დიპლომატი და ისტორიკოსი // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბილისი, 1955.

**გაბაშვილი ვ.,** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, – წიგნში: სულხან საბა ორბელიანი 1658-1958. საიუბილეო კრებული. თბილისი, 1959.

**გაბაშვილი ვ.,** იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 116, თბილისი, 1965.

**გამსახურდია ზ.,** წერილები-ესეები, თბილისი, 1991.

**გაჩეჩილაძე კ.,** ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 349, თბილისი, 2003.

**გვრიტიშვილი დ.,** ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), ტ. 2, თბილისი, 1965.

**დონდუა ვ.,** საისტორიო ძიებანი, I, თბილისი, 1967.

**კარბელაშვილი პ.,** იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, თბილისი, 1904.

**კიკნაძე ზ.,** კვლავ დაბრუნების თუ გადასვლის თაობაზე // ჟურნ.: „დიალოგი“, №1(2), თბილისი, 2005.

**ლეონიძე გ.,** ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1949.

**ლომსაძე შ.,** გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალ-ციხური ქრონიკები, თბილისი, 1979.

**ლუი კოკე.** საქართველოს ელჩობა საფრანგეთში დიდ საუკუნეში. 1713-1714 წწ. სულხან-საბა ორბელიანი ლუი XIV-სთან // საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. III, თბილისი, 1996.

**მაგაროტო ლუიჯი, ტაბაღუა ილია,** იტალიელი ავტორის მიერ შედგენილი ქართული ენის გამოუქვეყნებელი გრამატიკა (XVIII საუკუნისა) // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული VI, დანართი, თბილისი, 1979.

**მამისთვალიშვილი ე.,** რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა ევროპაში // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IV, თბილისი, 1997

**მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011.

**მამისთვალიშვილი ე.,** ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული №14, თბილისი, 2016, გვ. 185-195.

**მამისთვალიშვილი ე.,** კათალიკოს დომენტი IV-ის პორტრეტისათვის // მაცნე, ისტორიის სერია, №2, 2017

**მამისთვალიშვილი ე.,** გორის ისტორია I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბილისი, 2018.

**მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, თბილისი, 2019.

**ნატროშვილი თ.,** „მაშრიყით მაღრიბამდე“, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 1978.

**ნიკოლაძე ე.,** საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918.

**პაიჭაძე გ.,** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბილისი, 1960.

**პაიჭაძე გ.,** ვახტანგ მეექვსე, თბილისი, 1981.

**პაპაშვილი მ.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1991.

**პაპაშვილი მ.,** საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995.

**პაპაშვილი მ.,** დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთან ერთად დავით მეგრელის დიპლომატიური მისიით გაგზავნის საკითხისათვის // საქართველო-ევროპა-ამერიკა, თბილისი, 1997, №1.

**პაპაშვილი მ.,** კიდევ ერთხელ სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკობის შესახებ // საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II და III, თბილისი, 1997.

**პაპაშვილი მ.,** საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში / დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1998.

**პაპაშვილი მ.,** მადმუაზელ მარი პეტი-ლუი XIV-ის თვითმარქვია ელჩი ირანში და მისი სტუმრობა საქართველოში // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი. შრომები, I, თბილისი, 2002.

**პაპაშვილი მ.,** ეპისკოპოს ქრისტეფორე ორბელიანის რომში სტუმრობის მიზანი // საისტორიო ვერტიკალები, თბილისი, 2005, №8.

**პაპაშვილი მ.,** ქაიხოსრო უფლისწული და კათოლიკე მისიონერები // საისტორიო ვერტიკალები, თბილისი, 2008, №15.

**პაპაშვილი მ.,** კიდევ ერთხელ, თუ რატომ მიიღო სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკობა // საისტორიო ვერტიკალები, თბილისი, 2009, №18.

**პაპაშვილი მ.,** როდის იყო განზრახული სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა დასავლეთში // საისტორიო ვერტიკალები. დამატება, თბილისი, 2009, №18.

**პაპაშვილი მურმან**, **გამეზარდაშვილი ზურაბ,** ერეკლე II-ის წერილი ლეონარდო ვიტერბოელისადმი // საისტორიო ვერტიკალები, თბილისი, 2011, №22.

**სამსონაძე მ.,** საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნე, თბილისი, 1988.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბილისი, 1973.

**ტაბაღუა ი.,** ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან) // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XLVII, №1, თბილისი, 1967.

**ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972.

**ტაბაღუა ი.,** საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარი, თბილისი, 1979.

**ტაბაღუა ი.,** საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, ტ. I, თბილისი, 1996.

**ტაბაღუა ი.,** ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. თბილისი, 2000.

**ტარდი ლ.,** ქართველები 1711-1725 წწ. ავღანეთ-სპარსეთის ომში // საქართველო და ევროპის ქვეყნები, V, თბილისი, 1991.

**ტივაძე თ**., საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა VII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1977.

**უთურგაიძე თ.,** ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრევის ურთიერთმიმართება // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXIX, თბილისი, 1990.

ქართული მწერლობა, ტ. 7, თბილისი, 1989.

ქართული მწერლობა, ტ. VIII, თბილისი, 1990.

**ცინცაძე ი.,** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1968.

**ჭიჭინაძე ზ.,** უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა, ტფილისი, 1898.

**ჭიჭინაძე ზ.,** პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896.

A Chronicle of the Carmelities in Persia and Papal Mission of the XVII th and XVIII th centuries, vol. I, London, 1939.

**Allen W. E. D. A.,** History of the Georgian People from – the beginning down to the Russian conquest in the nineteenth century, London, 1932.

**Boogert M. H.,** The capitulations and the Ottoman legal system. Bril-Leiden-Boston, 2005.

**Bonnet Jean.** Projet de Mission en Mingrelie ou Gèorgie. Annale de la Congregation de la Mission. Paris, 1902.

**Cerceau Du.** Histoire de la dernière Rèvolution de Perse, t. I, Paris, 1728.

**Clairac La De La Mamye.** Histoire de Perse, depuis le Commencement de ce siècle, Paris, Jombert, 1750, t. I.

**Claudio Rendina**, I papi, Roma, Ed. Newton Compton, 1990.

**Clemente da Terzorio**, Le Missioni dei Minori Cappuccini Turchia asiatica, Roma, 1925, t. VII.

Enciclopedia Italiana, t. XIX. Roma, 1951.

**Goubert P.,** Louis XIV et vingt millions de Français, Paris, 1991.

**Hanotaux G.,** Martineaux A. Histoire des colonies françaises et de l'expansion de la France dans le monde, Paris, 1931.

**Hekmat M.A.,** Essai sur l'Histoire de relation politiques Irano-Ottomanes de 1722 a 1747, Paris, 1937.

**Herbette M.,** Une Ambassade persane sour Louis XIV, Paris, 1907.

Histoire universelle des missions catholiques, t. I. Sous la dir de Mgr. S. Delacroix, Paris, 1957.

**John C. Rule, Ben S. Trotter,** A World of Paper : Louis XIV, Colbert de Torcy, and the Rise of the Information State, McGill-Queen's University Press, 2014.

**Kinross Patric.** The Ottoman Centuries: The Rise and Fall of the Turkish Empire. William Morrow, 1979.

**Lang D. M.,** Georgian Relations with France during the reign of Vakhtang VI (1711 – 1724) // Repr. From the Journal of the Royal Asiatic Society, Parts 3 and 4, London, October, 1950.

**Lang D. M.,** The Last Years of the Georgian Monarchy 1658-1832, New-York. Columbia University Press, New-York, 1957.

**Launay A.,** Histoire générale de la Societé des missions étrangèeres, vol. I, Paris, 2003.

**Lokhart L.L.,** The fall of the Safavi Dynasty and the Afgan occupation of Persia. Cambridge, 1958.

**Masson P.,** Histoire du commerce français dans le Levant au XVIII siècle, Paris, 1911.

**Mamistvalishvili E.,** Justino da Livorno's letter dated back to 1687 Yars av the source for the history of Georgia // Karadeniz Uluslararası Bilimsel Dergi, 1 (45), 2020, pp. 189-200. Mémoires de Louis XIV pour l'instruction du Dauphin, vol. 2, Paris, 1860.

**Noradounghian G.,** Recuel d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, t. I, 1897-1903.

**Peyssonel Ch.,** Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, Paris, 1754.

**Pelesz G.,** Geschichte der Union der ruthenischen Kirche mit Rom, vol. 2, Vienna 1878-1880,

Raguaglio del viaggio fatto da'Padri dell'Oriente de'Predicatori, inviati della Sagra Congregazione de Propaganda Fide // Missionari Apostolici nella Tartarie Minore l'anno 1662. Aggiuntavi la nuova spedizione del P. Maestro fra'Francesco Piscopo in Armenia e Persia, Napoli, 1695.

**Roche F., Pigniau B.,** Histoires de diplomatic culturelle des origins a 1995. La Documentation francaise, Paris, 1995.

**Maulde R. de, La Claviere**. Les mille et une nuits d'une ambassadrice de Louis XIV, Paris, 1870.

**Schefer Ch.,** Mémoire historique sur l'Ambassade de France à Constantinople par le Marquis de Bonac publié avec un précis de ses négociations à la Porte Ottomane, Paris, 1894.

**Senyk S.,** Rutskis reform and Orthodox Monasticism: A comparison // OCP, 1982, v. 42, №2.

**Shay M. L.,** The Ottoman Empire from 1720-1734 as revealed in dispatches of the Venetian baili, Urbana, 1944.

**Szegda M.,** Dzialalnose pravno-organizacyjna metropolity Iozefa IV Welamina Rutskiego (1613-1633), Warszawa, 1967.

**Tabagoua I.,** Pour server à l'histoire de l'activité de Joseph Géorgian en Orient // Bedi Kartlisa revue de kartvelologie, vol. XXXIII, pp. 204-215, Paris, 1975.

**Tamarati M.,** Rapport sur l'eglise latine de l'assomption de Tiflis en Georgia, Mai 1903, Rome, 1908.

**Tamarati M.,** L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos Jours, Rome, 1910.

Teatro Farmaceutico, Dogmatico e Spagirico, del dottor Giuseppe Donzelli. In Venezia, MDCCXXVII.

Enciclopedia Italiana, t. XIX.Roma, 1951.

**Thireau J.L.,** Les idees politiques de Louis XIV, Paris, 1973.

**Veinstein G.,** Sissionnaires jésuites et agents français en Crimée au début du XVIIIe siècle // Cahiers du monde russe et soviétique. Vol. 10, №3-4. Jullet-Décembre, 1969.

**Venturi Fr.,** Settecento riformatore. 4,2. La caduta dell'Antico Regime (1776-1789), T. 2. Il patriotisme republicano e gli imperi dell'Est, Torino, 1994.

**Борисов Ю.В.,** Дипломатия Людовика XIV, М., 1991.

**Иегер О.,** Всеобщая история, т. III., СПб., 1894.

**Малов В.Н.,** Людовик XIV: опыт психологической характеристики // Новая и новейшая история, 1996, №6.

**Марр Н.,** Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, V, СПб., 1903.

**Никольсон Г.,** Дипломатическое искуство. М., 1962.

**Норвич Дж.,** История Папства/Пер. с англ. А. В. Короленкова и Е.А. Семенвой, Москва, 2014.

**Орловская Н.К.,** Грузинские словари Бернардо Неаполитанского // ლიტერატურული ძიებანი, III, თბილისი, 1972.

**Панахиян Г.Г.,** О режиме капитуляции в Иране (1568-1715) // Автореферат канд. дисс. Москва, 1962.

**Подхородецкий Л.,** Вена-1683, пер. с польского, Москва, 2002.

ვახტანგ VI
*წყარო: Wikimedia Commons*

სულხან-საბა ორბელიანი
*წყარო: Wikimedia Commons*

ლუი XIV

*წყარო: Wikimedia Commons*

კლიმენტი XI
*წყარო: Wikimedia Commons*

ერეკლე II
*წყარო: Wikimedia Commons*

ანტონ I

*წყარო: Wikimedia Commons*

სოლომონ I

*წყარო: Wikimedia Commons*

ფრანც იოზეფ I

*წყარო: Wikimedia Commons*

## ავტორთა შესახებ

**მურმან პაპაშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ელდარ მამისთვალიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**ზურაბ გამეზარდაშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**ხათუნა ჩაფიჩაძე** – სოციალური მეცნიერებების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ABOUT AUTORS

**MURMAN PAPASHVILI** – Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ELDAR MAMISTVALISHVILI** – Doctor of Historical Sciences, Professor of Gori State Teaching University

**ZURAB GAMEZARDASHVILI** – Doctor of Philological Sciences, Professor of Georgian Technical University

**KHATUNA CHAPICHADZE** – Ph.D. Degree in Social Sciences, Associate Professor of Georgian Technical University

გარეკანის ფოტო „წმინდა პეტრეს მოედანი“.
წყარო: ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფოს ოფიციალური ვებ-გვერდი:
https://www.vaticanstate.va/it/monumenti/basilica-di-san-pietro/la-piazza.html

გამომცემლობა „**უნივერსალი**“
Publishing House **“UNIVERSAL”**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია, 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universali505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com